გაბრიელ გეგენავას, ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარიევის ელჩობათა მასალები 1636-1640 წლები

გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები, ლექსიკონი, საძიებლები და კალენდარი დაურთო ჯემალ გამახარიამ

Материалы посольств Гавриила Гегенава, Федота Елчина и Павла Захарьева 1636-1640 годы

Для издания подготовил, исследованием, комментариями словарем, указателями и календарем снабдил Джемал Гамахария

Materials on the Legations of Gabriel Gegenava, Fedot Elchin and Pavel Zakhariev 1636-1640

Prepublishing, reserch, comments, vocabulary and calender by Jemal Gamakharia

თბილისი- Тбилиси-Tbilisi 2014

UDC (უაკ) 94(479.224)
94(479.22:479.224)
ზ-19

მთავარი რედაქტორი პროფესორი ჯემალ გამახარია
Главный редактор профессор Джемал Гамахария

სარედაქციო საბჭო:
პროფესორი გონელი არახამია, პროფესორი ლია ახალაძე, პროფესორი ელდარ ბუბულაშვილი, პროფესორი მურმან პაპაშვილი, პროფესორი დაზმირ ჯოჯუა, დეკანოზი ბიძინა (გუნია), დინარა დარსალია, ნანა კვარაცხელია, დავით ჟვანია, ანზორ სიჭინავა.

Редакционный совет: профессор Гонели Арахамия, профессор Лия Ахаладзе, профессор Элдар Бубулашвили, профессор Дазмир Джоджуа, профессор Мурман Папашвили, протоиерей Бидзина (Гуния), Динара Дарсалия, Давид Жвания, Нана Кварацхелия, Анзор Сичинава.

ელჩობათა მასალები ქართულად თარგმნა ვლადიმერ ჩხიკვაძემ
თარგმანის რედაქტორები ჯემალ გამახარია და ტატიანა ეროხინა

Материалы посольств на грузинский язык перевел Владимир Чхиквадзе
Редакторы перевода Джемал Гамахария и Татьяна Ерохина

რეცენზენტები: პროფესორი ბეჟან ხორავა, ისტორიის დოქტორი ხვიჩა ქარდავა.
Рецензенты: профессор Бежан Хорава, доктор истории Хвича Кардава.

ISBN: 978-9941-0-6892-8

მასალები სამეგრელოს სამთავროსა და რუსეთის სახელმწიფოს შორის დიპლომატიური კავშირების შესახებ (1636-1640 წლები)

საქართველოს სისხლიან მატიანეში ერთ-ერთ ყველაზე მძიმე პერიოდს XVII საუკუნე წარმოადგენს. ირანისა და ოსმალეთის ძლევამოსილი იმპერიების მიერ მრავალგზის გადანაწილებულ (1555,1618,1639 წლები და ა.შ.), იმავე იმპერიების მეცადინეობით გაჩაღებული შიდაომების შედეგად დაუძლურებულ, დაქუცმაცებულ ქვეყანას ისტორიული არენიდან გაქრობის რეალური საფრთხე ემუქრებოდა. როგორც მთლიანად საქართველოს, ისე მისი შემადგენელი პოლიტიკური ერთეულების იმჟამინდელი ისტორიის სრულყოფილი შესწავლა, სათანადო ქართული წყაროების სიმწირის გამო, პრაქტიკულად შეუძლებელია უცხოური, მათ შორის ევროპული თუ რუსული წარმოშობის წყაროთა გამოყენების გარეშე. ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებენ სამეგრელოს მთავრის ლევან II დადიანის ელჩის გაბრიელ გეგენავას რუსეთში მივლინებისა (1636-1639წწ.) და საპასუხო რუსული ელჩობის წევრების ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარიევის სამეგრელოში ყოფნის (1639-1640წწ.) ამსახველი მასალები. ისინი ქართულ ენაზე დღემდე არ თარგმნილა, მათი წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობაც ჯეროვნად არ არის შესწავლილი ქართული თუ რუსული ისტორიოგრაფიის მიერ.

გაბრიელ გეგენავას, ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარიევის ელჩობათა შესახებ შედარებით მოკლე ინფორმაციას შეიცავს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მოსკოვის მთავარი არქივის თანამშრომლის ფრანცისკ პლოენის მიერ ფრანგულ ენაზე შედგენილი „რუსეთის ხელმწიფეთა და საქართველოს მეფე-მთავართა შორის დიპლომატიური ურთიერთობების ისტორიული მიმოხილვა“ (1586 წლიდან); მისი რუსული თარგმანი მარი ბროსემ 1861 წელს პეტერბურგში გამოცემულ კრებულში მოათავსა (**Переписка, на иностранных языках, грузинских царей с Российскими государями, от 1659г. по 1770г. М. Броссе. С. - Петербург, 1861, с. LIV-LX**). ზემოაღნიშნულ ელჩობათა მასალები მოკლე მიმოხილვის სახით სამეცნიერო მიმოქცევაში პირველად ამ კრებულის მეშვეობით შემოვიდა. მასში რუსი ელჩების სამეგრელოში ჩამოსვლის თარიღად 1639 წლის 2 დეკემბერია დასახელებული, რაც მექანიკურ შეცდომად უნდა ჩაით-

ვალოს, რადგანაც იქვე სწორად არის მითითებული სოფელ ჯგალში რუსების სტუმრობის პირველი დღე - იმავე წლის 22 ნოემბერი. ყურადღებას იმსახურებს მიმოხილვაში დაშვებული კიდევ ერთი უზუსტობა. მასში ნათქვამია, რომ 1640 წლის 6 თებერვალს რუსი ელჩები ანდრიას (?) მონასტერში იმყოფებოდნენ. როგორც ელჩების ანგარიშებიდან ნათლად ჩანს, იმ დღეს ისინი ცაიშის ეპისკოპოსს ანდრიას თანხლებით დრანდის ღმრთისმშობლის მიძინების ტაძარში იმყოფებოდნენ. ფედოტ ელჩინი წერს: **«Февраля в 6 день были в монастыре с епископам с Ондреям Федот да поп Павел»** („6 თებერვალს ფედოტი და პავლე მღვდელი ეპისკოპოს ანდრიასთან ერთად მონასტერში ვიყავით"). უნდა ვივარაუდოთ, რომ ზემოაღნიშნული შეცდომა ამ წინადადების შინაარსის ჯერ რუსულიდან ფრანგულ ენაზე, მერე კი ფრანგულიდან ისევ რუსულ ენაზე გადმოთარგმნისას უნდა იყოს დაშვებული - დრანდის ტაძარი რუსი ელჩების თანმხლები ეპისკოპოს ანდრიას სახელობის (?) მონასტრადაა გამოცხადებული. თავის ნაშრომში ფრ. პლოენი სხვა მრავალ უხეშ შეცდომას უშვებს, ამიტომ მიხეილ პოლიევექტოვის აზრით, საერთოდ თავი უნდა შევიკავოთ მისი „მიმოხილვის" გამოყენებისაგან (**Материалы по истории грузино-русских взаимоотношений. 1615-1640. Посольства: Веревкина, Харитона, Феодосия, Никифора, Гегенава и Волконского. Документы к печати подготовил и предисловием снабдил М. Полиевктов.** Тб., 1937, с. II). მიუხედავად ამისა, „მიმოხილვას" გარკვეული ისტორიოგრაფიული მნიშვნელობა მაინც აქვს. მკვლევართათვის მანამდე უცნობი ბევრი ისტორიული წყარო, მათ შორის ჩვენთვის საინტერესო მასალები, სწორედ ამ ნაშრომის წყალობით გახდა ხელმისაწვდომი სამეცნიერო საზოგადოებისათვის.

გაბრიელ გეგენავას, ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარიევის ელჩობათა მასალების პირველი მეცნიერული პუბლიკაცია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მოსკოვის მთავარი არქივის ახალგაზრდა თანამშრომელმა, შემდგომში ცნობილმა მეცნიერმა სერგეი ბელოკუროვმა განახორციელა (**С. А. Белокуров. Материалы для русской истории.** М., 1888, с. 259-374). მისივე სიტყვებით, გამოქვეყნდა ელჩობასთან დაკავშირებული ყველა მასალა („გარდა უმნიშვნელოსი და უინტერესოსი"), რომელიც მოსკოვის მთავარი არქივის „ქართულ საქმეებში" იყო დაცული. პუბლიკაციის ავტორის აზრით, ლევან II დადიანმა თავისი ელჩი მოსკოვში კახეთის მეფის თეიმურაზ პირველის მიბაძვით მიავლინა; ისევე როგორც თეიმურაზს, მასაც რუსეთის ქვეშევრდომობის მიღების სურვილი ამოძ-

რავებდა. „ამ ფიქტიური ქვეშევრდომობის სანაცვლოდ, - წერდა ს. ბელოკუროვი, - სადადიანოს მეფე იმედოვნებდა თავისი ქვეყნისთვის სხვადასხვა, მეტნაკლებად არსებითი სარგებლობის მიღებას, მათ შორის კაზაკების გამანადგურებელი თავდასხმებისაგან განთავისუფლებას“ (С.А. Белокуров. Материалы для русской истории, с. 259).

ს. ბელოკუროვმა საკმაოდ ობიექტურად შეაფასა ელჩობათა შედეგები. მისი აზრით, გაბრიელ გეგენავას სტუმრობა მოსკოვში „წარუმატებელი არ ყოფილა“ მაშინ, როდესაც საპასუხო რუსული ელჩობის მთავარი პოლიტიკური მიზანი - რუსეთის ერთგულებაზე ლევან II-ს დაფიცება - განუხორციელებელი დარჩა, რასაც ს. ბელოკუროვი გარკვეულწილად ფედოტ ელჩინის შეუფერებელ საქციელს უკავშირებდა. რუსთა მეორე მიზანი კი - სადადიანოსა და მისი მოსახლეობის სარწმუნოების დათვალიერება - სათანადოდ იქნა რეალიზებული (С.А. Белокуров. Материалы по истории грузино-русских взаимоотношений, с. 261-262, 264, 266). ამაზე მეტყველებენ ფედოტ ელჩინისა და განსაკუთრებით პავლე ზახარიევის მუხლობრივი აღწერილობები. ს. ბელოკუროვი ხაზს უსვამს ამ აღწერილობათა დიდ მნიშვნელობას როგორც ზოგადად საეკლესიო ისტორიის, ისე კონკრეტულად რუსული ეკლესიის ისტორიის შესწავლის საქმეში (С. А. Белокуров. Материалы для русской истории, с. 265), თუმცა „ავიწყდება“, რომ ეს წყაროები, უპირველეს ყოვლისა, XVII საუკუნის ქართული ეკლესიის მდგომარეობას ასახავენ.

პუბლიკაციის ავტორი, ინფორმაციულობისა და სანდოობის თვალსაზრისით, გარკვეულ უპირატესობას პავლე ზახარიევის მუხლობრივ აღწერილობას ანიჭებს. სათანადოდ არის შეფასებული ფედოტ ელჩინის მუხლობრივი აღწერილობაც. არქივში მისი ორი რედაქცია ყოფილა დაცული, რომელთაგან პირველი, ს. ბელოკუროვის აზრით, თავად ფედოტ ელჩინის მიერაა თითქოს შედგენილი; მეორე კი მოსკოველი დიაკების გასწორებულია, რათა ტექსტისთვის „გარეგნული ელვარება მიენიჭებინათ, საჭირო შემთხვევაში ელჩინის ალალმართალი გამონათქვამები გარკვეული ოფიციალური გამონათქვამებით შეეცვალათ“. ავტორი მიიჩნევს, რომ ორივე რედაქცია მნიშვნელოვანია. პირველი - იმიტომ, რომ ვითარებას ელჩინის სიტყვებით წარმოაჩენს; მეორე - იმიტომ, რომ „გვიჩვენებს ოფიციალურ დანაშრევს, გვიჩვენებს მოსკოვში რა და როგორ გაასწორეს“ (С.А. Белокуров. Материалы для русской истории, с.266). ს. ბელოკუროვმა ფედოტ ელჩინის მუხლობრივი აღწერილობის

პირველი, მისი აზრით, ავტორისეული, შესაბამისად, ისტორიულ სიმართლესთან უფრო ახლოს მდგომი ვარიანტის გამოქვეყნება არჩია, მაგრამ ტექსტის რედაქტირებისას მასში შეტანილი ცვლილებების სქოლიოში მითითებით.

რუსი ელჩების მიერ სამეგრელოს ეკლესია - მონასტრების დათვალიერებაზე საუბრისას ს.ა. ბელოკუროვი მცირე უზუსტობასაც უშვებს, როდესაც ილორის წმ. გიორგის ეკლესია მას ბედიის საკათედრო ტაძარში შეეშალა (**С.А. Белокуров. Материалы для русской истории, с. 264**). სწორედ ბედიაში და არა ილორში უჩვენეს რუს ელჩებს ლევან II-ის ბეჭედდასმული ხავერდის ტომარა, რომელშიც უფლის სამსჭვალი, თოკი და წვერები ინახებოდა. ს.ა. ბელოკუროვმა კიდევ ერთი უზუსტობა დაუშვა- თავისი რანგით ფედოტ ელჩინი იყო არა დიაკი, არამედ პოდიაჩი (დიაკის თანაშემწე).

მთლიანობაში ს. ბელოკუროვის პუბლიკაცია „დიაკ ფედოტ ელჩინისა და მღვდელ პავლე ზახარიევის ელჩობა სადადიანოს ქვეყანაში (1639-1640წწ.)“, რომელიც გაბრიელ გეგენავას ელჩობის მასალების დიდ ნაწილსაც შეიცავს, წარმოადგენს საქართველოს ისტორიის ფასდაუდებელ წყაროს. როცა პუბლიკაციის ავტორმა იგი ცნობილ ქართველ ისტორიკოსს დიმიტრი ბაქრაძეს საჩუქრად მიართვა, პასუხმაც არ დააყოვნა. 1889 წლის 10 მარტის წერილში ს.ა. ბელოკუროვისადმი დიმიტრი ბაქრაძე წერდა, რომ ამ ელჩობის შესახებ მისთვის „ცნობილი იყო მხოლოდ მცირე ნაწყვეტი 1861წ. გამოქვეყნებული „მიმოწერიდან“ (იგულისხმება მარი ბროსეს ზემოხსენებული კრებული - ჯ.გ.), მაგრამ თქვენ იძლევით მთელ მასალას ყოველგვარი შემოკლების გარეშე ისე, როგორც მან ჩვენამდე მოაღწია; ეს კი მეტად მნიშვნელოვანია მეცნიერული თვალსაზრისით“ (ნინო ჩიქოვანი. რუსული კავკასიოლოგიის განვითარება XIX საუკუნეში (ს. ბელოკუროვი). დისერტაცია ისტ. მეც. კანდ. სამეცნ. ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1986, გვ. 36).

ს. ბელოკუროვის პუბლიკაციამ შემდგომში სტიმული მისცა რუსულ-ქართული დიპლომატიური ურთიერთობების ამსახველი სხვა ანალოგიური წყაროების გამოცემას. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ამ საქმეში ისევ და ისევ ს. ბელოკუროვის ღვაწლი, რომელმაც რუსეთ-საქართველოს (კახეთის სამეფოს) შორის XVI-XVII საუკუნეების მიჯნაზე განხორციელებული 6 ქართული და 7 რუსული ელჩობის, აგრეთვე რუსეთ-ჩრდილოეთ კავკასიის ურთიერთობათა ამსახველი მასალები გამოაქვეყნა (**Сношения России с Кавказом. Материалы, извлеченные из Московского Главного**

Архива Министерства Иностранных Дел Сергеем Белокуровым. Вып. I. 1578-1613гг. М., 1889). ს. ბელოკუროვის მიერ დაწყებული საქმე წარმატებით გააგრძელა თბილისში მოღვაწე რუსმა ისტორიკოსმა მიხეილ პოლიევექტოვმა. მეოცე საუკუნის 20-იან წლებში მან დეტალურად შეისწავლა რუსეთის ცენტრარქივის სიძველეთა საცავი (древлехранилище), სადაც საელჩო პრიკაზის „ქართული საქმეები“ იყო დაცული. მარტო XVII ს. მასალები 200-ზე მეტ საქმეს შეიცავდა (საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივი, მიხეილ პოლიევექტოვის ფონდი #1505, აღწ. 1, ს. 99, ფ. 3-6), რომელთა შორის გაბრიელ გეგენავას, ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარიევის ელჩობათა მასალებიც გახლდათ (იხ. ამის შესახებ - სცია, ფ. 1505, აღწ. 1, ს. 22). მოსკოვში შესწავლილი მასალების საფუძველზე მ. პოლიევექტოვმა გასული საუკუნის 20-30-იან წლებში გამოსცა ისეთი შრომები, როგორიცაა «Посольство стольника Толочанова и дьяка Иевлева в Имеретию. 1650-1652гг. Тб., 1926»; „თავადი მიშეცკისა და დიაკი კლუჩარევის ელჩობა კახეთში. 1640-1643. თბ., 1928“; «Европейские путешественники XIII-XVIII вв. по Кавказу. Тб., 1935»; «Материалы по истории грузино-русских взаимоотношений. 1615-1640. Посольства: Веревкина, Харитона, Феодосия, Никифора, Гегенава и Волконского. Тб., 1937». ეს უკანასკნელი კრებული გაბრიელ გეგენავას ელჩობის შესახებ ბევრად უფრო ვრცელ მასალას შეიცავს, ვიდრე ს.ა. ბელოკუროვის პუბლიკაცია. იგი მთლიანად არის შეტანილი წინამდებარე კრებულში. მ. პოლიევექტოვის შრომებში ვპოულობთ გაბრიელ გეგენავას, ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარიევის ელჩობათა შეფასებებს. ისევე როგორც ს. ბელოკუროვს, მასაც მიაჩნდა, რომ გაბრიელ გეგენავას ელჩობა მოსკოვთან საქართველოს (ჯერ კახეთის, შემდეგ კი სხვა პოლიტიკური ერთეულების) ურთიერთობის გამოცოცხლებასთან და ამ ურთიერთობაში ძლიერი ფეოდალის ლევან II დადიანისა და მთლიანად იმერეთის სამეფოს ჩართვის სურვილით იყო ნაკარნახევი. რადგანაც სამხრეთ კავკასიის შავიზღვისპირეთის მიმართ მოსკოვის ინტერესი ჯერ კიდევ ძალიან სუსტი იყო, - წერს მ. პოლიევექტოვი, - ლევან დადიანის ელჩისადმი დამოკიდებულებაც საკმაოდ თავშეკავებული აღმოჩნდა, თუმცა საპასუხო ელჩობა სამეგრელოში მაინც გაიგზავნა დაბალი რანგის, თანაც წერა-კითხვის უცოდინარი ადამიანის, თურქული ენის ცოდნით ჯიმანის ფედოტ ელჩინისა და მღვდელ პავლე ზახარიევის შემადგენლობით. მ. პოლიევექტოვის შეფასებით, მათ მიერ შედგენილი

მუხლობრივი აღწერილობები თავიანთი ხასიათით საქართველოში სხვადასხვა დროს (1640 წლამდე და შემდგომ პერიოდში) ჩამოსული რუსი ელჩების მუხლობრივ აღწერილობებს უახლოვდებოდნენ, მაგრამ მათზე დაბლა იდგნენ. ამის მიზეზს მეცნიერი, სავსებით სამართლიანად, ფედოტ ელჩინის გაუნათლებლობაში, წერა-კითხვის უცოდინრობაში და მისი მხრიდან სამსახურებრივი მოვალეობისადმი უგულისყურო დამოკიდებულებაში ხედავდა. ს. ბელოკუროვის მსგავსად, მ. პოლიევექტოვიც უფრო მაღალ შეფასებას პავლე ზახარიევის მუხლობრივ აღწერილობას აძლევდა, თუმცა ორივე ელჩის დამოკიდებულება სამეგრელოს მოსახლეობისადმი, ადგილობრივი სამღვდელოებისადმი იყო აბუჩად ამგდები და მიკერძოებული (М. Полиевктов. Европейские путешественники..., с. 36-39). რუსი ელჩების ანგარიშების მოკლე მიმოხილვისას მ. პოლიევექტოვი, სამწუხაროდ, უშვებს უხეშ შეცდომას, რომელიც პოლიტიკური მოტივებით უნდა ყოფილიყო განპირობებული. იგი წერდა, რომ რუსულმა ელჩობამ სამეგრელოში მთავართან „აუდიენციის მოლოდინში ენგურსა და ცხენისწყალს შორის მთელი რაიონი მოიარა, ... ათვალიერებდა რა უმთავრესად მონასტრებს და სხვა „სიწმინდეებს“, და ენგურის გასწვრივ შავ ზღვამდე დაეშვა“ (М. Полиевктов. Европейские путешественники..., с. 37). წარმოუდგენელია, მ. პოლიევექტოვს არ სცოდნოდა, რომ რუსმა ელჩებმა მოიარეს სამეგრელო მის მაშინდელ საზღვრებში, არა ენგურიდან, არამედ დრანდიდან და ფშაფიდან (რუსი ელჩების მარშრუტში თავად უთითებს მოქვს) ცხენისწყლამდე, ხოლო შავ ზღვაზე არა მდინარე ენგურის, არამედ მდ. მორგულის (მდ. მოქვი) შესართავთან გავიდნენ.

მ. პოლიევექტოვის შრომებიდან შეიძლება გამოიყოს 1937 წელს გამოცემული ზემოხსენებული „მასალები...,“ რომელშიც რამდენიმე ქართულ-რუსული ელჩობის, მათ შორის, გაბრიელ გეგენავას მოსკოვში ყოფნის შესახებ ადრე უცნობი წყაროებია გამოქვეყნებული. ქრონოლოგიურად ეს კრებული 1615-1640 წლებს მოიცავს. მ. პოლიევექტოვმა თავის ნაშრომს ისტორიულ და არქეოლოგიურ ნაწილებად დაყოფილი სოლიდური წინასიტყვაობა დაურთო. ისტორიულ წინასიტყვაობაში განხილულია კავკასიასთან მიმართებაში XVI-XVII საუკუნეების საერთაშორისო (რუსეთი-თურქეთი-ირანი) ურთიერთობათა ფონზე ქართულ-რუსული დიპლომატიური კავშირების დინამიკა. XVI საუკუნეში მოსკოვს ასეთი კავშირები მხოლოდ კახეთთან ჰქონდა. XVII საუკუნის პირველ ათწლეულებში განხორციელებული და კრებულში შეტანილი 4 ქართული, ორი

რუსული, აგრეთვე ადრე გამოცემული ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარიევის ელჩობათა მასალები, კრებულის შემდგენელის აზრით, მოსკოვის მიერ მთავარ ქართულ პოლიტიკურ წარმონაქმნებთან ურთიერთობების დამყარების პროცესის პირველ სტადიას ასახავენ. გამოქვეყნებული დოკუმენტები, რომლებიც რუსეთის საელჩო პრიკაზის კანცელარიაშია შექმნილი, პირველ რიგში, შეიცავენ ცნობებს საქართველოს მიმართ რუსეთის პოლიტიკის შესახებ; მათში, პირიქით, რუსეთის მიმართ საქართველოს პოლიტიკაც (ასეთი დოკუმენტები ქართულ კანცელარიებში არ შემორჩენილა) არის ასახული ისეთ დოკუმენტებში, როგორიცაა რუსეთის საელჩო პრიკაზში ქართველი ელჩების ზეპირი მოხსენებები («расспросные речи»), მათ მიერ მოსკოვში ჩამოტანილი სიგელები და წერილები, -წერს მ. პოლიევქტოვი. XVI ს. მეორე ნახევარში რუსულ-ქართული (კახური) ურთიერთობების ჩამოყალიბებას იგი ვოლგისპირეთის დაპყრობას უკავშირებს, რის შემდეგაც რუსეთი სახელმწიფო ირან- თურქეთის გავლენის ქვეშ მყოფ კავკასიას უშუალოდ მიადგა.

XVI-XVII საუკუნეების განმავლობაში სამხრეთისკენ და სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ (კასპიის ზღვისკენ) მოსკოვის წინსვლას მთავარ დაბრკოლებას თურქეთი უქმნიდა. აქედან გამომდინარე, კავკასიაში რუსეთის პოლიტიკის მიზანს წარმოადგენდა თურქეთის პოზიციის დასუსტება, საკუთარი გავლენის დანერგვა და გაზრდა; თურქული გავლენის ქვეშ მყოფი საშამხლოს მიერ კონტროლირებადი კასპიის ზღვისა და მასზე გამავალი სავაჭრო გზების ხელში ჩაგდება; თურქეთის საპირწონე ძალასთან და სავაჭრო პარტნიორთან - ირანთან (ირანული აბრეშუმის ევროპაში გატანაზე მონოპოლიის დაწესება და შენარჩუნება) კეთილმეზობლური ურთიერთობის შენარჩუნება, მაგრამ მისი პოზიციების შესასუსტებლადაც ხელსაყრელი მომენტების გამოყენება. მ. პოლიევქტოვი სამართლიანად მიიჩნევს, რომ ეს პოლიტიკა ედო საფუძვლად რუსეთის ურთიერთობას კავკასიასთან, მათ შორის საქართველოს პოლიტიკურ ერთეულებთან. ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთის მთავარი მოკავშირე გახდა თურქეთისა და ყირიმის სახანოს ექსპანსიით უკმაყოფილო ყაბარდო. სამხრეთ კავკასიაში ეს მისია კახთა მეფე ალექსანდრე მეორემ (1574-1605წწ.) იკისრა, რომელმაც 1587 წელს რუსეთის ერთგულებაზე დაიფიცა. დანარჩენი საქართველო მოცემულ ეტაპზე არ აინტერესებდა რუსეთს, რომელიც ჯერ ვოლგისპირეთშიც არ იყო მყარად დამკვიდრებული. ყაბარდო და კახეთი მას სჭირდებოდა საშამხლოს წინააღმდეგ, რომელიც კასპიისპირეთ-

ში დამკვიდრების გზაზე მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენდა. რუსეთმა ამ დაბრკოლების გადალახვა ვერ მოახერხა. 1605 წელს მის მიერ საშამხლოს წინააღმდეგ განხორციელებულმა სამხედრო ოპერაციამ სრული კრახი განიცადა, ამ მარცხს რუსეთ-კახეთის კავშირიც ემსხვერპლა. შექმნილი ვითარებით ირანმა ისარგებლა და მთელს აღმოსავლეთ კავკასიაზე თავისი ჰეგემონია აღადგინა, თურქეთი კი იქიდან განიდევნა. შაჰ აბას პირველმა (1587-1629წწ) გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა ქართლ-კახეთს. მისი პოლიტიკა შაჰ სეფი პირველმაც (1629-1642წწ) გააგრძელა. ქართლ-კახეთი ირანის მიერ დანიშნული ქართველი მაჰმადიანი მმართველების ხელში გადავიდა, 1614 წელს თეიმურაზ პირველმა (კახეთის მეფე 1606-1648წწ.; ქართლ-კახეთის მეფე 1625-1632წწ.) და ლუარსაბ მეორემ (ქართლის მეფე 1606-1615წწ.) კი თავი იმერეთს შეაფარეს.

ამ მძიმე ვითარებაში, როგორც მ. პოლიევექტოვი წერს, - კახეთის მმართველ წრეებში წარმოიშვა მოსაზრება საგარეო მტრების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის შესახებ, რომლის ინიციატორი და სულისჩამდგმელი თეიმურაზ პირველი იყო. კრებულის შემადგენელს მხედველობაში აქვს კახეთის, იმერეთისა და გურიის 1618 წლის ერთობლივი მიმართვა რუსეთისადმი. მოსკოვის კავკასიური პოლიტიკა თავის არსებით ნაწილში უცვლელი დარჩა, მაგრამ უფრო აქტიური და პრაქტიკულად მთელი კავკასიის მომცველი გახდა. რუსეთისთვის ამ ეტაპზე მთავარი იყო არა საშამხლოს დამორჩილების ლოკალური მიზნის მიღწევა, არამედ საერთოკავკასიური პოლიტიკის შესამუშავებლად „პოზიციის მომზადება“. ამან განაპირობა, მ. პოლიევექტოვის აზრით, რუსეთის პოლიტიკის მთელს საქართველოზე განვრცობა, სხვადასხვა დროს ელჩობათა გამოგზავნა საქართველოს ცალკეულ პოლიტიკურ ერთეულებში, მათ შორის სამეგრელოში; რუსეთი კომპლექსურად სწავლობდა ვითარებას საქართველოში (პოლიტიკურ, რელიგიურ, ეკონომიკურ საკითხებს, შიდაურთიერთობებს, დამოკიდებულებას თურქეთისადმი, ირანისადმი, ჩრდილოეთ კავკასიისადმი და ა.შ.), რათა კარგად მომზადებულიყო კავკასიაზე შეტევის განსახორციელებლად (ასეთი შეტევა XVIII ს. 20-იანი წლებიდან დაიწყო).

რუსულ-ქართულმა მოლაპარაკებებმა მხარეებს შორის უთანხმოება წარმოაჩინა. კავკასიიდან თურქეთის განდევნისა და ირანისადმი ლოიალური დამოკიდებულების რუსული პოლიტიკა არ იყო უპირობოდ მისაღები ქართველებისათვის, რომლებიც ორ მაჰმადიანურ იმპერიას შორის არსებული დაპირისპირების საკუთარი

ინტერესებისთვის გამოყენებას ცდილობდნენ. ქართველებისთვის ასევე არ იყო უპირობოდ მისაღები მოსკოვის მოთხოვნა ქართულ პოლიტიკურ ერთეულებთან ქვეშევრდომული ურთიერთობის დამყარების შესახებ. რაც შეეხება ლევან II დადიანის ელჩს გაბრიელ გეგენავას, მ. პოლიევექტოვის შეფასებით, მოსკოვში იგი ცივად მიიღეს. საპასუხო რუსული ელჩობაც სამეგრელოს მთავარმა ცივად მიიღო. მოსკოვსა და სამეგრელოს სამთავროს შორის ის პრობლემა არსებობდა, რომ რუსეთს არ ჰქონდა ბოლომდე გარკვეული თურქეთისადმი ლევან II-ის დამოკიდებულება; გარდა ამისა, რუსეთი არ იყო ჯერ ჩამოყალიბებული იმასთან დაკავშირებით, თუ რომელ პოლიტიკურ ერთეულს დაყრდნობოდა საქართველოში.

ასეთია, მ. პოლიევექტოვის შეფასებით, XVI-XVII საუკუნეების საერთაშორისო ურთიერთობებით განპირობებული ქართულ–რუსული დიპლომატიური კავშირების დინამიკა. ამ თემას იგი 1940 წლის იანვარში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სსრკ ისტორიის კათედრაზე გაკეთებულ მოხსენებაშიც შეეხო. მომხსენებელი აღნიშნავდა, რომ XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან რუსეთი კავკასიაში დაზვერვას აწარმოებდა, რაც მას ამ რეგიონში უკეთესი ორიენტაციისთვის და სამომავლოდ კავკასიაზე შეტევის მოსამზადებლად სჭირდებოდა. XVI-XVII საუკუნეებში რუსეთს ჯერ კიდევ საკმარისი ძალა და შესაძლებლობა არ ჰქონდა კავკასიაზე ღია შეტევისთვის; ამას საერთაშორისო ვითარებაც ხელს არ უწყობდა. ამ საუკუნეებში მოსკოვი კავკასიაში მხოლოდ თავისი პოზიციების შენარჩუნებას ცდილობდა, ამა თუ იმ ფორმით ამკვიდრებდა რა საკუთარ გავლენას ცალკეულ კავკასიელ მთავართა შორის. XVI-XVII საუკუნეები ეს არის კავკასიაზე რუსეთის შეტევის მოსამზადებელი პერიოდი - წერდა მ. პოლიევექტოვი (სცია, ფ. 1505, აღწ. 1, ს. 49, ფ. 1-2). რა თქმა უნდა, მეცნიერის ეს შეფასება ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარიევის ელჩობაზეც ვრცელდება. ამასთანავე იგი არ ეხება იმ კონკრეტულ საშინაო თუ საგარეო ფაქტორებს, რომლებმაც ლევან II დადიანის მიერ მოსკოვში საკუთარი ელჩის მივლინება, აგრეთვე საპასუხო რუსული ელჩობის წარუმატებლობა განაპირობეს.

ფედოტ ელჩინის მუხლობრივი აღწერილობა (პირველი ვერსია) 1954 წელს კიდევ ერთხელ გამოიცა (**Путешествия русских послов XVI-XVII вв. Статейные списки. М., - Л., 1954, с. 206-226**). ამჯერად იგი დ.ს. ლიხაჩევის რედაქტორობით მომზადებული „ლიტერატურული ძეგლების“ სერიაში გამოქვეყნდა. სხვადასხვა ქვეყნებში

ნამყოფი რუსი ელჩების „მუხლობრივი აღწერილობები“ რედაქტორის მიერ ლიტერატურულ ძეგლებადაა მიჩნეული, რადგანაც ისინი გარკვეულ გავლენას ახდენდნენ მხატვრული ლიტერატურის განვითარებაზე, ხელს უწყობდნენ მწერლობაში ახალი ჟანრებისა და თემების შემოტანას, ენის დახვეწას და ა.შ. (**Путешествия русских послов XVI-XVIIвв.**, გვ. 319). კონკრეტულად ფედოტ ელჩინის მუხლობრივი აღწერილობა, როგორც ლიტერატურული ძეგლი, დ.ს. ლიხაჩევის აზრით, „განსაკუთრებით საინტერესოა იმით, რომ მასში პირველად აისახა რუსთა შთაბეჭდილებები შავი ზღვის სანაპიროს მიმდებარე კავკასიის ოლქების შესახებ“ (**Путешествия русских послов XVI-XVIIвв, с. 331**). კომენტარების ავტორი ლ.ს.შეპელევა კი ხაზს უსვამს ამ ძეგლის დიდ მნიშვნელობას მეცნიერებისთვის და წერს: „მასში ჩვენ ვპოულობთ ძვირფას ცნობებს სამეგრელოს გეორგაფიული მდებარეობის, მეზობელ ქვეყნებთან სამეგრელოს სამთავროს ურთიერთობების, სოფლის მეურნეობისა და ვაჭრობის, სამეგრელოს მოსახლეობაში გაბატონებული ზნე-ჩვეულებების, მათი სარწმუნოების, მონასტრების შესახებ“; ამის შემდეგ იგი ასკვნის, რომ სამეგრელოში განხორციელებული ელჩობის მასალებმა, რომლებიც დასავლეთ საქართველოს ცხოვრებას ეხება, „გაამდიდრეს იმჟამინდელი რუსი ადამიანების წარმოდგენა ამიერკავკასიის შესახებ“ (**Путешествия русских послов XVI-XVIIвв, с.418,419**).

ისევე როგორც მ. პოლიევექტოვისთვის, ახალი პუბლიკაციის არქეოგრაფიული მიმოხილვის ავტორებისთვისაც (ი.ს. ლურიე, რ.ბ. მიულერი) ფედოტ ელჩინი წერა-კითხვის უცოდინარი ადამიანია. ამიტომ, ს. ბელოკუროვისაგან განსხვავებით, ისინი მას ანგარიშის უშუალო ავტორად არ მიიჩნევენ და თვლიან, რომ ფედოტ ელჩინის მუხლობრივი აღწერილობა ნაწილობრივ რუსული ელჩობის წევრის, საქართველოში ჩამოსვლამდე გზაში (ჩრდილოეთ კავკასიაში) გარდაცვლილი პოდიაჩის თევდორე ბაჟენოვის, დიდწილად კი ფ. ელჩინის „კაცის“ (ივაშკა გრიგორიევის) შედგენილი უნდა იყოს თავად ელჩის კარნახით ან დამოუკიდებლად. „ამით აიხსნება თხრობის სისადავე“, - წერენ ი.ს. ლურიე და რ.ბ. მიულერი. მათ საჭიროდ არ ჩათვალეს პირველი ვერსიის საელჩო პრიკაზში გასწორების შემდეგ აღწერილობაში შეტანილი ცვლილებების (მეორე ვერსია) სქოლიოში ასახვა (როგორც ეს ს. ბელოკუროვმა გააკეთა), რადგანაც პირველი ნუსხა, მათი აზრით, „საყურადღებოა როგორც ლიტერატურული ძეგლი. ამ მხრივ მეორე ნუსხა, - ცოტა რამეთი ავსებს პირველს“ (**Путешествия русских послов XVI-XVIIвв, с. 355-356**).

შესაძლოა, ლიტერატურული თვალსაზრისით მეორე ნუსხა, მართლაც, არაფერს მატებდეს პირველს, მაგრამ ისტორიული წყაროს, ინფორმაციულობის თვალსაზრისით იგი უაღრესად მნიშვნელოვანია. არც თუ იშვიათად, მეორე ნუსხა ავსებს პირველს, ეხმარება მკვლევარებს პირველი ვერსიის ტექსტის უზუსტობების გასწორებაში, მისი წინააღმდეგობრივი, ბუნდოვანი თუ ორაზროვანი ადგილების წაკითხვაში. სათანადო მაგალითებს მკითხველი წინამდებარე პუბლიკაციის 15-ე თავის, ანუ ფედოტ ელჩინის მუხლობრივი აღწერილობის თითქმის ყოველი გვერდის სქოლიოში იხილავს.

ფედოტ ელჩინის ანგარიშის პირველი (ს. ბელოკუროვი) და მეორე (დ.ს. ლიხაჩევი) გამოცემების ტექსტებს შორის განსხვავება პრაქტიკულად არ არის. მეორე გამოცემა, პირველთან შედარებით, არქეოგრაფიული თვალსაზრისით უფრო დამუშავებულია. შემოკლებული სიტყვები გაშიფრულია, გამოტოვებულია ან სათანადო ასო-ბგერებითაა შეცვლილი ხმარებიდან გამოსული რუსული ასოები, რაც ჩვენთვისაც მისაღები აღმოჩნდა. ამავე დროს XVII საუკუნის ტექსტში ზედმეტი ჩარევა, მისი რამდენადმე „გაკეთილშობილების“ მცდელობა, მათ შორის დოკუმენტის ტექსტის გასწორების მიზნით ь-ის, й-ის ხმარება, აგრეთვე სასვენი ნიშნების მართლწერის დღევანდელი ნორმების შესაბამისად გამოყენება (**Путешествия русских послов XVI-XVIIвв, с. 356**) ყოველთვის გამართლებულად არ გვეჩვენება. ჩვენს შემთხვევაში იგი გამართლებულია მხოლოდ თარგმანის, მაგრამ არა რუსული დედნის მიმართ, ვინაიდან გარკვეულწილად მახინჯდება ორიგინალის სულისკვეთება, დამწერლობის, თხრობისა და თუნდაც მართლწერის იმჟამინდელი თავისებურებები. საბოლოო ჯამში, ეს ყოველივე ხელს არ უწყობს არც იმ შორეული ეპოქის და არც ტექსტის სრულფასოვან აღქმას.

გაბრიელ გეგენავას, ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარიევის ელჩობათა მასალების უკანასკნელი გამოცემა 2005 წელს განხორციელდა (**Материалы по церковной и этнополитической истории Абхазии. Посольство Федота Елчина и Павла Захарьева в Мегрелию. 1639-1640. Для издания подготовил, предисловием, комментариями и словарем снабдил Джемал Гамахария. Тб., 2005**). გამოცემული კრებული პრაქტიკულად იმეორებს ს. ბელოკუროვის პუბლიკაციას მისი წინასიტყვაობის ჩათვლით. იმავდროულად, მას თან ერთვის ამ სტრიქონების ავტორის მიერ რუსულ-ინგლისურ ენებზე მომზადებული საკმაოდ ვრცელი ისტორიული წინასიტყვაობა, გეოგრაფიული რუკები და თამაზ ბერაძის სტატია XVII საუკუნის სამეგრელოს

ისტორიული გეოგრაფიის შესახებ, აგრეთვე კომენტარები და ლექსიკონი. 2005 წლის გამოცემის უმთავრეს მიზანს და დანიშნულებას წარმოადგენდა სეპარატისტულ ისტორიოგრაფიაში, პოლიტიკური მოსაზრებით, დიდი ხნის განმავლობაში მიჩქმალულ იმ უცილობელ ფაქტზე ყურადღების გამახვილება, რომ 1636-1640 წლებში, რუსული პირველწყაროს მონაცემებით, აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორია რუსებმა პირველად გაიცნეს როგორც ივერიის ქვეყნის ერთ-ერთი ოლქის - სამეგრელოს ნაწილი, სადაც XVII საუკუნის I ნახევარში ქართული მოსახლეობა და ქართული სამღვდელოება იყო წარმოდგენილი. ისიც უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ თემას შემდგომი გაღრმავებული კვლევა სჭირდება.

ქართულ-რუსულ ელჩობათა გამოქვეყნებულმა მასალებმა იმთავითვე მიიქციეს მკვლევართა ყურადღება. მათ გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელი იყო ორმხრივი საკმაოდ რთული და წინააღმდეგობრივი დიპლომატიური ურთიერთობების ისტორიის შესწავლა. აღნიშნული თემების გაშუქებისას ქართული ისტორიოგრაფიის მამამთავარი ივანე ჯავახიშვილი ფართოდ იყენებდა ს. ბელოკუროვის პუბლიკაციებს, მოსკოვის რუსეთის მიერ საქართველოში არაერთხელ გამოგზავნილ თუ ქართულ ელჩობათა მასალებს, მათ შორის ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარიევის მუხლობრივ აღწერილობებს (ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, ტ. IV. თბ., 1967, გვ. 288, 378-384). სამეგრელოში ჩამოსული რუსი ელჩების ანგარიშებით, ცხადია, სარგებლობდა მ. პოლიევქტოვი (М. Полиевктов. Экономические и политические разведка Московского государства XVII века на Кавказе. Тб., 1932, с. 5, 13, 25-28, 37, 38, 46-52). ნიკო ბერძენიშვილის ერთ-ერთ კაპიტალურ ნაშრომში (სადოქტორო დისერტაციაში) „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე“, თავისთავად ცხადია, ვრცლად არის გამოყენებული რუსეთსა და კახეთის სამეფოს შორის 1585-1605 წლებში გაცვლილ ელჩობათა მასალები. იმის დასტურად, რომ რუსული წყაროების «Иверская земля» არა მხოლოდ ცალკეულ ქართულ სამეფო-სამთავროებს, არამედ სრულიად საქართველოსაც აღნიშნავდა, ავტორს მოაქვს ს. ბელოკუროვის პუბლიკაცია „დიაკ ფედოტ ელჩინისა და მღვდელ პავლე ზახარიევის ელჩობა სადადიანოს ქვეყანაში“ (ნიკო ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. IV. თბ., 1967, გვ. 151). იშვიათი გამონაკლისების გარდა, იგივე პუბლიკაციას მიმართავდნენ და მიმართავენ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის სხვა მკვლევარებიც (ს.

როდონაია. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVII ს. პირველ ნახევარში. თბ., 1961, გვ. 30, 34-35; 38-39, 47-52; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV. თბ., 1973, გვ. 334-336; ვახტანგ ფერაძე, ლევან მამულაძე. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის ნარკვევები. XX-XXI საუკუნეები. თბ., 2008, გვ. 42-43; Н.Т. Накашидзе. Грузино-русские политические отношения в первой половине XVII в. Тб., 1968, с. 139-147, და ა.შ.). მათ შორისაა გიორგი ჟუჟუნაშვილი, რომელმაც XVI-XVII საუკუნეების რუსულ-ქართული დიპლომატიური ურთიერთობების ამსახველი, იმჟამინდელი რუსეთის საგარეო პოლიტიკისათვის ტრადიციული, ფორმითა და ზოგჯერ შინაარსითაც კი თითქმის იდენტური საბუთების ცალკეული სახეობები, მათი ზოგადი წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობა შეისწავლა (გიორგი ჟუჟუნაშვილი. საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVII საუკუნეები). თბ., 2006). ნაშრომში გაანალიზებულია ქართველ მეფე-მთავართა წერილები რუსეთის მეფეებისადმი, ე.წ „ფიცის წიგნები“, რუსი ელჩებისთვის მოსკოვში მიცემული „ნაკაზები“ (განაწესები) და, ბოლოს, ანგარიშები ანუ მუხლობრივი აღწერილობები. საბუთების ყველა ეს სახეობა და ზოგიერთი სხვაც („ზეპირი მოხსენებები“//«Допросные речи», „აღსარება მართლმადიდებლური სარწმუნოების შესახებ“//«Изложение о православной вере,» და ა.შ.) გაბრიელ გეგენავას, ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარიევის ელჩობათა მასალებშიც არის წარმოდგენილი. მათი, როგორც ისტორიული წყაროს, მნიშვნელობაზეა საუბარი ნინო ჩიქოვანის საკანდიდატო დისერტაციაში, რომელიც სერგი ალექსის ძე ბელოკუროვის (1862-1918წწ.) ცხოვრებასა და მეცნიერულ მოღვაწეობას ეძღვება (ჩიქოვანი ნინო. რუსული კავკასიოლოგიის განვითარება XIX საუკუნეში (ს.ა. ბელოკუროვი)... თბ., 1986). მასში საკმაოდ ვრცლად არის განხილული ს.ა. ბელოკუროვის პუბლიკაციებში თავმოყრილი სხვადასხვა ელჩობათა მასალები - „ნაკაზები“, „მუხლობრივი აღწერილობები“, „ფიცის წიგნები“ და ა.შ. დისერტაციაში განსაკუთრებული ყურადღება სამეგრელოში ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარიევის ელჩობის მასალებს აქვს დათმობილი.

რუსულ-ქართულ ელჩობათა მასალების გარეშე შეუძლებელია ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ისტორიის სრულყოფილი გაშუქება, ქართულ-ჩრდილოკავკასიური ურთიერთობების, საფუძვლიანი შესწავლა, რაზეც ზ. ანჩაბაძის, თ. ბოცვაძის, გ. თოგოშვილის, მ. ცინცაძის, ნ. ჯავახიშვილის და სხვათა შრომებიც მიუთითებენ (ზ.

ანჩაბაძე, თ. ბოცვაძე, გ. თოგოშვილი, მ. ცინცაძე. ჩრდილო კავკასიის ისტორიის ნარკვევები, ნაკვ. I. თბ., 1969, გვ. 137-139, 142, 145, 160; თეიმურაზ ბოცვაძე. საქართველო-ყაბარდოს ურთიერთობის ისტორიიდან. თბ., 1963, გვ. 75-78; ნიკო ჯავახიშვილი. ნარკვევები ქართველი და ადიღელი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან. თბ., 2005, გვ. 44-45, და ა.შ.).

გაბრიელ გეგენავას, ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარიევის ელჩობათა მასალებს იყენებენ დასავლეთ საქართველოს, უფრო კონკრეტულად სამეგრელოსა და ბოლო პერიოდში აფხაზეთის ისტორიის მკვლევარები. მაგალითად, წმ. აღმსარებელი ამბროსი (ხელაია) რუსი ელჩების ანგარიშებს ხშირად უთითებს თავის ცნობილ ნაშრომში „ბედია და ბედიის ტაძარი“, აგრეთვე სხვა წერილებში (წმ. აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი. კრებული შეადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ჯემალ გამახარიამ. თბ., 2006, გვ. 502, 640-642, 645, 653-654, 658-662, 666-667). აღნიშნული წყარო გამოყენებულია სიმონ ჯანაშიას ნაშრომში „შავიზღვისპირეთის საისტორიო გეოგრაფია (სიმონ ჯანაშია. შრომები, ტ.6. თბ., 1988, გვ. 270) და სერგი მაკალათიას მონოგრაფიაში „სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. თბ., 1941“ (გვ. 107-108, 118, 120, 129).

ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარიევის ანგარიშებს მაღალ შეფასებას აძლევდა ზურაბ ანჩაბაძე. იგი წერდა, რომ „ამ ანგარიშების მასალების მიხედვით ჩვენ ვარკვევთ იმ ეპოქის სამეგრელოს ისტორიის მთელ რიგ პოლიტიკურ მომენტებს და ვპოულობთ პოლიტიკური ხასიათის საკმაო ცნობებს, რომლებსაც სხვა წყაროები არ შეიცავენ.

ამ „მუხლობრივი აღწერილობის“ მნიშვნელობა იმდენად დიდია, რომ იგი შეიძლება შეფასდეს როგორც XVII საუკუნის სამეგრელოს ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირველწყარო“ (З.В.Анчабадзе. Мегрелия и Абхазия в XVIIвеке. Диссертационная работа на соискание ученой степени канд. ист. наук. Тб., 1947, с. 19). როგორც დისერტაციაში, ისე სხვა შრომებში სამეგრელოში ჩამოსული რუსი ელჩების ანგარიშებიდან ზ. ანჩაბაძე საკმაოდ ხშირად იყენებდა პოლიტიკური და ეკონომიკური ხასიათის ცნობებს (З.В. Анчабадзе. Мегрелия и Абхазия в XVII веке, с. 18-19, 48, 55, 62, 69, 70, 72, 83, 85, 88, 91, 105, 108-112, 152; მისივე: Из истории средневековой Абхазии. Сухуми, 1959, с. 295, ა.შ.). იგივე ცნობები გამოყენებულია უკანასკნელი ორი-სამი ათეული წლის განმავლობაში აფხაზეთისა და სამეგრელოს ისტორიის საკითხებზე ქართველი ისტორიკოსების

მიერ შექმნილ შრომებში (ილია ანთელავა. ლევან II დადიანი. თბ., 1990, გვ. 40-41, 57, 61, 62, 68, 69, 90, 95-102; სამეგრელო, კოლხეთი, ოდიში. ილია ანთელავას საერთო რედაქციით... გვ. 172, 173, 194-198; ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში. თბ., 1996, გვ. 9, 93; ჯემალ გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა. თბ., 2005, გვ. 217-230; ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი. მთ. რედაქტორი ჯემალ გამახარია. თბ., 2007, გვ. 151, 152, 169; Дж. Гамахария, Б. Гогия. Абхазия-историческая область Грузии. Историография, документы и материалы, комментарий. Тб., 1997, с. 243-244, და ა.შ.).

სამწუხაროდ, თანამედროვე სეპარატისტული და შოვინისტურ-პროსეპარატისტული ისტორიოგრაფია, რომელიც აფხაზეთის ისტორიის გაყალბებით არის დაკავებული, დუმილით უვლის გვერდს პირველხარისხოვან რუსულ წყაროებს-გაბრიელ გეგენავას, ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარიევის ელჩობათა მასალებს, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში თვით ამ მასალების ფალსიფიკაციასაც კი ეწევა. ასე, მაგალითად, ცნობილი აფხაზი მხარეთმცოდნე ვიანორ ფაჩულია ერთ-ერთ თავის წერილში, სადაც მოქვის ისტორიულ ტაძარში ხანდაზმულობის მუზეუმის გახსნის (?!) თაობაზე იყო საუბარი, წერდა: „მოქვის ტაძარს შორს გაუთქვამს სახელი. 1640 წლის 8 თებერვალს იგი მოინახულეს სამეგრელოს მთავარ ლევან II დადიანთან მიმავალმა (მიმავალმა? - ჯ.გ.) რუსმა ელჩებმა პ. ზახარიევმა და ფ. ელჩინმა, რომელნიც აღტაცებაში მოუყვანია ტაძრის არქიტექტურას და მორთულობას" (გაზეთი „საბჭოთა აფხაზეთი", 1981, 24 ოქტომბერი, გვ. 3). სეპარატისტებსა და მათ მფარველებს იმდენად ეშინიათ XVII საუკუნის ამ უნიკალური პირველწყაროსი, რომ ცდილობენ მეცნიერისთვის შეუფერებელი მსგავსი ხერხით მის გაყალბებას ან მიჩუმათებას.

გაბრიელ გეგენავას, ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარიევის ელჩობათა მასალების მიმართ მეცნიერთა მხრიდან შედარებით ნაკლები ყურადღება, უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკური მიზეზებით აიხსნება. მათი გამოცემა XIX საუკუნის 80-იან წლებში დროში დაემთხვა საქართველოში რუსეთის მეფის ხელისუფლების ტრადიციული შოვინისტური პოლიტიკის უკიდურესად გამკაცრების პერიოდს, რომელმაც ყველაზე მახინჯი ფორმები აფხაზეთში მიიღო. აღნიშნული პოლიტიკა მიზნად ისახავდა ქართველთა და 1880 წლის 31 მაისიდან ისედაც დამნაშავე ერად გამოცხადებულ აფხაზთა ასიმილაციას, მათ შორის შუღლისა და მტრობის ჩამოგდებას, ქა-

რთული ეროვნული ერთიანობის მოშლას (ცალკეული ქართული ეთნოგრაფიული ჯგუფების სხვადასხვა ერებად გამოცხადებას), „ჩამოსულ ელემენტებად“ შერაცხული ქართველების შეზღუდვა-შევიწროებას, აფხაზეთის უცხოურ კოლონიზაციას, ქართველების იქ ხელახლა დამკვიდრებისათვის ხელის შეშლას, ქართული სამყაროსაგან აფხაზეთის ჩამოცილებას, ქართული ეროვნულ - გამანთავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობას და ა.შ. ამ ვითარებაში რუსეთის ხელისუფლებისთვის და მის სამსახურში მყოფი „მეცნიერებისთვის“ მიუღებელი აღმოჩნდა შუასაუკუნეების ისეთი პირველწყაროს (თანაც რუსული წარმოშობის) პოპულარიზაცია, რომელიც მთელი თავისი სულისკვეთებით ეწინააღმდეგებოდა, ისტორიულ საფუძველს აცლიდა ოფიციალურ პოლიტიკას, რადგანაც მასში აფხაზეთის (სოხუმის ოკრუგის) პრაქტიკულად მთელი თანამედროვე ტერიტორია ივერიის ნაწილად, მიზეზთა გამო დაქუცმაცებული საქართველო ერთიან სახელმწიფოდ (**Иверская земля**), ხოლო ქართველობა ერთიან ერად არის წარმოჩენილი. შემთხვევითი არ გახლავთ ის ფაქტი, რომ სამეგრელოში ჩამოსული რუსი ელჩების ანგარიშების შესახებ კრინტს არ ძრავენ აფხაზეთის ისტორიის საკითხებზე მომუშავე რუსი ავტორები, მათ შორის 1907წელს მოსკოვში გამოცემული წიგნარას „აფხაზეთი-საქართველო არ არის“ ავტორი ვინმე ლ. ვორონოვი. ამ ანგარიშების „პროქართულობა“ გახდა მთავარი მიზეზი შოვინისტებისა და სეპარატისტების მხრიდან მისი იგნორირებისა როგორც მეფის რუსეთის, ისე საბჭოთა პერიოდში. თვით, ქართველი მეცნიერებიც კი XXს. 80-90-იან წლებამდე იძულებული იყვნენ თავი შეეკავებინათ მოსკოვსა და სამეგრელოში განხორციელებულ ელჩობათა მასალებში ჩადებული ინფორმაციის (განსაკუთრებით, პოლიტიკური ხასიათის) სრული მოცულობით გამოყენებისაგან და მთლიანი კონტექსტიდან ამოგლეჯილი ცალკეული ფრაგმენტებით ესარგებლათ. აღნიშნული მასალების პოპულარიზაციას საბჭოთა პერიოდში ხელს უშლიდა აგრეთვე ის გარემოებაც, რომ მათი დიდი ნაწილი ქართული ეკლესიის იმჟამინდელ მდგომარეობას, მრავალი ისტორიული თუ ნაკლებად ცნობილი ტაძრის, მათში დიდი რაოდენობით დაცული ქრისტიანული სიწმინდეების აღწერას ეხება.

როცა ჩვენთვის საინტერესო ელჩობათა მასალების სამეცნიერო მიმოქცევაში ნაკლებ ჩართულობაზეა საუბარი, გარდა ზემოაღნიშნული ფაქტორებისა, გასათვალისწინებელია ზოგ შემთხვევაში ტექსტების გაუმართაობა, ენობრივი ბარიერები. სამეგრელოში ელჩობის ანგარიშები და სხვა მასალები, XVI-XVII საუკუნეებში

მოსკოვიდან საქართველოში თუ სხვა ქვეყნებში მივლინებული მრავალი ელჩობის მასალებისაგან განსხვავებით, შედგენილი უნდა იყოს გაუნათლებელი (ფედოტ ელჩინი, საერთო აღიარებით, წერა-კითხვის უცოდინარი იყო...), მცირედმცოდნე ადამიანის სამეტყველო ენაზე თავისი რეგიონალური თავისებურებების, ამ შემთხვევაში მოსკოვური კილო-კავების გამოყენებით (ასე მიიჩნევს, მაგალითად, არქიმანდრიტი რაფაელ კარელინი, რომელსაც სასარგებლო კონსულტაციებისთვის მადლობას მოვახსენებთ). ოფიციალური საქმისწარმოების ენა არათუ XVII, არამედ XVI საუკუნეშიც კი უფრო დახვეწილი ჩანს, ვიდრე ის ენა, რომელზეც 1639-1640 წლებში სამეგრელოში მყოფი რუსული ელჩობის წარმომადგენლები მეტყველებენ. ცხადია, ეს გარემოებაც გარკვეულწილად აფერხებდა და აფერხებს მეცნიერებისა და თუნდაც პოლიტიკის სამსახურში გაბრიელ გეგენავას, ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარიევის ელჩობათა მასალების სრულფასოვან ჩართვას. ამით არის ნაკარნახევი ქართულ ენაზე მათი თარგმნისა და ორიგინალთან ერთად კვლავ გამოცემის აუცილებლობა.

გაბრიელ გეგენავას, ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარიევის ელჩობათა მასალების ქართულ ენაზე თარგმნა პირველად მღვდელმა მელიტონ კელენჯერიძემ სცადა მაშინ, როდესაც ის ფოთის ვაჟთა გიმნაზიის პედაგოგად მსახურობდა (1907-1917წწ.). თუ გავითვალისწინებთ, რომ 1913 წლის ბოლომდე იგი წიგნის „გაბრიელი ეპისკოპოსი იმერეთისა“-ს მომზადებითა და გამოცემით იყო დაკავებული, თარგმანი, სავარაუდოდ, 1914-1917 წლების შუა პერიოდშია შესრულებული; იგი ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში მელიტონ კელენჯერიძის პირად ფონდში (საქმე #133) ინახება. სრულად და შედარებით სწორად არის თარგმნილი მოსკოვში მყოფი თეიმურაზ პირველის ელჩის მიტროპოლიტ ნიკიფორეს ჩვენება სამეგრელოს შესახებ (თავი I.I.). მეორე თავის („შიკრიკი ათანასე იევსკის ჩვენება საელჩო პრიკაზში“) მხოლოდ მოკლე შინაარსია გადმოცემული. მესამე თავიც („ელჩ გაბრიელ მღვდლის დაკითხვა საელჩო პრიკაზში“) თავისუფალ თარგმანს წარმოადგენს, თუმცა მისი შინაარსი შედარებით უფრო ვრცლად არის მოტანილი. რამდენიმე წინადადებისა და აბზაცის თარგმანი ტექსტთან საკმაოდ მიახლოებულია. მეოთხე თავი („მეფე ლევან დადიანის სიგელი მეფე მიხეილთან, გაგზავნილი ელჩ გაბრიელ მღვდლის ხელით“) მთლიანადაა თარგმნილი, მაგრამ მცირე უზუსტობებით. მეხუთე თავის („გაბრიელ მღვდლის ზეპირი მოხსენებები“) შინაარსი შედარებით

მოკლედაა გადმოცემული, ბოლო რამდენიმე აბზაცი კი თითქმის სიტყვასიტყვითაა თარგმნილი. მეექვსე თავს („მღვდელ ევდოკიმეს ჩვენება საელჩო პრიკაზში“) მთარგმნელი საერთოდ არ ეხება. მეშვიდე - მეთორმეტე თავების („ფედოტ ელჩინისთვის მიცემული წერილობითი განაწესი“, „აღსარება მართლმადიდებლური სარწმუნოების შესახებ“, „მეფე მიხეილის სიგელი სადადიანოს მეფე ლევანისადმი“, „ფიცის ტექსტი, რაზეც უნდა დაიფიცოს სადადიანოს მეფე ლევანმა“..., „სადადიანოს ქვეყანაში გაგზავნილი ხელმწიფის დოკუმენტების აღწერა“) მხოლოდ მოკლე შინაარსია გადმოცემული. მეცამეტე თავი („სადადიანოს მეფე ლევანის სიგელი მეფე მიხეილისადმი“) საერთოდ გამოტოვებულია. მეთოთხმეტე თავის („საქმე მღვდელ პავლე ზახარიევის საჩივარზე ფედოტ ელჩინის შესახებ“) შინაარსი ძალიან მოკლედ, მეთხუთმეტე თავის („ფედოტ ელჩინის მუხლობრივი აღწერილობა“) კი - შედარებით ვრცლად არის თარგმნილი. რაც შეეხება დასკვნით მეთექვსმეტე თავს („მღვდელ პავლე ზახარიევის მუხლობრივი აღწერილობა“), მელიტონ კელენჯერიძე თავად აღნიშნავს, რომ „ეს მოხსენება ზახარიევისა ბევრად უფრო საყურადღებოა ჩვენთვის, რადგან იძლევა ბევრს ძლიერ ძვირფასს ცნობებს სამეგრელოს ეკლესიების და სამღვდელოების შესახებ 17-ე საუკუნეში. მოგვყავს იგი მეტნაკლებად სიტყვა-სიტყვით, ზოგიერთ უმნიშვნელო ალაგების გამოკლებით“ (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, მელიტონ კელენჯერიძის ფონდი, ს. 133, ფ. 48).

ამრიგად, მელიტონ კელენჯერიძემ მეტ-ნაკლები სისრულით თარგმნა სამეგრელო-რუსეთის ელჩობათა მასალების მხოლოდ ნაწილი. ამასთანავე უნდა ითქვას, რომ მისი თარგმანი მრავალ უზუსტობას შეიცავს. მაგალითად, **„словесно бити челом“** (სიტყვიერი თხოვნით) თარგმნილია როგორც „სიტყვიერად თავი უნდა დავუკრა“ (იქვე, ფ. 6); **«престол»** (ტრაპეზი), როგორც „სტოლი“ (იქვე, ფ. 28, 73); **«в красную деревню Худони»** (ლამაზ სოფელ ხუდონში) - როგორც „წითელ სოფელ ხუდონში“ (იქვე, ფ. 49); **«честная люди»** (წარჩინებულნი, კეთილშობილნი) - როგორც „პატიოსანი ხალხი“ (იქვე, ფ. 50); **«кафтан дорогильной»** (აბრეშუმის კაფტანი) - როგორც „ძვირფასი კაფტანი“ (იქვე, ფ. 51); **«дети боярские»** (ურიადნიკები, ბოქაულები) - როგორც „ბავშვნი თავადთა“ (იქვე, ფ. 58); **«Белорус»** (ბელორუსი) - როგორც „თეთრუსი“ (იქვე, ფ. 81); **«власти»** (მღვდელმთავრები) - როგორც „უფლებანი“ ან „საეკლესიო კრებული“ (იქვე, ფ. 90, 102); **«Августа кесаря»** (ავგუსტინე კეისრის) - როგორც აგვისტოს კეისრის (იქვე, ფ. 90) და ა.შ. ძალიან ბევრი

ძნელად სათარგმნი სიტყვა საერთოდ გამოტოვებულია, რაც თარგმანს ამახინჯებს. გადაუთარგმნელი რუსული სიტყვები, ზოგჯერ წინადადებებიც კი, არც თუ ისე იშვიათად, პირდაპირ ქართულ თარგმანშია გადმოტანილი (იქვე, ფ. 22, 35, 57, 75, 78, 88, 99 და ა.შ). მიუხედავად ამგვარი ხარვეზებისა და უზუსტობებისა, მელიტონ კელენჯერიძის ნაშრომი, რომელიც არასოდეს გამოქვეყნებულა (იგი არც არის მზად გამოსაქვეყნებლად), დაგვეხმარა წინამდებარე თარგმანის ცალკეული მონაკვეთების გასწორება-რედაქტირებაში.

გაბრიელ გეგენავას, ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარიევის ელჩობათა მასალების სრული მოცულობით ქართულ ენაზე თარგმნა და გამოცემა პირველად ხორციელდება. მთარგმნელისა და რედაქტორის მიზანს მაქსიმალურად დედნის შესატყვისი, თითქმის სიტყვა-სიტყვითი თარგმანის შესრულება წარმოადგენდა; სათარგმნი მასალის შინაარსის ზუსტად გადმოცემასთან ერთად, ვცდილობდით XVII საუკუნის რუსული ენის სტილური თავისებურებების, შეძლებისდაგვარად, შენარჩუნებას. სამწუხაროდ, ტექსტის გაუმართავი ენა ამის შესაძლებლობას ყოველთვის არ გვაძლევდა. რუსული, აგრეთვე ჩრდილოეთკავკასიური სოციალური თუ სამოხელეო ტერმინები, რომლებსაც ქართულში ზუსტი შესატყვისი ყოველთვის არ გააჩნიათ (ბოიარი, ვოევოდა, დიაკი, პოდიაჩი, სტრელეცი, მურზა, უზდენი და ა.შ.), თარგმნილი არ არის, თუმცა მათი მნიშვნელობა, ზოგჯერ მიახლოებითი ქართული შესატყვისის მითითებითაც, ლექსიკონში ან კომენტარებშია (ეს უკანასკნელი დანომრილია ციფრებით, რომლებიც ფრჩხილებშია მოთავსებული) განმარტებული. ცალკეული სიტყვები ან ასოები, რომლებიც ტექსტს აკლია, აღდგენილია რედაქტორის მიერ და კვადრატულ ფრჩხილებშია მოქცეული. კრებულისთვის თანდართული ლექსიკონი განკუთვნილია იმ პირთათვის, ვისთვისაც რუსული მშობლიურ ენას არ წარმოადგენს. მკითხველს, მკვლევარს იგი დაეხმარება სწორად გაიაზროს ამა თუ იმ სიტყვის, ტერმინის მნიშვნელობა, რომელიც სხვადასხვა შემთხვევაში შეიძლება იყოს სხვადასხვა.

კრებულში მოთავსებულია 1636-1640 წლების იულიუსის (ძველი სტილის) კალენდარი ზოგიერთი საეკლესიო დღესასწაულის მითითებით. იგი წარმოადგენს დამატებით ორიგინალურ წყაროს ელჩობათა მასალების უფრო დეტალური შესწავლა - ანალიზისთვის, იმ შორეულ წარსულთან „მიახლოებისთვის“, როდესაც სამეგრელოს სამთავრომ და რუსეთმა ელჩები გაცვალეს.

ელჩობათა მასალებში თარიღები იულიუსის კალენდრისა და

1699 წლამდე არსებული რუსული წელთაღრიცხვის მიხედვითაა მოცემული. იგივე თარიღები იმავე იულიუსის კალენდრის, მაგრამ ქართული (1699 წლის შემდგომი რუსული) წელთაღრიცხვის თანახმად არის გაშიფრული და კვადრატულ ფრჩხილებშია მოთავსებული. ერთ-ერთი განსხვავება ორი ქვეყნის კალენდრებს შორის XVII საუკუნეში იმაში მდგომარეობდა, რომ 1492 წლიდან ახალი წელი რუსეთში პირველი სექტემბრიდან (მანამდე - 1 მარტიდან) იწყებოდა და მხოლოდ 1699 წლიდან- 1 იანვრიდან. საქართველოში კი, სადაც ასევე იულიუსის კალენდარი მოქმედებდა, XIII - XIV საუკუნეებში საბოლოოდ იანვრის სტილის წელიწადი (მანმადე იყო სექტემბრის, კიდევ უფრო ადრე-მარტის სტილის წელიწადი) დამკვიდრდა. ეს განსხვავება ორი ქვეყნის კალენდრებს შორის დოკუმენტებში საკმაოდ ხშირად იჩენს თავს. ასე, მაგალითად, მეორე თავის ("შიკრიკი ათანასე იევსკის ჩვენება საელჩო პრიკაზში") დასაწყისში - პირველსავე წინადადებაში მოტანილია ორი თარიღი- "147 წლის 15 ნოემბერი" და 146 წლის ზაფხული. ერთიც და მეორეც 1638 წელს შეესაბამება. ქართულ-რუსულ კალენდრებში ზემოაღნიშნული სხვაობით გამოწვეული მსგავსი მაგალითები არც თუ ისე იშვიათად გვხვდება ელჩობათა მასალებში, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს მკითხველთა და მკვლევართა მიერ.

XXX

1636 წლის ზაფხულში ლევან II დადიანის მიერ თავისი კარის ეკლესიის მღვდლის გაბრიელ გეგენავას მოსკოვში ელჩად გაგზავნა საქართველოს რთული შიდაპოლიტიკური და მეტნაკლებად მომგებიანი საერთაშორისო მდგომარეობით იყო განპირობებული. ქართველ მეფე-მთავრებს შორის XVII საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისამდე არსებული ერთგვარი ერთობა, რომელიც საგარეო აგრესიის ერთობლივად მოგერიებისა და ირანის წინააღმდეგ ბრძოლაში ოსმალეთთან თანამშრომლობის პოლიტიკურ პლატფორმას ეფუძნებოდა, თანდათანობით დაირღვა. 1618 წელს ირანმა და ქართველთა მაშინდელმა „მოკავშირე“ ოსმალეთმა ხელი მოაწერეს სერაფის საზავო ხელშეკრულებას (რატიფიკაცია 1619 წელს მოხდა), რომლის ძალითაც ფაქტობრივად განახლდა 1555 წლის ამასიის ზავის პირობები საქართველოს ტერიტორიების გადანაწილების შესახებ (ამჯერადაც დასავლეთ საქართველო ოსმალეთს ერგო,

აღმოსავლეთი-ირანს). ახალ ხელშეკრულებაში გარკვეული ცვლილებებიც იქნა შეტანილი - სხვა ტერიტორიების სანაცვლოდ ირანმა სამცხე-საათაბაგო ოსმალეთს დაუთმო. ამიერიდან ოსმალეთი არ განიხილებოდა ქართველთა საიმედო მოკავშირედ ირანის წინააღმდეგ ბრძოლაში. კახეთის მეფის თეიმურაზ პირველის ინიციატივით, იმერეთის მეფემ გიორგი მესამემ (1605-1639წწ.), გურიის მთავარმა მამია გურიელმა (1600-1625წწ.) ორიენტაცია რუსეთისაკენ აიღეს. მათ მიერ 1618 წელს ქართველი ელჩის იღუმენ ხარიტონის ხელით რუსეთის ხელმწიფისადმი გაგზავნილ წერილებში ლევან II დადიანიც ზემოხსენებულ მეფე-მთავართა მოკავშირედ მოიხსენიება. სამეგრელოს მთავარი ესწრებოდა თათბირს, რომელშიც თეიმურაზ I, გიორგი III და მამია გურიელი მონაწილეობდნენ. ოთხთა ამ თათბირმა რუსეთის ქვეშევრდომობის მიღება გადაწყვიტა (**Материалы по истории грузино-русских взаимоотношений**, с. 43-48). მიუხედავად ამისა, აღნიშნულის თაობაზე პირადად ლევან მეორეს რუსეთის ხელმწიფისთვის წერილი არ მიუწერია, რაც იღუმენი ხარიტონის ელჩობის (1618 წლის 17 ოქტომბერი - 1621 წლის 5 მაისი) მასალების მიხედვით, ახსნილია იმით, რომ „ის მთავარი (ლევან II - ჯ.გ.) მათი თათბირის შემდეგ მყისვე ომში წავიდა“ (**Материалы по истории грузино-русских взаимоотношений**, გვ. 48). სინამდვილეში, ამ ფაქტით დაფიქსირდა მცირე ბზარი თეიმურაზ პირველისა და მისი მამიდაშვილის ლევან II დადიანის ურთიერთობაში.

საერთო პოლიტიკური პლატფორმის მოშლას ხელი შეუწყო აგრეთვე დინასტიური ქორწინებების შედეგად ჩამოყალიბებული და გამყარებული ნათესაური კავშირების რღვევამ. იმერეთის უფლისწული (შემდგომში მეფე) ალექსანდრე გიორგის ძე მეუღლეს, მამია გურიელის ქალიშვილს თამარს გაეყარა და მოგვიანებით (1629 წელს) თეიმურაზ I-ის ასული შეირთო. შეურაცხყოფილი მამია გურიელი ლევან II დადიანს დაუმოყვრდა სიმონ მამიას ძე გურიელმა ცოლად ლევანის და მარიამი შეირთო. თვითონ ლევან II აფხაზთა თავადის სეტემან შერვაშიძის ქალიშვილზე დარეჯანზე იყო დაქორწინებული. დასავლეთ საქართველო ორ ბანაკად დაიყო (ერთის მხრივ, სამეგრელოს სამთავრო აფხაზეთიანად და გურია, მეორეს მხრივ, იმერეთი), რაც ლევან მეორემ საკუთარი ჰეგემონისტური მიზნებისთვის გამოიყენა. 1622 თუ 1623 წელს მან სასტიკად დაამარცხა იმერეთის მეფე გიორგი მესამე; ამის შემდეგ სამეგრელოს მთავარმა ქმრის ღალატში ეჭვმიტანილი აფხაზი მეუღლე დასაჯა, მას გაეყარა, აფხაზეთიც დალაშქრა და იგი კვლავ საკუთარ იურის-

დიქციას დაუმორჩილა. აფხაზეთიდან მობრუნებულმა ლევან მეორემ თავისი აღმზრდელი ბიძის გიორგი ლიპარტიანის ახალგაზრდა მეუღლე ნესტან-დარეჯან ჭილაძე შეირთო, რასაც მალე გიორგის გარდაცვალება მოჰყვა. მოვლინების შემდგომ განვითარებაზე გავლენა იქონია ლევან II-ის წინააღმდეგ მოწყობილმა წარუმატებელმა შეთქმულებამ. მისი მთავარი მონაწილეები, მათ შორის ლევანის უმცროსი ძმა იესე და სიძე გურიის მთავარი სიმონი (რომელმაც 1625წ. საკუთარი მამა სიცოცხლეს გამოასალმა და ამ გზით ტახტს დაეუფლა) სასტიკად იქნენ დასჯილნი - ორივეს თვალები დათხარეს; სიმონი იძულებით ბერად აღიკვეცა და სამი წლის შემდეგ უგზო-უკვლოდ დაიკარგა; გურიის სამთავრო ტახტი კი აფხაზეთის კათალიკოსმა მალაქია II გურიელმა შეითავსა. ამ აქტით გურია ხანგრძლივი დროით ლევან II დადიანის სრული კონტროლის ქვეშ მოექცა. სამეგრელოსა და გურიის ერთიანობა კი დასავლეთ საქართველოში ლევან II დადიანის ჰეგემონიას უზრუნველყოფდა.

იმავე ხანებში აღმოსავლეთ საქართველოშიც საკმაოდ რთული, მაგრამ ამავე დროს ხელსაყრელი ვითარება შეიქმნა. ირანის მმართველმა შაჰ აბას პირველმა (1587-1629წწ.) ისარგებლა თურქეთის რთული საშინაო პრობლემებით და 1623 წელს მას ბაღდათი წაართვა, 1624 წელს - სამცხე. 1625 წელს ის მარტყოფის ველზე ქართველებთან ომში დამარცხდა, თუმცა იმავე წელს მარაბდასთან რევანში აიღო. ოსმალეთთან ომში ჩაბმულ ირანს ქართველებთან ომის გაგრძელება არ აწყობდა, ამიტომ თეიმურაზს შეურიგდა და იგი ქართლ - კახეთის მეფედ სცნო. თეიმურაზ პირველის ირანთან შერიგებამ, ხოლო შაჰ აბას პირველთან ომების გმირის გიორგი სააკაძის თურქეთთან დაახლოებამ ამ ორ დიდ მოღვაწეს შორის შეიარაღებული დაპირისპირება გარდაუვალი გახადა. 1626 წელს გარედან ინსპირირებულ ბაზალეთის ძმათამკვლელ ომში გიორგი სააკაძე დამარცხდა. თეიმურაზ პირველმა პოზიციები კიდევ უფრო განიმტკიცა. 1629 წელს, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, მან თავისი ქალიშვილი იმერეთის უფლისწულს ალექსანდრეს შერთო ცოლად. აღნიშნული აქტის შედეგად ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოებს შორის მჭიდრო კავშირი დამყარდა, რომელსაც იზოლაციის თავიდან აცილების მიზნით დროებით ლევან II დადიანიც შეუერთდა.

შაჰ აბას პირველის გარდაცვალების (1629წ.) შემდეგ ვითარება საქართველოში რამდენადმე შეიცვალა. თეიმურაზ პირველმა ირანისაგან სრული განთავისუფლება მოინდომა, მაგრამ ამ მამუ-

ლიშვილური მიზნის მისაღწევად 1632 წელს დაწყებულ ომში იგი დამარცხდა. თეიმურაზ პირველი იმერეთში გადავიდა. გამაჰმადიანებული უფლისწული როსტომი ქართლის „ვალად“ დაინიშნა, კახეთის მმართველიც გამაჰმადიანებული ქართველი სელიმ-ხანი გახდა. ამ ახალ ვითარებაში ლევან II დადიანმა როსტომთან და, შესაბამისად, ირანთან დაახლოება გადაწყვიტა. სამეგრელოსა და ქართლის კავშირი დინასტიური ქორწინებითაც განმტკიცდა - 1634 წელს ირანის შაჰ სეფის (1629-1642წწ.) ნებართვით როსტომმა ცოლად შეირთო ლევან მეორის და, შემდგომში ცნობილი საზოგადო მოღვაწე, მარიამ დადიანი. ამ ქორწინებით მეტად კმაყოფილმა შაჰ სეფიმ ლევან მეორეს საჩუქრად 50 ათასი მარჩილი გამოუგზავნა და ათასი თუმნის ოდენობის ყოველწლიური ჯამაგირიც დაუნიშნა. როსტომისა და მარიამის ქორწინებისთვის ხელის შეშლა გიორგი მესამემ შეიარაღებული რაზმის მეშვეობით სცადა, მაგრამ ბაღდათთან მომხდარი შეტაკებისას ლევან მეორეს ტყვედ ჩაუვარდა და ორი წელი პატიმრობაში გაატარა. ქართული სამეფო-სამთავროები კვლავ ორ ბანაკად დაიყვნენ - ერთის მხრივ, სამეგრელო - გურია - აღმოსავლეთ საქართველო, მეორეს მხრივ, იმერეთი და აღმოსავლეთ საქართველოდან დევნილი მეფე თეიმურაზ პირველი. დაპირისპირება მათ შორის ირანიდან და ოსმალეთიდან იმართებოდა. ერთმანეთთან მოქიშპე ამ ორ ურჩხულს შორის ლავირებისას ქართული სამეფო-სამთავროები ხან ერთ ბანაკში აღმოჩნდებოდნენ, ხან მეორეში, ხან ერთიანდებოდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად, ხან კიდევ იმავე მტრის ანკესზე წამოგებულები, ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ. ასე მოხდა ამჯერადაც. ქართველთა ბუნებრივი ლტოლვა ერთიანობისაკენ მუდმივად ირან-ოსმალეთის წინააღმდეგობასა და მათ მიერ მოწყობილ სხვადასხვა ხრიკებს აწყდებოდა.

1635 წელს ოსმალეთმა ირანის წინააღმდეგ საომარი მოქმედებები წამოიწყო, აიღო სამცხე, ერევანი და აზერბაიჯანში შევიდა. კონტრ-შეტევის შედეგად ირანმა ერევანი დაიბრუნა, მაგრამ სამცხის აღება ვერ მოახერხა. ამასობაში აჯანყებულმა კახელებმა თეიმურაზ პირველი მეფედ მიიწვიეს, რასაც დროის მოგების მიზნით იძულებით შაჰ სეფიც დაეთანხმა. ამან ირანის პრესტიჟი შელახა და მისი ხელდასხმული ქართლის მეფის როსტომის პოზიციებიც შეარყია. ტახტის დაბრუნების შემდეგ იმავე 1635 წლის მიწურულს თეიმურაზმა საკუთარი ელჩი ბერძენი მიტროპოლიტი ნიკიფორე მოსკოვს მიავლინა. შექმნილ ვითარებაში, როგორც ქართულ ისტორიოგრა-

ფიაშია აღნიშნული (Н.Т. Накашидзе. Грузино-русские политические взаимоотношения с. 141 და ა.შ.), ლევან II დადიანი პოლიტიკური იზოლაციის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. იგი ყოველი მხრიდან მტრებით იყო გარშემორტყმული. გარკვეული გადაჭარბების მიუხედავად, სიმართლესთან ახლოს უნდა იყოს ინფორმაცია, რომელიც მოსკოვში მყოფმა თეიმურაზ პირველის ელჩმა ნიკიფორემ რუსეთის ხელმწიფეს 1636 წლის 2 აპრილს მიანოდა: „ამბობენ, თითქოს, დადიანმა ერევნისკენ გაილაშქრა, ეს ყველაფერი სიცრუეა. დადიანი ერთი ისეთივე ბეგია, როგორიც ჩერქეზებს ჰყავთ; არსაიდან გზა ერევნისკენ მას არა აქვს, ყველა მხრიდან ჩაკეტილია. თუ ის საკუთარ ქვეყანას დატოვებს და ერევნისკენ წავა, თურქები მაშინათვე მის ქვეყანას დაიკავებენ და ტერიტორიის გარეშე დარჩება. აფხაზები და სვანები მისი მტრები არიან, ფაშა ჩიუკი ხანი - მტერია, კონინ ბეი - მტერია, სეფერ ფაშა - ასევე მტერია, ტრაპიზონის ბეი - ასევე მტერია. დადიანი კი იმ ტერიტორიებს შორისაა მოქცეული. ხოლო რასაც დიდ და აღმატებულ მეფეს ყიზილბაშები ეუბნებიან, ეს ყოველივე სიცრუეა, არავის არასოდეს არ დაუჯერო“ (Материалы по истории грузино-русских взаимоотношений, с. 134). ასეა თუ ისე, ლევან მეორისთვის საფრთხეს ნამდვილად წარმოადგენდა იმერეთ-კახეთის კავშირი, აგრეთვე ჩამოსახლებული აფსუა-აფხაზები, განსაკუთრებით კი ოსმალეთი. ამ უკანასკნელის უკმაყოფილების საფუძველი ირანთან და რუს კაზაკებთან ლევან მეორის კავშირი იყო. შეუძლებელია, სამეგრელოს მთავარი არ შეშფოთებულიყო თეიმურაზ პირველის ზემოაღნიშნული დიპლომატიური ნაბიჯითაც - 1635 წელს თავისი ელჩის მოსკოვში გაგზავნით. ლევან მეორემ, ალბათ, ისიც იცოდა, რომ კახეთის მეფის ვრცელ სიგელში რუსეთის ხელმწიფისადმი სამეგრელოს მთავარი ირანის მოკავშირედ და კახეთ-იმერეთის მტრად იყო წარმოჩენილი (Материалы по истории грузино-русских взаимоотношений, с. 116).

ქართული ისტორიოგრაფიის შეფასებით, ის შიდაქართული და საგარეოპოლიტიკური ფონი, რომელმაც ლევან მეორეს მოსკოვში ელჩის გაგზავნისკენ უბიძგა, ასეთი იყო: 1. სამეგრელოს წინააღმდეგ მიმართული ოსმალური აგრესიის ზრდა (იგულისხმება 1637 წლის 18 მაისს თურქების მიერ დრანდაზე განხორციელებული თავდასხმა); 2. ირანის ერთგვარი დასუსტება; 3. ქართლის მეფის როსტომის არამყარი მდგომარეობა; 4. კახეთის ტახტზე ხელახლა დამკვიდრებული თეიმურაზ პირველის მიერ 1635 წლის დეკემბერში რუსეთში ელჩის გაგზავნა; 5. ყოველივე ამის შედეგად ლევან მეორის პოლიტიკური

იზოლაციის საფრთხე (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 334-337; ილია ანთელავა. ლევან II დადიანი, გვ. 93-95, 100; Н. Накашидзе. Грузино-русские политические взаимоотношения, с. 141 და ა.შ.). იმ მიზეზთა შორის, რომლებმაც სამეგრელოს სამთავროდან რუსეთში ელჩის გაგზავნა განაპირობეს, ოსმალური და ირანული ფაქტორების მნიშვნელობა, როგორც გვეჩვენება, მთლად სწორად არ არის შეფასებული. მეცნიერთა განკარგულებაში არსებული წყაროები 1636 წლისთვის ოსმალური აგრესიის ზრდაზე სულაც არ მიუთითებენ. რაც შეეხება დრანდაზე თავდასხმას, ის განხორციელდა არა 1634 (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, გვ. 335; З.В. Анчабадзе. Из истории средневековой Абхазии. VI-XVIIIвв. Сухуми, 1959, с. 273, и т.д.), არამედ 1637 წელს, როგორც ეს რუსი ელჩების ანგარიშებშია მითითებული. ამიტომ გაბრიელ გეგენავას მოსკოვში გაგზავნასთან თურქეთის ამ აგრესიულ აქტს კავშირი არა აქვს. ამასთანავე, ეს იყო მხოლოდ ერთჯერადი, შედარებით მცირე მასშტაბის ლოკალური სადამსჯელო ოპერაცია. იმ დროისთვის არც ირანი ჩანდა დიდად დასუსტებული. პირიქით, მან მოიგერია თურქეთის აგრესია და წარმატებული კონტრშეტევის შედეგად ერევანიც კი დაიბრუნა. უფრო სწორი უნდა იყოს დასკვნა ორი მეომარი სახელმწიფოს ძალების გამოფიტვის შესახებ; იმის თაობაზე, რომ 1636 წლისთვის ორივე აგრესორ ქვეყანას შორის გარკვეული წონასწორობა, ძალთა ბალანსი დამყარდა. არც ერთ მხარეს მონინააღმდეგის განადგურების უნარი არ შესწევდა; არც ერთს და არც მეორეს სამეგრელოსთვის და სხვა ქართული პოლიტიკური ერთეულებისთვის მაშინ არ ეცალა. სწორედ ამ ხელსაყრელი საგარეო პირობებისა და ქართულ ისტორიოგრაფიაში მითითებული სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, უნდა ვივარაუდოთ, მიიღო ლევან II დადიანმა მოსკოვში ელჩის გაგზავნის გადაწყვეტილება. ოსმალური აგრესიის საფრთხე რომ ყოფილიყო რუსეთში ელჩის გაგზავნის ერთ-ერთი მიზეზი, მაშინ ლევან II ასეთ ელჩობას მოსკოვში 1639 წელს მიაველენდა, როდესაც თურქეთ-ირანის ხანგრძლივი ომი საქართველოსათვის დამღუპველი ზავით დასრულდა და ოსმალური აგრესიის საფრთხე სავსებით რეალური გახდა. იმ ზავის დადებისა და ოსმალური აგრესიის საფრთხის გაზრდის პირობებში ლევან მეორემ, პირიქით, ზურგი შეაქცია რუსეთს, რაც სამეგრელოში ჩამოსული რუსი ელჩებისადმი დამოკიდებულებაში, მომავალში კი მოსკოვთან დიპლომატიური კავშირების განყვეტაში გამოიხატა.

გარდა ამისა, შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ იმ კონკრე-

ტულ სიტუაციაში რუსეთთან ურთიერთობის დამყარების გარდა, ლევან მეორეს ოსმალური აგრესიის თავიდან აცილების ყველა სხვა გზა თითქოს მოჭრილი ჰქონდა. ახალ ვითარებაში მას შეეძლო, როგორც ეს არაერთხელ მომხდარა, საგარეო ორიენტაციის ვექტორი ირანიდან კვლავ ოსმალეთისაკენ შემოეტრიალებინა და ამით საკუთარი თავიც გადაერჩინა და სამთავროც. ეტყობა, ქრისტიანული რუსეთისაგან, რომლისკენაც ასე ისწრაფოდნენ აღმოსავლეთ საქართველოს მეფეები, ლევან მეორის ბაბუა ალექსანდრე II (1587 წელს რუსეთის მეფის თევდორე ივანეს ძის ერთგულებაზე დაიფიცა), ბიძა - დავით ალექსანდრეს ძე (1602 წელს რუსეთის მეფის ბორის გოდუნოვის ერთგულებაზე დაიფიცა), ბიძაშვილი - თეიმურაზ I (1602 წელს მამასთან, დავით ალექსანდრეს ძესთან ერთად მეფის ბორის გოდუნოვის, 1639 წელს კი მეფის მიხეილ თევდორეს ძის ერთგულებაზე დაიფიცა), აგრეთვე სამღვდელოება და მოსახლეობა (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 144 - 146, 244, 320 და ა.შ), სამეგრელოს მთავარს თვითგადარჩენაზე ბევრად უფრო მეტის მიღება სურდა, ვიდრე მიიღებდა თუნდაც მტკიცე ოსმალური თუ ირანული ორიენტაციის შემთხვევაში. რა შეიძლებოდა ყოფილიყო ეს „თვითგადარჩენაზე ბევრად უფრო მეტი“?

როგორც ცნობილია, ლევან II დადიანის მიერ საკუთარი ელჩის რუსეთში მივლინებამ თეიმურაზ პირველი უკიდურესად შეაშფოთა, რაც კარგად ჩანს 1639 წლის 25 აპრილს მისი ელჩის მიტროპოლიტ ნიკიფორეს ხელით მოსკოვში ხელმწიფის სახელზე გაგზავნილი წერილიდან. თეიმურაზ პირველი თავის მამიდაშვილს უმძიმეს ბრალდებებს უყენებდა; არც მეტი, არც ნაკლები, ქრისტიანობის მტრად, საქართველოში არსებული არეულობების მოთავედ, სულთანთან და შაჰთან თეიმურაზის ურთიერთობების გაფუჭებ̣ის მიზეზად აცხადებდა. ის აგრეთვე წერდა, რომ ახლა, როცა დადიანის ელჩი მოსკოვში ჩავიდა, „თქვენი მეფური უდიდებულესობის ჩემთან წაკიდება დაიწყო“. თავისი ელჩი კი ლევან მეორემ, თითქოს თეიმურაზ პირველის მიერ მოსკოვში ელჩის გაგზავნის შემდეგ „დიდი სიძულვილისა და შურის გამო“ რუსეთში მიავლინა; ამიტომ ხელმწიფე ფრთხილად უნდა ყოფილიყო, რათა სამეგრელოს ელჩს იგი არ მოეტყუებინა. გარდა ამისა, მეფე თეიმურაზი რუსეთის ხელმწიფეს ლევან II დადიანის ნამდვილი მიზნების შესახებ აცნობებდა: „დადიანს სურს ივერიის ქვეყანაში მეფის ხელისუფლება მოსპოს და ივერიის ქვეყნის ერთადერთი მეფე თვითონ იყოს“. ლევან მეორის, მისი მიზნების შესახებ ზუსტად იგივე შეფასებები

და მოსაზრებებია განმეორებული თეიმურაზ პირველის 1640 წლის 22 იანვრის წერილშიც რუსეთის ხელმწიფისადმი (Переписка..., с. 22-23, 42-43.). არ არის გამორიცხული, რომ სწორედ ამ მიზნის მიღწევაც სურდა ლევან მეორეს, როდესაც რუსეთში თავის ელჩს აგზავნიდა.

ასეთ შემთხვევაში ისმის კიდევ ერთი კითხვა: რამდენად შეესაბამება რეალობას, რომ ლევამ II დადიანი სწორედ საქართველოს გაერთიანებისთვის იბრძოდა? ამ კითხვაზე თუნდაც ჰიპოთეზის დონეზე პასუხის გასაცემად უპრიანი იქნება გავიხსენოთ ლევან II დადიანისა და გიორგი სააკაძის ურთიერთობები. ჩვენი ვარაუდით, საკუთარი ბიძაშვილის თეიმურაზ I-ის წინააღმდეგ ბრძოლისა და საქართველოს გაერთიანების იდეა იყო ის საერთო პლატფორმა, რომელიც სამეგრელოს მთავარს თავის დროზე გიორგი სააკაძესთან აკავშირებდა. ილია ანთელავამ, მიმოიხილა რა დიდი მოურავისა და ლევან II დადიანის ურთიერთობების ისტორია, გამოთქვა საკმაოდ საინტერესო მოსაზრება: „ყველა მონაცემია ვიფიქროთ, რომ დიდ მოურავს სიცოცხლის ბოლო ხანებში ოდიშის მთავარი უნდა მიეჩნია რეალურ დასაყრდენ ძალად. თვით ლევანი, პატივმოყვარე, ფართო პრეტენზიებისა და გეგმების მქონე პიროვნება, უეჭველად დაინტერესებული იქნებოდა გამოჩენილ სარდალთან პოლიტიკური თანამშრომლობით“ (ი. ანთელავა. ლევან II დადიანი, გვ. 79). არც ის უნდა გამოვრიცხოთ, რომ მომავალ გაერთიანებულ საქართველოში, ამ ორი დიდი მოღვაწის გეგმის მიხედვით, კახთა მეფის ალექსანდრე II-ის ერთი შვილიშვილის თეიმურაზ I-ის იმავე მეფის მეორე შვილიშვილით ლევან II დადიანით ჩანაცვლება ყოფილიყო გათვალისწინებული. ამ შემთხვევაში თეიმურაზ პირველის მონაწილეობის გარეშე და მაშინდელი საერთაშორისო ვითარების პირობებში ასეთი გეგმის, თუ ის ნამდვილად არსებობდა, რეალურობა-არარეალურობაზე, კანონიერება-უკანონობაზე საუბარი ყოველგვარ აზრს მოკლებულია.

ლევან II დადიანის გეგმების მიმართ ილია ანთელავას ზოგად მოსაზრებას მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე) ავითარებს. ქართულ სამეფო დინასტიაში შექმნილი ვითარების (წმ. მეფის ლუარსაბ მეორის მკვლელობა და ქართლის კანონიერი სამეფო დინასტიის მმართველობის შეწყვეტა, თეიმურაზ პირველის კახეთიდან პერიოდულად გაძევება, იმერეთის სამეფო დინასტიის შერყევა და ა.შ.) მიმოხილვის შემდეგ იგი ასკვნის: „რადგანაც აღმოსავლეთ საქართველოს, ვითარცა სპარსეთის ხელდებულ ქვეყანას, არ შეე-

ძლო ყოფილიყო საქართველოს პოლიტიკური გამაერთიანებელი, ხოლო იმერეთის სამეფო დასუსტებული იყო, ლევან II დადიანი საქართველოს სუვერენული სახელმწიფოს გაერთიანებას ჩაუდგა სათავეში" (მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე. „ხელმწიფე ივერიისა" - ლევან II დადიანი, ქართული სოციალურ-პოლიტიკური სისტემის, „ქართველობის" დამცველი. თბ., 2006, გვ. 3-4). მიტროპოლიტ ანანიას აზრით, იმ პერიოდისთვის სამეგრელო ეკონომიკური, სამხედრო და კულტურული თვალსაზრისით დაწინაურებული რეგიონი იყო მაღალი ზოგადქართული თვითშეგნების მქონე მოსახლეობითა და მთავრით; ლევან მეორემ მოახერხა მთელი დასავლეთ საქართველოს თავისი გავლენის ქვეშ მოქცევა. „მაშასადამე, - ასკვნის მიტროპოლიტი ანანია, - სუვერენული საქართველოს ერთადერთი ფაქტიური მეპატრონე იყო ლევან დადიანი", რომელიც ცაიშურ გულანში თავის თავს ასე მოიხსენიებდა: „ხელმწიფეთა ხელმწიფე დადიანი ლეონ ყოვლისა საქართველოთა პატრონი" (მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე. „ხელმწიფე ივერსიისა", გვ. 4). აღნიშნული მინაწერი ლევან მეორის ამბიციებზე და მიზნებზე კიდევ ერთხელ მიუთითებს.

ყოველივე ამის შემდეგ უსაფუძვლო არ უნდა იყოს მოსაზრება, რომ XVII საუკუნის 30-იან წლებში, როცა ხელსაყრელი პირობები შეიქმნა ლევან მეორემ თავისი პოლიტიკური მიზნების განხორციელებასთან დაკავშირებით ნიადაგის მოსინჯვა გადაწყვიტა, რისთვისაც ახალი ძლიერი მოკავშირე სჭირდებოდა. ცხადია, იგი დარწმუნებული იყო, რომ ირანი და ოსმალეთი საქართველოს გაერთიანების საქმეში მისი მხარდამჭერები არასოდეს იქნებოდნენ. საქართველოს ორად გაყოფისა და მისი შემდგომი დაქუცმაცების მთავარ შემოქმედთა შორის სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირება, ეტყობა, ლევან მეორემ ივერიის გაერთიანებისთვის ხელსაყრელ მომენტად ჩათვალა და ნიადაგის მოსასინჯად თავისი ელჩი მოსკოვს მიავლინა. სამეგრელოს მთავარის მიერ გაბრიელ გეგენავას ხელით რუსეთის ხელმწიფისათვის გაგზავნილი სიგელი, რომელიც წინამდებარე კრებულში ქვეყნდება, აღნიშნულ ვერსიას ამყარებს.

ამასთანავე უნდა ითქვას, რომ საქართველოს ირგვლივ განვითარებული საერთაშორისო ურთიერთობები, აგრეთვე ლევან მეორის შიდაქართული პოლიტიკის ცალკეული ასპექტები (საქართველოსთვის თავდადებულ და კანონიერ მეფესთან თეიმურაზ პირველთან მტრული დამოკიდებულება, აგრესია იმერეთის წი-

ნააღმდეგ, ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთი საზღვრებისადმი არასათანადო ყურადღება და ა.შ.) საქართველოს გაერთიანებას ხელს არ უწყობდნენ.

XXX

კრებულში შეტანილი დოკუმენტები მოგვითხრობენ, რომ 1636 წლის ზაფხულის შუახანებში ლევან II დადიანის კარის ეკლესიის მღვდელი გაბრიელ თევდორეს ძე გეგენავა თანმხლებ პირთან ერთად, რომლის ვინაობა უცნობია, მოსკოვს გაემგზავრა. სავარაუდოდ, სვანეთიდან ყაბარდოში გადასული სამეგრელოს ელჩი 1636 წლის 24 ივლისს ადგილობრივი მურზების, კერძოდ, ალეგუკასა და მისი ძმების მეშვეობით ციხე-ქალაქ თერგში დაბანაკებულ რუს ვოევოდებს დაუკავშირდა და მოსკოვში გამგზავრების ნებართვა სთხოვა. მღვდელი გაბრიელი რუსებმა ყაზის ყაბარდოდან იმავე წლის 11 აგვისტოს თერგში ჩამოიყვანეს, სადაც იგი ვოევოდას კანცელარიაში დაკითხეს. შეტყობინება ციხე-ქალაქ თერგში სამეგრელოს ელჩის ჩასვლის შესახებ რუსეთის ხელმწიფეს 1636 წლის 18 დეკემბერს მიუვიდა და უკვე 20 დეკემბერს მოსკოვისკენ მისი გაშვების განკარგულება (სიგელი) გასცა („1. ცნობა სამეგრელოს ელჩის გაბრიელ გეგენავას...“). ხელმწიფის აღნიშნული ან სხვა განკარგულება 1637 წლის 29 ოქტომბრამდე თერგში არ მიუღიათ, რის შემდეგაც ადგილობრივმა ვოევოდებმა ლევან II დადიანის ელჩის ჩამოსვლის თაობაზე მოსკოვს ხელმეორედ აცნობეს. 1638 წლის 16 მარტს მოსკოვიდან კვლავ გაიგზავნა ხელმწიფის სიგელი ელჩის მოსკოვისკენ გატარების შესახებ, რომელიც თერგში იმავე წლის 13 ივნისს მიიღეს. 1638 წლის 30 ივლისს გაბრიელ გეგენავამ თერგი დატოვა და ურიადნიკ ათანასე იევსკისთან ერთად მოსკოვისკენ გაემგზავრა. იმ დროს, როდესაც ელჩი გაბრიელი ჯერ კიდევ ციხე-ქალაქ თერგში რუსეთის დედაქალაქში გამგზავრების ნებართვას ელოდებოდა, ხელმწიფის ბრძანებით, სამეგრელოს შესახებ აუცილებელი ინფორმაციის მოპოვების მიზნით იმჟამად მოსკოვში მყოფი თეიმურაზ I-ის ელჩის მიტროპოლიტ ნიკიფორეს დაკითხვა გადაწყდა. ბერძენი ეროვნების მიტროპოლიტის მიერ რუსებისთვის მიწოდებული ინფორმაცია, ტენდენციურობის მიუხედავად, საინტერესო ცნობებს შეიცავს სამეგრელოს საზღვრების, თურქეთთან და ქართულ პოლიტიკურ ერთეულებთან მისი ურთიერთობების, სამთავროს ეკონომიკური მდგომარეობისა

და ლევან II დადიანის პიროვნების შესახებ (1.1. საქართველოს ელჩის მიტროპოლიტ ნიკიფორეს ჩვენება...). სამეგრელოს შესახებ ასეთი ზოგადი ხასიათის ინფორმაცია მოსკოვში უკვე ჰქონდათ, როცა 1638 წლის 15 ნოემბერს იქ გაბრიელ გეგენავა ჩავიდა. სამეგრელოს ელჩის ჩასვლის, თერგიდან მოსკოვამდე მასთან ერთად მგზავრობის, ელჩის დაბინავების, აგრეთვე მოსკოვიდან კახეთში გაგზავნილი თევდორე ვოლკონსკის ელჩობის მიერ დიდი სიძნელეების გადალახვის შემდეგ საქართველოში ჩასვლის შესახებ იმავე დღეს საელჩო პრიკაზის მოხელეებს შიკრიკმა ათანასე ივევსკიმ მოახსენა (2. შიკრიკ ათანასე ივევსკის ჩვენება...). მეორე დღეს, 1638 წლის 16 ნოემბერს, ელჩი გაბრიელი სათათბიროს დიაკებმა დაკითხეს. მან განაცხადა, რომ თავისი ქვეყნიდან 1636 წელს ყოვლადწმინდა ღმრთისმშობლის მიძინების მარხვის დღეებში გამოემგზავრა, რაც სიმართლეს არ უნდა შეესაბამებოდეს, რადგანაც მარიამობის მარხვის დაწყებამდე (1/14 აგვისტო) ერთი კვირით ადრე - 24 ივლისს ის უკვე ყაზის ყაბარდოში რამდენიმე დღის ჩასული იყო. დიაკების თხოვნით, ელჩმა გაბრიელმა მათ რუსეთის ხელმწიფისთვის გადასაცემად ლევან II დადიანის მიერ გამოგზავნილი ქართულ და ბერძნულ ენებზე შედგენილი სიგელი წარუდგინა; ამასთანავე საკმაოდ ამომწურავად უპასუხა მრავალ შეკითხვაზე სამეგრელოს სამთავროს პოლიტიკური, სარწმუნოებრივი, სამხედრო, ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ და სხვა საკითხებზე (3. ელჩ გაბრიელ მღვდლის დაკითხვა...). გაბრიელ გეგენავას საელჩო პრიკაზში დაკითხვის მასალების შემდეგ კრებულში რუსეთის მეფისთვის განკუთვნილი ლევან II დადიანის სიგელია მოთავსებული. მისი შესავალი, ტრადიციისამებრ, ვედრებას, ქებულებას, დიდებისმეტყველებას შეიცავს. სავარაუდოდ, ლევან მეორემ ამ შემთხვევაში ნიმუშად სხვა მეფე-მთავრების მიერ ადრე მოსკოვში გაგზავნილი სიგელები გამოიყენა. საკუთარი შორსმიმავალი გეგმის შესაბამისად, იგი თავის თავს საქართველოს (ივერიის) ხელმწიფედ წარმოადგენს, რომელიც ჯერ-ჯერობით ივერიის 5 ქვეყნიდან მხოლოდ სამს ფლობს. დანარჩენი ორი ქვეყნის ხელმწიფენი, - ნათქვამია სიგელში, - სპარსეთის შაჰმა დახოცაო. იგულისხმებიან ლევან II-ის ბაბუა, კახეთის მეფე ალექსანდრე II, რომელიც შაჰ აბას I-ის დავალებით 1605 წელს სიცოცხლეს გამოასალმეს, და წმინდანად შერაცხული ქართლის მეფე ლუარსაბ II (1606-1615წწ.); ეს უკანასკნელი შაჰ აბას პირველმა მოტყუებით შეიპყრო და ქრისტესათვის აწამა. ლევან II დადიანის მფლობე-

ლობაში მყოფი „სამი ხელმწიფის ქვეყანა“ არის სამეგრელო (რომელიც აფხაზეთსაც მოიცავდა), გურია და იმერეთი (ი. ანთელავას მოსაზრება, თითქოს, აქ არა სამეგრელო, არამედ გურია, იმერეთი და ცალკე აფხაზეთი იგულისხმება, მცდარია. - ი. ანთელავა. ლევან II დადიანი, გვ. 96-97). სამეგრელოს მთავარი რუსეთის მეფეს ოდიშის სამთავროსა და მთლიანად ივერიის ქვეყნის „თავისი მაღალი მეფური ხელის მფარველობის ქვეშ“ მიღებას და საპასუხო ელჩობის გამოგზავნას თხოვდა (4. მეფე ლევან დადიანის სიგელი მეფე მიხეილთან...). ლევან II-ის სიგელში ძალიან ზოგადი სახით რუსეთის მფარველობის ქვეშ გაერთიანებული საქართველოს აღდგენის იმჟამად აშკარად უტოპიური გეგმაა გაჟღერებული, თუმცა უტოპიურობა ამგვარი გეგმის მნიშვნელობას სულაც არ აკნინებს.

რუსეთის ხელმწიფემ მიხეილ თევდორეს ძემ ელჩი გაბრიელი 1638 წლის 12 დეკემბერს და 1639 წლის 24 მაისს მიიღო. როგორც საელჩო პრიკაზის მასალებიდან ირკვევა, ელჩის შეხვედრები ხელმწიფესთან ფორმალურ ხასიათს ატარებდა; ორივე შემთხვევაში მასთან მეფის სახელით უფრო სათათბიროს დიაკი თევდორე ლიხაჩევი საუბრობდა და ხელმწიფის პოზიციას განუმარტავდა. მიხეილ თევდორეს ძე „თავისი მაღალი მეფური მფარველობის“ ქვეშ ლევან დადიანისა და მისი ქვეყნის მიღებაზე თანხმობას აცხადებდა (4.1. საელჩო პრიკაზის მასალები...). გაბრიელ გეგენავას ელჩობის მასალებიდან აღსანიშნავია მისი ზეპირი მოხსენებები - რუსეთის ხელმწიფის მოძღვრის, მოსკოვის ხარების ეკლესიის წინამძღვრის დეკანოზ ნიკიტას მიერ დასმულ 17 შეკითხვაზე ნაწილობრივ გაცემული პასუხები. შეკითხვებიც და პასუხებიც მხოლოდ სარწმუნოებრივ საკითხებს ეხება (5. გაბრიელ მღვდლის ზეპირი მოხსენებები). გაბრიელ გეგენავამ პრეტენზიებიც კი გამოთქვა იმის გამო, რომ ამდენ შეკითხვას მას მხოლოდ სარწმუნოებრივ საკითხებზე უსვამდნენ. აქ სრულდება მისი ელჩობის ამსახველი მასალებიც.

მთლიანობაში, სამეგრელოს ელჩის მისია წარმატებულად ვერ ჩაითვლება. ამისი ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს შიდაქართული დაპირისპირება, რის შესახებაც მოსკოვში უკვე ჰქონდათ ინფორმაცია რუსეთის ხელმწიფისადმი თეიმურაზ პირველის 1639 წლის 25 აპრილის წერილის მეშვეობით. იგი შეიცავდა პირდაპირ მოწოდებას მიხეილ თევდორეს ძისადმი, „არ დაუჯეროთ მას (ლევან მეორეს-ჯ.გ.), არ მოუსმინოთ მის ელჩს იმიტომ, რომ იგი არის ქრისტიანობის წინააღმდეგ მებრძოლი, დღე და ღამე იმას ცდილობს, როგორ წაგვკი-

დოს თურქებთან და სპარსელებთან, სურს ჩვენი განადგურება. ის ქრისტიანი არ არის და ქრისტიანად არ იწოდება: თქვენს მეფურ უდიდებულესობას დადიანის დაჯერება არ ეგების. თუ გიყვარვართ მე, მეფე თეიმურაზი, ქრისტიანობა და ივერიის ქვეყანა, მაშინ ამ დადიანს არავითარი საქმე არ დაავალო, არ დაუჯერო მას და მისი წერილები არ მიიღო იმიტომ, რომ მან არც ფიცი იცის და არც სხვა რამე; იმისათვის, რომ შენ მას არ დაუჯერო, ზუსტად ვწერ სრულ ჭეშმარიტებას, რათა შემდგომში არ მითხრა შენ, რომ ამის თაობაზე არ მიმიწერია“ (Переписка..., с.23).

მსგავსი წერილის (რომელიც მთლიანად საქართველოს მიმართ უარყოფით განწყობას შექმნიდა) მიზანი გაბრიელ გეგენავას ელჩობის ჩაშლის სურვილი უნდა ყოფილიყო. იგი მხოლოდ ნაწილობრივ თუ იქნა მიღწეული. მოსკოვში მაინც გადაწყდა სამეგრელოში ელჩობის მივლინება. კრებულში გამოქვეყნებული მასალების მეორე ნაწილიც სწორედ ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარიევის საპასუხო ელჩობის მომზადებასა და განხორციელებას ეძღვნება. ელჩობის შემადგენლობას საგარეო უწყება - საელჩო პრიკაზი აკომპლექტებდა. სამეგრელოში გამგზავრების მსურველებს შორის ასტრახანელი მღვდელი ევდოკიმეც ყოფილა (6. მღვდელ ევდოკიმეს ჩვენება...), თუმცა მისი კანდიდატურა საელჩო პრიკაზისთვის, როგორც ჩანს, მისაღები არ აღმოჩნდა. საელჩოს სრული შემადგენლობა 1639 წლის მაისში დაკომპლექტდა თათრული ენის თარჯიმნის, პოდიაჩი ფედოტ ელჩინის, მღვდელ პავლე ზახარიევისა და ყაზანელი პოდიაჩი ფედკა მიტროფანეს ძე ბაჟენოვის შემადგენლობით. როგორც ვხედავთ, საელჩო საკმაოდ დაბალი რანგის პირებით იყო დაკომპლექტებული. 1639 წლის 30 მაისს ელჩობის ხელმძღვანელს ფედოტ ელჩინს წერილობითი განაწესი, ანუ ინსტრუქცია მიეცა, რომელშიც დეტალურად იყო განერილი ელჩობის ყოველი ნაბიჯი მოსკოვიდან საქართველომდე მარშრუტით დაწყებული, დიპლომატიური მოლაპარაკებებით, სპეციალური დავალებებით, მასპინძელთა მხრიდან სავარაუდო, ზოგჯერ რუსული მხარისთვის უხერხულ შეკითხვები და მათზე გასაცემი პასუხებით დამთავრებული. მსგავსი განაწესებით იყვნენ აღჭურვილები მოსკოვიდან საქართველოში სხვადასხვა დროს ჩამოსული ელჩებიც (Сношения Россий с Кавказом, с. 17-28, 94-99, 241-249, 268-281, 332-344, 421-440; თავადი მიშეცკისა და დიაკი კლუჩარევის ელჩობა კახეთში. 1640-1643წწ. საბუთები გამოსცა და შესავალი დაურთო მ.პოლიევექტოვმა. თბ., 1928, გვ. 25-56; ტოლოჩანოვის

იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა. 1650-1652წწ. რუსული ტექსტი ქართული თარგმანით და ხელნაწერების მიმოხილვით გამოსაცემად მოამზადა იასე ციხცაძემ. თბ., 1970, გვ. 42-58, და ა.შ.). განაწესების სტრუქტურა და შინაარსი თითქმის იდენტურია, მაგრამ მათ შორის არც თუ მცირე სხვაობაც არის. იგი, პირველ რიგში, მოსკოვის მიერ ამა თუ იმ ეტაპზე ამა თუ იმ ქართული პოლიტიკური ერთეულის მიმართ დასახული განსხვავებული მიზნებითა და ამოცანებითაა განპირობებული. რა თქმა უნდა, განსხვავებული იყო რუსეთის საერთაშორისო ურთიერთობების, ცალკეულ ქვეყნებთან თუ ხალხებთან დამოკიდებულების, ახლადშემოერთებულ რეგიონებში მდგომარეობის შეფასებებიც, რასაც განაწესებში დიდი ყურადღება აქვს დათმობილი (იხ.:Сношения России с Кавказом,с.17-28,241-249, 268-281, 332-344, 421-440, და ა.შ.). მოსკოვში განსაკუთრებით ზრუნავდნენ იმისათვის, რომ სავარაუდო შეკითხვებზე ელჩის პასუხებში რუსეთი, საბოლოო ჯამში, მშვიდობისმოყვარე ცივილიზებულ სახელმწიფოდ წარმოჩენილიყო, რომელსაც წარსულში არსებული უთანხმოებების მიუხედავად, ამჟამად ყველა დიდ და პატარა ქვეყანასთან კეთილი ურთიერთობა აკავშირებს; რომ ის მზრუნველობას არ აკლებს მოსაზღვრე ხალხებს, მომთაბარე ტომებსაც კი; რომ მას მტერი არ ჰყავს და ა.შ. განაწესის მიხედვით, ელჩობას დაწვრილებითი ინფორმაცია უნდა წარმოედგინა სამეგრელოს სამთავროს პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების, სარწმუნოებრივი მდგომარეობის შესახებ. განაწესში დაუფარავად არის ჩაწერილი ელჩობის მიზანიც: „იქნება რა სადადიანოს ქვეყანაში ფედოტმა ყველაფერი გააკეთოს ხელმწიფის ამ ბრძანებულების თანახმად და იქაური მდგომარეობის მიხედვით, რათა ხელმწიფის საქმეს წარმატება მოუტანოს, მისი ხელმწიფებრივი პატივის ამაღლებასა და სახელმწიფოს სივრცის გაფართოებას ხელი შეუწყოს“ (7. ფედოტ ელჩინისთვის მიცემული წერილობითი განაწესი). სწორედ „სახელმწიფოს სივრცის გაფართოებისთვის“ წინაპირობების შექმნა, საამისოდ ნიადაგის მოსინჯვა იმთავითვე წარმოადგენდა სამეგრელოში, აგრეთვე სხვა ქართულ პოლიტიკურ ერთეულებში სხვადასხვა დროს გაგზავნილ რუსულ ელჩობათა საერთო მიზანს (თავადი მიშეცკისა და დიაკი კლუჩარევის ელჩობა კახეთში, გვ. 46 და სხვ.).

ვინაიდან ელჩობის ერთ-ერთი მთავარი მიზანი სარწმუნოებრივი საკითხების შესწავლა და ამ (აგრეთვე სადაზვერვო) მიზნით

მთელი სამთავროს დათვალიერება იყო, ფედოტ ელჩინს დამატებით მიეცა 38 კითხვა-პასუხისაგან შემდგარი „აღსარება მართლმადიდებლური სარწმუნოების შესახებ" (თავი მერვე), აგრეთვე განანესის დამატებითი მუხლები (თავი მეცხრე). ჩამ უკანასკნელში ყურადღებას იპყრობს ე.წ. "მოკლე წელთაღრიცხვა". დღევანდელი გადასახედიდან იგი მრავალ უზუსტობას (მცირე გამონაკლისის გარდა) შეიცავს. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ რუსული კალენდარი ბიზანტიურ მსოფლიო ერას ეფუძნება, რომლის მიხედვითაც სამყაროს შექმნა ძვ.წ. 5508 წლით (ქართული დასაბამით- ძვ.წ. 5604 წლით) თარიღდებოდა. ეს არის პერიოდი ადამიდან ქრისტეშობამდე, ანუ ახალწელთააღრიცხვამდე. "მოკლე წელთაღრიცხვაში" კი შეცდომით ძვ.წ. 5500 წელია მითითებული (შესაძლოა, ეს შეცდომა დოკუმენტის პირველი გამომცემლის მიერ იყოს დაშვებული). აქვე უნდა ითქვას, რომ ბიბლიური მოვლენების დათარიღებასთან, აგრეთვე ბიბლიური პერსონაჟების ცხოვრების წლებთან დაკავშირებით მეცნიერებაში განსხვავებული მოსაზრებები არსებობენ. მაგალითად, გარკვეული მონაცემებით, წარღვნა ბევრად უფრო ადრე - ძვ.წ. 33 981 წელს მოხდა, სხვა მონაცემებით - ძვ.წ. 35 449 წელს; აბრაამი, თითქოს, ძვ.წ. XXI-XX (სხვა მონაცემებით - ძვ.წ. 1800 წელს გახდა ებრაელთა სულიერი წინამძღოლი), ხოლო მოსე, რომლის სახელს ეგვიპტიდან ებრაელთა გამოსვლა უკავშირდება, XV-XVIII საუკუნეებში ცხოვრობდა (სხვა მონაცემებით - ებრაელთა გამოსვლა დაახლოებით ძვ.წ. 1250 წელს დაიწყო) და ა.შ. (მონაცემები აღებულია რუსული ვიკიპედიიდან, აგრეთვე წიგნიდან **От античности до средних веков. Арт-Родник, 2002**). ამიტომ "მოკლე წელთაღრიცხვაში" მოცემული თარიღების გაზიარება ან მათი გადამოწმება, ისრაელის პირველი მეფის დავითის გარდაცვალებამდე მაინც, პრაქტიკულად შეუძლებელია. დოკუმენტის მიხედვით, დავით მეფე ადამიდან 4457 ანუ ძვ.წ. 1041 (5508-4457=1041) წელს გარდაიცვალა. თანამედროვე მონაცემებით, დავით მეფე ძვ.წ. 950 წელს აღესრულა (ზოგიერთი მონაცემით, დავითი ძვ.წ. 1005-972 წლებში მეფობდა). მსგავსი უზუსტობები "მოკლე წელთაღრიცხვაში" საკმაოდ ბევრია, თუმცა ცალკეულ შემთხვევაში ცდომილება უმნიშვნელოა. მაგალითად, იერუსალიმის დაპყრობიდან (ძვ.წ. 586.) ალექსანდრე მაკედონელის სიკვდილამდე (ძვ.წ.323.) არის არა 261, არამედ 263 წელი (სხვაობა სულ ორი წელიწადია); ადამიდან კონსტანტინე პირველის გამეფებამდე (306ნ) გავიდა არა 5812, არამედ 5814 (5814-5508=306) წელი (აქაც სხვაობა მხოლოდ 2 წელია), და ა.შ. აბსოლუ-

ტური სიზუსტით არის მითითებული მეორე მსოფლიო საეკლესიო კრებიდან (381 წ.) მესამე მსოფლიო კრებამდე (431 წ.) გასული პერიოდი - 50 წელი; სწორად არის აგრეთვე მითითებული, რომ რუსეთის მონათვლიდან (988 წ.) მეშვიდე ათასწლეულის ბოლომდე, ანუ 1492 (5508+1492=7000) წლამდე 504 წელი გავიდა (988+504=1492). "მოკლე წელთაღრიცხვა" თავისი მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო ცდომილებებით დღეს პრაქტიკული მნიშვნელობა არ გააჩნია.

საეკლესიო საკითხებს საქართველოში გამოგზავნილი ყველა ელჩობა დიდ ყურადღებას აქცევდა, მაგრამ მსგავსი დოკუმენტები, განსაკუთრებით „აღსარება...“ სხვა ელჩობათა მასალებში არ გვხვდება. ალბათ, მოსკოვში სერიოზულად მოეკიდნენ თეიმურაზ პირველის ზემოთ მოტანილ წერილებს,რომლებშიც ლევან მეორე ქრისტიანობის მტრად იყო გამოცხადებული. სავარაუდოდ, ამიტომ გადაწყვიტეს ასე დეტალურად შეემოწმებინათ და ენახათ ქრისტიანული სარწმუნოების მდგომარეობა სამეგრელოში. ფედოტ ელჩინს თან მოჰქონდა აგრეთვე ორი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომლებზეც ყველაზე მეტად იყო დამოკიდებული ელჩობის წარმატება, „სახელმწიფო სივრცის გაფართოების“ მიზნის მიღწევა. ეს დოკუმენტებია „მეფე მიხეილის სიგელი სადადიანოს მეფე ლევანისადმი“ (თავი მეათე) და „ფიცის ტექსტი, რაზეც უნდა დაიფიცოს სადადიანოს მეფე ლევანმა...“ (თავი მეთერთმეტე). პირველი წარმოადგენდა პასუხს ლევან მეორე დადიანის სიგელზე მეფე მიხეილ თევდორეს ძისადმი. მასში გამოცხადებულია, რომ „შენ, მეფე ლევანი, და მთელი შენი ივერიის ქვეყანა ჩვენი მაღალი მეფური ხელის მფარველობის ქვეშ გვინდა ავიყვანოთ.“ რუსეთის ხელმწიფე სამეგრელოს მთავარს ყველა „მტრისაგან დაცვას“, მაღალი მეფური ხელის მფარველობის ქვეშ აყვანას პირდებოდა და მისთვის მისაღები პირობებით ქვეშევრდომული ურთიერთობების ოფიციალურად დამყარებას სთავაზობდა. ასეთი ურთიერთობების იურიდიულად გაფორმების მიზანს ემსახურებოდა მეორე დოკუმენტი - ლევან მეორე დადიანის ფიცის წინასწარ, სათადარიგოდ, ყოველი შემთხვევისთვის შედგენილი პროექტი. ისევე როგორც „სიგელი“ და „განაწესი“, „ფიცის ტექსტიც“ რუსულ დიპლომატიაში მიღებული ტიპიური დოკუმენტია, რომლის მიხედვითაც ლევან მეორე დადიანს საკუთარი და აგრეთვე შვილების, მთელი სამთავროს სახელით რუსეთის ხელმწიფისა და მისი მემკვიდრეებისადმი ერთგულებაზე, მათ მიმართ მორჩილებაზე უნდა დაეფიცა. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი დაფიცება არ მომხდარა, აღნიშნული

დოკუმენტის, როგორც ისტორიული წყაროს, მნიშვნელობა მაინც დიდია, რადგანაც მასში საქართველოსთან მიმართებაში იმჟამინდელი რუსეთის მიზნები და გეგმებია ასახული.

წინამდებარე კრებულში შეტანილი ზემოხსენებული დოკუმენტების გარდა, რუსული ელჩობის წევრები სხვა საბუთებითაც (მაგალითად, სამგზავრო სიგელებით) იყვნენ აღჭურვილები, რომელთა აღწერა ქვეყნდება (იხ. მეთორმეტე თავი).

სამეგრელოში ჩამოსული რუსული ელჩობის მიერ გაწეული მუშაობის შედეგები ასახულია შემდეგ დოკუმენტებში: „სადადიანოს მეფე ლევანის სიგელი მეფე მიხეილისადმი" (თავი მეცამეტე), „საქმე მღვდელ პავლე ზახარიევის საჩივარზე თარჯიმან ფედოტ ელჩინის შესახებ" (თავი მეთოთხმეტე), „ფედოტ ელჩინის მუხლობრივი აღწერილობა" (თავი მეთხუთმეტე) და „პავლე ზახარიევის მუხლობრივი აღწერილობა" (თავი მეთექვსმეტე). ლევან მეორე დადიანის სიგელი მიხეილ თევდორეს ძისადმი 1640 წლის 15 მაისს არის შედგენილი და რუსული ელჩობის სრული წარუმატებლობის თვალსაჩინო მტკიცებულებას წარმოადგენს. იგი შეიცავდა მსგავსი დოკუმენტებისთვის ტრადიციულ დიდებისმეტყველებას, ვედრებას; ძალიან შორსაა სიმართლისაგან სიტყვები, თითქოს სამეგრელოს მთავარი მიხეილ თევდორეს ძის სიგელს გაეცნო და „ქვეშევრდომულად მორჩილის მდგომარეობაში მყოფმა დიდი პატივით" მიიღო იგი. სინამდვილეში კი, როგორც ფედოტ ელჩინის ანგარიშიდან ირკვევა, ლევან მეორე ფეხზეც არ წამომდგარა და ქუდიც არ მოუხდია. მის მიერ მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით შედგენილი და არაფრის მთქმელი სიგელი ერთადერთ კონკრეტულ თხოვნას შეიცავდა - ეს არის ეკლესიების მოხატვის მიზნით ფერმწერებისა და საღებავების გამოგზავნა, თანაც არა საჩუქრად, არამედ გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ („თქვენი სამეფო კი მისაგებელს მიიღებს", - წერდა ლევან II). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამეგრელოს მთავარი ამ შემთხვევაში თავისი ბაბუის ალექსანდრე მეორისა და ბიძაშვილის თეიმურაზ პირველის გამოცდილებას ითვალისწინებდა. 1589 წლიდან 1638 წლამდე მოსკოვიდან კახეთში ჩამოსულ სხვადასხვა ელჩობას, ქართველ მეფეთა თხოვნით, 10 ხატმწერი და ტაძრების მშენებლობის თუ შეკეთების 5 ოსტატი (ხელოსანი) ჩამოჰყვა. ცნობილია, რომ მათ არაერთი ეკლესია-მონასტერი მოხატეს და შეაკეთეს, რის შემდეგაც მათი ერთი ნაწილი მოსკოვში დაბრუნდა, მეორე კი - კახეთში სამუდამოდ დამკვიდრდა. წყაროებიდან ცნობილია, რომ ხატმწერი ივანე დანილოვი

(1638 წელს თევდორე ვოლკონსკისა და არტემ ხვატოვის ელჩობას ჩამოჰყვა), 1650-იანი წლების დასაწყისში იმჟამად უკვე ქართლ-კახეთის დედოფლის მარიამ დადიანის განკარგულებით, როგორც ჩანს, საკუთარი ნების წინააღმდეგ და ძლიერი დაცვის ქვეშ თბილისში ერთ-ერთი ტაძრის კედლების მოხატვაზე მუშაობდა (М.Полиевктов. Новые данные о московских художниках XVI - XVII веков в Грузии. Тб.,1941, с.7-15; ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა. 1650-1652 წლები. რუსული ტექსტი ქართული თარგმანით და ხელნაწერების მიმოხილვით გამოსაცემად მოამზადა იასე ცინცაძემ. თბ., 1972, გვ.77). ეტყობა, ლევან მეორემ იცოდა, რომ ერთადერთი თხოვნა, რომელსაც მოსკოვი ქართულ მხარეს, ასე თუ ისე უსრულებდა, იყო მხატვრების გამოგზავნა. რადგანაც იმ ეტაპზე რუსეთთან პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირების დამყარება შეუძლებელი აღმოჩნდა, გარკვეული ფორმით რაღაც ურთიერთობის შენარჩუნების მიზნით, სამეგრელოს მთავარმა მიზანშეწონილად ჩათვალა კულტურულ-სარწმუნეობრივ სფეროში აღმოსავლეთ საქართველოში უკვე აპრობირებული თანამშრომლობის (რუსეთის მხრიდან დახმარების) ფორმალური შეთავაზება. სამწუხაროდ, ამ შეთავაზებას პრაქტიკული შედეგი არ მოჰყოლია.

თავისი ფორმითა და შინაარსით უნიკალური დოკუმენტია „საქმე მღვდელ პავლე ზახარიევის საჩივარზე თარჯიმან ფედოტ ელჩინის შესახებ", რომლის პირველი ვარიანტი მის ავტორს ერთ-ერთი სტრელეცის ვასკა კალუჟანინის ხელით ასტრახანიდან მეფის სახელზე მოსკოვში გაუგზავნია. უპირველეს ყოვლისა, „საჩივარში" ფედოტ ელჩინის უზნეობანი, ელჩისთვის შეუფერებელი ქმედებებია აღწერილი. გარდა ამისა, იგი ისეთ დამატებით, ზოგჯერ მნიშვნელოვან ინფორმაციასაც შეიცავს, რომელიც მუხლობრივ აღწერილობებში არ გვხვდება. კერძოდ,

– სამეგრელოსკენ მიმავალ ფედოტ ელჩინს ციხე-ქალაქ თერგიდან ქართული წარმოშობის კაზაკი ალექსანდრე ივანოვი უნებართვოდ წამოუყვანია; სამეგრელოში ყოფნისას იგი ყველას გასაგონად რუსეთის მიერ პოლონეთთან ომში განცდილ მარცხზე (1632-1634წწ.), ყირიმელი თათრების თავდასხმებზე (1633, 1637 წლები და ა.შ.) და რუსეთისთვის დამამცირებელ ისეთ ისტორიებზე საუბრობდა, რაც მეზობელ ქვეყნებთან და ხალხებთან „მშვიდობიანი", „მეგობრული" ურთიერთობის შესახებ „განაწესში" მოცემულ მითითებებს ეწინააღმდეგებოდა;

– ფედოტ ელჩინი ორი კვირის განმავლობაში ყარაჩაელ მურ-

ზებთან და ჩერქეზებთან აღებ-მიცემობას აწარმოებდა, ელჩის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული მიზნებისთვის ხაზინიდან გაცემულ ძვირფასეულობებს ყიდდა; აგრეთვე ქეიფობდა და დროს ატარებდა;

– რუსეთის ხელმწიფის სიგელი ფედოტს ქამრით უკანალზე და არა თავზე, მხრებზე ან მკერდზე დამაგრებული მოჰქონდა;

– სამეგრელოში ჩამოსვლის შემდეგ ფედოტმა პავლე მღვდელს ქაღალდი, მელანი, კალამი ჩამოართვა და წერა აუკრძალა;

– ლევან მეორესთან შეხვედრისას ფედოტმა განაწესით გათვალისწინებული ეტიკეტი დაარღვია;

– სამეგრელოდან მოსკოვისკენ მიმავალ პავლე ზახარიევს გზაში არაერთი ხელოვნური დაბრკოლება შეექმნა, რაშიც ბრალი ფედოტ ელჩინს მიუძღოდა.

ამ საჩივრის განხილვა მოსკოვში სათათბიროს დიაკების მონაწილეობით 1640 წლის 13 დეკემბერს შემდგარა. მალე პავლე ზახარიევმა საჩივრის მეორე ვარიანტი დაწერა, რომელშიც იგივე პრეტენზიები უფრო ვრცლადაა ჩამოყალიბებული. დამატებით სხვა პრეტენზიებიც არის წამოყენებული, რომელთა უმეტესობა ელჩების სამეგრელოში ყოფნის პერიოდს ეხება. საჩივრის მიხედვით, ფედოტ ელჩინმა

– 1639 წლის 25 დეკემბერს ლევან მეორის სტოლნიკს, სახელად მოგელს, ელჩებისთვის კერძების მოსამზადებლად მთავრის მზარეულების მოყვანა სთხოვა, რაც შესრულდა;

– სამეგრელოშიც ვაჭრობის გაჩაღება მოინდომა;

– მთავრის მიერ ელჩების დასაცავად დანიშნული დარაჯი, სახელად მოგელკა, თავის კაცს აცემინა, რაც საკუთარი აღიარებით, სიმთვრალის გამო მოუვიდა;

– 1640 წლის 8 თებერვალს მოქვში ყოფნისას თერგიდან წამოყვანილი კაზაკი ალექსანდრე ივანოვი სცემა;

– 1640 წლის 13 თებერვალს ბედიელ ეპისკოპოსს უმ კვერცხებს ესროდა (ერთმანეთს ესროდნენ);

– 1640 წლის 17 თებერვალს, აგრეთვე 1 მარტს, როცა ელჩები სოფელ ლეჯიქეში ჯგირკოჩას (მეგრ.კარგკაცა) სახლში ორი კვირა იმყოფებოდნენ, მიუხედავად დიდმარხვის დღეებისა, თავშეკავება არ გამოიჩინა; ქალები და ბავშვები აიძულა, ეხტუნავათ და ემღერათ;

– ჯგირკოჩას სახლში ყოფნისას ლევან მეორეს მის მიერ შერისხული მახუტიას შეწყალება სთხოვა (მთავარმა მახუტია შეი-

წყალა);

– ლევან მეორესთან ჯგირკოჩა მიაგზავნა და გართობის მიზნით მთავარს ჭადრაკის გამოგზავნა სთხოვა (თხოვნა დაკმაყოფილდა);

– 1640 წლის 5 მაისს ცაიშის მიტროპოლიტ ანდრიასთან ტრაპეზის დროს თავისი მშობლები მოიხსენია მაშინ, როდესაც ამ დღეს რუსეთში პანაშვიდს არ იხდიან, მხოლოდ მეფისა და მისი ოჯახისთვის ღმერთს ევედრებიან, და ა.შ.

საჩივარში ფედოტ ელჩინის მიერ ჩადენილ სხვა გადაცდომებზეც, მათ შორის სამეგრელოში ჩასვლამდე, ყარაჩაიში ფედოტის უყურადღებობით ელჩობის ერთ- ერთი წევრის ფედკა ბაჟენოვის გარდაცვალებაზეც არის საუბარი. საჩივრებთან დაკავშირებით სათათბიროს დიაკებმა ფედოტ ელჩინი დაკითხეს, მაგრამ მას ყველა ბრალდება უარუყვია. ამან პავლე ზახარიევი აიძულა, მესამე საჩივარი დაეწერა. მასში კიდევ ერთხელ არის გამეორებული წინა საჩივრებში წამოყენებული ბრალდებების ნაწილი, ყურადღება გამახვილებულია ამ საქმეზე ვოევოდების, სხვადასხვა მოხელეებისა და აგრეთვე „ფედოტის კაცების“ მოწმეებად დაკითხვის აუცილებლობაზე. 1641 წლის 6 იანვარს ხელმწიფემ აღნიშნულ საქმეში გარკვევა და მისთვის მოხსენების წარდგენა ბრძანა. ამასთან დაკავშირებით პავლე ზახარიევმა უკვე მეოთხედ დაწერა საჩივარი. იგი წინა სამ საჩივარში ჩამოყალიბებულ ყველა ბრალდებას შეიცავს და კვლავაც მოწმეების დაკითხვას მოითხოვს. 1641 წლის 27 დეკემბერს ხელმწიფემ, მართალია, საქმის გამოძიება და მოწმეთა დაკითხვა ბრძანა, მაგრამ რით დასრულდა ეს ყოველივე, ცნობილი არ არის. თუმცა ამას არსებითი მნიშვნელობა არცა აქვს. მთავარია პავლე ზახარიევის საჩივრის ოთხივე ვარიანტში (ისინი ერთმანეთს ავსებენ) ჩადებული დამატებითი ინფორმაცია და ის კონკრეტული ფაქტები, რომლებსაც, საჩივრის მიხედვით, სამეგრელოში, ჩრდილოეთ კავკასიაში, აგრეთვე იქიდან მოსკოვისკენ მგზავრობისას ჰქონდა ადგილი. საჩივარში სხვადასხვა რანგის არაერთი ისტორიული პიროვნებაც არის დასახელებული. მთლიანობაში, ეს ორიგინალური მასალა რამდენადმე ავსებს ქართული, ჩრდილოეთკავკასიური და რუსული ისტორიოგრაფიის წყაროთმცოდნეობით ბაზას.

სამეგრელოში განხორციელებული რუსული ელჩობის მასალებს ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარიევის მიერ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შედგენილი მუხლობრივი აღწერილობები აგვირგვინებენ. ქრონოლოგიურად ისინი მოიცავენ პერიოდს 1639

წლის 2 ივნისიდან, როდესაც რუსმა ელჩებმა ლევან მეორე დადიანის ელჩთან გაბრიელ გეგენავასთან ერთად მოსკოვი დატოვეს და სამეგრელოსკენ გამოემართნენ, 1640 წლის აგვისტომდე, როდესაც უკვე სამეგრელოდან წასულმა ელჩებმა თერგამდე და ასტრახანამდე ჩააღწიეს. მოსკოვიდან ციხე-ქალაქ თერგამდე ელჩობამ ზუსტად იმ მარშრუტით იმგზავრა, როგორც ეს განაწესში იყო გაწერილი (ეს მარშრუტი დეტალურად აღწერა მ. პოლიევქტოვმა. - იხ. მისი: Экономические и политические разведки Московского государства, с. 9-19). მის დაფარვას თითქმის სამი თვე (2 ივნისიდან 29 აგვისტომდე) დასჭირდა. 22 სექტემბერს ელჩები თერგიდან წამოვიდნენ, დიდი ყაბარდო გამოიარეს, მდინარე ბაქსანის ხეობით იალბუზის კალთებამდე ავიდნენ და შედარებით იოლად გადასალახავი დონღუზორუნის (ნაკრას) უღელტეხილის (3203 მეტრი) საცალფეხო ბილიკებით ყაბარდოელი გამცილებლების თანხლებით 1 ნოემბერს სვანეთის სოფელ ვლეშქარაშში (ლაშარაშში) მოვიდნენ; მეორე დღეს რუსული ელჩობა გაბრიელ გეგენავასთან ერთად თავად დადეშქელიანების სოფელ ესკერში (ისკარში) ჩავიდა (М.А. Полиевктов. Экономические и политические разведки Московского государства, с. 37-38), სადაც ერთი კვირა დარჩა.

9 ნოემბერს ელჩებმა, რომლებსაც სვანი და ყაბარდოელი მეგზურები აცილებდნენ, სოფ. ისკარი დატოვეს და 13 ნოემბერს სამეგრელოს „ლამაზ სოფელ" ხუდონში ჩავიდნენ. აქედან იწყება რუსი ელჩების ხანგრძლივი მოგზაურობა სამეგრელოს თითქმის მთელს მაშინდელ ტერიტორიაზე. მათ მოინახულეს და აღწერეს ყველაზე ღირსშესანიშნავი მონასტრები, საკათედრო ტაძრები, ცნობილი თუ ნაკლებად ცნობილი ეკლესიები, იქ დაცული უიშვიათესი ქრისტიანული სიწმინდეები; შეაგროვეს საინტერესო ცნობები სამეგრელოს პოლიტიკურ, ეკლესიურ და ეკონომიკურ ცხოვრებაზე, ეთნოგრაფიაზე, ლევან II დადიანის პიროვნებაზე, მისი ოჯახის წევრებზე, სხვა საკითხებზე და მთელი ეს უზარმაზარი, თავისთავად უნიკალური მასალა ქრონოლოგიური პრინციპით ცალ-ცალკე დღიურების მსგავსად შედგენილ მუხლობრივ აღწერილობებში ანუ ანგარიშებში შეიტანეს. ვინაიდან ელჩები თავიანთ ანგარიშებს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად და სხვადასხვა დროს თავად ან სხვისი მეშვეობით წერდნენ (მაგალითად, ფედოტ ელჩინი), მათში გარკვეული შეუსაბამობები და აშკარა უზუსტობები შეინიშნება. მეტნაკლებად ეს ორივე ელჩს ეხება, მაგრამ, როგრც ზემოთაც არაერთხელ აღინიშნა, უფრო მეტი ხარვეზები

ფედოტ ელჩინის მუხლობრივ აღწერილობას გააჩნია. მიხეილ პოლიევქტოვის აზრით, „ელჩინის მუხლობრივი აღწერილობა, ზოგადად, XVII საუკუნის მუხლობრივ აღწერილობათა დარი არ არის, დაუდევრადაა შედგენილი და მისი გამოყენებისას სიფრთხილეა საჭირო; საკუთარი სახელები ძალიან ძლიერადაა დამახინჯებული, თარიღები ალაგ-ალაგ გამოტოვებულია. თავად ელჩინი თითქმის წერა-კითხვის უცოდინარი იყო, ხოლო თავის დიპლომატიურ მისიას, ეტყობა, მეტად „დარდიმანდულად“ მოეკიდა (М. Полиевктов. Экономические и политические разведки Московского государства, с. 38). გამომდინარე აქედან, მიზანშეწონილია ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარიევის მუხლობრივ აღწერილობათა ერთად განხილვა, მათი შეჯერებისა და კრიტიკული ანალიზის გზით უზუსტობების გამოვლენა და შეძლებისდაგვარად სწორი სურათის აღდგენა.

ხუდონიდან წალენჯიხამდე დათვალიერებულ სოფლებს ფედოტ ელჩინი არ ასახელებს, თუმცა აღწერს სხვადასხვა საინტერესო შეხვედრებს. უფრო ზუსტ ცნობებს პავლე ზახარიევი გვაწვდის. მისი ანგარიშიდან ირკვევა, რომ რუსმა ელჩებმა ხუდონი 17 ნოემბერს დატოვეს და იმავე დღეს ჯვარში ჩავიდნენ; 20 ნოემბერს იმავე თემის სხვა სოფელში გადასულან, თუმცა 21 ნოემბერს კვლავ ჯვარში დაბრუნებულან, სადაც ლევან II დადიანის მიერ გაგზავნილ ცაიშის ეპისკოპოს ანდრიას, არქიმანდრიტ არტემონს, ეკონომოსის თანაშემწეს დემოგონია ბოგუჩინს, სტოლნიკ მოგელს და მწდე გულიკაკოს შეხვედრიან. ორივე ანგარიშში აღწერილია ეპისკოპოს ანდრიასთან სტუმრობა, გამართული საუბრები, აგრეთვე ტრაპეზი, რომელსაც ჩერქეზები მურზა ხოძიაკა და უზდენი პშუკაც ესწრებოდნენ (მღვდელი პავლე ზახარიევი).

22 ნოემბერს, როგორც მღვდელი პავლე წერს, ელჩები სოფელ ჯგალში არიან, სადაც ადამის მოდგმის შესახებ დისკუსია გაიმართა (ფედოტ ელჩინის ცნობით, ეს დისკუსია 23 ნოემბერს გაიმართა); ჯგალის ეკლესიაში არქიმანდრიტ არტემონის მიერ 23 ნოემბერს ჩატარებული წირვა, 24 ნოემბერს კი წყლის კურთხევა მღვდელ პავლეს დეტალურად აქვს აღწერილი. 26 ნოემბერს ეპისკოპოსმა ანდრიამ რუსი ელჩები ქრისტეშობის მონატერში წაიყვანა (ფედოტ ელჩინის აზრით, ეს 3 დეკემბერს მოხდა), რომელიც ჯგალიდან 4 კილომეტრით დაშორებულ სქურში მდებარეობდა (თამაზ ბერაძე. ოდიშის ისტორიული გეოგრაფიიდან XII-XVIIსს. სადისერტაციო ნაშრომი ისტ. მეც. კანდ. სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1967, გვ. 96). ორივე ელჩი აშკარად ცდება, როდესაც შობის

მონასტრის ეკვდერში დადებული ლოდის ქვეშ დადიანთა განსასვენებლის არსებობაზე მიუთითებს. როგორც ცნობილია, ასეთი განსასვენებელი წალენჯიხის მაცხოვრის საკათედრო ტაძრის ეკვდერში იყო და იგი დღემდე დაცულია.

ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარიევის ცნობით, 3 დეკემბერს, რუსი ელჩები სწორედ მაცხოვრის მონასტერში არიან. უეჭველად, ეს არის წალენჯიხის ისტორიული ტაძარი, სადაც რუსებმა უნიკალური ქრისტიანული სიწმინდეები იხილეს. მხოლოდ აქ ნახავდნენ ისინი დადიანების საძვალესაც. გასარკვევია ელჩების ადგილსამყოფელი 3 დეკემბრიდან 31 იანვრამდე. ფედოტ ელჩინის მონაცემებით, 3 დეკემბერს ისინი მაცხოვრის მონასტრიდან სოფელ ჟახარში გადაუყვანიათ, რომელიც მონასტრიდან 4 კილომეტრით ყოფილა დაშორებული. პავლე ზახარიევი კი წერს, რომ მაცხოვრის მონასტერში ჩამოსვლის დღესვე, ე.ი. 3 დეკემბერს, ელჩები სოფ. ცენაჟიგაში//წალენჯიხაში წაიყვანეს. თამაზ ბერაძის მოსაზრებით, ფ. ელჩინის ჟახარი ეს არის დღესაც არსებული სოფელი ჯაღრა, რომელიც წალენჯიხიდან 7 კილომეტრითაა დაშორებული (თამაზ ბერაძე. ოდიშის ისტორიული გეოგრაფიიდან, გვ. 97). სინამდვილეში, სოფელი ჯაღრა წალენჯიხიდან 12 კილომეტრითაა დაშორებული (პაატა ცხადაია. სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, I. წალენჯიხის რაიონი. თბ., 2004, გვ. 218). თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ 3 დეკემბრის შემდეგაც რუსი ელჩები სულ ცოტა ორჯერ მაინც (8 და 25 დეკემბერს) წალენჯიხის მაცხოვრის ტაძარში ღმრთისმსახურებას დაესწრნენ, ორ თვეზე მეტი ხნით მონასტრიდან ასე შორს მდებარე ჯაღრაში მათი დაბინავება სრულებითაც უნდა გამოირიცხოს. იმ ორი თვის განმავლობაში რუს ელჩებს წალენჯიხის მაცხოვრის ტაძრის გარდა სხვა ეკლესიაში არ უვლიათ მაშინ, როცა სოფელ ჯაღრაში, მით უმეტეს მეზობელ ობუჯში წმ. გიორგის სახელგანთქმული ეკლესია ფუნქციონირებდა, სადაც ოდიშის მთავართა საძვალეც ყოფილა (პაატა ცხადაია. სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, I. წალენჯიხის რაიონი, გვ. 119,194). ცნობილია ისიც, რომ მათ ცალ-ცალკე არ უცხოვრიათ. ეს ყოველივე მხოლოდ იმაზე შეიძლება მიუთითებდეს, რომ ფედოტ ელჩინის ჟახარი და პავლე ზახარიევის ცენაჟიგა ერთი და იგივე დასახლებული პუნქტია, იგივე წალენჯიხაა (მეგრული ფორმა - წენდიხა), რომლის სახელწოდება რუსებმა სხვადასხვანაირად დაამახინჯეს. ეტყობა, მეგრული წენდიხა (წენჯიხა) „ფ. ელჩინის კაცმა" ჩაიწერა რო-

გორც „ჟიხა“ - “ჟიხარ“ - “ჟახარ“; მღვდელმა პავლემ კი სოფლის სახელწოდება უმნიშვნელოდ დაამახინჯა: „წენდიხა“ = „ცენაჟიგა“. აშკარაა, რომ ორივე ელჩი (განსაკუთრებით მღვდელი პავლე) ტოპონიმის მეგრულ ფორმას იყენებს.

ამრიგად, 1639 წლის 3 დეკემბრიდან 1640 წლის 31 იანვრამდე რუსი ელჩები სოფელ წალენჯიხაში იმყოფებოდნენ და სოფლის განაპირას, დასახლებიდან დაახლოებით ოთხ კილომეტრში მდებარე მაცხოვრის ტაძარს რამდენჯერმე სტუმრობდნენ. წალენჯიხაში ყოფნის პერიოდში ფ. ელჩინმა არაერთი მისთვის საინტერესო ინფორმაცია მოიპოვა. კერძოდ, თარჯიმანმა ოსიპმა მას უამბო, რომ გურიის სამთავრო დადიანს ემორჩილება, მისი ყოფილი მფლობელი სიმონი კი ლევან II დადიანმა დასაჯა და იგი ამჟამად უგზო-უკვლოდაა დაკარგული. იმავე ინფორმატორის ცნობის საფუძველზე ფ. ელჩინის ანგარიშში წერია, რომ „ქართველ მეფეთა სამეფო თბილისშია“, რომელსაც შაჰის დანიშნული უფლისწული, ლევან მეორის სიძე როსტომი განაგებს. აღნიშნული ინფორმაცია ანგარიშში 3 Dდა 12 დეკემბერს შორის არის მოთავსებული და 1639 წლის 7 ნოემბრით თარიღდება, რაც აშკარა მექანიკური შეცდომაა - 7 ნოემბერს რუსი ელჩები ჯერ კიდევ სვანეთში სოფ. ისკარში იმყოფებოდნენ. დიდი ალბათობით, 7 ნოემბრის ნაცვლად ანგარიშში 7 დეკემბერი უნდა ეწეროს. იმავე ინფორმაციაში მეორე უზუსტობაცაა დაშვებული - სიმონ გურიელის დასჯის თარიღად 148 [1639] წელია მითითებული. სინამდვილეში, გურიის მფლობელის დასჯა დაახლოებით 1625 წელს მოხდა.

არ შეიძლება ყურადღება არ გამახვილდეს ფედოტ ელჩინის მიერ 1639 წლის 12 დეკემბრის მოკლე ჩანაწერის შემდეგ გაკეთებულ შენიშვნაზე იმის თაობაზე, რომ საქართველოში ახალი წელი „ ბასილის დღიდან“ იწყებოდა. რუსი ელჩი გულისხმობდა ბასილ დიდის ხსენების დღეს - 1 იანვარს. რუსეთში კი იმჟამად (1699 წლამდე) ახალი წელი პირველი სექტემბრიდან იწყებოდა. ფედოტ ელჩინი წერს, რომ 1 იანვარს, ანუ ახალ წელს მასთან „ადრე დილიდან მოდიოდნენ მოსალოცად“. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ადამიანები მეკვლეს როლს ასრულებდნენ, სტუმრებისადმი განსაკუთრებულ პატივისცემას გამოხატავდნენ, მათთან პროდუქტები და ხილი მოჰქონდათ. როგორც ფ.ელჩინი წერს, „თითოეულ კაცს ხელში ყველანაირი ჯიშის ხილის ნაყოფით მორთული ტოტი ეჭირა და გვითხრეს: ჩვენთან ასეა მიღებული, დღეიდან ახალი წელი იწყებაო“. რუსი ელჩის ამ ჩანაწერს ლ.ს. შეპელევა კულტურულ -ისტორიული მნიშვნ-

ელობის საინტერესო ფაქტს უწოდებს, „ყველანაირი ჯიშის ხილის ნაყოფით მორთულ ტოტს“ კი ჩიჩილაკად მიიჩნევს (Путешествия русских послов XVI-XVII веков, с.421), რაც სიმართლეს უნდა შეესაბამებოდეს.

ახალი, 1640 წლის დაწყებისა და მისი აღნიშვნის თაობაზე ფედოტ ელჩინის ნამდვილად საინტერესო ჩანაწერს ქრონოლოგიური ხასიათის მორიგი უზუსტობა, კერძოდ, გასული 1639 წლის 4 დეკემბრის ინფორმაცია მოსდევს. ეტყობა, ეს შეუსაბამობა მოსკოვში საელჩო პრიკაზშიც შენიშნეს და 4 დეკემბერი 4 იანვრით შეასწორეს, რაც ს. ბელოკუროვის, აგრეთვე ამ სტრიქონების ავტორის პუბლიკაციებში (წინამდებარე კრებულის ჩათვლით) სქოლიოშია მითითებული. იმ დღეს (4 იანვარს) ფ. ელჩინმა ლევან II დადიანის აზნაურ თავეი კუჩილიასგან პირველად შეიტყო, რომ მისი აუდიენცია დედოფლის გარდაცვალების გამო მგლოვიარე მთავართან მოგვიანებით შესდგებოდა. დედოფლის გარდაცვალების თაობაზე კი ფ. ელჩინმა პირველად 23 ნოემბერს ეპისკოპოს ანდრიასგან შეიტყო, თუმცა გარდაცვალების თარიღი არასწორად უნდა იყოს მითითებული. დედოფალი არა 147 [1639], არამედ 148 [1639] წელს გარდაიცვალა. 4 იანვრის შეხვედრაზე ფ. ელჩინმა სამეგრელო-თურქეთის ურთიერთობისა და ამ ურთიერთობაში კაზაკების როლის შესახებაც შეიტყო. რუსული ელჩობის მეორე წევრი პავლე ზახარიევი ამ საკითხებს საერთოდ არ ეხება. მის ანგარიშში დაწვრილებით არის აღწერილი წალენჯიხის მონასტერში დაცული ქრისტიანული სიწმინდეები, 8 და 25 დეკემბერს იქ გამართული ღვთისმსახურება, რომელიც მღვდელ იოანეს ჩაუტარებია. 8 დეკემბრის წირვას ლევანის აზნაური მანუჩარი (რომელიც, თურმე, წალენჯიხის მონასტერს პატრონობდა) და პრისტავი მოგელიც დასწრებიან.

დასაზუსტებელია რუსი ელჩების შემდეგი მარშრუტიც. ფედოტ ელჩინის მოკლე ცნობების მიხედვით, რუსები 31 იანვარს ჟახარიდან წამოვიდნენ და ღამის გასათევად სოფელ ბოჯში გაჩერდნენ, სადაც მათთვის უკვე ნაცნობ ეპისკოპოს ანდრიას შეხვდნენ; 1 თებერვალს ისინი სოფელ კეძში ჩავიდნენ, აქედან 2 თებერვალს გავიდნენ და სოფელ ფუდცქურს ესტუმრნენ, სადაც მთავრის სასახლე და ხის ეკლესია იდგა. უფრო ვრცელ ინფორმაციას გვაწვდის პავლე ზახარიევი. მისი მონაცემებით, ელჩები წალენჯიხიდან წამოვიდნენ (რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ჟახარისა და წალენჯიხის იგივეობას) და არა ბოჯში, არამედ კეძში ჩავიდნენ,

სადაც ქვის ტაძარი ნახეს; იმავე დღეს სოფელ ბოჯში მოვიდნენ და ეპისკოპოს ანდრიას შეხვდნენ; გაიმართა საუბარი დედოფლის გარდაცვალებაზე, ლევან მეორის გადამეტებულ გლოვაზე და მასთან დაკავშირებულ მძიმე მარხვაზე. მღვდელი პავლე აღწერს 2 თებერვალს მირქმის დღესასწაულზე სოფელ ბოჯის ხის ეკლესიაში გამართულ ღმრთისმსახურებას. ბოჯიდან ელჩები 2 თებერვალს წავიდნენ და იმავე დღეს პისკურში ჩავიდნენ.

რუსი ელჩების მიერ დასახელებული სამი სოფლიდან არავითარ ეჭვს არ იწვევს ფუდცქურის//პისკურის ლოკალიზაცია, რომელიც პირველად თავის ნაშრომში „ბედია და ბედიის ტაძარი“ წმინდა აღმსარებელმა ამბროსიმ (ხელაია) მოახდინა. იგი წერდა: „რუსეთის დესპანი ელჩინი იხსენებს ფუწყურის ეკლესიას. ის აშენებული ყოფილა სიმეონი მიმრქმელის სახელზე. ამ ეკლესიის ახლო ყოფილა ლევან II დადიანის სასახლე... უნდა ვიფიქროთ, რომ ელჩინისგან მოხსენებული სიმეონი მიმრქმელის ეკლესია არის ის, რომელსაც ახლა ფუწყურში აახლებენ ქართველი ბერები მღვდელმონაზონი დროთოეს (კაჭარავა) მეთაურობით, ხოლო დადიანი ლევანი მეორის სასახლე უნდა ყოფილიყო იმ გორაზე, რომელსაც ჰქონია შემოვლებული ქვითკირის გალავანი და სადაც ახლა არის ნანგრევები დიდის და მაგარის ციხისა“ (წმ. აღმსარებელი ამბროსი (ხელაია) და აფხაზეთი. კრებული შეადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ჯემალ გამახარიამ. თბ., 2006, გვ. 666-667). წმ. ამბროსის ეს სწორი დასკვნა სხვა ავტორების მიერაა დადასტურებული. ფუდცქური//პისკური ნამდვილად არის გალის რაიონის სოფელ წარჩეში შემავალი ისტორიული დასახლება ფუწყური (თამაზ ბერაძე. ოდიშის ისტორიული გეოგრაფიიდან, გვ. 98). დანარჩენი ორი სოფლის იდენტიფიცირებისას გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ წალენჯიხიდან წასული ელჩები აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიისაკენ მიემართებიან. შესაბამისად, სოფლები ბოჯი და კეძი (კეტზი) აუცილებლად წალენჯიხასა და ფუწყურს შორის უნდა ვეძიოთ.

ამ შემთხვევაში, ჩვენთვის საინტერესო სოფლების განსხვავებული თანმიმდევრობით დასახელება (ფ. ელჩინი: ბოჯი - კეძი - ფუწყური; პ. ზახარიევი: კეძი (კეტზი) - ბოჯი - ფუწყური) სერიოზული დამაბრკოლებელი ფაქტორი ვერ იქნება. ჩვენი აზრით, შეუძლებელია კეძის გაიგივება კიწიასთან, როგორც ამას მელიტონ კელენჯერიძე აკეთებს (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, მელიტონ კელენჯერიძის ფონდი, ს. 133, ფ. 65); სინამდვილეში, ეს უნდა

იყოს სოფელი კორცხელი. არქ. ლამბერტის რუკაზე იგი შემდეგნაირადაა აღნიშნული: Cozchen. ცნობილია ამ სოფლის სახელწოდების ოთხი ფორმა: კორცხელი, კოცხერი, კოცხური და კოზხენი (პაატა ცხადაია. სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, II. ზუგდიდის რაიონი. თბ., 2007, გვ 177). სწორედ, სოფლის სახელწოდების ეს უკანასკნელი ფორმა რუსმა ელჩებმაც თავისებურად (კოზხენი-კეძი-კეტზი) ჩაიწერეს. კორცხელში ლევან II დადიანს 1624-1639 წლებში ღმრთისმშობლის ტაძარი აუგია (პაატა ცხადაია. სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, II. ზუგდიდის რაიონი, გვ. 176). სწორედ, ეს ტაძარი ნახა პ. ზახარიევმა კეტზში ანუ კოზხენში: „ტაძარი იქ ქვისგან არის ნაგები", - ჩაიწერა ელჩმა თავის ანგარიშში.

მეორე სოფელი ბოჯი (ბოდჟი) ვერ იქნება ობუჯი, როგორც თამაზ ბერაძე ვარაუდობდა (**Материалы по церковной и этнополитической истории абхазии**, с. 76). ჯერ ერთი, წალენჯიხიდან ფუწყურში მიმავალ მგზავრებს, რომლებმაც კოზხენში გამოიარეს, ღამის გასათევად უკან ობუჯში ჩასვლა არანაირად არ დასჭირდებოდათ; მეორეც, ობუჯში XIII-XIV საუკუნეებში ქვისგან ნაშენი წმ. გიორგის ცნობილი ტაძარი ფუნქციონირებდა, ბოჯში კი პ. ზახარიევმა 2 თებერვალს ხისგან ნაშენი წმ. გიორგის ეკლესია ნახა. ეს სოფელი წალენჯიხა-კოზხენი-ფუწყურის გზაზე კოზხენსა და ფუწყურს შორის უნდა მდებარეობდეს. ყველა მონაცემით, ბოჯი უნდა იყოს სოფელი ბაში//ბაჟი, რომელიც, არქ. ლამბერტის 1654 წლის რუკის მიხედვით, რუხთან და კოზხენთან (კორცხელთან) ახლოს ენგურის პირას მდებარეობდა (დღეს სოფ. კორცხელის ნაწილია და მდ. ენგურს არ ესაზღვრება). როგორც ცნობილია, ასეთი სახელწოდების სოფელი სამტრედიის რაიონშიც არის და მისი ისტორიული სახელწოდებაა „ბაჟი". მდინარე რიონი, -წერდა ვახუშტი ბატონიშვილი, - „კახნიაურს ქუეით დამდორდების, და ბაჟს ქუეით ფრიად მდორე და განიერი ზღუამდე და უფროს ცხენის წყალს ქუეით განვრცელებული, რამეთუ ვლენან ნავებით ზღვიდამ ბაჟამდე, და იპყრობენ აქამდე ზუთხსაცა ჟამად" (ქართლის ცხოვრება, ტ. IV. თბ., 1973, გვ. 747). ვახუშტის მიერ ორჯერ ნახსენები ბაჟი არის თანამედროვე სოფელი ბაში სამტრედიის რაიონიდან. ზუგდიდის რაიონის სოფელ ბაშის ისტორიული სახელწოდებაც ბაჟი უნდა იყოს. არქ. ლამბერტის რუკაზე იგი შემდეგნაირადაა აღნიშნული: Bascis. ეტყობა, ამ ენგურისპირა სოფელში საბაჟო არსებობდა (ისევე როგორც სამტრედიის რაიონის სოფელ

ბაშში). აქ ლევან მეორის მიერ „ჩიჟიკარი“-ს ციხესიმაგრის აგებაც აღნიშნული ვერსიის სასარგებლოდ მეტყველებს. აგრეთვე ცნობილია, რომ ლევან მეორეს საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში სამთავროს ჩართვის ფართო გეგმები ჰქონდა (ილია ანთელავა. ლევან II დადიანი, გვ. 108-121). აღნიშნული გეგმის რეალიზაციისკენ გადადგმული ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი ანინდელ რუხში „ქალაქის“ გამართვა, იქ ებრაელი და სომეხი ვაჭრების დასახლება იყო, რის შესახებ მოკლე ცნობას ფ. ელჩინის ანგარიშიც შეიცავს (**Материалы по церковной и этнополитической истории Абхазии, с. 240**). სავსებით ლოგიკურია, სავაჭრო „ქალაქში“ ან მასთან ახლოს (ბაში//ბაჟი კი რუხის მიმდებარე სოფელი იყო და დღესაც არის) საბაჟოს არსებობაც.

ამრიგად, 1640 წლის 31 იანვარს წალენჯიხიდან წამოსულმა ელჩებმა ჯერ კორცხელი//კოზხენი გაიარეს, შემდეგ ბაშში//ბაჟში გადავიდნენ და 2 თებერვალს ფუწყურში ჩავიდნენ. ფ. ელჩინის ცნობა ამ სოფლის შესახებ „მეფის სასახლის გვერდით“ სვიმეონ ღმრთისმიმრქმელის სახელობის ხის ეკლესიის არსებობის აღნიშვნით შემოიფარგლება. პ. ზახარიევის ინფორმაცია კი უფრო ვრცელია და საინტერესო. იგი მოგვითხრობს ფუწყურის ეკლესიის შესახებ, აგრეთვე ლევან მეორის ხაზინის მცველთან, ყოფილ კაზაკთან ვასილ ბელორუსთან სამ თებერვალს გამართულ შეხვედრაზე. სწორედ, მისი რჩევით სამეგრელოს მთავარსა და დედოფალს ელჩის არა ლიტვაში, არამედ მოსკოვში გაგზავნა გადაუწყვეტიათ. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ვასილ ბელორუსი ელჩებთან შესახვედრად „დაბა ფუწყურიდან“ მოვიდა ანუ იქაური მაცხოვრებელი იყო და იქვე ხაზინაში მსახურობდა. ეს ფაქტი ფუწყურის სასახლეში და ციხე-სიმაგრეში (დაბაში) ლევან მეორის ხაზინის არსებობაზე უნდა მიუთითებდეს. სავარაუდოდ, აქვე უნდა ყოფილიყო განთავსებული ის ზარაფხანაც, რომლის შესახებ არქანჯელო ლამბერტი წერდა (არქ. ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა, გვ. 26).

სამეგრელოს სამთავროს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ანუ აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიაზე რუსი ელჩების მოგზაურობა საკმაოდ ვრცლად არის ელჩების ანგარიშებში ასახული. განსხვავება მათ შორის უმნიშვნელოა. ცნობები კი არ ეწინააღმდეგებიან, არამედ ავსებენ ერთმანეთს. ფ. ელჩინი ფუწყურიდან წამოსვლის თარიღს არ ასახელებს. იგი წერს, რომ 1640წ. 5 თებერვალს ეპისკოპოს ანდრიას თანხლებით რუსი ელჩები მდი-

ნარე მორგულის (მოქვის) შესართავთან შავი ზღვის სანაპიროზე გავიდნენ, სადაც გაიმართა საუბარი თურქეთთან და კაზაკებთან ურთიერთობის, თურქების მიერ 1637 წლის მაისში დრანდის მონასტრის დარბევის, რუსეთის ხელმწიფის ჩარევით კაზაკებთან ურთიერთობის მოწესრიგების შემთხვევაში საერთო მტერთან ერთობლივი ძალებით ბრძოლის შესახებ. 6 თებერვალს ელჩები დრანდის მონასტერში არიან და იქ დაცულ სინმინდეებს ათვალიერებენ. 7 თებერვლის ღამეს ფშეხაფში (ფშაფში), 8 თებერვლისას - კვიტოულში ათევენ, 9-10 თებერვალს მოქვის (სადაც აფხაზეთის კათალიკოს მაქსიმე I მაჭუტაძეს შეხვდნენ), ილორისა და ბედიის ტაძრებში არიან, იქაურ სიწმინდეებს და ხალხურ ტრადიციებს (გიორგობის დღესასწაული ილორში) ეცნობიან.

პავლე ზახარიევი უფრო ზუსტად აღწერს ფუწყურის შემდგომ მარშრუტს. მისი მონაცემებით, 4 თებერვალს ელჩებმა ფუწყური დატოვეს და იმავე დღეს სოფელ გამბლში=ღამბლში ჩავიდნენ. უეჭველად, ეს არის იმჟამინდელ ქართულ წყაროებში დაფიქსირებული სოფელი ღალიძგა//ღამბლი, რომელსაც შემდგომში ბესლახუბა ეწოდა. სოფელში ნამდვილად არსებობდა XVI საუკუნეში აგებული ქვის ეკლესია (Джемал Гамахария, Бадри Гогия. Абхазия - историческая область Грузия. Тб., 1997, с. 242; ჯემალ გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა. თბ., 2005, გვ. 222, 846), რომლის შესახებაც მღვდელი პავლე მოგვითხრობს. იმავე დღეს, ანუ 4 თებერვალს, - აგრძელებს პავლე ზახარიევი, - რუსები ღამბლიდან წამოვიდნენ და სოფელ მერკულაში ჩავიდნენ; მეორე დღეს, 5 თებერვალს, სოფელი დატოვეს და შავი ზღვის სანაპიროზე გავიდნენ. პავლე მღვდელიც ადასტურებს, რომ აქ გაიმართა სერიოზული საუბარი რუს ელჩებთან მნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხებზე, კერძოდ, თურქეთთან, კაზაკებთან, რუსეთთან ურთიერთობისა და საერთო მტრების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის შესახებ. პავლე ზახარიევის მიხედვითაც, ელჩებს გაუგრძელებიათ მოძრაობა ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით და 6 თებერვალს დრანდის მონასტერში, 8 თებერვალს კი მოქვის მონასტერში მისულან. ფშაფში და კვიტოულში ყოფნის შესახებ პავლე მღვდელი არაფერს ამბობს. მისი ინფორმაციით, 9 თებერვალს ელჩებმა მოქვი დატოვეს და ილორის წმ. გიორგის ტაძარში მივიდნენ, იმავე დღეს ბედიის მონასტერს ესტუმრნენ. ფ. ელჩინის ანგარიშთან შედარებით, პავლე ზახარიევის ინფორმაცია დრანდაში, მოქვში, ილორსა და ბედიაში ყოფნის თაობაზე უფრო

ვრცელი და საფუძვლიანია. ფ. ელჩინის ანგარიშიდან ბევრ სხვა საკითხთან ერთად ბედიის ეპისკოპოსის სახელსაც ვეცნობით - ევტიქი.

1640 წლის 10 თებერვალს ელჩებმა თანმხლებ პირებთან ერთად ბედია დატოვეს და 13 თებერვალს (ფ. ელჩინის მიხედვით კი 14 თებერვალს) ცაიშის სამების მონასტერს ესტუმრნენ, სადაც 17 თებერვლამდე იმყოფებოდნენ. თუ ფ. ელჩინი ცაიშში ყოფნის ფაქტის მხოლოდ აღნიშვნით შემოიფარგლება, პავლე ზახარიევი აღწერს მონასტერს, საუბრობს 16 თებერვალს ჩატარებული წირვისა და იმავე დღეს გამართული ტრაპეზის შესახებ. წირვას და ტრაპეზს ლევან II დადიანის ქვისლი როსტომი და ამ უკანასკნელის სიძე მეფლი ესწრებოდნენ.

17 თებერვალს რუსი ელჩები ცაიშიდან გავიდნენ და იმავე Dდღეს სოფელ ლეჯიქეში (თანამედროვე ჩხორონწყუს რაიონი) მოვიდნენ. ფ. ელჩინთან აღნიშნული სოფლის სახელწოდების სამ მეტ-ნაკლებად დამახინჯებულ ვარიანტს ვპოულობთ: დეჟიხი, ლეჟიხი, ჟეჟიხი. პავლე ზახარიევი მას ლეტჩიხას უწოდებს. თამაზ ბერაძის აზრით, რომელსაც ჩვენც ვიზიარებთ, ეს არის სოფელი ლეჯიქე (თამაზ ბერაძე. ოდიშის ისტორიული გეოგრაფიიდან, გვ 101).

17 თებერვალს ლეჯიქეში ჩასვლის შემდეგ თავის პირველ ინფორმაციას ფედოტ ელჩინი 23 მარტით ათარიღებს, მას 1 მარტისა და ისევ 23 მარტის ინფორმაციები მოსდევს. ამ შეუსაბამობით, აგრეთვე ორივე ელჩის ანგარიშების სათანადო მონაკვეთების შეჯერებით მარტივად დგინდება, რომ ფ. ელჩინის პირველი ინფორმაცია ლეჯიქეში ყოფნის თაობაზე არა 23 მარტით, არამედ 23 თებერვლით უნდა დათარიღდეს (ისევ და ისევ ადგილი აქვს მექანიკურ შეცდომას). სწორედ ამ დღეს ფედოტთან ლევან მეორის სასახლის ეკონომოსმა დომენტიმ ისაუბრა და რუს ელჩს მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიაწოდა პოლიტიკურ, კერძოდ, რუსეთთან და კაზაკებთან ურთიერთობის საკითხებზე. ითქვა, რომ მოსკოვში გაგზავნილი ელჩის მიზანს რუსეთის სახელმწიფოს, მისი მართლმადიდებლური ქრისტიანობის გაცნობა და კაზაკებთან ურთიერთობების დალაგება წარმოადგენდა. სინამდვილეში კი, მოსკოვში ნახევარ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში მყოფ გაბრიელ გეგენავას კაზაკთა თემაზე არც ერთხელ არ უსაუბრია. ეტყობა, სამეგრელოსთვის ამ რეალურად არსებულმა პრობლემამ რუს ელჩებთან საუბრისას მეტი აქტუალობა იმიტომ შეიძინა, რომ

მოლაპარაკებებმა მთავარი პოლიტიკური საკითხების (რუსეთის მფარველობის ქვეშ საქართველოს - ივერიის ქვეყნის გაერთიანება და ა.შ) ირგვლივ, არახელსაყრელი საერთაშორისო ვითარების გამო, აზრი დაკარგეს. შესაბამისად, ჩამოსულ რუს ელჩებთან შედარებით მეორე ხარისხოვან საკითხებს იხილავდნენ.

ფ. ელჩინმა მიიღო დამატებითი ინფორმაცია გარდაცვლილ დედოფალზე, მისი გარდაცვალებით გამოწვეულ გადამეტებულ გლოვაზე, ყოფილ მთავარზე მანუჩარ დადიანზე, გიორგი ლიპარტიანზე (რომელსაც მისმა აღზრდილმა ძმისშვილმა ლევან მეორემ მეუღლე წაართვა), მთავრის ოჯახზე, შვილებზე და გერებზე. ფედოტ ელჩინისთვის ცნობილი გახდა ისიც, რომ 1 მარტს ლევან მეორემ ყაბარდოელ ალეგუკა მურზასთან შუამავლად აზნაური თავეი კუჩალია გააგზავნა, რათა უფროსი ვაჟისთვის ალექსანდრესთვის მისი ქალიშვილის ხელი ეთხოვა. საკმაოდ საინტერესოა 23 მარტით დათარიღებული ინფორმაცია 5 წლის წინ ზუგდიდში ჩამოსული ირანული ელჩობის წევრთან და იმ დროიდან სამეგრელოში მცხოვრებ ყიზილბაშ ბეისრიაკუმლთან ფედოტ ელჩინის შეხვედრისა და მათ შორის პოლიტიკურ თემებზე გამართული საუბრების შესახებ. ცხადზე უცხადესია, ეს იყო სპეციალურად მოწყობილი შეხვედრა (ისევე როგორც ბევრი სხვა შეხვედრა), რათა რუსები დარწმუნებულიყვნენ, რომ ლევან დადიანი ურთიერთობს არა რუსეთის მტერ თურქეთთან, როგორც მას მოწინააღმდეგეები აბრალებდნენ, არამედ მოსკოვისთვის უფრო მისაღებ ირანთან.

პავლე ზახარიევის იმავე პერიოდის ანგარიშიც მეტად ღირებულ ინფორმაციას შეიცავს. იგი რამდენადმე განსხვავდება, მაგრამ წინააღმდეგობაში არ მოდის ფ. ელჩინის ანგარიშთან. მღვდელ პავლესთან დაზუსტებულია, რომ ელჩებს ლეჯიქეში 2 კვირა უცხოვრიათ. ფ. ელჩინის წინააღმდეგ დაწერილ საჩივარში (თავი მეთოთხმეტე), როგორც ამის თაობაზე ზემოთ უკვე ითქვა, ის ორი კვირა რუსმა ელჩებმა სოფელ ლეჯიქეში მცხოვრებ ჯგირკოჩას სახლში გაატარეს. 1 მარტს სტუმრები ლეჯიქეს თემის სხვა სოფელში (რომლის დასახელება მითითებული არ არის) გადაუყვანიათ და მთელი სამი კვირით მახუტიას სახლში დაუბინავებიათ. ლეჯიქეში ყოფნის პერიოდის ინფორმაციები პავლე ზახარიევს 23 თებერვლითა და 1 მარტით აქვს დათარიღებული. 17 თებერვლიდან 1 მარტამდე ელჩებზე ყოველდღე პრისტავი (მიჩენილი პირი) დემეგონია ბოგუჩინი (ბოკუჩავა?) ზრუნავდა. ამ პიროვნებას მღვდელი პავლე მეორედ ასახელებს. რუს ელჩებს

პირველად ის ჯვარში 1639 წლის 21 ნოემბერს შეხვდა ეკონომოსის თანაშემწის (подклюшник) სტატუსით (მოიხსენიებს დემოგონიას სახელით), ამჯერად კი პრისტავის სტატუსით იმავე ელჩებს ემსახურება. დიდი ალბათობით, ელჩინისეული მთავრის სასახლის ეკონომოსი დემენტი (დომენტი) და ზახარიევისეული ჯერ ეკონომოსის თანაშემწე, შემდგომში კი პრისტავი დემეგონია (თუ დემოგონია) ბოგუჩინი ერთი და იგივე პიროვნებაა. სწორედ მისგან შეიტყო პაველე მღვდელმა და საკუთარ ანგარიშში ასახა ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ როგორ ჩაიგდო ხელში ლევან მეორემ უფლის ეკლიანი გვირგვინი, სამსჭვალი და თოკი. Mმანვე უამბო რუს ელჩს ლევან მეორესა და მის მეუღლეს შორის დადებული ფიცის შესახებ, რის საფუძველზეც მთავარი დედოფლის გარდაცვალების გამო გადაჭარბებულ გლოვას მიეცა.

1 მარტს, როდესაც ელჩები ლეჯიქეს თემის ჩვენთვის უცნობ „სხვა სოფელში“ იმყოფებოდნენ, პავლე მღვდელმა სამეგრელოში მცხოვრებ, სავარაუდოდ, კიდევ ერთი კაზაკისგან მიხეილ ბელორუსისგან მიიღო ღირებული ინფორმაცია ლევან II-ის პირადი და ოჯახური ცხოვრების, აგრეთვე სამეგრელოს არცთუ სახარბიელო სარწმუნოებრივი მდგომარეობის შესახებ, რასაც თავად ელჩიც ეთანხმება. ამ შემთხვევაში მიწოდებულ ინფორმაციაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია თვით მიხეილ ბელორუსის პიროვნება. ცხადია, დაცვის ქვეშ მყოფ რუს ელჩებთან შემთხვევით ვერავინ მივიდოდა. ამიტომ თამამად შეიძლება ითქვას, რომ მიხეილ ბელორუსი, უფრო ადრე, 3 თებერვალს, ფუწყურში გაცნობილი ლევან დადიანის ხაზინის მცველი ვასილ ბელორუსი, ყიზილბაშ ბეისრიაკუმლის მსგავსად, მიგზავნილი პიროვნებები იყვნენ. სამეგრელოში ცხოვრების, მთავართან და სამთავროს მმართველ წრეებთან ახლოს ყოფნის თვით ფაქტის დემონსტრირებით რუსებისთვის საქმით უნდა ეჩვენებინათ ლევან მეორის კეთილი განწყობა რუსეთის ინტერესებისთვის თურქეთის წინააღმდეგ მებრძოლი კაზაკების მიმართ.

ორივე ელჩი ერთხმად აღნიშნავს, რომ 1640 წლის 23 მარტს მათ დატოვეს ლეჯიქე და არა ის „სხვა სოფელი“, სადაც 1 მარტიდან მახუტიას სახლში ცხოვრობდნენ. ჩხოროწყუს რაიონში დღემდეა შემორჩენილი მახუტიას სახელთან დაკავშირებული რამდენიმე ძველი მიკროტოპონიმი: ხობისწყლის ზემო წელშია „მახუტიაში კარე“ („მახუტიას კარავი“); ჭოლაში - „მახუტიაში ნაყუდუ“ („მახუტიას ნასახლარი“) და „მახუტიაში ნოხორი“ („მახუტიას ყოფილი

სამოსახლო"); ლეჯიქეს მოსაზღვრე სოფელ ახუთში, კერძოდ, საჩიტაიოშია „მახუტიაში წყუ" („მახუტიას წყარო"), იქვე მეზობელ ლესიჭინეში კი - „მახუტიაში უბანი" (პაატა ცხადაია. სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, IV. ჩხოროწყუს რაიონი. თბ., 2008, გვ. 211). მართალია, სამეგრელოს ონომასტიკონში „მახუტია" დიდი იშვიათობა არ არის, მაგრამ ამ შემთხვევაში საქმე უნდა გვქონდეს ერთ საკმაოდ მდიდარ და გავლენიან ადამიანთან, რომელსაც 1640 წლის 1-23 მარტს რუსი ელჩების დაბინავება მიანდეს; ეს პიროვნება პავლე ზახარიევის საჩივარშიც არის ჯგირკოჩასთან ერთად მოხსენიებული (თავი მეთოთხმეტე), ლევან მეორეს მისი დასჯა - ქონების ჩამორთმევა ნდომებია, მაგრამ მაშინ მთავრის წინაშე ფედოტ ელჩინის შუამდგომლობამ გადაარჩინა (სავარაუდოდ, ამის შემდეგ დაევალა მას რამდენიმე კვირის განმავლობაში მოსკოველი სტუმრებისთვის ემასპინძლა). მახუტიას პოპულარობას უსათუოდ ხელს შეუწყობდა როგორც ლევან მეორესთან დაძაბული ურთიერთობა, ისე მის ოჯახში რუსი ელჩების სამკვირიანი სტუმრობა, აგრეთვე მის მფლობელობაში მყოფი დიდძალი ქონება, რომელიც მთავართან დაპირისპირების მიუხედავად, მაინც შეინარჩუნა. ამიტომაც შთამომავლობამ საუკუნეების მანძილზე შემოინახა და მიკროტოპონიმებში ასახა მახუტიას სახელი. ლეჯიქეს თემის „სხვა სოფელი", სადაც იგი ცხოვრობდა და რუს ელჩებს მასპინძლობდა, თანამედროვე სოფელი ლესიჭინე უნდა იყოს. „მახუტიას უბანი" სწორედ ამ სოფელში მდებარეობს. ხალხური გადმოცემითაც, ადგილობრივი სიჭინავების ერთ-ერთ წინაპრად მახუტია ითვლება (პაატა ცხადაია. სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, IV. ჩხოროწყუს რაიონი, გვ. 211). ეტყობა, ლეჯიქე, რომელიც ამჟამად ქვედა ჩხოროწყუს ერთ-ერთი უბანია, XVII საუკუნეში დიდი სოფელი იყო, რომელიც რამდენიმე სოფელს მოიცავდა.

ამრიგად, 1640 წლის 23 მარტს რუსი ელჩები ლეჯიქედან, უფრო სწორად, ლეჯიქეს თემში შემავალი დღევანდელი ლესიჭინედან წამოვიდნენ. ფ. ელჩინის ანგარიშში ნათქვამია: „ჟეჟიხიდან 23 მარტს წავედით. ჟიუგიდან კი 26 მარტს წავედით და მორდულის ყოვლადწმინდა ღმრთისმშობლის მონასტერში მიტროპოლიტ მიტროფანესთან მივედით". პ. ზახარიევის ინფორმაცია რამდენადმე განსხვავებულია. იგი წერს: „23 მარტს ლეტჩიხი დავტოვეთ და იმავე დღეს აზუბში მივედით... აზუბიდან 27 მარტს გავედით. 28 მარტს პანზაში მივედით. პანზიდან 29 მარტს წავედით. იმავე დღეს ჭყონდიდის მონასტერში მიტროპოლიტ მიტროფანესთან მი-

ვედით". პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ფ. ელჩინის მორდულის ანუ მარტვილის მონასტერი და პ. ზახარიევის ჭყონდიდის მონასტერი ერთი და იგივე ისტორიული ტაძარია, ჭყონდიდელთა საბრძანებელია. პ. ზახარიევის პანზის ლოკალიზაციაც არავითარ ეჭვს არ იწვევს - ეს არის სოფელი ბანძა (თ. ბერაძე. ოდიშის ისტორიული გეოგრაფიიდან, გვ. 101). არქ. ლამბერტის რუკაზეც იგი სწორედ Panzas-ს ფორმით არის აღნიშნული. ასევე დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ფ. ელჩინის ჟიუგი და პ. ზახარიევის აზუბი ერთი და იგივე სოფელია. ყოველგვარი ეჭვის გარეშე, აზუბი ეს არის ლეჯიქესთან ახლომდებარე სოფელი ზუბი, რომელიც ამჟამად ხობის რაიონის სოფელ ახალი ხიბულას თემში შედის. არქ. ლამბერტის რუკაზე იგი Zubis-ს ფორმითაა დაფიქსირებული. ორივე ელჩის ანგარიშიდან კარგად ჩანს, რომ მათ მუდმივად ერთად დაატარებდნენ, ერთად აბინავებდნენ. ამჯერადაც ისინი ერთ სოფელში იმყოფებოდნენ, რომელსაც ფ. ელჩინი ჟიუგს, პ. ზახარიევი კი აზუბის უწოდებს. ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც რუსი ელჩები ერთსა და იმავე დასახლებულ პუნქტს სრულიად განსხვავებული ფონეტიკური ჟღერადობის ტოპონიმებით მოიხსენიებენ, მაგალითად: ჟახარი და ცენაჟიგა (წალენჯიხა), დეჟიხი//ჟეჟიხი და ლეტჩიხა (ლეჯიქე) და ა.შ. ჟიუგისა და აზუბის იგივეობაზე ის ფაქტიც მიუთითებს, რომ 25 მარტს ლევან მეორემ ფედოტ ელჩინს და მის თანმხლებ პირებს სწორედ აზუბში გაუგზავნა 8 თოხარიკი ცხენი და არა სხვაგან; აქედან გავიდნენ ელჩები მარტვილის მიმართულებითაც. აზუბის გაიგივება ახუთთან, ხოლო ჟიუგისა - ჯოლევთან (თამაზ ბერაძე. ოდიშის ისტორიული გეოგრაფიიდან, გვ. 102) შეუძლებელია. აბედათის თემში შემავალი ჯოლევი მარტვილიდან მხოლოდ 8 კილომეტრითაა დაშორებული. თუ მას ფ. ელჩინის ჟიუგთან გავაიგივებთ, საიდანაც რუსი ელჩები 26 მარტს წავიდნენ და მარტვილში ჩავიდნენ, მაშინ პასუხგაუცემელი რჩება კითხვა: ასეთი მოკლე მანძილის (8 კილომეტრის) თოხარიკი ცხენებით დაფარვას 3 დღე-ღამე რაში დასჭირდა (ელჩები მარტვილში 29 მარტს ჩავიდნენ)? დასმულ კითხვაზე დამაჯერებელი პასუხი არ არსებობს. პასუხი მხოლოდ ის შეიძლება იყოს, რომ მარშრუტი ზუბი-ჯოლევი-მარტვილი არის გამორიცხული. ჯერ ერთი, ამგვარ მარშრუტში არანაირად არ თავსდება სოფელი ბანძა, რომელიც რუსებმა უეჭველად გაიარეს. მეორეც, ჯოლევიდან უშუალოდ მარტვილის მიმართულებით გზა XVII საუკუნის შუახანებში, ალბათ, არც არსებობდა, ან იყო გაუვალი და

მხოლოდ მოსახლეობის დაბალი ფენები იყენებდნენ (სამეგრელოში არსებობდა როგორც გლეხის გზა, ისე ცალკე დადიანის გზა. - იხ.: პაატა ცხადაია. სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, III. ხობის რაიონი, ქ. ფოთი. თბ., 2007, გვ. 6). ზუბიდან წამოსული რუსი ელჩები, უნდა ვივარაუდოთ, ნოქალაქევი - გორდის დამაკავშირებელ, შედარებით კეთილმოწყობილ და უსაფრთხო „დადიანის გზაზე“ (პაატა ცხადაია. სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, V. მარტვილის რაიონი, გვ.13) გაიყვანეს და ორდღიანი (27-28 მარტი) მგზავრობის შემდეგ მარტვილიდან 12 კილომეტრით დაშორებულ ბანძაში (პაატა ცხადაია. სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, V. მარტვილის რაიონი, გვ. 13) მიიყვანეს. აქ ელჩებმა შეისვენეს და მეორე დღეს (29 მარტს) მარტვილში ჩავიდნენ. ამრიგად, აზუბის ახუთი ან, ხოლო ჟიუგის ჯოლევთან იდენტიფიცირება შეუძლებელია, თუმცა ბანძისკენ მიმავალმა რუსმა ელჩებმა, დიდი ალბათობით, ბევრ სხვა პუნქტთან ერთად (რომლებიც ანგარიშებში ვერ მოხვდნენ) ჯოლევიც გაიარეს, რომელიც ბანძიდან სულ რაღაც 4 კილომეტრითაა დაშორებული.

ამრიგად, აზუბის ახუთთან, ხოლო ჟიუგის ჯოლევთან იდენტიფიცირება პავლე ზახარიევის ცნობებზე დაყრდნობით ვერ ხერხდება, საიდანაც ირკვევა, რომ 1640 წლის 23-29 მარტს რუსი ელჩები მოძრაობდნენ მარშრუტით: ლეჯიქე-ზუბი-ბანძა-მარტვილი|| ჭყონდიდი.

დადგენილია, რომ რუსი ელჩების მარტვილში, ჭყონდიდის მონასტერში ჩასვლის დღეს 1640 წლის 29 მარტს მართლმადიდებელი სამყარო, მათ შორის საქართველოც და რუსეთიც, ბზობის დღესასწაულს აღნიშნავდა. ამიტომაც ჭყონდიდის მიტროპოლიტი მიტროფანე სტუმრებს შემოსილი, სახარებით ხელში მიეგება და წირვაც თვითონვე დააყენა. ფ. ელჩინისა და პ. ზახარიევის ანგარიშებში აღწერილია ჭყონდიდის საკათედრო ტაძარი. მათი მეშვეობით ვეცნობით ისტორიულ პიროვნებას, ქართველ სასულიერო მოღვაწეს მიტროპოლიტ მიტროფანეს, რომელსაც ადრე 12 წელი წმ. მთაზე უმსახურია, მიტროპოლიტობა კი 1621-1638 წლებში კონსტანტინოპოლის პატრიარქის კირილეს ხელდასხმით მიუღია. მიუხედავად იმისა, რომ მიტროპოლიტი დიდი განსწავლულობით არ გამოირჩეოდა (არ იცოდა, ქრისტე როდის იშვა, წმ. ნინომ საქართველო როდის მოაქცია, სად განისვენებს და ა.შ.), მიტროფანე ჭყონდიდელის სახით საკმაოდ საინტერესო პიროვნება იკვეთება. ელჩების ანგარიშებში დიდი ყურადღება ეთმობა

ჭყონდიდის ტაძარში ჩატარებული წინასააღდგომო და 5 აპრილის სააღდგომო ღმრთისმსახურებათა შეფასებას, მოთხრობილია დიდ პარასკევს გამოტანილი სიწმინდეების შესახებ, რომელთა შორის ახალშობილი ქრისტეს ძებნისას ჰეროდეს მიერ ბეთლემში დახოცილი ერთ-ერთი ჩვილის პერანგიც ყოფილა. მიტროპოლიტ მიტროფანესა და რუს სტუმრებს შორის გამართული დიალოგები, რომლებმაც ასევე ასახვა პოვეს ელჩების ანგარიშებში, რუსეთისა და საქართველოს მოქცევის თემას, რუსეთის მეფეთა გენეალოგიას (რომელსაც პავლე მღვდელი სრულიად უსაფუძვლოდ, მაგრამ მიზანმიმართულად რომის კეისრებთან აკავშირებდა) და სხვა საკითხებს შეეხებოდა. მათ აგრეთვე ვრცლად ისაუბრეს და მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატეს რომის პაპისადმი, ზოგადად კათოლიციზმისადმი. ფ. ელჩინს მარტვილში შეუტყვია 1640 წლის თებერვალში თურქეთის სულთანის გარდაცვალებისა და მისი ადგილმონაცლის ტახტზე ასვლის თაობაზე, რაც თავის ანგარიშშიც ასახა.

1640 წლის 7 აპრილს, ორივე ელჩის ცნობით, ისინი ჭყონდიდის საკათედრო ტაძრიდან წმ. გიორგის მონასტერში გადაიყვანეს, რომლის სახელწოდებასაც თავიანთ ანგარიშებში არ უთითებენ. არავითარ ეჭვს არ იწვევს, რომ საუბარია სუჯუნის ცნობილ მონასტერზე, რომელიც ასევე ჭყონდიდელებს ეკუთვნოდათ და მათ საზამთრო რეზიდენციას წარმოადგენდა (თამაზ ბერაძე. ოდიშის ოსტორიული გეოგრაფიიდან, გვ. 102-103; სერგი მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 372). მიტროპოლიტი მიტროფანე აქაც რუს ელჩებთან ერთად იმყოფებოდა, მათთან სხვადასხვა თემებზე საუბრობდა. პ. ზახარიევი კი ყოველივე ამას თავის ანგარიშში იწერდა (სუჯუნაში გამართული დიალოგების შესახებ ფ. ელჩინი ინფორმაციას არ იძლევა).

10 აპრილს მიტროპოლიტი მიტროფანე რუსებს ივერიის ღმრთისმშობლის ხატის სასწაულებით აღსავსე ისტორიას (უფრო სწორად, ერთ-ერთ ლეგენდას ამ ხატის შესახებ) უყვება, რომელიც VIIIს. 20-იანი წლებიდან IXს. 40-იან წლებამდე ბიზანტიის იმპერიაში ხატმებრძოლთა მმართველობის ხანას უკავშირებდა. ამის საპასუხოდ პავლე მღვდელმა წმ. ანტონ რომაელის (გარდაცვლილია 1147წ.) ნოვგოროდში ჩასვლაზე და მის სასწაულებზე მოკლედ ისაუბრა. რუსი ელჩის დიალოგი ჭყონდიდელ მიტროპოლიტთან 17 აპრილსაც გაგრძელდა. მიტროპოლიტი მიტროფანე საქართველოს წინააღმდეგ ირანის შაჰის (სავარაუდოდ შაჰ-აბას I-ის) ერთ-ერთ

ლაშქრობას იხსენებს, რომელიც მისი წმ. მთაზე ყოფნის პერიოდში მომხდარა და რომლის შედეგად მიტროპოლიტის ბევრი ნათესავი დაღუპულა, ბევრი ტყვედ წაუყვანიათ (სავარაუდოდ, 1616 ან 1625 წლის ლაშქრობაზე უნდა იყოს საუბარი). საქართველოში დაბრუნებულმა მიტროპოლიტმა მიტროფანემ ეს ამბავი როცა შეიტყო, შაჰს ეახლა და ნათესავების გათავისუფლება სთხოვა. შაჰი ქრისტეთი და ქრისტიანული სარწმუნოებით დაინტერესებულა. ქართველმა მიტროპოლიტმა ეს ინტერესი მას დაუკმაყოფილა, რის შემდეგაც შაჰმა და მისმა ყაენებმა თითქოს განაცხადეს, ქართველთა „სარწმუნოება საუკეთესოა"-ო. მიტროპოლიტ მიტროფანეს მონაყოლით მოხიბლულ შაჰს მისი ნათესავები და ბევრიც სხვა, სულ 300 კაცი გაუთავისუფლებია და საქართველოში გამოუსტუმრებია.

უცხოტომელთა და არაქრისტიანთა მხრიდან მართლმადიდებელი სარწმუნოების, ქრისტიან სასწაულმოქმედთა თაყვანისცემის მაგალითი პავლე მღვდელსაც გაუხსენებია. ვლადიმირისა და მოსკოვის დიდი მთავრის დიმიტრი დონელის მმართველობის პერიოდში (1362-1389წწ.) მონღოლთა ყაენის თხოვნით, ოქროს ურდოში სრულიად რუსეთის მიტროპოლიტი ალექსი სასწაულმოქმედი ჩასულა და თავისი ლოცვებით ყაენის დაბრმავებული მეუღლისთვის მხედველობა აღუდგენია. ამისათვის ყაენსა და მის განკურნებულ მეუღლეს მიტროპოლიტი ოქრო-ვერცხლითა და მამულებით დაუჯილდოვებია. გარდაცვალების შემდეგაც (1378წ.) ალექსი მიტროპოლიტის უხრწნელი სხეული, რომელიც მოსკოვის ჩუდოვის მონასტერში განისვენებდა, სასწაულებს ახდენდა.

1640 წლის 19 აპრილს რუსი ელჩები სუჯუნის მონასტერში ჩატარებულ წირვას დასწრებიან, რომელიც მღვდელ მახარებელს ჩაუტარებია. მწირველის მოქმედებების მიმართ მღვდელი პავლე თავის ანგარიშში გარკვეულ შენიშვნებს გამოსთქვამს. მისივე ცნობით, სუჯუნაში იმ დღეს ლევან II-ის ცოლის ძმა პეპუკა ჭილაძეც იმყოფებოდა, რომელიც ადრე ეპისკოპოსი ყოფილა, მაგრამ ოჯახის შექმნა გადაუწყვეტია და ამიტომ გაკრეჭილა.

პავლე ზახარიევი ვრცელ ინფორმაციას გვაწვდის 21-23 აპრილს სუჯუნის მონასტერში გამართული წმ. გიორგის ხატის (ხატობის) დღესასწაულის, ხალხმრავალი ყოველწლიური შეკრების შესახებ, რომელსაც აფხაზეთის კათალიკოსი მაქსიმე I (მაჭუტაძე), ჭყონდიდელი მიტროპოლიტი მიტროფანე, ტრაპიზონის მიტროპოლიტი კირილე, ვახტანგ გურიელი (ლევან II-ის მძახალი და არა ქვისლი,

როგორც პავლე მღვდელი შეცდომით წერს), როსტომი (ის იყო ლევან II-ის ქვისლი, 13-17 თებერვალს რუს ელჩებს პირველად ცაიშში შეხვდა), თავადაზნაურობის სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ. რუსი ელჩები უცნაური სანახაობის მოწმენი გამხდარან. ტაძრის თავზე ასული გლეხი საათობით ხმამაღლა ლაპარაკობდა და მას დიდძალი ხალხი ყურადღებით უსმენდა. შემდეგ ამტყდარა ხმაური, ადამიანები კედლებზე ლურსმნებს აჭედებდნენ და სხვადასხვა იარაღით ურტყამდნენ. თურმე ეს ყოფილა ვედრება წმ. გიორგის მიმართ, რათა მან ქურდები დასაჯოს. ელჩებმა გაარკვიეს, რომ ამ ტრადიციულ სახალხო კრებაზე ტაძრის თავზე ასული „წინასწარმეტყველი“ ქვეყნიერებას წმ. გიორგის „დანაბარებს“ ატყობინებდა - იქნებოდა თუ არა მიმდინარე წელი მშვიდობიანი, მოსავლიანი, ვის რა ბედი ელოდა და ა.შ. რუს ელჩებს, აგრეთვე მიტროპოლიტ მიტროფანეს ეს ყველაფერი არაქრისტიანულ, ეშმაკისეულ რიტუალად მიუჩნევიათ. იგივე შინაარსისა და სულისკვეთების მოკლე ჩანაწერია გაკეთებული ფ. ელჩინის 23 აპრილის ანგარიშშიც, რომელიც ავსებს პავლე ზახარიევის ინფორმაციას. ამ უკანასკნელის 25 აპრილის ანგარიშში მოტანილია საუბარი მოსკოვში ელჩად ნამყოფ მღვდელ გაბრიელთან, რომელიც მღვდელ მახარებლის მიერ სუჯუნაში 19 აპრილს ჩატარებული წირვისას თითქოს დაშვებულ კანონიკურ გადაცდომებსა და რუსი ელჩებისთვის მიუღებელი 21-23 აპრილს გამართული რელიგიური სახალხო ზეიმის შეფასებას შეეხება. მღვდელმა გაბრიელმა აღნიშნა, რომ იმ „წინასწარმეტყველის“ სიტყვები ყოველთვის მართლდება. აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ რუსი ელჩებისაგან განსხვავებით, ანტიოქიის პატრიარქი მაკარი, რომელიც 1664-1665 წლებში პირადად ესაუბრა „წინასწარმეტყველს“ სუჯუნიდან, წერდა, რომ სჯეროდა მისი, „იმდენად გულუბრყვილო იყო, რამეთუ „სასწაულნი ღმრთისა მის წმინდანთა წიაღშია“ და კიდევ: „ღმერთი მაღალიმც გაიხარებს თავისი ქმნილებით“. ამ კაცის ყველა სიტყვა წარმოადგენს ქადაგებას, რომ ადამიანმა კეთილი საქმე აკეთოს და ცოდვები მოინანიოს. ამ ქადაგებაში არაფერი ცუდი არ არის“ (მაკარი ანტიოქელი. ცნობები საქართველოს შესახებ. - არმაღანი. აღმოსავლური მწერლობის ნიმუშები. შემდგენელი მაგალი თოდუა. თბ., 1982, გვ. 121.

რუსი ელჩები ლევან მეორემ სამეგრელოში მათი ჩამოსვლის დღიდან მხოლოდ ხუთნახევარი თვის შემდეგ 1640 წლის 27 აპრილს, ორშაბათ დღეს მიიღო. საბაბად, როგორც ვიცით, დედოფლის

გარდაცვალებასთან დაკავშირებული ხანგრძლივი გლოვა იქნა გამოყენებული, რაც მთლად დამაჯერებლად არ გამოიყურება. სამეგრელოს მთავრისთვის ბევრად უფრო სერიოზულ შემაკავებელ ფაქტორს ჯერ კიდევ რუსი ელჩების ჩამოსვლამდე 1639 წლის მაისში თურქეთსა და ირანს შორის დადებული ზოჰაბის ზავი წარმოადგენდა, რომლის ძალითაც ორივე სახელმწიფომ სადავო ტერიტორიები, მათ შორის საქართველო კიდევ ერთხელ გადაინანილა; დასავლეთ საქართველო კვლავ თურქეთს ერგო, აღმოსავლეთი - ირანს. შესაბამისად, იმ ეტაპზე საქართველოს გაერთიანების შანსიც ნულამდე დავიდა. ერთი სიტყვით, თურქეთ-ირანის ომის მორიგებით დასრულდება, დასავლეთ საქართველოში თურქეთის პოზიციების განმტკიცება და აქედან მომდინარე საფრთხე სამეგრელოსთვის უნდა მივიჩნიოთ ლევან მეორის გეგმების შეცვლის, მის მიერ რუსი ელჩების ცივად და დაგვიანებით მიღების უმთავრეს მიზეზად. სამეგრელოში მათ ჩამოსვლამდეც და შემდგომ პერიოდშიც ლევან II არა იმდენად გარდაცვლილ მეუღლეს გლოვობდა, არამედ, უპირველეს ყოვლისა, საქართველოში და მის ირგვლივ მოვლენების განვითარებას ყურადღებით აკვირდებოდა, სწავლობდა, სათანადო გადაწყვეტილებებსაც ამის მიხედვით იღებდა. რუსი ელჩების მიღებაც სამეგრელოს მთავარმა მაშინ გადაწყვიტა, როცა იმ ეტაპზე რუსეთთან ურთიერთობის საკითხში საბოლოოდ ჩამოყალიბდა. ლევან მეორემ მშვენივრად იცოდა, რომ რუსეთის ფორმალური ქვეშევრდომობა თურქეთის გარდუვალი აგრესიისგან მას ვერ დაიცავდა. იგი უთუოდ ითვალისწინებდა იმ გარემოებასაც, რომ აღმოსავლეთ საქართველოს (კახეთის) მეფეებს, რომლებსაც XVI საუკუნის ბოლოდან ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდათ რუსეთთან დამყარებული (XV საუკუნის მიწურულს მათ შორის პირველი კავშირები გაიბა), რეალური დახმარება მოსკოვისგან არ მიუღიათ. უფრო მეტიც, ლევან II-ის ბაბუას დედის მხრიდან, კახეთის მეფე ალექსანდრე მეორეს (1574-1605წწ.) რუსეთის ერთგულებაზე 1587 წელს დადებული, და მის მემკვიდრეთა მიერ 1602 და 1605 წლებში განმეორებული ფიცი სიცოცხლის ფასად დაუჯდა; რუსეთთან „მეგობრობას“ მასთან ერთად უფლისწული გიორგი ალექსანდრეს ძეც ემსხვერპლა (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 145, 244, 249, 250). სამეგრელოს მთავარი იმასაც კარგად ხედავდა, თუ როგორ ამაოდ ცდილობდა მოსკოვიდან დახმარების მიღებას მისი ღვიძლი ბიძაშვილი თეიმურაზ I, რომელმაც თავისი ელჩები რუსეთში რამდენჯერმე (1615, 1618,

1624, 1635წწ.) მიავლინა, 1639 წელს კი მოსკოვის ერთგულებაზეც დაიფიცა (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 320).

ლევან II დადიანს არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა რუსეთის რეალური შესაძლებლობებიც, რომ იგი ჯერ კიდევ პერიოდულად „ძღვენს" უგზავნიდა (ფაქტობრივად ხარკს უხდიდა) თურქეთის მოკავშირესა და ვასალს ყირიმის ხანს, რომ ამ უკანასკნელის მეშვეობით, აგრეთვე ჩრდილოეთ კავკასიის მხრიდან ოსმალეთი უშუალოდ რუსეთის საზღვრებს ემუქრებოდა. იმჟამად მოსკოვის რუსეთი პოლონეთსა და ლიტვას ვერ უმკლავდებოდა. უფრო მეტიც, 1617-1618 და 1632-1634 წლების ომების შედეგად რუსეთმა პოლონეთს სმოლენსკი, ჩერნიგოვი, ნოვგოროდი და სხვა ქალაქები დაუთმო, ამასთან დიდძალი შეიარაღებაც დაკარგა. სხვათა შორის, პოლონელებთან და ლიტველებთან ომში რუსების მიერ განცდილი მარცხის შესახებ სამეგრელოში ხშირად ყვებოდა ფ. ელჩინის მიერ თერგიდან წამოყვანილი ქართული წარმოშობის კაზაკი ალექსანდრე ივანოვი. ცხადია, მსგავსი ინფორმაციები რუსეთის შესახებ ლევან მეორემდეც აღწევდა. გასათვალისწინებელია კიდევ ერთი გარემოება. გაბრიელ გეგენავას ელჩობა მოსკოვში და საპასუხო ელჩობა სამეგრელოში ძალიან დაეხმარა ლევან II დადიანს რუსეთის ჭეშმარიტი მიზნებისა და რეალური შესაძლებლობების უკეთესად გაცნობიერებაში. ის მიხვდა, რომ მოსკოვის ქვეშევრდომობა (თანაც ფორმალური) სამეგრელოს სამთავროს და სხვა ქართულ პოლიტიკურ ერთეულებს ვერ დაიცავდა, მით უფრო ვერ გააერთიანებდა.

ყველაფერ ამან გავლენა იქონია ლევან II-ის პოზიციაზე. მას უკვე არ სურდა შედარებით სუსტ და არასაიმედო რუსეთთან დაახლოების გამო თურქეთის აგრესია გამოეწვია და თავისი სამთავრო რეალური საფრთხის წინაშე დაეყენებინა. სწორედ ასე განწყობილმა სამეგრელოს მთავარმა გადაწყვიტა რუსი ელჩების მიღება. შეხვედრა არა სატახტო ქალაქ ზუგდიდში, არამედ მისგან საკმაოდ შორს, სოფელ ძიგურში გაიმართა, სადაც ლევან II-ის ერთ-ერთი რეზიდენცია მდებარეობდა (თამაზ ბერაძე. ოდიშის ისტორიული გეოგრაფია, გვ. 103-104). ასეთი მაღალი დონის შეხვედრის ძიგურში გამართვა ამ ფაქტის მნიშვნელობის დაკნინებისა და, შესაძლოა, თურქეთის შიშით ნაკარნახევ კონსპირაციულ მიზნებსაც ისახავდა. შეხვედრამ, რომელსაც აფხაზეთის კათალიკოსი მაქსიმე I (მაჭუტაძე), მღვდელმთავრები, უფლისწულები, სამთავრო კარის წარმომადგენლები და ქართლის მეფის როსტო-

მის მიერ გამოგზავნილი სტუმრები (ამ უკანასკნელთა დასწრებას ფ. ელჩინი დიდხანს ეწინააღმდეგებოდა) ესწრებოდნენ, საკმაოდ ცივ ვითარებაში ჩაიარა. ამას მოწმობს ორივე ელჩის ანგარიშები. ლევან მეორემ მხოლოდ მოისმინა ფ. ელჩინის მოხსენება ისე, რომ „იჯდა და ქუდი არ მოუხდია“, მოიკითხა რუსეთის ხელმწიფის ჯანმრთელობის შესახებ. სხვა გამოსვლები არ ყოფილა. კარავი, სადაც შეხვედრა მიმდინარეობდა, სულ მალე დაცლილა. არც ერთი კონკრეტული საკითხი, რომ არაფერი ვთქვათ ელჩობის მთავარ მიზანზე - რუსეთის ერთგულებაზე ფიცის დადებაზე, განხილული არ ყოფილა; არც ნადიმი, უბრალო სადილიც არ გამართულა.

საელჩო მიღების დასრულებისთანავე ფ. ელჩინი და პ. ზახარიევი ისევ სუჯუნის წმ. გიორგის მონასტერში დაბრუნდნენ. ამის შემდეგ მათ ანგარიშებში კვლავ გარკვეულ შეუსაბამობებს ვაწყდებით. ფ. ელჩინის ცნობით, რუსები სუჯუნიდან 29 აპრილს წავიდნენ (იმავე დღეს ელჩები მათზე მიმაგრებულ ეკონომოს დომენტისაც დაუტოვებია და მის ნაცვლად მწდე პოტაპი ჩამოსულა), 30 აპრილს თითქოს ხონის მონასტერში არქიმანდრიტ ნიკოლოზთან ჩავიდნენ. პავლე ზახარიევი განსხვავებულ ინფორმაციას იძლევა. მის ანგარიშში 27 აპრილის საელჩო მიღების მოკლე მიმოხილვას უშუალოდ მოსდევს ცნობა „3 მაისს ხობში ყოვლადწმიდათა მონასტერში ეპისკოპოს ნიკოლოზთან“ ჩასვლის თაობაზე. Aამ შეუსაბამობამ შეცდომაში შეიყვანა თამაზ ბერაძე, რომელმაც რუსი ელჩების სუჯუნის შემდგომი მთელი მარშრუტი ასე წარმოადგინა: თითქოს, 29 აპრილს მათ სუჯუნა დატოვეს, 30 აპრილს ხონის მონასტერში ჩავიდნენ, 18 მაისს ზუგდიდში ჩამოიყვანეს ისე, რომ 3 მაისს ხობის, 6 მაისს ცაიშის მონასტრებში გამოიარეს, შემდეგ იყვნენ წალენჯიხაში, საიდანაც 16 მაისს სატახტო ქალაქისკენ წავიდნენ (თამაზ ბერაძე. სამეგრელოს ისტორიული გეოგრაფიიდან, გვ. 104-105). გარკვეული ზეპირი დისკუსიების შემდეგ თ. ბერაძემ შეხედულება ამ საკითხზე ოდნავ შეიცვალა, მაგრამ მთლიანობაში მაინც ძველ პოზიციაზე დარჩა (**Материалы по церковной и этнополитической истории Абхазии**, с. 80-81). მისი მოსაზრება რუსი ელჩების ხონში ყოფნის შესახებ სხვა ავტორების მიერაც არის გაზიარებული (ნინო ჩიქოვანი. რუსული კავკასიოლოგიის განვითარება XIX საუკუნეში, გვ. 102).

სინამდვილეში, რუსი ელჩების მარშრუტი რამდენადმე განსხვავებული იყო. ფ. ელჩინი, მართალია, სუჯუნიდან წამოსვლას 1640 წლის 29 აპრილით ათარიღებს, მაგრამ მოსკოვში რედაქტირე-

ბულ ტექსტში ეს თარიღი ასე თუ ისე, მაინც გასწორებულია. ს. ბელოკუროვისა და, შესაბამისად, 2005 წლის პუბლიკაციებში, როგორც ვიცით, მოსკოვში (საელჩო პრიკაზში) გაკეთებული ჩასწორებები ფ. ელჩინის ანგარიშის სქოლიოშია მოთავსებული. სათანადო სქოლიოში კი ვკითხულობთ: „ელჩობის დამთავრების შემდეგ წმ. გიორგის მონასტერში იმავე დღეს წავედით და იქ 6 დღე დავყავით“. 27 აპრილიდან 6 დღე 3 მაისზე, ანუ იმ დღეზე მოდის, როდესაც, პავლე ზახარიევის ცნობით, ელჩები ხობის მონასტერში მივიდნენ. ელჩების ანგარიშებს შორის აღნიშნულ საკითხში ყოველგვარი შეუსაბამობა ამით იხსნება. სუჯუნიდან 3 მაისს წამოსული ელჩები იმავე დღეს არა ხონში, რომელიც სამეგრელოს შემადგენლობაში არ შედიოდა, არამედ ხობის მონასტერში მიბრძანდნენ. სუჯუნაში გატარებულ 6 დღეზე ელჩები არაფერს წერენ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ფ. ელჩინის 1 მაისის ინფორმაციას ყაბარდოდან ლევან მეორის წარგზავნილებისა (იხ. 1 მარტის ინფორმაცია) და მათთან ერთად ალეგუკას ელჩის ელბუზდუკის (ელისტანის) ჩამოსვლის თაობაზე. ლევან მეორემ მათი მეშვეობით მიაღწია შეთანხმებას ალეგუკა მურზასთან მისი ქალიშვილის რძლად წამოყვანის შესახებ; დადგინდა აგრეთვე შესაბამისი საჩუქრის - ურვადის ოდენობაც, რომელიც ლევან მეორეს მომავალი რძლის მშობლებისთვის უნდა მიერთმია. ამის თაობაზე ყურადღება გამახვილებულია მოსკოვში გასწორებული ფ. ელჩინის ანგარიშის დასკვნით ნაწილშიც, რომელიც 1640 წლის 19 მაისითაა დათარიღებული და სქოლიოშია მოთავსებული. მხოლოდ მასში ოდნავ განსხვავებული ინფორმაციაა მოტანილი. პირვანდელ ტექსტში საუბარია იმაზე, რომ ალეგუკა მურზას ქალიშვილი ლევან მეორემ თავისი შვილისთვის ალექსანდრესთვის ითხოვა; სქოლიოში მოტანილ, მოსკოვში ჩასწორებულ მასალაში კი ვკითხულობთ, რომ ალეგუკას ქალიშვილი ლევანის გერისთვის ითხოვეს. მკაფიო პასუხი კითხვაზე, ვინ შეირთო ყაბარდოელი მურზას ქალიშვილი, წყაროებიდან არ ჩანს, თუმცა ცნობილია, რომ ქორწილი ზუგდიდში ნამდვილად გაიმართა (არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა. თარგმანი იტალიურიდან ალ. ჭყონიასი. მეორე გამოცემა ლევან ასათიანის წინასიტყვაობით. თბ., 1938, გვ. 82). ჩასწორებულ ვარიანტში (სქოლიოში) მითითებულია, რომ ამ დინასტიურ ქორწინებას პოლიტიკური სარჩული ჰქონდა.

3. როგორც უკვე ითქვა, 3 მაისს (ეს იყო კვირა დღე) რუსი ელჩები ხობის მონასტერს სტუმრობდნენ. ისინი თითქმის ერთსა

და იგივეს წერენ ტაძარზე, მის სიწმინდეებზე; ასახელებენ წინამძღვარს, ცნობილ სასულიერო მოღვაწესა და დიპლომატს ნიკიფორე ირბახს (ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი), რომელსაც მიკულაზად (ფ. ელჩინი) ან ნიკოლაზად (პ. ზახარიევი) მოიხსენიებენ. მონასტრის წინამძღვარს ფ. ელჩინი არქიმანდრიტად მოიხსენიებს, პ. ზახარიევი - კი ეპისკოპოსად. ამასთანავე, აღნიშნავს მის წარმომავლობას („თეიმურაზის ქვეყნიდანაა"), იერუსალიმში მოღვაწეობის, ევროპაში მოგზაურობისა და მოსკოვში ყოფნის ფაქტებს. ელჩების ყურადღება უნიკალურ სიწმინდეზე - ღმრთისმშობლის კვართზეა (პერანგზე) გამახვილებული. იგი დღემდე დაცულია, მაგრამ არა ხობის მონასტერში, არამედ ზუგდიდში დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმში. ხობში გაიმართა მოკლე საუბარი კალენდართან დაკავშირებითაც. ჯპავლე ზახარიევი სწორი იყო, როცა აღნიშნავდა, რომ რუსეთი მეშვიდე ათასწლეულის დასრულებამდე, ე.ი. 1492 წლამდე (7000-5508=1492) 504 წლით ადრე, ანუ 988 (1492-504=988) წელს მოინათლა. იმ დროიდან 1640 წლამდე, როგორც პ.ზახარიევი ამტკიცებდა, მართლაც 652 წელი იყო გასული (988+652=1640). რუსი ელჩი არქიმანდრიტ ნიკოლოზთან კამათშიც მართალი აღმოჩნდა. Bბიზანტიურ-რუსული დასაბამის (ძვ.წ. 5508წ.) მიხედვით, ადამიდან 1640 წლამდე ნამდვილად 7148 წელი იყო გასული (7148-5508=1640) და არა 7152, როგორც ამას არქიმანდრიტი ნიკოლოზი ამტკიცებდა. Aამ შემთხვევაში გაუგებარია, რომელი დასაბამით სარგებლობდა ხობის მონასტრის წინამძღვარი. 7152 წელი არ შეესაბამება არც ზემოაღნიშნულ ბიზანტიურ-რუსულ და არც ქართულ (ძვ.წ. 5604 წ.) დასაბამს (იხილე ასევე კომენტ....143).

პავლე ზახარიევის ანგარიშის მიხედვით, ხობიდან რუსი ელჩები 4 მაისს წავიდნენ, 6 მაისს ცაიშის მონასტერში მათთვის კარგად ნაცნობ ეპისკოპოს ანდრიასთან მივიდნენ, რომელიც იმ დროს მონასტრიდან ორ ვერსის დაშორებით დადგმულ კარავში ცხოვრობდა. აქვე მღვდელი პავლე პატარა უზუსტობას უშვებს და წერს, რომ 6 მაისს ცაიშში ჩასული ელჩები ეპისკოპოსმა ანდრიამ 5 მაისს (?) სატრაპეზოდ მიიწვია. მონასტერში რუსები მღვდელ-მონაზონ მაქსიმესთან ურთიერთობდნენ, რომელმაც 14 მაისს მათ ლევან მეორის გარდაცვლილი მეუღლის ნამდვილი სახელი (ელენე) შეატყობინა.

პავლე ზახარიევის ცნობით, 16 მაისს რუსი ელჩები ცაიშის მონასტრიდან (ანგარიშში ნათქვამია, რომ 16 მაისს ელჩები

წალენჯიხიდან, ეპისკოპოს ანდრიასგან წამოვიდნენ, რაც აშკარა შეცდომაა, რომელიც, შესაძლოა, არა პ. ზახარიევმა, არამედ ამ მასალის პირველმა გამომცემელმა ს. ბელოკუროვმა დაუშვა) ზუგდიდში გადაიყვანეს, სადაც ისინი ლევან მეორის სახელით სტოლნიკმა რამაზ ჩიჩუამ მიიღო. ფედოტ ელჩინი საერთოდ არ ასახელებს არც ცაიშს და არც წალენჯიხას. იგი წერს: ლევან II დადიანმა 18 მაისს რუსი ელჩები შუაის მონასტრიდან (მოსკოვში „ჩასწორდა“, როგორც ხონის მონასტრიდან) ზუგდიდში წამოიყვანა. შუაის მონასტერი, უეჭველად, ცაიშის მონასტერია, სადაც ელჩებმა სამშობლოში გამგზავრების წინ 10 დღე გაატარეს. ძნელი გასარკვევია, აქედან ისინი ზუგდიდში 16 მაისს (პ. ზახარიევი) თუ 18 მაისს (ფ. ელჩინი) გადაიყვანეს (ამას არცა აქვს არსებითი მნიშვნელობა), თუმცა პავლე ზახარიევის ანგარიში ამ მხრივ უფრო სანდოა. ელჩების 16 თუ 18 მაისის ანგარიშებში მოხსენიებულია ლევან მეორის სტოლნიკი რამაზ ჩიჩუა (პ. ზახარიევი) თუ რამაზან კუჩულია (ფ. ელჩინი). სრულიად ნათელია, რომ საქმე გვაქვს არა ორ სხვადასხვა მოხელესთან, არამედ ერთსა და იმავე პიროვნებასთან რამაზ ჩიჩუასთან (რაც შეეხება ფ. ელჩინის მიერ მანამდე 1640 წლის 4 იანვარს და 1 მარტს ორჯერ მოხსენიებულ ლევან II-ის აზნაურს თავეი კუჩილია//კუჩალიას, იგი სხვა პიროვნება უნდა იყოს, რომლის ნამდვილი გვარიც, ალბათ, ჩიჩუა იყო).

რუს ელჩებს ზუგდიდში, რამაზ ჩიჩუას გარდა, ეპისკოპოსები ნიკოლოზი (თუ არქიმანდრიტი) და ანდრია ესაუბრნენ, წაუყენეს რა პრეტენზიები რუსულ მხარეს ელჩ გაბრიელ გეგენავას რუსეთში სამი წლით შეყოვნებასთან („სამი წელიწადი ტყვეობაში ამყოფესო“) დაკავშირებით. ფ. ელჩინმა თავი იმართლა. მან აღნიშნა, რომ მღვდელი გაბრიელი პატივით იქნა მოსკოვში მიღებული და არც მის მიერ ჩატანილ ლევან მეორის სიგელში მოცემული თხოვნა ყოფილა უგულვებელყოფილი რუსეთის ხელმწიფის მიერ. ელჩინმა განმარტა გაბრიელ გეგენავას მოსკოვში დაყოვნების ობიექტური მიზეზები. ამაზე ქართული მხარის პასუხი ასეთი იყო: „ჩვენ თვითონაც ვხედავთ, რომ დიდი ხელმწიფე ქრისტიანია. მანამდე დიდი ხელმწიფე რომში იყო, მაგრამ ამ დროისთვის ეს მოისპო და ღმერთმა {ის პატივი} თქვენს სრულიად რუსეთის დიდ ხელმწიფესა და დიდ მთავარ მიხეილ თევდორეს ძეს უბოძა“. ამასთან დაკავშირებით ლ.ს.შეპელევა სავსებით სწორად შენიშნავს, რომ იმჟამინდელი ქართველი პოლიტიკური, ასევე სასულიერო მოღვაწეებისთის ცნობილი ყოფილა რუსეთში XV-XVI საუკუნეებში აღმოცენებული და მე-

ტად პოპულარული თეორია „მოსკოვი-მესამე რომი“ (Путешествия русских послов XVI-XVII веков, с.425).

ფედოტ ელჩინის არგუმენტები მღვდელ გაბრიელის მოსკოვში პატივით მიღების თაობაზე ქართული მხარის მიერ არ იქნა გაზიარებული. რუს ელჩებს განემარტა, რომ სამშობლოში მათ უშვებენ ალეგუკა მურზას თხოვნით. სხვა შემთხვევაში, სამეგრელოში იმდენ ხანს მოუწევდათ ცხოვრება, „რამდენიც თქვენთან რუსეთში გაბრიელმა იცხოვრაო“. მოსკოვში ახალი ელჩის გაგზავნის თაობაზე ლევან მეორის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ეს მოხდებოდა „დიდი გლოვის“ დასრულების შემდეგ. ამ შეხვედრაზე ელჩებს რუსეთის ხელმწიფისადმი ლევან მეორის სიგელი გადაეცათ, რის შესახებაც ზემოთ იყო საუბარი. მათ აგრეთვე საჩუქრები და ფული გადასცეს. ფ. ელჩინის მიხედვით, რუსი ელჩები ლევან მეორემ ზუგდიდიდან სამშობლოსკენ 1640 წლის 19 მაისს (სამშაბათს) გაისტუმრა, პ. ზახარიევის ცნობით კი - 18 მაისს (ორშაბათს), რაც უფრო სწორი უნდა იყოს.

19 მაისითაა დათარიღებული ფედოტ ელჩინის ანგარიშის დასკვნითი ნაწილი. მასში საუბარია სამეგრელოს მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე; აღნიშნულია, რომ იგი ზღვის სანაპიროს გასწვრივ 150 ვერსზეა გადაჭიმული, სიგანეზე კი მთიდან ზღვამდე - 50 ვერსზე. რუსი ელჩი წერს მოსახლეობის მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ლევან II-ის მიერ ჩამოყვანილ სომეხ და ებრაელ ვაჭრებზე, სამთავროში გავრცელებულ ადამიანებით ვაჭრობაზე, სოფლის მეურნეობაზე, სამზარეულოზე; ახსენებს მეაბრეშუმეობას, მეღვინეობას და ა.შ. ანგარიშში აღწერილია ალეგუკას ყაბარდოდან სამეგრელომდე გასავლელი საცალფეხო გზა, რომელიც მარადიული თოვლით დაფარულ მთებზე გადიოდა. ფ. ელჩინს განზოგადებული აქვს ის დოგმატური თუ კანონიკური ხასიათის გადაცდომები, რომლებსაც სამეგრელოს სამღვდელოება, მისი აზრით, უშვებდა. საკმაოდ საინტერესო და დამატებითი ინფორმაციის შემცველია 19 მაისის ანგარიშის მოსკოვური ჩასწორებები, რომლებიც სქოლიოშია მოთავსებული.

ზუგდიდიდან 18 თუ 19 მაისს გაშვებული ელჩები, მათივე ანგარიშის მიხედვით, 22 მაისს ხუდონში ჩავიდნენ, იმავე დღეს სოფელი ხუდონი და მასთან ერთად სამეგრელო დატოვეს; 26 მაისისთვის ელჩები უკვე სვანეთში იყვნენ. აქ ისინი 8 ივნისამდე დარჩნენ, რის შემდეგაც გეზი ყარაჩაისკენ აიღეს. იმ დღეებში

ელჩებმა საქართველო დატოვეს და ჩრდილოეთ კავკასიაში - ყარაჩაიში გადავიდნენ. 12 ივნისს ყარაჩაიდან გაემგზავრნენ (პ. ზახარიევი) და იმავე დღეს ალეგუკას ყაბარდოში ალეგუკას ძმასთან ხაპუკასთან მივიდნენ; 26 (პ. ზახარიევი) თუ 28 ივნისს (ფ. ელჩინი) ხაპუკასგან წამოვიდნენ და 28 (პ. ზახარიევი) თუ 29 ივნისს (პ. ელჩინი) ილდარის ყაბაკში ილდარ სუნჩელის სიძესთან (ფ. ელჩინის ვერსიით კი, ილდარის ყაბარდოში) მივიდნენ; აქედან 29 (პ. ზახარიევი) თუ 30 ივნისს (ფ. ელჩინი) გავიდნენ და ფ. ელჩინის ცნობით, ანზორის ყაბაკში გაჩერდნენ. პ. ზახარიევის მიხედვით კი 3 ივლისს მუნდართან მისულან და იმ დღესვე წამოსულან. 5 ივლისს ფ. ელჩინს თერგის კაზაკი ალექსანდრე ივანოვი გაუნთავისუფლებია, 9 ივლისს კი ელჩები ციხე-ქალაქ თერგში ჩასულან. აქ წყდება პავლე ზახარიევის ანგარიში. ციხე-ქალაქ თერგიდან მოსკოვამდე მოგზაურობის შესახებ იგი, როგორც ზემოთ დავინახეთ, ფ. ელჩინის წინააღმდეგ შედგენილ საჩივარში წერდა. მოსკოვამდე გავლილ ქალაქებში დასახელებული აქვს ასტრახანი, სარატოვი და ნიჟნი ნოვგოროდი, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩრდილოეთ კავკასიისა და რუსეთის ტერიტორიაზე ელჩებმა ორივე მხარეს ერთი და იგივე მარშრუტით იმგზავრეს. ფ. ელჩინის ცნობით, 4 ივლისს ელჩები ანზორის ყაბაკიდან წამოსულან და ციხე-ქალაქ თერგამდე 11 ივლისს ჩაუღწევიათ. „თერგიდან 21 ივლისს წავედით, ასტრახანში 31 ივლისს ჩავედით, ასტრახანიდან კი 13 აგვისტოს წავედით“, - ამ ინფორმაციით მთავრდება ფედოტ ელჩინის ანგარიში, რომელიც, ს. ბელოკუროვის საფუძვლიანი მოსაზრებით, ფედოტისავე კარნახით თუ ბრძანებით, „მისი კაცის“ შედგენილია.

პავლე ზახარიევს თავისი ანგარიში საელჩო პრიკაზში 1640 წლის 4 დეკემბერს წარუდგენია. იმავე დღეს მოსკოვში ფედოტ ელჩინიც ჩავიდა და მალე მანაც საკუთარი ანგარიში საგარეო უწყებას ჩააბარა. 1640 წლის 13 დეკემბერს საელჩო პრიკაზში ორივე ელჩი პ.ზახარიევის საჩივართან დაკავშირებით დაიკითხა. აღნიშნული საქმის გამოძიების შედეგები ჩვენთვის ბოლომდე ცნობილი არ არის.

II

გაბრიელ გეგენავას, ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარიევის ელჩობათა მასალები აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიის XVII საუკუნის პირველი ნახევრის ეთნოპოლიტიკური ისტორიის უმნიშვნელოვანეს პირველწყაროს წარმოადგენენ. ისინი ცალსახად მე-

ტყველებენ იმაზე, რომ ლევან II დადიანის ეპოქაშიც მდინარეებს ენგურსა და ფსოუს შორის მდებარე ტერიტორია თითქმის მთლიანად სამეგრელოს სამთავროს ორგანულ ნაწილს შეადგენდა, ან მისდამი დაქვემდებარებული ადმინისტრაციული ერთეული იყო. კერძოდ, როგორც რუსი ელჩების მარშრუტიდან ირკვევა (დრანდაში და ფშაფში ჩასვლა), ტერიტორია მდ. კელასურამდე, რომლის შესართავთან მთიელთა შემოსევების შესაკავებლად აგებული საფორთიფიკაციო ნაგებობა („კელასურის კედელი") იღებდა სათავეს, სამეგრელოს ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა. დღევანდელი აფხაზეთის დანარჩენ ტერიტორიაზე, სადაც უკვე XVI საუკუნის შუახანებში ჩამოსახლებული მთიელები ჭარბობდნენ, სამეგრელოს სამთავროს იურისდიქცია ვრცელდებოდა. სწორედ, ამიტომ განაცხადა მოსკოვში მყოფმა მიტროპოლიტმა ნიკიფორემ (თეიმურაზ პირველის ელჩი), სადადიანოს ქვეყანას ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან არა აფხაზეთი, არამედ „მთიული ჩერქეზეთი" ესაზღვრებაო (თავი 1.1.) იმჟამად არსებული აფხაზეთის საერისთავო (რომელიც, თავის მხრივ, სამი წვრილი სამფლობელოსაგან შედგებოდა) მოსაზღვრე რეგიონად იმიტომ არ არის დასახელებული, რომ იგი ჯერ კიდევ არ იყო დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული და სამეგრელოს შემადგენლობაში იგულისხმებოდა.

საზღვრების თემას ფედოტ ელჩინიც ეხება. თავისი მუხლობრივი აღწერილობის დასკვნით ნაწილში იგი სამეგრელოს გეოგრაფიულ მდებარეობაზე საუბრობს და წერს, რომ სადადიანოს ქვეყანა შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ 150 კილომეტრზეა გადაჭიმული (თავი 15-ე). თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ აჭარა იმჟამად თურქეთის მიერ იყო ოკუპირებული, გურია კი ცალკე პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა, მაშინ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოს დანარჩენი შავიზღვისპირეთი დღევანდელი აფხაზეთის მონაკვეთის უდიდესი ნაწილის ჩათვლით დაახლოებით 150 კილომეტრს შეადგენდა და იგი სამეგრელოს სამთავროს ეკუთვნოდა.

ცნობებს სამეგრელოს სამთავროს საზღვრების, სამთავროში მოქმედი საერთოქართული ეკლესიის, მისი მღვდელმთავრის შესახებ ლევან II დადიანის ელჩის გაბრიელ გეგენავას მიერ მოსკოვში გაკეთებულ განცხადებებშიც ვპოულობთ. 1638 წლის 16 ნოემბერს რუსეთის საელჩო პრიკაზის მოხელეებს ის მოახსენებდა, რომ პატრიარქი მალაქია გურიელი (აფხაზეთის ანუ დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი) ბიჭვინთის (პინჩიუსკის) ღმრთისმშობლის მიძინების მონასტერში ცხოვრობდა (თავი 3-ე). რუსეთის ხელმ-

წიფის სულიერ მოძღვართან საუბრისას, ელჩმა გაბრიელ გეგენავამ იგივე გაიმეორა - ბიჭვინთა დასავლეთ საქართველოს (მათ შორის სამეგრელოს) კათალიკოსის რეზიდენციად დაასახელა (თავი 5-ე).

სამეგრელოს სამთავროს ფარგლებში მოგზაურობისას, რუსმა ელჩებმა შემდგომში აფსუა-აფხაზთა ხელში გადასული ქართული დასახლებული პუნქტები და ეკლესია-მონასტრებიც დაათვალიერეს. 1640 წლის 2 თებერვალს ისინი დაბა ფუნყურში (ამჟამად გალის რაიონი) იმყოფებოდნენ, იმავე წლის 4 თებერვალს - სოფელ ღალიძგასა და მერკულაში, 5 თებერვალს - შავი ზღვის სანაპიროზე მდინარე მოქვის შესართავთან (ამჟამად ოჩამჩირის რაიონი), 6 თებერვალს - დრანდაში, 7 თებერვალს - ფშაფში (ამჟამად გულრიფშის რაიონი), 8 თებერვალს - კვიტოულში, 9 თებერვალს - მოქვსა და ილორში, 9-10 თებერვალს - ბედიაში (ამჟამად ოჩამჩირის რაიონი).

სამეგრელოს ელჩის მიერ მოსკოვში გაკეთებული განცხადებები, აგრეთვე რუსი ელჩების საკმაოდ ვრცელი ანგარიშები 1640 წლის 2-10 თებერვალს ჩრდილო-დასავლეთ სამეგრელოში (დღევანდელ აფხაზეთში) ყოფნის შესახებ, რომლებიც მათ მიერ შედგენილ მუხლობრივ აღწერილობებშია შეტანილი (თავები 15-ე და 16-ე), აღნიშნული რეგიონის XVII საუკუნის შუახანების ეთნოპოლიტიკური და საეკლესიო ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე ღირებულ პირველწყაროს წარმოადგენენ. როგორც ზემოთაც ითქვა, მათში მოტანილი ცნობები მოწმობენ, რომ იმჟამად აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორია, კერძოდ, გალის, ოჩამჩირის, გულრიფშის რაიონები და ქ. ტყვარჩელი სამეგრელოს ორგანულ ნაწილს შეადგენდა; დანარჩენი ტერიტორია კი, ბიჭვინთის ჩათვლით, სამეგრელოს დაქვემდებარებაში იმყოფებოდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ XV საუკუნის 70-იანი წლების პირველ ნახევარში (1470-1474 წწ) დასავლეთ საქართველოს მმართველების იმერეთის მეფის ბაგრატ II-ისა (1455-1478წწ.) და შამადავლე დადიან-გურიელის (1470-1474წწ.) მეცადინეობით აღდგენილი მცხეთისაგან დამოუკიდებელი ბიჭვინთის (აფხაზეთის ანუ დასავლეთ საქართველოს) საკათალიკოსოს იურისდიქცია, როგორც „მცნებაი სასჯულოი“-ში არის ნათქვამი, ვრცელდებოდა ტერიტორიაზე „ლიხთა ამერისა, ჭოროხსა აქათ, ოვსეთსა აქათ, ზღუაი პონტოსა აქათ, სადა დიდი ბიჭუინტისა სამზღვარი მიაწევს“ (ჯემალ გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა. თბ., 2005, გვ. 872). XVI საუკუნის უმნიშვნელოვანეს სამართლებრივ დოკუმენტში „ბიჭვინთის იადგარი“ აფხაზეთის საკათოლიკოსოს ფარგლები განსაზღვრულია „ლიხსა და კაფას (ფეოდოსია - ჯ.გ.) შუა, რუსე-

თის სამზღუარსა და ჭანეთს შუა“ (ჯემალ გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა“, გვ. 887). კავკასიელ მთიელთა მუდმივი თავდასხმებისა და თანამედროვე გუდაუთის რაიონში (აფხაზეთის საერისთავოში) მასობრივი ჩამოსახლების შედეგად XVI საუკუნის შუახანებში აფხაზეთის საკათოლიკოსოს რეზიდენცია იძულებით ბიჭვინთიდან გელათში გადავიდა. აფხაზეთის საერისთავოში ახლადდამკვიდრებულმა მთიელებმა ქრისტიანობა გაანადგურეს, დღევანდელი გუდაუთის რაიონის ფარგლებში მაშინ მოქმედმა თხუთმეტამდე ეკლესია-მონასტერმა ფუნქციონირება შეწყვიტა. მიუხედავად ძირეული დემოგრაფიული ცვლილებებისა, სამეგრელოს მთავრებმა აფხაზეთის საერისთავოზე თავისი იურისდიქცია აღადგინეს; იგი კიდევ უფრო განამტკიცა ლევან II დადიანმა. იერუსალიმის პატრიარქის დოსითეოსის (1669-1707 წწ.) ცნობით, „ლევან დადიანმა, რომელიც იქ (აფხაზეთში - ჯ.გ.) დიდხანს მეფობდა, 40 000 აფხაზი მონათლა, დაურიგა იმდენივე ზედა ტანსაცმელი და მათ ეპისკოპოსი მისცა“ (М. Селезнев. Руководство к познанию Кавказа, кн. I. М., 1847, с. 28). აფხაზეთიდან დევნილ კათალიკოსებს კვლავ მიეცათ ბიჭვინთაში ჩასვლის, წმ. მირონის დამზადებისა და ღმრთისმსახურების შესაძლებლობა. ამიტომ მოსკოვში ჩასული სამეგრელოს ელჩის გაბრიელ გეგენავას განცხადება იმის შესახებ, რომ კათალიკოს მალაქია II-ის (გურიელი) რეზიდენცია ბიჭვინთაშია განთავსებული, სინამდვილეს შეეფერებოდა. უფრო მეტიც, კანონიკურად ბიჭვინთა XVIII საუკუნის ბოლომდე აფხაზეთის კათალიკოსთა რეზიდენციად ითვლებოდა, თუმცა მთიელთა მოძალების გამო, ბოლო ერთი საუკუნის განმავლობაში ისინი იქ ვერ ჩადიოდნენ.

ლევან II დადიანი მთელ თავის სამთავროს, რომელიც თანამედროვე სამეგრელოსა და აფხაზეთის ა/რ ტერიტორიებს მოიცავდა, რუსეთის ხელმწიფეს აცნობს როგორც ივერიის ხუთი ქვეყნიდან (ქართლი, კახეთი, იმერეთი, სამეგრელო, გურია) ერთ-ერთს (თავი 4-ე). ლევან II დადიანის 1640 წლის 15 მაისის სიგელში რუსეთის ხელმწიფისადმი ვკითხულობთ, რომ ჭეშმარიტ ღმერთს ადიდებენ „მცხოვრებნი ივერიის ქვეყანაში ლევან დადიანის კუთვნილ სამეგრელოს ოლქში“ (თავი 13-ე). ერთი სიტყვით, წინამდებარე კრებულში შეტანილი წყაროების მიხედვით, XVII საუკუნის შუახანების აფხაზეთი ივერიის ქვეყნის (საქართველოს) ერთ-ერთი ოლქის - სამეგრელოს შემადგენელი ნაწილია. პირველად ამ სტატუსით გაიცნო ოფიციალურმა რუსეთმა ჩრდილო-დასავლეთ საქართ-

ველოს ენგურ-ფსოუს მონაკვეთი,ანუ თანამედროვე აფხაზეთი. თავის მხრივ, რუსეთიც სწორედ ამ სტატუსში აღიარებდა ახლადგაცნობილ ქართულ პოლიტიკურ ერთეულს, რომელსაც „ივერიის ქვეყნის“ ნაწილად მიიჩნევდა. „მთელი შენი სახელმწიფო, რომელიც ივერიის ქვეყანაშია...“; „მთელი შენი ივერიის ქვეყანა ჩვენი მაღალი მეფური ხელის მფარველობის ქვეშ გვინდა ავიყვანოთ“, - ვკითხულობთ მიხეილ თევდორეს ძის 1639 წლის 30 მაისის სიგელში ლევან II დადიანისადმი (თავი 10-ე).

როგორც ვხედავთ, მაშინდელ რუსეთში მშვენივრად იცოდნენ, რომ ივერია არა მხოლოდ აღმოსავლეთ, არამედ სრულიად საქართველოს (სამეგრელოსა და აფხაზეთის ჩათვლით) სახელწოდებაა. უცხოელი ავტორები ამის შესახებ ოდითგანვე წერდნენ. იმ ავტორთა რიცხვს, ვინც დასავლეთ საქართველოს ივერიად, ხოლო იქაურ კოლხურ მოსახლეობას ივერიელებად მოიხსენიებდნენ, მიეკუთვნებიან ევსევი კესარიელი (260-340ნნ.), გელასი კესარიელი (IVს.), ეპიფანე კვიპრელი (IVს.), სოკრატე სქოლასტიკოსი (IV-Vსს), რუფინუსი (IV-V სს.), კონსტანტინე მანასა (XIIს.), ნიკეტა ხონიატე (XII-XIIIსს.) და ა.შ. (მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია. თბ., 2009, გვ. 139-140; ჯემალ გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა. თბ., 2005, გვ. 36, 42; Джемал Гамахария, Бадри Гогия. Абхазия Историческая область Грузии. Тб., 1997, с. 579-580, და ა.შ.). სოხუმის კათოლიკე ეპისკოპოსი პეტრუს გერალდი 1330 წელს ინგლისში კენტერბერიის არქიეპისკოპოსისადმი გაგზავნილ ნერილში საკუთარ თავს წარადგენს, როგორც სევასტოპოლის ეპისკოპოსი ქვემო საქართველოში“ (inferioris Georguane); ბოლოში კი აღნიშნავს, რომ წერილი „დაწერილია ქალაქ სანასტოპოლში (სოხუმში - ჯ.გ.), ქვემო საქართველოს სამეფოში“ (in regno inferioris Georguane)... 1330 წელს“ (ვ. კიკნაძე. ლათინური წყარო XIV საქართველოს შესახებ. - თსუ-ს შრომები. ისტორია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია, 1983, ტ. 243, გვ. 101-103. ისტორიკოსი ჟ. ბუასარდო 1581 წელს წერდა, რომ სინან ფაშამ „ბათუმისა და სოხუმის ქართველი ივერიელების ასალაგმავად საკუთარი ბეგლარბეგები და მედავთრეები დანიშნა (Дж. Гамахария, Б. Гогия. Абхазия - историчекая область Грузии, с. 231). XVII საუკუნეში იერუსალიმის პატრიარქები დოსითეოსი და ხრისანფი დასავლეთ საქართველოს აფხაზეთის დღევანდელი ტერიტორიის ჩათვლით ქვემო იბერიას უწოდებდნენ (მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია,

გვ. 502). სავიურ ლიუზინიანი, რომელიც XVIIIს. შუახანებისთვის ეგვიპტის ქართული წარმოშობის სულთანთან ალი-ბეისთან მსახურობდა, თავის წიგნში აღნიშნავდა, რომ სულთანის კარზე მყოფი „მონები წარმოშობით იბერიიდან არიან, რომელსაც ჩვეულებრივ საქართველოს, ჩერქეზეთს ან აფხაზეთს და სამეგრელოს უწოდებენ“ (Дж. Гамахария, Б. Гогия. Абхазия - историчекая область Грузии, с. 280). რუსეთის რეზიდენტი მეფე ერეკლე მეორის კარზე რაინეგსი (1744-1793ნნ), რომელმაც კარგად იცოდა ვითარება საქართველოში, მისი ისტორია, წერდა, რომ „ძველ მატიანეებში აბაზა ითვლება ივერიად, რა სახელწოდებითაც იგი საკმაოდ დიდ ხნის განმავლობაში იყო ცნობილი“ და იქვე დასძინა: „აბაზა ძველად ივერიის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. მართავდა მას ივერიელი ერისთავი“ (Дж. Гамахария, Б. Гогия. Абхазия - историчекая область Грузии, с. 285ნ 653).

ყველაზე კარგად ბაგრატიონებმა იცოდნენ, რომ აფხაზეთი არის ივერიის, კერძოდ ქვემო ივერიის ნაწილი. იმერეთის მეფის სოლომონ I-ის ძმა, 1769-1776 წლებში დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) კათალიკოსი იოსები (ბაგრატიონი) „სჯულის კანონზე“ მიწერილ ანდერძში საკუთარ თავს მოიხსენიებდა, როგორც „აფხაზ იმერ გურია სამეგრელოისა, ესე იგი ქვემოისა ივერიისა კათალიკოზ მამამთავარი იოსიფ დავითიანი“ (საქართველოს კათალიკოს-პატრიარქები. თბ., 2000, გვ. 167-168). ქართული სამეფო კარის წარმომადგენელი უფლისწული თეიმურაზ გიორგის (გიორგი XII-ის) ძე ბაგრატიონი აღნიშნავდა, რომ აფხაზეთი არის ქვემო ივერია „რომელსაცა ეგრისი სახელსძევს“ (თეიმურაზ ბატონიშვილი. ისტორია დაწყებიდამ ივერიისა, ესე იგი გიორგიისა, რომელი არს სრულად საქართველოისა. სანკტ-პეტერბურღი, 1848, გვ. 56.).

თანამედროვე აფხაზი ისტორიკოსი და სასულიერო პირი დოროთე დბარი, რომელიც საკმაოდ კარგად იცნობს ისტორიულ წყაროებს, იძულებულია დღევანდელი აფხაზეთი ისტორიული ივერიის ნაწილად აღიაროს, მაგრამ მაინც ცდილობს დანარჩენი საქართველოსაგან განცალკევებულად მის წარმოჩენას. იგი წერს, რომ „ივერია“ არის „საქართველოსა და აფხაზეთის განზოგადებული სახელწოდება“; რომ „ქვემო ივერია რეალურად თანამედროვე აფხაზეთსა და დასავლეთ საქართველოს ნიშნავს“. თვითონ დ. დბარის მიერ მოტანილი პატრიარქ დოსითეოსის სიტყვებიდან (რომლებსაც იგი ეყრდნობა) კი გამომდინარეობს, რომ აფხაზეთის საერისთავო სხვა ქართულ პოლიტიკურ ერთეულებთან ერ-

თად არის იერიის, კერძოდ, ქვემო იერიის შემადგენელი ნაწილი; „იბერიაში ორი ავტოკეფალური არქიეპისკოპოსია, რომელთაც ქართველები უწოდებენ კათალიკოსებს. ქვემო იბერიას, რომელსაც ძველად კოლხეთს და ლაზიკას უწოდებდნენ, აქვს ეპარქიები იმერეთში, გურიაში, სამეგრელოში, აფხაზეთში, სვანეთსა და მესხეთის ნაწილში“ (ციტირებულია ნაშრომიდან: Иеромонах Дорофей (Дбар). История христианства в Абхазии в первом тысячелетии. Новый Афон, 2005. Глава-Абхазский Католикосат. www.portal-credo.ru). იერიის პროვინციად იცნობდა აფხაზეთის საერისთავოს რუსეთის იმპერია, როცა იგი აღმოსავლეთ საქართველოს დაეუფლა და ქვეყნის დასავლეთი ნაწილის დასაპყრობად ემზადებოდა: „მე-15 საუკუნეში, კერძოდ, ქრისტეშობიდან 1414 წლამდე, როცა ივერია გაყოფილი არ იყო, ის, ქელეშ-ბეგი, ცნობილი იყო შერვაშიძის სახელით: მისი სამფლობელო ივერიის ერთ-ერთ პროვინციას შეადგენდა“ (Акты..., т. 2, с. 463), - 1803 წლის 27 ოქტომბერს ასე ატყობინებდა პეტერბურგს საქართველოს მთავარმართებელი პ. ციციანოვი.

დ. დბარი ცდილობს ტერმინების „ზემო ივერია“ და „ქვემო ივერია“-ს განმარტებას; ამ მიზნით, მოაქვს „მატიანე“ ქართლისაის“ ცნობა ქუთაისში ბაგრატის ტაძრის კურთხევის შესახებ, როდესაც მეფემ „შემოიკრიბნა მახლობელნი ყოველნი ხელმწიფენი და კათალიკოსნი, მღვდელ-მოძღუარნი და ყოველთა მონასტერთა წინამძღუარნი და ყოველნი დიდებულნი ზემონი და ქუემონი, მამულისა და სამეფოსა მისისა მყოფნი, და სხვათა ყოველთა სახელმწიფოთანი“ (ქართლის ცხოვრება, ტ.1, გვ. 281). სიტყვები „ზემონი“ და „ქუემონი“ ამ კონკრეტულ შემთხვევაში (მაგრამ არა ყოველთვის) აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს აღნიშნავენ. დ. დბარი ეთანხმება ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ საყოველთაოდ მიღებულ მოსაზრებას, მაგრამ იქვე „აზუსტებს“, რომ „თუ საგნებს თავის სახელს დავარქმევთ“, მაშინ „ქუემონი“ აფხაზეთის სამეფოს პირვანდელი ტერიტორიაა (დასავლეთ საქართველოა), ხოლო „ზემონი“ - აფხაზეთის სამეფოსთვის შემდგომში მიერთებული აღმოსავლეთ საქართველო (Иеромонах Дорофей. მითითებული ნაშრომი - www.portal- credo.ru). თითქოს, გამოდის, რომ „ქვემო ივერია“ და „ზემო ივერია“ აფხაზეთის სამეფოსა და გაერთიანებული საქართველოს ფორმირების სხვადასხვა ეტაპების ამსახველი ტერმინებია, რაც სინამდვილეს არ შეეფერება. მართალია, ეს არ არის პრინციპული მნიშვნელობის საკითხი (რადგანაც მას ოროგრაფიული კუთხით შევხედავთ თუ დ.დბარის მცდარ მოსაზრებას გავიზიარებთ, ორივე

შემთხვევაში „ზემო ივერია“ აღმოსავლეთ საქართველოა, „ქვემო ივერია“ - დასავლეთ საქართველო), მაგრამ მაინც უნდა აღინიშნოს, რომ ქართული წყაროების „ზემო“ და „ქვემო“ ხშირ შემთხვევაში „აღმოსავლეთისა“ და „დასავლეთის“ სინონიმებია. სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით, „დასავალი ეწოდების, სადათ მზე დახდების“ (ქვემოთ ჩადის), „აღმოსავალი-სადათ (+მზე) აღმოხდების“ (ზემოთ ამოდის).ერთი სიტყვით, მხარე, სადაც მზე „ქვემოთ“ ჩადის - დასავლეთია, საიდანაც „ზემოთ“ ამოდის - აღმოსავლეთი. ცხადია, აქედან მომდინარეობენ ტერმინები ზემო (აღმოსავლეთ) ივერია და ქვემო (დასავლეთ) ივერია.

წყაროებში ტერმინი „ზემო“ „ზემოთი“ საკუთრივ აფხაზეთთან მიმართებაშიც „აღმოსავლეთი“-ს მნიშვნელობით გამოიყენება. მაგალითად, „ახალი ქართლის ცხოვრების“ თანახმად, XV საუკუნეში „დადიანს ეპყრა: ცხენისწყალს ჩაღმართი, ლეჩხუმს ქვემოთი, სუანეთის მთის გარდმოღმართი, აფხაზეთის ზემოთი. და აფხაზეთი ჯიქეთამდე შარვაშიძეს ეპყრა“ (ქართლის ცხოვრება, ტ. 2, გვ. 349). აქ აშკარად აფხაზეთის საერისთავოს, უფრო კონკრეტულად ანაკოფიის აღმოსავლეთით („ზემოთ“) და ლეჩხუმის დასავლეთით (ქვემოთი) მდებარე ტერიტორიები იგულისხმება. „ახალი ქართლის ცხოვრების“ „აფხაზეთის ზემოთი“ იგივეა, რაც ჯუანშერის „კლისურითგან აღმართ“ („გარნა აწ უწყიეს შენება ადგილთა ჩუენთა კლისურითგან აღმართ“. - ქართლის ცხოვრება, ტ. 1, გვ. 242). XVII საუკუნის ბოლოს აფხაზეთის საერისთავოს საზღვრების გაფართოების შემდეგ აღმოსავლეთ ანუ „ზემო აფხაზეთად“ სამურზაყანო იწოდებოდა. ასე, მაგალითად, იმერეთის მეფე დავითი (1784-1789წწ.) თავის ელჩს რუსეთში ბესარიონ გაბაშვილს 1789 წლის 14 ივლისს ატყობინებდა, რომ ქუთაისში მას ეახლა „ზემო აფხაზეთის“ მფლობელი ლევან შარვაშიძე (**Дж. Гамахария, Б. Гогия. Абхазия - историчекая область Грузии**, с. 282). ეს უკანასკნელი სწორედ სამურზაყანოს მფლობელი გახლდათ.

უცხოურ წყაროებში ტერმინები „ივერია“, „საქართველო“ და „აფხაზეთი“უპირატესად გამოიყენება როგორც სინონიმები. ამიტომ აფხაზეთის ანუ დასავლეთ საქართველოს პატრიარქს (კათალიკოსს), რომელიც ელჩ გაბრიელ გეგენავას მოწმობით, XVII საუკუნის შუახანებშიც ჯერ კიდევ ბიჭვინთაში იჯდა, ზოგიერთი ავტორი იბერიის კათალიკოსად მოიხსენიებს, მაგალითად, მისიონერი დონ ქრისტოფორო დე კასტელი; დაახლოებით 1634-1639 წლებს შორის პერიოდში იგი აფხაზეთის კათალიკოს მალაქაია II გური-

ელთან ერთად ბიჭვინთაში იმყოფებოდა. მისი ცნობით, „იბერიის პატრიარქის (აფხაზეთის//დასავლეთ საქართველოს კათალიკოსის - ჯ.გ.) ბრძანებითა და განკარგულებით აფხაზებს მოაქვთ სვეტი წმინდა ანდრია მოციქულის (ბიჭვინთის ტაძრის - ჯ.გ.) შესაკეთებლად... იბერიის პატრიარქისგან მიღებულ წმინდა მირონს მთელ სამეფოში ავრცელებენ.

აფხაზეთის პროვინციაში დიდი ეკლესიაა ღვთაებრივი წმინდა ანდრია მოციქულის მიერ აგებული, რომლის შუაში წმინდა ზეთს ამზადებენ და იბერიის პატრიარქის მიერ აპრობირებული, ავრცელებენ თავის სამეფოში“ (დონ ქრისტოფორო დე კასტელი. ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ. თბ., 1977, გვ. 177).

ტერმინების „აფხაზეთი“ და „აფხაზი“-ს „საქართველო“-სა და „ივერიელი“-ს მნიშვნელობით გამოყენების მაგალითები მრავლად მოიპოვება ბიზანტიურ თუ აღმოსავლურ წყაროებში. ბიზანტირული ავტორებიდან შეიძლება დავასახელოთ XI საუკუნის მწერლები გიორგი კედრენე, მიხეილ ატალიატე, XII საუკუნის მწერალი იოანე ზონარა, XIII-XIV საუკუნეების ქრონოგრაფი ექვთიმე და სხვები (შესაბამისი დოკუმენტები კომენტარებით იხ.: Дж. Гамахария, Б. Гогия. Абхазия - историчекая область Грузии, с. 199, 217, 557-558, 562-563, 586-587 და ა.შ.). აზერბაიჯანული და სპარსული წყაროების (ხაკანი, ნიზამი და სხვები) „აფხაზეთი“ და „აფხაზი“ მხოლოდ სრულიად საქართველოს ან ქვეყნის დასავლეთი ნაწილის აღმნიშვნელია (შესაბამისი წყაროები კომენტარებით იხ.: Дж. Гамахария, Б. Гогия. Абхазия - историчекая область Грузии, с. 211, 212, 575-576, 577-579. იგივე ითქმის სომხური წყაროების შესახებაც, რომელთა ავტორები არიან ანანია შირაკაცი (VII ს.), იოანე დრასხანაკერტელი (X ს.), ფსევდო შაპუხ ბაგრატუნი (X ს.), უხტანესი (X ს.), სტეფანოზ ტარონელი ასოხიკი (XI ს.), მხითარ აირავანეცი (XIIIს.), ვარდენ ვარდაპეტი (XIIIს.) და სხვები (სათანადო დოკუმენტები კომენტარებით იხ.: Дж. Гамахария, Б. Гогия. Абхазия - историчекая область Грузии, с. 191-193, 196-198, 208-209, 216-217, 547-551, 554-556, 572-573, 584-585).

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ შუასაუკუნეების არაბულ წყაროებს, რომლებშიც თანამედროვე აფხაზთა წინაპრები თითქმის არ ფიქსირდებიან. ტერმინები „აფხაზეთი“, „აფხაზი“ მხოლოდ „საქართველოს“ (ზოგჯერ „ლაზიკას“) და „ქართველს“ (ზოგჯერ ლაზს“) აღნიშნავენ ისეთ ავტორებთან, როგორებიც არიან აბუ-ალ-კარიმი (Xს.), მასუდი (Xს.), იბნ-ალატარი (XI ს.), ალ-

ფარიკი (XII ს.), იაქუტი (XII-XIII სს.), აბულფედა (XIII-XIV სს.), ალ-მუხიბი (XIV ს.), ელ-კალკაშანდი (XIV-XV სს.) და სხვები (სათანადო დოკუმენტები კომენტარებით იხ.: (Дж. Гамахария, Б. Гогия. Абхазия - историчекая область Грузии, с. 193-196, 201, 215, 220-221, 223, 225, 551-553, 574, 583, 589-590, 593, და ა.შ.).

უცხოურ წყაროებში ტერმინ „აფხაზეთი"-ს „საქართველო"-ს მნიშვნელობით გამოყენების მრავალრიცხოვანი ფაქტები სეპარატისტთა ხელში ისტორიით მანიპულირების, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის წარსულის უხეშად გაყალბების, საქართველოს ისტორიის მითვისების, თანამედროვე აფსუა-აფხაზთა ისტორიად მისი გასაღების, შესაბამისად, მოსახლეობაზე იდეოლოგიური ზემოქმედების ერთ-ერთ საკმაოდ მძლავრ საშუალებად იქცა. მოვიტანთ წყაროების თვითნებური ინტერპრეტაციის გზით საქართველოს ისტორიის მითვისების მცდელობის ორიოდე მაგალითს. 1902 წელს ნიკო მარმა სინას მთაზე გრიგოლ განმანათლებლის ცხოვრების არაბული ტექსტი აღმოაჩინა. მის საფუძველს წარმოადგენს IV საუკუნის ავტორის აგათანგელოსის ბერძნულენოვანი ნაშრომის VII-VIII საუკუნეების რედაქცია, რომელიც არაბულ ენაზე IX საუკუნეში ითარგმნა. არაბულ თარგმანში, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება, ტერმინები „ლაზი" და „ლაზიკა" მათი სინონიმებით „აფხაზი"-თა და „აფხაზეთი"-თაა ჩანაცვლებული. დოკუმენტის საფუძვლიანი შესწავლის შემდეგ ნ. მარი ასკვნის, რომ მის მიერ აღმოჩენილ წყაროებში „საუბარია სწორედ ლაზებზე და ლაზიკაზე და არა ნამდვილ აფხაზებზე" (Записки Восточного Отделения Императорскго Русского Археологического Общества, т. 16, вып. 2-3. СПБ., 1905, с. 165-166). მიუხედავად ამისა, გრიგოლ განმანათლებლის ცხოვრების არაბული ტექსტი, რომელიც ნიკო მარმა რუსულ ენაზე თარგმნა, აფხაზური ისტორიოგრაფიის მიერ გამოიყენება როგორც ვითომ თანამედროვე აფსუა-აფხაზთა წინაპრების ისტორიის ამსახველი ერთ-ერთი წყარო (Е.К. Аджинджал. Из истории христианства Абхазии. Сухуми, 2000, с. 19), რაც ნამდვილი ისტორიის ფალსიფიკაციის მიზნებს ემსახურება.

ამ მხრივ განსაკუთრებით დ. დბარი გამოირჩევა. სამწუხაროდ, ის კრინტს არ ძრავს XVI-XVII საუკუნეებში მთიდან ჩამოწოლილ აფსუა-აფხაზთა მიერ აფხაზეთის დღევანდელ ტერიტორიაზე (ძირითადად, მდ. ღალიძგის ჩრდილო-დასავლეთით) ქრისტიანობის განადგურების, ისტორიული საეკლესიო ცენტრების (ბიჭვინთა, დრანდა, მოქვი), ათობით ეკლესია-მონასტრის მოშლის ან პირისა-

გან მიწისა აღგვის, ასობით მართლმადიდებელი მღვდელმსახურის ფიზიკური განადგურების ან რეგიონიდან განდევნის, სხვა ბარბაროსული ფაქტების შესახებ. ამასთანავე ცდილობს, რადაც არ უნდა დაუჯდეს, ყველა თვალსაზრისით ქართული საეკლესიო ორგანიზაცია - აფხაზეთის (ანუ დასავლეთ საქართველოს) საკათალიკოსო მხოლოდ ქართული სამღვდელოებითა და მღვდელმთავრებით, მხოლოდ ქართული მრევლით, მხოლოდ ქართული საღმრთისმსახურო ენით, მხოლოდ ქართული საეკლესიო წიგნებით, თანამედროვე გაგებით, „აფხაზურ ავტოკეფალურ ეკლესიად“ გამოაცხადოს (?!). ერთ-ერთი დოკუმენტი, რომლის საფუძველზე დ. დბარს თავისი ვერსიის „დამტკიცება“ სურს, გახლავთ 1905 წელს პ. ჟუზეს მიერ ყაზანში გამოცემული არაბული ხელნაწერი (რუსული თარგმანით), რომელიც ანტიოქიის პატრიარქის მაკარის (1647-1672წ წ.) მიერ საქართველოში, კერძოდ, წალენჯიხის მონასტერში 1665 წელს არის შედგენილი. მასში მოთხრობილია VIIIს. შუახანებში ანტიოქიის პატრიარქის თეოფილაქტეს (744-750 წწ.) მიერ ივერიის კათალიკოსად ივერიიდან სპეციალურად გამოგზავნილი ვინმე იოანეს კურთხევის შესახებ. პატრიარქ მაკარის არაბულ ხელნაწერში, სხვა ბევრად უფრო ადრინდელი ავტორებისაგან (მაგალითად, XI ს. ქართველი ავტორი ეფრემ მცირე, რომელიც თავის მხრივ VII საუკუნის ქრონოგრაფს იოანე ანტიოქელს ეყრდნობა; იმავე საუკუნის მოღვაწე ნიკონ ჩერნოგორელი) განსხვავებით, ტერმინი „ივერია“ ჩანაცვლებულია „აფხაზეთით“. ამის საფუძველზე ქართველი ისტორიკოსების ნაწილი სამართლიანად ამტკიცებს, რომ VIII საუკუნის შუახანებში მოხდა დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) პირველი ავტოკეფალური კათალიკოსის კურთხევა, საიდანაც იღებს სათავეს აფხაზეთის საკათალიკოსოც (ვ. გოილაძე. ქართული ეკლესიის სათავეებთან. თბ., 1991, გვ. 169-178, და ა.შ.). დ. დბარი კი ისტორიული წყაროებისათვის უცნობი, ანუ არარსებული აფსუურ//აფხაზური ავტოკეფალური საკათალიკოსოს დაფუძნების თაობაზე საუბრობს (Иеромонах Дорофей. მითითებული ნაშრომი. - www.portal-credo.ru). ამით იგი საქართველოს ისტორიის უხეშ ფალსიფიკაციას ეწევა, ცდილობს რა იბერიის//აფხაზეთის უძველესი საეკლესიო ისტორიის იმავე რეგიონში გვიან დამკვიდრებული აფსუა-აფხაზებისთვის „მიკუთვნებას“. ამის საშუალებას, როგორც ზემოთ ითქვა, მას (და სხვა სეპარატისტებს) ტერმინ „აფხაზეთი“-ს ხან ივერიის, ხან ლაზიკის მნიშვნელობით მოხსენიება, აქედან გამომდინარე, შესაბამისი ისტორიული წყაროების თვითნებური ინტერპრეტაცია აძლევს. ჯერ

კიდევ პატრიარქი დოსითეოსი, რომელსაც თავის შრომებში ხშირად მიმართავს დ.დბარი, წერდა ტერმინ „აფხაზი“-ს ორმაგი მნიშვნელობის შესახებ: საკუთრივ აფხაზები, რომლებიც „შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროზე ცხოვრობენ;“ „მეორე თვალსაზრისით, აფხაზეთი შეიცავს სამეგრელოსა და გურიას; ამ სახელით იწოდებოდა აგრეთვე საქართველოს სამეფო“ (**М. Селезнев. Руководство к познанию Кавказа, кн. I, с. 31**). აი, ამ ელემენტარული ჭეშმარიტების, ტერმინების „აფხაზეთი“-ს, „აფხაზი“-ს წყაროებში ორმაგი თუ სამმაგი, ანუ - საკუთრივ აფხაზეთის - დასავლეთ საქართველოს - სრულიად საქართველოს მნიშვნელობით გამოყენების მრავალრიცხოვანი მაგალითების) იხ. ამის შესახებ: მარიამ ლორთქიფანიძე. აფხაზები და აფხაზეთი. თბ., 2012, გვ. 24, 30 იგნორირებით ახერხებენ დ.დბარი და სხვები წარსულის გაყალბებას, ცალკეული ქართული პოლიტიკური ერთეულებისა და სრულიად საქართველოს, მისი ეკლესიის ისტორიის „მითვისებას“.

სეპარატისტმა ავტორებმა იმდენად შორს შეტოპეს, რომ თვით წყაროთა ფალსიფიკაციასაც კი არ ერიდებიან. მაგალითად, მ.გუმბა, იმოწმებს რა X საუკუნის სომეხ ავტორს უხტანესს, წერს: „უხტანესი ახსენებს აფხაზეთს როგორც მძლავრ სამეფოს მრავალრიცხოვანი მოსახლეობით“ (**М.Гумба. Абхазия в первом тысячелетии. Сухуми, 1989, с.12**). ო.ბღაჟბა და ს.ლაკობა მათ მიერ მომზადებულ აფხაზეთის ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოში აღნიშნავენ, რომ „უხტანესი მაღალ შეფასებას აძლევს, აფხაზეთის სამეფოს“. ამის დასტურად მისი ნაშრომიდან მოაქვთ შემდეგი ციტატა: „ ის ტომი აღორძინდა, გამრავლდა ზღვის პირას აქეთ-იქით, მოედო იმ მხარეს და გავრცელდა სომეხთა და ალბანთა საზღვრებამდე, შეიქმნა ფრიად მრავალრიცხოვანი ხალხი და იმ ქვეყანას აფხაზეთი ეწოდება“ (**О.Бгажба, С.Лакоба. История Абхазии.Сухуми, 2006, с.156**). ახლა ვნახოთ სინამდვილეში რას წერს უხტანესი: იგი საუბრობს „ტყვე იბერიელთა ტომებზე, რომლებიც მოიყვანა ნაბუქოდონოსორმა ... და დაიმორჩილა. მათი ნაწილი პონტოს ზღვის მარჯვენა ნაპირს წაასხა და დაასახლაო, ამბობს ისტორიკოსი, ის ვერია (ესპანეთის იბერია - ჯ.გ.) კი არის დასავლეთის ქვეყნის კიდე. ხოლო პონტოს ნაპირზე რომ დაბანაკდა ის ტომი აღორძინდა, გამრავლდა ზღვის პირას აქეთ-იქით, მოედო იმ მხარეს და გავრცელდა სომეხთა და ალბანთა საზღვრებამდე, შეიქმნა ფრიად მრავალრიცხოვანი ხალხი და იმ ქვეყანას აფხაზეთი ეწოდება. ურიცხვია სახელი თითოეული გავარისა, რომელიც მის გარშემოა, და სხვა გავარებისა ქალაქ

თბილისის გარშემო ... ითესლეს და გამრავლდნენ და გახდა ტომი, რომელსაც თავის პირველ ქვეყანაში ვერიას უწოდებდნენ, აქ ქართველნი ეწოდებათ. ტომითაც, ენითაც, დამწერლობითაც, მამამთავრობითაც, მეფობითაც განმტკიცდნენ, ხოლო გამოჰყო, გამოაცალკევა და განაშორა ჩვენგან კირონ სკუტრელმა ...“(უხტანესი. ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან. სომხური ტექსტი ქართული თარგმანითა და გამოკვლევით გამოსცა ზაზა ალექსიძემ. თბ., 1975,გვ.67). უხტანესის ეს ცნობა წარმოადგენს მხოლოდ იმის დადასტურებას, რომ აფხაზეთის სამეფო, რომლის საზღვრები დღევანდელ აზერბაიჯანამდე აღწევდა, შავი ზღვის სანაპიროზე ოდესღაც დასახლებულმა,შემდგომში აღორძინებულმა და გამრავლებულმა იბერებმა შექმნეს; თუ დასავლეთში მათ „ვერიას უწოდებდნენ აქ ქართველნი ეწოდებათ“. ყველაფერი ნათელია, მაგრამ სეპარატისტები წყაროს დამახინჯებით, კონტექსტიდან ამოგლეჯილი ფრაზებით მაინც ცდილობენ ისტორიის გაყალბებას, საქართველოს ისტორიის მითვისებას; ისინი საგულდაგულოდ მალავენ აფხაზეთის სამეფოს შემქმნელი ხალხის, სამეფოს მოსახლეობის ეთნიკურ ვინაობას.

სათანადო მაგალითების მოხმობა კიდევ მრავლად შეიძლება, თუმცა სურათი ისედაც ნათელია. მოტანილი წყაროები ორივე ელჩობის მასალებთან ერთად იმის უტყუარი მტკიცებულებაა, რომ, მიუხედავად ისტორიის ფალსიფიკატორთა მტკიცებებისა, სამეგრელოს სამთავროს ტერიტორია მარტვილიდან დრანდამდე და ბიჭვინთამდე ივერიის ქვეყნის ნაწილია, სადაც ივერიელები ცხოვრობენ; ლევან II დადიანი, მისივე სიტყვებით, ივერიის ქვეყნის სამეგრელოს ოლქის მმართველია; მღვდელმთავარი, რომელიც ბიჭვინთაში იჯდა, ივერიის პატრიარქია (კათალიკოსია). დამატებით განხილული უცხოელ ავტორთა ცნობები კი იმაზე მეტყველებენ, რომ ასე იყო არა მხოლოდ XVII საუკუნის შუახანებში, არამედ მთელი ისტორიის მანძილზე - რუსი ელჩების ჩამოსვლამდეც და შემდგომ პერიოდშიც.

ამ ცხად ჭეშმარიტებას აფხაზი ისტორიკოსები უარყოფენ, ამასთანავე ცდილობენ სამეგრელოში ჩამოსული რუსი ელჩების მასალების მიჩუმათებას. ასე, მაგალითად, ე. აჯინჯალი წერს, რომ თურქეთისა და ირანის მიერ 1639 წელს კავკასიის გადანაწილების შემდეგ „აფხაზეთის საეკლესიო კავშირები საქართველოსთან გაწყდა“ (Е.К. Аджинджал. Из истории христианства Абхазии. Сухуми, 2000, с. 120-121). წინამდებარე კრებულში გამოქვეყნებული მასალები, ხომ, სრულიად საპირისპიროზე მეტყველებენ. ისინი ცალ-

სახად ამტკიცებენ, რომ არანაირი „აფხაზეთის ეკლესია“ ბუნებაში არ არსებობდა, ბიჭვინთაში კი „იბერიის პატრიარქი“ ანუ აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) ქართველი კათალიკოსი იჯდა; თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარე სხვა საეკლესიო ცენტრები (საეპისკოპოსო კათედრები) დრანდაში, მოქვსა და ბედიაში უშუალოდ სამეგრელოს შემადგენლობაში შედიოდნენ, მის ორგანულ ნაწილს წარმოადგენდნენ. ამ პირობებში საქართველოსთან ეკლესიური კავშირების გაწყვეტაზე საუბარი მხოლოდ ისტორიის მიზანმიმართული ფალსიფიკაციაა და სხვა არაფერი. იგივე ე. აჯინჯალი კონსტანტინოპოლისა და იერუსალიმის პატრიარქის დოსითეოსის (1641-1707წწ.) გამონათქვამის თვითნებური ინტერპრეტაციის საფუძველზე კიდევ უფრო შორსმიმავალ დასკვნას აკეთებს. მას მოქავს ზემოხსენებული პატრიარქის სიტყვები იმის შესახებ, რომ „წმინდა მირონის მიღებისთვის ივერიელები ყოველთვის მეგობრულად იყვნენ აფხაზებთან. მაგრამ სანამ ამას (მირონის ხარშვას - ჯ.გ.) შეუდგებოდნენ, სანდოობისთვის მძევლებს, ამანათებს ითხოვენ და მერე ჩამოდიან მათთან“. ამ სიტყვებიდან გამომდინარე, ე. აჯინჯალი წერს „აფხაზეთსა და საქართველოს შორის არა მხოლოდ საეკლესიო კავშირების აშკარა გაწყვეტის, არამედ პოლიტიკური განხეთქილების შესახებ“ (**Е.К. Аджинджал. Из истории христианства Абхазии. Сухуми, 2000, с. 123**). პატრიარქ დოსითეოსის გამონათქვამი მიუთითებს არა „აფხაზეთსა და საქართველოს შორის“ საეკლესიო-პოლიტიკური კავშირების არარსებობაზე, არამედ XVI საუკუნის შუახანებიდან აფხაზეთის საერისთავოში (დღევანდელ გუდაუთის რაიონი) დემოგრაფიული ვითარების რადიკალურ შეცვლაზე - მთიელთა მასობრივ ჩამოსახლებაზე, რის შემდეგაც აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსებმა აფხაზეთის საერისთავოში მდებარე ბიჭვინთის საკათალიკოსო კათედრა იძულებით დატოვეს და გელათში გადავიდნენ. აფხაზი ავტორები ამ საყოველთაოდ ცნობილ მოვლენაზე არსებით საუბარს შეგნებულად თავს არიდებენ. პატრიარქ დოსითეოსის ზემოთმოტანილი ციტატის მომდევნო წინადადებაში ე. აჯინჯალს შეეძლო ამოეკითხა და განემარტა ცნობა იმის თაობაზე, რომ ლევან II დადიანმა „40000 აფხაზი მონათლა, მათ იმდენივე სპარსული ზედა სამოსელი დაურიგა და ეპისკოპოსი მისცა“ (**М. Селезнев. Руководство к познанию Кавказа, кн. I, М., 1847, с. 28**).

ლევან II დადიანის მიერ 40 000 აფხაზის მონათვლის ფაქტი, რომელსაც აფხაზი ავტორები დუმილით გვერდს უვლიან, სულაც

არ მეტყველებს აფხაზეთ-საქართველოს შორის საეკლესიო თუ პოლიტიკური კავშირების განყვეტის შესახებ. პირიქით, იგი კიდევ ერთხელ იმაზე მიუთითებს, რომ აფხაზეთის საერისთავო ეკლესიურადაც და პოლიტიკურადაც (ადმინისტრაციულად) ლევან II დადიანის დაქვემდებარების ქვეშ იმყოფებოდა. აფხაზი ავტორები არ სვამენ კითხვას, რატომ გახდა აუცილებელი 40 ათასი ადამიანის მონათვლა აფხაზეთის საერისთავოში, რომელიც ჯერ კიდევ I საუკუნეში ქრისტეს მოციქულებმა ანდრია პირველწოდებულმა და სიმონ კანანელმა, VI საუკუნეში კი იუსტინიანე პირველმა (527-565წწ.) მონათლეს? რატომ გახდა 40 ათასი ადამიანი, ანუ თითქმის მთელი მოსახლეობა მოსანათლი საერისთავოში, სადაც საუკუნეების განმავლობაში დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ცენტრი - ბიჭვინთის საკათალიკოსო კათედრა ფუნქციონირებდა, სადაც XVI საუკუნის შუახანებამდე სულ ცოტა 15 ეკლესია - მონასტერი მოქმედებდა? დასმულ კითხვებზე მარტივი პასუხი არსებობს - მოსანათლი გახდა ახლად ჩამოსახლებულები, რომელთა რაოდენობა, ეტყობა, 40 ათასს შეადგენდა.

ქართული პოლიტიკური ერთეულების, მათ შორის სამეგრელოს სამთავროს რუსეთისკენ მისწრაფების ფრთხილი ტენდენცია თურქეთისთვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა. მას, ცხადია, გაბრიელ გეგენავას, ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარიევის ელჩობათა შესახებაც ჰქონდა ინფორმაცია. ყოველივე ამით შეშფოთებულმა თურქეთმა, რომელიც შავ ზღვაზე მოთარეშე რუსი კაზაკების მიმართ ლოიალური დამოკიდებულების გამო, სამეგრელოს მთავარზე ისედაც განრისხებული იყო, რადიკალური ზომების მიღება გადაწყვეტა. მას იმ დროისთვის უკვე დაკარგული ჰქონდა ქ. აზოვი, რომელიც 1637 წელს სწორედ რუსმა კაზაკებმა თვითნებურად დაიკავეს. ამით გარკვეული საფრთხე ექმნებოდა შავ ზღვაზე თურქეთის ბატონობას, რისი დაშვებაც მას არანაირად არ სურდა. რუსეთთან ურთიერთობის დამყარების მცდელობა უნდა ყოფილიყო სამეგრელოს დასჯის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი. ასეთი მცდელობის ძირშივე აღკვეთის მიზნით, თურქეთმა ხელი შეუწყო სამეგრელოს სამთავროზე მთიელთა თავდასხმებისს გააქტიურებას. აფხაზეთის ერისთავებმა ამ თავდასხმებისა და სხვა ხელსაყრელი ფაქტორების გამოყენების შედეგად XVII ს. 80-იანი წლებისთვის დაიპყრეს ტერიტორიები მდ. ინგურამდე. მათ ხელში ჩაიგდეს და მიწასთან გაასწორეს დრანდისა და მოქვის საეპისკოპოსოები (ბედიის საეპისკოპოსო დროებით გადარჩა), იქ დაცული ქრისტიანული

სიწმინდეების უდიდესი ნაწილი. დამპყრობლებმა ცეცხლითა და მახვილით დაიმორჩილეს და პრაქტიკულად უუფლებო მონებად აქციეს ადგილობრივი ქართული მოსახლეობა; ყოველივე ამის თვითმხილველი კათოლიკე მისიონერების ცნობით, მომხდურებმა ასზე მეტი მართლმადიდებელი სასულიერო პირი დახოცეს, დანარჩენებმა თავს გაქცევით უშველეს (მ. თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. თბ., 1902, გვ. 209-212). XVI-XVII საუკუნეების ქართულ საეკლესიო წიგნებში აღწერილმა აფხაზეთის საკათალიკოსოს კუთვნილმა მეურნეობებმა მდ. ენგურის მარჯვენა მხარეს არსებობა შეწყვიტეს (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 3. თბ., 1970, გვ. 331-371, 382-386, 419-435, 647-648, 677 და ა.შ.). საეკლესიო გლეხები, რომლებიც ამ მეურნეობებში შრომობდნენ (გვარებისა და სახელების მიხედვით, ისინი ქართველები იყვნენ), ტყვედ გაყიდეს, მათი ნაწილი სხვადასხვა გზებით (გაქცევით, გამოსყიდვით და ა.შ.) მდ. ენგურის მარცხენა მხარეს გადმოვიდა. ინტერესმოკლებული არ იქნება ითქვას, რომ ისტორიის ფალსიფიკაციას მიჩვეული აფხაზი ავტორები, რომლებიც აფხაზეთის საკათალიკოსოს აფსუურ (აფხაზთა თვითსახელწოდება) საეკლესიო ორგანიზაციად ასაღებენ, აღნიშნული საკათალიკოსოს მოღვაწეობის, მისი ნამდვილი ისტორიის ამსახველი შუასაუკუნეების უნიკალური ქართული მასალებით (სხვა მასალები არც არსებობს) თავიანთ შრომებში არ სარგებლობენ (?!).

აფსუა-აფხაზთა მიერ სამეგრელოს ჩრდილო-დასავლეთი რეგიონების მიტაცების, იქიდან ივერიელ-აფხაზთა გამოდევნის შესახებ უამრავი ქართული, ევროპული და რუსული წარმოშობის ცნობა არსებობს (ჯემალ გამახარია. აფხაზეთის ეთნიკური ისტორიიდან. მოკლე ისტორიოგრაფიული მიმოხილვა. - თეიმურაზ მიბჩუანი - 70. თბ., 2008-2010, გვ. 44-62), რომლითაც უკანასკნელი საუკუნეების განმავლობაში მეცნიერები სარგებლობდნენ და დღესაც სარგებლობენ. 1745 წელს დასრულებულ ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ ვახუშტი ბატონიშვილი წერდა: „გარნა იყო ჭირი დიდი ოდიშს, ვითარცა აღვსწერთ, და უმეტეს აფხაზთაგან, რამეთუ მოვიდოდიან ნავებითა და ხმელითა და სტყუევნიდიან, დაიპყრეს ვიდრე ეგრისის მდინარედმდე, და დაეშენებოდნენ თვით აფხაზნი და არღარა იყო დრანდას და მოქუს ეპისკოპოსნი“ (ქართლის ცხოვრება, ტ. IV. თბ., 1973, გვ. 845). ისტორიულ მასალაზე დაყრდნობით, დ. ბაქრაძე წერდა: „ჩვენ ვფიქრობთ, რომ აფხაზნი, შემდეგ იმათის გადმოხვეწნისა მთას იქიდამ, როგორც უფრო ძლიერნი, მოაწვნენ

მეგრელებს და ამ უკანასკნელებმა თავისი სისუსტის გამო დაუთმეს მათ თავისი მიწა-წყალი" (დ. ბაქრაძე. ისტორია საქართველოსი. ტფილისი, 1889, გვ. 272-273). აღნიშნული მოსაზრება მყარად დამკვიდრდა ქართულ ისტორიოგრაფიაში, თუმცა საბჭოთა პერიოდში მას მოწინააღმდეგეებიც გამოუჩნდნენ.

აფსუა-აფხაზთა ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსახლების თეორიას მხარს უჭერდა რუსული ისტორიოგრაფიაც, როცა ის არ იყო ან ნაკლებად იყო პოლიტიზირებული. პირველი რუსი პროფესიონალი ისტორიკოსის ვ.ნ. ტატიშჩევის (1686-1750წწ.) აზრით (მის შრომებს რუსული ისტორიოგრაფია წყაროს მნიშვნელობას ანიჭებს), „ავხაზოს"-ის ანუ აფხაზეთის დღევანდელი ტერიტორია „ჩრდილოეთ სამეგრელოა, რომლის მეტი ნაწილი ამჟამად ყუბანელებითაა დასახლებული" (В.Н. Татищев. История Российская, т.1. М., - Л., 1962, с. 171). შეხედულება, რომ აფხაზეთი სამეგრელოს ჩრდილოეთი ნაწილია, ანუ იგივე სამეგრელოა, XVIII საუკუნის ბოლომდე და XIX ს. დასაწყისამდე მყარად იყო გაბატონებული რუსულ მეცნიერებაში და პოლიტიკურ აზროვნებაში (ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი უძველესი დროიდან დღემდე. მთ. რედაქტორი ჯემალ გამახარია. თბ., 2007, რუკები ##15-16). პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრი გენერალი პიეტრო-სიმეონ პალასი (1741-1811წწ.) აფსუა-აფხაზებს („აბსნე") სავსებით სწორად აბაზებად მოიხსენიებდა და მათ შესახებ წერდა: „ეს ხალხი, როგორც ჩანს, წარმოშობით არის კავკასიის მთების ჩრდილო-დასავლეთი ნაწილიდან" (Дж. Гамахария, Б. Гогия. Абхазия - историчекая область Грузии, с. 285). აღნიშნულ მოსაზრებას რუსულ ისტორიოგრაფიაში მიმდევრები შემდგომშიც ჰყავდა. ასე, მაგალითად, ა.ნ. დიაჩკოვ-ტარასოვი 1903, 1905 და 1909-1910 წლებში გამოქვეყნებულ შრომებში აფსუა-აფხაზთა XVI-XVII საუკუნეებში ჩამოსახლების თეორიას ავითარებდა (А.Н. Дьячков-Тарасов. Гагры и его окрастности. Тифлис, 1903, გვ. 36-37; მისივე: Абхазия и Сухум в XIX столетии. - Известия Кавказского Отделения Русского Географическогог Общества, т. XX. Тифлис, 1909-1910, с. 152, 210). იგი წერდა: „აფხაზები ყოველთვის არ იყვნენ იქ, სადაც ამჟამად ცხოვრობენ, მათი გადმოცემები კი და სხვა ისტორიული მონაცემები, ზნე-ჩვეულებები მიუთითებენ, რომ ისინი მოვიდნენ ჩრდილოეთიდან და შეავიწროეს ქართველური ტომები, სანამ ენგურთან არ გაჩერდნენ" (А.Н. Дьячков-Тарасов. Бзыбская Абхазия. - Известия Кавказского Отделения Русского Географическогог Общества, т. XVII,

Тифлис, 1905, с. 85).

ოფიციალური რუსული წყაროების მიხედვითაც, აფხაზეთში, კერძოდ, სამურზაყანოში აფსუა-აფხაზები ჩამოსახლდნენ „არა ცალკეული ოჯახებით, არამედ მთელი ორგანიზებული თემებით" (Утверждение русского владычества на Кавказе, т. XII. Тб., 1902, с. 417). იმავე წყაროების თანახმად, „წებელის თავადების მორშანების მოდგმა ესშაუ მარშანისგან მომდინარეობს, რომელიც წებელში დაახლოებით XVII საუკუნის შუახანებში დამკვიდრდა" (Акты..., т. 12. Тифлис, 1904, გვ. 860).

აფხაზეთის უძველესი ისტორიის შესახებ წერდნენ ევროპელი მოგზაურები, დიპლომატები და მეცნიერები. გერმანელი დიპლომატი ს. გერბერშტეინი, რომელიც XVI საუკუნის პირველ მეოთხედში საგანგებო მისიით ორჯერ იმყოფებოდა რუსეთში, მდინარე ყუბანის სამხრეთით მდებარე ტერიტორიებს, რუსების მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, სამეგრელოს მიაკუთვნებდა; იქვე აღნიშნავდა, რომ მდინარე ყუბანთან „ცხოვრობდა Aphgasi ხალხი" (С. Герберштеин. Записки о Московии. М., 1988, с. 181). ს. გერბერშტეინის ცნობას ეხმიანება ჯაკოპო გასტალდის რუკა (1561 წელი), რომელზეც მდ. ყუბანის შუაწელში დაფიქსირებულია Abcvas Begi; იმავე რუკაზე აღნიშნულ მის მთავარ ქალაქს კი Acua ეწოდება. სწორედ, იქ ცხოვრობდნენ თანამედროვე აფსუა-აფხაზთა წინაპრები. ჩრდილო-დასავლეთ სამეგრელოში ჩამოსახლების შემდეგ ადგილობრივ ქალაქ ცხუმს (სოხუმს) ყუბანიდან ჩამოტანილი სახელი Acua დაარქვეს (ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი, რუკა, #11).

აფხაზეთსა და აფხაზებს (აბაზიებს) კარგად იცნობდა გერმანელი მეცნიერი ჰაინრიხ იულიუს კლაპროთი (1783-1835წწ.). კავკასიაში და საქართველოში მოგზაურობის (1807-1808წწ.) შემდეგ გერმანულ და ფრანგულ ენებზე გამოცემულ შრომებში აფსუა-აფხაზთა („აბსნე") შესახებ ის წერდა: „ფიქრობენ, რომ ისინი ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის აბორიგენები არიან და მოგვიანებით გავრცელდნენ სხვა რაიონებში" (Y. Klaproth. Reise in den Kaukasus und nach Georgien unternomen in den iahren 1807 und 1808. Hale und Berlin, 1812, გვ. 447). მორიგ ნაშრომში კი იგი აღნიშნავდა, რომ აბაზები („აბსნე"), „როგორც ეტყობა, მთელი ანტიკური ეპოქა ცხოვრობდნენ კავკასიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში", საიდანაც ჩერქეზებმა გამოდევნეს (Voyage ou mont du Caucase et en Georgie par

M. Uiles Klaproth, t.I. Paris, 1823, გვ. 201). 1827 წელს გამოცემულ ნაშრომში იულიუს კლაპროთმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ აფსუა-აფხაზები „ძალიან დიდხანს ცხოვრობდნენ კავკასიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში" (Tableau historique, geographique, etnographes entre la Russe et la perse. Par. M. Klaproth. Paris, 1827, გვ. 83).

კავკასიაში, მათ შორის საქართველოში მოგზაურობას (1833წ.) სერიოზული ნაშრომი მიუძღვნა შვეიცარიელმა ფრანგმა მეცნიერმა, პარიზის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა ფრედერიკ დიუბუა დე მონპერემ. ის წერდა იმის შესახებ, თუ როგორ ვრცელდებოდა დადიანების სამფლობელო „ზღვის სანაპიროს გასწვრივ დაახლოებით ჯიქეთამდე, როგორ აწამებდნენ მას (სამეგრელოს - ჯ.გ.) მტერთა მუდმივი თავდასხმები და ამ მშვენიერი სანაპიროების გასწვრივ, ერთის მხრივ, ჩერქეზთა, მეორეს მხრივ, თურქთა სისხლიანი ხელი დასეირნობდა. მთავრებმა დადიანებმა, რომლებიც ორი საუკუნის წინ იძულებული გახდნენ თავიანთი საზღვრები ანაკოფიაში გადაეტანათ, ახლა მდინარე ღალიძგამდე დაიხიეს და აფხაზეთი, ეს ბედკრული ქვეყანა, ისეთივე ველური გახდა, როგორც ამერიკის ტყეები: ყველაფერი ნანგრევებად იქცა, ყველა ეკლესია ჩამოიქცა, ცივილიზაციის ყველა კვალი წაიშალა" (**Путешествие вокруг Кавказа Фредерик Дюбуа де Монперэ, т. 1. Сухуми, 1937, с. 149**). ფრ. დიუბუა დე მონპერეს ეს დასკვნა იმ უცილობელი ფაქტის დადასტურებაა, რომ XVI-XVII საუკუნეებში ჩამოსახლებული აფსუა-აფხაზები, სეპარატისტთა მტკიცების მიუხედავად, თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე საუკუნეების მანძილზე ქართველთა მიერ შექმნილი ქრისტიანული ცივილიზაციის არა შემოქმედნი თუ თანაშემოქმედნი, არამედ მისი გამანადგურებლები, ამაოხრებლები არიან.

დაახლოებით იგივეს ამტკიცებდნენ სხვა ავტორებიც. ინგლისელი ე. სპენსერი 1851 წელს აფსუა-აფხაზთა შესახებ წერდა, რომ „ისინი ნაწილობრივ ყირიმის (ყაბარდოს - ჯ.გ.) და ყუბანის ხანებისა და სულთანების ჩამომავლები არიან, რომლებიც თავიანთ ტომებთან ერთად ამ ადგილებში დასახლდნენ" (კ. კოხისა და ე. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ლ. მამაცაშვილმა. თბ., 1981, გვ. 135).

ამრიგად, გვიან შუასაუკუნეებში მდ. ენგურსა და ფსოუს შორის მდებარე ქართულ ტერიტორიაზე კავკასიელი მთიელების ჩამოსახლების ფართოდ აღიარებული ფაქტი, რომელიც პოლიტიკური მოსაზრებით, საბჭოთა ისტორიკოსების ნაწილმა „დაივიწყა", იმდე-

ნად აშკარაა, რომ არავითარ ეჭვს არ იწვევს. ამის შესახებ აფსუა-აფხაზთა ჩრდილოეთკავკასიელმა მონათესავე ხალხების რიგებიდან გამოსულმა მეცნიერებმაც იციან. მაგალითად, ვ. იაგოვიტინი თავის უკიდურესად ტენდენციურ ნაშრომში აფხაზეთის შესახებ (Яговитин В.Ф. Очерки истории Абхазии. Майкоп, 1995) იძულებულია აღიაროს მთიელთა მონაწილეობა აფხაზთა ომებში სამეგრელოს წინააღმდეგ, ყაბარდოდან გამოსული წარჩინებულების აფხაზეთში დამკვიდრება, გალის რაიონში აფსუა აფხაზთა ჩამოსახლება და ა.შ. (იხ. ამის შესახებ: В.А. Шнирельман. Войни памяти. М., 2003, с. 431).

აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიის გვიან შუასაუკუნეებამდე სამეგრელოსადმი კუთვნილების ფაქტი იმდენად აშკარაა, რომ მას ცალკეული აფხაზი ისტორიკოსებიც აღიარებენ, თუმცა იქვე „განმარტავენ“, თითქოს სამეგრელომ აღნიშნული ტერიტორიები“ XIII-XIV საუკუნეებში დაიპყრო; XVII ს. ბოლოს კი ვითომ წინა საუკუნეებში დაკარგული ტერიტორიები დაიბრუნეს (З. Анчабадзе. Очерк этнической истории Абхазского народа. Сухуми, 1976, с. 65-68; История Абхазии. Гудаута, 1993, с. 126; Белая книга Абхазии. 1992-1993гг. М., 1993, с. 23, 26, და ა.შ.). მსგავსი მოსაზრებები ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. იბერიული (კოლხურ-სვანური) მოსახლეობის აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიაზე და მისი ჩრდილო-დასავლეთით XIII-XIV საუკუნეებამდე და ბევრად უფრო ადრეც - უძველესი დროიდან განსახლება საყოველთაოდ ცნობილი და ისტორიოგრაფიაში აღიარებული ფაქტია. მოვიტანთ სათანადო ქართული და უცხოური წყაროების გარკვეულ ნაწილს.

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ქართული ისტორიული ტრადიცია მთელს დასავლეთ საქართველოს და ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთს მდინარე მცირე ხაზარეთამდე ანუ თანამედროვე მდ. ყუბანამდე ეგრების (დასავლელი ქართველების) სამკვიდროდ მიიჩნევს (ქართლის ცხოვრება, ტ. 1, გვ. 5). იგივეს ადასტურებენ ძველბერძნული, რომაული და ბიზანტიური წერილობითი წყაროები. ძვ. წ. VI საუკუნის ავტორების ჰეკატე მილეთელისა და სქილაქს კარიანდელის (ამ უკანასკნელის ცნობები შემონახულია ძვ. წ. IV საუკუნის ავტორთან ფსევდო სქილაქს კარიანდელთან) ცნობების თანახმად, დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე დიოსკურიის (სოხუმი) ჩათვლით კოლხები ცხოვრობენ (ნ. ლომოური. ბერძენი ლოგოგრაფოსების ცნობები საქართველოს შესახებ. - მასალები საქართველოსა და კავკასიის

ისტორიისთვის, ნაკვ. 35. თბ., 1963, გვ. 29, 33-34; აკაკი ურუშაძე. ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში. თბ., 1964, გვ. 288-289). „ისტორიის მამად“ წოდებული ჰეროდოტე (ძვ.წ. V ს.) აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მხოლოდ კოლხებს ასახელებს (თ. ყაუხჩიშვილი. ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ. თბ., 1960, 4. 37). სტრაბონის მიხედვით (ძვ. წ. I-ახ.წ. I სს.), ბიჭვინთა და დიოსკურია (სოხუმი) კოლხეთის ფარგლებშია მოქცეული; უფრო მეტიც, დიოსკურიის თავზე და მის ირგვლივ სვანთა ძლიერი ტომი დომინირებს (თ. ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია. ცნობები საქართველოს შესახებ. თბ., 1957, XI, 2, 14, 19). პლინიუს უფროსი (Iს.), აღწერს რა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთს, ასახელებს ციხესიმაგრეს სებასტოპოლისს (სოხუმი), მის სიახლოვეს მდებარე გაუკაცრიელებულ კოლხურ ქალაქ დიოსკურიას“ (ლ. არბოლიშვილი. პლინიუს უფროსის „ბუნების ისტორია“ როგორც საქართველოს ისტორიის წყარო. თბ., 2006, VI, 14-16). ფლავიუს არიანეს (II ს.) მონაცემებით, სებასტოპოლში მაცხოვრებელი კოლხები სანიგების სახელს ატარებენ; თანამედროვე რუსეთის ფედერაციის ქალაქ ტუაფსეს ჩრდილო-დასავლეთითაც კი ქართული ქალაქი „ძველი ლაზიკა“ მდებარეობს (ფლავიუს არიანე. მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო. თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და რუკა ნათელა კეჭაღმაძისაა. თბ., 1961, გვ. 52-53).

აფხაზეთის ეთნო-პოლიტიკური ისტორიისათვის მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს კლავდიოს პტოლემაიოსის (II საუკუნის შუახანები) „გეოგრაფიის სახელმძღვანელო“, რომლის მეხუთე წიგნის მეცხრე თავი მდინარე ბზიფიდან სამხრეთის მიმართულებით კაპადოკიამდე გადაჭიმულ კოლხეთს ეძღვნება, თუმცა მდ. ბზიფის ჩრდილოეთითაც იბერიული სამყაროა წარმოდგენილი. დღევანდელი გაგრის რაიონისა და სოჭის ფარგლებში აშკარად ქართული მოდგმის სვანო-კოლხებია დასახლებული; საკუთრივ „კოლხეთის ზღვისპირა ნაწილში, - წერს კლ. პტოლემაიოსი, - მოსახლეობენ ლაზები, ზევით მდებარე ადგილებში მანრალები და ეკრეკტიკის ქვეყნის მცხოვრებნი“ (ნ. ლომოური. კლავდიოს პტოლემაიოსი. „გეოგრაფიის სახემძღვანელო“, ცნობები საქართველოს შესახებ. - მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისთვის, ნაკვ. 32. Tბ., 1955, გვ. 43-45). II საუკუნეში ლაზიკას რომის იმპერატორის ანტონიუს პიუსის (138-161წწ.) მიერ დანიშნული მეფე პაკორი მართავდა. ამ მეფის შესახებ 2005 წელს გაგრის ზონაში სოფელ აჩმარდის ანტიკურ სამაროვანში აღმოჩენილი ვერცხლის თასის ბერძნული

წარწერა გვაუწყებს: „მე, მეფე პაკორმა, (ჩემს) ცხოვართ მივართვი“ (თედო დუნდუა, აკაკი ჩიქობავა. დასავლეთ საქართველოს ჰეგემონი ლაზთა მეფე პაკორი. თბ., 20013, გვ. 3-8). აღნიშნული ფაქტი წარმოადგენს დამატებით უტყუარ მტკიცებულებას II საუკუნის შუახანებში თანამედროვე გაგრის რაიონამდე ქართული მოსახლეობის მკვიდრობის, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ერთიანი ლაზური სახელმწიფოს არსებობის შესახებ.

IV საუკუნის მეორე ნახევრის ავტორის რუფინუს ავიენიუსის ცნობით, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ზიგების სამხრეთ-აღმოსავლეთით „ენერგიულ კოლხებს“ და „მრისხანე იბერებს“ ეკავათ (В. Латышев. Известия древных писателей греческих и латинских о Скифии и Кавказе, т. II, вып. 2-й. СПБ., 1906, გვ. 358-359). V საუკუნის ანონიმი ავტორი ადასტურებს დღევანდელი რუსეთის ფედერაციის ქალაქ ტუაფსეს ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ქალაქ ძველი ლაზიკის არსებობას, რომელსაც იმჟამად უკვე ნიკოფსია ერქვა. მისივე ცნობით, „დიოსკურიიდან (რომელსაც აგრეთვე სებასტოპოლი ეწოდება) ვიდრე აფსარის წყლამდე (ჭოროხი) წინათ ცხოვრობდა ის ხალხი, რომელსაც კოლხები ეწოდებოდათ და (მერე) გადაერქვათ ლაზები“ (გეორგიკა, ტ. 2. თბ., 1965, გვ. 6-11). V საუკუნის სომეხი ავტორი ფავსტოს ბუზანდი ახსენებს ეგერ-სვანებს (История Армении Фавстоса Бузанда. Перевод с древнеармянского и комментарий М. А Геворгяна, под редакцией С.Т. Еремяна. Ереван, 1953, с. 15), რომლებიც კლავდიოს პტოლემაიოსის მიერ დღევანდელი აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთში სვანო-კოლხების სახელწოდებით არიან დაფიქსირებული (Дж. Гамахария, Б. Гогия. Абхазия - историчекая область Грузии, с. 529-531, 537).

ბიზანტიელი მწერლები, მათ შორის 334 წელს დაწერილი Liber generationis-ის („მოდგმათა წიგნის“) უცნობი ავტორი, ეპიფანე კვიპრელი (314-403წწ.), „პასქალური ქრონიკის“ შემდგენელი (630-640წწ.), რომელიც თავის მხრივ იპოლიტე რომაელის (IIIს.) მონაცემებს ეყრდნობა, გიორგი სინგელოზი (VIII-IX სს.), ლეონ გრამატიკოსი (XIს.), გიორგი კედრენე (XI ს.) და სხვები თავიანთ გენეალოგიურ სქემებში კოლხ-იბერებს, აგრეთვე ხალიბებს, მოსინიკებს, ტიბარენებს, სანებსა და კოლებს მოიხსენიებენ (გეორგიკა, ტ. 1, გვ. 11-20, 39-41; ტ.4, წ.1, გვ. 6-10, 61-63; ტ.5, გვ. 3-4, 10). ამავე დროს მათ, მიერ შემოთავაზებულ სქემებში აფხაზისთვის როგორც ცალკე ეროვნებისთვის, ცალკე ხალხისთვის ადგილი მიჩენილი არ არის, რადგანაც ასეთი ეროვნება მაშინ არ არსებობდა.

VIII საუკუნის ბოლოდან არსებული აფხაზეთის სამეფო, რომელიც დასავლეთ საქართველოს მოიცავდა, სპეციალისტთა აღიარებით, ქართულ სახელმწიფოს წარმოადგენდა ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით უფრო განვითარებული ქართული მოსახლეობით, ქართული ენით, ქართული დედაქალაქით ქუთაისით (**З. Анчабадзе, Г. Дзидзария. Дружба извечная, нерушимая. Сухуми, 1972, с. 18**). მისი მმართველები იმ სამეფო გვირგვინს ატარებდნენ, რომელიც დინასტიური ქორწინების შედეგად VIII საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისში ჯერ კიდევ აფხაზეთის ერისთავ ლეონ პირველს ერგო (ქართლის ცხოვრება, ტ. 1, გვ. 242-243) და მემკვიდრეობით აფხაზეთის (ფართო გაგებით) ანუ დასავლეთ საქართველოს პირველ მეფეს ლეონ მეორეს კანონიერად გადაეცა. აფხაზეთის სამეფოს მთელი პოლიტიკური და კულტურული მემკვიდრეობა მხოლოდ ქართულია. არაქართული ეთნოსის მოღვაწეობის კვალი არ ჩანს აფხაზეთის სამეფოს იმ ნაწილშიც კი, რომელსაც აფხაზეთის საერისთავო ენოდებოდა და ანაკოფიის (ახალი ათონის) ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობდა. გამოჩენილი მეცნიერები სიმონ ჯანაშია, ხუხუტი ბღაჟბა და სხვები აღნიშნავდნენ, რომ შუასაუკუნეების აფხაზეთში დაახლოებით IX საუკუნიდან, თუ უფრო ადრეც არა, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურულ-რელიგიური ცხოვრების ყველა სფეროში ქართული ენა იყო გაბატონებული (ს. ჯანაშია. შრომები, ტ. III. თბ., 1959, გვ. 211; მისივე, ტ. VI. თბ., 1988, გვ. 26; **Х. Бгажба. Труды, кн. I. Сухуми, 1987, с. 9, 16; Х. Бгажба. Из истории письменности в Абхазии. Тб., 1985, с. 12-25, 28-33**). იგივე მოსაზრება ჰქონდა ზურაბ ანჩაბაძეს, რომელიც წერდა: „თითქმის ყველა ლაპიდარული და სხვა წარწერები აფხაზეთიდან, რომლებმაც იმ დროიდან (შუა საუკუნეებიდან - ჯ.გ.) ჩვენამდე მოაღწიეს, ამოკვეთილია ქართულ ენაზე“ (**З. Анчабадзе. Из истории средневековой Абхазии. Сухуми, 1959, с. 196**). შუასაუკუნეების ქართული ლიპიდარული, ფრესკული და ჭედური წარწერების რაოდენობა ასამდე აღწევს მაშინ, როდესაც წარწერები აფხაზურ (აფსუურ) ენაზე აფხაზეთში (და არც სხვაგან) საერთოდ არ მოიპოვება. ამ წარწერებში ქართველი სახელმწიფო მოღვაწეები, ადგილობრივი ქართველი მოხელეები, ქართველი სასულიერო პირები და ქართველი ოსტატ-მშენებლებია დასახელებული (ვ. სილოგავა. სამეგრელო-აფხაზეთის ეპიგრაფიკა. თბ., 2004; ლ. ახალაძე. აფხაზეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, I. თბ., 2005). ქართულად წერდნენ „აფხაზთა“ მეფეებიც (ლია ახალაძე. ეგრის-აფხაზეთის („აფხაზთა“) მეფეთა წარწერები.

- აფხაზეთი. საინფორმაციო - ანალიტიკური ჟურნალი, I. თბ., 2004, გვ. 56-64). უშუალოდ მათ მიერ ან მათი სახელით აფხაზურ ენაზე შესრულებული ნარწერები არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს. აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორია როგორც „აფხაზთა“ სამეფოს ეპოქაში (VIII-X საუკუნეები), ისე გაერთიანებული საქართველოს პირობებში (X საუკუნის ბოლოდან) წარმოადგენდა რეგიონს, სადაც მხოლოდ ქართული კულტურა არსებობდა და ვითარდებოდა. დასავლეთ საქართველოში მხედრული დამწერლობის ერთ-ერთი ყველაზე ადრეული (XI ს.) ნიმუში დღევანდელი აფხაზეთის ფარგლებში - გალის რაიონის სოფელ დიხაზურგაშია აღმოჩენილი (ლია ახალაძე. აფხაზეთის ეპიგრაფიკა, გვ. 83-86, 199-200). „აფხაზთა“ სამეფოს ეპოქაში საფუძველი ჩაეყარა ქვის კალიგრაფიულ სკოლას - კიდურნაისრულ ხელოვნებით დამწერლობას, რომლის ერთ-ერთი ყველაზე ადრეული ნიმუშები ჯერ აფხაზეთში (ხუაფისა და ბესლეთის ხიდის წარწერები - XI-XII საუკუნეები) გხვდება და მერეა საქართველოს სხვა რეგიონებში გავრცელებული (ლია ახალაძე. აფხაზეთის ეპიგრაფიკა, გვ. 190, 193-197; ლია ახალაძე. „ხელოვნებითი დამწერლობანი“ აფხაზეთის ეპიგრაფიკულ ძეგლებში. - აკადემიკოს ქეთევან ლომთათიძეს. თბ., 2008, გვ. 3-15). აფხაზეთის დღევანდელ ტერიტორიაზეა შექმნილი უნიკალური მინიატურებით შემკული ბიჭვინთისა (XII ს.) და მოქვის (1300 წელი) ქართული ხელნაწერი ოთხთავები. არც მაშინ და არც შემდგომ საუკუნეებში აფხაზურ ენაზე მსგავსი რამ არ შექმნილა.

სამეგრელოს სამთავროს მიერ აფხაზეთის ტერიტორიის ნაწილის „მიტაცებამდეც“ მთელ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთს თანამედროვე რუსეთის ფედერაციის ქალაქ ტუაფსეს - ისტორიული ნიკოფსიის//ძველი ლაზიკის ჩათვლით დადიანები განაგებდნენ. „ისტორია და აზმანი შარავანდედთანი“-ს ავტორი პირდაპირ ამბობს, რომ თამარ მეფის თანამედროვე ვარდან დადიანი იყო „მსახურთუხუცესი, ლიხთ-აქით პატრონი ორბეთის და კაენისა, ლიხთ-იქით ნიკოფსამდის **უცილობელად** (ხაზგასმა - ჯ.გ.) ქონებისა...“ (ქართლის ცხოვრება, ტ.2. თბ., 1959, გვ. 49). ის საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი, რომ ისტორიული საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ საზღვარი ნიკოფსიამდე ვრცელდებოდა (ქართლის ცხოვრება, ტ.2, გვ. 103, 168, 243; ტ. 4, გვ. 179, 199, 259, 260 და ა.შ.), თვით სეპარატისტებისთვისაც კი სადავო არ არის.

მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი ისტორიული მასალა, რომლის მხოლოდ ნაწილია ზემოთ მოტანილი, ერთმნიშვნელოვნად

ადასტურებს, რომ აფხაზეთის დღევანდელი ტერიტორია უძველესი დროიდან XIII-XIV საუკუნეებამდეც (სამეგრელოს მიერ ვითომ აფხაზეთის მიწების მითვისებამდეც) პოლიტიკურად, ეთნიკურად, კულტურულად და სარწმუნოებრივად ქართული სამყაროს ორგანულ ნაწილს, ქვემო ივერიის ერთ-ერთი რეგიონი იყო. ამ ტერიტორიაზე იმჟამად სხვა ეთნოსის ცხოვრებისა და მოღვაწეობის არანაირი კვალი დღემდე აღმოჩენილი არ არის.

რა საფუძველი აქვთ თანამედროვე აფხაზ ისტორიკოსებს, ამტკიცონ, რომ XIII-XIV საუკუნეებში სამეგრელომ აფხაზეთის მიწები მიითვისა? მათ მხედველობაში აქვთ ცხუმის (სოხუმის) საერისთავოს ოდიშთან შეერთება. ეს მოხდა იმერეთში კონსტანტინე დავით ნარინის ძის (1293-1327წწ.) მეფობის, ხოლო ოდიშში გიორგი I დადიანის (გარდაიცვალა 1323 წელს) მმართველობის პერიოდში. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, კონსტანტინესა და მის ძმას მიქელს შორის ტახტისთვის გაუთავებელი ბრძოლა მიმდინარეობდა. ამით ისარგებლა გიორგი პირველმა დადიანმა, რომელმაც „მიიტაცა საერისთო ცხომისაცა და დაიპყრა თვით სრულიად ოდიში ანაკოფიამდე. ეგრეთვე შარვაშიძემ აფხაზეთი და გურიელმან გურია და სუანთა ერისთავმან სუანეთი და განმიმკვიდრეს თვისად და არღარა ეგდენსა მორჩილებასა შინა იყვნენ მეფეთასა“ (ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 801). ეს სიტყვები უნდა გავიგოთ, როგორც დასავლეთ საქართველოს ერისთავების მიერ ფართო უფლებების თვითნებური მიტაცება. ოდიშისთვის ცხუმის მიერთება, „მიტაცება“ კი კანონზომიერ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ, რადგანაც ეს ქალაქი, როგორც ზემოთ დავინახეთ, ოდითგანვე კოლხებს ეკუთვნოდათ. ჯერ კიდევ ლეონ მეორის მიერ VIII ს. ბოლოს გატარებული ადმინისტრაციული რეფორმის მიხედვით, ცხუმისა და აფხაზეთის საერისთავოები ცალკე ერთეულებს წარმოადგენდნენ. ვახუშტის მოწმობით, აფხაზეთს შარვაშიძეები ფლობდნენ, ხოლო ცხუმის საერისთავოს, რომელიც „სრულიად ოდიშის“ ნაწილი იყო და ანაკოფიამდე (ახალ ათონამდე) ვრცელდებოდა, ამუნელისძეები (ამანელისძეები) განაგებდნენ (ქართლის ცხოვრება, ტ.IV,გვ.172). 1330 წელს, როდესაც იმერეთში უმეფობის ხანა დადგა და ქვეყანა ანარქიამ მოიცვა, იგი გიორგი V ბრწყინვალემ დაიკავა. „ამის მხილველნი დადიანი მამია და გურიელი და სუანთა ერისთავი და აფხაზეთისა შარვაშიძე მოერთნენ ნიჭითა დიდითა და დაულოცეს მეფობა იმერეთისა და ყოვლისა გიორგიისა, - წერდა ვახუშტი ბატონიშვილი. - მერმე შთავიდა ოდიშს, მუნიდან აფხაზეთს, განაგნა მუნებურნი და დაიპყრა ციხენი თვისად

და მისცა ცხომის საერისთო ბედიელს, ვითარცა პირველ ცხომისა იყო"... (ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 258). როგორც ვხრდავთ, სრულიად საქართველოს მეფემ გიორგი ბრწყინვალემ ოდიშთან ცხუმის მიერთება დააკანონა, რადგანაც პირველად იგი ბედიელის კუთვნილება ყოფილა.

როდესაც ოდიშის მთავარი ვამეყ I დადიანი (1386-1396წწ.) გარდაიცვალა, საქართველოს მეფემ გიორგი VII სამთავრო ტახტზე ვამეყ I-ის ძე მამია II (1396-1414წწ.) დასვა; „ამანვე მეფემან მიუბოძა საერისთო ცხომისა დადიანს ერთგულებისათვის თვისისა" (ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 269). ამრიგად, საქართველოს მეფის მიერ ცხუმი კიდევ ერთხელ იქნა ოდიშის ნაწილად აღიარებული და დამტკიცებული. ამავე დროს უმაღლესმა სამეფო ხელისუფლებამ მხარი არ დაუჭირა აფხაზეთის საერისთავოს ოდიშისთვის მიერთების მცდელობას, რომელსაც 1414 წელს მამია II დადიანის სიცოცხლე შეეწირა. შეიტყო რა მომხდარის შესახებ, საქართველოს მეფე ალექსანდრე I დიდი (1412-1443 წწ.) თავისი ლაშქრით ოდიშში შევიდა; „ხოლო შთასრულსა ოდიშს მიეგება მეფესა ძე მამია დადიანისა ლიპარიტ და ითხოვდა შენდობასა, უკეთუ სცოდა რაი მამამან მისმან. შეუნდო მეფემან, რამეთუ იყო ტკბილ და მოწყალე და არარაი ვის ავნო; გარნა ლიპარიტ აღიყვანა პატივსა მამისასა. მერმე წარვიდა აფხაზეთს და წარიყვანა ლიპარიტ დადიანი, მოეგება შარვაშიძე და დაემორჩილა ბრძანებასა მისსა, ვითარცა პირველთა მეფეთასა", - წერდა ვახუშტი ბატონიშვილი (ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 278). საქართველოს სამეფო ხელისუფლებამ, როგორც ეს ვახუშტი ბატონიშვილის ცნობებიდან დავინახეთ, მშვენივრად იცოდა სახელმწიფოს მიერ საერისთავოებს შორის ოდითგანვე დაწესებული საზღვრები და შიდაომებისა გზით მათ გადასინჯვას ის კატეგორიულად კრძალავდა. ცხუმის საერისთავოს ოდიშთან მიერთება კი სამეფო ხელისუფლების ნებართვით და ნებაყოფლობით განხორციელდა; რადგანაც აფხაზეთის საერისთავოსთან მიმართებაში ასეთი ნებართვა გაცემული არ ყოფილა, მამია II დადიანის თვითნებობა სამეფო კარზე, ეტყობა, დანაშაულად(„სცოდა") შეფასდა, რასაც მეფის მხრიდან მძაფრი რეაქცია მოჰყვა.

XV საუკუნის ბოლოს საქართველოს დაქუცმაცებამ, რასაც შემდგომში თურქეთისა და ირანის მიერ მისი გადანაწილება (1555წ.) მოჰყვა, ვითარება ქვეყანაში ძირფესვიანად შეცვალა, იგი შიდაომებმა და ანარქიამ მოიცვა. სწორედ XV საუკუნიდან იწყება სამეგრელოსა და აფხაზეთს შორის ადმინისტრაციული საზღვრების გა-

დასინჯვა. ყველა ქართული და უცხოური წყარო, როგორც ზემოთ დავინახეთ, ჩრდილოეთკავკასიელი აფსუა-აფხაზების მიერ ოდიშის მიწების მიტაცებაზე მეტყველებს და არა პირიქით. აფხაზთა ექსპანსია სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით თურქთა მხარდაჭერით მიზანმიმართულად და ეტაპობრივად ხორციელდებოდა. მათი პირველი პრაქტიკულად ერთობლივი თავდასხმა სოხუმზე 1454 წელს განხორციელდა. მიუხედავად ამისა, იგი XVI საუკუნის ბოლომდე მნიშვნელოვან ქართულ ქალაქად და სავაჭრო ცენტრად რჩებოდა. მხოლოდ 1578 წელს დაიკავეს თურქებმა ქ. სოხუმი, რომლის ბეგლარბეგად ჩერქეზი ჰაიდარ ფაშა დანიშნეს. მის ერთ-ერთ ამოცანას, როგორც ამის შესახებ ზემოთაც იყო საუბარი, სოხუმის „ქართველი ივერიელების“ დამორჩილება წარმოადგენდა. სავარაუდოდ, ამ ამოცანის შესრულების შემდეგ, დაახლოებით 1581 წელს საბეგლარბეგო გაუქმდა და ქალაქი არა მის კანონიერ მფლობელს დადიანს, არამედ თურქეთის მოკავშირედ ქცეულ შარვაშიძეს გადაეცა (ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი, გვ. 148). ამის შემდეგ ფაქტობრივმა საზღვარმა თანდათანობით მდინარე კელასურამდე გადაინაცვლა. ეს მოხდა არა დადიანების მიერ XIII-XIV საუკუნეებში ვითომ აფხაზეთის მიწების მითვისების, არამედ, პირიქით, თურქეთის სამხედრო დახმარებით აფსუა-აფხაზთა მიერ სამეგრელოს ქალაქ სოხუმისა და მისი შემოგარენის მიტაცების შედეგად. მდინარე კელასურზე გადიოდა საზღვარი მაშინაც, როდესაც რუსი ელჩები ფედოტ ელჩინი და პავლე ზახარიევი, ათვალიერებდნენ რა სამეგრელოს, 1640 წლის 6 და 7 თებერვალს, შესაბამისად, დრანდასა და ფშაფში იმყოფებოდნენ.

ისტორიული აფხაზეთის - საქართველოსადმი, ისტორიულ აფხაზთა- ქართული ეთნოსისადმი კუთვნილების, ხოლო თანამედროვე აფხაზების (აფსუების) გვიან შუა საუკუნეებში ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლების შესახებ თვალსაზრისი იმდენად აშკარა და უდაოა, რომ მას პოლიტიკური გავლენისაგან თავისუფალი ზოგიერთი რუსი მეცნიერიც აღიარებს. ასე, მაგალითად, 2013 წლის 26 ივნისს ჩერემენეცკის იოანე ღმრთისმეტყველის მონასტერში (ლენინგრადის ოლქი) გამართულ მისიონერულ კონფერენციაზე გამოსულმა ცნობილმა მეცნიერ-ღმრთისმეტყველმა ანდრია კურაევმა (რომელიც წელიწადნახევრის განმავლობაში აფხაზეთში მისიონერულ საქმიანობას ეწეოდა) აფხაზთა რელიგიურობაზე საუბრისას განაცხადა, რომ დღევანდელ აფხაზთა ტრადიციული, ქრისტიანობამდელი რელიგია არის ნარმართული მისთვის დამახასიათებელი

პოლითეიზმით და დასძინა: „ამას თავად აფხაზს თუ მოუყვები, არ მოეწონება. მაგრამ თუკი თავზე ხელს გადაუსვამ: - დიახ, დიახ, რა თქმა უნდა, თქვენ გყავდათ ერთი ღმერთი, თქვენ უძველეს დროშიც იყავით "ბრძენნი", და საერთოდ, იცით, თქვენ აფხაზებო, ჩვენ, რუსები, მეხუთე საუკუნეში მაიმუნებთან ერთად ხეებზე დავძვრებოდით, თქვენთან კი, ბიჭვინთაში, უკვე ტაძარი იდგა - ჩინებულია! მაგრამ რა მიმართება აქვთ ამ ტაძართან? უმჯობესია, ეს საკითხი არ დასვათ. ან, ვთქვათ, მეტად სერიოზული საკითხი - რა საერთო აქვთ აფხაზეთთან იმათ, ვისაც ჩვენ დღეს აფხაზებს ვუწოდებთ? ფაქტია, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე არის გასაოცარი უძველესი ქრისტიანული მართლმადიდებლური ტაძრები, არსებობდა უძველესი მართლმადიდებელი აფხაზეთის სამეფო, არსებობდა აფხაზეთის მართლმადიდებელი ეკლესია. ყველაფერი ეს სიმართლეა! საქმე ის არის, თუ რა კავშირი აქვთ ამასთან იმათ, ვინც დღეს იქ ცხოვრობს? პარადოქსი იმაში მდგომარეობს, რომ ეს ადამიანები თავის თავს "აფსუას" უწოდებენ, თავის ქვეყანას - "აფსნის" და არა აფხაზეთს. სიტყვა "აფხაზეთი" კი ქართული სიტყვაა, ე.ი. ისინი, ვინც ოდესღაც თავის თავს აფხაზებს უწოდებდნენ, ქართული ეთნოსის ნაწილს წარმოადგნდნენ როგორც მეგრელები და სხვანი. ვთქვათ, ქართველებიც, ქართველი ისტორიკოსებიც ასე ფიქრობენ. ისინი მიიჩნევენ, რომ აი, ის ავთენტური, ქართული ეკლესიის წიაღში და ქართველ ხალხთან გაერთიანებული მართლმადიდებელი აფხაზები თურქებმა გაჟლიტეს და გამოდევნეს იქიდან, იმ სანაპიროდან მე-16-17 საუკუნეებში. ნაწილი გაქრა და ნაწილი აღმოსავლეთით, საქართველოს ღრმა მთიანეთში გაიხიზნა. ხოლო დაცარიელებულ სანაპირო ზოლში თურქულმა ხელისუფლებამ მთებიდან ჩერქეზები ჩამოასახლა და უთხრა: - ამიერიდან აქ იცხოვრეთ. ანუ გამოდის, რომ აფხაზეთის ამჟამინდელი მოსახლეობა დიდი ხანი არაა, რაც იქ არის; მაგრამ მათ ეამებათ თავიანთი თავი იმ უძველესი ტაძრების მშენებლებად და მემკვიდრეებად მიიჩნიონ როგორც, მაგალითად, ვალახები ნეტარებენ იმის გამო, რომ ჩვენ ძველი რომაელების მემკვიდრეები ვართო, თავის თავს რუმინელებს, რომეებს, რომანებს, უძველეს რომაელთა შთამომავლებს უწოდებენ; თუმცა დაკებს რა კავშირი აქვთ რომთან - ძალიან, ძალიან შორეული. მაგრამ რუმინელები პატიოსნად მაინც აღიარებენ, რომ მათთან რუმინეთში იმპერატორ ტრაიანეს კულტია. რატომ? იმიტომ, რომ ტრაიანემ დაიპყრო დაკები. და აი, გასაოცარი ისტორია, ე.ი. ერი თაყვანს სცემს თავის დამპყრობელს იმიტომ, რომ - ჩვენ, ბარბაროსები,

ამით ევროპულ ცივილიზაციას მიგვაერთონ. აფხაზეთში საპირისპირო სიტუაციაა. ის ძირძველი აფხაზები მათ არ დაუმარცხებიათ, მათი დახმარების გარეშე მოხდა როგორღაც ეს დეპორტაცია. მათი მიწები კი დაისაკუთრეს, სახელიც ნაწილობრივ მიითვისეს, მაგრამ არა თავიანთვის, არამედ ტურისტებისთვის. თავის თავს ისინი აფხაზებს არ უწოდებენ. ამას აკეთებენ მხოლოდ რუსულ ენაზე და უცხოელებთან, აგრეთვე ნაწილობრივ სხვა ისტორიაზე საუბრისას. მაგრამ მე თუ აფხაზებს ამის მოყოლას დავუწყებ, ისინი ძალიან განაწყენდებიან, ქართველების აგენტს დამარქმევენ. ხოლო თუკი ეტყვი: დიახ, დიახ, აფხაზები უძველესი მართლმადიდებელი ხალხია დედამიწაზე, დაუბრუნდით თქვენი წინაპრების სარწმუნოებას, ვშიშობ, რომ ისტორიული თვალსაზრისით ეს ერთგვარი ეშმაკობა იქნება, მაგრამ მისიონერული თვალსაზრისით - ძალიან ეფექტური. ჩვენ, რუსებსაც, უახლეს ისტორიაში მსგავსი პრობლემები გვაქვს“ (http://scara.gov.ge/). ასეთია ისტორიული ჭეშმარიტება, რომელიც ზედაპირზე დევს და ნებისმიერი მსურველისთვის ხელმისაწვდომია.

ამრიგად, აფხაზეთის ეთნოპოლიტიკური და საეკლესიო ისტორიის საკითხებზე სეპარატისტულად განწყობილი ისტორიკოსების მიერ წამოყენებული ვერსიები თუ პრეტენზიები ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. ისინი მხოლოდ რეგიონის წარსულის შეგნებული, მიზანმიმართული ფალსიფიკაციის ნაყოფს წარმოადგენენ, რასაც გაბრიელ გეგენავას, ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარიევის ელჩობათა მასალებიც ადასტურებენ.

გამოკვლევის ინგლისური ვარიანტის თარგმანი შეასრულეს ქეთევან ჩიგოგიძემ და თამარ ცქვიტაიამ.

კრებულზე მუშაობისას გაწეული დახმარებისთვის სარედაქციო საბჭო მადლობას მოახსენებს ნათია დარსანიას, დავით დარასელიას და სოფიკო გამახარიას.

Материалы о дипломатических взаимоотношениях между Мегрельским (Одишским) княжеством/Грузия и Россией (1636-1640 годы)

I

Dadiani. He was met by Shervashidze, who obeyed His orders, like it was during the reign if the first kings; The King set in order local affairs, pacified them and arrived in Kutaisi"(Life of Kartli, V. IV, p. 278; Abkhazia and Abkhazians..., p. 139). Thus, the highest royal power did not allow a self-willed and forcible revision of borders being established between the Principalities of the administrative units. Joining of the Tskhumi Principality to Odishi occurred by the permission of the central royal power and benevolently; In respect of the Abkhazian Principality the like permission was not given and thus, the self-willed action of Mamia the II Dadiani triggered a hot response of the King's Court.

The political disunity of Georgia (end of the 15th century) and the following division of the country between Turkey and Iran (1555), internecine quarreling and chaos fundamentally and radically changed the general situation. From the 15th century starts the revision of the borders between the Abkhazian Principality and Odishi. All the Georgian and foreign sources, as it has been said above, inform about the seizure of the Odishi lands by the North Caucasian Apsua-Abkhazians and not vice versa. Their expansion to the South –West direction had a purposeful and step-by step character with the active and decisive help of Turkey. The first practically joint Turkish-Apsuan attack of Sukhumi had place in 1454. The expansion of the highlanders was going on. To the end of the 16th century, when West Georgia found itself under the Turkish influence (Amasyan truce 1555), the process of populating of the Abkhazian Principality with the pageant highlanders and also with the Muslims was practically finished. All this forced Catholicos of Abkhazia//West Georgia to live Pitsunda and move to Gelati. The following step was occupation of the town of Tskhumi by the Turks in 1578, till that time remaining the important Black Sea Georgian town. The occupational authority was represented by Khaidar Pasha (A man of Circassian nationality) being appointed Beglarbeg. J.Buasardo wrote in 1581:" For taming of independent Georgian Iberians in Batumi and Sukhumi him (Sinan Pasha-J.G.) Appointed his own beglarbegs and defterdars" (J.Gamakharia, B.Gogia. Abkhazia - Historical Region of Georgia, p. 231). Probably, after fulfilling the task of taming of the "Georgian Iberians" of Sukhumi, the бегларбегство was abolished, but the town was not handed to its legal possessor - Dadiani, but was given to Shervashidze - the ally of Turkey (Essays from the History of Georgia. Abkhazia from the Ancient times till today. Chief Editor - Jemal Gamakharia. Tb. 2009, p.204). After that, the factual border between the Abkhazian Principality and Odishi went along the river Kelasuri. After

1. შავი ზღვის რუკის ფრაგმენტი. მისი ავტორობა მარტინ სანუდოს მიეწერება; ქ.სოხუმის (სებასტოპოლი) თავზე აღმართულია ხუთჯვრიანი (ოთხი პატარა ჯვარი წრის ფორმით) ქართული დროშა. ანალოგიური რუკა შეადგინა აგრეთვე პეტრუს ვესკონტემ (1320-1321წწ.). გამოქვეყნებულია წიგნში: Б.Гогия. Абхазия...,გვ.23.

A fragment of the Black Sea map, being compiled in 1321 by Martin Sanudo. Over Sukhumi (Sebastopolis) five cross (four crosses are depicted in the form of circles) hoists the Georgian flag. The analogous map was compiled by Petrus Veskonte (1320-1321). They are published in the book: B. Gogia. Abkhazia... p. 23.

Фрагмент карты Черного моря, составлена в 1321 году Мартином Санудо. Над Сухуми (Себастополис) развевается пятикрестный (четыре крестика даны в форме кружочек) грузинский флаг. Аналогичную карту составил и Петрус Весконте (1320-1321 годы). Опубликовано в книге: Б.Гогия. Абхазия...с.23.


ARMENTA MAIOR

2. ვენეციელი კარტოგრაფის ბატისტა აგნეზის (Baptista Agnese) მიერ 1542 წელს შედგენილ რუკაზე, რომელიც შავი ზღვის აუზს მოიცავს, ხორონიმი სამეგრელო (Megrelia) არის Alba Zechia-ს (თეთრი ციხე-სიმაგრე) ჩრდილოეთით. ამრიგად, სამეგრელოს შემადგენლობაშია ტერიტორიები გელენჯიკის ჩათვლით. რუკა ინახება ვატიკანის არქივში (Cod.Pal.Lat. 1886), გამოქვეყნებულია წიგნში: Б.Гогия. Абхазия...,გვ.31.

On the map of the Venetian cartograph Batista Agnese (Baptista Agnese), being compiled in 1542 Megrelia is shown in its historical borders – to the Azov Sea. The map is kept in the archive of Vatican (Cod. Pal. Lat. 1886). It is published in the book: B, Gogia. Abkhazia..., p. 31.

На карте Венецианского картографа Батисты Агнеза (Baptista Agnese), составленной в 1542 году Мегрелия показана в своих исторических границах – до Азовского моря. Карта хранится в архиве Ватикана (Cod. Pal. Lat. 1886). Опубликована в книге: Б.Гогия. Абхазия...с.31.


Lart.
Bengala:
Taprobana

3. პორტუგალიელი სამეფო კარტოგრაფის დიეგო ჰომემის (Diego Homem) რუკის ფრაგმენტი (1559წ.), დაახლოებით შავ ციხესთან (Maurazecha) ანუ დღევანდელ გელენჯიკთან აღმართულია ქართული დროშა წითელი ჯვრის გამოსახულებით თეთრ ფონზე. დროშის ქვეშაა წარწერა Mengrelia ანუ სამეგრელო. მაშასადამე, აფხაზეთი სამეგრელოს შემადგენლობაშია. ყულევთან იყო თურქული გარნიზონი და იქ აღმართულია კიდეც თურქული დროშა. გამოქვეყნებულია Дж. Гамахария, Б.Гогия. Абхазия..., გვ.831; Б.Гогия. Абхазия..., გვ. 33.

A fragment of the map, being compiled by the Portugese Royal cartograph Diego Homem in 1559. Near Present Gelenjik (Russian Federation), which is not far from the Azov Sea hoists the flag with the image of the red color cross; under the flag there is an inscription Mengrelia, i.e. Megrelia. On the map made by Diego Homen Abkhazia is not shown as an independent unit and is meant within Megrelia. It is published in the books: J. Gamakhardia, B. Gogia. Abkhazia – the Historical Region of Georgia, p. 831-832; B. Gogia. Abkhazia... p33.

Фрагмент карты португальского королевского картографа Диего Гомема (Diego Homem), составленной в 1559 году. Около современного г. Геленджика, что недалеко от Азовского моря, развевается флаг с изображением красноцветного креста; под флагом имеется надпись Mengrelia, то есть Мегрелия. На карте Диего Омема Абхазия отдельной политической единицей не обозначена и подразумевается в составе Мегрелии. Опубликована в книгах: Дж. Гамахария, Б.Гогия. Абхазия – историческая область Грузии, с. 831-832; Б.Гогия. Абхазия...с.33.


L'ASIE
e en ses Principales Regions
t ou se peuvent voir l'estenduë des
MONARCHIES, ROYAUMES & ESTATS
partagent presentement L'ASIE.
de divers Memoires, et sur les Relations les plus Nouvelles
r le S.r SANSON, Geographe ordinaire du Roy.
PRESENTÉE
MONSEIGNEUR LE DAUPHIN
Par son tres humble, tres obeissant et tres fidele Serviteur
Hubert Jaillot.
ALLEMAGNE
MER NOIRE autrement PONT EUXIN
TURQUIE
RUSSIE

4. საფრანგეთის სამეფო კარტოგრაფის გიიომ სანსონის (G.Sabson) რუკის ფრაგმენტი (1674 წ.), საიდანაც ჩანს, რომ საქართველო (Georgie) შეიცავს შემდეგ მხარეებს: აფხაზეთი (Abassa), ოდიში (Odisci), გურია (Guriel), იმერეთი (Imereti), სამცხე-ჯავახეთი, ანუ საბარათაშვილო (Baratralu), ქართლი (Carduel), კახეთი (kacheti); საქართველოს შემადგენლობაშია ასევე შიდაპროვინციული საზღვრების მქონე ყმადნაფიცი ქვეყნები: შირვანი (scirvan), სომხეთის ნაწილი, რანი და ყარაბაღი (Armenie. Iran, Karasbag). რუკის ფერადი ვარიანტის ფრაგმენტის ასლი გამოქვეყნებულია (Б.Гогия. Абхазия..., გვ.58-59). არაფერადი ვარიანტის ორიგინალი კი ინახება პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაში: Paris, BN, Cartes et Planes, Ge C 16384. გამოქვეყნებულია: Дж. Гамахария, Б.Гогия. Абхазия..., გვ. 843-844; Б.Гогия. Абхазия...,გვ.58.

A fragment of the map, being compiled by the French Royal cartograph G. Sanson in 1674. According of the map Georgia, the North-West border of which is fixed near the Azov Sea, includes the following Regions: Abkhazia (Abassa), Odishi//Megrelia, Guria (Goriel), Imereti, Samtshke-Javakheti or sabaratashvilo (Baratralu), Kartli (Carduel), Kakheti; within the history of Georgia are designated the vassal Countries as well: Shirvan, Armenia, Rani and Karabakh. They are published in the book: J. Gamakhardia, B. Gogia. Abkhazia – Historical Region of Georgia. P. 843-844; B. Gogia. Abkhazia... p. 58.

Фрагмент карты Азии, составленной французским королевским картографом Г.Сансоном в 1674 году. По карте, Грузия (Georgie), северо-западная граница которой зафиксирована около Азовского моря, включает следующие области: Абхазию (Abassa), Одиши/ Мегрелию (Odishi), Гурию (Goriel), Имеретию (Imereti), Самцхе-Джавахетию или Сабараташвило (Baratralu), Картли (Carduel), Кахетию (Kacheti); в составе Грузии указаны и вассальные страны: Ширван, Армения, Рани и Карабах. Опубликована в книгах: Дж. Гамахария, Б.Гогия. Абхазия – историческая область Грузии, с. 843-844: Б.Гогия. Абхазия...с.58.


Augustissimo et invictissimo Principi,
RUSSORUM IMPERATORI.
PETRO ALEXEWITZ
EVERARDUS VISSCHERUS IDES.
NOVA ZEMLA
LAPPONIA
RUSSIA
MOSCOVIA
TARTARIA
PONTUS EUXINUS
SWARTE ZEE
MARE CASPICUM
IMPERIUM
PERSICUM
MEDITERRANEUM

5. რუსეთის იმპერიის რუკის ფრაგმენტი. შედგენილია 1721-დან 1725 წლამდე შუალედში. რუკაზე ქვემოთ გაკეთებულია შემდეგი წარწერა ლათინურ ენაზე: „რუსეთის იმპერიის ახალი რუკა დიდი სიზუსტით შესრულებული იოანე კოვენსისა და კორნელიუს მორტიერის მიერ, ასევე ევერარდოს ისბრანტ იდესის მსარდაჭერით. შედგენილია ძირითადად ჰოლანდიასა და დასავლეთ ფრიზიაში". რუკის ზედა ნაწილში კი ასეთი წარწერაა: „უბრწყინვალესი და უძლეველი ხელმწიფე, რუსეთის იმპერატორი პეტრე ალექსის ძე. დიდი ქვეყნის მიწები, რომლებიც მოიცავს ტერიტორიას არქტიკის პოლუსიდან თათრების ზღვამდე, ზღვის სანაპიროს იაპონიისა და ჩინეთის ჩრდილოეთ საზღვრამდე, კასპიის ზღვას, შავ ზღვას, ბალტიის ზღვის მიდამოებს. აქვეა მრავალი პროვინცია, რომელსაც მართავს გამარჯვებული და ტრიუმფატორი ხელმწიფე. ევერარდოს ისბრანტ იდესი". რუკის მიხედვით, რუსეთის უშუალო მეზობელი საქართველო აზოვის ზღვასთან იწყება და შეიცავს შემდეგ მხარეებს: აფხაზეთი (bassa), სამეგრელო (Mengrelia), გურია (Goriel), იმერეთი (Imereti). სამცხე-ჯავახეთი (Samsea) და კახეთი (Caguetia). გამოქვეყნებულია: Дж. Гамахария, Б.Гогия. Абхазия...., გვ. 847; Б.Гогия. Абхазия....,გვ.64-65.


A fragment of the "New Map of the Russian Empire" of the period of Peter I, is Compiled Between 1721-1725 in the Netherlands and West Frizia by Ioan Kovens and Kornelius Mortier with the support of Everardo Ilbrandt Ideas, According to the map, Russia directly borders with Georgia, North-West border of which reaches the Azov Sea. It includes the regions: Abkhazia (Abascia) Megrelia (Mingrelia), Guria (Guriel), Imereti, Samtskhe-Javakheti (Samaea) and Kakheti (Caguetia). It is published in the books: J. Gamakhardia, B. Gogia. Abkhazia – Historical Region of Georgia. P. 847; B. Gogia. Abkhazia... p. 64-65.


MARE
DELLO ZABACHE
GOLFO
CVMANI
TAR.
CIR
CASSI
REGI.
CAITACHI
REGI.
GAZARIA
ABCVAS.
MEN
GRE
LIA
REGI.
PONI. POP.
BAIBVRT

6. ჯაკოპო გასტალდის (ჟაცოპო ასტალდი) რუკის ფრაგმენტი (1561 წ.) ჩრდილო კავკასიაში , კერძოდ მდ.ყუბანის შუაწელში, დაფიქსირებული არიან : ჯიქები (Zingi), აბხაზეთის სამეფო (bcuas regio) და დასახელებული პუნქტი Acua, რომელიც აფსუა-აფხაზების ჩრდილო-დასავლეთ სამეგრელოში ჩამოსახლების შემდეგ იქცა სოხუმის აფსუურ სახელწოდებად. საქართველოში პირველად გამოქვეყნდა 1997 წელს (Т. Гванцеладзе. Неизвестная италянская карта и значение для локализации исторической родины абхазов. – свободная Грузия, 1997, 23 июля). იხ. აგრეთვე: Б.Гогия. Абхазия...,გვ.35.

A fragment of the map being compiled Jakopo Gastaldi (1561). In the North Caucasuss and namely in the middle flow of the river Kuban is fixed Abcvas Regi with the main populated plase – Aqua. It is absolutely obvios that the modern Abkhazians (Absua, Apsua) in that time lived in the North Caucasus. According to the map, Megrelia embraces the whole territory of Present Abkhazia. After settling of North Megrelia with the Apsuas town Tsukhumi//Sukhumi (17th century)was called by the new-settlers – Aqua – the word being taken from the North Caucasus – Abcuas Regi, being marked on that map. In Georgia was first published in 1997 (T. Gvantseladze. Unknown Italian map and its function for the Localization of the historical mother-land of Abkhazia. –Svobodnaia Gruzia, 1997, 23 June).

Фрагмент карты Джакопо Гастальди (1561г.). На северном Кавказе, в частности, в среднем течении р.Кубань зафиксирован Absvas regi с главным населенным пунктом Acua. Совершенно ясно, что современные абхазы (абсуа/апсуа) в то время еще жили на Северном Кавказе. По той же карте, Мегрелия охватывает и всю территорию современной Абхазии. После заселения северо-западной Мегрелии апсуйцами г.Цхуми//Сухуми новоселы назвали привезенным из Северного Кавказа, из Abcuas regi именем Acua. В Грузии впервые опубликована в 1997 г. (Т. Гванцеладзе. Неизвестная итальянская карта и ее значение для локализации исторической родины абхазов. –Свободная Грузия, 1997, 23 июня).


TOTIVS COLCHIDIS, HODIE MENGRELIÆ A CORACE AMNE AD PHASIM VSQVE DESCRIPTIO
CAVCASVS
CAVCASVS
Murus Sexaginta millibus Passuum ad coercendas Abasgorum incursus
Dlusc
Tiliah
Tquagia
Moquir El.
Agu
Giorirde
Preciar
Pitauro
Marmaricari
Spurghili
Salamarcia
Echalicgas
Marchuli
Bediar Ep.
Archana
Tchais
Gogieli
Sciarcialeti
Quili
Tarke
Saccinti
Sommar
Arimenti
Suddar
Popdu
Teicun
Limon
Subris
Giabarchari
Legioni
Ilori
Tyuanar
Turchani
Emporium
Moquir Schori Fl.
Tarsura Fl.
Scala Sexagint

7. რუკა, რომლის ფრაგმენტიც ქვეყნდება, შედგენილია სამეგრელოში 1633-1649 წლებში მოღვაწე იტალიელი მისიონერის არქანჯელო ლამბერტის (rchangelo Lamberti) მიერ ავტორმა გამოსცა 1654 წელს. რუკის მიხედვით, სამეგრელო ანუ კოლხეთი იწყება მდ. კოდორიდან და კელასურის კედლიდან. ამ უკანასკნელზე გაკეთებულია წარწერა: „კედელი სამოცი ათასი ნაბიჯის (სიგრძისა), აბაზგთა თავდასხმების მოსაგერიებლად". გამოქვეყნებულია: თ.ბერაძე.ოდიშის სამთავროს რუკა არქანჯელო ლამბერტის მიხედვით. - მაცნე, ისტორიის ... სერია, 3 1971; Дж. Гамахария, Б.Гогия. Абхазия...,გვ. 839; Б.Гогия. Абхазия..., გვ. 45 და სხვა ავტორების მიერ.

A fragment of the map, being made by Italian missionary Archangelo lamberty, being in Megrelia in 1633-1649. This map was for the first time published by the autor in 1654. According to the map the North-West border of Megrelia is the river Kodori and Kelasuri wall, which is marked on the map with the inscription: "The wall in length of 60 000 steps (being built), for preventing the invasion of the Abkhazians". On the map are designated 50 Georgian (and not a single Apsua) toponymes. The map was repeatedly published.

Фрагмент карты итальянского миссионера Арканджело Ламберти, пребывавшего в Мегрелии в 1633-1649 годах. Впервые издал сам автор в 1654 году. По карте, северо-западной границей Мегрелии является р. Кодори и Келасурская стена, которая обозначена на карте с надписью: «Стена (длиной) в шестьдесят тысяч шагов, (воздвигнутая) для приостановления набегов абазгов». На карте отмечено более 50 исключительно грузинских (и ни одного апсуйско-абхазского) топонимов. Публиковалось многократно.


Историческая Карта
Россійской Имперіи

8. რუსეთის იმპერიის ისტორიული რუკის ფრაგმენტი (1793 წ.). საქართველოს ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი ამ რუკის მიხედვით აზოვის ზღვის სანაპირომდე, კერძოდ ქ.ფანაგორიამდე (კაფასთან) აღწევს. მასზე დაფიქსირებულია: Грузія და მასში შემავალი Имеретия, Менгрелія; ამ უკანასკნელში იგულისხმება აფხაზეთიც, რომელიც არც არის აღნიშნული. რუკა გამოქვეყნებულია: Я. Яцунский. Историческая география-История ее возникновения и развития в XIV-XVIII вв. М., 1955); Б.Гогия. Абхазия..., გვ.73.

A fragment of the "Historical Map of the Russian Empire" (1793). On the map, the North-West border of Georgia according to the historical tradition is fixed at the Azov Sea. On the map – the provinces of Georgia – Kakheti, Imereti, Megrelia are designated. Abkhazia is not designated on the map and according to the Russian historical traditions is meant within the territory of Megrelia. The map is published in the book: "Ya. Yatsunski. Historical Geogparhy". The History of its Emergence and Development in the XIV-XVIIIth senturies. M., 1955; B. Gogia. Abkhazia... p. 73.

Фрагмент «Исторической карты Российской империи» (1793г.). На карте северо-западная граница Грузии, по исторической традиции, зафиксирована у Азовского моря. На ней обозначены провинции Грузии – Кахетия, Имеретия, Менгрелия., Абхазия же на карте не обозначена и, по русской исторической традиции, подразумевается в составе Мегрелии. Карта опубликована в книге: Я. Яцунский. Историческая география. История ее возникновения и развития в XIV–XVIII веках. М., 1995; Б. Гогия. Абхазия...с..73.

the Turks left Sukhumi and Abkhazia - Mamia the IV Dadiani (1572-1590) restored (gained again) the political influence on Abkhazia, though the administrative border, by the will of Turkey remained in (on the river) Kelasuri. It happened, because of capture of the Georgian town Tskhumi and its vicinity by the Apsua-Abkhazians with the support of the Turks. This is the historical truth. Along the river Kelasuri and the Kelasuri wall went an administrative border between Abkhazia and Odishi, when the Russian legates Fedot Elchin and Pavel Zakhariev inspecting the churches and monasteries of Megrelia on the 6th and 7th of February of the year of 1640 visited Dranda and Pshapi.

A point of view of national affiliation of the historical Abkhazian with the Georgian nation, migration of the modern Abkhazians in the late medieval centuries from the North Caucasus is quite clear and doubtless, that it is shared with the free from the political influence of the Kremlin disinterested and objective Russian scientists. F.E. well-known scientist and missionary Andrei Kuraev on the 26th of June of 2013 in the Monastery of the Saint John the Evangelist in Cheremenetsk (Leningrad district), read a paper at the missionary conference. He spoke about the religiousness of the Abkhazians, among whom he carried out the missionary activities during a certain period of time. He noted, that the traditional faith of the Abkhazians is paganism, with characteristic for it polytheism and then added: " If you tell all this the Abkhazians, he won't like it, but if you pet his back and say to them that yes, yes, you had one God (you were monotheists) He will like it. You always were clever even in the ancient times and you Abkhazians in the fifth century had a cathedral in Pitsunda, when we the Russians used to climb the trees together with the monkeys. It is wonderful! But what they have to do with that cathedral it is another issue; we had better not ask them about it. It is a very serious problem: What do those calling today themselves Abkhazians have to do with Abkhazia? The fact is that there are fascinating and gorgeous old Christian Orthodox cathedrals on the territory of Abkhazia; Orthodox Abkhazian Kingdom existed, as well as the Abkhazian Orthodox church. This is true. The question is what has the people living today on that territory to do with all this? The paradox is that those people call themselves Apsua and the land is called Apsni and not Abkhazia. The word Abkhazeti is a Georgian word, i.e. those calling themselves Abkhazians was a part of the Georgian ethnos of Megrelian type etc. Let us say, that it is the opinion of the Georgian historians. They suppose that those authentic Abkhazians are Orthodox and

constitute one whole with the Georgians and church etc. They were massacred and driven out by the Turks in the 16-17th centuries from that seacoast and partly disappeared (perished) and partly fled into the East to the remote part of the mountainous Georgia. The Turkish authorities settled on the vacant coastal lands the Highlander Circassians and told them: live here. It appears that the modern population of Abkhazia came to live there not long ago. But it flatters their vanity to consider themselves the constructors and builders of the ancient cathedrals and be their heirs like the Walachs are fascinated to consider themselves heirs of the ancient Romans and call themselves Romanians, Romen, Romane i.e. the heirs of the ancient Romans, though the Dacians has nothing in common with Rome and if they anyway have it, then it is very remote. Bu the Romans are honest to say, that they in Romania have the cult of the Emperor Trojan. Why? Trajan defeated and subdued the Dacians. And here we have a wonderful story - i.e. people worship their conqueror, as he connected them to the European Civilization. In Abkhazia the situation is opposite. They did not defeat the ancient Abkhazians, the deportation had place without their help. They partly inherited their lands, partly their names, but not for themselves, but for the tourists. They do not call themselves Abkhazians - they do it only speaking with the foreigners and in the Russian language... But if I start telling all this to the Abkhazians they would be offended and call me a Georgia agent. But if I tell them, that yes, Abkhazians are the ancient Orthodox people on the earth and please convert to the religion of your ancestors, I am afraid, that it would be a historical slyness, but from the missionary aspect it would prove effective. We, the Russians have the same problems in the sphere of newest history." This is the historical truth lying on the surface and available for everybody.

Thus, the mistaken versions and ungrounded pretences on the problems of ethno policy and church history of Abkhazia put forward by the separatist historians have no basis. They are the fruit of the conscious and purposeful falsification of the historical past of the region. The above mentioned various original and trustworthy sources and the material on the legacy of Gabriel Gegenava, Fedot Elchin and Pavel Zakahriev published below are a firm proof.

ნაწილი I

მღვდელ გაბრიელ თევდორეს ძე გეგენავას ელჩობა სადადიანოს ქვეყნიდან მოსკოვში. 1636 წლის 24 ივლისი - 1639 წლის 24 მაისი.

1. ცნობა სამეგრელოს სამთავროს ელჩის გაბრიელ გეგენავას ციხე-ქალაქ თერგში(1) ჩამოსვლის შესახებ (1636 წლის 24 ივლისი - 11 აგვისტო)

ხელმწიფეს, მიხეილ თევდორეს ძეს(2), შენი ყმები ვასკა რომოდანოვსკი, ივაშკო ბესტუჟევი და კალისტრატკო ჟუხოვი(3) უმორჩილესად მოგიკითხავთ. მიმდინარე 144 {1636} წლის 24 ივლისს, ხელმწიფევ, ჩვენთან, შენს ყმებთან, ყაზის ყაბარდოდან ალეგუკასა(4) და მისი ძმებისგან უზდენები ბეშტაჩკო და ბატარხანკო ჩამოვიდნენ. გამოკითხვისას კი, ხელმწიფევ, ჩვენ, შენს ყმებს, გვითხრეს: ალეგუკო მურზამ თავის ძმებთან ერთად ჩვენ, შენს ყმებს, რომ მის, ალეგუკას, ყაბარდოში სადადიანოს ქვეყნის ელჩი მისულა, რომელიც თურმე შენთან, მიხეილ თევდორეს ძევ, მოემართება. ჩვენ, შენმა ყმებმა, სტრელეცთა ასისთავი რომან ლიხაჩევი ამხანაგებთან ერთად გავგზავნეთ და ვუბრძანეთ მას, ხელმწიფევ, ყაზის ყაბარდოში მისვლისას ის ელჩი გამოკითხოს, ვინ არის იგი, რომელი ქვეყნიდანაა და რა ჰქვია მას. ვუბრძანეთ, რომ გამოკითხვის შემდეგ იგი თან ნამოიყვანოს და ციხე-ქალაქ თერგში ჩამოვიდნენ. 11 აგვისტოს, ხელმწიფევ, ჩვენთან, შენს ყმებთან, კაზის ყაბარდოდან სტრელეცთა ასისთავი რომან ლიხაჩევი, მასთან ერთად კი, ხელმწიფევ, სადადიანოს ქვეყნის ელჩი და მასთან, ხელმწიფევ, მისი კაცი და მათთან ერთად ალეგუკას უზდენი ტოშოვკა ჩამოვიდნენ. ჩვენ, ხელმწიფევ, შენმა ყმებმა, ბრძანება გავეცით, ელჩი დაებინავებინათ და მოვითხოვეთ ასევე იგი ჩვენს წინაშე ვოევოდას კანცელარიაში წარმოედგინათ. სადადიანოს ელჩი, ხელმწიფევ, ჩვენ, შენი ყმების, წინაშე ვოევოდას კანცელარიაში წარმოსდგა. გამოკითხვისას კი, ხელმწიფევ, ჩვენ, შენს ყმებს, გვითხრა: მას თურმე გაბრიელი ჰქვია, ხოლო გამოგზავნილი ყოფილა სადადიანოს ქვეყნიდან თავისი ხელმწიფის, იმ ქვეყნის მფლობელის ლევანის(5) მიერ შენთან, მიხეილ თევდორეს ძევ, ბარათით. მათი ქვეყნის მფლობელი ლევანი კი ბერძნული აღმსარებლობის ყოფილა;

მათი და საქართველოს სარწმუნოება თურმე ერთია. მათი ქვეყანა კი დაპყრობილია და თურქეთის მეფეს ხარკს უხდისო. ჩვენ, შენმა ყმებმა, გამოვკითხეთ რა ის ელჩი, ვბრძანეთ საკვების მიცემა შენი წინანდელი ხელმწიფებრივი ბრძანებულების მიხედვით, ხოლო შენთან, მიხეილ თევდორეს ძევ, მისი გამოშვების უფლება შენი ხელმწიფებრივი ბრძანების გარეშე არა გვაქვს. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ, შენი ყმები, როგორც შენ გვიბრძანებ, ისე მოვიქცევით.

XXX

145 (1636) წლის 18 დეკემბერს ხელმწიფემ, მოისმინა რა ეს ამონაწერები, ხელმწიფის სიგელის თერგში გაგ ზავნა ბრძანაო, რათა დადიანის ელჩი მოსკოვში გამოეშვათ.

1.1. საქართველოს ელჩის მიტროპოლიტ ნიკიფორეს(ნ) ჩვენება სადადიანოს ქვეყნის შესახებ (საგარეო საქმეთა სამინისტროს მოსკოვის სახელმწიფო არქივი. საქართველოს საქმეები. ს. კ2/6 ს. №1–1636წ. დეკემბერი–1639წ. მაისი)

ხელმწიფის, მიხეილ თევდორეს ძის, ბრძანებით სათათბიროს დიაკებმა თევდორე ლიხაჩევმა და მაქსიმე მატიუშკინმა ჭეშმარიტების დასადგენად პრისტავს თევდორე შიშკინსა და თარჯიმანს ივანე დმიტრიევს უბრძანეს, დადიანის იმ ელჩის შესახებ ქართველი ელჩი მიტროპოლიტი ნიკიფორე გამოეკითხათ: სად მდებარეობს ის სადადიანოს ქვეყანა, რომელ სახელმწიფოებს ესაზღვრება, ვინ არის იქ მმართველი, დამოუკიდებლები არიან თუ რომელიმე ხელმწიფის ქვეშევრდომები, რომელი სარწმუნოება აქვთ, რა ხარობს იქ, რა საქონელი აქვთ, რამდენად დიდია ის ქვეყანა, რა ზნის ხალხია და რამდენია მოსახლეობა.

პრისტავი თევდორე შიშკინი და თარჯიმანი ივანე ქართველ ელჩთან მიტროპოლიტ ნიკიფორესთან მივიდნენ და გამოკითხეს. ქართველმა მიტროპოლიტმა ნიკიფორემ კი გამოკითხვისას თქვა, რომ სადადიანოს სამფლობელო თბილ ქვეყანაში, აღმოსავლეთსა და სამხრეთს შუა მდებარეობს; ერთი მხრიდან შავი ზღვა ესაზღვრება, მეორე მხრიდან - თურქეთის მეფის ქვეყანა, მესამე მხრიდან - ყიზილბაშთა შაჰის ქვეყანა, ხოლო მეოთხე მხრიდან - მთიული ჩერქეზეთი. სატახტო ქალაქი არა აქვთ, დაბებში ცხოვრობენო. მათ მმართველ მთავარს ლევანს

ეძახიან, საცხოვრებლად ადგილმონაცვლეობით სხვადასხვა დაბაში გადადისო. რწმენა მათი ბერძნულია, საერთოა ქართულ სარწმუნოებასთან, მაგრამ რამდენადმე შერყვნილიაო; ენა განსხვავებულია(7), დამკვიდრებულია ერთცოლიანობა. აქვთ ეკლესია-მონასტრები, ჰყავთო ეპისკოპოსები, შავი და თეთრი სამღვდელოება. თურქეთის მეფის დაქვემდებარებაში იმყოფებიან, ხოლო როდიდან ექვემდებარება, ეს მან არ იცის. ხარკად თურქეთის მეფეს ყოველწლიურად ორივე სქესის ას-ასი ადამიანი მიჰყავს და 80 000 სხვადასხვა ქსოვილი მიაქვსო. მათი ქვეყანა დიდი არ არის, მამაკაცები მათ ქვეყანაში 60 000-მდე იქნებიანო; საომრად არსად დადიან და ამიტომ არავითარი ზარბაზნები და თოფები არა აქვთ. მათგან ახლოს ქართული ქვეყნები(8) მდებარეობს, მათ შორის კი ბაშიაჩუკთა ქვეყანაა (იმერეთი-ჯ.გ.), რომელიც ასევე ქართული სარწმუნოებისაა, მაგრამ დამოუკიდებელიაო. იმათი წესის მიხედვით, მათი მთავარი, ლევანი, ან სხვა, ვინც იქნება, იმ ქვეყნიდან ვისაც უნდა, იმას გაყიდის სხვა ქვეყანაში ან გააჩუქებსო. ასეთი უფლება იქ არა მხოლოდ მთავარს აქვს, - მამასაც შეუძლია შვილი გაყიდოს, ძმას - ძმა, ქმარს - ცოლი და ცოლს - ქმარი, ანდა ჩამოსულ ვაჭრებს საქონელში გადაუცვალონო. ფული მათ არა აქვთ, ქსოვილითა და სხვადასხვა საქონლით ვაჭრობენო. შიშვლები დადიან, მარტო სასირცხო ადგილებს იფარავენ. როდესაც მიტროპოლიტი ნიკიფორე თავისი ქვეყნიდან წამოვიდა, მისი ხელმწიფე, საქართველოს მეფე თეიმურაზი(9), სადადიანოს მთავართან, ლევანთან უბრად იყოო იმის გამო, რომ ამ ლევანმა თავის სიძეს თვალები დათხარა(10), მკვიდრი და კი ყიზილბაშთა შაჰს(11) მიათხოვა. მანვე მოკლა ბიძამისი - მამამისის მკვიდრი ძმა, იგი სიკვდილით დასაჯაო(12); იმისი ცოლი, თავისი ბიცოლა კი, თვითონ მოიყვანა ცოლად, ხოლო საკუთარი ცოლი სიკვდილით დასაჯა(13). მათ ქვეყანაში მარცვლეულებიდან ხორბალი, შვრია, ქერი, ფეტვი, კანაფი მოდისო, ჭვავი კი არ არისო; ღვინო სხვადასხვანაირი აქვთ; უმთავრესად ფეტვის ფაფას [ღომს] ჭამენ, პურს კი არ აცხობენ. უცხო ქვეყნებიდან მათთან შავი ზღვით ხვადასხვა საქონელი შემოდის, ამათგან კი ყიდულობენ ცვილს, ფრიასულ ღვინოს, ნაქსოვ ტილოს, რომელსაც რუსეთში კოლენსკიეს უწოდებენ, ნაქსოვს, რომლისგანაც მეთევზეები ბადეს აკეთებენ. ამ ტილოს და ნაქსოვს ისინი კანაფისგან ამზადებენ და არა სელისგანო. ეს კანაფი კი, თურმე მათთან, სადადიანოს ქვეყანაში, ხარობს.

2. შიკრიკი ათანასე იევსკის ჩვენება საელჩო პრიკაზში (იქვე)

147 [1638] წლის 15 ნოემბერს სრულიად რუსეთის ხელმწიფე მეფესთან და დიდ მთავართან მიხეილ თევდორეს-ძესთან თერგიდან შიკრიკი, ურიადნიკი ათანასე იევსკი საჩქაროდ ჩამოვიდაო. საელჩო პრიკაზში გამოკითხვისას მან თქვა, რომ იგი თერგიდან გასულ 146{1638} წელს, პეტრე-პავლობის მარხვის დასრულებიდან ერთი კვირის თავზე, ხუთშაბათს ხელმწიფესთან წერილებით გამოგზავნეს. მასთან ერთად ხელმწიფესთან გამოგზავნილია სადადიანოს ქვეყნის ელჩი გაბრიელი, რომელსაც ერთი კაცი ახლავსო. ის ელჩი მოსკოვის გარეუბანში, მოსკოვიდან ოცდახუთიოდე ვერსში მდებარე ხუპავნაში დარჩა და ხელმწიფესთან მას დღეს საღამოსთვის უნდა ველოდოთო. თან მოაქვს წერილი ხელმწიფესთან, ხოლო რა საქმეზე მოდის, ეს მისთვის, ათანასესთვის, უცნობია. არც საუბარში გაუგონია მისგან რაიმე სახელმწიფო საქმის შესახებ, თუ რა საქმეზეა გამოგზავნილი ხელმწიფესთან. რუსული არ იცის, თავის ენაზე საუბრობს; აცხადებს, რომ ქრისტიანული რჯულისაა, ღმრთისადმი ჩვენი რწმენისაებრ ლოცულობს. სურსათი მას ქალაქებში საგზაო წერილის მიხედვით ეძლეოდა. საგზაო წერილში კი ამ შიკრიკს უწერია: გაბრიელ ელჩს დღეში ოთხი ალტინის საჭმელი, ხუთი თასი ღვინო და ნახევარი ვედრო თაფლი მიეცეს.

მის კაცს დღეში 6 ფული (ერთი ალტინი - ჯ.გ.) და ორი თასი ღვინო ეძლეოდა; შიკრიკს, ურიადნიკს, ათანასე იევსკის კი რვა ფული, თარჯიმან ოსიპკა ოსიპოვს, რომელიც მას სათარჯიმნოდ გამოაყოლეს, 6 ფული დღეში. ამჟამად ის თარჯიმანი იმ ელჩთან დარჩა ხუპავნაში.

თევდორე ვოლკონსკის შესახებ კი, რომელიც ხელმწიფის ბრძანებულებით საქართველოში იყო გაგზავნილი, შემდეგი გვიამბო: თავადი თევდორე საქართველოში 146{1637} წელს ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის (14) შემდეგ გამგზავრებულადა უკანვე დაბრუნებულა (15). გზაში ვიღაც უცნობ ჯარისკაცებს მისთვის საქართველოსკენ წასვლის უფლება არ მიუციათ. მერე კი, როცა იგი, ათანასე, იმ ელჩთან ერთად თერგიდან გამოუმგზავრებიათ და როცა ისინი ასტრახანში ჩამოსულან, მისთვის, ათანასესთვის, ცნობილი გამხდარა, რომ იმ თავად თევდორე ვოლკონსკის წასაყვანად საქართველოს მეფეს თერგში თავისი ხალხი გამოუგზავ-

ნია. მარიამობის მარხვის დღეებში იმ ხალხს თევდორე თერგიდან საქართველოში ნაუყვანია.

ყალმუხები კი მის იქ ყოფნაში ასტრახანს არ მიახლოებიან და გზაშიც არაფერი სმენია არც ყირიმის მეფის ჯარისკაცებზე, არც ნოღაელ მურზებზე(16). ხოლო მას, ათანასეს, თერგიდან ასტრახანამდე სანაოსნო გზით, ხომალდით უმგზავრია; ასტრახანიდან სარატოვამდეც ასევე სანაოსნო გზით უმგზავრია; სარატოვიდან სტეპების გავლით ტემნიკოვამდე, ტემნიკოვიდან კასიმოვამდე(17), ასევე კასიმოვიდან ვლადიმირამდე - ცხენებით. გარდა ამისა, საკუთარი თავის შესახებ მას არაფერი მოუყოლია.

XXX

მოსკოვში სადადიანოელი ბერძნულ მეტოქში დააბინავეს, რომელიც ბაზარში მეორადი ტანსაცმლის გასაყიდი ადგილის შემდეგ მდებარეობს. თევდორე ბასკაკოვს ნაბრძანები აქვს იყოს მის პრისტავად; ნაბრძანებია, მასთან დაცვისთვის ხუთი მოსკოველი სტრელეცის, შიკრიკის მოვალეობის შესასრულებლად კი საერობო სასახლის დარაჯის დაყენება.

3. ელჩ გაბრიელ მღვდლის დაკითხვა საელჩო პრიკაზში (იქვე)

სრულიად რუსეთის ხელმწიფე მეფემ და დიდმა მთავარმა მიხეილ თევდორეს-ძემ ბრძანა, სადადიანოს ქვეყნის ელჩი გაბრიელი 147{1638} წლის 16 ნოემბერს საელჩო პრიკაზში სათათბიროს დიაკებთან თევდორე ლიხაჩევთან, მაქსიმე მატიუშკინთან, გრიგოლ ლვოვთან გამოცხადებულიყო და მათ შემდეგზე დაეკითხათ: ვისგან არის ხელმწიფესთან გამოგზავნილი, აქვს თუ არა თან სიგელი და სიტყვიერად გადმოსაცემი ბრძანება, ვინ არის მათი ქვეყნის მთავარი და რა ხდება მათთან?

იმ დღეს სადადიანოს ელჩი საელჩო პრიკაზში დიაკებთან გამოცხადდა. მასთან საელჩო პრიკაზის თარჯიმანი ფედოტ ელჩინი გაიგზავნა.

როდესაც საელჩო პრიკაზის დარბაზში ელჩი შევიდა, დიაკებმა ის მოიკითხეს: გზაში მშვიდობით თუ იმგზავრა და დიდი ხანია თუ

არა, რაც თავისი ქვეყნიდან გამოემგზავრა?

გაბრიელ ელჩმა მიუგო: ღმრთის წყალობითა და ხელმწიფის შეწევნით მან მშვიდობიანად იმგზავრა. თავისი ქვეყნიდან კი იგი გასულ 144 [1636] წელს, ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის მიძინების მარხვის დღეებში გამოემგზავრა და თერგში ორი წელი შეყოვნდა(18); ხელმწიფესთან ვოევოდებმა იგი დიდხანს არ გაუშვეს.

დიაკებმა ჰკითხეს: რა საქმეზეა იგი თავისი ხელმწიფისგან მის მეფურ უდიდებულესობასთან გამოგზავნილი და აქვს თუ არა თან სიგელი და, სიგელის გარდა, სიტყვიერი ბრძანება?

გაბრიელ ელჩმა თქვა: თავისი ხელმწიფის მიერ მის მეფურ უდიდებულესობასთან ის სიგელით და სიტყვიერი თხოვნით არის გამოგზავნილი. მას ნაბრძანები აქვს სიგელი და სიტყვიერი თხოვნა ხელმწიფეს პირადად გადასცეს; ნაბრძანები აქვს, რომ დანაბარები მხოლოდ ხელმწიფეს უთხრას; ხელმწიფის გარდა კი სხვა ვინმესთვის სიგელის გადაცემის, ან საქმეზე საუბრის უფლება არა აქვს.

დიაკებმა მას უთხრეს, რომ ის სიგელი მათთვის ეჩვენებინა; მას ისინი არ გამოართმევდნენ, მხოლოდ ნახავდნენ, რათა შეძლებოდათ მისი მეფური უდიდებულესობისათვის ამის შესახებ მოეხსენებინათ. ხოლო როცა იმის დრო დადგება, რომ მისი მეფური უდიდებულესობა პირადად ინებებს ელჩის მიღებას, მაშინ ხელმწიფეს თვითონ გადასცემს სიგელსაც და სიტყვიერ დანაბარებსაც, რაც თავისი მეფისაგან აქვს დავალებული.

ელჩმა გაბრიელმა სიგელი აჩვენა; სიგელი ფურცლის ორივე გვერდზეა დაწერილი, ერთ გვერდზე ბერძნულად, მეორეზე - ქართულად.

დიაკებმა ელჩს ჰკითხეს: რატომ არის სიგელი ასეთნაირად შედგენილი?

ელჩმა მიუგო: სიგელი ორ ენაზე იმიტომ არის დაწერილი, რომ მის მეფურ უდიდებულესობას მისი გადათარგმნა შესძლებოდა, რათა ხელმწიფე გაეცნოს იმას, რაც მასში წერია.

დიაკებმა თქვეს: ჩვენი ხელმწიფე დიდია და მის მეფურ უდიდებულესობას ყველანაირი ხალხი ჰყავს, რომელ ენაზეც არ უნდა ყოფილიყო დაწერილი, მაინც გადათარგმნიდნენ.

სიგელი დაათვალიერეს, ელჩს უკან დაუბრუნეს და ჰკითხეს: მისი ხელმწიფე წერილში თავს როგორ მოიხსენიებს - მეფედ თუ მთავრად; რა სარწმუნოებისაა და რომელი ეროვნების; და-

მოუკიდებელია თუ ვინმეს ქვეშევრდომი და თუ ქვეშევრდომია, უხდის თუ არა ხარკს იმ ხელმწიფეს, რომლის ქვეშევრდომიცაა; თუ უხდის, მაშინ რით უხდის; მათი სახელმწიფო რომელ სახელმწიფოებს ესაზღვრება და საქართველოს მეფე თეიმურაზი მათგან შორს არის თუ არა; აქვს თუ არა მის ხელმწიფეს ქალაქები და თუ აქვს, როგორი - ქვის თუ ხის, ქალაქებში არის თუ არა სამხედრო შეიარაღება, დენთი და ტყვია; ვისთან უხდებათ ომი; როგორ პურს თესენ და რა მოდის მათ მიწაზე, რა ბოსტნეული და საქონელი აქვთ, რომელ ქვეყნებთან და რით ვაჭრობენ, რას აწარმოებენ მათ ქვეყანაში, რა მხატვრული ნაწარმი აქვთ და რანაირ ტანსაცმელს იცვამს მათთან სხვადასხვა ფენის ხალხი?

გაბრიელ ელჩმა თქვა: მათი ხელმწიფე მათივე ენაზე ხანტიპა (ხელმწიფე - ჯ.გ.) ლევანად იწერებაო, რუსულად კი - მეფე ლევანად. რწმენა მათ ქრისტიანული აქვთ - იგივე, რაც [აღმოსავლეთ] საქართველოში და წიგნებიც იგივეა, რაც ქართული, თუმცა ერთმანეთში სასაუბრო თავისი ენა აქვთო(კომენტ.7-ჯ.გ.). საღმრთო ეკლესიები და მონასტრებიც ბევრი აქვთ. უმაღლესი საეკლესიო იერარქი კი მათი პატრიარქი მალაქია(19) არისო; მიტროპოლიტებიც, მთავარეპისკოპოსებიც, ეპისკოპოსებიც, არქიმანდრიტებიც, იღუმენებიც და მღვდლებიც ჰყავთო. პატრიარქი მალაქია კი პინჩიუსკის მიძინების მონასტერში(20) ცხოვრობს, ასევე მონასტრებში ცხოვრობენო მიტროპოლიტებიც, ეპისკოპოსებიც, არქიმანდრიტებიც და იღუმენებიც. ეს გაბრიელი თვითონ მღვდელია და მეფე ლევანის კარის ეკლესიაში მსახურობს; იგი თურმე სასახლეში, კარის ეკლესიაში ღვთისმსახურებასაც ასრულებსო. მათი სადადიანოს ქვეყანა დიდია და ფართო, მეფე ლევანი - დამოუკიდებელიაო. ადრე კი მათი ქვეყანა თურქეთის დაქვემდებარებაში ყოფილა, როცა ქვეყანას ლევანის ბაბუა და მამა მართავდნენ. მამის გარდაცვალების შემდეგაც, როცა ის პატარა დარჩენილა, თურქეთს უხდიდნენ ხარკს ქსოვილებით. ახლა კი უკვე ოცი წელია, რაც მეფე ლევანი სადადიანოს ქვეყანას დამოუკიდებლად მართავს, არავისი ქვეშევრდომი არ არის და თურქეთს ხარკს აღარ უხდისო(21).

მათ ქვეყანას ესაზღვრებაჩჩ თურქეთი, საყიზილბაშო და ქართლი. თეიმურაზ მეფე მათთან ახლოს არ არის, მათ შორის ორი სახელმწიფოა - იმერეთისა და ქართლის. მის (სამეგრელოს - ჯ.გ.) ხელმწიფეს ქვეყნის შიდა ნაწილში ქვისგან ნაგები ხუთი ქალაქი

(ციხე-სიმაგრე-ჯ.გ.) ჰქონია და კიდევ ბევრი - ქვეყნის განაპირა ადგილებში. მთავარ ქალაქს, სადაც მეფე ლევანი ცხოვრობს, ზუგდიდი ჰქვიაო. მათი სამხედრო შეიარაღებაა ზარბაზნები და სიათები. დენთს მათ ქვეყანაშიც ამზადებენ, მაგრამ დიდი რაოდენობით არა, უმეტესად გემით ზღვით ჩამოაქვთო. ომები ხშირი არა აქვთ; რომელი მეფეც ომით წამოვა, იმას ებრძვიან, თვითონ კი არავის ერჩიან. ამჟამად ომი არავისთან აქვთ. ჰქონდათ მათ ომი იმერეთის მეფესთან, მაგრამ ამჟამად მასთანაც მშვიდობაა. მარცვლეულიდან მათთან მოდის: ხორბალი, ქერი, ფეტვი, ბრინჯი და კანაფი; ყურძენი, სუფთა თაფლი და ცვილი, ყველანაირი ბოსტნეულიც აქვთ; ცხენიც, ძროხაც, ცხვარიც და სხვა ყველანაირი პირუტყვიც ბევრი ჰყოლიათ. მათ ქვეყანაში ამზადებენ, თურმე, აბრეშუმსა და ტილოს. ვაჭრობას სადადიანოს წინანდელი მეფეები არავისთან აწარმოებდნენ; ამჟამინდელი მეფის, ლევანის, დროს კი ვაჭრობას აწარმოებენ. ვაჭრობენ თურქებთან, ყიზილბაშებთან და სხვა ქვეყნების ვაჭრებთან, რომლებიც მათთან ზღვით ჩამოდიანო; ისინი აბრეშუმს, თაფლს, ცვილს, ტილოს, სხვა საქონელს ყიდულობენ, რაც მათ აქვთ. ისინი გრძელ ტანსაცმელს ატარებენო, კეთილშობილნი - მაუდის, აბრეშუმისა და მოქარგული ბამბის ქსოვილისაგან; ძვირფასს და უბრალო წარმომავლობის ყმაწვილები - რუხი ფერის მაუდს, მუშა ხალხი კი, სამუშაო დროს, პერანგის ამარა დადის.

დიაკებმა ელჩს ჰკითხეს: მისი ხელმწიფე მეფე ლევანი ამჟამად რამდენი წლის არის, ცოლიანია თუ არა, ჰყავს თუ არა შვილები და რამდენი, რა ჰქვიათ და რა ხნისანი არიან?

ელჩმა უპასუხა: მათი ხელმწიფე მეფე ლევანი დიდი ხნის დაოჯახებულიაო, ჰყავს ორი ძე და ორი ასული. უფროსი უფლისწული ალექსანდრე 13 წლის არის, მეორე უფლისწული მანუჩარი - 6-ის. ასულები კი, ერთი უფროს ვაჟზე უფროსიაო, მეორე - 11 წლის არის, სახელები კი, მათი, მან არ იცის.

დიაკებმა ჰკითხეს: თურქეთის სულთანს ან სხვა ვინმეს რამე ხარკს თუ უხდიან და თუ უხდიან, რითი აძლევენ - ადამიანებით, ფულით თუ სხვა რაიმეთი?

ელჩმა უპასუხა: სადადიანოს წინანდელი მეფენი თურქეთის სულთანს ხარკს ტილოთი უხდიდნენ, ხოლო რამდენს აძლევდნენ, ეს არ ახსოვს, ადამიანებით არასოდეს იხდიდნენ. ამჟამინდელი მეფე ლევანი კი არავითარ ხარკს არ იხდისო.

4. მეფე ლევან დადიანის სიგელი მეფე მიხეილთან, გაგ ზავნილი ელჩ გაბრიელ მღვდლის ხელით (იქვე)

ასეთი სიგელი გამოგზავნა სრულიად რუსეთის ხელმწიფე მეფესთან და დიდ მთავართან მიხეილ თევდორეს-ძესთან მეფე ლევან დადიანმა თავისი ელჩის, კარის ეკლესიის მღვდლის გაბრიელის ხელით 12 დეკემბერს [147//1638 წ.].

უუმაღლეს, კეთილმსახურს, ღმრთივდაცულ თვითმპყრობელს, ქრისტიანული სარწმუნოების ერთმთავარს, ხელმწიფე მეფეს მოსკოვისა და სრულიად რუსეთისა, მრავალჟამიერ მეფეს მიხეილს და მეუფებას შენსას.

ქვეშევრდომი შენი სადადიანოს ხელმწიფე სახელად ლევანი მორჩილი სახით გიკრავს თავს, თაყვანს გცემს და ღმერთს ევედრება, მრავალჟამიერ ჰყოს დიდი მეფის ხელმწიფებრივი ძლევამოსილება. შემდგომ ამისა, გევედრება და გთხოვს მთელი აქ, ივერიის ქვეყანაში, მცხოვრები მართლმადიდებლებითურთ, რომლებიც ქრისტეს სჯულის, მოციქულთა მოძღვრებისა და შვიდი კრების ერთგული არიან, გვწამს წმიდა სამებისა, ყოვლადწმიდა ქალწულისა ღმრთისმშობელისა, ერთი წმიდა კათოლიკე სამოციქულო ეკლესიისა, ერთისა წმიდისა ნათლისღებისა და მოველით აღდგომასა მერმისა მის საუკუნესასა. როგორც ვსასოებთ მომავალ საუკუნეს, ასევე ვსასოებთ წყალობას მისი დიდი მეუფებისაგან, რადგან ქრისტემ გამოარჩია იგი, დიდი ხელმწიფე, და დაადგინა ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანის მეფედ. მას [ლევანს] და მთელს მის სამეფოს ეგების თაყვანისცეს მას, დიდ ხელმწიფეს. ივერიის ქვეყანაში 5 ხელმწიფე იყო და მათგან 2 სპარსეთის შაჰმა დახოცა. დანარჩენი 3 ხელმწიფის ქვეყნებს, ღმრთის შეწევნითა და მისი მრავალწლოვანი სამეფო ბედნიერებით, თვითონ, მეფე ლევანი ფლობსო(22). დიდი ხანია, მას სურდა, ყოფილიყო მისი დიდი მეუფების სამსახურში, მაგრამ შესაფერისი დრო ვერ შეარჩია, რათა ამის შესახებ მისთვის, ხელმწიფისათვის, ეთხოვა. ამჯერად, მის დიდ მეუფებასთან გაგზავნა თავისი კარის ეკლესიის მღვდელი სახელად გაბრიელი, თაყვანს სცემს მის მეფურ უდიდებულესობას იგი, მისი ქვეშევრდომი, წმინდა საღმრთო ეკლესიებითა და წმინდა ნაწილებით; თავისივე მეთაურობით, მთელი თა-

ვისი სამთავროთი და მთელის თავისი სახელმწიფოთი მისი დიდი მეუფების სამსახურში დგება; ითხოვს, რომ მან, დიდმა ხელმწიფემ, მასზე წყალობა გაიღოს, თავისი ელჩი სამეფო სიგელებით გამოგზავნოს და ისინი თავისი მაღალი მეფური ხელის მფარველობის ქვეშ მიიღოს, რათა ყოველთვის მისი მეფური უდიდებულესობის მაღალი ხელის ქვეშ იყვნენ, ხელმწიფის სხვა ქვეშევრდომებივით მის მეუფებას ემსახურონ; მისგან, დიდი ხელმწიფისაგან, დახმარება და შემწეობა ჰქონდეთ, რათა ქრისტეს სარწმუნოებაში იდგნენ.

4.1. საელჩო პრიკაზის მასალები რუსეთის ხელმწიფის მიერ ელჩ გაბრიელ გეგენავას მიღების შესახებ. 1638 წლის 12 დეკემბერი, 1639 წლის 24 მაისი.

146{1638} წლის 12 დეკემბერს მიხეილ თევდორეს ძეს უბრძანებია, სადადიანოს ქვეყნის ელჩი გაბრიელი მიღებაზე მასთან, ხელმწიფესთან, სასახლეში გამოცხადებულიყო.

მანამდე კი ხელმწიფესთან უნდა გამოცხადებულიყვნენ პირველი გილდიის ყიზილბაშელი ვაჭრები ალიგულა და რეჟაპი, შაჰის ხაზინადარი და სათათბიროს დიაკის უსეინ ხან ბეგის(23) პირველი გილდიის ვაჭრებთან ერთად; პირველი გილდიის ვაჭრების შემდეგ კი ხელმწიფესთან ის, გაბრიელ ელჩი, გამოცხადდებოდა.

იმ დღეს ყიზილბაშელი ვაჭრები და სადადიანოელი ხელმწიფესთან იყვნენ.

XXX

და როგორც კი პირველი გილდიის ყიზილბაშელი ვაჭრები ხელმწიფისგან თავისთან, მეტოქში, წავიდნენ, ხელმწიფემ ბრძანა სადადიანოს ელჩი გაბრიელი მასთან, ხელმწიფესთან, გამოცხადებულიყო. მეფესთან ელჩს სათათბიროს დიაკი თევდორე ლიხაჩევი „წარადგენდა“. მან მეფის სახელით უთხრა მას შემდეგი: გაბრიელ, მიხეილ თევდორეს ძემ მიბრძანა შენთვის მეთქვა: ჩვენ დავავალებთ იმ სიგელის გადათარგმნას, რომელსაც ჩვენს მეფურ უდიდებულესობას ლევან მეფისგან მიართმევ და მოვისმენთ; მასზე პასუხის გაცემას კი სხვა დროს ჩვენი პრიკაზის მოხელეებს დავავალებთ.

XXX

1639 წლის 24 მაისი(24). მიხეილ თევდორეს ძემ ბრძანა, შენთვის გვეთქვა: ჩვენს მეფურ უდიდებულესობასთან სადადიანოს მფლობელმა ლევან მეფემ შენ სიგელით გამოგაგზავნა. ჩვენმა მეფურმა უდიდებულესობამ ბრძანა, შენგან სიგელი მიგვეღო და მოწყალებით მოვისმინეთ. ლევან მეფე თავის სიგელში ჩვენს დიდ ხელმწიფეს წერს, რომ იგი ბერძნული რჯულის მართლმადიდებელი ქრისტიანობის მიმდევარია და ჩვენ, დიდ ხელმწიფეს, მისთვის ლევან მეფისთვის, გვეწყალობა, ჩვენი მაღალი სამეუფეო მფარველობის ქვეშ მიგვეღო და კეთილმზრუნველობა გაგვეწია, ურჯულოთა თავდასხმებისაგან დაგვეცვა და დაგვეფარა, მასთან ელჩი ჩვენი სამეფო სიგელით წარგვეგზავნა და მისი სახელმწიფოს დათვალიერება გვებრძანებინა. ჩვენ, დიდ ხელმწიფეს, მეფე ლევანი და მთელი მისი ქვეყანა მართლმადიდებელი ქრისტიანობის გამო გვინდა ჩვენი მაღალი მეფური მფარველობის, მოწყალებრივი მზრუნველობისა და დაცვის ქვეშ ავიყვანოთ, რათა მართლმადიდებელი ქრისტიანული სარწმუნოება ურჯულოთაგან შეგინებული არ იყოს. შენ, მის ელჩს, გაბრიელს, მეფე ლევანთან გიშვებთ და ასევე შენთან ერთად ლევან მეფესთან ჩვენი სამეფო სიგელით ფედოტ ელჩინს ვაგზავნით და ვუბრძანებთ, მას ჩვენი მეფური წყალობა გამოუცხადოს. ლევან მეფემ კი ჩვენი მეფური წყალობის, მფარველობისა და მზრუნველობის პასუხად ერთგულება გამოიჩინოს. მომავალში კი, მისი წერილის თანახმად, საბოლოოდ დასამტკიცებლად მასთან, ლევან მეფესთან, ჩვენს ელჩს წარვგზავნით.

5. გაბრიელ მღვდლის ზეპირი მოხსენებები (იქვე, საქ. №3-1639 აპრილი - 1640 ივლისი)

დადიანის ელჩის გაბრიელ მღვდლის მიერ მისი მეფური უდიდებულესობის სულიერ მოძღვართან, ხარების ეკლესიის დეკანოზ ნიკიტასთან გაკეთებული ზეპირი მოხსენება.

ჩვენმა დიდმა და კეთილმსახურმა ხელმწიფე მეფემ და დიდმა მთავარმა მიხეილ თევდორეს-ძემ, სრულიად რუსეთის თვითმპყრობელმა და მრავალი სახელმწიფოს ხელმწიფემ და მფლობელმა მიბრძანა მე, მისთვის ღმრთისადმი მლოცველს, გამოგკითხო შენ, წარჩინებული უფალი მღვდელმსახური გაბრიელი, ბერძნული

ქრისტიანული მართლმადიდებლური სარწმუნოების შესახებ: [1]. როგორ იმარხავს თქვენი სადადიანოს ხელმწიფე ლევანი და, საერთოდ, მთელი სახელმწიფო ქრისტეს რწმენას? [2]. უვნებლად და შეურყვნელად ხომ იცავენ მას ბერძნული მართლმადიდებლობისაგან განუშორებლად, როგორც ჩვენ ვიცავთ ჩვენს დიდ რუსეთში? [3]. ხომ იცავთ მას ურიათა ბოროტ რწმენასთან, ელინთა საძაგელ უკეთურებასთან, ლათინურ მწვალებლობასთან, მაჰმადიანობასთან, არიანელებისა (კომენტ.49-ჯ.გ.) თუ ყოველგვარ მწვალებლურ გარყვნილებასთან შერევის გარეშე?

მითხარი: [4]. როგორ აღმსარებლობთ წმიდა სიმბოლოს, ანუ: მწამს ერთი ღმერთი, მამა, ყოვლისა მპყრობელი, შემოქმედი ცათა და ქვეყანისა, ხილულთა ყოველთა და არა ხილულთა და ასე შემდეგ. გამოთქვი ბერძნულად ყველაფერი ბოლომდე.

[5]. მას, მხოლოდშობილ ძეს და სიტყვას როგორ აღიარებთ და მის ხორცშესხმას, სულიწმიდისა და ქალწულ მარიამისაგან განკაცებას როგორ აღიქვამთ?

[6]. როგორ აღიარებთ სულიწმიდის, უფლისა და ცხოველსმყოფელის გამოსვლას; როგორ იღებთ, თქვენი აზრით, მამისაგან გამომავალია? ამის პასუხიც ბერძნულად უნდა გვითხრა.

[7]. შემდეგ მსოფლიო საეკლესიო კრებების (კომენტ.61-ჯ.გ.) შესახებ გამოიკითხა იგი.

[8]. თაყვანს სცემთ თუ არა უფლისა ჩვენის იესო ქრისტეს გაღმერთკაცების, ყოვლადწმიდა მისი ღმრთისმშობლისა და ყველა წმინდანის ხატებს?

[9]. ასევე წმინდანთა ნაწილებისა და მაკურნებელ სასწაულთმოქმედებისა თუ გწამთ ყოველგვარი ეჭვის გარეშე? [10]. თქვენთან, წმინდა საღმრთო ეკლესიებში არის თუ არა წმინდა და პატიოსანი ხატები? [11]. იწერება თუ არა წმინდა ხატები კედლებზე, კრეტსაბმელებზე, გადასაფარებლებზე და საეკლესიო ჭურჭლებზე?

12. წმიდა ლიტურღიის დროს საღმრთო საიდუმლო მსხვერპლშეწირვას როგორი პურით აღასრულებთ - აფუებულით თუ უფუარით?

13. ჩვილისა თუ, საერთოდ, ყველა ადამიანის მონათვლისას ხდება თუ არა ზეთისა და წმინდა მირონის ცხება და მოსანათლის სამგზის შთაფლვა, ან იქნებ მხოლოდ წყლის გადავლება და რას წარმოთქვამენ თქვენი მღვდლები შთაფლვისას?

14. მთელი წლის განმავლობაში რამდენ მარხვას იცავთ და რომელი მარხვა რამდენ კვირას გრძელდება?

15. უფლის, ღმრთისმშობლის, ზეციური ძალების, მოციქულების, წინასწარმეტყველების, მოწამეების, ღირსი მამების, მღვდელმთავრებისა და სხვა წმინდანების ხსენებებს ბერძნებთან ერთად დღესასწაულობთ თუ არა?

16. ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომას იუდეველებთან და ლათინებთან ერთად ხომ არ დღესაწაულობთ და ახალ გრიგორიანულ კალენდარს(25) ხომ არ აღიარებთ?

17. მღვდელმთავრები - მიტროპოლიტები, მთავარეპისკოპოსები და ეპისკოპოსები თქვენი ქვეყანის ქალაქებში არიან თუ არა? ასევე მონასტრები და მათში არქიმანდრიტები, იღუმენები და სხვა მონოზვნები არიან თუ არა თქვენთან?

უმაღლესი იერარქი ხელდასხმას სად იღებს, რომელ ქალაქებში - იერუსალიმში, ანტიოქიაში, ალექსანდრიაში თუ ცარგრადში? რომის პაპის მიერ საეკლესიო ხარისხში აყვანილ პირს თუ აღიარებთ?

7147 [1639] წლის 17 მაისს დაკითხვაზე, ხარების ტაძრის დეკანოზ ნიკიტას სადადიანოს ხელმწიფის ელჩმა, კარის ეკლესიის მღვდელმა გაბრიელმა ასე უპასუხა: მართლმადიდებლურ სარწმუნოებას ჩვენი ხელმწიფე ლევანი და მთელი მისი ქვეყანა კვლავაც სრულად შეურყვნელად იცავს ბერძნული სჯულისამებრ, როგორც წინაპრებისაგან მიგვიღია; შვიდი წმიდა მსოფლიო საეკლესიო კრების (კომენტ.62-ჯ.გ.) კანონების მიმდევრები ვართ. წმინდა სიმბოლოს, ანუ - მრწამს ერთი ღმერთი, მამა ყოვლისა მპყრობელი,... - გამოთქმა კი ბერძნულად არ შემიძლია, მაგრამ ყველანი წარმოვსთქვამთ მას დადიანურად, ბერძნულიდან თარგმნილსო.

სულიწმიდის გამოსვლა კი მხოლოდ მამისგან უნდა ვაღიაროთ თუ ძისგანაც, თარჯიმნებმა ვერ თქვეს, მხოლოდ მისი სიტყვები გვითხრეს: ქრისტე მამისგან არისო. ამის შემდეგ თქვა, დეკანოზი სარწმუნოების შესახებ დაკითხვას მიწყობსო? დიდ ხელმწიფესთან მე სარწმუნოების საკითხებზე სასაუბროდ კი არ ვარ გამოგზავნილი, არამედ იმის სათხოვნელად, რომ ხელმწიფემ წყალობა გამოიჩინოს და თავისი ელჩი ჩვენს ხელმწიფესთან გააგზავნოსო. ის ელჩი ადგილზე თავადვე ნახავს ჩვენს სარწმუნოებას და ყველაფერს იქვე გაარკვევს. მე კი თან არც წიგნები მაქვს და, საერთოდ, რატომ ბრძანაო ხელმწიფემ ჩემი დაკითხვა სარწმუ-

ნოების თაობაზე?

დეკანოზმა თქვა:ჯ მეფურმა უდიდებულესობამ იმიტომ ბრძანა შენი დაკითხვა, რომ წუხს თქვენზე, რადგან თქვენმა ხელმწიფემ მის მეფურ უდიდებულესობას მოსწერა: ამჟამად ორ ურწმუნო ხალხს შორის ვართ მოქცეულნი და ყოველ დღე მათთან ქრისტეს რწმენისა და ქრისტეს სჯულისათვის ვომობთო. ამიტომაც ბრძანა ხელმწიფემ დაკითხვა, ხომ არ შერყვნესო თქვენი სარწმუნოება ურიებმა ან პაპისტებმა და მწვალებლებმა? გაბრიელ მღვდელმა უპასუხა: ღმერთმა ჰყოს მრავალჟამიერ დიდი ხელმწიფე იმისათვის, რომ ჩვენზე წუხს და მართლმადიდებლურ სარწმუნოებაზე ზრუნავს.

ქრისტესა და ღმრთისმშობლის ხატებს, პატიოსან ჯვარსა და ყველა წმინდანის ხატს თაყვანს ვცემთ და მათი წმინდა ნაწილების მიმართაც კეთილკრძალულებას ვიჩენთ, ეკლესიებში ხატებიც გვაქვს და მარხვებსაც ვიცავთ, როგორც თქვენ, ბერძნების სჯულისამებრ, დღესასწაულებსაც ასეთივე წესით აღვნიშნავთო.

უმაღლეს სასულიერო იერარქად ჩვენ პატრიარქი გვყავს; ხოლო ადგილს, სადაც იგი ცხოვრობს, ბიჭვინთა ეწოდებაო. მონასტრებიც არის, სადაც ის ცხოვრობსო. ხოლო როცა გარდაცვლილის ადგილზე ახალი პატრიარქი დგინდება, მაშინ ჩვენი ხელმწიფე იერუსალიმის პატრიარქს წერს კურთხევის შესახებ. ისიც კურთხევის სიგელს აგზავნის, რის საფუძველზეც [ჩვენი პატრიარქი] მღვდელმთავრობს, იერუსალიმში კი ხელდასხმისათვის არ მიდისო(26).

ნათლისღებისას ჩვენთან ჩვილებს ზეთსა და წმინდა მირონს ცხებენ; ზამთარში ემბაზში, ეკლესიაში, გამთბარ წყალში ნათლავენ, ზაფხულში კი - მდინარეში; ნათლობა წყალში შთაფლვით ხდება და არა წყლის გადავლებითო. დეკანოზმა ნიკიტამ ჰკითხა: თქვენთან ყველა ქრისტიანი გულზე ჯვარს ატარებს?

გაბრიელ მღვდელმა უპასუხა: ჩვენთან გულზე ჯვარს არ ატარებენ, ამაში მისი მეფური უდიდებულესობის მოტყუება არ მინდაო: ღმერთი ზეცაშია, მეფე კი დედამიწაზეო. როცა მონათლავენ, ჯვარს მაშინ კისერზე აცმევენ, ხოლო როცა იზრდება და კაცდება, ჯვარს აღარ ატარებს იმიტომ, რომ უწმინდურების ეშინიათო. მაგრამ როცა ვინმეს ბერად აღკვეცენ, მაშინ მას ისევ გულზე ჯვარს კიდებენო.

წმინდა ლიტურლიისას მსხვერპლშეწირვის საღმრთო საიდუმლოებას კი აფუებული პურით აღვასრულებთ და არა უფუარით.

აბა, რომელი ქრისტიანი წირავსო უფუარით?

იმ ადგილს, სადაც ჩვენი ხელმწიფე ცხოვრობს, ზუგდიდი ეწოდებაო; ზღვიდან ერთი დღის სავალზეა, ადგილზე კი პატარა მდინარეები ყოფილა.

იარაღჩინს [სკუფია] მღვდლები ჩვენთან არ ატარებენ, ჩვენთან ასეთი წესი არ არისო.

XXX

მეფეს, მიხეილ თევდორეს ძეს, უმორჩილესი თხოვნით მიმართავს სადადიანოს ქვეყნის ელჩი გავრილკო თევდორეს ძე გეგენევი. შენი ხელმწიფებრივი ბრძანების თანახმად, გაშვებული ვარ მოსკოვიდან ჩემს ქვეყანაში; შენი ხელმწიფებრივი წყალობით თერგიდან ჩერქეზეთის პიატიგორსკამდე ურემი მომეცა. ხოლო ჩერქეზეთის პიატიგორსკიდან ჩემს ქვეყანამდე ურემი ჩემთვის გამოყოფილი არ არის. მოწყალეო მიხეილ თევდორეს ძევ, წყალობა მიქენი; უბრძანე, ხელმწიფეო, მიბოძონ ფული ცხენებისთვის, რომ ცხენები შევიძინო და ჩერქეზეთის პიატიგორსკიდან ჩემს ქვეყანაში ჩავიდე. საჭიროა, ხელმწიფევ, სამი ურემი. მიწყალე მე, ხელმწიფევ, ისე, როგორც შენ, კეთილმოწყალე ხელმწიფეს, ღმერთი შეგაგონებს. მეუფეო, ხელმწიფევ, წყალობა მიყავ.

ნაწილი II

ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარიევის საპასუხო რუსული ელჩობის მასალები

6. მღვდელ ევდოკიმეს ჩვენება საელჩო პრიკაზში (იქვე)

მღვდელი წარმოშობით პერემიშლიდან აღმოჩნდა, პერემიშლის გარეუბანში ბორისისა და გლების სახელობის საკრებულო ტაძარში მღვდლად იყო; თხუთმეტიოდე წლის წინ დაქვრივებულა და მას შემდეგ მოსკოვში ცხოვრობდა. ბოიარისა და თავა-

დის დანიელ ივანეს-ძე მეზეცკის(27), მის მერე კი თავად ანდრია ანდრიას-ძე ხოვანსკის(28) კარის ეკლესიებში ღვთისმსახურებას აღავლენდა. შემდეგ, როდესაც საყიზილბაშოში ანდრია პლეშჩეევი და დიაკი მიკ. ტალიზინი(29) ელჩებად გააგზავნეს, ისიც მათთან ერთად საყიზილბაშოში გაემგზავრა და იქაც კარის ეკლესიაში მსახურობდა. იქიდან ჩამოსული, ასტრახანში სამების მონასტერში ცხოვრობდა. მიმდინარე 147{1639} წელს კი დიდმარხვაში თავის საქმეებზე და ნათესავების მოსანახულებლად ასტრახანიდან მოსკოვში ჩამოვიდა. თუკი სადადიანოს ქვეყანაში ფედოტ ელჩინთან ერთად მის გაგზავნაზე ხელმწიფის ნება იქნება, იგი სიხარულით გაემგზავრებოდა. თავდებობას ხელმწიფისაგან, გასამრჯელოსა და ყოველგვარი უკანონობისაგან დაზღვევას მოსკოვში მისცემენ.

7. ფედოტ ელჩინისთვის მიცემული წერილობითი განაწესი (იქვე)

ხელმწიფისაგან ფედოტ ელჩინს წერილობითი განაწესი მიეცა. 7147 {1639} წლის 30 მაისს სრულიად რუსეთის ხელმწიფე მეფისა და დიდი მთავრის მიხეილ თევდორეს-ძის ბრძანებულებით ფედოტ ელჩინისთვის მიცემული სამახსოვრო. იგი სადადიანოს ქვეყანაში მეფე ლევან დადიანთან ხელმწიფის სიგელით გაემგზავროს. მასთან ერთად მეფე ლევან დადიანის ელჩი, მისი კარის ეკლესიის მღვდელი გაბრიელი და მისი კაცი გაიგზავნა. ფედოტთან ერთად პავლე მღვდელი და მწერალი, პოდიაჩი ფედკა ბაჟენოვი გაიგზავნა. ფედოტი სადადიანოს ელჩთან ერთად მოსკოვიდან კოლომნაში, პერესლავლ-რიაზანში, კასიმოვში, მურომში, ნიჟნინოვგოროდში, ყაზანშიდა და ასტრახანში გემით გაემგზავროს; ასტრახანიდან თერგში კი - სანაოსნო გზით ან ხმელეთით, როგორც უკეთესი იქნება და როგორც ეს წინათ ხდებოდა. ყაზანამდე და ასტრახანამდე გაბრიელ ელჩის პრისტავად მის მიერ თერგიდან ჩამოყვანილი იგივე პრისტავი ათანასე იევსკი და თარჯიმანი ოსკა ოსიპოვი გაიგზავნა. 2 კვირის მარაგი საკვები ნიჟნი-ნოვგოროდამდე ელჩსა და მის კაცს მოსკოვში მიეცა; ხოლო ნიჟნიდან ყაზანამდე, ყაზანიდან ასტრახანამდე და ასტრახანიდან თერგამდე, ნაბრძანებია, საკვები განაწერის მიხედვით, იმის გათვალისწინებით მიეცეთ, თუ რამდენ დღეში რომელ ქალაქამდე შეიძლება ჩავიდნენ; ხოლო განაწერი, რომლის მიხედვითაც საჭმელ-სასმელი ელჩს თავის კაცთან ერთად უნდა მიეცეს, დიაკის ხელმოწერით მოსკოვში მის პრისტავზე გაიცა. დაცვის მიზნით მოსკოვიდან კოლომნამდე

ელჩის გამცილებლად 3 სტრელეცი იგზავნება, კოლომნიდან კი ნაბრძანებია, გამცილებლები ქალაქიდან ქალაქამდე გაჰყვნენ, ხოლო ასტრახანიდან თერგამდე ისინი სანაოსნო გზით ან ხმელეთით გაემგზავრონ, როგორც ბოიარინი და ვოევოდები გაუშვებენ. თუკი სახმელეთო გზით წასვლა გადაწყდება, ცხენები მათ ასტრახანში შეიძინონ, ხოლო თუ თერგამდე სანაოსნო გზით ნავლენ, მაშინ ცხენები თერგში იყიდონ. ამისათვის მათ ხელმწიფის ჯამაგირი და ყოველგვარი დახმარება მიეცა.

როგორც კი ყაზანში ჩავლენ, ფედოტმა ბოიარინს და ვოევოდებს ივანე ვასილის-ძე მოროზოვსა(30) და მის ამხანაგებს თავისი მივლინების შესახებ ხელმწიფის სიგელი წარუდგინოს და უთხრას, რომ მათ, ხელმწიფის ბრძანების თანახმად, ევალებათ გამზადებული გემის გამოყოფა მესაჭეებითა და ნიჩბოსნებით; სადადიანოს ელჩს კი თავის კაცთან ერთად, განაწერის მიხედვით, საგზალი გამოუყონ; დაუყოვნებლივ გააყოლონ ისინი ქარავანს ყაზანიდან ასტრახანამდე ან, ხელმწიფის ბრძანების თანახმად, მათ გამცილებლები მისცენ, როგორც ამის შესახებ მათთვის განკუთვნილ ხელმწიფის სიგელში წერია, და როგორც იქაური მდგომარეობა გვიჩვენებს, რათა უზრუნველყონ ასტრახანამდე მათი უსაფრთხო და მშვიდობიანი მგზავრობა. თუკი გემი, რომლითაც ისინი მოსკოვიდან წავლენ, გაუმართავი აღმოჩნდება და მასზე ასტრახანამდე მგზავრობა ან მისი შეკეთება შეუძლებელი გახდება, მაშინ გემის გამოცვლა ებრძანებათ, მის ნაცვლად მათ სხვა გამართული გემი მიეცეთ და ყაზანიდან გაამგზავრონ, თანაც დაუყოვნებლივ.

როდესაც მათ ყაზანიდან გაამგზავრებენ, ფედოტმა სადადიანოს ელჩთან ერთად უსაფრთხოდ და ფრთხილად უნდა იაროს, ქარავანს არ ჩამორჩეს, თუ მათ ქარავანს გააყოლებენ; ხოლო თუკი ყაზანიდან მათ ქარავნით არ გაამგზავრებენ და სპეციალურ გამცილებლებს გამოუყოფენ, ამ შემთხვევაშიც მათ უსაფრთხოდ და ფრთხილად იმგზავრონ, განსაკუთრებით გაუფრთხილდნენ, რათა ვოლგაზე მათ ყაჩაღთა ბანდა არ დაეცეს თავს და რაიმე ხიფათს არ გადაეყაროს. გემზეც ძლიერი დაცვა უნდა გამოიყოს; ქალაქებში სამარაში, სარატოვში, ცარიცინში და ჩორნი იარში(31) კი ვოევოდები და გზად მიმავალი ყოველგვარი ხალხი უნდა გამოიკითხოს და ზუსტად დადგინდეს: ხომ არ არიან სადმე ვოლგაზე კაზაკი ყაჩაღები ან სხვა რომელიმე ყაჩაღური ჯგუფი? და თუ გაიგეს სადმე კაზაკთა ან სხვათა ყაჩაღური ჯგუფის ყოფნის შესახებ, ფედოტმა მათგან თავი მკაცრად უნდა დაიზღვეოს, რომ

ისინი მოულოდნელად თავს არ დაესხნენ და რაიმე უბედურება არ დამართონ. ხოლო თუ მიღებული ცნობების თანახმად, იმ ყაჩაღთა გამო გზაზე გასავლელად ყაზანელი გამცილებლები საკმარისი არ იქნებიან, მაშინ ფედოტმა, დამატებით ყაზანელი გამცილებლებისა, საელჩო პრიკაზში მასზე გაცემული ხელმწიფის საგზაო სიგელის საფუძველზე აიყვანოს გამცილებლები იმ ქალაქების ვოევოდებისგან, რომელ ქალაქებშიც ყოფნა მოუხდება; აიყვანოს რამდენი კაციც დასჭირდება იქაური მდგომარეობისა და მიღებული ცნობების გათვალისწინებით, რის შესახებაც ადგილობრივი ქალაქების ვოევოდებს მოახსენოს, რათა მან ელჩთან ერთად ყაჩაღებისაგან უვნებლად მგზავრობა შეძლოს.

როდესაც ასტრახანში ჩავლენ, მან, ფედოტმა, ბოიარინსა და ვოევოდას, თავად იური ანდრიას-ძე სიცკის(32) და მის თანაშემწეებს, ხელმწიფის სიგელი გადასცეს და უთხრას, რომ სადადიანოს ელჩთან ერთად ისინი ასტრახანიდან თერგში სანაოსნო ან სახმელეთო გზით დაუყოვნებლივ გაამგზავრონ, როგორც ეს უკეთესი და უსაფრთხო იქნება; გამცილებლებიც გააყოლონ, როგორც ამის შესახებ ხელმწიფის სიგელში არის ჩაწერილი. ხოლო, როცა ბოიარინი და ვოევოდა თავადი იური ანდრიას-ძე და მისი თანაშემწეები მათ ასტრახანიდან თერგისკენ გაუშვებენ, ფედოტი სადადიანოს ელჩთან და გამცილებლებთან ერთად ასტრახანიდან თერგისკენ გაემგზავროს ზღვით ან სტეპით, რა გზითაც გაუშვებენ; დიდი სიფრთხილით უნდა იარონ და ყველაფერში ყურადღებით იყვნენ, რათა თერგამდე მშვიდობიანად ჩავიდნენ.

როდესაც თერგში ჩავლენ, ფედოტმა სტოლნიკს და ვოევოდას ივანე ხილკოვს მის თანაშემწეებთან ერთად მეფის სიგელი გადასცეს და უთხრას, რომ მათ ხელმწიფის ბრძანებისა და სიგელის თანახმად თერგში ყველანაირი ხალხი გამოკითხონ: საით, რა გზით შეიძლება სადადიანოს მეფესთან ჩავიდნენ? რა გზითაც ჯობია, იმ გზითვე გაუშვან; საით, რომელი სამფლობელოების გავლითაც გაემგზავრებიან, იქნება ეს მთიანი ჩერქეზეთი თუ ყუმიკეთი, ჩერქეზეთის მთავრებთან, მურზებთან და ყუმიკთა შევკალთან(33) ან მურზებისთვის მისაღებ სხვა პირებთან, ვის სამფლობელოებზეც და მამულებზეც, გამოკითხვის თანახმად, ფედოტს გავლა მოუწევს, ხელმწიფის ბრძანებულების თანახმად და როგორც ეს მათდამი ხელმწიფის სიგელშია გაწერილი, ვინც ჯერ არს მიაგზავნონ დავალებით, რომ მოელაპარაკონ გაცილებისა და ურმების თაობაზე, რათა ფედოტმა და ელჩმა ხელმწიფისადმი დაუმორ-

ჩილებელ დამნაშავეებს უსაფრთხოდ და უვნებლად თავი დააღწიონ. თერგში ფედოტმა თვითონაც დანამდვილებით გამოკითხოს ყველანაირი ხალხი - ადგილობრივი ვითარების გათვალისწინებით, რომელი სამფლობელოებისა და ადგილების გავლით ჯობია სადადიანოს ქვეყნისკენ უკეთესად, უსაფრთხოდ და ადვილად მგზავრობა, რათა ხელმწიფის საქმე წარმატებული იყოს და დაჩქარდეს. ასევე თერგში სტოლნიკი და ვოევოდა თავად ივანე ხილკოვისაგან და მისი თანაშემწეებისაგან სადადიანოს ქვეყანაში თან წაიყვანოს ვინმე ისეთი კაცი სტრელეცთა, კაზაკთა, თავისუფალ ადამიანთა, ტყვეთა რიგებიდან ან უცხოელთაგან, ვინც მანამდე საქართველოში და სადადიანოს ქვეყანაში ნამყოფია, ფლობს ქართულ და სადადიანოს ენებს და გზაც საკმაოდ კარგად იცის. ყველაფერ ამის შესახებ ხელმწიფის მიერ მათ მიმართ მიწერილია.

როდესაც ცხენებიცა და გამცილებლებიც მოიძებნება და ყოველმხრივ გაემზადებიან, ფედოტი და დადიანის ელჩი თერგიდან სადადიანოს ქვეყანაში უმჯობესი გზით გაემგზავრონ, რაც იქაურების ზედმიწევნითი გამოკითხვით დადგინდება და რომლითაც მათ ვოევოდები გაუშვებენ. თუკი ყაბარდოს ან ყუმიკეთის გზით წავლენ და ყაბარდოს მთავართან მივლენ, ანდა წავლენ ყუმიკეთით და ყუმიკეთის შევკალთან ან მუნდარის ყაბარდოში, ან კიდევ ხოტოჟუკისა და ალეგუკოს ყაბაკებში(34) მივლენ, იმ მთავარსა და მურზას ან შევკალს ფედოტმა მასთან სათადარიგოდ გაგზავნილი ხელმწიფის სიგელი გადასცეს. ხოლო თუ ისე მოხდება, რომ სხვა ჩერქეზი მთავრის ან მურზის ყაბაკებში ჩავლენ, რომელ მთავართან ან მურზასთან მეფის სპეციალური სიგელი თან არა აქვთ, მაშინ ფედოტმა იმ მთავარს ან მურზას ხელმწიფის საგზაო სიგელი აჩვენოს, რომელიც მას მიეცა და უთხრას მათ, რომ მეფურ უდიდებულესობას სამსახური გაუწიონ; მეფის შიკრიკი და დადიანის ელჩი მათ თანმხლებ პირებთან ერთად სადადიანოს ქვეყანაში ან იქამდე გააცილონ, სანამდეც საჭიროება მოითხოვს, რათა უსაფრთხოდ გაიარონ; გამცილებელი და ურმები მისცენ, ხოლო ხელმწიფის წყალობა მომავალში მათ მიმართ ისეთი იქნება, როგორსაც დაიმსახურებენ. თერგელი გამცილებლები კი მან თან წაიყვანოს იმ ადგილებამდე, სანამდეც დასჭირდება მიღებული ცნობებიდან გამომდინარე, რომ თვითონაც უვნებლად გაიარონ და ხელმწიფის ხალხიც შორს არ შეიყვანონ, რათა გზას არ აცდნენ. სადადიანოს ქვეყნისკენ ისინი დიდი სიფრთხილით უნდა გაემგზავრონ, რომ სრულიად უვნებლად ჩავიდნენ.

როგორც კი ღმრთის წყალობით სადადიანოს ქვეყანაში ჩავლენ და მეფე ლევანი ფედოტს თავისთან მიიწვევს, ფედოტმა მოითხოვოს, რომ იმ დროს მას სხვა სახელმწიფოთა ელჩები და დესპანები არ ჰყავდეს და ფედოტი მასთან მარტო უნდა დარჩეს. როცა მას ეტყვიან, რომ მეფესთან სხვა ელჩები და დესპანები არ იქნებიან, ამის შემდეგ ეახლოს მეფეს. ხოლო თუ იმ დროს მეფე ლევანთან თურქეთის სულთანის ან ყიზილბაშთა შაჰის ელჩები და დესპანები ან შიკრიკები იქნებიან, მაშინ საკუთარი პასუხისმგებლობით ფედოტი მათთან ერთად არ მივიდეს. თუკი მეფის სასახლეში მივა და გაიგებს, რომ მეფე ლევანს თურქეთის სულთანის ან ყიზილბაშების შაჰის ელჩები ან წარგზავნილები ჰყავს, მაშინ ის მეფესთან არ მივიდეს და მისთვის განკუთვნილ სახლში დაბრუნდეს. პრისტავს კი უთხრას, რომ მეფე ლევანმა მასთან შესახვედრად მარტო მისვლა უბრძანოს სხვა სახელმწიფოს ელჩების, დესპანებისა და შიკრიკების გარეშე. თუკი მეფე ლევანს სხვა ქვეყნების ელჩები, დესპანები და შიკრიკები არ ეყოლება, მაშინ ფედოტი ლევან მეფესთან საელჩო მიღებაზე მივიდეს. ლევან მეფესთან მისულმა კი თაყვანი სცეს და თქვას: სამებაში განდიდებული ღმრთის წყალობით სრულიად რუსეთის დიდმა ხელმწიფე მეფემ და დიდმა მთავარმა მიხეილ თევდორეს-ძემ, თვითმპყრობელმა ვლადიმირის, მოსკოვის, ნოვგოროდის, მეფემ ყაზანის, მეფემ ასტრახანის, მეფემ ციმბირის, ხელმწიფემ ფსკოვის და დიდმა მთავარმა ტვერის, იუგორსკის, პერმის, ვიატკის, ბულგარეთისა და სხვათა; ხელმწიფემ და დიდმა მთავარმა ნოვაგოროდის ქვემორე მდებარე მიწებისა, რიაზანის, როსტოვის, იაროსლავის, ბელოოზიორის, უდორის, ობდორის, კონდინის და სრულიად ჩრდილოეთის მხარის(35) მბრძანებელმა და მრავალი სხვა ქვეყნის ხელმწიფემ და მფლობელმა მიბრძანა, შენ, ლევან მეფეს, თაყვანი გცე. როცა მეფე ლევანი იკითხავს სრულიად რუსეთის ხელმწიფე მეფისა და დიდი მთავრის მიხეილ თევდორეს-ძის ჯანმრთელობის შესახებ, ფედოტმა უნდა უპასუხოს: როდესაც ჩემი ხელმწიფისაგან და მისი მეფური უდიდებულესობისაგან წამოვედი, ღმრთის წყალობით, ჩვენი დიდი ხელმწიფე მეფე და დიდი მთავარი მიხეილ თევდორეს-ძე სრულიად რუსეთის თვითმპყრობელი და მრავალ სახელმწიფოთა ხელმწიფე და მფლობელი თავის დიდ და სახელოვან სახელმწიფოებში საკუთარ ჯანმრთელი დავტოვე. მერე გადასცეს მეფე ლევანს ხელმწიფის სიგელი.

ამის შემდეგ კი სიტყვა ფედოტმა წარმოთქვას და უთხრას:

ღმრთის წყალობით დიდმა ხელმწიფე მეფემ და დიდმა მთავარმა მიხეილ თევდორეს-ძემ, სრულიად რუსეთის თვითმპყრობელმა და მრავალ სახელმწიფოთა ხელმწიფემ და მფლობელმა მიბრძანა შენ, მეფე ლევანს, გადმოგცე: გამოგიგზავნია ჩვენს მეფურ უდიდებულესობასთან შენი ელჩი, კარის ეკლესიის მღვდელი გაბრიელი სიგელით და ჩვენ, დიდმა ხელმწიფემ, შენი ელჩი წყალობით მივიღეთ, საელჩოდ მეფესთან პირისპირ შესახვედრად მოვიწვიეთ, მისგან თქვენი სიგელის მიღება ვბრძანეთ და მას სულგრძელად მოვუსმინეთ. შენს სიგელში ჩვენ, დიდ ხელმწიფეს, გვწერდი, რომ შენ, მეფე ლევანი, და მთელი შენი სახელმწიფო, რომელიც ივერიის ქვეყანაშია, არის მართლმადიდებლური და ჭეშმარიტად ქრისტიანული, ცხოვრობთ ქრისტეს სჯულისამებრ, მოციქულთა სწავლების მიმდევრები ხართ; მრავალი წელია, სურვილი გაქვს ემსახურო ჩვენს მეფურ უდიდებულესობას, მაგრამ ისეთი დრო ვერ გამონახე იმისათვის, რომ ჩვენთვის, დიდი ხელმწიფისათვის, ამის შესახებ თხოვნით მოგემართა. ამჯერად კი ჩვენთან, დიდ ხელმწიფესთან, ის შენი კარის ეკლესიის მღვდელი გაბრიელი ელჩად გამოგზავნე და თაყვანს სცემ ჩვენს მეფურ უდიდებულესობას, მთელი შენი სამფლობელოთი და სახელმწიფოთი მზადყოფნას აცხადებ, მთელი შენი სამფლობელოებით გვემსახურო ჩვენ, დიდ ხელმწიფეს; უმორჩილესად გვთხოვ ჩვენ, დიდ ხელმწიფეს, გვეცვედრები და გვთხოვ, რომ შენ გიწყალობოთ და შენთან სამეფო სიგელებით და ბრძანებით ჩვენი ელჩი გამოვაგზავნოთ, რომ მან შენი სახელმწიფო დაათვალიეროს და ჩვენ, დიდმა ხელმწიფემ, შენ ჩვენი მეფური უდიდებულესობის მაღალი ხელის მფარველობის ქვეშ მიგიღოთ; შენ კი ჩვენ, დიდ ხელმწიფეს, გვემსახურები ისე, როგორც გვემსახურებიან ჩვენ, დიდ ხელმწიფეს, სხვა ჩვენი ქვეშევრდომები. ჩვენ, დიდმა ხელმწიფემ, შენი წერილი და უმორჩილესი თხოვნა, რომელიც ჩვენ, დიდ ხელმწიფეს, შენი ელჩის, გაბრიელის, ხელით გამოგვიგზავნე, უყურადღებოდ არ დაგვიტოვებია - შენ, მეფე ლევანი და მთელი შენი ივერიის ქვეყანა ჩვენი მაღალი სამეფო ხელის მფარველობის ქვეშ გვინდა ავიყვანოთ. გიქებთ საქციელს, რომ ჩვენი სამეფო წყალობა მოძებნე და შენი ელჩი ჩვენთან თხოვნით გამოაგზავნე; ვიწყებთ შენი და მთელი შენი ქვეყნის ჩვენი მეფური წყალობის მფარველობის ქვეშ მიღებას და მასზე ზრუნვას. ამჟამად კი შენი ელჩი, გაბრიელ მღვდელი, ჩვენი მეფური წყალობით შევიწყნარეთ და თქვენთან უკან გამოვუშვით, ხოლო ჩვენი მეფური უდიდებულესობის სიგელით

გამომაგზავნეს მე, ფედოტ ელჩინი, და დამავალეს ყველაფერ ამის შესახებ თქვენ, მეფე ლევანს, მოგახსენოთ: რა პირობითა და სანდოობით გინდა შენ, მეფე ლევანს, ჩვენი მეფური მოწყალებრივი მზრუნველობისა და მორჩილების ქვეშ ყოფნა, რა მტკიცებულებას მოგვცემ, რომ ჩვენი მეფური უდიდებულესობისთვის ყველაფერი ცხადი იყოს. თქვენ კი ყველაფერ ამის შესახებ ჩვენს მეფურ უდიდებულესობას საკუთარი ხელით და ბეჭდით დამოწმებული წერილი მიწერეთ ზუსტად, რომ ჩვენთვის, დიდი ხელმწიფისათვის, სარწმუნო და საიმედო იყოს და მომავალშიც გამოვაგზავნოთ ჩვენი ელჩი ყველაფრის დასამტკიცებლად.

როცა ლევან მეფე საელჩო მიღებაზე იქნება ან საელჩო მიღების შემდეგ უბრძანებს მას თავისთან ხლებას და დაიწყებს საუბარს იმის შესახებ, რომ მას სურს მეფურ უდიდებულესობას ემსახუროს მთელი თავისი ქვეყნით ერთგულად და პატიოსნად, ხელმწიფის ნებისამებრ; იმიტომაც გააგზავნა თავისი ელჩი მეფურ უდიდებულესობასთან, რომ ხელმწიფეს წყალობა გამოეჩინა და ის თავისი ქვეყნით მიეღო საკუთარი მაღალი მეფური ხელის მფარველობის ქვეშ, ჰყოლოდა იგი თავისი მეფური წყალობისა და მზრუნველობის ქვეშ და მის მეფურ უდიდებულესობას როგორც მისი, ასევე მისი ქვეყნის თავისი მეფური წყალობის ქვეშ ყოლა და მტრებისაგან დაცვა სურს, მაშინ ფედოტმა უთხრას: რის შესახებაც მან მეფურ უდიდებულესობას მისწერა და თხოვნით მიმართა, იმის შესახებ წერია მის მიმართ მეფური უდიდებულესობის ხელმწიფებრივ სიგელში; მას კი, მეფე ლევანს, რა პირობით უნდა მეფური უდიდებულესობის მოწყალებრივი მზრუნველობისა და მორჩილების ქვეშ იყოს და რა მტკიცებულებას იძლევა. ყველაფერ ამის შესახებ მის მეფურ უდიდებულესობას ზუსტად აღუწეროს საკუთარი ხელით, ბეჭდით დაამოწმოს და იგი, ფედოტი, მის მეფურ უდიდებულესობასთან დაუყოვნებლივ დააბრუნოს, რომ მეფური უდიდებულესობისათვის ყველაფერი გარკვეული და საიმედო იყოს და მეფურმა უდიდებულესობამ თავისი ელჩი დარწმუნებით გამოუგზავნოს ყველაფრის დასამტკიცებლად.

თუკი მეფე ლევანი დაიწყებს საუბარს, რომ იგი მოხარულია მეფურ უდიდებულესობას თავისი ქვეყნითურთ ყოველგვარი ეჭვის გარეშე ემსახუროს და მისი მაღალი ხელმწიფებრივი ხელის მფარველობაში შედის, ხოლო იმის შესახებ, თუ რა პირობით ფიქრობს ის და მისი ქვეყანა ხელმწიფის მოწყალებრივი მზრუნველობისა და მორჩილების ქვეშ ყოფნას, მეფურ უდიდებულესობას

თავისი ხელით მისწერს და ბეჭდით დამოწმებულს გაუგზავნის, ან ფედოტთან ერთად მის მეფურ უდიდებულესობასთან ელჩად თავის ახლობელ და ერთგულ კაცს გამოგზავნის, რათა მისთვის, ხელმწიფესთვის, სანდო იყოს; ხოლო მათ, ფედოტს თავისი თანაშემწეებით, მეფურ უდიდებულესობასთან მალევე, დაყოვნების გარეშე დააბრუნებს, მაშინ მეფური უდიდებულესობა წყალობას გამოიჩენდა და მასთან თავის ელჩს გამოაგზავნიდა ყველაფრის დასამტკიცებლად, რათა მას ხელმწიფის წყალობის იმედი მისცემოდა; როცა მეფური უდიდებულესობის ელჩი მასთან იქნება, იგი იმ ელჩის წინაშე ხელმწიფეს ერთგულების ფიცსა და მტკიცებულებას მისცემს, ჯვარს ემთხვევა და მთელ ამ საქმეს გააკეთებს და დაამტკიცებს ისე, როგორც მეფურ უდიდებულესობას სურს. მერე ფედოტმა უთხრას, რომ მან, ლევან მეფემ, ისე გააკეთოს, როგორც მას სურს, ყველაფრის შესახებ მეფურ უდიდებულესობასთან თავისი ხელით დაწეროს, ბეჭდით დაამოწმოს და ისინი მეფურ უდიდებულესობასთან დაყოვნების გარეშე გაუშვას და ეს ყველაფერი მეფური უდიდებულესობისათვის ცნობილი გახდება.

ხოლო თუ ლევან მეფე მოისურვებს, რომ მის, ფედოტის, წინაშე, ხელმწიფეს ახლავე ერთგულების ფიცი მისცეს და ჯვარს ემთხვიოს იმის ნიშნად, რომ მთელი თავისი ქვეყნით ხელმწიფის ხელის მფარველობის ქვეშ ყოფნა სურს, მაშინ ფედოტმა ლევან მეფე ჯვარს მიაახლოს იმ წერილის თანახმად, რომელიც მასთან ერთად სათადარიგოდ არის გაგზავნილი. ხოლო როგორც კი ლევან მეფე ამ წერილის თანახმად ჯვარს ემთხვევა, მაშინ ფედოტმა უთხრას, რომ მან, ლევან მეფემ, იმ წერილს ხელი მოაწეროს და ის წერილი მისი ხელმოწერით ფედოტმა ხელმწიფესთან ჩამოიტანოს. თუკი ლევან მეფე თავად არ დაიწყებს ამის შესახებ საუბარს და ჯვარზე მთხვევას არ მოისურვებს, მაშინ ფედოტმაც ამის შესახებ საუბარი არ დაიწყოს. როდესაც მეფე მათ გამოუშვებს, სიგელსა და საკუთარი ხელით დაწერილ ბეჭედდასმულ წერილს გამოატანს, ან თავის ელჩს გამოაყოლებს ხელმწიფესთან, მაშინ თანაშემწეებთან ერთად ფედოტი მოსკოვისაკენ ხელმწიფესთან გამოეშუროს ხელმწიფის ამ განაწესის თანახმად და მეფის სიგელი და წერილი, რასაც მას მისცემენ ან ელჩთან ერთად გამოატანენ, მოსკოვში ჩამოიტანოს.

თუკი სადადიანოს მეფე იკითხავს: ამჟამად სრულიად რუსეთის დიდ ხელმწიფე მეფეს და დიდ მთავარს მიხეილ თევდორეს-ძეს მეზობელ მეფეებთაგან ვისთან აქვს მშვიდობა და ვისთან აქვს მას, ხელმწიფეს, ომი? ფედოტმა უნდა თქვას: დიდი ხელმწიფე ჩვენი, მისი

მეფური უდიდებულესობა ყველა მეზობელ ხელმწიფესთან მეგობრობაში და თანხმობაშია, ხოლო მტერი მას, ხელმწიფეს, არავინ ჰყავს.

თუკი სახელდობრივად იკითხავს: როგორ დამოკიდებულებაშია ხელმწიფე თურქეთის სულთანთან, საყიზილბაშოს შაჰთან და ყირიმის მეფესთან? ფედოტმა უნდა უთხრას: თურქეთის სულთანებთან რუსეთის წინანდელ ხელმწიფეებს, მეფეებს, დიდ მთავარებს და ჩვენს დიდ ხელმწიფეს, მის მეფურ უდიდებულესობას ურთიერთობა ჰქონდათ. ის დიდი ხელმწიფე, რომელიც თავის დიდ ქვეყანაში დადგინდებოდა, თურქეთის სულთანებს გახელმწიფების შესახებ ცნობას უგზავნიდა. თურქეთის სულთანებიც, როცა თავის ქვეყანაში დადგინდებოდნენ, ჩვენი ქვეყნის დიდ ხელმწიფეებს იგივე ცნობას უგზავნიდნენ. ამჟამადაც მეფურ უდიდებულესობასა და თურქეთის სასულთანო უდიდებულესობა მურადს(36) შორის ელჩები და დესპანები მშვიდობისა და თანხმობისათვის დადიან. ჩორივე სახელმწიფოს მოვაჭრენი კი, ორივე მხარეს სავაჭროდ, ელჩებად დადიან. გარდა ამისა, არავითარი სხვა ურთიერთობა თურქეთთან არა გვაქვს. ყირიმის მეფე ბაგადირ გირეისთან კი, მეფურ უდიდებულესობას ურთიერთობა აქვს და ჩვენს დიდ ხელმწიფეს, მის მეფურ უდიდებულესობას, ყირიმის ბაგადირ გირეიმ, კალგამ და ნურადინმა ყურანზე ერთგულება შეჰფიცეს, რომ ისინი მეფურ უდიდებულესობასთან მეგობრულ ურთიერთობაში იქნებიან და არავითარი ბოროტების ჩადენა არ სურთ(37).

თუკი იკითხავენ: რა დამოკიდებულებაშია ამჟამად ხელმწიფე პოლონეთის მეფესთან? ფედოტმა უნდა თქვას: ადრე სრულიად რუსეთის თვითმპყრობელს, ჩვენს დიდ ხელმწიფესა და დიდ მთავარს მიხეილ თეოდორეს-ძესა და პოლონეთის წინანდელ მეფე სიგიზმუნდსა(38) და მის ძეს - უფლისწულ ვლადისლავს(39) შორის, რომელიც ახლა თავად არის პოლონეთის მეფე, მტრობა და ომი იყო; ამჟამად კი ჩვენი დიდი ხელმწიფის, მისი მეფური უდიდებულესობისა და პოლონეთის მეფის ვლადისლავის მხრიდან მაღალი რანგის ელჩები ერთმანეთს საზღვარზე შეხვდნენ და თავიანთ დიდ ხელმწიფეთა შორის სამუდამო სამშვიდობო შეთანხმება დადეს. ახლა მის მეფურ უდიდებულესობასა და პოლონეთის მეფეს შორის მტრობა აღარ არის(40).

თუკი დიდი ნოღაის(41) შესახებ იკითხავენ, ფედოტმა უნდა თქვას: დიდი ნოღაი და ყაზის ულუსი(42) მეფის მოწყალებრივი მზრუნველობის ქვეშ არიან და მას, ხელმწიფეს, ემსახურებიან; დიდი ნოღაიელები კვლავინდებურად ასტრახანთან ახლოს, მისი,

მეფური უდიდებულესობის სამფლობელოებში მომთაბარეობენ; ხოლო რომლებიც ურჩობდნენ, ასტრახანიდან შორს მდებარე ადგილებში მომთაბარეობდნენ, იმათაც კი წყალობისათვის ხელმწიფეს მიმართეს და ასტრახანთან ახლოს თავის ძველ სამომთაბარეო ადგილებს დაუბრუნდნენ. მისმა მეფურმა უდიდებულესობამ ისინი შეიწყალა და ბრალი მიუტევა. ყაზის ულუსი კი მეფის ნებართვით თერგთან მომთაბარეობს.

ხოლო, თუ იკითხავენ: გაუგონიათ, რომ მის მეფურ უდიდებულესობას თავისი, ხელმწიფის, ჯარები ყაზის ულუსში გაუგზავნია და ხელმწიფის იმ ჯარებს ყაზის ულუსი დაულაშქრავთ, ფედოტმა უნდა თქვას: მეფურმა უდიდებულესობამ ორგულობის გამო ყაზის ულუსში თავისი ვოევოდები ჯართან ერთად მათ დასაშოშმინებლად გააგზავნა; მათ დადებული პირობა და ფიცი დაარღვიეს, დაკისრებულ გადასახადზე უარი თქვეს და მეფური წყალობა დაკარგეს, სახელმწიფოს განაპირა მხარეებს ზარალი მიაყენეს. ამიტომ ხელმწიფის ჯარმა ისინი დაამარცხა, აოხრება კი საკუთარ თავზე მათ თვითონვე მოიწიეს. ამჟამად მეფური უდიდებულესობა მათ თავისი მეფური მოწყალებრივი მზრუნველობის ქვეშ იფარავს.

თუ ციმბირის შესახებ იკითხავენ, ფედოტმა უნდა უთხრას: ციმბირის მხარე ჩვენი დიდი ხელმწიფის მეფური უდიდებულესობის ძალაუფლების ქვეშ არის და ყველა იქაური მაცხოვრებელი ძველებურად მის მეფურ უდიდებულესობას ემსახურება, როგორც ეს წარსული წლებიდან არის დაწესებული. თუ ლევან მეფე იკითხავს: როგორ დამოკიდებულებაშია ამჟამად მისი მეფური უდიდებულესობა ყიზილბაშთა შაჰთან? ფედოტმა უნდა თქვას: მისი მეფური უდიდებულესობა წინანდელ შაჰ აბასთან(43) ძმურად და მეგობრულად იყო, აგრეთვე შემდგომშიაც ახლანდელ შაჰ სეფისთან(44) მისი მეფური უდიდებულესობა ძმობაში, მეგობრობაში და თანხმობაშია, მათ, ხელმწიფეთა, შორის ელჩები და დესპანები დადიან.

თუ სადადიანოს მეფე ლევანი დაიწყებს საუბარს იმის შესახებ, რომ ყიზილბაშთა შაჰის მხრიდან იგი შევიწროებას, დევნას განიცდის, მის ქვეყანას აოხრებენ და ხელმწიფეს იქნებ ენება მისი დაცვა შაჰისაგან, ან ამის თაობაზე შაჰისათვის მიწერა ებრძანებინა, რომ მისთვის და მისი ქვეყნისთვის შაჰს შევიწროება და წყენა აღარ მიეყენებინა, მაშინ ფედოტმა უნდა უთხრას: ამის შესახებ მისი მეფური უდიდებულესობისაგან არაფერი აქვს ნაბრძანები; იქნებ მას, ლევანს, თავად მიეწერა მეფური უდიდებულესობისათვის - ამაშიც

ხელმწიფის ნებაა, როგორც ის, დიდი ხელმწიფე, მოისურვებს; იმედი აქვს, რომ მეფური უდიდებულესობა მის თხოვნას და უმორჩილეს მიმართვას უყურადღებოდ არ დატოვებს, რადგან შაჰი მის მეფურ უდიდებულესობასთან ძმობაში, მეგობრობაში და თანხმობაშია.

თუკი რაიმე საკითხის შესახებ კონკრეტულად არ ჰკითხავენ, ფედოტმა თავისით იმაზე საუბარი არ უნდა დაიწყოს, ხოლო თუ რაიმე მნიშვნელოვან სახელმწიფო საქმეზე დაუწყებენ გამოკითხვას, ფედოტმა უნდა უთხრას, რომ მას იმ საქმის შესახებ არაფერი სმენია.

სამახსოვრო ფედოტს. როცა ის სადადიანოს ქვეყანაში იქნება, გამოარკვიოს: როგორ დამოკიდებულებაშია ამჟამად სადადიანოს მეფე ლევანი თურქეთთან და საყიზილბაშოს შაჰთან; ამ ბოლო დროს მასთან ხომ არ ყოფილან ელჩები, დესპანები თუ შიკრიკები თურქებისა და ყიზილბაშებისაგან? და თუკი იყვნენ, - რა საქმეზე? სადადიანოს მეფე ლევანს თურქეთისა და საყიზილბაშოს შაჰებთან რაიმე საქმეზე ელჩები ხომ არ გაუგზავნია? და თუ გაუგზავნია, სახელდობრ, ვინ და რისთვის? როგორ დამოკიდებულებაშია ამჟამად თურქეთის სულთანი საყიზილბაშოს შაჰთან, ელჩები და დესპანები თურქებისაგან და ყიზილბაშებთან ხომ არ ყოფილან, ან ყიზილბაშებს თურქებთან ელჩები და დესპანები ხომ არ გაუგზავნიათ? თუ გაუგზავნიათ, რა საქმეზე? ამ წელს ომი ხომ არ ყოფილა თურქებსა და ყიზილბაშებს შორის? თუ იყო, რა ადგილებში და ვისი მხრიდან დაიწყო? ყიზილბაშებმა დაიკავეს თურქების ქალაქები თუ თურქებმა - ყიზილბაშებისა? რას მოელიან მომავალში მათ შორის - მშვიდობას თუ ომს? თურქეთის გარდა, ყიზილბაშებს ვინმესთან ომი აქვთ თუ არა?(45) ამჟამად როგორ დამოკიდებულებაშია მეფე ლევანი შევკალთან და ყუმიკებთან, აქვს თუ არა მათთან მშვიდობა და მომავალში მათ შორის რას მოელიან? როცა სადადიანოს ქვეყანაში იქნები, ყველაფერ ამაზე, სრულიად რუსეთის ხელმწიფე მეფისა და დიდი მთავრის მიხეილ თევდორეს-ძის საქმეებზე უნდა იფიქრო და ყოველგვარი ცნობები შეაგროვო ხელმწიფის ამ განაწესის თანახმად.

სამახსოვრო ფედოტს. სადადიანოს ქვეყნის მეფე ლევანმა ხელმწიფეს მოსწერა და მისმა ელჩმაც თქვა, რომ ხელმწიფემ წყალობა გაიღოს, მასთან, ელჩთან, ერთად [მეფე ლევანთან] თავისი ელჩი გამოგზავნოს იქაური ადგილების, ქრისტიანობის, წმინდა ეკლესიებისა და მთლიანად სადადიანოს ქვეყნის მოსანახულებლად. ფედოტმა მეფე ლევანს არ უნდა უთხრას იმის შესახებ, რომ იგი გაგზავნილია მისი ქვეყნის გამოსაკვლევად მღვდელ პავლესთან ერთად, რომელიც მასთან ერთად გაიგზავნა მათი რწმენის შესასწავლად, უფრო იმის გამო-

საძიებლად, თუ როგორია მათი რწმენა - არის თუ არა ჭეშმარიტი და ბერძნულ კანონებთან პირდაპირ თანხმობაში, ყველაფერს იცავენ თუ არა მოციქულთა გადმოცემებისა და წმინდა მამეპის განწესებების თანახმად, ხომ არა აქვთ რაიმეში განსხვავება, ხომ არა აქვთ რაიმე მუხლი სხვა სარწმუნოებიდან შემომატებული წმინდა საღმრთო ლიტურღიისა და სხვა საეკლესიო საიდუმლოებების აღსრულებისას; ვინ არიან მათთან მაღალი რანგისჩ სასულიერო პირები - მიტროპოლიტები, მთავარეპისკოპოსები თუ ეპისკოპოსები, სად ცხოვრობენ და როგორ მართავენ თავიანთ სამწყსოებს, აქვთ თუ არა მონასტრები და როგორ ცხოვრობს მონოზონთა დასი, ეკლესიებში ღმრთისმსახურება როგორ სრულდება? ყველაფერ ამის შესახებ მან გაიკითხოს და ყველა ძალა იხმაროს, რომ ზუსტად გამოიძიოს: როგორია სადადიანოს ქვეყანა და რამდენად დიდი, რამდენ ვერსზეა, რამდენი ქალაქია მასში, რამდენად ხალხმრავალია, როგორია იქ ხალხი, უყვართ თუ არა მეფე ლევანი და ეთაყვანებიან თუ არა მას, რით არის ეს მიწა ხვავრიელი, რომელი მარცვლეული მოდის, რა მხატვრულ ხელსაქმეს ფლობენ, რა ფასობს მათთან ძვირად და რა - იაფად. რომელი ქვეყნები უპყრია ამჟამად მეფე ლევანს? იგი თავის სიგელში ხელმწიფეს სწერდა, რომ ივერიის ქვეყანაში ხუთი ხელმწიფე იყო, ორი სახელმწიფო ყიზილბაშთა შაჰმა წაართვა, ხოლო დანარჩენ სამ სახელმწიფოს იგი, მეფე ლევანი, განაგებს. ამის შესახებაც ზუსტად არის დასადგენი: რომელი ხუთი სახელმწიფო იყო წინანდელი სადადიანოს მეფეების ხელში და რამდენად დიდი ხანი გავიდა, რაც მათი ორი ხელმწიფე სპარსეთის შაჰმა დახოცა და სახელდობრ ვინ, და ახლა ვის ეკუთვნის ის ქვეყნები, შაჰმა რომ დაამარცხა; კერძოდ, რომელი ქვეყნებია ამჟამად მეფე ლევანის მმართველობის ქვეშ, როგორ დამოკიდებულებაშია სადადიანოს მეფე ლევანი საქართველოს მეფე თეიმურაზთან - მეგობრულ თუ არამეგობრულ, აქვთ თუ არა მათ რაიმე განსხვავება სარწმუნოებაში; ვისი - თურქეთის თუ შაჰის - ვასალია მეფე ლევანი, ან იქნებ დამოუკიდებელია და ხარკს არავის უხდის? ყველაფერ ამის თაობაზე დაათვალიერეთ, გამოიკითხეთ, გამოიკვლიეთ სწორად და ყველაფერი მუხლობრივ აღწერილობაში ჩაწერეთ.

ფედოტმა თვითონ გამოიძიოს და მღვდელ პავლესაც დაავალოს ყველა ზომის გამოყენებით გულდასმით გამოიძიოს, არის თუ არა სადადიანოს ქვეყანაში სიწმინდეთა საგანძური: ცხოველმყოფელი ძელი უფლის ჯვრისა, რაზეც უფალი ჩვენი იესო ქრისტე გააკრეს, ან პერანგი, ან კვართი, ან სამოსელის ნაწილი, მისი, მაცხოვრისა, ან ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის საფარველი, ანდა სარტყე-

ლი(46), ან რომელიმე ღმრთისსათნო მოღვაწის წმინდა ნაწილები, ან მირონი და სხვა ყველანაირი სიწმინდე. თუკი ვინმე რაიმეს განაცხადებს რომელიმე სიწმინდის შესახებ, ან თვითონ სადმე მიაკვლევენ და ფედოტს პავლე მღვდელთან ერთად იმ სიწმინდეების ხილვის საშუალება მიეცემათ, გამოიკითხონ რა სიწმინდეებია ეს, რომელი წლიდან და საიდან აღმოჩნდა იქ. ვინც რაიმეს იტყვის რომელიმე სიწმინდის შესახებ, მათ ყველაფერი აღწერილობაში კონკრეტულად ჩაიწერონ და თან ჩამოიტანონ. რაც შეეხება მართლმადიდებლური რწმენის შესახებ შემოწმებას და იმას, თუ როგორ უნდა დაისვას კითხვები და რა პასუხები გაეცეს, ამის შესახებ პავლე მღვდელს ეძლევა წერილი და მან მის შესაბამისად იმოქმედოს. იქნება რა სადადიანოს ქვეყანაში, ფედოტმა ყველაფერი გააკეთოს ხელმწიფის ამ ბრძანებულების თანახმად და იქაური მდგომარების მიხედვით, რათა ხელმწიფის საქმეს წარმატება მოუტანოს, მისი ხელმწიფებრივი პატივის ამაღლებასა და სახელმწიფოს სივრცის გაფართოებას ხელი შეუწყოს.

სამახსოვრო ფედოტს. როგორც კი ისინი თერგში მივლენ და თერგიდან სადადიანოს ქვეყანაში წავლენ, როცა გზად ყუმიკეთში ან სხვაგან გაივლიან, სადაც ეს შესაძლებელი იქნება, სადადიანოს ქვეყნის შესახებ გაარკვიონ: კვლავ მეფე ლევანი ფლობს მას თუ სხვა ვინმე და სად არის მეფე ლევანი? თუ შეიტყობენ, რომ ღმრთის განჩინებით მეფე ლევანი ცოცხალი აღარ არის ან ბერად აღიკვეცა, მის ადგილზე კი სადადიანოს ქვეყანაში მისი ძე გამეფდა, რომელი უფლისწულიც დადგენილია არა შაჰის ან თურქეთის ნებით, არამედ მამის კურთხევითა და მთელი სადადიანოს ქვეყნის ხალხის სურვილით, და თუ ახალი მეფე მას საელჩო მიღებაზე მისვლას უბრძანებს, მაშინ ფედოტი იმ ახალ უფლისწულთან მივიდეს. მასთან მისულმა კი უთხრას: სრულიად რუსეთის თვითმპყრობელმა და მრავალ სახელმწიფოთა ხელმწიფემ და მფლობელმა, დიდმა ხელმწიფე მეფემ და დიდმა მთავარმა მიხეილ თევდორესძემ მე, ფედოტი, შენს მამასთან, მეფე ლევანთან, გამომაგზავნა; ამასთან მისი მეფური უდიდებულესობისგან მაქვს ბრძანება: თუკი ღმრთის განჩინებით მეფე ლევანი ცოცხალი აღარ იქნება და მის ადგილზე ვინმე მის შვილთაგან დადგინდა, ამ შემთხვევაში მევალება ახალ მეფესთან ხლება და ელჩობის აღსრულება. მე, სრულიად რუსეთის ხელმწიფე მეფისა და დიდი მთავრისაგან მიხეილ თევდორეს-ძისაგან ახალ მეფეს თაყვანი უნდა ვცე და, ხელმწიფის ბრძანებისამებრ, სიგელი გადავცე. ამის შემდეგ უნდა წარმოსთქ-

ვას სიტყვა: სრულიად რუსეთის თვითმპყრობელს, მრავალ სახელმწიფოთა ხელმწიფესა და მფლობელს, დიდ ხელმწიფე მეფესა და დიდ მთავარს მიხეილ თევდორეს-ძეს შენმა მამამ ლევან მეფემ თავისი ელჩი, კარის ეკლესიის მღვდელი გაბრიელი გაუგზავნა სიგელით. ჩვენმა დიდმა ხელმწიფემ თქვენი მამის ელჩის მიღება ბრძანა და პირისპირ შეხვედრის ნება დართო, მისგან სიგელის მიღება ინება და სულგრძელად მოუსმინა. თავის სიგელში თქვენი მამა, მეფე ლევანი, ჩვენს დიდ ხელმწიფესთან წერდა და, გარდა ამისა, მისმა ელჩმაც მის მეფურ უდიდებულესობას უმორჩილესად მოახსენა, რომ მამათქვენმა ლევანმა იგი მის მეფურ უდიდებულესობასთან ელჩად გამოაგზავნა იმის თაობაზე, რომ იგი, მეფე ლევანი, და მთელი მისი ივერიის ქვეყანა არის მართმადიდებელი და ჭეშმარიტად ქრისტიანული, ქრისტეს სჯულის თანახმად, მოციქულთა სწავლების მიხედვით ცხოვრობენ და მას უკვე მრავალი წელია სურდა, რომ მეფური უდიდებულესობისათვის ემსახურა, მაგრამ ამისათვის შესაფერისი დრო ვერ გამონახა, რათა ამის თაობაზე დიდი ხელმწიფისათვის უმორჩილესად ეთხოვა; ამჯერად კი მასთან, დიდ ხელმწიფესთან, თავისი კარის ეკლესიის მღვდელი გაბრიელი ელჩად გამოაგზავნა; თაყვანს სცემს და მსახურად ეძლევა მის მეფურ უდიდებულესობას მთელი თავისი სამთავროთი, მთელი თავისი ქვეყნით, ევედრება და სთხოვს რომ მან, ჩვენმა დიდმა ხელმწიფემ, წყალობა გამოიჩინოს და მასთან საკუთარი ელჩი სიგელებით წარგზავნოს, მისი ქვეყნის დათვალიერება უბრძანოს და იგი თავისი მეფური უდიდებულესობის მაღალი ხელის მფარველობის ქვეშ აიყვანოს; ის კი დიდი ხელმწიფის მსახურებას შეუდგება ისე, როგორც მას სხვა ქვეშევრდომები ემსახურებიან. ჩვენმა დიდმა ხელმწიფემ, მისმა მეფურმა უდიდებულესობამ შენი მამის, მეფე ლევანის, წერილობითი თხოვნა და უმორჩილესი მიმართვა არ უგულვებელყო, საკუთარი მაღალი სამეფო ხელის მფარველობის ქვეშ მისი და მისი ქვეყნის აყვანა ნებავს. ხოლო იმისათვის, რომ მან, მეფე ლევანმა, თავისთვის მისი მეფური წყალობა მოიძია და თავისი ელჩი მასთან, ხელმწიფესთან, სათხოვნელად გააგზავნა, უქებს და, შეიწყალა რა მისი ელჩი თავისი მეფური წყალობით, მის მამასთან დააბრუნა. მასთან ერთად კი მისმა მეფურმა უდიდებულესობამ მეფე ლევანთან, მისი წერილისა და თხოვნის თანახმად, მე, ფედოტი, გამომაგზავნა. ნაბრძანები მქონდა მე მეფური უდიდებულესობისაგან მეფე ლევანისათვის მეკითხა - რა პირობით და სანდოობით სურდა

შენს მამას, მეფე ლევანს, ყოფილიყო მეფური უდიდებულესობის მოწყალებრივი მზრუნველობისა და მორჩილების ქვეშ და რა მტკიცებულებას მისცემდა ამის შესახებ? გარდა ამისა, დავალებული მაქვს შევისწავლო თქვენი მართლმადიდებლური სარწმუნოება, წმინდა ეკლესიები, სასწაულთმოქმედი წმინდა ნაწილები და თქვენი ქვეყანა, რომ ხელმწიფისათვის ყველაფერი ცხადი იყოს. რახან ღმრთის განჩინებით, ჩვენს მოსვლამდე შენი მამა, მეფე ლევანი, გარდაიცვალა, მის ადგილზე კი ქვეყანაში დადგინდი შენ - ეს და ეს- მეფედ, ამიტომ შენც, მეფეო, მოიძიე მისი მეფური უდიდებულესობის წყალობა ისე, როგორც ეს შენმა მამამ, მეფე ლევანმა, გააკეთა და იქნები მისი მეფური უდიდებულესობის მფარველობის ქვეშ მთელი შენი სადადიანოს ქვეყნით; მეფურ უდიდებულესობასთან დაუყოვნებლივ გაგვამგზავრე და ყველაფერ ამის შესახებ შენი ხელით ზუსტად დაწერე, ბეჭდით დაამოწმე და ჩვენი ხელით გააგზავნე: რა პირობით და სანდოობით მოგინდებათ მის მაღალ მეფურ ხელქვეშ ყოფნა, რომ ეს დიდი ხელმწიფისათვის სარწმუნო და საიმედო იყოს და შემდეგში ყველაფრის დასამტკიცებლად თავისი ელჩი შენთან გამოაგზავნოს.

თუკი ახალი მეფე - მეფე ლევანის ძე - მოისურვებს მეფური უდიდებულესობის მაღალი მფარველობის ქვეშ შემოსვლას და მათ სიგელით გამოუშვებს ან თავისი ხელით დაწერილ და ბეჭდით დამოწმებულ წერილს გამოატანს, მაშინ ისინი დაბრუნდნენ ხელმწიფესთან, სიგელი და წერილი კი თან ჩამოიტანონ.

თუკი არმისულნი სადადიანოს ქვეყანამდე შეიტყობენ, რომ მეფე ლევანი სადადიანოს ქვეყანაში არ არის, ყიზილბაშთა შაჰმა ან თურქეთის სულთანმა ის გააძევა, მის ადგილზე კი თავისი ხალხიდან რომელიმე ხანი ან ფაშა, ან თუნდაც მეფე ლევანის ძე დასვა, რომელიც მამის წინააღმდეგ გალაშქრებისთვის შაჰმა ან თურქეთის სულთანმა სადადიანოს ქვეყანაში გაამეფა - ყველაფერ ამას ზუსტად რომ დაადგენენ, ფედოტი იმ ახალ მეფესთან არ მივიდეს და სადადიანოს ქვეყანაში არმისული უკან დაბრუნდეს; როცა თერგში მივლენ, ამის შესახებ ხელმწიფეს სასწრაფოდ მოწერონ.

თუკი სადადიანოს ქვეყანაში ჩასვლამდე ამის შესახებ ვერ შეიტყობენ და გაიგებენ მხოლოდ მაშინ, როცა სადადიანოს ქვეყანაში მივლენ, და მათ შაჰის ან თურქეთის სულთანის დასმული ახალი მეფე შემოუთვლის, რომ მას საელჩოდ ეახლონ, ფედოტმა უნდა უთხრას: წარგზავნილები არიან მეფური უდიდებულესობის მიერ წინანდელ მეფესთან მისივე თხოვნით, მაგრამ ღმრთის განჩინებით

მეფე ლევანი ცოცხალი აღარ არის, ან სადადიანოს ქვეყანაში არ იმყოფება-ასე თქვან, მის ადგილზე კი ის არის, ახალი მეფე; მეფურმა უდიდებულესობამ მის შესახებ არაფერი იცოდა და ამიტომ ახალ მეფესთან მათ არავითარი ბრძანება არა აქვთ. მან კი ისინი მეფურ უდიდებულესობასთან დაყოვნების გარეშე გაუშვას და როცა მოსკოვში ჩავლენ, ამის თაობაზე მეფური უდიდებულესობის პრიკაზის მოხელეებს მოახსენებენ და მის შესახებაც აცნობებენ, რომ იგი სადადიანოს ქვეყანაში გამეფდა. პრიკაზის მოხელეები კი ამის თაობაზე მეფურ უდიდებულესობას აცნობებენ.

თუკი ახალი მეფე შაჰის ან სულთანის დასმული იქნება,... მათ შეიპყრობენ და მოლაპარაკებით ვერაფერს გააწყობენ, ფედორტი თავისი ნების საწინააღმდეგოდ ახალ მეფესთან გაჰყვეს, მაგრამ სიგელი თან არ იქონიოს, მეფეს თაყვანი არ სცეს, სიგელი არ წარუდგინოს და იგივე უთხრას, რომ მის შესახებ მეფური უდიდებულესობისათვის არაფერი იყო ცნობილი და არაფერი მასთან არ დაუბარებიათ, ამიტომ გაუშვან ისინი დაუყოვნებლივ. ხოლო თუ ახალი მეფე სიგელისა და განაწესის ძალით წართმევას დააპირებს, ფედოტმა უნდა უთხრას, რომ მეფე არასწორად იქცევა, როცა სიგელის ძალით ჩამორთმევას ცდილობს. ამით ის მეფური უდიდებულესობის მიმართ უპატივცემულობას იჩენს. ასე არც ერთ სახელმწიფოში არ ხდება, რომ ელჩებს ან დესპანებს სიგელი ძალის გამოყენებით წაართვან. ხოლო როცა დაინახავს, რომ გაძარცვას უპირებენ, მან განაწესი და სიგელი დახიოს, ან დაწვას, ან წყალში ჩაძიროს, რომ ის ახალ მეფეს ხელში არ ჩაუვარდეს და ის საქმე, რისთვისაც იგი გაგზავნილია, იმ მეფისათვის ცნობილი არ გახდეს. თუკი ახალი მეფე მათთან ერთად თავისი ელჩების ხელმწიფესთან გამოგზავნას მოისურვებს და ეტყვის მათ, რომ მეფურ უდიდებულესობასთან მეგობრობა და ურთიერთობის დამყარება სურს, ამ მიზნით მასთან თავის ელჩებს აგზავნის და იქნებ მათ ისინი თან წაიყვანონ, მაშინ ფედოტმა უნდა უთხრას: თუ უნდა მას თავისი ელჩების მეფურ უდიდებულესობასთან მათთან ერთად გაგზავნა და ამაში ღმრთისა და მისი ნებაა, მაშინ ისინი მათთან ერთად გაემგზავრონ; ხოლო თუ რა პირობით მოისურვებს მისი მეფური უდიდებულესობა მასთან, მეფესთან, ურთიერთობას, მათ ეს არ იციან. ამაში ღმრთისა და მისი მეფური უდიდებულესობის ნებაა - როგორც დიდი ხელმწიფე ინებებს, ისე იქნება. სთხოვოს, რომ ხელმწიფესთან დაუყოვნებლივ გამოუშვას, ხოლო რასაც მეფე მასთან ისაუბრებს, ყველაფერი მან აღწერილობაში უნდა ჩაწეროს.

8. „აღსარება მართლმადიდებლური სარწმუნოების შესახებ“ (იქვე)

მართლმადიდებელ ქრისტეანეთა გასაცნობიერებლად ფედოტის ხელით გაიგზავნა მართლმადიდებლური სარწმუნოების შესახებ აღსარება მოკლე კითხვა-მიგების სახით. კითხვები ბოროტისაა, პასუხები კი კეთილმორწმუნისა.

1. კითხვა: ვინა ხარ შენ? პასუხი: დაბადებით ადამიანი, მადლით კი ღმრთის შვილი.

2. რატომა ხარ ღმრთის შვილი? პასუხი: რადგან ნათელვიღე საბანელით სულიერი განახლებისა, ანუ ვიშევ წყლითა და სულითა და ვეზიარე ქრისტეს ხორცსა და სისხლს.

3. კითხვა: რა არის ნათლისღება? პასუხი: ნათლისღება პირველშობილი ცოდვისაგან განბანვაა; სხვაგვარად ასე შეიძლება განვმარტოთ: ნათლისღება არის საიდუმლო, რომელსაც ღმრთის შვილობამდე მივყავართ და მარადიული სიცოცხლისათვის გვშობს.

4. კითხვა: ქრისტეს ხორცისა და სისხლის ზიარება რაღა არის? პასუხი: ზიარება არის ქრისტესთან ჩვენი შეერთება, მის კეთილქმედებებში თანამონაწილეობა და გაცხადება მარადიული სიცოცხლისა.

5. კითხვა: ღმრთის შვილია ყოველი, ვინც კი რწმენით მოინათლება? პასუხი: ყოველი არა, მხოლოდ მართლმადიდებელი, ანუ ვინც მართლმადიდებლური სარწმუნოების შესაბამისად მოინათლა.

6. კითხვა: რას ნიშნავს მართლმადიდებლური სარწმუნოება? პასუხი: მართლად გწამდეს და ადიდებდე მამა ღმერთს და ძე ღმერთს - უფალს ჩვენსას იესო ქრისტეს - და ერთ სულიწმიდას, როგორც ამას მრწამსი, ანუ პირველ და მეორე მსოფლიო საეკლესიო კრებებზე მიღებული რწმენის სიმბოლო იტყვის, „მრწამს ერთი ღმერთი მამა...“ (47) და ასე ბოლომდე.

7. კითხვა: რა არის ღმერთი? პასუხი: ღმერთი არის არსება უმიზეზო, მაგრამ მიზეზი ყოველთა, ყოვლად ძლიერი, ყოვლის შემძლებელი, ყოველგვარი არსის და ბუნების დამბადებელი.

8. კითხვა: რას ნიშნავს არსება? პასუხი: არსება ეს არის თვითმყოფადობა, რომელიც არაფრის დამატებას აღარ საჭიროებს.

9. კითხვა: რამდენ არსებას აღიარებ ღმერთში?

პასუხი: ერთარსება ღმერთს ვაღიარებ.

10. კითხვა: რამდენ ნებას ანუ სურვილს?

პასუხი: ერთ ნებას. ამის შესახებ ეძიე წმიდა კირილე ალექსანდრიელის(48) კითხვარებში.

11. კითხვა: რამდენ პირს ანუ ჰიპოსტასს?

პასუხი: სამს - მამას და ძეს და სულიწმიდას.

12. კითხვა: როგორია შენი მართლმადიდებლური რწმენა ერთ ღმერთთან დაკავშირებით?

პასუხი: მწამს ერთი ღმერთი სამებაში განდიდებული - მამა უშობელი, მისგან შობილი ძე ღმერთი და სულიწმიდა ღმერთი მამისაგან გამომავალი.

13. კითხვა: როგორ შეიძლება ერთი ღმერთი სამებით იყოს?

პასუხი: ღმრთეებრიობის ერთბუნებრიობიდან გამომდინარე, ღმერთი ერთია, ხოლო სამპიროვნულად - წმიდა სამებაა. ამიტომ ყოველი ადამიანი თავის თავში წმიდა სამების ხატებას შეიცავს გონების, სიტყვისა და სულის სახით.

14. კითხვა:რითი განსხვავდებიან მამა, ძე და სულიწმინდა?

პასუხი: პირისა და სახელის თვისებებით, რადგან სხვა არის ჰიპოსტასურად მამა, სხვა არის ძე და სხვა კიდევ სულიწმიდა.

15. კითხვა: სამ ჰიპოსტას-ღმერთს რა აქვს საერთო და რა - განსხვავებული?

პასუხი: განსხვავებული ის არის, რომ მამას ახასიათებს შობოს, ძეს - იშვას, სულიწმინდას კი - გამოვიდეს. საერთო კი მათთვის არის ღმრთეებრიობა და მეუფება.

16. კითხვა: როცა მწამს წმიდა სამება, რას უნდა ვიცავდე, რომ მწვალებლობაში არ ჩავვარდე?

პასუხი: ძალიან აუცილებელია ორი რამის დაცვა, ანუ არსება განუყოფელია, ხოლო სამი პირი - შეურევნელი.

17. კითხვა: წმიდა სამებაში რომელ ჰიპოსტასს რა ხარისხი აქვს და რომელი ჰიპოსტასი რომლისგანაა?

პასუხი: როგორც ერთია ღმერთი, ასევე ერთია ჰიპოსტასი, რომლისგანაც ორი სხვა წარმოიქმნება: ჰიპოსტასი ძე ღმერთი მამა ღმრთისაგან იშვება და ჰიპოსტასი სულიწმიდა მამა ღმრთისაგან გამოდის.

18. კითხვა: ძისაგან რატომ არ შეიძლება სულიწმიდა გამოდიოდეს?

პასუხი: იმიტომ, რომ არ არსებობს ორი დასაბამი და ორი მიზეზი სულიწმიდის გამოსვლისათვის.

19. კითხვა: იქნებ ერთია ძე ღმერთი მამაში და მამა ძეში და არა ორი?

პასუხი: ღმერთი ერთია, მაგრამ ჰიპოსტასი ორია.

20. კითხვა: რადგან ორ ჰიპოსტასს ღმრთეებრივი ერთიანობა გააჩნიათ, არ შეიძლებოდა ორივე მათგანიდან, როგორც ერთი დასაბამიდან, სულიწმიდა გამოსულიყო?

პასუხი: არ შეიძლება, რამეთუ, საბელიოსის(49) მსგავსად, წმიდა სამებაში ჰიპოსტასებს არ ვურევთ და არსს არ ვაცალკევებთ, როგორც ამას არიოზი(50) აკეთებს.

21. კითხვა: მაშინ, როდესაც ვამბობთ, რომ მამამ, ძემ და სულიწმიდამ შექმნეს ცანი და ქვეყანანი, არ ვგულისხმობთ სამ შემოქმედს, ასევე აქაც არ უნდა ვიგულისხმოთ ორი დასაბამი, როცა მამა და ძე სულიწმიდას გარდამოავლენენ?

პასუხი: რადგან ერთია მათი სიმტკიცე და ძალი და ამით არის შექმნილი ცა და დედამიწა, ამიტომ ერთია შემოქმედი; რადგანაც მათი თვისებების ანუ ჰიპოსტასების საზღვრები არ არის ერთი იდიომა, როგორიცაა ხელისუფლება, არამედ რაღაც განსაკუთრებული, ამიტომ ორისგან, როგორც ერთისგან, მესამე არ შეიძლება გამოდიოდეს.

22. კითხვა: შენ თვითონაც ამბობ, რომ ერთია შემოქმედი, თუმცა სამია ჰიპოსტასი, არ შეიძლება, რომ ორი ჰიპოსტასისგან, როგორც ერთისგან, სულიწმიდა გამოდიოდეს?

პასუხი: ვხედავ, შენ სულიწმიდას ქმნილებასავით აღიქვამ, როგორც სულიწმიდის მგმობელი მაკედონიოსი(51); ან იქნებ არ იცი, რომ სხვა ძალა აქვთ ღმრთეებრივ პირებს და სხვა - ქმნილებებს წმიდა სამებაში თითოეული ჰიპოსტასის თვისებების შესაბამისად, ხოლო მათში ეს ძალა შემოქმედის ნებითაა დაცული.

23. კითხვა: თუკი მათ ერთი სიმტკიცე და შემოქმედებითი ძალა აქვთ და მამას შეუძლია სულიწმიდა გამოუშვას, მაშინ ძეს რატომ არ შეუძლია?

პასუხი: თუკი შენ მიგაჩნია, რომ სულიწმიდის გამოსვლა მხოლოდ ღმრთეებრივ ძალაზეა დამოკიდებული, მაშინ სულიწმიდასაც შესძლებია ძე შობოს, რამეთუ ძალა და უფლება ისეთივე გააჩნია, როგორიც მამას.

24. კითხვა: მართლაც, სულიწმიდისგან რატომ ვერ იშვება ძე, თუკი ერთი ღმრთეებრიობა გააჩნიათ და რახან მამა შობს ძეს, მაშინ იქნებ - სულიწმიდაც?

პასუხი: არც სულიწმიდა შობს ძეს და არც ძისგან გამოდის სუ-

ლიწმიდა; როგორც უჯეროა ძისათვის ორი პირისაგან შობა, ასევე უჯეროა სულიწმიდისათვის ორი პირისაგან გამოსვლა.

25. კითხვა: რადგან წმიდა წერილი გვამცნობს, რომ სულიწმიდა ძის მიერ მამისაგან გამოდის, ხომ არ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ძისგანაც?

პასუხი: არავითარ შეთხვევაში. სხვადასხვაა ძის მიერ და ძისგან. ბერძნულ ენაშიც დია (δια) და ეკ (εχ) სხვადასხვას აღნიშნავს.

26. კითხვა: სულიწმიდა ძისმიერია, ხომ არ ნიშნავს, რომ ძისგანაც გამოდის?

პასუხი: არ გამოდის, რადგან ერთია ვის მიერ და სულ სხვაა ვისგან; ხოლო იწოდება სულიწმიდა ძისმიერად იმიტომ, რომ ის უცხო არ არის, არამედ ისეთივე ღმრთეებაა.

27. კითხვა: თუკი ძესაც იგივე ღმრთეებრიობა გააჩნია, როგორიც მამას, ხოლო ღმრთეებისაგან სულიწმიდა გამოდის, ხომ არ ნიშნავს ეს, რომ ძისგანაც?

პასუხი: ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ სულიწმიდა საკუთარი თავისგან გამოვიდოდა, რადგან იგივე ღმრთეებრიობისაა, ამიტომ უჯეროა ასეთი საუბარი.

28. კითხვა: თუკი ღმრთისგან გამოდის სულიწმიდა, ძე კი ღმერთია, ე. ი. სულიწმიდა ძისგანაც გამოდის?

პასუხი: სულიწმიდაც ღმერთია და, მაშასადამე, რა, საკუთარი თავისგან გამოდის?

29. კითხვა: ვიცით, რომ ის, რაც მამას გააჩნია, ძესაც გააჩნია; რადგან მამას სულიწმიდის გამომავლობის უნარი გააჩნია, ე. ი. ეს უნარი ძესაც გააჩნია?

პასუხი: რაც კი შეიძლება არსებას ეკუთვნოდეს - მეუფება, ძალი, დიდება, თაყვანისცემა და სხვა, აქვს არა მხოლოდ ძეს, არამედ სულიწმიდასაც; ხოლო ის, რაც მამას, როგორც ჰიპოსტასს, ახასიათებს, არც ძეს და არც სულიწმიდას გააჩნია: შობადობა და გამომავლობა; იმავე მამას არ გააჩნია ისეთი თვისება, როგორიცაა იყოს შობილი, რომელიც მხოლოდ ძეს ახასიათებს, და იყოს გამოსული, რაც სულიწმიდას ახასიათებს; მამა არც ძე ყოფილა არასდროს და არც სულიწმიდა.

30. ქრისტემ თავის მოწაფეებს სული შეუბერა და უთხრა: მიიღეთ სულიწმიდა. ნიშნავს თუ არა ეს, რომ იგი მისგანაც გამოდის?

პასუხი: ეს არის შებერვა და არა ჰიპოსტასის გარდამოსვლა;

სულიწმიდის ერთ-ერთი ნიჭის, ცოდვების მიტევების მიმადლება და არა - თავად ნუგეშინისმცემლისა, რომელსაც მისი ბრძანებით მოწაფეები უნდა დალოდებოდნენ.

31. არის თუ არა რომელიმე ჰიპოსტასი პირველი, ვიდრე სხვები, ან უკანასკნელი?

პასუხი: არც წარმომავლობის და არც ღირსების მიხედვით ჰიპოსტასთა შორის პირველობა და უკანასკნელობა არ არსებობს; დაუსაბამობით, პატივითა და ძალით ისინი თანაბარნი არიან; როცა იყო მამა, მაშინვე იყო ძე და მაშინვე იყო სულიწმიდა, ანუ არ ყოფილა ისეთი დრო, რომ წმიდა სამების შემადგენელი რომელიმე წევრი, იგივე - ჰიპოსტასი, არ ყოფილიყო.

უფლის განკაცების შესახებ. 32. პირველი კითხვა: მოვისმინეთ, როგორია მართალი სარწმუნოება ერთსამება ღმერთის შესახებ; ახლა მოგვითხრე: ვინ არის ქრისტე?

პასუხი: ქრისტე არის მესია, ანუ ცხებული, ძე ღმრთისა, ჭეშმარიტი ღმერთი და სრულყოფილი ადამიანი.

33. მეორე კითხვა: რამდენ ბუნებას აღიარებ ძე ღმერთში?

პასუხი: ორს - ღმრთეებრივსა და ადამიანურს.

34. მესამე კითხვა: რამდენ შობას?

პასუხი: ორს - ერთი მამა ღმერთისგან, უწინარეს ყოველთა საუკუნეთა, მეორე კი - ღმრთისმშობელ მარიამისაგან, დროში.

35. მეოთხე კითხვა: ქრისტეში რამდენი ჰიპოსტასია?

პასუხი: ერთი; ერთია ძე ღმრთისა და ძე ქალწულისა.

36. მეხუთე კითხვა: რამდენია ნება ანუ სურვილი?

პასუხი: ორი ნება, ღმრთეებრივი და ადამიანური; [ღმრთეებრივ ნებას ავლენს], როცა მას სურს და განწმენდს (მათე. 8, 3-ჯ.გ.) და [ადამიანურს] - როდესაც დარწყულებას ითხოვს (იოანე. 4, 6.-ჯ.გ.).

37. მეექვსე კითხვა: რამდენი ქმედებაა [ქრისტეში]?

პასუხი: ორი ქმედება - ღმრთეებრივი და ადამიანური; [ღმრთეებრივია], როცა ის კაცთა მოდგმის გამოსახსნელად იღვწის, [ხოლო ადამიანურია], როდესაც იგი შრომობს.

38. მეშვიდე კითხვა: რა უნდა დავიცვათ და დავიმარხოთ განკაცებული უფლის მიმართ, რათა მწვალებლობაში არ ჩავვარდეთ?

პასუხი: ორი უმთავრესი რამ. პირველი ეს არის, ბუნებანი არ შევურიოთ, ანუ არ ვიგულისხმოთ მასში ერთი ბუნება, არც მხოლოდ ღმრთეებრივი, როგორც ამას ევტიქი(52) და დიოსკორე(53) აკეთე-

ბენ, და არც მხოლოდ ადამიანური, როგორც წყეული მწვალებლები არიოზი (კომენტ. 50-ჯ.გ.) და ევიონი(54) აღმსარებლობენ. მეორე კი - არ გაყო ჰიპოსტასი, ანუ არ იგულისხმო ორი ძე: ერთი - ღმერთი, ძე ღმრთისა, მეორე კი - კაცი, ძე კაცისა, - როგორც ამას წყეული (კომენტ.47-ჯ.გ.) ნესტორიანელი მწვალებლები აღმსარებლობენ.

პირჯვრის გამოსახვის შესახებ(55). ქრისტეს ჯვარი ჩვენი კეთილმორწმუნეობის სრულ საიდუმლოს შეიცავს, გვასწავლის წმიდა სამების აღმსარებლობას, მხოლოდშობილი ძე ღმერთის ზეციდან მიწაზე ჩამოხდომას, მის ჯვარცმას, ამაღლებასა და სამსჯავრო დღეს კვლავ ზეციდან მის მეორედ მოსვლას.

ცერა თითის ორ სხვა [საჩვენებელ და შუა] თითთან შეერთება, წმიდა სამების აღმსარებლობას გამოხატავს, ხოლო ამ დროს მოხრილი ორი დანარჩენი, ნეკა და არათითი, ქრისტეში ორი ბუნების აღიარების გამომხატველია. ასეთ მდგომარეობაში მარჯვენა ხელის შუბლთან მიდება ორი რამის მანიშნებელია: უფალი იესო ქრისტე იშვა ღმერთისგან უწინარეს ყოველთა საუკუნეთა და რომ, ღმრთეებრივი სიტყვისამებრ, ზეციდან ჩამოხდა: მოდრიკა ცანი და შთამოხდა (2 მეფ. 22, 10.-ჯ.გ.). ხელის მუცელზე მიდება აღნიშნავს, რომ იგივე ძე ღმრთისა მიწაზე ჩამოხდა, ყოვლადწმიდა ქალწულ მარიამისაგან განკაცდა და ადამიანებთან ერთად იცხოვრა, ჯვარს ეცვა, მოკვდა, აღდგა მესამე დღეს, ამაღლდა ზეცად და ამჟამად მჯდომარე არს მარჯვენით მამისა, მაგრამ ეს ჯერ დასასრული არ არის. იქიდან მარჯვენა ხელის მარჯვენა მხარზე გადატანა, შემდეგ კი - მარცხენაზე, ნათლად უჩვენებს, რომ სამსჯავრო დღეს მართალნი ღმრთისაგან მარჯვნივ დადგებიან, ხოლო ცოდვილნი - მარცხნივ; კიდევ იმას, რომ სამსჯავროზე მართალნი ცოდვილებს განსჯიან; სამსჯავრო დღეს მართალი ცოდვილს დაამარცხებს და არა ცოდვილი - მართალს; ამჟამად ცოდვილი მართალს ამარცხებს, მაშინ კი მართალნი არამცთუ ცოდვილ ადამიანებს, აგრეთვე ცოდვილ ანგელოზებსაც განსჯიან, როგორც ეს არის ნათქვამი: „არა უწყითა, რამეთუ ანგელოზნი განვიკითხნეთ, ნუუკუე ამის სოფლისაიცა?“ (ამის შესახებ იხილე მათეს სახარების 19-ე და ლუკას სახარების 22-ე თავებში, კორინთელთა მიმართ I ეპისტოლეს 6-ე თავში, „სიბრძნე სოლომონისა“(56) წიგნის 3-ე თავში).

9. ელჩინისადმი განაწესის დამატებითი მუხლები (იქვე)

ფედოტს განეწესა:

თუკი ღმერთი თავისი წყალობით სადადიანოს სახელმწიფომდე მიგაცილებთ, საჭირო იქნება გამოკვლევა იმისა, რამდენად იცავენ ბერძნული სჯულის მართლმადიდებლურ სარწმუნოებას სრულად და უვნებლად; ბერძნულ მართლმადიდებლობას ხომ არ დაშორებიან, ურიათა და ელინთა უკეთური რწმენა ხომ არ შერევიათ, ან ლათინთა ერესითა და სხვა ყოველგვარი ერეტიკული ცდომილებებით ხომ არ შეუბილწავთ რწმენა და შეურყევლად თუ იცავენ, შვიდი მსოფლიო კრების (კომენტ. 62-ჯ.გ.) განწესებებს კვლავაც ზუსტად თუ მისდევენ? ეკლესიებშიც უნდა ნახოთ, როგორი წესი აქვთ, ლიტურღიას როგორ აღასრულებენ, მსახურებისას რანაირი შესამოსელით იმოსებიან, წირვისას რომელ პურს ხმარობენ, ანუ აფუებულს თუ ხმიადს? ნაბრძანებია აგრეთვე, მოუსმინოთ ბერძნულად როგორ გამოთქვამენ: მრწამს ერთი ღმერთი, მამა, ყოვლისა მპყრობელი, შემოქმედი ცათა და ქვეყანისა, ხილულთა ყოველთა და არა ხილულთა? სული წმიდას, უფალს ჭეშმარიტს და ცხოველსმყოფელს როგორ აღმსარებლობენ და მის გამომავლობას როგორ აღიარებენ, ერთი მამისაგან გამომავალს ბრძნობენ თუ ძესაც ამატებენ? აქვთ თუ არა მათ საღმრთო ეკლესიებში ხატები, საკურთხეველი ტაძრის სივრციდან გამოყოფილია თუ არა და საეკლესიო ჭურჭლებზე ხატწერას ასრულებენ თუ არა? საუბრებში ისიც უნდა გამოკითხოთ: წლის ყველა წმინდა მარხვას ჩვენთან თანხმობაში იცავენ თუ არა და აღდგომას ბერძნული პასქალიით ჩვენთან ერთად თუ დღესასწაულობენ?

ხოლო თუ რაიმეს წელთააღრიცხვის შესახებ იკითხავენ: რამდენი წელიაო ადამის სამყაროს შექმნიდან წარღვნამდე და სხვა, მეშვიდე ათასწლეულის განსრულებამდე...

მოკლე წელთაღრიცხვა.

ადამიდან წარღვნამდე 2242 წელია. წარღვნიდან ხალხების გაყოფამდე 530 წელი. ხალხების გაყოფიდან აბრაამამდე - 550 წელია, ადამიდან კი - 3322. აბრაამის პირველი წლიდან მეწამული ზღვის გადასვლამდე - 505, ადამიდან კი - 3827. ისრაელის ძეთა გამოსვლიდან დავით მეფის(57) სიკვდილამდე 630 წელია, ადამიდან კი -

4457 წელი. დავითის აღსასრულიდან ქრისტეს შობამდე 1043 წელია. სოლომონის (კომენტ. 56-ჯ.გ.) მეფობის დასაწყისიდან იერუსალიმის აღებამდე(58) 448 წელია, ადამიდან კი - 4907. იერუსალიმის დაპყრობიდან ალექსანდრე მაკედონელის(59) სიკვდილამდე 261 წელია, ადამიდან კი - 5168 წელი. [იერუსალიმის] დაპყრობიდან ქრისტეს შობამდე - 530. ალექსანდრეს სიკვდილიდან ავგუსტინეს მეფობამდე 228 წელია. ავგუსტინეს(60) მეფობის დაწყებიდან ქრისტეს შობამდე კი 42 წელია. ალექსანდრედან კი - 270. ადამიდან ქრისტეს შობამდე კი 5500 წელია. ქრისტეს შობიდან მის ვნებამდე და აღდგომამდე - 33. აღდგომიდან კონსტანტინე მეფის(61) პირველ წლამდე 279 წელია, ადამიდან კი - 5812. კონსტანტინე მეფის პირველი წლიდან პირველ კრებამდე 12 წელია. პირველი [კრებიდან] მეორემდე - 60 წელი, მეორედან მესამემდე - 50 წელი, მეოთხედან მეხუთემდე 100 წელია, მეხუთედან მეექვსემდე - 130 წელი, მეექვსედან მეშვიდემდე(62) - 122. მეშვიდე კრებიდან 796 წელია გასული. ადამიდან ბულგარეთის ნათლისღებამდე(63) 6377 წელია. [ბულგარეთის] ნათლისღებიდან წმინდა კირილეს(64) მიერ სლავურ ენაზე წიგნების გადმოთარგმნამდე 30 წელია, ადამიდან კი - 6407 წელი. მეშვიდე კრებიდან კი წიგნების გადმოთარგმნამდე 77 წელია. რუსეთში კი რიურიკმა(65) მთავრობა 6370 წელს დაიწყო. წიგნების გადმოთარგმნიდან რუსეთის მიწების მონათვლამდე(66) 123 წელია. მონათვლიდან მეშვიდე ათასწლეულის ბოლომდე კი - 504 წელი.

ხოლო თუ კიდევ სარწმუნოების შესახებ დაგკითხავენ: როგორ გწამს კათოლიკე სარწმუნოება, ანუ ბერძნული კანონის საყოველთაო სამოციქულო ეკლესია? ამის შესახებ წაიკითხე ალექსანდრიის პატრიარქ ყოვლადუსამღვდელოეს ათანასეს(67) სიმბოლო (მრწამსი - ჯ.გ.).

ალექსანდრიის პატრიარქ ყოვლადუსამღვდელოეს ათანასეს სიმბოლო ფედოტს გადაეცა.

გადარჩენის მოსურნეს, უპირველეს ყოვლისა, ეგების მიჰყვეს კათოლიკურ სარწმუნოებას; ვინც მას უვნებლად და შეუბილწავად არ დაიცავს, ყოველგვარი გაუგებრობების გარდა, სამუდამოდ დაილუპება.

კათოლიკე სარწმუნოება კი შემდეგია: ერთ ღმერთს სამებაში და სამებას ერთში ვაღიარებთ არც როგორც შერეულ შემადგენლობას, არც როგორც გაყოფილ არსებას; მართალია, ის შედგება მამისაგან, ძისაგან და სულუწმიდისაგან, მაგრამ მამას, ძეს და

სულიწმიდას აქვთ ერთი ღმრთეებრიობა, თანაბარი დიდება, სამარადჟამო ბრწყინვალება; როგორიც მამაა, ისეთივეა ძე და ისეთივეა სულიწმიდა. არ არის ქმნილი მამა, არ არის ქმნილი ძე, არ არის ქმნილი სულიწმიდაც. მიუწვდომელია მამა, მიუწვდომელია ძე, მიუწვდომელია სულიწმიდაც. მარადიულია მამა, მარადიულია ძე, მარადიულია სულიწმიდაც. თუმცა, ამასთანავე, არა სამია მარადიული, არამედ - ერთი; ასევე არა სამია მიუწვდომელი, არც სამია არაქმნილი, არამედ ერთია არაქმნილი და ერთია მიუწვდომელი. მსგავსადვე, ყოვლისმპყრობელია მამა, ყოვლისმპყრობელია ძე, ყოვლისმპყრობელია სულიწმიდა, მაგრამ არა სამია ყოვლისმპყრობელი, არამედ ერთია ყოვლისმპყრობელი. ასევე, ღმერთია მამა, ღმერთია ძე, ღმერთია სულიწმიდაც, თუმცაღა, არა სამია ღმერთი, არამედ ერთია ღმერთი. ზუსტად ასევე, უფალია მამა, უფალია ძე, უფალია სულიწმიდაც, თუმცა არა სამია უფალი, არამედ ერთი. მაგრამ ზოგჯერ ქრისტიანული ჭეშმარიტებით იძულებული ვხდებით, რომ ღმერთის შემადგენლობა და უფალი ცალკე ვაღიაროთ; ასე რომ, სამი ღმერთისა და სამი უფლის გამოთქმა კათოლიკური კეთილკრძალულებით დაუშვებელია. მამა არავის მიერ არ არის შექმნილი, არც შედგენილი, არც შობილი. ძე მამისგან არ არის შექმნილი, არც შედგენილი, არამედ შობილი. სულიწმიდა მამისგან არ არის შექმნილი, არც შედგენილი, არც შობილი, არამედ გამომავალი. მაშასადამე, ერთი არის მამა, არა სამი მამა; ერთია ძე, არა სამი ძე; ერთია სულიწმიდა, არა სამი სულიწმიდა. მთელ სამებაში არავინაა პირველი ან უკანასკნელი, არავინაა მეტი ან ნაკლები, არამედ ყველა სამი შემადგენელი წევრი თანაარსია და თანასწორი. ყველაფერ ამის გამო, როგორც უკვე ვთქვით, სამება ერთში და ერთი სამებაში თაყვანისიცემების. ვისაც ცხონება სურს, წმიდა სამებაზე ასე უნდა იმსჯელოს.

მაგრამ სამარადისო ცხოვრებისათვის საჭიროა უფლისა ჩვენის იესო ქრისტეს განკაცების შესახებ სწორად გვწამდეს. როგორც არის მართალი სარწმუნოება, გვწამს და ვაღიარებთ, რომ უფალი ჩვენი იესო ქრისტე არის ძე ღმრთისა, ღმერთი და კაცი. ღმერთი ერთარსი მამისა, შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა და ადამიანი მშობლის არსებიდან დროში შობილი, სრულყოფილი ღმერთი და სრულყოფილი კაცი, სიტყვიერი სულისა და ადამიანური ხორცისაგან შემდგარი, თანასწორი მამისა ღმრთეებრიო-

ბით, ნაკლები მამისა ადამიანურობით. ის, ვინც არის ღმერთიც და ადამიანიც, არის არა ორი, არამედ ერთი ქრისტე, ერთი ხორცში გარდაუქცეველი ღმრთეებრიობით, მაგრამ ღმრთეებრიობაში შეთავსებული ადამიანობით; ერთი, თუმცა შეურევნელი ბუნებით, მაგრამ ერთი შემადგენლობით, როგორც სიტყვიერი სულისაგან და სხეულისაგან შედგება ერთი ადამიანი, ასევე ღმერთი და ადამიანი ერთია - ქრისტე, რომელიც ჩვენი გამოხსნისათვის ევნო და შთახდა ჯოჯოხეთს, მესამე დღეს მკვდრეთით აღდგა და ამაღლდა ზეცად, მჯდომარე არს მარჯვენით მამა ღმრთისა ყოვლისმპყრობელისა, სანამ კვლავ არ მოვა განსჯად ცოცხალთა და მკვდართა; მისი მოსვლით ყველა ადამიანი თავის სხეულში აღდგება და თავიანთი საქმეებისათვის პასუხს მისცემენ. კეთილის მოქმედნი მარადიულ ცხოვრებაში წავლენ, ბოროტისმოქმედნი კი - ჩაუქრობელ ცეცხლში. ეს არის კათოლიკე სარწმუნოება. ვინც მას ერთგულად და ჭეშმარიტად არ იწამებს, მისთვის გადარჩენა შეუძლებელია.

10. მეფე მიხეილის სიგელი სადადიანოს მეფე ლევანისადმი

ერთ ღმერთს, დაუსაბამოს, უსასრულოს და უხილავს, საშინელსა და მიუდგომელს, უმაღლეს ცათა დამკვიდრებულს, ზეციურ ძალთა მფლობელს და თავისი სიბრძნის ერთი უკვდავი სიტყვით ყოველთა ხილულთა და უხილავთა შემოქმედს, თვითმპყრობლური საღმრთო სულით ყველას განმაცხოველებელს, თვალით დაუძინებელით დედამიწის მიმომხილველს და მასზედ ყველაფრის მაშენებელს და ყველა კაცთათვის სახიერი ნუგეშის მიმნიჭებელს, მასვე სამ სახელში იხსენიებენ, ძრწიან და შიშობენ ზეცაში, ქვეყანაზე და ქვესკნელში; იმ ერთ ღმერთს სამებაში პატივს ვცემთ და თაყვანს ვცემთ, მისი სამბრწყინვალე საღმრთო ყოვლადძლიერების გამოუთქმელი წყალობით ვდგავართ, ვმოძრაობთ და ვმყოფობთ; დიდმშვენიერებას მისას ქებას აღვუვლენთ და ამ სამებაში განდიდებულის ჩვენი ღმერთის წყალობით სრულიად რუსეთის დიდი ხელმწიფე მეფე და დიდი მთავარი მიხეილ თევდორეს-ძე, თვითმპყრობელი ვლადიმირის, მოსკოვის, ნოვგოროდის, მეფე ყაზანისა, მეფე ასტრახანისა, მეფე ციმბირისა, ხელმწიფე ფსკოვისა და დიდი მთავარი ტვერისა, იუგორისა, პერმისა, ვიატკისა, ბულგარეთისა და სხვათა, ხელმწიფე და დიდი მთავარი ნოვაგოროდის ქვემორე

მიწებისა, რიაზანისა, როსტოვისა, იაროსლავისა, ბელოოზიორისა, უდორისა, ობდორისა, კონდინისა და მბრძანებელი მთელი ჩრდილოეთ ქვეყნებისა, ხელმწიფე და მფლობელი სხვა მრავალ სახელმწიფოთა სადადიანოს ქვეყნის მეფე ლევანს ჩვენს კეთილ მეფურ სიტყვას გადმოგცემთ დიდი წყალობით და ჩვენი მეფური ხელისუფლების ძალით ყველა შენი მტრისაგან მტკიცე დაცვას გპირდებით შენ, მეფე ლევანს და მთელ შენს ქვეყანას. ჩვენს მეფურ უდიდებულესობასთან შენი ელჩი, შენი კარის ეკლესიის მღვდელი გაბრიელი სიგელით გამოგიგზავნია და ჩვენ, დიდმა ხელმწიფემ, იგი წყალობით მივიღეთ, საელჩოდ ჩვენთან პირისპირ შეხვედრაზე მოვიწვიეთ, მისგან თქვენი სიგელის მიღება ვბრძანეთ და სულგრძელად მოუსმინეთ. შენს სიგელში კი ჩვენ, დიდ ხელმწიფეს, გვწერდი, რომ შენ ჩვენ მეფურ უდიდებულესობასთან შენი ერთგული კაცი, შენი კარის ეკლესიის მღვდელი გაბრიელი ელჩად გამოგზავნე იმ მიზეზით, რომ შენ, მეფე ლევანი, და მთელი შენი სახელმწიფო, რომელიც ივერიის ქვეყანაშია, არის მართლმადიდებლური და ჭეშმარიტად ქრისტიანული, ცხოვრობთ ქრისტეს სჯულისამებრ, მოციქულებისა და შვიდი კრების სწავლებების თანახმად, გწამთ წმიდა სამება და ყოვლადწმიდა, ყოვლადუბიწო ღმრთისმშობელი, ერთი წმიდა სამოციქულო ეკლესია, ერთი წმიდა ნათლისღება, მოელით აღდგომასა მკვდრეთით და ცხოვრებასა მერმისა მის საუკუნესასა. როგორც სასოებთ მერმისა მის საუკუნესასა დადგომას, ასევე სასოებთ ჩვენგან, დიდი ხელმწიფისაგან, წყალობის მიღებას, რამეთუ ღმერთმა გამოგვარჩია ჩვენ, დიდი ხელმწიფე, და დასაბამი დაუდო ჩვენს ხელმწიფობას ყველა მართლმადიდებელ ქრისტიანზე. ივერიის ქვეყანაში კი ხუთი სახელმწიფო ყოფილა და სპარსეთის შაჰს მათგან ორი ხელმწიფე დაუხოცავს, ხოლო სამი დანარჩენი ხელმწიფის სახელმწიფოები ღმრთის შეწევნითა და ჩვენი მეფური უდიდებულესობის მრავალწლიანი ბედნიერებით შენს, მეფე ლევანის, მფლობელობაშია; მრავალი წელია უკვე, რაც დიდი სურვილი გაქვს, ემსახურო ჩვენ მეფურ უდიდებულესობას, მაგრამ სათანადო დრო ვერ გამონახე იმისათვის, რომ ჩვენთვის, დიდი ხელმწიფისათვის, ამის შესახებ თხოვნით მოგემართა. ამჯერად კი ჩვენთან, დიდ ხელმწიფესთან, ის შენი კარის ეკლესიის მღვდელი გაბრიელი ელჩად გამოგზავნე, თაყვანს სცემ ჩვენს მეფურ უდიდებულესობას, მთელი შენი სამფლობელოთი და სახელმწიფოთი მზადყოფნას აცხადებთ

გვემსახუროთ ჩვენ, დიდ ხელმწიფეს, თვითონ შენ, ლევან მეფე, წმინდა საღმრთო ეკლესიებით, მის მეთაურთან ერთად და მთელი შენი სამფლობელოებით. უმორჩილესად გვთხოვ ჩვენ, დიდ ხელმწიფეს, გვეველდრები და გვთხოვ, რომ შენ გიწყალობოთ და შენთან სამეფო სიგელებითა და ბრძანებით ჩვენი ელჩი გამოვაგზავნოთ, რომ მან შენი სახელმწიფო დაათვალიეროს და ჩვენ, დიდმა ხელმწიფემ, შენ ჩვენი მეფური უდიდებულესობის მაღალი ხელის მფარველობის ქვეშ მიგიღოთ; შენ კი, ჩვენ, დიდ ხელმწიფეს, გვემსახურები ისე, როგორც სხვა ჩვენი ქვეშევრდომები, რომლებიც ჩვენ, დიდ ხელმწიფეს, გვემსახურებიან. შენ კი ჩვენგან, დიდი ხელმწიფისაგან, დახმარება და მხარდაჭერა გექნებოდა, რათა ქრისტიანულ სარწმუნოებაში მტკიცედ და ურყევად მდგარიყავი. ჩვენ, დიდმა ხელმწიფემ, შენი წერილი და უმორჩილესი თხოვნა, რომელიც ჩვენ, დიდ ხელმწიფეს, შენი ელჩის, გაბრიელის, ხელით გამოგვიგზავნე, უყურადღებოდ არ დაგვიტოვებია- შენ, მეფე ლევანი, და მთელი შენი ივერიის ქვეყანა ჩვენი მაღალი მეფური ხელის მფარველობის ქვეშ გვინდა მივიღოთ. გიქებთ საქციელს, რომ ჩვენი მეფური წყალობა მოძებნე და შენი ელჩი ჩვენთან თხოვნით გამოაგზავნე; ვიწყებთ შენი და მთელი შენი ქვეყნის ჩვენი მეფური წყალობის მფარველობის ქვეშ აყვანას, მასზე ზრუნვას. ამჟამად კი შენი ელჩი, გაბრიელ მღვდელი, ჩვენი მეფური წყალობით შევიწყნარეთ და თქვენთან უკან გამოვუშვით; ჩვენი მეფური უდიდებულესობის ამ სიგელით კი შენთან ფედოტ ელჩინი გამოვაგზავნეთ და მას დავავალეთ თქვენ, მეფე ლევანს გითხრათ; რა პირობით და სანდოობით გინდა შენ, მეფე ლევანს, ჩვენი მეფური მოწყალებრივი მზრუნველობისა და მორჩილების ქვეშ ყოფნა და რა მტკიცებულებას მოგვცემ, რომ ჩვენი მეფური უდიდებულესობისათვის ყველაფერი ცხადი იყოს. თქვენ კი, მეფე ლევანს, ყველაფერ ამის შესახებ ჩვენი მეფური უდიდებულესობისათვის საკუთარი ხელით და ბეჭდით ზუსტად მოგეწერათ, რათა ჩვენი მეფური უდიდებულესობისთვის, სარწმუნო და საიმედო ყოფილიყო და მომავალშიც გამოგვეგზავნა შენთან ჩვენი ელჩი ყველაფრის დასამტკიცებლად. ფედოტ ელჩინი კი თანაშემწეებთან ერთად ჩვენთან, დიდ ხელმწიფესთან, დაუყოვნებლად გამოუშვით.

დაწერილია ჩვენი სახელმწიფოს სამეფო კარზე სამეფო ქალაქ მოსკოვში სამყაროს შექმნიდან 7147 [1639] წლის 30 მაისს.

11. ფიცის ტექსტი, რაზეც უნდა დაიფიცოს სადადიანოს მეფე ლევანმა, თუ თვითონ მოისურვა ხელმწიფის ერთგულებაზე დაფიცება (იქვე)

დიდ ხელმწიფე მეფეს და დიდ მთავარს მიხეილ თევდორეს-ძეს, სრულიად რუსეთის თვითმპყრობელს და მისი მეფური უდიდებულესობის შვილებს კეთილმსახურ უფლისწულ მთავარ ალექსი მიხეილის-ძეს და რომელ შვილებსაც მას, დიდ ხელმწიფეს, მომავალში ღმერთი მისცემს, მე, ლევან მეფე, ჩემი და ჩემი შვილების, შვილიშვილების, ყველა ჩემი ახლობელი ადამიანის და მთელი სადადიანოს ქვეყნის სახელით ამ წმიდა და ცხოველსმყოფელ საუფლო ჯვარზე ფიცს ვაძლევ იმის შესახებ, რომ დიდ ხელმწიფე მეფესთან და დიდ მთავართან მიხეილ თევდორეს-ძესთან, სრულიად რუსეთის თვითმპყრობელთან გაგზავნილი მყავდა სათხოვნელად ჩემი ელჩი გაბრიელი, რათა მან, დიდმა ხელმწიფე მეფემ და დიდმა მთავარმა მიხეილ თევდორეს-ძემ, სრულიად რუსეთის თვითმპყრობელმა მე, ლევან მეფე, ჩემი შვილები და მთელი სადადიანოს ქვეყანა შეიწყალოს და თავისი მაღალი მეფური ხელის მფარველობის ქვეშ აიყვანოს, თავისი მეფური მოწყალებრივი მზრუნველობის ქვეშ იყოლიოს და ურწმუნოთაგან დაიცვას. დიდმა ხელმწიფე მეფემ და დიდმა მთავარმა მიხეილ თევდორეს-ძემ, სრულიად რუსეთის თვითმპყრობელმა გამოიჩინა წყალობა ჩემდამი, ჩემი შვილებისა და მთელი ჩემი სადადიანოს ქვეყნის მიმართ და თავისი მაღალი მეფური ხელის მფარველობის ქვეშ აგვიყვანა; მე, მეფე ლევანს, ჩემს შვილებს და მთელ ჩემს სადადიანოს ქვეყანას ამიერიდან დიდი ხელმწიფე მეფე და დიდი მთავარი მიხეილ თევდორეს-ძე, სრულიად რუსეთის თვითმპყრობელი და მისი ხელმწიფების შვილები - კეთილმსახური უფლისწული ალექსი მიხეილის-ძე და რომლებიც მას, ხელმწიფეს, მომავალში ღმერთისგან მიეცემა, მათი მეფური უდიდებულესობა გვმფარველობს. მისგან, დიდი ხელმწიფე მეფისა და დიდი მთავრის მიხეილ თევდორეს-ძისგან, სრულიად რუსეთის თვითმპყრობელისგან და მისი მეფური უდიდებულესობის შვილებისაგან კეთილმსახურ უფლისწულ მთავარ ალექსი მიხეილის-ძისგან და რომლებსაც მათ, ხელმწიფეებს, მომავალში ღმერთი მისცემს, არ განვდგები. მე, ჩემი შვილები და მთელი ჩემი სადადიანოს ქვეყანა, დიდ ხელმწიფე მეფეს, დიდ მთავარს მიხეილ თევდორეს-ძეს, სრულიად რუსეთის თვითმპყრობელს, მისი მეფური უდიდებულესობის

შვილებს ცუდს არ გავუკეთებ და არც გავიფიქრებ. დიდ ხელმწიფე მეფეს, დიდ მთავარს მიხეილ თევდორეს-ძეს, სრულიად რუსეთის თვითმპყრობელს, მისი მეფური უდიდებულესობის შვილებს არ განვუდგები და სხვას არ შევუდგები. ჩემს ხალხს ომში დასახმარებლად დიდი ხელმწიფე მეფისა და დიდი მთავრის მიხეილ თევდორეს-ძის, სრულიად რუსეთის თვითმპყრობელისა და მისი მეფური უდიდებულესობის შვილების ქვეყნის წინააღმდეგ არსად გავუშვებ. მისი, ხელმწიფის, მეგობრისათვის მეგობარი ვიქნები და მისი, ხელმწიფის, მტრისათვის - მტერი. ხოლო ვინც იქნება დიდი ხელმწიფე მეფისა და დიდი მთავრის მიხეილ თევდორეს-ძის, სრულიად რუსეთის თვითმპყრობელისა და მისი მეფური უდიდებულესობის შვილების მეგობარი, ის ჩემი, ლევან მეფისა, და ჩემი შვილების მეგობარიც არის, ხოლო ვინც დიდი ხელმწიფე მეფისა და დიდი მთავრის მიხეილ თევდორეს-ძის, სრულიად რუსეთის თვითმპყრობელისა და მის მეფური უდიდებულესობის შვილების მტერია, ის ჩემი, მეფე ლევანისა, და ჩემი შვილების მტერია. თუკი ვინმე ჩემი ხალხიდან, სადადიანოს ქვეყნიდან, ხელმწიფის ხალხის მიმართ, რომლებიც ხელმწიფის ქალაქებში თერგზე ან ასტრახანში, ან სხვა ქალაქებში იქნებიან, რაიმე ცუდს განიზრახვენ და, ჩავლენ რა იმ ქალაქებში, კანონს დაარღვევენ ანდა რაიმე ღალატს ჩაიდენენ, მაშინ მე იმ ჩემს ხალხს სადადიანოს ქვეყანაში მოვძებნი, მათ მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის დავსჯი და კანონდარღვევას მოვაშლევინებ. მე და ჩემი შვილები, მთელი ჩემი სადადიანოს ქვეყანა დიდი ხელმწიფე მეფისა და დიდი მთავრის მიხეილ თევდორეს-ძის, სრულიად რუსეთის თვითმპყრობელისა და მის მეფური უდიდებულესობის შვილების მორჩილების ქვეშ ვიქნებით. მათგან, ხელმწიფეთაგან, არ განვდგები არც რაიმე ხერხით, არც რაიმე მზაკვრობით. ხელმწიფეთა მიმართ გულწრფელი ვიქნები და, ამ ფიცის თანახმად, სიცოცხლის ბოლომდე ყველაფერში სიკეთე მენდომება, როგორც ამ ტექსტშია დაწერილი.

12. სადადიანოს ქვეყანაში გაგზავნილი ხელმწიფის დოკუმენტების აღწერა (იქვე)

დიდი ხელმწიფე მეფისა და დიდი მთავრის მიხეილ თევდორეს-ძის სრულიად რუსეთის თვითმპყრობელისაგან სიგელი სადადიანოს მეფე ლევანისადმი, დაწერილია ბერძნულად.

ხელმწიფის განაწესი, რომლის მიხედვიდაც მან, ფედოტმა, სადადიანოს ქვეყანაში ხელმწიფის საქმენი უნდა წარმართოს.

სამგზავრო სიგელი, რომლითაც მათ გზად უნდა იარონ და საბარგულები, ნიჩბოსნები, დღიური საკვები და სასმელი იქონიონ.

სიგელი ყაზანში მათი გამგზავრების შესახებ.

სიგელი ასტრახანში მათი გამგზავრების შესახებ.

სიგელი თერგში მათი გამგზავრების შესახებ.

სიგელი თერგში საელჩო ხალხის შესახებ.

სიგელი ყაბარდოელ მულდარ მურზასთან (კომენტ. 34-ჯ.გ.) მათი გატარების შესახებ და მისი ასლი.

სიგელი ოლეგუკა მურზა ილბაკოვთან (კომენტ. 4,34 - ჯ.გ.) მათივე გატარების შესახებ.

სამგზავრო სიგელი თერგში მთავრებთან და მურზებთან მათი გატარების შესახებ და მისი ასლი.

ფიცის ტექსტი, რომლის მიხედვითაც ლევან მეფის დაფიცება უნდა მოხდეს; სათადარიგოდ იგზავნება იმ შემთხვევისათვის, თუკი ლევან მეფე დაფიცებას მოისურვებს.

13. სადადიანოს მეფე ლევანის სიგელი მეფე მიხეილისადმი. 1640 წლის 15 მაისი (იქვე, საქ.,№9)

თარგმანი სიგელისა, რომელიც სადადიანოს ქვეყნის მფლობელმა ლევანმა სრულიად რუსეთის ხელმწიფე მეფესა და დიდ მთავარს მიხეილ თევდორეს-ძეს ფედოტ ელჩინის ხელით გამოუგზავნა.

ჭეშმარიტ ღმერთს მამასა და ძესა და სულსა წმიდასა თაყვანს ვცემთ და ვადიდებთ; ერთია ძალა, ერთია არსება, ერთია ღმრთეება სამ ჰიპოსტასში, სამ პირში, წმიდა სამებას თაყვანს ვცემთ და ვადიდებთ მცხოვრებნი ივერიის ქვეყანაში ლევან დადიანის კუთვნილ სამეგრელოს ოლქში. თაყვანს ვცემთ და ვევედრებით ყოვლადუდიდებულეს მტკიცე და ძლევამოსილ თქვენს დიდმპყრობელურ მეფობას დიდ ქალაქ მოსკოვში, რუსეთის მთელი ჩრდილოეთი მხარისა და სხვათა მფლობელს, ჭეშმარიტ მართლმადიდებლურ მზეს, ყოვლადნათელ დიდ ხელმწიფე მეფეს და დიდ მთავარს სახელად მიხეილს. ქრისტიანული სარწმუნოების [ხალხების] მმართველად და ზედამხედველად ქრისტეს შენ დაუდგენიხარ; შენ ხარ გვირგვინი და თავი ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანისა, თვით საღმრთო

მარჯვენით გამორჩეული ყველა ქრისტიანთა მფარველად და გამგებლად. ვთხოვთ, ვევედრებით და ვმადლობთ უფალ ღმერთს იესო ქრისტეს, ყოვლადუბიწო მის მშობელს და ყველა წმინდანს იმიტომ, რომ შენ ხარ დიდი მეფე და მართლმადიდებლობის დამცველი დიდ ქალაქ მოსკოვში; მთელ მსოფლიოში თქვენი დიადი ხმა და სახელი ელვარედ ანათებს, თავისი ტკბილი, მოწყალე სიტყვითა და საქმით ყველას იცავს და მფარველობს. თქვენმა დიადმა სახელმა ჩვენამდეც მოაღწია და, ვითარცა კაშკაშა მზემ, მთელი ჩვენი სამთავრო გაანათა. ამის შესახებ განუწყვეტლივ ვხარობთ და ვმხიარულობთ, როცა ვიხსენებთ შენს დიდებულ სახელს, ყოველდღიურად ვლოცულობთ და ვითხოვთ ყველა, რომ მრავალჟამიერ დიდმპყრობელობა მოგმადლოს ღმერთმა შენ, მეფე მიხეილს. რახან ჩვენთან, დიდო მეფეო, ელჩად შენი კაცი, ერთგული ფედოტი თანაშემწეებთან ერთად სიგელით გამოაგზავნე, ჩვენც იმ შენს მეფურ სიგელს გავეცანით და ქვეშევრდომულად მორჩილის მდგომარეობაში მყოფმა დიდი პატივით მივიღეთ; ვემთხვიე მას დიდი ქვეშევრდომული სიყვარულით და აღვიქვით იგი, როგორც ქრისტეს ბრძანება, რადგანაც ვსასოებთ ღმერთს, გვწამს ქრისტე, წმინდა მოციქულთა მოძღვრება და შვიდი კრება (კომენტ. 62-ჯ.გ.), ვსასოებთ მომავალ აღდგომას, გვწამს ერთი წმინდა სამოციქულო ეკლესიისა და ერთი ნათლისღებისა. როდესაც თქვენი კეთილკრძალული მეფური სიგელი ელჩ ფედოტისგან მივიღეთ, ამ სიგელში თქვენი მეფური უდიდებულესობა მწერდა მე, რომ როგორც თავიდანვე ვიყავით მართლმადიდებელი ქრისტიანენი, ისევ ისე თუ ვდგავართ მართლმადიდებლობაში და ჭეშმარიტებაში, როგორც თავიდან გვქონდა და როგორიც მართებს და შეეფერება კათოლიკე სამოციქულო ეკლესიას; მაშინ ჩვენ მივიღებთ მისაგებელს და მადლს უფლის სასუფევლიდან, მისი ყოვლადუზენაესი მარჯვენის საფარველს, დიდ მფარველობასა და მადლს. ჩვენ კი, მოვისმინეთ რა თქვენი მეფობის ასეთი წყალობა, თქვენი სამეფოს ხალხი წავიყვანეთ, მათ ჩვენი ეკლესიები, წმინდა ნაწილები და მთელი ჩვენი სამთავრო ვაჩვენეთ. თქვენს სიგელს და მეფურ სურვილს გავეცანით. რაც ინებეთ, ჭეშმარიტად და კეთილი განწყობით აღვიქვით, როგორც ქრისტესთვის არის სათნო. რასაც გვწერ, იმაზე უარი არ გვითქვამს. ჩვენ გვმართებს, ასეთ დიდ მართლმადიდებელ მეფეს მადლობა მოგახსენოთ, გთხოვოთ და გევედროთ, როგორც თქვენს მეფობას შეეფერება, რადგანაც ქრისტეს სარწმუნოება გიყვარს, ამი-

ტომ საჭიროა ყველა ქრისტიანს დაეხმაროთ. ჩვენ გამოვავლინეთ სრული გულისხმიერება თქვენი მეუფების ელჩის მიმართ, ვაჩვენეთ მას ქრისტეს სისხლი, ქრისტეს სამსჭვალი და თოკი, რომლითაც შეკრული იყო ქრისტე, ასევე ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის კვართი და სხვა წმინდა ნაწილები. თქვენი მეუფებისთვის ცნობილია, რომ ივერიის ქვეყანაში ბევრი ხელმწიფე იყო და მტრებისგან, თურქებისგან აოხრდნენ. ჩვენ კი კვლავ ქრისტესა და ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის მადლით კეთილად ვართ. ამჟამად კი თქვენმა დესპანმა ნახა ჩვენი ეკლესიები, რომ მათი კედლები მოუწერელია და იქნებ თქვენ გენებათ, გამოგეგზავნათ ხატმწერები ყოველგვარი საღებავებითა და ოქრო-ვერცხლით, რომ ეს ეკლესიები მოხატონ; თქვენი სამეფო კი მისაგებელს მიიღებს. შენ კი გევედრებით, რახან ასეთი დიდი და მართლმადიდებელი მეფე ხარ, არ გვკრა ხელი, რათა ყოველთვის გვქონდეს შენი მფარველობა და წყალობა, ჩვენ კი გემსახურებით როგორც ჯერ არს. ამჯერად კი უცებ ვერ მოვასწარით ჩვენი ელჩის გამოგზავნა თქვენი მეფური უდიდებულესობის ელჩთან ერთად, რადგან რაღაც უბედურება დაგვატყდა თავს, რაც თქვენმა ელჩმაც ნახა, ამიტომ არ გამოვაგზავნეთ. ხოლო როგორც კი ამის დრო მოვა, თქვენი მეუფების თაყვანსაცემად კაცს გამოვაგზავნი; გვაქვს თქვენი დიდი მეუფებისგან დიდი წყალობის იმედი, რომ ვინმეს გამოაგზავნი ჩვენთან. დაწერილია ქრისტეს შობიდან 1640 წლის 15 მაისს.

სიგელის ქვევით კი წერია: დაწერილია მეგრელთა ქვეყანაში, ზუგდიდში.

სიგელის უკან კი ქართულად წერია, ხოლო რა წერია, უცნობია.

14. საქმე მღვდელ პავლე ზახარიევის საჩივარზე თარჯიმან ფედოტ ელჩინის წინააღმდეგ (იქვე, ს. №5).

147 [1639 წ.] წლის 29 მაისს სრულიად რუსეთის ხელმწიფე მეფისა და დიდი მთავრის მიხეილ თევდორეს-ძის მიერ სადადიანოს ქვეყანაში სადადიანოს მეფე ლევანთან სამეფო სიგელით გაიგზავნა საელჩო პრიკაზის თარჯიმანი ფედოტ ელჩინი და მასთან, ფედოტთან, ერთად სადადიანოს ქვეყანაში გაგზავნილი იყო პავლე მღვდელი იმისათვის, რომ მას სადადიანოს ქვეყანაში საეკლესიო კეთილკრძალულება და წესი შეესწავლა. მიმდინარე 149 {1640} წელს, როცა ისინი, ფედოტი და პავლე მღვდელი, სადადიანოს

ქვეყნიდან უკან, ხელმწიფესთან ბრუნდებოდნენ, გზიდან, ასტრახანიდან, სრულიად რუსეთის ხელმწიფე მეფესა და დიდ მთავართან მიხეილ თევდორეს-ძესთან პავლე მღვდელმა ასტრახანელი სტრელეცის ვასკა კალუჟანინის ხელით ფედოტ ელჩინზე მოიწერა. 23 ოქტომბერს საელჩო პრიკაზში სათათბიროს დიაკებს თევდორე ლიხაჩევს, მაქსიმე მატიუშკინსა და გრიგოლ ლვოვს სტრელეცმა ვასკამ შემდეგი ნაწერი გადასცა:

სრულიად რუსეთის ხელმწიფე მეფესა და დიდ მთავარ მიხეილ თევდორეს-ძეს შენთვის, ხელმწიფისათვის, ღმრთისადმი მლოცველი მღვდელი პავლიშე თხოვნით მოგმართავს. გასულ 147{1639} წელს, ხელმწიფეო, შენი ხელმწიფებრივი ბრძანებულებით მე, შენი ღმრთისადმი მლოცველი, ფედოტ ელჩინთან ერთად სადადიანოს ქვეყანაში ვიქენი გაგზავნილი. როცა, მეფეო, თერგიდან გავედით, ფედოტმა მდინარე ბისტრაიაზე ატამან ოსიპ მალოვის დასახლებაში შეიარა. ოსიპის სტანიციდან ფედოტმა კაზაკი ალექსანდრე ივანოვი შენი ხელმწიფებრივი ბრძანებულების გარეშე სადადიანოს ქვეყანაში წაიყვანა; ის კაზაკი ალექსანდრე კი საქართველოს მკვიდრია(68). მე კი, ხელმწიფეო, ფედოტს ვეუბნებოდი: ხელმწიფის ბრძანებულების გარეშე სახიფათოა იმ კაზაკის სადადიანოს ქვეყანაში წაყვანა, რათა იმ კაზაკისაგან რაიმე ცუდი არ მომხდარიყო. ფედოტმა კი მითხრა: ხელმწიფის ბრძანებულების გარეშე ჩემთან ერთად თუნდაც ასი კაზაკი წამოსულიყო, მე ყველას თან წავიყვანდიო. როგორც კი ალეგუკას ყაბარდოში ალეგუკას ძმასთან - ხაპუკასთან მივედით და ხაპუკამ ფედოტი და მე, შენი ღმრთისადმი მლოცველი, გამოგვიშვა, თავის უზდენს, პშუკას უბრძანა, პირდაპირი გზით სვანეთამდე გამოვეცილებინეთ. ხაპუკიდან სვანეთამდე კი ... და ფედოტი, ხელმწიფეო, იმ პირდა[პირი გზით კი არა], არამედ სხვა გზით წავიდა... ხაპუკას{გან ნამოვედით და} ყარაჩაიში მეხუთე დღეს მივედით. ყარაჩაიში, ხელმწიფეო, ფედოტი ვაჭრობდა, ყარაჩაეველ მურზებთან და სხვა ჩერქეზებთან წვეულებებზე დადიოდა, მათთან და მათ ცოლებთან საჩუქრები დაჰქონდა. ვაჭრობის გამო, ხელმწიფეო, ფედოტი ყარაჩაიში თხუთმეტი დღე ცხოვრობდა და იმ ვაჭრობიდან მონაგები.... აძლევდა აბრეშუმისა და ბამბის ქსოვილს... მე, ხელმწიფეო, ფედოტს ვეუბნებოდი:.... საქმეზე უნდა ვიზრუნოთ და ვიჩქაროთ, წვეულებებზე კი არ ვიაროთ და შენი ვაჭრობისათვის აქ არ უნდა დავრჩეთ. ყარაჩაიდან სვანეთამდე ხუთი

დღე მივდიოდით, სვანეთიდან სადადიანოს ქვეყანამდე ხუთი დღე ვიარეთ. ფედოტს, ხელმწიფეო, შენი სიგელი ყარაჩაიდან სადადიანოს ქვეყანამდე უკან დამაგრებული მიჰქონდა. მე, ხელმწიფეო, ვეუბნებოდი, ცოდვაა ხელმწიფის სიგელის უკანალზე ქამრით დამაგრება. მისი ტარება შენ, ფედოტს, თავზე ან მხრებზე და მკერდზე გმართებს, რადგან იმ სიგელში სრულიად რუსეთის დიდი ხელმწიფე მეფისა და დიდი მთავრის მიხეილ თევდორის-ძის სახელი წერია. ხელმწიფეო, როგორც კი სადადიანოს ქვეყანაში მივედით, ფედოტმა მე, შენს ღმრთისადმი მლოცველს, ქაღალდი, მელანი და კალამი წამართვა, შენს სახელმწიფო საქმეებზე წერა ამიკრძალა და მე, შენს ღმრთისადმი მლოცველს, საშინელი მუქარით დამემუქრა; ხოლო იმ კაზაკმა, რომელიც ფედოტმა მდინარე თერგიდან სადადიანოს ქვეყანაში წამოიყვანა, რაც სმოლენსკთან უფლისწულთან დაკავშირებული იყო (კომენტ. 40-ჯ.გ), რაც ყირიმის მეფესთან (კომენტ. 37-ჯ.გ.) და სხვა მუსულმანურ ურდოებთან დაკავშირებით მოხდა, იმ კაზაკმა სადადიანოს ქვეყანაში ყველაფერ ამის შესახებ ილაპარაკა. როდესაც მეფე ლევანმა ფედოტს შენი ხელმწიფებრივი სიგელით მასთან საელჩოდ მისვლა უბრძანა და ფედოტი გაემგზავრა, შენი ხელმწიფებრივი სიგელის წაღება ოსიპ თარჯიმანს უბრძანა. როცა, ხელმწიფეო, შენი ხელმწიფებრივი სიგელი მეფე ლევანისათვის უნდა გადაეცა, შენი ხელმწიფებრივი სიგელი ფედოტმა ოსიპ თარჯიმანს გამოართვა. მე კი, ხელმწიფეო, შენი ხელმწიფობის ღმრთისადმი მლოცველი, მეფე ლევანთან ხელზე სამთხვევად გამგზავნა, მაგრამ შენი ხელმწიფებრივი სიგელი არ მოუცია და მე, ხელმწიფეო, ფედოტს ვეუბნებოდი: ჯერ შენ გმართებს, ფედოტ, ხელმწიფებრივი სიგელით ლევან მეფესთან მიახლება, ჩვენ კი შენს შემდეგ... ფედოტმა მითხრა: როგორც გიბრძანებენ, ისე მოიქეციო. და მე... ფედოტის ბრძანებით მეფე ლევანთან... ჩემს შემდეგ, ხელმწიფეო, ოსიპ თარჯიმანი, ოსიპის მერე ფედოტის კაცი, ივაშკა, მიდიოდა მეფე ლევანის ხელზე სამთხვევად; ფედოტი კი თავისი კაცის, ივაშკას, შემდეგ შენი, ხელმწიფებრივი, სიგელით მიდიოდა მეფე ლევანის ხელზე სამთხვევად და შენი ხელმწიფებრივი სიგელი გადასცა, ტიტული მოახსენა, ტიტულის შემდეგ სხვა სიტყვასაც ამბობდა თურქულად, ხოლო მეფე ლევანს თარჯიმნობას ეპისკოპოსი ნიკოლოზი(69) უწევდა. შენი, ხელმწიფებრივი, ბრძანებულებით კი ფედოტს განაწესში უწერია: თუკი მეფე ლევანი საუბარს არ დაი-

წყებს ან კიდევ მისი ახლობლები, მაშინ ფედოტმა მეფე ლევანს სხვა სიტყვა არ უნდა უთხრას. 22 მაისს სადადიანოს ქვეყნიდან წავედით. 9 ივლისს თერგში მივედით. მე კი, ხელმწიფეო, ღვთისადმი მლოცველი შენი, თერგში სტოლნიკს და ვოევოდებს თავად ივანე ანდრიას-ძე ხილკოვს და ტიმოთე დენისის-ძე ოლადინს უმორჩილესად ვთხოვდი, რომ, ხელმწიფევ, სტანიცა მოსკოვისკენ გავეშვი, მაგრამ თავად ივანე ანდრიას-ძე ხილკოვმა და ტიმოთე დენისის-ძე ოლადინმა მე, შენი ღმრთისადმი მლოცველი, სტანიცაში (მოსკოვში - ჯ.გ.) არ გამიშვეს.... და მე, ხელმწიფეო, დავიქირავე რა ცხენი, ასტრახანში ჩამოვედი და ხელმწიფის ბოიარინს თავად ნიკიტა ივანეს-ძე ოდოევსკის(70) უმორჩილესად ვთხოვე და საგზაოც მივართვი. შენი, ხელმწიფებრივი, საგზაო სიგელი, რომელიც მე მოსკოვიდან თერგამდე და თერგიდან მოსკოვამდე მომეცა, მან დაათვალიერა და დამიბრუნა, მაგრამ არც მენიჩბეები მომცა, არც გზა უჩვენებია; ფედოტს კი, ხელმწიფეო, გემი გამოუყო პოდიაჩ ივანე ხანენევთან ერთად; მათ აგრეთვე 15 კაცი მენიჩბე და მესაჭე მისცა. მე კი, ხელმწიფეო, შენი ღმრთისადმი მლოცველი, ფედოტს გემზე აშვებას ვთხოვდი, რომ ასტრახანიდან თან წამოვეყვანე, მაგრამ ფედოტმა თავის გემზე არ ამიშვა; ფედოტმა მითხრა: შენ, ხელმწიფის ბრძანებით შენი საგზაო გაქვს და შენი გზა გაქვს მითითებული, მე კი წასაყვანი უშენოდაც მეყოფაო. მე, შენს ღმრთისადმი მლოცველს, სტანიცაში (მოსკოვში - ჯ.გ.) წამოსვლის საშუალება არ მქონდა; ცხენების საყიდელი ფულიც მე, შენს ღმრთისადმი მლოცველს, აღარ გამაჩნდა. მე, ღმრთისადმი მლოცველი შენი, წამოყვანაში პირობის წერილს ვაძლევ, მოსკოვისკენ... კი ხალხთან ერთად მოვჩანჩალებ. ხოლო იმ შენი ხელმწიფებრივი საქმეების თაობაზე, ხელმწიფეო, რომელთა შესახებაც ამ ბარათში არ წერია, როგორც კი, ხელმწიფეო, მოსკოვში საელჩო პრიკაზში ვიქნები, შენი ხელმწიფებრივი საქმეები, შენთვის, დიდი ხელმწიფისათვის, ცნობილი გახდება.

უკანა მხარეს: სრულიად რუსეთის ხელმწიფე მეფესა და დიდ მთავარ მიხეილ თევდორეს-ძეს. 149[1640]-ის 23 ოქტომბერი... ასტრახანელ ვასკა კალუჟენინის ხელით.

შენიშვნა: დაკითხვა 149[1640] წლის 13 დეკემბერს შედგა.

როგორც კი ფედოტ ელჩინი და პავლე მღვდელი მოსკოვში ჩამოვიდნენ, ხელმწიფის ბრძანებულებით, 13 დეკემბერს სათათბიროს დიაკებმა თევდორე ლიხაჩევმა, მაქსიმე მატიუშკინმა და

გრიგოლ ლვოვმა საელჩო პრიკაზში ფედოტ ელჩინი და პავლე მღვდელი პირისპირ ერთმანეთს შეახვედრეს და იმ პავლე მღვდლის წერილის ორივესათვის ხმამაღლა ნაკითხვა უბრძანეს. წერილი მათ წაუკითხეს. როდესაც პავლე მღვდელმა წერილი მოისმინა, იმავე ფედოტზე ასეთი ღია საჩივარი წარმოადგინა:

სრულიად რუსეთის ხელმწიფე მეფესა და დიდ მთავარს მიხეილ თევდორეს-ძეს შენი ხელმწიფობის ღმრთისადმი მლოცველი მღვდელი პავლიშე მდაბლად თავს გიკრავთ და ფედოტ ელჩინის შესახებ გაცნობებთ. ხელმწიფეო, გასულ 147[1639] წლის 2 ივნისს შენი ხელმწიფებრივი ბრძანებულების თანახმად, ფედოტ ელჩინი სადადიანოს ქვეყანაში იქნა გაგზავნილი. მასთან, ფედოტთან, ერთად შენი, ხელმწიფის, საქმისათვის გაგზავნილ ვიყავით მე, შენი ღმრთისადმი მლოცველი, და პოდიაჩი თევდორე ბაჟენოვი. თერგიდან 25 სექტემბერს გაგვიშვეს. როგორც კი, ხელმწიფეო, თერგიდან გავედით, ფედოტმა მდინარე ბისტრაიაზე კაზაკთა დასახლებაში, ოსიპ მალოვის სტანიცაში შენი ხელმწიფებრივი ბრძანებულების გარეშე კაზაკი ალექსანდრე ივანოვი აიყვანა; ის კაზაკი კი წარმოშობით საქართველოდან ყოფილა. მე კი, ხელმწიფეო, შენი ღმრთისადმი მლოცველი, ფედოტს ვეუბნებოდი: ხელმწიფის ბრძანებულების გარეშე სადადიანოს ქვეყანაში კაზაკის თან წაყვანა არ შეიძლება იმიტომ, რომ ის კაზაკი ალექსანდრე ივანოვი წარმოშობით საქართველოდან ყოფილა და რომ იმ კაზაკისაგან რაიმე ცუდი არ მოგვწეოდა. ფედოტმა კი მითხრა: ხელმწიფის ბრძანებულების გარეშე სადადიანოს ქვეყანაში ჩემთან ერთად თუნდაც ასი კაზაკი წამოსულიყო, მე ყველას წავიყვანდიო. 5 ოქტომბერს ალეგუკას ძმასთან - ხაპუკასთან მივედით და ხაპუკამ, ხელმწიფეო, თავის უზდენს პშუკას უბრძანა, პირდაპირი გზით სვანეთიდან სადადიანოს ქვეყანაში გავეცილებინეთ. ხაპუკასაგან სვანეთამდე კი სამი დღის სავალია. ფედოტი კი, ხელმწიფეო, იმ გზით არ წავიდა და ყარაჩაიში თავისთვის სავაჭროდ წავიდა; ოქტომბერშივე ყარაჩაიში მივედით და ფედოტი, ხელმწიფეო, ყარაჩაიში ... 15 დღე იდგა ... მაუდს და აბრეშუმს ცვლიდა...ბამბის ქსოვილს და სხვას... ყიზილბაშურ აბაზებზე და ოქროზე ... ყოველგვარ ვერცხლის საქონელს - ჭურჭელს ... თასებს, საყურეებს, ბეჭდებს. იგივე, ფედოტი, ხელმწიფეო, ყარაჩაიში საქეიფოდ დადიოდა ყარაჩაელ მურზებთან - ელბუზდუკთანაც, გალისტანთანაც, იმათ დედასთან და სიძესთან, ნოღაიელ მურზა ურისტიამ-

ბეკთან, ასევე სხვა ჩერქეზებთანაც საქეიფოდ დადიოდა. ხელმწიფეო, მურზებთან და ჩერქეზებთან, მათ ცოლებთან, აგრეთვე ვაჭარ-შუამავლებთან, რომლებიც... შეხვედრებს უწყობდნენ, ფედოტს საჩუქრებიც მიჰქონდა. ბამბის ქსოვილს, აბრეშუმის ქსოვილს და ირანულ ბამბის ქსოვილს აძლევდა მათ. რაც... საქეიფოდ დადიოდა მურზებთან, ჩერქეზებთან და ცოლებთან... ვაჭარ-შუამავლებს ფედოტი საჩუქრებს აძლევდა, მუხლობრივ აღწერილობაში კი წერდა, თითქოს ის, ფედოტი, მთავრებს... ყველაფერს გასამრჯელოდ აძლევდა. მანვე, მე, შენს ღმრთისადმი მლოცველს, მაუდი, დანები და არწივის კუდები გამომართვა, ყველაფერ ამას მთავრებს და მურზებს გზაზე გატარებისთვის პატივისცემის ნიშნად აძლევდა. მას კი, ფედოტს, ხელმწიფეო, სამგზავრო ხარჯისთვის შენი ხელმწიფებრივი ხაზინიდან ორმოცი სიასამურის ბეწვი მიეცა და ის ორმოცი სიასამური ფედოტმა თერგში გაყიდა. ყარაჩაიში კი პოდიაჩი თევდორე ბაჟენოვი შეუძლოდ გახდა და ფედოტმა პოდიაჩისთვის საჭმელ-სასმელის მიცემა აუკრძალა და პოდიაჩი მოკვდა. მე, ხელმწიფეო, შენი ღმრთისადმი მლოცველი, ფედოტს ვეუბნებოდი: შენ, ფედოტ, ხელმწიფის საქმეებისათვის ხარ სადადიანოს ქვეყანაში გამოგზავნილი და არა ყარაჩაიში ქეიფებზე სასიარულოდ და სავაჭროდ. კეთილი გვენება და ხელმწიფის საქმეზე გვეზრუნა, ხოლო საქეიფოდ და სავაჭროდ არ მმართებს მე... [აქ] ყოფნა. ფედოტმა კი, ხელმწიფეო, მითხრა: .... [როგორც] მინდა, ისე ვაკეთებ ჩემებურად. როგორც კი, ხელმწიფეო, წავედით... ყარაჩაიდან 28 ოქტომბერს, ფედოტს შენი, ხელმწიფებრივი, სიგელი უკან წელზე მიმაგრებული მიჰქონდა; მე კი, ხელმწიფეო, ფედოტს ვეუბნებოდი: მართებულია, ხელმწიფის სიგელის მკერდზე, მხრებზე, ან თავზე ტარება. ფედოტმა კი, ხელმწიფეო, მითხრა: მე თურქეთის მეფესთან და ყიზილბაშებთანაც ვიყავი გაგზავნილი, ხელმწიფის სიგელებს კი სულ ასე ვატარებდიო. როგორც კი, ხელმწიფეო, 18 ნოემბერს სადადიანოს ქვეყანაში სოფელ ჯვარში მივედით, ფედოტმა, ხელმწიფეო, მე, შენს ღმრთისადმი მლოცველს, ქაღალდი, მელანი და კალამი ჩამომართვა, ხოლო შენი ხელმწიფებრივი საქმეების შესახებ წერა მე, შენს ღმრთისადმი მლოცველს, ამიკრძალა. 25 დეკემბერს კი, ხელმწიფეო, ფედოტთან მეფე ლევანის სტოლნიკი მოგელი მოვიდა და ფედოტს უთხრა: სურსათის მოწოდება როგორ გირჩევნიათ - ცხვრები და ღორები ცოცხლად თუ დაკლულიო? ფედოტმა უპა-

სუხა: მეფე ლევანს მოელაპარაკე, რომ მეფე ლევანმა თავისი მზარეულები გამომიყოს, ვინც საჭმელს მომიმზადებს; მე კი ხალხი და მზარეულები ჩემი არა მყავს და ვერავინ მომიმზადებსო. მე კი, ხელმწიფეო, ფედოტს ვეუბნებოდი: არ არის მიღებული, რომ ელჩებისა და დესპანებისთვის კერძები მეფის მზარეულებმა მოამზადონ. ამის შემდეგ კი მეფე ლევანმა ფედოტს თავისი მზარეულები გამოუგზავნა და მეფის მზარეულები ფედოტთან იყვნენ და ფედოტისთვის საჭმელს ამზადებდნენ მეფე ლევანის მიერ ფედოტის გასტუმრებამდე. ფედოტმა პრისტავს თხოვნით მიმართა... [რათა] მეფე ლევანს, ებრძანებინა... ფედოტი სავაჭროსთან ახლოს... მოახსენებს, რადგან... საელჩო მიღებაზე არ.. სახელმწიფო საქმეები არ გაგიმართავს, ან იქნებ, შენ, ფედოტ,... სავაჭროდ მოხვედი და არა ხელმწიფის საქმეზე ხარ გამოგზავნილი? მე კი, ხელმწიფეო, ფედოტს ვეუბნებოდი: გამოგზავნილი ხარ, შენ, ფედოტ, ხელმწიფის საქმეზე მეფე ლევანთან და არა სავაჭროდ; ჯერ გმართებს უმორჩილესად სთხოვო, რომ მეფე ლევანმა შენი, ფედოტის, ხელმწიფის სიგელით თავისთან საელჩო შეხვედრაზე მიწვევა ინებოს. ფედოტმა კი, ხელმწიფეო, მითხრა: შენს სიტყვებს არ ვუსმენ, ჩემებურად ვაკეთებო. იანვარში ფედოტმა, ხელმწიფეო, თავის კაცს უბრძანა დარაჯი გაელახა; ის დარაჯი კი ფედოტის დასაცავად და საყარაულოდ მეფე ლევანისგან იყო გამოგზავნილი. ფედოტის კაცმა მისი, ფედოტის, ბრძანებით დარაჯი მოგელკა გალახა და მისი, ფედოტის, მხრიდან ცემისა და თავგასულობის გამო ის დარაჯი პრისტავ მოგელთან გაიქცა. პრისტავი ფედოტთან მოვიდა და ფედოტს უთხრა: მეფე ლევანმა შენთან, ფედოტთან, შენს დასაცავად და საყარაულოდ დარაჯები გამოგზავნა, შენ კი შენს ხალხს ყარაულების ცემის ბრძანებას აძლევო; თუ შენთვის, ფედოტისთვის, დარაჯები საჭირო არ არის, დარაჯები გაუშვი და ისინი მეფე ლევანთან წავლენო. ფფედოტმა თქვა: რადგან დარაჯები ჩემს ხალხს სცემენ, მე შენთან საჩივრად.... დავდივარ. მოგელმა კი ფედოტს უთხრა: ჩვენ ის არ გაგვიგონია, რომ დარაჯებს შენი ხალხი გაელახოთო... მეფე ლევანის ბრძანებით შენ დაცვა მოგიჩინეს, შენ კი თვითნებურად ხელმწიფის ხალხს სცემ, ახლა კი შენს უსაქციელობას ამართლებო. ფედოტმა კი მოგელს უმორჩილესად სთხოვა, ამის შესახებ მეფე ლევანს არ მოახსენო, ის მე სიმთვრალით ჩავიდინეო. 8 თებერვალს, ხელმწიფევ, მე და ფედოტი მოქვის მონასტერში ეპისკოპოს მაქსიმეს-

თან ვიყავით და ფედოტმა, ხელმწიფეო, თერგელ კაზაკთან იჩხუბა, ის კაზაკი გალახა და ის კაზაკი ალექსანდრე ფედოტთან ჩხუბის შემდეგ [სადადიანოს]... ქვეყანაში და ჩერქეზეთის ყაბარდოში და სვანეთში [ყვებოდა, რომ] გაუგზავნია ხელმწიფეს,... მრავალ ხალხთან ერთად სმოლენსკთან [პოლონეთის] მეფემ სმოლენსკთან ხელმწიფის ხალხი [დაამარცხა] ... არსენალიდან საბრძოლო იარაღი და თოფის წამალი გაიტაცა... ხელმწიფე მეფესთან შერიგდა და.... ხელმწიფემ თავისი სხვა ქალაქები მეფეს (კომენტ.40-ჯ.გ).... ყირიმელს ხელმწიფე ხარკს აძლევს (კომენტ. 37-ჯ.გ.) და ნოღაელი მურზები... ულუსები ხელმწიფის დაქვემდებარებიდან გამოვიდნენ და სხვაგან გადაბარგდნენ... ნოღაელები ომით მოდიან და საზღვრისპირა ქალაქებს უტევენ, სოფლებს... და ბევრი ადამიანი ტყვედ მიჰყავთ. 13 თებერვალს, ხელმწიფევე, ეპისკოპოს ანდრიასთან ფედოტმა და მე, ვიტრაპეზეთ. როცა მაგიდასთან ვისხედით, ფედოტი, ხელმწიფეო, და ეპისკოპოსი ანდრია ერთმანეთს ქათმის უმ კვერცხებს ესროდნენ. მე კი, ხელმწიფეო, ფედოტს ვეუბნებოდი: გამოგზავნილი ხარ შენ, ფედოტ, ხელმწიფის საქმეზე და არა ეპისკოპოსთან კვერცხების სასროლად. 17 თებერვალს სოფელ ლეჯიქეში ჩავედით, ხოლო ბინად ჯგრირკოჩასთან დაგვაყენეს. იქ დიდმარხვის ორი კვირა, მარტის პირველ რიცხვამდე დავყავით; მთელი იმ დღეების განმავლობაში, როცა ფედოტი ჭამას დაიწყებდა, მაშინვე ქალებს, გოგოებს, ბიჭებს აიძულებდა მის წინ ეცეკვათ და ემღერათ. ეს ხდებოდა დიდმარხვის პირველ და მეორე კვირაში. მე კი, ხელმწიფეო, ფედოტს ვეუბნებოდი: ამ წმინდა დღეებში მართლმადიდებელი ქრისტიანენი მარხვასა და თავშეკავებას ეძლევიან და ღმერთს ლოცვებს აღუვლენენ, შენ კი, ფედოტ, უცხო ქვეყანაში უკეთურ საქმეებს სჩადიხარ და უწესობას ამყლავნებ. ფედოტი კი მეუბნებოდა: როგორც მინდა, ისე ვაკეთებ, შენს სიტყვებს კი არ ვისმენო. 1 მარტს კი, მე, შენი ხელმწიფობის ღმრთისადმი მლოცველი, ცისკრისა და პარაკლისის დროს ღმრთისმსახურებას ვასრულებდი; შენი, სრულიად რუსეთის ხელმწიფე მეფისა და დიდი მთავრის მიხეილ თევდორისძის კეთილდღეობისათვის, აგრეთვე კეთილმორწმუნე დედოფლისთვის და დიდი მთავრინას ევდოკია ლუკიანეს ასულისთვის(71), კეთილმსახურ უფლისწულ მთავარ ალექსი მიხეილის-ძისთვის(72) და კეთილმორწმუნე მეფის-ასულ მთავრინა ირინე მიხეილის ასულისათვის, კეთილმორწმუნე მეფისასულ ანა მიხეილის ასულისთვის, კეთილმორწმუნე მეფისასულ და დიდი მთავრინა ტატიანა

მიხეილის ასულისათვის(73) ღმერთს ვევედრებოდი; იმ დროს კი ფედოტთან ქოხში გლეხი, სახელად ჯგირკოჩი, ქალებთან და გოგოებთან ერთად თამაშობს და სიმღერებს მღერის. მე კი, ხელმწიფეო, ფედოტს ვეუბნებოდი... ქოხში შენ, ფედოტს, გებრძანა იცხოვრო, ხოლო გლეხი... ქალებთან ერთად შენთან თამაშობს და მღერის... რწმენას... შენ კი, ფედოტ... გამოვედით... [მოვიდა] სახელად მახუტია და თხოვდა ფედოტს, რომ მასზე, მახუტიაზე, ფედოტს მეფე ლევანისთვის ეთხოვა; მახუტიამ კი ფედოტს უთხრა... მეფე ლევანმა ბრძანა მთელი ჩემი ქონების წართმევა. ფედოტმაც მეფე ლევანთან თხოვნა გაგზავნა და მახუტიას გამო სთხოვა; ფედოტის თხოვნით მეფე ლევანმა მახუტია შეიწყნარა. ფედოტმა ასევე მეფე ლევანთან გააგზავნა ჯგირკოჩი ჭადრ[აკის] სათხოვნელად... [რათა] მას, ფედოტს, თავშესაქცევი ჰქონოდა და მეფე ლევანმა ფედოტს ჭადრაკი გამოუგზავნა. მე კი, ხელმწიფეო, ფედოტს ვეუბნებოდი: აგზავნი შენ, ფედოტ, სათხოვარს მეფე ლევანთან მუხუტიასა და ჭადრაკის შესახებ, ეს კი შენ, ფედოტს, ნაბრძანები არა გაქვს. ჯერ შენ, ფედოტს, ხელმწიფის საქმეების მოგვარება გმართებს და მეფე ლევანთან თხოვნის გაგზავნა, რომ შენ ხელმწიფის სიგელით საელჩო შეხვედრაზე მიგიწვიოს და ხელმწიფის სიგელი შენგან, ფედოტისგან, მიიღოს; რომ შენ ნაბრძანები გაქვს, მეფე ლევანს ესაუბრო, მან შენ, ფედოტს, მოგისმინოს. 27 აპრილს, მეფე ლევანთან საელჩო შეხვედრაზე მივიდა, ხოლო შენი, ხელმწიფის, სიგელის თან წამოღება ფედოტმა თარჯიმან ოსიპს უბრძანა; მე კი, ხელმწიფეო, ფედოტს ვეუბნებოდი: ხელმწიფის სიგელის წამოღება გმართებს შენ, ფედოტ; ფედოტმა კი შენი ხელმწიფებრივი სიგელი არ წამოიღო. როგორც კი, ხელმწიფეო, მეფე ლევანთან საელჩო შეხვედრაზე მივედით და ფედოტმა შენი, ხელმწიფებრივი, სიგელი.... [გამოართვა] თარჯიმანს და ხელის სამთხვევად, ხელმწიფეო, მეფე ლევანთან... მე და ოსიპ თარჯიმანს და კაცს... გრიგორიევს, ხოლო იმ კაცს..., გრიგორიევს, პოდიაჩი უწოდა; ფედოტი კი შენი... სიგელით მეფე ლევანის ხელზე სამთხვევად თავისი კაცის ივაშკა გრიგორიევის მერე მიდიოდა. მე კი, ხელმწიფეო, შენი ღვთისადმი მლოცველი, ფედოტს ვეუბნებოდი: შენ, ფედოტს, ხელმწიფებრივი სიგელით წინ წასვლა გმართებს, ჩვენ კი - შენს უკან, ხოლო შენს კაცს მეფის ხელთან მიახლება საერთოდ არ შეეფერება. ფედოტმა კი,

ხელმწიფეო, დიდი რისხვითა და სიმკაცრით მომიგო: როგორც გიბრძანებენ, ისე გააკეთეო. 5 მაისს ანდრია ეპისკოპოსთან ფედოტმა და მე, შენმა ღმრთისადმი მლოცველმა, ვიტრაპეზეთ. სმა-ჭამისას, ხელმწიფეო, ფედოტმა თავისი გარდაცვლილი მშობლები მოიხსენია, მე კი, ხელმწიფეო, ფედოტს ვეუბნებოდი: რუსეთის სახელმწიფოში მართლმადიდებელი ქრისტიანენი დღევანდელ დღეს პანაშვიდს არ იხდიან და საკურთხი მშობლებისთვის ეკლესიაში არ მიაქვთ, არამედ დღევანდელ დღეს ღმერთს ევედრებიან სრულიად რუსეთის ხელმწიფე მეფისა და დიდი მთავრის მიხეილ თევდორეს-ძის კეთილდღეობისათვის, აგრეთვე კეთილმორწმუნე დედოფლისა და დიდი მთავრინა ევდოკია ლუკიანეს ასულისთვის, კეთილმსახურ უფლისწულ მთავარ ალექსეი მიხეილის-ძისთვის, კეთილმორწმუნე მეფისასულ და დიდი მთავრინა ირინე მიხეილის ასულისათვის, კეთილმორწმუნე მეფისასულ და დიდი მთავრინა ანა მიხეილის ასულისათვის, კეთილმორწმუნე მეფისასულ და დიდი მთავრინა ტატიანა მიხეილის ასულისათვის (კომენტ.72,73-ჯ.გ). დღეს კეთილმორწმუნე მეფისასულ და დიდი მთავრინა ირინე მიხეილის ასულის ანგელოზის დღეა(74). ფედოტმა კი, ხელმწიფეო, თქვა: ვის როგორც სურს, ისე გააკეთოსო; მე კი როგორც მინდა, ისე, ჩემებურად ვაკეთებო. მე კი, ხელმწიფეო, შენთვის ღმრთისადმი მლოცველი, ღმერთს შევსთხოვდი შენი, სრულიად რუსეთის დიდი ხელმწიფე მეფისა და დიდი მთავრის მიხეილ თევდორეს-ძის კეთილდღეობისათვის, კეთილმორწმუნე დედოფლისა და დიდი მთავრინა ევდოკია ლუკიანეს ასულისათვის, შენი კეთილშობილი შვილებისათვის - კეთილმსახურ მეფისწულ მთავარ ალექსი მიხეილის–ძისთვის, კეთილმორწმუნე მეფისასულ და დიდი მთავრინა ირინე მიხეილის ასულისათვის.... და დიდი მთავრინა ანნა მი[ხეილის ასულისათვის]..., მეფისასულ დიდი მთავრინა [ტატიანა მიხეილის ასულისათვის]... (კომენტ.72,73-ჯ.გ). იმ..... დროს ფედოტმა მე, [შენთვის] ღმრთისადმი მლოცველს, [მიყვ] ირა..: რისთვის დგები, ჩვენ ჯდომას [გვიშლიო]... ფედოტი კი იმ დროს შენთვის, სრულიად რუსეთის დიდი ხელმწიფე მეფისა და დიდი მთავრის მიხეილ თევდორეს-ძის, შენი სამეფო სახელისა და მრავალჟამიერ ჯანმრთელობისათვის არ წამოდგა და ქუდი არ მოიხადა. 12 ივნისს ალეგუკას ყაბარდოში ფედოტთან ჩერქეზი კაცები და ქალები ლოცვების შესახებ თხოვნით მოვიდნენ, რომ მათთვის ფედოტს ლოცვები დაეწერა. ფედოტმა კი თავის კაცს

ივაშკა გრიგორიევს უბრძანა ლოცვები დაეწერა, რა ლოცვაც მითითებულია ავადმყოფებისათვის, ქაღალდს კი სვეტებად ხევდა... მთლიანად და იმ სვეტებს ადამიანის ზომამდე წებავდა... მისი, ფედოტის, კაცი ივაშკა გრიგორიევი ნაბრძანებ ლოცვებს წერდა... მათ ქალებს და ბავშვებს [აძლევდა]... ჭამდნენ და..., კაზაკი ალექსანდრე ფედოტისგან წავიდა. მე კი, ხელმწიფეო, შენი ღმრთისადმი მლოცველი, საქმის კურსში არა ვარ, სად გაუშვა ფედოტმა ის კაზაკი. მე, ხელმწიფეო, ფედოტს ვეუბნებოდი: ის კაზაკი მოსკოვში დაბრუნებამდე მეფის ბრძანების გარეშე არ გაუშვა, იმიტომ, რომ იმ კაზაკს ხელმწიფის საქმე აწევს კისერზე. მან კი, ფედოტმა, თავისი ხალხი, რომლებიც მასთან ერთად სადადიანოს ქვეყანაში იყვნენ, რუსეთში როგორც კი გამოიყვანა, მაშინვე თავიდან მოიცილა. სრულიად რუსეთის გულმოწყალე ხელმწიფე მეფეო და დიდო მთავარო მიხეილ თევდორეს-ძევ! შემიწყალე მე, შენი ღმრთისადმი მლოცველი, უბრძანე, ხელმწიფეო,.... ფედოტს ის კაზაკი ალექსანდრე, რომელიც თერგიდან შენი ხელმწიფებრივი ბრძანების გარეშე წაიყვანა და მისი, ფედოტის... რომელი ხალხიც იყო მასთან, ფედოტთან, ერთად სადადიანოს ქვეყანაში... შენთან, დიდ ხელმწიფესთან დააყენონ, თხოვნა კი... ღიად უბრძანე, ჩაიწერონ. მეფე ხელმწიფევ, მიწყალობე!

დიაკებმა პავლე მღვდლის იმ წერილისა და ღია საჩივრის მიხედვით ფედოტ ელჩინი ყველა მუხლის შესახებ ცალ-ცალკე გამოკითხეს, ხოლო რაც პავლე მღვდლის წერილში და განცხადებაში წერია და რაც რომელიმე მუხლის წინააღმდეგ ფედოტმა თქვა, ეს ყველაფერი ამ საქმეში, სახელდობრ, მუხლების მიხედვით ცალ-ცალკე წერია. მღვდელ პავლეს წერილში და ღია საჩივარში წერია, [რომ] სადადიანოს ქვეყანაში და სვანეთში...[კაზაკი ალექსანდრე ივანოვი ჩერქეზ]თა ყაბაკებში სმოლენსკის სამსახურის, ხელმწიფის მეფესთან მშვიდობისა და ყირიმის ლაშქრობის (კომენტარი 37,40 - ჯ.გ.) შესახებ უწესო სიტყვებს ამბობდა. მან კი [ფედოტმა] ეს არ იცის და იმ ადგილების შესახებ პავლე მღვდლისაგან არაფერი სმენია. არც კი იფიქრებდა, თურმე, იგი, ფედოტი, იმ კაზაკისგან რაიმე ქურდობას, იმიტომ, რომ ის, ალექსანდრე კი, წარმოშობით ბაშიაჩუკის (იმერეთის-ჯ.გ) ქვეყნიდანაა და ყუმიკეთში ტყვედ იყო, ყუმიკეთიდან კი თერგს გაღმა მდებარე კაზაკთა დასახლებებში გამოვიდა; კაზაკთა დასახლებებში ცხოვრობდა და მათი მოსვლისას... რუსეთში კი ის არ ყოფილა,

რუსული ენა არ იცის და უკვირს, ასეთი სახელმწიფო საქმეების შესახებ მას სად უნდა მოესმინა... იმას პავლე მღვდელი მასზე თხზავს... ის, პავლე მღვდელი მის შესახებო... ალექსანდრეს ასეთი უკანონო საქციელი... ფედოტი კი ამბობდა: ადამიანები, რომლებიც მასთან ერთად მოსკოვიდან გამგზავრებულან, ყველანი... ახალმონათლული თათრები იყვნენ და მას თურმე სადადიანოს ქვეყანაში მათი თან წაყვანა ვერ გადაუწყვეტია და თერგში მეგობრებთან დაუტოვებია. თავისთან კი უცხო ადამიანები წაუყვანია, რომლებიც მას, ფედოტს, გზაში შემოუერთდნენ და ის ხალხი გზაში ჩამორჩა - ერთი დონისკენ წავიდა, ხოლო მეორე... კანონის დარღვევისთვის ჩასვეს...[სარა]ტოვის ციხეში... პავლე მღვდელი ამბობდა: ცხენებისთვის კი არ გაჩერდა ყარაჩაიში, არამედ თავისი ვაჭრობისათვის, ხელმწიფის საქმეებისთვის კი არ ზრუნავდა... უნდა იმის გაშვებაც სამ დღეში... ფედოტმა თქვა: მურზებს ვერავინ უბრძანებს, როცა ისურვებენ, მაშინ გაუშვებენო.

წერილში და მღვდლის ღია საჩივარში წერია, რომ ფედოტმა მას, პავლე მღვდელს, მაუდი, დანები და არწივის კუდები ჩამოართვა, რომლებიც გზაზე გატარებისთვის პატივისაცემის ნიშნად მთავრებისა და მურზებისთვის მიუცია. მას კი, ფედოტს, იმ გასავლელი გზის ხარჯებისათვის სახელმწიფო ხაზინიდან ორმოცი სიასამურის ბეწვი, ჰქონია გამოყოფილი და მან, ფედოტმა, თითქოს ის ორმოცი ბეწვი თერგში გაყიდა; ყარაჩაიში კი, პოდიაჩი თევდორე ბაჟენოვი შეუძლოდ გამხდარა და ფედოტს პოდიაჩისთვის საჭმელ-სასმელის გაცემა აუკრძალავს და პოდიაჩი მოკვდა.

ფედოტი კი ამბობდა: მაუდი, დანები და არწივის კუდები მისთვის, პავლე მღვდლისათვის, მას არ ჩამოურთმევია. ამაში მას, ფედოტს, პავლე მღვდელი ცილს სწამებს.ჩგზის ხარჯებისთვის მასზე გაცემული იყო 30 მანეთის 40 სიასამურის ბეწვი, რათა მას გზაში გატარების სანაცვლოდ გასამრჯელოს სახით გასაცემი ჰქონოდა და სიასამურის ბეწვები გაეცა... ჩერქეზებს არა ხელი, არამედ წითელი ფერის უბრალო ბამბის ქსოვილი უყვართო... ბამბის ქსოვილი და ის იმისთვის[მისცა]... იგივე ფასი აიღო.....30 მანეთი... წითელი ფერის უბრალო ბამბის ქსოვილს... აბრეშუმით...

...[ურისტ]ამბეკს.....საჩუქრები კი მურზებთან, ჩერქეზებთან და მათ ცოლებთან მიიტანაო და ერთ ფერში მოქარგული ბამბის ქსოვილი, უბრალო ბამბის ქსოვილი, უხეში ირანული ბამბის ქსოვილი ვაჭრობაში შუამავლებს მისცაო. ხოლო ის, რომ, დადიოდა

რა საქეიფოდ, საჩუქრებს არიგებდა, ამაზე მუხლობრივ აღწერილობაში ჩაწერა, თითქოს ყველაფერი ეს გზაზე გატარებისათვის პატივისცემის ნიშნად მისცა.

ფედოტი კი ამბობდა: ხელმწიფის განაწესში მას, ფედოტს, იმის შესახებ ზუსტად უწერია; მას ნაბრძანები ჰქონდა სადადიანოს ქვეყანაში იმ გზით წასულიყო, რომელიც უფრო მშვიდობიანი და უხიფათო იქნებოდა. მან, ფედოტმა, კი სვანეთის გზით წასვლა ვერ გაბედა, რადგან ის მხარე ხელმწიფეს არ ემორჩილება. ხაპუკას ძმებმაც ოტოჟუკმა და კალისტანმა სვანეთის გზით იგი, თურმე, არ გაუშვეს, რადგან სვანეთი მათთან ომობდა. ხაპუკა კი იმ დროს ყაბაკებში არ ყოფილა, იყო აბაზაში... და საითკენაც ხაპუკას ძმებს იგი, ფედოტი, გაუშვიათ, ისიც იქით წასულა. ყარაჩაიში სავაჭროდ კი არ წასულა და ყარაჩაიში მას ვაჭრობა არ გაუმართავს, მაუდი, აბრეშუმი, ერთ ფერში მოქარგული ბამბის ქსოვილები და არავითარი რუსული საქონელი მას ყიზილბაშურ აბაზებზე და ოქროზე არ გაუყიდია და ვერცხლის... არ გადაუცვლია და შუამავლების[თვის]... არ მიუცია და მიცემაც....

სრულიად რუსეთის ხელმწიფე მეფესა და დიდ მთავარს მიხეილ თევდორეს-ძეს უმორჩილესად მოიკითხავს შენი ხელმწიფობის ღმრთისადმი მლოცველი გლახაკი, უმწეო მღვდელი პავლიშე. 147[1639] წელს შენი ღმრთისადმი მლოცველი ფედოტ ელჩინთან ერთად შენი, ხელმწიფებრივი, საქმეებისათვის სადადიანოს ქვეყანაში ვიყავი გაგზავნილი და როგორც კი, ხელმწიფეო, სადადიანოს ქვეყნიდან მოსკოვში დავბრუნდით, მე, ხელმწიფეო, საელჩო პრიკაზში ფედოტ ელჩინზე ღია საჩივარი შევიტანე შენი, ხელმწიფებრივი, საქმეების შესახებ. სათათბიროს დიაკმა თევდორე თევდორეს-ძემ ჩემი ღია საჩივრის თანახმად ფედოტი დაჰკითხა. ფედოტმა შენი, ხელმწიფებრივი, საქმეების შესახებ [ბრალდებები] უარყო, სხვა კი ვერ უარყო. რომელი საქმეებიც ფედოტმა უარყო, იმაზე მე, შენი ღმრთისადმი მლოცველი, ოსიპ თარჯიმანს და მის, ფედოტის, ხალხს, რომლებიც მასთან ერთად სადადიანოს ქვეყანაში იყვნენ - როდიო ოფანასიევსა და ივაშკა გრი[გორიევს] ვიმოწმებდი... მათ ხელმწიფის საქმეებში ჩემს საწინააღმდეგო... და თავისი ხალხი როდია ოფონასიევი... და ივაშკა [გრიგორიევი]..... [ფედოტს] არასგზით დაუმოწმებია და თერგიდან მან, ფედოტმა, კაზაკი ალექსანდრე სადადიანოს ქვეყანაში [წაიყვანა]. მანვე,

ფედოტმა, მეფე ლევანს მზარეულები სთხოვა და მეფე ლევანს ვაჭრობის, აგრეთვე ჭადრაკისა და სადადიანოს ხალხის შესახებ თხოვნები გაუგზავნა, სანამ საელჩო შეხვედრაზე იქნებოდა მასთან. როცა, ხელმწიფეო, ფედოტი მეფე ლევანთან საელჩო შეხვედრაზე მიდიოდა, მან, ფედოტმა, თავისი კაცი ივაშკა თავისზე წინ მეფე ლევანთან ხელზე სამთხვევად გაუშვა, ფედოტი კი თავისი კაცის ივაშკა გრიგორიევის შემდეგ მივიდა მეფე ლევანთან ხელზე სამთხვევად. ასევე, კეთილმორწმუნე მეფის ასულისა და დიდი მთავრინა ირინე მიხეილის ასულის სახელობის დღესასწაულზე (კომენტ. 74-ჯ.გ.) ფედოტმა თავისი გარდაცვლილი მშობლები მოიხსენია. ეს საქმეები, ხელმწიფეო, ფედოტს არ უარუყვია. ჩემი საჩივრის შემდეგ ფედოტმა ჩემზე, შენს ღმრთისადმი მლოცველზე, განცხადება შეიტანა, ის კი არ წერია, რომელ წელს და რა ადგილას. იმაში, ხელმწიფეო, რაც ფედოტს ჩემზე დაუწერია, ყველაფერში ოსიპ თარჯიმანს იმოწმებს, ხოლო ჩემი საჩივრის წინააღმდეგ არც ერთ საქმეში არ იმოწმებს. როგორც კი, ხელმწიფეო, თერგში მივედით, ფედოტის წინააღმდეგ საჩივრის გამო თავადმა ივანე ანდრიას-ძე ხილკოვმა მე, შენი ღმრთისადმი მლოცველი, თავისთან გამომიძახა და ფედოტის თხოვნით მითხრა, რომ ფედოტთან შევრიგებულიყავი. როგორც კი... ასტრახანიდან მოსკოვისკენ და ფედოტის თხოვნით... [ასტრახ]ანის სამების მონასტრის არქიმანდრიტი ვარლაამი მე მეუბ [ნება,რომ] ფედოტთან შევრიგებულიყავი. როცა სარატოვში მოვედით, თავადი ნიკიფორე ივანეს-ძე ბელოსელსკი და საელჩოს პრიკაზის პოდიაჩი ივანე ხანენევი მე მეუბნებოდნენ, რომ ფედოტთან შევრიგებულიყავი. თავადმა ნიკიფორე ივანეს-ძემ, ფედოტის ნათქვამი მითხრა: თქვი, რა გინდა ფედოტისგან აიღო და ფედოტი შენ მოგცემსო, ოღონდ ხელმწიფესთან ფედოტზე საჩივარი არ შეიტანოო. როგორ მეუბნებოდა მე თავადი ნიკიფორე ივანეს-ძე, რომ მე ფედოტთან შევრიგებულიყავი, ამის შესახებ იცის ვასილ შორინის(75) დისწულმა ანდრია ოლფერიევმა. როგორც კი, ხელმწიფეო, ნიჟნიში მივედით, ფედოტმა ნიჟნიში ჩემთან საფოსტო სადგურის პრიკაზჩიკი ნიკიტა ფეფილოვი, საფოსტო სადგურის სტაროსტა კლიმენტი მატვეევი და პოდიაჩი კირილე შემოაგზავნა; ფედოტის თხოვნით ისინი მეუბნებოდნენ, რომ ფედოტთან შევრიგებულიყავი. მე კი, ხელმწიფეო, ფედოტის მიერ თაღლითური გზით შემოთავაზებული ქრთამი არ მიმიღია და შენი ხელმწიფებრივი ბრძანების გარეშე ფედოტს არ ვურიგდე-

ბოდი. შენი, ხელმწიფებრივი, საქმეები კი არ დამიმალავს და ღია საჩივარი საელჩო პრიკაზში შევიტანე. მე, ხელმწიფეო, საჩივრის შესახებ ბრძანება არ მაქვს. მე კი, ხელმწიფეო, ეზო-ეზო მშიერი დავწანწალებ და სამარცხვინო სიკვდილით ვკვდები. გულმონყალე ხელმწიფეო და სრულიად რუსეთის დიდო მთავარო მიხეილ თევდორეს-ძევ! შემიწყალე მე, შენი ღმრთისადმი მლოცველი; ბრძანე, ხელმწიფეო, თავად ივანე ანდრიას-ძე ხილკოვის, თავად ნიკიფორე ივანეს-ძე ბელოსელსკის და ივანე ხანენევის, შენს, დიდი ხელმწიფის, წინაშე დაკითხვა შენი ხელმწიფობის წინაშე დაფიცებით, როგორც შენ, ხელმწიფეო, ფიცს გაძლევდნენ; აგრეთვე ბრძანე, ხელმწიფეო, სამების არქიმანდრიტი ვარლაამი სამღვდელო და სამონოზვნო აღთქმის ფიცით დაკითხონ იმის შესახებ, რომ ისინი მე მეუბნებოდნენ ფედოტთან შევრიგებულიყავი. უბრძანე, ხელმწიფეო, ფედოტმა თავისი ხალხი როდია და ივაშკა მოსკოვში საელჩო პრიკაზში მოიყვანოს და შენი, ხელმწიფებრივი, საქმეების შესახებ ჭფედოტის ხალხი დაკითხონ. უბრძანე, რომ ჩემზე, შენთვის ღმრთისადმი მლოცველზე, ბრძანება გაიცეს; უბრძანე, ხელმწიფეო, ჩემი ეს საჩივარი განსახილველად მიიღონ, რათა, ხელმწიფეო, მე, შენი ღმრთისადმი მლოცველი, ფედოტისგან ტყუილუბრალოდ შენი, ხელმწიფებრივი, საქმისთვის საბოლოოდ არ დავიღუპო, მშიერი და სამარცხვინო სიკვდილით არ მოვკვდე. მეფე ხელმწიფევ, მიწყალობე, გევედრები!

შენიშვნა: 149[1641] წლის 6 იანვარი. ხელმწიფემ ინება და ბრძანა, საქმე მისთვის, ხელმწიფისათვის, მოეხსენებინათ.

სრულიად რუსეთის ხელმწიფე მეფეს და დიდ მთავარს მიხეილ თევდორეს-ძეს უმორჩილესი თხოვნით მოგმართავს შენი ღმრთისადმი მლოცველი, ღატაკი უმწეო მღვდელი პავლიშე. გასულ 147[1639] წელს ხელმწიფეო, შენი ხელმწიფობის ბრძანებულებით ფედოტ ელჩინი და მე, შენი ღმრთისადმი მლოცველი, გაგზავნილ ვიქენით სადადიანოს ქვეყანაში შენი ხელმწიფებრივი საქმეების გამო. როცა, ხელმწიფეო, თერგიდან გავედით, ფედოტმა მდინარე ბისტრაიაზე ოსიპ მალოვის სტანიცის კაზაკთა დასახლებიდან სადადიანოს ქვეყანაში კაზაკი ალექსანდრე შენი ხელმწიფების ბრძანების გარეშე წამოიყვანა; ხოლო ის კაზაკი წარმოშობით საქართველოდან იყო. მე კი, ხელმწიფეო, ფედოტს ვეუბნებოდი: ის კაზაკი თან არ წამოიყვანო, რომ იმ კაზაკისაგან რაიმე უბედურე-

ბა არ დაგემართნოდა. როდესაც, ხელმწიფეო, სადადიანოს ქვეყანაში მივედით, იმ კაზაკმა შენს სამეფო დიდებულებაზე უკეთური სიტყვები ილაპარაკა: ხელმწიფემ სმოლენსკთან თავისი ბოიარინი და ვოევოდა მრავალრიცხოვანი ხალხით გააგზავნაო და სმოლენსკთან ახლოს ლიტვის მეფემ ხელმწიფის ხალხი დაამარცხაო, საბრძოლო იარაღები, დენთის საწყობი და მრავალი სხვა რამ მიიტაცაო, რის შემდეგაც ხელმწიფე მეფეს შეურიგდაო, მრავალი თავისი ქალაქი ხელმწიფემ მეფეს დაუთმოო (კომენტ. 40-ჯ.გ.); ყირიმელს კი ყოველწლიურად ხელმწიფე ძღვენს აძლევსო (კომენტ. 37-ჯ.გ.); ხოლო ნოღაელი მურზები თავიანთ ულუსებიანად ხელმწიფის დაქვემდებარებიდან გავიდნენ, სხვაგან მომთაბარეობენ და ყოველ წელს ხელმწიფის საზღვრისპირა ქალაქებს თავს ესხმიანო, დაბებსა და სოფლებს ცეცხლს უკიდებენ, ხალხს მრავლად ჩეხავენ და ტყვედაც მიჰყავთო; მთიული ხალხიც - ყუმიკები და ჩერქეზები თერგთან მდინარეებზე თევზჭერით დაკავებულებს, ლელქაშში ჩასაფრებულ მონადირეებს, აგრეთვე ყველანაირი რეწვით დაკავებულებს იჭერენ და ტყვედ მიჰყავთ. როდესაც, ხელმწიფეო, ყარაჩაიში მივედით, ყარაჩაიში ფედოტმა ვაჭრობა გააჩალა და ყველანაირ რუსულ საქონელს ყიდდა და ცვლიდა; მურზებთან და ჩერქეზებთან საქეიფოდ დადიოდა და საჩუქრები მიჰქონდა, თავისი ვაჭრობისა და ქეიფების მიზეზით ყარაჩაიში თხუთმეტი დღე ვიდექით. მე კი, შენს ღმრთისადმი მლოცველს, მაუდი და ყველანაირი საქონელი გამომართვა; ის ჩემი მაუდი და საქონელი ყარაჩაეველ მურზებსა და სვანეთის მფლობელებს გზის ჩვენებისთვის გასამრჯელოს სახით მისცა. მას კი, ფედოტს, სამგზავრო ხარჯებისთვის შენი, ხელმწიფებრივი, ხაზინიდან ორმოცი სიასამური მიეცა და ის ორმოცი სიასამურის ბეწვი თერგში გაყიდა; მუხლობრივ აღწერაში კი წერდა, თითქოს თვითონ, ფედოტი მფლობელებსა და მურზებს გასამრჯელოს სახით გზაზე გატარებისთვის ყველაფერს თავისას აძლევდა. როგორც კი, ხელმწიფეო, ყარაჩაიდან და სვანეთიდან სადადიანოს ქვეყანაში წავედით, ფედოტს შენი, ხელმწიფებრივი, სიგელი უკანალთან მიბმული მიჰქონდა და როგორც კი სადადიანოში მივედით... სოფელ ჯვარში შენი, ხელმწიფებრივი, საქმეების შესახებ წერა მე, შენს ღმრთისადმი მლოცველს, ფედოტმა ამიკრძალა და საშინელი მუქარითა და ცემით დამემუქრა. მე კი შენი, ხელმწიფებრივი, საქმეების შესახებ ფარულად ვწერდი. მეფე ლევანის სტოლნიკი მოგელი ფედოტს ეუბნე-

ბოდა: სურსათი როგორ გირჩევნია, ცხვრები და ღორები ცოცხლად თუ დაკლული მოგცეთო? ფედოტმა კი უთხრა: მეფე ლევანს მოელაპარაკე, რომ თავისი მზარეულები მომცეს, ვინც კერძებს მომიმზადებსო; მე კი ხალხი არა მყავს, არავინაა, ვინც მომიმზადებს და მომხედავსო. მეფე ლევანმაც ფედოტს თავისი მზარეულები გამოუგზავნა. ფედოტს მზარეულები ჰყავდა და საჭმელს უმზადებდნენ, სანამ ლევან მეფემ ფედოტი სადადიანოს ქვეყნიდან არ გამოუშვა. ფედოტი, ხელმწიფეო, რომელიც ჯერ საელჩო შეხვედრაზე არ იყო ნამყოფი მეფე ლევანთან და შენი, ხელმწიფებრივი, სიგელი წარდგენილი არ ჰქონდა, ვაჭრობის, ჭადრაკისა და დასჯილი ხალხის შესახებ მეფე ლევანს სთხოვდა და თხოვნებს უგზავნიდა; მეფე ლევანმა თავისი შერისხული ხალხი ფედოტის თხოვნით შეიწყალა და ფედოტს ჭადრაკიც გამოუგზავნა, რითაც ის, ფედოტი, თავს იქცევდა. ფედოტმა, ხელმწიფეო, თავის ხალხს უბრძანა ის მცველები გაელახათ, რომლებიც მეფე ლევანისგან მისი, ფედოტის, უსაფრთხოების დასაცავად იყვნენ გამოგზავნილნი; ის დარაჯები კი ფედოტის მხრიდან თავგასულობისა და ცემისგან პრისტავ მოგელთან გაიქცნენ. მოგელი კი ფედოტთან სამჯერ მოვიდა და ეუბნებოდა: რისთვის აცემინებ მცველებს? ფედოტი მოგელს შესთხოვდა: ამის შესახებ მეფე ლევანს არ მოახსენო, სიმთვრალით გავაკეთეო. როცა, ხელმწიფეო, ფედოტი მეფე ლევანთან საელჩო შეხვედრაზე მიდიოდა, შენი, ხელმწიფებრივი, სიგელის წამოღება თარჯიმან ოსიპს უბრძანა, ფედოტმა კი შენი, ხელმწიფებრივი, სიგელი არ წამოიღო. როცა მეფე ლევანის წინაშე წარვსდექით, მაშინ ფედოტმა შენი, ხელმწიფებრივი, სიგელი ოსიპ თარჯიმანს გამოართვა და მეფის ხელზე სამთხვევად, ხელმწიფეო, ფედოტმა თავისზე წინ თავისი კაცი ივაშკა გრიგორიევი გაუშვა, ფედოტი კი შენი, ხელმწიფებრივი, სიგელით მეფე ლევანს თავისი კაცის ივაშკა გრიგორიევის შემდგომ მიეახლა და იმ ივაშკას პოდიაჩი უწოდა. ხოლო კეთილმორწმუნე მეფის ასულისა და დიდი მთავრინა ირინე მიხეილის ასულის სახელობის დღესასწაულზე (კომენტ. 74-ჯ.გ.), სმა-ჭამისას ფედოტი თავის გარდაცვლილ მშობლებს იხსენიებდა. მე კი, ხელმწიფეო, შენი ღმრთისადმი მლოცველი, შენთვის, სრულიად რუსეთის დიდი ხელმწიფე მეფისა და დიდი მთავრის მიხეილ თევდორეს ძის და კეთილმორწმუნე დედოფლისა და დიდი მთავრინა ევდოკია ლუკიანეს ასულისა და შენი კეთილშობილი შვილების ჯანმრთ-

ელობისათვის ღმერთს შევსთხოვდი. მაშინაც კი, ხელმწიფეო, მე, შენს ღმრთისადმი მლოცველს, ფედოტმა დიდი მრისხანებითა და სიმკაცრით მიყვირა: რისთვის დგები, ჩვენ ჯდომას გვიშლიო? ფედოტი კი შენთვის, სრულიად რუსეთის დიდი ხელმწიფე მეფისა და დიდი მთავრის მიხეილ თევდორეს-ძისთვის, კეთილმორწმუნე დედოფლისა და დიდი მთავრინა ევდოკია ლუკიანეს ასულისათვის და შენი კეთილშობილი შვილებისათვის არ წამოდგა და ქუდი არ მოიხადა. როცა, ხელმწიფეო, სადადიანოს ქვეყნიდან მოვდიოდით და მუნდაროვის ყაბაკიდან გამოვედით, მდინარე თერგამდე ორი დღის სავალზე ფედოტმა ალექსანდრე კაზაკი გაუშვა. ის კი, ხელმწიფეო, არ ვიცი ფედოტმა ის კაზაკი თერგში, ყუმიკეთში, ჩერქეზეთში თუ სხვა მუსულმანურ ქვეყნებში გაუშვა. მე კი, ხელმწიფეო, ფედოტს ვეუბნებოდი, რომ ის კაზაკი მოსკოვში წამოეყვანა, რადგან იმ კაზაკს ხელმწიფის საქმე ევალება. როგორც კი, ხელმწიფეო, თერგში მივედით, ფედოტმა თავად ივანე ანდრიას-ძე ხილკოვს თხოვნით მიმართა, რათა მასთან შევერიგებინე; თავად ივანე ანდრიას-ძემ თავისთან დამიძახა და მითხრა, რომ ფედოტთან შევრიგებულიყავი, შენთვის კი, დიდი ხელმწიფისთვის, ფედოტის შესახებ არ მეცნობებინა და საჩივრით არ მომემართა. როცა ხელმწიფეო, ასტრახანიდან მოსკოვისკენ მოვდიოდით, ფედოტის თხოვნით, ასტრახანის სამების მონასტრის არქიმანდრიტმა ვარლამმა მითხრა, რომ ფედოტს შევრიგებოდი, შენთვის კი, დიდი ხელმწიფისათვის, ფედოტზე შენი, ხელმწიფებრივი, საქმის შესახებ არ მომემართა. როცა ხელმწიფეო, სარატოვში ჩავედით, ფედოტის თხოვნით თავად ნიკიფორე ივანეს-ძე ბელოსელსკიმ თავისთან გამომიძახა და იმის შესახებ მითხრა, რომ ფედოტს შევრიგებოდი, ხოლო შენთვის, დიდი ხელმწიფისათვის, ფედოტზე შენი, ხელმწიფებრივი, საქმეების შესახებ არ მომეხსენიებინა. მანვე, ფედოტმა, საელჩო პრიკაზის პოდიაჩი ივანე ხანენევი მომიგზავნა, რომ მე ფედოტს შევრიგებოდი. როცა ნიჟნიში მივედით, ფედოტმა ნიჟეგოროდსკის საფოსტო სადგურის პრიკაზჩიკი ნიკიტა ფეფილოვი, საფოსტო სადგურის პოდიაჩი კირილე და უფროსი კლიმ მატვეევი მომიგზავნა; ისინი მეუბნებოდნენ, რომ ფედოტს შევრიგებოდი. ფედოტისვე თხოვნით, თავადი ნიკიფორე ივანეს-ძე მეუბნებოდა, რომ რაც მოგიხერხდება ფედოტისგან აიღე, ხელმწიფეს კი ფედოტზე საჩივრით ნუ მიმართავო. ეს ამბავი იცის ვასილ შორინის ძმისწულმა, ანდრია ოლფ-

ერიევმა. მე, ხელმწიფეო, ფედოტის მიერ თაღლითური გზით შემოთავაზებული ქრთამი არ მიმიღია, შენი, ხელმწიფებრივი, საქმეები არ დამიმალავს და ღია საჩივარი ფედოტზე საელჩო პრიკაზში შევიტანე. ჩემი ღია საჩივრის თანახმად, ხელმწიფეო, თევდორე თევდორეს-ძემ ფედოტი შენი, ხელმწიფებრივი, საქმეების შესახებ დაჰკითხა, თუ რომელი კაზაკი ჰყავდა შენი სამეფო ბრძანების გარეშე თერგიდან სადადიანოს ქვეყანაში წაყვანილი; იმის შესახებ, რომ მეფე ლევანთან საელჩო შეხვედრამდე, მზარეულებს ითხოვდა, აგრეთვე ვაჭრობის, ჭადრაკისა და დასჯილი ხალხის შესახებ მეფე ლევანთან თხოვნებს აგზავნიდა და მეფე ლევანთან ხელზე სამთხვევად ფედოტი თავისი კაცის ივაშკა გრიგორიევის შემდგომ მივიდა; აგრეთვე კეთილმორწმუნე მეფის ასულისა და დიდი მთავრინა ირინე მიხეილის ასულის სახელობის დღესასწაულზე (კომენტ. 74- ჯ.გ.) თავის გარდაცვლილ მშობლებს რომ იხსენიებდა, - და ყველა ეს საქმე ფედოტს არ უარუყვია; ხოლო ყველა იმ ხელმწიფის საქმის შესახებ, რომლებიც ფედოტმა უარყო, მე, შენი ღმრთისადმი მლოცველი, მოწმეებად ოსიპ თარჯიმანს და ფედოტის ხალხს როდია ოფანასიევს და ივაშკა გრიგორიევს ვასახელებდი, რომლებიც მასთან, ფედოტთან, ერთად სადადიანოს ქვეყანაში იყვნენ. ფედოტი კი ჩემი ღია განცხადების საწინააღმდეგოდ ოსიპ თარჯიმანს და სხვა თავის ხალხს არც ერთ საქმეში მოწმეებად არ ასახელებს. ხოლო თევდორე თევდორეს-ძის წინაშე ფედოტმა თქვა: მე ჩემი ხალხი როდია ოფანასიევი ასტრახანიდან დონისა და აზოვისაკენ გავუშვიო, ივაშკა გრიგორიევი კი - სარატოვისკენო. ის კი, ხელმწიფეო, არ არის ცნობილი, თავიდან მოიშორა ისინი ფედოტმა თუ თავისი ანგარებისათვის გაუშვა სადმე, ან იქნებ იცოდა რა, რომ ხელმწიფებრივი საქმეებისათვის პასუხს მოსთხოვდნენ, ზედმეტი ენები მოიშორა და სხვა გემზე გადასვა. მერე კი, ხელმწიფეო, ჩემი საჩივრის შემდგომ, ფედოტმა ჩემზე, შენ ღმრთისადმი მლოცველზე, წერილი შეიტანა. ის კი, ხელმწიფეო, არ წერია - რომელ წელს და სად. რაც, ხელმწიფეო, ფედოტს ჩემზე აქვს დაწერილი, იმაში, ყველაფერში ფედოტი ოსიპ თარჯიმანს იმოწმებს, ხოლო ჩემი ღია განცხადების წინააღმდეგ ფედოტი ოსიპ თარჯიმანსა და თავის ხალხს არც ერთ საქმეში არ იმოწმებს. ხოლო ის, რაც, ხელმწიფეო, ამ საჩივარში შენი, ხელმწიფებრივი, საქმეების შესახებ არ წერია და რაც... ხელმწიფებრივი საქმეები შენი, ხელმწიფებრივი, ბრძანების გარეშე... რომელ

თვეში და რომელ რიცხვში, ყველაფერი წერია ღია განცხადებაში, რომელიც, ხელმწიფეო, შეტანილია საელჩო პრიკაზში. ამჟამად კი, ხელმწიფეო, იმ საქმეებისათვის, ფედოტს დანიშნული აქვს დიდი სარჩო - სამ-სამი მანეთი თვეში; მე კი, ხელმწიფეო, სირცხვილისა და შიმშილისაგან ვკვდები მშიერი სიკვდილით. შენ, დიდ ხელმწიფეს, მოგმართე თხოვნით და სათხოვარი შევიტანე დახმარების შესახებ თქვენი ბრძანების გასაცემად ქრისტესშობაზე, ნათლისღებაზე, კეთილმორწმუნე მეფის ასულისა და დიდი მთავრინა ტატიანა მიხეილის ასულის სახელობის დღესასწაულზე (76), შემოწირულობისათვის და დიდი სასწაულთმოქმედის ალექსი მიტროპოლიტის ხსენების დღისთვის (კომენტ. 156-ჯ.გ.), მაგრამ მე, ხელმწიფეო, შენს ღმრთისადმი მლოცველს, არავითარი ხელმწიფებრივი განკარგულება არ მიმიღია და არც ჩემი საჩივრებისა ვიცი რაიმე. ის კი, ხელმწიფეო, არ ვიცი, იქნებ ვინმე ფედოტის წაქეზებით იმ საჩივრებს მალავს, ან იქნებ ფედოტს აძლევს და მისგან ძღვენს იღებს. ხელმწიფეო, გლახაკი ვარ და პატარა ქოხიც კი არ გამაჩნია, მდგურადაც რომ დავდგე - მისაცემი არაფერი მაქვს. ხოლო მწირად კარდაკარ რომ ვიარო, მეშინია ფედოტი მუქარით, თავგასულობითა და ცემით არ გამიმასპინძლდეს. სრულიად რუსეთის გულმოწყალე ხელმწიფე მეფეო და დიდო მთავარო მიხეილ თევდორეს-ძევ! გამოიჩინე წყალობა ჩემდამი, შენი ღმრთისადმი მლოცველისადმი, უბრძანე, ხელმწიფეო, რომ თავადი ივანე ანდრიას-ძე ხილკოვი და თავადი ნიკიფორე ივანეს-ძე ბელოსელსკი, პოდიაჩი ივანე ხანენევი, ნიჟეგოროდსკის საფოსტო სადგურის პრიკაზჩიკი ნიკიტა ფეფილოვი, პოდიაჩი კირილე და უფროსი კლიმი დაჰკითხონ შენი ხელმწიფობის წინაშე დაფიცებით, როგორც შენ, ხელმწიფეს, ფიცს გაძლევდნენ; აგრეთვე ასტრახანის სამების არქიმანდრიტი ვარლაამიც თავისი სამღვდელო და სამონოზვნო ფიცით, იმის თაობაზე, რომ ისინი მე მეუბნებოდნენ, ფედოტს შევრიგებოდი, შენთვის კი, დიდი ხელმწიფისათვის, საჩივრით არ მომემართა. უბრძანე, ხელმწიფეო, ფედოტმა თავისი ხალხი როდია და ივაშკა შენს, დიდი ხელმწიფის, წინაშე წარმოადგინოს და შენი, ხელმწიფებრივი, საქმეების შესახებ ბრძანე, ისინი დაჰკითხონ; ჩემი ღია საჩივარი, რომელიც საელჩო პრიკაზშია შეტანილი, უბრძანე შენს, ხელმწიფის, წინაშე წარმოადგინონ; ჩემს, ღმრთისადმი შენზე მლოცველის, საქმესთან დაკავშირებით, უბრძანე, ხელმწიფეო, გაიცეს ბრძანება, რაცია,

ხელმწიფეო, ფედოტისგან ტყუილუბრალოდ და საბოლოოდ არ დავიღუპო და მისი, ფედოტის, მუქარისა და თავგასულობის შედეგად მშიერი და სამარცხვინო სიკვდილით არ მოვკვდე. მეფეო, ხელმწიფეო, მიწყალობე, კეთილინებე!

შენიშვნა: 149[1641] წლის 27 თებერვალს ხელმწიფემ კეთილინება და სათათბიროს დიაკს თევდორე ლიხაჩევს ამხანაგებთან ერთად უბრძანა, წინამდებარე საჩივრის საფუძველზე გამოძიება წარმართონ და ...., ისინი დაკითხონ და გამოკითხვა ჩაატარონ იმ ხალხის დაპირისპირებით და ყველაფერ ამის შესახებ ებრძანათ, რომ მოახსენონ პირადად ხელმწიფეს.

2 მარტს პავლე მღვდელმა შემოიტანა. ხელმწიფის ბრძანებულების თანახმად საქმე მიღებულ და გამოძიებულ იქნეს.

15. ფედოტ ელჩინის მუხლობრივი აღწერილობა (იქვე. საქ. №4. 1639 წლის მაისი-1640 წლის აგვისტო)

7147[1639] წლის 29 მაისს სრულიად რუსეთის ხელმწიფე მეფისა და დიდი მთავრის მიხეილ თევდორეს-ძის ბრძანებულებით[1] ხელმწიფემ ფედოტ ელჩინს[2] და მასთან პავლე მღვდელსა და პოდიაჩ ფედკა ბაჟენოვს უბრძანა, თავისი[3] ხელმწიფის სამსახურისთვის სადადიანოს ქვეყანაში[4] წასულიყვნენ.

29 მაისს მეფესთან მიახლებულნი ვიყავით. მოსკოვიდან 2 ივნისს გაგვიშვეს. კოლომნაში(77) 6 ივნისს ჩავედით. იმავე დღეს გაგვიშვეს.

რიაზანის პერესლავში 8 ივნისს ჩავედით. პერესლავიდან 10 ივნისს გაგვიშვეს[5].

კასიმოვში (კომენტ.17-ჯ.გ.) 13 ივნისს ჩავედით. 14 ივნისს

---

1. სხვა გასწორებულ ტექსტში: ბრძანებულებით ნაბრძანებია, წავიდნენ.
2. მისი, ხელმწიფის, საქმისათვის.
3. მისი.
4. ხოლო, რა სახელმწიფო საქმისათვის იყო გაგზავნილი და სადადიანოს ქვეყანაში რისი გაკეთება ჰქონდა ნაბრძანები, ყველაფერი ეს მას, ფედოტს, კონკრეტულად აქვს ჩაწერილი ხელმწიფის განაწესში, და რაც ამ მგზავრობაში მას, ფედოტს, გადახდა, ესეც ყველაფერი მას ზუსტად აქვს დაწერილი ამ მუხლობრივ აღწერილობაში. 2 ივნისს სრულიად რუსეთის ხელმწიფე მეფისა და დიდი მთავრის მიხეილ თევდორეს ძისგან, მოსკოვიდან სადადიანოს ქვეყანაში ფედოტ ელჩინი, პავლე მღვდელი, პოდიაჩი ფედკა და თარჯიმანი ნავედით. მასთან, ფედოტთან და მის თანმხლებ პირებთან, ერთად მოსკოვიდან გაშვებულია სადადიანოს ელჩი გაბრიელი თავის კაცითურთ, კოლომნაში კი...
5. ორი დღე დავყავით იქ ნიჩბოსნების გამო...

გაგვიშვეს.

მურომში(78) 16 ივნისს ჩავედით. იმავე დღეს გაგვიშვეს.

ნიჟნიში(79) 18 ივნისს ჩავედით. ნიჟნიდან 21 ივნისს გაგვიშვეს. ჩგამცილებელი სტრელცების გამო გაგვაჩერეს[6].

კუზმოდემიანსკში(80) 22 ივნისს ჩავედით. იმავე დღეს გაგვიშვეს.

ყაზანში 24 ივნისს ჩავედით[7]. ყაზანიდან 3 ივლისს გაგვიშვეს[8].

ტეტიუშში(81) 6 ივლისს ჩავედით. ტეტიუშში ყიზილბაშელ ვაჭრებს 10 ივლისამდე ველოდეთ.

სამარაში 16 ივლისს ჩავედით. სამარიდან 18 ივლისს გაგვიშვეს.

სარატოვში 23 ივლისს ჩავედით. სარატოვიდან 24 ივლისს გაგვიშვეს.

ცარიცინში (ვოლგოგრადი - ჯ.გ) 28 ივლისს ჩავედით. ცარიცინიდან 30 ივლისს გაგვიშვეს.

ჩორნი იარში (კომენტ.31 - ჯ.გ.) 2 აგვისტოს ჩავედით. 3 აგვისტოს გაგვიშვეს.

ასტრახანში 7 აგვისტოს ჩავედით[9]. 19 აგვისტოს გაგვიშვეს.

თერგში 29 აგვისტოს ჩავედით[10]. თერგიდან 22 სექტემბერს გაგვიშვეს.

ალეგუკას ყაბარდოში 2 ოქტომბერს ჩავედით[11]. საჩუქრების დარიგებისას ხაპუკა მურზას ოთხი არშინი ინგლისური წითელი მაუდი და გერმანული დიდი მოვარაყებული სარკე გადაეცა. ატაჟუკ მურზას ოთხი არშინი ინგლისური წითელი მაუდი და გერ-

---

6. გაგვაჩერა ვოეეოდამ და დიაკმა.

7. ყაზანში 8 დღე ვიცხოვრეთ. ქარავანს და გაშვებას ველოდებოდით.

8. დიდი ქარავანით, ასტრახანში.

9. ცხენების საყიდლად ასტრახანში 12 დღე ვიცხოვრეთ; ცხენებს კი ჩვენი ფულით ეყიდულობდით, ხოლო როცა ცხენები ვიყიდეთ და სრულიად მზად ვიყავით, ცხენებიც მთით გავუშვით, ისინი კი ბოიარინმა და ვოეეოდამ იური ანდრიას ძე სიცკოიმ თანამემწეებთან ერთად 19 აგვისტოს გემით ზღვაზე გაუშვა. თერგში კი...

10. თერგში კი 3 კვირა-ნახევარი დავყავით იმიტომ, რომ თერგის იქით, იმ გზაზე, საითაც ჩვენ უნდა წავსულიყავით, პატარა ქალაქ ჩერლუნში, თერგიდან 2 დღის სავალზე, ყუმიკებმა თერგელი კაზაკები დაჩეხეს, რომლებიც მდინარე თერგზე ცხოვრობენ და ამ ცნობების გამო ვოეეოდა ივანე ანდრიას ძე ხილკოვმა თავის თანამემწეებთან ერთად მისი გაშვება ვერ გაბედეს; ხოლო როდესაც ის ამბავი მოძველდა, ისინიც თერგიდან ალეგუკას ყაბარდოში 22 სექტემბერს გაუშვეს და მათთან ერთად გამცილებელი სოტნიკი 20 კაცი თერგელი სტრელცებით. მაგრამ ალეგუკას:...

11. მაგრამ ალეგუკა ყაბარდოში არ დაგვხვდა; იგი აბაზებში იყო. ყაბაკებში კი მისი ძმები ხაპუკა და ატაჟუკა იყვნენ. მან, ფედოტმა, ხელმწიფის სიგელი, რომელიც გაგზავნილი იყო ალეგუკასთან მისი, ფედოტისა, და ფედოტის თანმხლებ პირთა გასაშვებად მურზებს - ხაპუკასა და ატაჟუკს მისცა. თავის მხრიდან პატიჟისცემის ნიშნად აჩუქა მათ 4-4 არშინი ინგლისური წითელი მაუდი...

მანული დიდი მოვარაყებული სარკე მიეცა. ალეგუკას ცოლს გერმანული დიდი მოვარაყებული სარკე[12] მიეცა. ხაპუკაის გამცილებლებს, მის უზდენ პშუკას თავისი ხალხით, რომლებმაც ყაბარდოდან ყარაჩაიში გაგვაცილეს, ორი არშინი წითელი ინგლისური მაუდი მიეცათ.

ყარაჩაის ყაბარდოში 13 ოქტომბერს მივედით[13]. ყარაჩაელ მთავრებს, ორ ძმას - ელბუზდუკსა და ელისტანს ოთხი არშინი წითელი ინგლისური მაუდი და რვა - ერთ ფერში მოქარგული ბამბის ქსოვილი გადაეცათ.

29 ოქტომბერს ალეგუკამ აბაზადან(82) თავისი უზდენი ურანბა გამოაგზავნა და ჩემგან, ფედოტისგან, მოითხოვა, ოთხი არშინი წითელი ინგლისური მაუდი[14] მიმეცა.

ყარაჩაიდან[15] 28 ოქტომბერს წავედით. წასვლისას ცხენები ყარაჩაიში დავტოვეთ,[16] ჩვენს შემდეგ კი ჩერქეზმა ხაპუკა მურზამ ცხენები თავისთან წაიყვანა.

სვანეთში სოფელ ვლეშქარაშში 1 ნოემბერს მივედით. ვლეშქარაშიდან 2 ნოემბერს წავედით.

იმავე დღეს ესკერში მივედით. იმათ საპალნე ყარაჩაევიდან მოჰქონდათ. საპალნედან ლაჟვარდისფერი ათი არშინი მაუდი, ორი დიდი გერმანული მოვარაყებული სარკე, თორმეტი დანა და უბრალო წითელი ფერის ბამბის ქსოვილი გამოიღეს. მათაც წამოღების საფასურად ორი არშინი მაუდი მიეცათ.

სვანეთიდან 9 ნოემბერს წავედით. სადადიანოს ქვეყანაში 13 ნოემბერს სოფელ ხუდონში მივედით. სვან გამცილებლებს, რომლებმაც სადადიანოს ქვეყანამდე გაგვაცილეს, ოთხი არშინი ინგლისური მაუდი, რვა გერმანული დანა და ოთხი სარკე მივეცით;

---

12. ხაპუკამ და ატაჟუკმა გაუშვეს ისინი ყარაჩაევის ყაბარდოში 6 ოქტომბერს, მათთან ერთად კი გამცილებლად თავისი უზდენი პშუკა გააგზავნა და მათ იმ უზდენს პატივისცემის ნიშნად გაცილებისათვის მისცეს...

13. და აჩვენეს ყარაჩაეველ მფლობელებს, ორ ძმას - ელბუზდუკსა და ელისტანს ხელმწიფის საგზაო სიგელი, პატივსაცემად კი მათ...

14. და მან, ალეგუკა რომ არ განერისხებინა, მის უზდენს ბარანბას 4 არშინი ინგლისური მაუდი მისცა. ყარაჩაის ყაბარდოში მოკვდა პოდიაჩი თეოდორე, რომელიც მასთან, ფედოტთან, ერთად მოსკოვიდან იყო გამოგზავნილი.

15. სვანეთში ფეხით თოვლიანი მთებით...

16. რადგან ცხენებით წასვლა შეუძლებელი იყო, გზა კი მშვიდობიანი გეჭირდებოდა. მთელი გზა მთებთან ახლოს და ფერდობებზე ვიარეთ. ხარახურის სატარებლად ყარაჩაეველი გლეხები დავიქირავეთ; ქირას კი, სვანეთამდე ტარებისთვის, ნახევარ არშინ ინგლისურ მაუდს ვაძლევდით.

ხოლო გვაცილებდა ურანკანელი მფლობელი ობეზისა(83).

18 ნოემბერს[17] მღვდელი გაბრიელი მოვიდა და ფედოტს უთხრა: ჩვენს მეფე ლევანს ჩემთან სიგელი გამოუგზავნია და სიგელი ფედოტის წინ წაიკითხა. სიგელში კი გაბრიელისადმი მეფე ლევან დადიანისგან წერია კეთილგანწყობა და საქებარი სიტყვები: მოხარული ვარო, გაბრიელ, რომ ასეთი შორეული ქვეყნიდან ღმერთმა ჩემთან მოგიყვანა. ასევე გამიხარდა, როცა გავიგე, რომ შენთან ერთად არის სრულიად რუსეთის თვითმპყრობლის, დიდი ხელმწიფე მეფისა და დიდი მთავრის მიხეილ თევდორეს ძის დესპანი და შენ მას ჩემგან თაყვანისცემა გადაეცი და გამოკითხე ჯანმრთელობის შესახებ - უვნებლად იმგზავრა თუ არა. ფედოტმა მისი მეფური სიტყვის საპასუხოდ მდაბლად თაყვანისცა[18].

21 ნოემბერს მეფე ლევან დადიანისგან ეპისკოპოსი ანდრია არქიმანდრიტ არტემონთან ერთად მოვიდა; ფედოტი და პავლე მღვდელი თავისთან სადილად მიიწვია. დასაპატიჟებლად კი მოსკოვში ელჩად ნამყოფი გაბრიელ მღვდელი მოვიდა და მასთან ერთად პრისტავი, რომელიც პირველი ღამისთევისას შეგვხვდა. მისი სახელია მანუილო. როცა მასთან მივედით, ვერცხლის მოოქროვილი ჯვარი ედგა, ჯვარზე კი ქრისტეს ჯვარცმაა გამოსახული, მარჯვენა მხარეს ღმრთისმშობლის ხატია, მარცხნივ კი - იოანე წინამორბედის(84), ხოლო თავთან მთავარანგელოზი მიქაელის, ფერხთით - იოანე ღმრთისმეტყველის(85). ჯვრის ქვეშ - ოთკუთხა საყრდენია, საყრდენის წინ, ძირთან - ღმრთისმშობლის ოდიგიტრია, მარჯვნივ - დიდმოწამე გიორგის(86), მარცხნივ კი - თევდორე სტრატილატის(87), საყრდენის უკანა მხარეს - მოწამე დიმიტრი თესალონიკელის(88) ხატებია; საყრდენი კვერთხზეა დამაგრებული. ჩვენ ჯვარს თაყვანი ვეცით, ეპისკოპოსისგან კურთხევა ავიღეთ და მასთან ერთად მაგიდასთან დავსხედით. ეპისკოპოსმა სრულიად რუსეთის ხელმწიფე მეფისა და დიდი მთავრის მიხეილ თევდორესძისა და მისი ხელმწიფებრივი მრავალჟამიერ ჯანმრთელობის შესახებ იკითხა. ფედოტმა უპასუხა: როცა მისი სამეფო უდიდებულესობისაგან წამოვედით, ღმრთის წყალობით ჩვენი ხელმწიფე და დიდი მთავარი მიხეილ თევდორეს ძე სრულიად რუსეთის თვითმპყრობელი და მრავალ სახელმწიფოთა ხელმწიფე და მფლობელი თავის, მეფის, დიდ და მეტად

17. ლევან მეფისგან მათთან აზნაური, რუსულად კი მეფის დვორიანინ, მოვიდა სიგელით და უბრძანა მას, მანუილს, მასთან პრისტავად ყოფილიყო; იმ სიგელს მღვდელი გაბრიელი, რომელიც მოსკოვში ელჩად იყო, მის, ფედოტის, წინაშე კითხულობდა.

18. ეს სიტყვა არ არის.

სახელოვან სახელმწიფოებში კეთილად და ჯანმრთელად იყო.

კვლავ შეგვეკითხა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ იოსაფის(89) შესახებ. ფედოტისავე სიტყვებია: როცა მე ხელმწიფის ბრძანებულებით მოსკოვიდან წამოვედი, დიდი მეუფე, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი უწმინდესი იოსაფი ღმრთის წყალობით ხელმწიფის საბრძანებელში ჯანმრთელად იყო.

23 ნოემბერს ჩვენთან ეპისკოპოსი და არქიმანდრიტი არტემონი მოვიდნენ და ჩამოსხდნენ. არქიმანდრიტმა დაიწყო საუბარი, გამოკითხა პავლე მღვდელი: რწმენა ჩვენ ერთი გვაქვს, ქრისტიანული, ოღონდ ღმერთმა სხვადასხვა ენები მოგვცა[19]. პავლე მღვდელმა და არქიმანდრიტმა დაიწყეს საუბარი, როგორ შექმნა უფალმა ცა და ქვეყანა, შემდეგ ადამიდან როგორ წამოვიდა შთამომავლობა და ვისგან ვინ იშვა. იქამდე მივიდა, რომ არქიმანდრიტმა თქვა: ენოქზე წინ ილია იყოო; პავლე მღვდელმა დაიწყო საუბარი: ენოქი წარღვნამდე იყო, ილია კი წარღვნიდან მრავალი წლის შემდეგო. ამის გამო მათ შორის კამათი დაიწყო, გადაჭრა კი ვერ შეძლეს და საუბარი შეწყვიტეს.

იმავე დღეს მწუხრზე ეპისკოპოს ანდრიასთან ვიყავით და ეპისკოპოსს დავუწყეთ გამოკითხვა. როცა მწუხრიდან ვბრუნდებოდით, კითხვებით იმავე საკითხებზე მისი გაღიზიანება დავიწყეთ, რათა კვლავ გვესაუბრა მასთან. ანდრია ეპისკოპოსმა გვითხრა: ვიცით ჩვენ თვითონ, რომ თქვენი ქრისტიანული სარწმუნოება მტკიცეა, ჩვენ კი ამჟამად დიდი გლოვა გვაქვს. ფედოტმა ჰკითხა: ასეთი რა გლოვა გაქვთ? ეპისკოპოსმა უთხრა: წარსულ 147[1639] წლის 1 ივნისს ჩვენი დედოფალი(90) აღესრულაო[20].

2 დეკემბერს მეფე ლევანისგან გაბრიელ მღვდელი მოვიდა და ფედოტს უთხრა: მეფე ლევანმა მიბრძანა შენი ჯანმრთელობა მოვიკითხოო[21].

---

19. და პავლე მღვდელი მასთან წიგნებიდან საუბრობდა. არქიმანდრიტი ყვებოდა ცისა და ქვეყნიერების შექმნაზე, ადამიდან დაწყებული რამდენი მოდგმა იყო, ვინ ვისგან იშვა, ილიასა და ენოქზე. საუბრით გაეშურნენ მწუხრზე სამლოცველოში. მწუხრის შემდეგ კი მათ ეპისკოპოსს გამოკითხვა დაუწყეს იმავე საკითხებზე, რათა მასთან საუბარი გაეგრძელებინათ. და ეპისკოპოსმა...

20. ამის შემდეგ დაიშალნენ.

21. ამის შემდეგ ანდრია ეპისკოპოსმა ფედოტისა და პავლე მღვდლის მონასტერებსა და წმინდა ადგილებში ტარება დაიწყო. მეფე ლევანთან კი ისინი დიდი ხნის განმავლობაში არ მიჰყავდათ იმიტომ, რომ მეფე ლევანმა თავისი დედოფლის გლოვის ნიშნად, წესჩვეულებისამებრ, სულ გაიპარსა - წვერი, ულვაში, წარბები, და მას არ შეეძლო ამ სახით მათ ჩვენებოდა; ამიტომაც ბრძანა, ისინი წმინდა ადგილებში მოეტარებინათ, რომ ამით დრო მოეგო, სანამ თმები გაეზრდებოდა. 3 დეკემბერს...

იმავე დღეს გაბრიელ მღვდელმა საუბარი დაიწყო: ჩვენ შობის მონასტერში ღმრთისადმი სალოცავად წავალთ, ღმრთის სიწმინდეებს დავათვალიერებთ და წმინდა ნაწილებს ნახავთო.

3 დეკემბერს კი ეპისკოპოსი ანდრია, ფედოტი და მღვდელი პავლე შობის მონასტერში წავედით, ღამეც იქ გავათიეთ. ცისკრის შემდეგ გვაჩვენეს ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ოდიგიტრიის ხატი კიოტში და ის ხატი კიოტიდან ამოიღეს; კიოტში, ხატის ქვეშ ბევრი წმინდანის ნაწილებია, სახელები კი ჩვენთვის არ უთქვამთ, რომელი წმინდანის ნაწილებია. სხვა ხატიც გვაჩვენეს კიოტით; კიოტს შესაწევი კარი აქვს, კიოტზე კი არის ბევრი წმინდანისა და მოწამის ვერცხლის გამოსახულება. იმ ხატის ქვეშ, იმავე კიოტში წვრილი ჭადრაკული უჯრედებია დატანებული და იმ უჯრედებში იმ წმინდანთა ნაწილები ჩანს, რომლებიც ხატებზეა გამოსახული, სახელები კი ისევ არ უთქვამთ. იმავე კიოტში ხატის უკან ჯვარია და, ამბობენ, რომ ის ჯვარი იმავე ჯვრისგან არის, რომელზედაც ქრისტე იყო გაკრულიო. იმ ჯვარში პატარ-პატარა წმინდა ნაწილებია ჩასმული. ტაძარში ხატები, დეისუსი და ადგილობრივი ხატები კი ვერცხლით არის მოჭედილი, მოოქროვილია და ირგვლივ მარგალიტებითაა შემკული. კედლების ხატწერა წესისამებრ არის, გუმბათზე კი საბაოთი ეხატა. საკურთხეველში ერთი სამეუფო კარი შედის, ჩრდილოეთის კარი კი არ არის. საყდარზე ხატი და ვერცხლით მოჭედილი დიდი ჯვარი დგას, ჯვრის გარშემო კი წმინდანებია გამოსახული. ტაძარში შესასვლელის მარცხენა მხარეს განთავსებული ეგვტერი ცარიელია, ხატები მასში არ არის. იმავე ეგვტერში დიდი ლოდი დევს, ლოდის შუაგულში რკინის რგოლია გამობმული; იმ ლოდის ქვეშ კი, ამბობენ, მღვიმეა, ხოლო იმ მღვიმეში, როგორც ამბობენ, წინა მეფეთა საფლავებია.

იმავე დღეს ყოვლადმოწყალე მაცხოვრის მონასტერში გავემგზავრეთ[22]. ეკლესიაში ხატები, დეისუსი და ადგილობრივი ხატები - ყველაფერი წესისსამებრაა, ჩარჩოები კი - ძალიან ძვირფასი. ადგილობრივი ხატის შუაში მაცხოვრის ხატია ამოტვიფრული; მათ იგი ამოიღეს და გვიჩვენეს. კიოტი შესაწევი კარითაა; იგი ორივე მხრიდან ვერცხლითაა მოჭედილი და მოოქროვილია. კიოტი გავხსენით[23]; მაცხოვრის ხატში ცხოველსმყოფელი ჯვარია ჩამაგრებული და, რო-

22. მონასტერში მრავალმოწყალე მაცხოვრის სახელობის ქვის ტაძარია. ეკლესიაში კი...
23. უკნიდან.

გორც ამბობენ, იმ ჯვრისგან არის, რომელზედაც ქრისტე გააკრესო; გვერდებზე მეფე კონსტანტინესა და მისი დედის- ელენეს(91) ხატებია დაწერილი. იმავე დაფაში წმინდანთა მცირე ზომის ნაწილებია ჩამაგრებული, რომელთა ბუდეების ქვემოთაც წარწერებია გაკეთებული. ამ წარწერების მიხედვით, ანდრია ეპისკოპოსმა გვითხრა, რომელ წმინდანებს ეკუთვნოდათ ისინი: წმ. ნაწილები კოზმასი და დამიანესი, წმ. ნაწილები აზარისა და მისაილისა, წმ. ნაწილები პანტელეიმონისა, წმ. ნაწილები დანიელ მესვეტესი და კვირიკესი, წმ. ნაწილები იოანე დამასკელისა, წმ. ნაწილები ბარბარე ქრისტესათვის წამებულისა, წმ. ნაწილები ანასტასიასი, ანასი, წმ. ნაწილები წმ. მოწამე ანნასი, წმ. ნაწილები წმ. მოწამე მარინესი, წმ. ნაწილები წმ. მოწამე თეკლასი, წმ. ნაწილები წმ. მოწამე ეკატერინესი, წმ. ნაწილები დიმიტრი თესალონიკელის, წმ. ნაწილები წმინდა მოწამე ხარლამპისა, წმ. ნაწილები ანდრია კრეტელისა, წმ. ნაწილები თეოდორე ტირონისა, წმ. ნაწილები გიორგი დიდმოწამისა, წმ. ნაწილები გრიგოლ ღვთისმეტყველისა, წმ. ნაწილები წმ. მათე მოციქულისა, წმ. ნაწილები წმ. მოწამე პროკოფისა, წმ. ნაწილები დიდი სასწაულთმოქმედი ანტონისა და ყოვლადწმინდა ღმრთისმშობლის სამოსლის მცირე ნაწილი, ასევე იმ ღრუბლის პატარა ნაწილი, რომლითაც ჯვარზე გაკრულ ქრისტეს ღვარძლს ასმევდნენ. აგრეთვე, წმ. ნაწილები მოწამე კვიპრიანესი, წმ. ნაწილები მღვდელმოწამისა ვლასისა, წმ. ნაწილები იაკობ სპარსისა, წმ. ნაწილები თევდორე სტრატილატისა, წმ. ნაწილები იოანე მოწყალისა, წმ. ნაწილები ბასილი კესარიელისა, წმ. ნაწილები წმინდისა სასწაულთმოქმედისა ნიკოლოზისა, წმ. ნაწილები წმინდისა სპირიდონისა, წმ. ნაწილები მოციქულისა მათესი(92).

სამეუფეო კარის მარცხენა მხარეს პატარა სტოაა, სტოაში გვიჩვენეს წმინდა ნაწილები, ოღონდ წარწერები, თუ რომელი წმინდანებისაა ისინი, არ არის. ხატის ქვედა ნაწილში მარჯვენა მხარეს - პატარა სტოაა, სტოაში კი უფლის ნათლისმცემლის იოანეს ხელია. ჩვენ დავუწყეთ გამოკითხვა: საიდან არის ის ხელი ჩამობრძანებული და ვის მიერ? მათ გვითხრეს: ის ხელი იერუსალიმის პატრიარქმა ას სამოცდაათი წლის წინათ ჩამოაბრძანა, ხოლო პატრიარქის სახელი არ გვახსოვსო. ჩვენ სხვა წმინდა ნაწილებზეც ვეკითხებოდით, იქ რომ ეწერა. ისინი ამბობდნენ: ის წმინდა ნაწილები წინანდელი მეფეების დროს იერუსალიმიდან არის ჩამოტანილი; მატიანე კი ამის შესახებ არა გვაქვს, ხოლო

ზეპირად რომ გითხრათ, არ გვახსოვსო.

მეფე ლევან დადიანის მამის მანუჩარის [ნაქონი] ადგილობრივი ხატი ვედრება ვერცხლით არის მოჭედილი, მოოქროვილია და ქვაშია ჩასმული. მარცხენა მხარეს პატარა სტოა აქვს, სტოაში კი წმინდა ნაწილებია, ხოლო რომელი წმინდანებისაა, ამის აღმნიშვნელი წარწერები არ არის. მეფე ლევან დადიანის შეკვეთით გაკეთებული სახარება პერგამენტზეა დაწერილი, ორივე მხრიდან ვერცხლით, ოქროთი და მარგალიტებითაა გამშვენებული, ხოლო სახარების შიგნით წმინდანების ხატებია დაწერილი ოქროთი, ჯვარი კი იმ სახარებაზე არ იყო; მეორე სახარება გამოიტანეს სულ ოქროში, ერთი მხრიდან ქრისტეს ჯვარცმის გამოსახულებით.

3 დეკემბერს ეპისკოპოსი ჩვენგან წავიდა და მასთან ერთად გაბრიელ მღვდელიც.

იმავე დღეს მაცხოვრის მონასტრიდან ოთხი ვერსის მანძილზე სოფელ ჟახარში[24] გადაგვიყვანეს.

7 ნოემბერს(93) ოსიპმა თქვა: გურიის სამეფო სადადიანოს მეფეს ემორჩილება, მანამდე კი მას გურიელის მთავარი სვიმონი ფლობდა; მას ცოლად მეფე ლევანის და ჰყავდა. 148 [1639] წელს ის მთავარი სვიმონი მეფე ლევანმა დაატყვევა, მისი სამეფო დაიმორჩილა, მას კი თვალები ამოწვა, ერთი წელიწადი თავისთან საპყრობილეში ჰყავდა, შემდეგ იგი გაიქცა და მისი ადგილსამყოფელი დღემდე უცნობია(კომენტ. 10 - ჯ.გ.). ქართველ მეფეთა სამეფო კი თბილისია; ამჟამად მას შაჰი ფლობს, შაჰისგან კი ტახტზე ქართველი უფლისწული ზის, მისი სახელია როსტომი(კომენტ. 11 - ჯ.გ.)). ამჟამად მას მეფე ლევან დადიანმა ცოლად თავისი და შერთო.

12 დეკემბერს ლევან მეფემ ფედოტს მოსამსახურეებად ორი მეძაღლე გამოუგზავნა.

ახალ წელს ბასილის დღიდან (1 იანვრიდან-ჯ.გ.) იწყებენ. ფედოტთან ადრე დილიდან მოდიოდნენ მოსალოცად, მოჰქონდათ ბრინჯი[25], ბრინჯზე კი დეეს ყურძენი[26], კვერცხი[27], მოიტანეს შამ-

24. მათთან მოსამსახურედ მეფე ლევანმა ორი მეძაღლე გააგზავნა და უბრძანა მათ განკარგულებამდე იქ მდგარიყვნენ. ისინი იდგნენ 1 იანვრამდე საკვებად მათ სამზარეულოდან ფაფას და ხორცს დღეში ორჯერ აძლევდნენ, სასმელად კი ჭაჭის არაყი საკმარისად ჰქონდათ. პირველი იანვრიდან მათთან ახალი წელი იწყება და მათთან, ფედოტთან და პაელე მღვდელთან, პრისტავები ადრე დილიდან მოდიოდნენ...

25. მშრალი.

26. ყურძნის მტევანი.

27. ქათმის, აგრეთვე ეაშლი, შამფურზე შემწვარი ბეჭის ხორცი და ...

ფურზე აცმული ბეჭის ხორცი და ვაშლი; თითოეულ კაცს ხელში ყველანაირი ჯიშის ხილის ნაყოფით მორთული ტოტი ეჭირა და გვითხრეს: ჩვენთან ასეა მიღებული, დღეიდან ახალი წელი იწყებაო.

4 დეკემბერს[28](94) ლევან მეფემ აზნაური გამოგვიგზავნა, მისი სახელი ყოფილა თავეი, კუჩილიას გვარიდან[29]. ფედოტს მან უთხრა: მეფე ლევანმა ბრძანა, თქვენი ჯანმრთელობის ამბავი გამომეკითხა; ფედოტს ჰკითხა: ხომ არ მოიწყინეთ? ფედოტმა თქვა: ღმრთის მადლით, სრულიად რუსეთის დიდი ხელმწიფე მეფისა და დიდი მთავრის მიხეილ თევდორეს-ძისა და მეფე ლევან დადიანის ხელმწიფებრივი წყალობით მოწყენილი არ ვართ. მხოლოდ ერთი საზრუნავი გვაქვს - ის, რომ დიდი ხანია მეფე ლევანმა პირისპირ შეხვედრის ნებართვა არ მოგვცა[30], რათა სრულიად რუსეთის თვითმპყრობლის დიდი ხელმწიფე მეფისა და დიდი მთავრის მიხეილ თევდორეს-ძის ბრძანება შევასრულოთ. აზნაურმა კი თქვა: თქვენ რომ წყალობა არ მოგაკლდეთ, არ იჯავროთ - ამჟამად ჩვენს მეფე ლევანს დედოფლის გამო მწუხარება აქვს, ხოლო როგორც კი დრო ექნება, იგი უბრძანებს, რომ თქვენ მის წინაშე წარგადგინონ[31].

მეფე ლევანი კი თურქეთის მეფეს რვაას არშინ ქსოვილს, ოცდაათ-ორმოც სულ ტყვეს ხარკად აძლევს იმისთვის, რომ გემებმა სავაჭროდ იარონ. ხოლო რომელ წელსაც გემები არ მოვლენ, იმ წელიწადს მარილისა და რკინის უკმარისობა ექნებათ. ისინი ჩვენთან 144 [1636] წლიდან არ ყოფილან; ყველა ამბობს, რომ ისინი ჩვენთან გემებით იმიტომ არ დადიან, რომ კაზაკების ეშინიათ, იმ დროიდან ჩვენ მათ ხარკს არ ვუხდით.

31 იანვარს სოფელ ჟახარიდან წავედით, ღამის გასათევად კი სოფელ ბოჯში მივედით. ბოჯში კი ანდრია ეპისკოპოსს შევხვდით. 1 თებერვალს სოფელ კეძში ჩავედით, კეძიდან კი 2 თებერვალს სოფელ პუდცკურში (ფუწყურში - ჯ.გ.) წავედით. სოფელ ფუწყურში, მეფის სასახლის გვერდით, სვიმეონ ღმრთისმიმრქმელის სახელობის ხის ეკლესია დგას.[32]

5 თებერვალს მდინარე მორგულის ნაპირს შავი ზღვისკენ ცხ-

---

28. იანვარს.
29. მეფე ლევანისგან ფედოტის ჯანმრთელობა მოიკითხა და უთხრა, რომ არ დამწუხრებულიყო, ამის გამო, მათი მეფე ლევანი დიდხანს ვერ მიიღებდა მათ საელჩო შეხვედრაზე.
30. არ მოგვცემს.
31. კვლავ დაინყეს მათი მონასტრებში ტარება. 31 იანვარს გაემგზავრენ.
32. 6 თებერვალს.

ენებით გავყევით. ანდრია ეპისკოპოსი საუბრობდა და კარის ეკლესიის მღვდელმა გაბრიელმაც თქვა: არის ჩვენთან მდინარე რიონი. მოდიოდნენ[33] ჩვენთან კაზაკები, მდინარის შესართავთან დგებოდნენ, ჩვენი სამეფოს ხალხი გამოდიოდა და მათთან ვაჭრობდა. ეს გაიგო თურქეთის მეფემ, 16 კატარღა გამოგზავნა და კაზაკები გაანადგურეს. იმიტომაც განრისხდა[34] თურქეთის მეფე ლევან მეფეზე, რომ თქვენ რუსებთან ერთი ქრისტიანული რწმენა გაქვთ, ამის გამო კაზაკებთან ერთად ჩემს ქვეყანას აოხრებთო[35]. თუკი რუსებთან ერთად მოქმედებაზე უარს იტყვით, მაშინ მე ხალხს მოგცემ და მდინარეთა შესართავები ჩახერგე, რათა იმათ ნავთსაყუდელი არ ჰქონდეთო. ჩვენმა მეფე ლევანმა ეს არ მოისურვა. ის კი, თურქეთის მეფე, ამაზე განრისხდა, 145 [1637] წლის 18 მაისს კატარღები გამოგზავნა და [დრანდის] მონასტრის დარბევა - განიავება ბრძანა. მონასტერი კი ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ოდიგიტრიის სახელობისაა. ჩვენი მეფე ლევანი ამ დროს შინ არ იმყოფებოდა, ბაშიაჩუკთა მთავრის წინააღმდეგ საომრად იყო წასულიო. ჩვენს მეფე ლევანს კი ღმრთის, ასევე სრულიად რუსეთის თვითმპყრობელის დიდი ხელმწიფე მეფისა და დიდი მთავრის მიხეილ თევდორეს ძის თანადგომის იმედი აქვს. თუკი თანადგომა ჩვენს მეფე ლევანს ექნება, მას თვითონაც უნდა თურქეთის მეფეს შეეწინააღმდეგოს. ხელმწიფე მეფეს კაზაკებისთვის სხვა ადგილებზე სიარული რომ ებრძანებინა, მაშინ ჩვენი მეფე ლევანისთვის კაზაკების დახმარება მოსახერხებელი იქნებოდაო: როდესაც ისინი თურქეთის განაპირა ქალაქებს დალაშქრავდნენ, ხოლო თუ უკან დაბრუნებულებს თავს ქარბუქი დაატყდებოდათ, ან[36] ზღვაზე [თურქთა] კატარღების ფლოტილია დაედევნებოდა, მაშინ ისინი ჩვენს სამეფოს მოადგებოდნენ იქ, სადაც ჩვენი სამეფოს მდინარეები ზღვაში ჩაედინებიან და ჩვენი მეფე ლევანი მათ დაიცავდა. მაჰმადიანი ხალხების წინააღდეგ კი ერთად გავილაშქრებდითო(95).

6 თებერვალს ფედოტი და პავლე მღვდელი ეპისკოპოს ანდრიასთან ერთად [დრანდის] მონასტერში ვიყავითო. იმ მონასტერში ქვის ტაძარია ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ოდიგიტრიის სახელზე აგებული. იმ ტაძარში ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის

33. შავი ზღვით.
34. გაბრაზდა.
35. რუსებთან ერთად.
36. თურქების.

ოდიგიტრიის ადგილობრივი ხატია კიოტში, ხოლო მეორე მხარეს - ჯვარი ქრისტეს ჯვარცმით; იმ ჯვარში კი წმინდა ნაწილებია: ორი ხელის ძვალი იდაყვიდან მტევნამდე. ეპისკოპოსმა გვითხრა, რომ წმინდა ნაწილები წმინდა მოწამე ბარბარესი(96) არისო. გვაჩვენეს აგრეთვე ხატი კიოტში, იმ ხატზე ქრისტეს ჯვარცმაა დაწერილი; ჯვრის ფერხთით 6 მცირე ზომის სანაწილეში წმინდა ნაწილებია ჩასმული. ჩვენ ისინი გამოვკითხეთ იმ წმინდა ნაწილთა შესახებ: რამდენი ხანია ეს წმინდა ნაწილები თქვენთან, ვის მიერ არის ჩამობრძანებული და რომელ წმინდანებს ეკუთვნით? მათ გვითხრეს: მატიანეები, არა გვაქვს, რადგან თურქები მოვიდნენ, მონასტერი დაგვირბიეს და მატიანეები დაგვიწვესო. ზეპირად რომ გითხრათ, არ გვახსოვსო. იმავე დღეს სხვა გზით უკან დავბრუნდით. 7 თებერვალს ღამე სოფელ პშეხაპში გავათიეთ. 8 თებერვალს ღამე სოფელ კვიტოულში გავათიეთ. 9 თებერვალს მოქვის მონასტერში(97) ეპისკოპოსებთან ანდრიასთან და მაქსიმესთან(98) ერთად ვიყავით. ჩვენ, ფედოტსა და პავლე მღვდელს, გვიჩვენეს მოწამე არქიდიაკონ სტეფანეს(99) ორივე მრთელი ხელი, ფეხის ძვლები, აგრეთვე, ჯვარი იმ ჯვრისაგან, რომელზეც ქრისტე გააკრეს. ჩვენვე გვიჩვენეს მცირე ზომის ცალკეული სანაწილეები, რომლებშიც იყო წმინდა ნაწილები მოწამე ირინესი, წმინდა ნაწილები ღირსმოწამისა მელანიასი, წმინდა ნაწილები ღირსმოწამისა ევგენიასი, წმინდა ნაწილები მოწამისა ნიკიტასი, წმინდა ნაწილები მოწამისა მერკურის, წმინდა ნაწილები მოწამეთა პროვოსისა და ანდრონიკესი, წმინდა ნაწილები ღირსისა ლარიონისა, წმინდა ნაწილები ვლასისა, წმინდა ნაწილები წმინდა სასწაულთმოქმედისა ნიკოლოზისა, წმინდა ნაწილები ლაზარესი, წმინდა ნაწილები ამბროსი მედიოლანელისა, წმინდა ნაწილები ლუკა მახარებლისა, წმინდა ნაწილები მოწამისა ამბერკისა(100).

9 თებერვალს ფედოტი და პავლე მღვდელი [ილორის] წმ. გიორგის მონასტერში (კომენტ. 125-ჯ.გ.) ვიყავით, სადაც ეპისკოპოს ანდრიასთან ერთად მივედით. ეკლესიის შუაგულში სამეუფეო კარების წინ ტრაპეზი დგას, ტრაპეზზე კი - დიდი ჯვარი; ჯვარზე სასწაულმოქმედი დიდმოწამე გიორგის სასწაულები და ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ოდიგიტრიის ხატია გამოსახული; მეორე ხატზე კი - ქრისტეს დიდმოწამე გიორგი ჯვრით არის გამოსახული. მონასტრის ირგვლივ ქვის ზღუდეა ერთი ორსაგდულიანი

რკინის კარით. მოწამე გიორგის სასწაულების შესახებ ყვებოდნენ: 3 ნოემბერს ჩვენი მეფე ლევანი მის დღესასწაულზე მოსალოცად ჩამოდის და ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანი აქ იკრიბებაო. ღმრთის ნებით[37] ხდება, რომ აქ უჩუმრად ხარი მოჰყავთ და მეფე ლევანი იმ ხარის დაკვლასა და მართლმადიდებელი ქრისტიანებისათვის პატარ-პატარა ნაწილების დარიგებას ბრძანებს, ვისაც რა შეხვდებაო. ხოლო [ერთ] ბეჭს გურიელის მთავარს უგზავნის, მეორე ბეჭს კი - ბაშიაჩუკის მთავარს[38].

10 თებერვალს ჩვენ, ფედოტი და პავლე მღვდელი, [ბედიის] მონასტერში ვიყავით, სადაც ანდრია ეპისკოპოსთან ერთად გავემგზავრეთ. მონასტერი ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ოდიგიტრიის სახელობისაა, იმის გარკვევის საშუალება კი, ღმრთისმშობლის რომელი დღესასწაულის სახელობისაა, არ მოგვცეს; გვითხრეს - ღმრთისმშობელი ხომ ერთიაო. აქვე მონასტერში ანდრია ეპისკოპოსი შეიმოსა და მასთან ერთად - მღვდელიც. საკურთხევლიდან, საუფლო ტრაპეზიდან გამოიტანეს[39] თავივით მრგვალად შეკერილი შავი ხავერდის ტომარა. ხავერდზე კი ქრისტეს ჯვარცმაა ამოქარგული. ქრისტეს ჯვარცმის გვერდით ღმრთისმშობლის ხატია ამოქარგული, მეორე მხარეს - იოანე წინამორბედი; თავს უკან კი ჯვარია ამოქარგული, რომელიც მეფე კონსტანტინესა(101) და მის დედას, ელენეს, უკავიათ. ამაში მეფის ბეჭდის ქვეშ სამსჭვალები[40], თოკი, უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი[41] თმები და წვერები ინახებაო; ჩვენების უფლება კი მეფის გარეშე არ გვაქვს, მეფე თავად გაჩვენებთო(102). ეპიკისკოპოსს იმ მონასტერში ევტიქი ჰქვია.

---

37. იმ ღამით ხარი მიჰყავთ და ეკლესიის კარებთან ტოვებენ, მონასტრის კარიბჭე კი ამ დროს ჩაკეტილია და ძლიერი დაცვაც დგას. ის ხარი კი გაუგებარია, იქ საიდან ჩნდება. მეფე ლევანი ბოიარებთან და ყველა დამსწრე ხალხთან ერთად იმ ხარს თავად ათვალიერებს. თუ ხარი სველი იქნება და მასზე ბევრი სილა აღმოჩნდება, მაშინ იმ ნელინადს საკმაოდ ბევრი პური და ღვინო უნდა მოვიდეს. იმ ხარს...

38. იმ ხორცს მხოლოდ მამაკაცები ჭამენ, დედაკაცებს კი არ აძლევენ და თვით დედოფალსაც არ ჰქონდა ის ხორცი ნაჭამი. წინა წლებში კი თურმე ქრისტეს მონამე გიორგი თავის დღესასწაულზე ირემს აგზავნიდა; ეიღაც კაცს იმ ირმის ხორცი თავისი ცოლისთვის მიუცია საჭმელად და წმინდა გიორგიმ მათ ირმის მიცემა შეუწყვიტა და ხარის გამოგზავნა დაიწყო. მას შემდეგ ისინი მკაცრად ფრთხილობენ, რათა იმ ხორცს ქალი არ ეზიაროს, რომ ასეთი წყალობა საბოლოოდ არ დაკარგონ.

39. შაეი ხავერდის პატარა ტომარა, მასზე კი ამოქარგულია.

40. და კანაფის თოკი, რასაც ისინი გრეხილს უწოდებენ, რითაც უფალი ჩვენი იესო ქრისტე შეკრეს, და თმები.

41. ეს სინმინდენი მეფე ლევანმა წამოიღო, როცა მან ბაშიაჩუკთა ქვეყანა დაარბია. ბაშიაჩუკთა მთავარს კი საქართველოდან, მეფე თეიმურაზისგან შეხვედრია...

14 თებერვალს ეპისკოპოს ანდრიასთან [ცაიშის] სამების მონასტერში მივედით. მონასტრიდან 17 თებერვალს წამოვედით და სოფელ დეჯხიხში[42] მივედით.

23 მარტს (უნდა იყოს 23 თებერვალს - ჯ.გ.) ფედოტს მეფე ლევანის სასახლის ეკონომოსი დომენტი ესაუბრა: ჩვენი ცოდვებით მოვიწიეთ, რომ ჩვენ დედოფალი აღარ გვაყვსო. ხოლო სრულიად რუსეთის ხელმწიფე მეფისა და დიდი მთავრის მიხეილ თევდორესძის ხელმწიფებრივი წყალობის ძიება მისი, დედოფლის, განზრახვა იყო. მან უთხრა მეფე ლევანს, რომ გაეგზავნა ელჩი ხელმწიფის წყალობის გამოსათხოვად და მოსკოვის სახელმწიფოს სანახავად, მართლმადიდებელი ქრისტიანული რწმენის გამოსაკვლევად;[43] დონის კაზაკებისგან დიდი ზეწოლა აქვთ და მათ ქვეყანას არბევენო[44]; უნდათ ხელმწიფებრივი წყალობა მიიღონ, რომ კაზაკებმა მათთან არ იარონ და ზიანი არ მიაყენონ. მანვე[45] თქვა: ამჟამად ჩვენთან მეფე ლევანი დიდად დამწუხრებულია, შავი სამოსელით დადისო. მას შემდეგ, რაც დედოფალი გარდაიცვალა, იქიდან მოყოლებული მეფე არც თევზს, არც ხორცს, არც ყველს, არც კვერცხს, არაფერს უმარხულოს არ ჭამს. მეფე ლევანთან ახლობელი ხალხი შეიკრიბა და მღვდელმთავრები, ეუბნებოდნენ მას იმის შესახებ, რომ მწუხარება სიხარულით უნდა შეეცვალა, სამოსელი გამოეცვალა, დედოფალი კი პურითა და მარილით მოეგონებინა, უმარხო საჭმელი კი ეჭამა; ღმრთის ნებით, ხან ქმარს მოუკვდება ცოლი და ხან ცოლს - ქმარი, ამიტომ მწუხარებას სიხარული ენაცვლებაო. მანამდე კი მის მამას და ბაბუას ასეთი გლოვა არ ჰქონიათ. მან მწუხარების დატევებაზე იმათ უარი უთხრა: ის არავინ იცის, რაც მე გულზე მაქვსო; არ გეჩქარათ და ეს წლისთავის შემდეგ რომ გეთქვათ, მაშინაც ისე ვიტყოდი, როგორც ღმერთი ინებებდაო.

ლევან მეფეს მამა ჰყავდა - მანუჩარი, ირმის დევნით ერთობოდა, ცხენიდან ჩამოვარდა და ტრავმა მიიღო(103). სახლში იგი ცოცხალი მოიყვანეს. მას ძმა ჰყავდა, იური (გიორგი-ჯ.გ.); იგი თავისთან მიიწვია და დააფიცა, რომ სამეფოს თვითონ არ დაეუფლებოდა და მეფედ მის შვილს, ლევანს დასვამდა. მეფე ლევანი კი

42. 26 მარტს, ბაიაობის კვირას(106) მორდულში (მარტვილში - ჯ.გ.) ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის მონასტერში მივედით.
43. აგრეთვე იმისთვისაც, რომ.
44. დარბევა. მათ უნდათო ხელმწიფებრივი...
45. ამჟამად,კი მეფემო.

ყრმა იყო და უბრძანა მას ემეფა, სანამ მეფე ლევანი დავაჟკაცდებოდა. იგი სამართლიანად მოიქცა: როგორც კი მეფე ლევანი დავაჟკაცდა, იგი მეფედ დასვა. მან კი, როცა მეფე გახდა, თავის მკვიდრ ბიძას, იურის (გიორგის-ჯ.გ.) ცოლი წაართვა და იმ დროიდან, თურმე, ცოლად ჰყავს; ის კი ჯავრით გარდაიცვალა. მის ცოლს იმასთან ორი ვაჟი ჰყოლია - ერთი იური (გიორგი- ჯ.გ.)[46], მეორე კი მელხეი[47](ვამეყი-ჯ.გ.). ჩვენ ისინი მეფესთან ახლოს ვნახეთ. მეფე ლევანთან კი მას ორი ვაჟი და ორი ქალი ჰყავდა. ვაჟები ახლაც ცოცხლები არიან, ერთი ქალიშვილი კი გარდაიცვალა, მეორე კი გურიელის მთავარს - ვახტანგს(104) მიაბარა.

ანდრია ეპისკოპოსისაგან 17 თებერვალს წამოვედით და იმავე დღეს ლეჟიხის თემში მივედით (ეს წინადადება მეორდება - ჯ.გ.).

1 მარტს მეფე ლევანმა ყაბარდოში ალეგუკა მურზასთან საკუთარი უფროსი ვაჟიშვილის, ალექსანდრესთვის, მისი ქალიშვილის სათხოვნელად კუჩალიას გვარის აზნაური თავის ელჩად გააგზავნა, მისი სახელია თავეი.

23 მარტს ფედოტთან ყიზილბაში მოვიდა; მისი სახელია ბეისრიაკუმლი და ფედოტმა იგი გამოკითხა: დიდი ხანია აქა ხარ? მან უპასუხა: მე აქ 5 წელია ვარ, ყიზილბაშის ელჩთან ერთად მოვედიო. სპილოს მომვლელი ვიყავი, სპილო კი გასულ 146[1637] წელს მოკვდაო და მას შემდეგ მეფე ლევანი არ მიშვებს, თავისთან ვყავარო. იმიტომ არ მიშვებს, რომ როცა შაჰიდან სიგელი მოდის, მე ვკითხულობ, ხოლო როცა მეფე ლევანისგან არის რაიმე გზავნილი, მე ვწერო. ფედოტმა მას ჰკითხა: ბაღდადი ამჯერად ვის დარჩა, თურქეთის მეფეს თუ ყიზილბაშთა შაჰს? მან კი თქვა: თურქეთისას. თურქეთისამ როგორც კი ბაღდადი აიღო(105), მაშინვე ყიზილბაშთა შაჰს ელჩი გაუგზავნა იმის შესახებ, რატომ ეჩხუბობთო? ჩვენ ერთი მაჰმადიანური რწმენა გვაქვსო[48]. შაჰისა და თურქეთის მეფე მურად სულთანს შორის ზავის (კომენტ. 45-ჯ.გ.) თანახმად, ყიზილბაში მორწმუნენი, მათი მაჰმადიანური რწმენის თანახმად, ბაღდადში სიწმინდეების მოსალოცად უნდა დაეშვათ, შაჰი კი

46. 18 წლის, ხოლო

47. 16 წლის. უფლისწულ იურის (გიორგის-ჯ.გ.) ისინი გაუჩენია იმ თავის ცოლ ელენესთან, რომელიც მას მეფე ლევანმა წაართვა. მეფე ლევანს კი ორი ვაჟი ჰყავს; ერთს ალექსანდრე ჰქვია - 10 წლის, მეორეს მანუილი ჰქვია - 8 წლის, და ორი ქალიშვილი, ერთი გარდაიცვალა.

48. და მოილაპარაკეს, რომ ბაღდადში მოსალოცად დაუშვებდნენ ყიზილბაშელ აბიზებსაც. ყიზილბაშის შაჰს კი მისცემდნენ...

წელიწადში 300 საპალნე აბრეშუმის ნედლეულს მისცემდა[49]. ამით მათ შორის მშვიდობა დამყარდა. მას შემდეგ კი, 147 [1638] წელს, თურქეთის მეფე მურად სულთანმა ყიზილბაშის შაჰთან ხალხი გააგზავნა, რომ შაჰს ის ხარკი გამოეგზავნა. მას უარი შემოუთვლია, არ გადაგიხდიო. მიმდინარე, 148 [1640] წელს კი თურქეთის მეფეს მის წინააღმდეგ ომის დაწყება უნდოდა.[50] მეფე ლევანის შესახებ თქვა, რომ იგი ორივე მხარეს ემორჩილება, თურქეთსაც და ყიზილბაშებსაც. ყიზილბაშთა შაჰისგან კი მას ჯამაგირის სახით წელიწადში 1000 თუმანი[51] მოსდის. ამ ფულის მიცემით შაჰი სოფე მას სახელს უთქვამს; აგრეთვე შაჰისგან მეტი თავისუფლება აქვს: თუ მას მხედრები დასჭირდება, შაჰმა ნება მისცა მდინარე მტკვარზე ყველა მსახური გამოიყენოს, რომლებიც შაჰს ემსახურებიან. მეფე ლევანი თურქეთის მეფესთანაც და მის ვეზირებთან ტყვეებს აგზავნის და უფიცებს, შენი, მეფის, მორჩილი ვარო.

ჟეჟიხიდან 23 მარტს წავედით. ჟიუგიდან კი 26 მარტს წავედით და მარტვილის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის მონასტერში მიტროპოლიტ მიტროფანესთან მივედით. იგი ჩვენ, ფედოტს, ეკლესიაში შემოსილი და სახარებით ხელში შეგვხვდა; შემდგომ თვითონ დააყენა წირვა. წირვის შემდეგ თავისთან სუფრაზე მიგვიწვია. როცა ჩვენ მასთან სატრაპეზოში მივედით, მან სრულიად რუსეთის ხელმწიფე მეფისა და დიდი მთავრის მიხეილ თევდორეს-ძის შესახებ გამოგვკითხა. ფედოტმა უთხრა, როცა ჩემი ხელმწიფისაგან და მისი სამეფო უდიდებულესობისაგან წამოვედი, ღვთის წყალობით სრულიად რუსეთის თვითმპყრობელი, ჩვენი ხელმწიფე მეფე და დიდი მთავარი მიხეილ თევდორეს ძე მრავალ სახელმწიფოთა ხელმწიფე და მფლობელი თავის სამეფოს დიდ და სახელოვან სახელმწიფოებში კეთილად და ჯანმრთელად იყო. მიტროპოლიტმა ჰკითხა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესი პატრიარქის იოსაფის (კომენტ. 89-ჯ.გ.) ჯანმრთელობისა და გამოხსნის შესახებ, აგრეთვე ჰკითხა მართლმადიდებელი ქრისტიანობისა და მთელი საეკლესიო დასის შესახებ. ფედოტმა უპასუხა: ღვთის

49. თურქეთის სულთანმა ყიზილბაშელი აბიზები ბაღდადში ლოცვისათვის დაუშვა. ამის შემდეგ 147[1639] წელს...

50. მაგრამ მოკვდა და საქმე ჩაუშალათ. ბაისრამმა (ბეისრიაკუმლმა - ჯ.გ.) ფედოტს უთხრა, რომ მეფე ლევანი თურქებსაც ემორჩილება და ყიზილბაშებსაც, უფრო მეტად კი ყიზილბაშებს ემსახურება. ყიზილბაშთა შაჰი კი მეფესთან...

51. თოუმენი.

წყალობით სრულიად რუსეთის დიდი ხელმწიფე მეფისა ჩვენისა და დიდი მთავრის მიხეილ თევდორეს-ძის[52] საბედნიეროდ და მისი ხელმწიფებრივი ღმრთისსათნო ლოცვებით მართლმადიდებელი ქრისტიანები ქრისტეს სჯულის თანახმად და მოციქულთა სწავლებისამებრ ცხოვრობენ მის სახელმწიფოში.

დიდ ხუთშაბათს იმავე მონასტერში წირვას დავესწარით. წირვაზე ორი[53] მაზიარებელი იყო. ღვთის საიდუმლოს ისე მიეახლენ, რომ პირჯვარი არ გადაუსახავთ, ასევე გადგნენ გვერდზე ზიარების შემდგომ - ბარძიმთან ჯვარს არ ემთხვევნენ[54]. დიდ პარასკევს მიტროპოლიტმა ეკლესიის შუაში დიდი ჯვარი[55] დადგა, ორივე მხარეს კი წმინდა ნაწილები ელაგა და იქვე, ჯვრის წინ, სახარება იდო. ჯვარზე სუდარა იყო გადაფარებული. მწუხრის შემდეგ ჯვარი და წმინდა ნაწილები საკურთხეველში შეაბრძანეს. მწუხრის დასრულების მერე ტახტზე დასვენებული გარდამოხსნა მოიტანეს, რომელზეც ახატია, უფალი ჩვენი იესო ქრისტე ჯვრიდან როგორ გარდამოხსნეს; სამეუფეო კარების წინ დაასვენეს თავით ჩრდილოეთისკენ, ფეხებით კი სამხრეთისკენ. ცისკარზე კი, დიდ შაბათს, გარეთ გამოაბრძანეს და ეკლესიის ირგვლივ წმინდა ნაწილებით ლიტანიობა ჩაატარეს, ტაძარში უკუღმა შეაბრძანეს და საკურთხეველში ტრაპეზის წინ დაასვენეს. მიტროპოლიტი ამ დროს სახარებით ხელში წინ მიდიოდა, წინ მიმავალნი გალობდნენ, კმევა კი არ ყოფილა.[56] ცისკრის შემდეგ მიტროპოლიტს ჩვენ ვუთხარით, რომ შენ წმინდა ნაწილების უკან წასვლა გმართებდა, დიაკვნები კი წინ

---

52. თავისი ხელმწიფეობრივი ღვთისსათნო ლოცვებით პატრიარქი იოასაფი და მთელი მართლმადიდებელი საქრისტიანო მისი ხელმწიფეობრივი წყალობის ქვეშ სიმშვიდეში, სიწყნარეში და კეთილდღეობაშია. ამის შემდეგ მიტროპოლიტმა მიტროფანემ ისინი ერთ მაგიდასთან თავისთან ერთად დასვა. საჭმელად თევზეული იყო, სასმელად კი შარაფი. საჭმელ-სასმელი ბლომად იყო, სიტყვები კი, მიტროპოლიტისგან, არავითარი. სუფრის შემდეგ ფედოტი და პავლე მღვდელი თავ-თავიანთ კელიებში წაიყვანეს, რომლებიც მათ დასაბინავებლად გამოუყვეს და გაჩერდნენ ისინი იმ მონასტერში 10 დღე. დიდ ხუთშაბათს კი...

53. ორი მაზიარებელი მონოზონი იყო - ერთი მეფის და, მეორე კი მისი თანაკელიელი, ხოლო

54. წირვაზე, განტევების წინ, მან, მიტროპოლიტმა, ფეხების ბანვის რიტუალი ჩაატარა: ეკლესიის კარების წინ სატრაპეზოში სკამებზე 12 კაცი დასვა - მღვდლები, დიაკვნები, იპოდიაკვნები და ისე იქცეოდა, როგორც პატრიარქი იქცევა ხელმწიფესთან მოსკოვში.

55. ფარდაგზე, მასზე კი ტილოზე გამოსახული ქრისტეს ჯვარცმაა არბეჭდილი; ფარდაგი ტახტზე დაასვენეს, ტახტის გვერდზე კი, ხალიჩაზე წმინდანთა წმინდა ნაწილები დააბრძანეს - ფარდაგის ორივე მხარეს. ხალიჩაზევე წმინდა სახარება დააბრძანა და არდაგზედ და წმინდა ნაწილებზედ თავის ენაზე სწირა, წყალი კი არ აკურთხა. მწუხრის შემდეგ კი...

56. 5 აპრილს

უნდა წასულიყვნენ და ეკმიათ-თქო. მიტროპოლიტმა გვითხრა, მე თვითონაც ვიციო, მაგრამ ჩემი მარტოობის ბრალიაო.

თებერვლის თვეში თურქეთის მეფე მურად სულთანი (კომენტ. 36-ჯ.გ.) გარდაიცვალა; მის ადგილზე მისი უმცროსი ძმა, სულთანი იბრაიმი(107) დაჯდა.

5 აპრილს მიტროპოლიტთან ფედოტი და პავლე მღვდელი მაგიდასთან ვსადილობდით. მიტროპოლიტი რუსეთის სახელმწიფოს შესახებ გვეკითხებოდა: დიდი ხანია სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა ნათელიღო? ჩვენ ვუთხარით: რუსეთის სახელმწიფო 652-ე წელს, კიევის დიდი მთავრის ვლადიმერის(108) დროს მოინათლა. ჩვენ კი ამის საპირისპიროდ შევეკითხეთ: დიდი ხანია თქვენი სამეფო მართლმადიდებლურ ქრისტიანულ სარწმუნოებაში მოინათლა? მიტროპოლიტმა გვითხრა: ჩვენი სამეფო ანდრია პირველწოდებულმა მონათლა, ზეპირად კი არ მახსოვს რომ გითხრათ, დიდი ხანია თუ არა სამეფო მოინათლაო. ამის შემდეგ, ჩვენმა სამეფომ სამჯერ დაკარგა სარწმუნოება და შემდეგ სინას მთიდან მეფე კონსტანტინეს დახმარებით სარწმუნოება კვლავ გამოასწორესო. ის ქართული ქვეყნები კი - თეიმურაზის, ბაშიაჩუკის, თბილისის და გურიელის - ჩვენი, სადადიანოს, ქვეყნის შემდგომ მოინათლნენ. მოსანათლად კი იერუსალიმიდან ერთი წმინდა ქალწული მოვიდა[57], მისი სახელია ნენილა(109) (წმ. ნინო - ჯ.გ.). მისი მოსვლით ის ქვეყნები მონათლულან. წარსულ 141 [1633] წელს ჩვენთან რომის პაპმა საცდურად ექვსი ბერი(110) გამოგზავნაო[58]. ასევე მე, მიტროპოლიტს, საეკლესიო სამოსი და მიტრა გამომიგზავნა და ასე გვითხრა, რომ ქრისტიანული რწმენა დაკარგეთ, ჩვენ პაპმა გამოგვაგზავნა, რათა განგასწავლოთ და რწმენაში განგამტკიცოთო. ჩვენ ისინი გამოვკითხეთ: თქვენთან როგორ არის მიღებული? მათ დაიწყეს მოყოლა: როცა აბანოდან გამოხვალ და კაბის ჩაცმას დაიწყებ, მოგინევს[59] შესამოსელზე ფეხით დადგე და მიტრა ფეხქვეშ ამოიდო. ჩვენ კი ამის შესახებ შევიკრიბეთ და ვიმსჯელეთ. ვხედავთ, რომ ისინი ჩვენთან საცდურად მოვიდნენ და უარი ვუთხარით: არ გვინდა ჩვენ თქვენი სარწმუნოება და მოძღვრებაო.

7 აპრილს მარტვილის მონასტრიდან წავედით და იმავე დღეს

57. მოსანათლად
58. მათთან საცდურად
59. დადგე

[სუჯუნის] დიდმოწამე გიორგის მონასტერში მივედით. 23 აპრილს წმ. გიორგის მონასტერში ცისკარზე ვიყავით. ცისკარს პატრიარქი მაქსიმე, მიტროპოლიტი მიტროფანე, გურიელთა მთავარი ვახტანგი ესწრებოდნენ და, საერთოდ, აქ ყველა მეფის ახლობელი ხალხი და მთელი ქვეყნის თავყრილობა იყო. ცისკრის შემდეგ, წირვამდე მოედანზე პატრიარქი, მიტროპოლიტი და ყველა სხვა მრავალი ხალხი გამოვიდა; ქრისტეს დიდი მოწამის გიორგის ადგილობრივი ხატი გამოაბრძანეს, სვეტზე დაამაგრეს სახით ჩრდილოეთისაკენ. ხატის საპირისპიროდ ტაძრის სახურავზე[60] მამაკაცი ჩამოჯდა, გულზე დიდმოწამე გიორგის სხვა ხატი ჩამოიკიდა და დაიწყო საუბარი ქვეყნიერების გასაგონად. ყველას კი ამ დროს ლაპარაკი აუკრძალა: მე მომისმინეთო. ეს ღამე ტაძარში გავათიე და გიორგიმ მითხრა: ჩემს ხალხს არ აწყენინოთ, ვისაც ჩემი სახელისა სწამსო. უთხრა იმათ ის, რომ მთელი წლის განმავლობაში პური მოვიდოდა თუ არა, საქონელი გამრავლდებოდა თუ არა, ვინ ცოცხალი დარჩებოდა და ვის კიდევ სიკვდილი ელოდა. ამას[61] საათზე მეტ ხანს ყვებოდა, ამ დროს ხატთან მსახურება არ მიდიოდა და არც აკმევდნენ. ჩვენ კი იმის შესახებ ვიკითხეთ: ის კაცი რატომ წინასწარმეტყველებს: წმინდანია თუ ღმრთის მხედარი და წერა-კითხვის მცოდნეა თუ არა? მათ გვითხრეს: წერა-კითხვის უცოდინარია; ეს კი მათ მთელ გვარს მოსდევს, თუ ვინმე გარდაიცვალა, მათივე გვარიდან სხვა კაცი გააგრძელებს - გიორგის სიტყვები ქვეყნიერებას უნდა ამცნოს. ისინი ფედოტს ეკითხებოდნენ: თქვენ ამისი გწამთ? ჩვენ მათ პასუხი მივეცით: ჩვენ ამისი არ გვჯერა, ეს სიცრუეა[62], იმიტომ, რომ ქრისტეს შობის შემდეგ[63] წინასწარმეტყველები მატყუარები არიან. როგორც კი ის კაცი ეკლესიიდან ჩამოვიდა, [ხალხი კედლებს] ჯოხებსა და ხის უროებს[64] ურტყამდა. ამ დროს მათთან დიდი ხმაური ატყდა. ჩვენ მათ ამის შესახებ ვკითხეთ: რა ხდება ეს თქვენთან, არაქრისტიანულად რომ იქცევით? მათ გვიპასუხეს: ესენი ქრისტეს დიდმოწამე გიორგის ამგვარად ევედრებიან, ხოლო წყევლიან იმათ, ვინც მათ რაიმეს მოპარავს ან ძალადობას მიაყენებსო.

60. ეკლესიის თავზე
61. წინასწარმეტყველებას.
62. ეს კაცი მასხარაა და წმინდანს ცილს სწამებს, რადგან
63. აღდგებიან
64. ტაძარზე

ჩვენთან მიტროპოლიტი მიტროფანე მოვიდა და ასე გვითხრა: ხომ ხედავთ თქვენ თვითონ, რომ ისინი ქრისტიანები არ არიან, სატანურად იქცევიანო. მიტროპოლიტი წარმოშობით თეიმურაზის ქვეყნიდანაა, თბილისიდან. იქვე იყვნენ ბერძენი ბერები და იქ მომხდარის შესახებ ამბობდნენ: ჩვენ ასეთი სარწმუნოება არსად გვინახავსო. თავად ის მიტროპოლიტი 12 წელი წმინდა მთაზე მოღვაწეობდა და ბერძნულ განათლებას იღებდა[65].

27 აპრილს სადადიანოს მეფე ლევანმა ფედოტს მასთან, ძიგურაში[66] საელჩო მიღებაზე მისვლა უბრძანა. როცა საელჩოდ წავედით, მეფე ლევანი სასახლიდან ერთ-ნახევარ ვერსზე შემოგვეგება. მასთან იყვნენ პატრიარქი, მიტროპოლიტი, ეპისკოპოსები და ცხენოსნები 500 კაცამდე; მის წინ ჯვარს და ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატს მოაბრძანებდნენ. როცა მათ შევხვდით, ცხენებიდან ჩამოვხდით, ხელზე ვემთხვიეთ და ხელმწიფის სიგელი ფედოტმა მეფე ლევანს გადასცა. შემდეგ განაწესის თანახმად დაიწყო ტიტულების ჩამოთვლა და მან უთხრა: ცხენზე დაჯექი, სასახლეში წავიდეთ და სიტყვაც იქ თქვიო. ჩვენც ავმხედრდით და სასახლისკენ მეფეს უკან გავყევით. მეფემ ფედოტს უბრძანა მის მარჯვნით ევლო[67]. გზაში არავითარ საუბარს ადგილი არ ჰქონია. არმისული სასახლის საზღვრამდე, მეფე წინ წავიდა[68], ჩვენ კი გვიბრძანა ნელა გავყოლოდით. გავიგეთ, რომ მას თბილისიდან ელჩი ჰყავდა, ამიტომ ჩვენ წასვლა აღარ გვინდოდა, რადგან ყიზილბაშთა ან თურქეთის ელჩებთან ერთად საელჩო შეხვედრაზე მისვლის თაობაზე ხელმწიფის ბრძანებულება არ გვაქვს. მათ გვითხრეს:[69] არც ყიზილბაშების ელჩები არიან და არც თურქების, ჩვენი მართლამდიდებელი ქრისტიანები და მეგობრები არიან, მათგან არაფერს ვმალავთ. ფედოტი ერთი საათი ადგილზე იდგა და გზის გაგრძელება არ უნდოდა, უკან გაბრუნებას აპირებდა. მათ არ გამოგვიშვეს. ჩვენი სიტყვებით მეფესთან სამჯერ წავიდნენ და მეფემ თავის მხრიდან არქიმანდრიტი ნიკოლოზი(111) გამოაგზავნა.

65. და ამჟამადაც იგი გამორჩეული და ფრიად ნაკითხი ადამიანიაო
66. სოფელ ძიგურაში, სატახტო ქალაქი კი მას არა აქვს
67. პატრიარქი კი მარცხნით მიდიოდა. მეფის წინ ცხოველმყოფელი ჯვარი და ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატი უჭირავთ; ხოლო სიტყვებს...
68. ჩქარა
69. ისინი ელჩები არ არიან, ჩვენი ხელმწიფის ლევან მეფის სიძის, თბილისელი მთავრის ხალხია და ისინიც ჩვენი ქვეყნიდან არიან, რადგანაც მეფე ლევანის მკვიდრი და თბილისელ მთავარზეა გათხოვილიო. სარწმუნოება კი ჩვენი მართლმადიდებლური ქრისტიანულია და მეგობრები...

არქიმანდრიტმა გვითხრა: წამოდით, გეთაყვა, მეფე არ შეარცხვინოთ, რადგან მეფე პატრიარქთან, მიტროპოლიტთან და ეპისკოპოსებთან ერთად თავად გამოგეგებათო. იმისი კი ნუ შეგეშინდებათ, დაუჯერეთ ჩემს ბერმონაზონის სამოსს, რომ[70] ის ადამიანები ყიზილბაშები არ არიან, შაჰისგან არ არიან გამოგზავნილები. გარდა ამისა, ლევან მეფემ გიბრძანათ, რომ ილაპარაკოთ შემდეგის შესახებ: როცა ჩემ წინაშე წარსდგებით,[71] მაცნობებთ სრულიად რუსეთის ხელმწიფე მეფისა და დიდი მთავრის მიხეილ თევდორეს-ძის მრავალჟამიერ ჯანმრთელობის შესახებ, ხოლო ხელმწიფის სიტყვას რაც შეეხება, მას მე მოვისმენ პატრიარქთან და დიაკთან ერთად, სხვა ხალხი კი არავინ იქნებაო. ჩვენ მეფესთან მივედით და მეფესთან მისულებმა[72] ღმერთს შევევედრეთ. ფედოტმა განწესების მიხედვით ტიტულების ჩამოთვლა დაიწყო, რომელიც მას საელჩო პრიკაზში დიაკის ხელმოწერით მიეცა. სიტყვის წარმოთქმის შემდეგ თაყვანი სცა. ამ დროს მეფე იჯდა და ქუდი არ მოუხდია. შემდეგ ლევან მეფემ დამჯდარმა იკითხა სრულიად რუსეთის თვითმპყრობლის დიდი ხელმწიფე მეფისა და დიდი მთავრის მიხეილ თევდორეს-ძის ჯანმრთელობის შესახებ[73]. ფედოტმა ამის პასუხად უთხრა: როცა მე ჩემი ხელმწიფისა და მისი სამეფო უდიდებულობისაგან წამოვედი, ღმრთის წყალობით სრულიად რუსეთის თვითმპყრობელი, მრავალი სახელმწიფოს ხელმწიფე და მფლობელი ხელმწიფე ჩვენი, მეფე და დიდი მთავარი მიხეილ თევდორეს-ძე თავის დიდ და მეტად სახელოვან სახელმწიფოებში, კეთილად და ჯანმრთელად იყო. მეფე ლევანმა თქვა: დიდება შენდა, უფალო, რომ ღმრთის ნებით სრულიად რუსეთის თვითმპყრობელის, ასეთი დიდი ხელმწიფე მეფისა და დიდი მთავრის მიხეილ თევდორეს-ძის მრავალჟამიერ ჯანმრთელობის შესახებ მოვისმინე. შემდგომ ამისა გვიბრძანა მის წინ შორიახლო დავმსდარიყავით.[74] სიტყვები კი არაფერი თქმულა. დიაკის გამოგზავნილმა კაცმა ფედოტს ჩუმად ჰკითხა: ხელმწიფის სიგელის წაკითხვა ყველას თანდასწრებით შეიძლება თუ არა? ფედოტმა უპასუხა: ღმრთის ნებაა და როგორც მეფე ლევანი ინებებს, ისე წაიკითხავს[75]; ჩემთვის კი ეს

70. მეფეს არა ჰყავს თურქი და ყიზილბაში ელჩები, ისინი კი ჩვენი ხალხია.
71. მხოლოდ
72. განაწესის თანახმად თაყვანისცა, როგორც მას ხელმწიფის განაწესში ეწერა. მეფე ლევანმა ჰკითხა
73. ჯანმრთელობა დიდი სიხარულით. ფედოტი თავის დიაკს ჩუმად შეეკითხა: სიგელი, რომელიც მისი მეფური უდიდებულესობის სიგელში ნერიაო. მეფე კარაეშია.
74. მეფე ლევანმა ფედოტს უბრძანა
75. მეფის ზრახვა კი საიდან უნდა ვიცოდე

უცნობია, მეფის ზრახვა ღმრთის ხელშია. მეოთხედი საათის განმავლობაში კარავში ვისხედით, ამ დროს კი კარავიდან მეფე ლევანის ყველა ხალხი ნავიდ-წამოვიდა. ფედოტი ადგა და განაწესის თანახმად სიტყვა წარმოთქვა, როგორიც მას საელჩო პრიკაზიდან დიაკის ხელმოწერით მიეცა. ამ დროს მეფე ლევანი პატრიარქთან და თავისი სათათბიროს დიაკთან ერთად[76] სიტყვას ისმენდა.

მიტროპოლიტ მიტროფანესაგან, წმ. გიორგის მონასტრიდან 29 აპრილს წავედით. მეფის ეკონომოსი დომენტი ჩვენგან 29 აპრილს მეფესთან წავიდა, მის ნაცვლად კი მწდე პოტაპი ჩამოვიდა.

30 აპრილს ხონის (ხობის - ჯ.გ.) მონასტერში არქიმანდრიტ ნიკოლოზთან (კომენტ.69, 111,160 - ჯ.გ.) ჩავედით და მონასტერში მივედით. არქიმანდრიტი საღმრთისმსახურო სამოსელში საძმოსთან ერთად ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატით, ჯვრითა და სახარებით შემოგვხვდა. ჩვენ ხატს თაყვანი ვეცით, სახარებასა და ჯვარსაც ვემთხვიეთ. შემდეგ ტაძარში შევედით და წირვა მოვისმინეთ. წირვის შემდეგ არქიმანდრიტმა ნიკოლოზმა ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის კვართი და მონამე კვირიკეს(112) მარცხენა ხელი მაჯამდე, აგრეთვე ქრისტეს მონამის მარინეს(113) მარჯვენა ხელი გვიჩვენა. მისი ძვალი ხელისგულიდან იდაყვამდე გაპობილია. ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის კვართის საყელო[77]კი პატარაა - სამი გოჯის ოდენა და ამის შესახებ ვიკითხეთ: რატომაა საყელო პატარა? არქიმანდრიტმა ნიკოლოზმა გვიპასუხა: ღმრთის ნებით, საყელო წლიდან წლამდე ვიწროვდებაო. კვართი კი ფართეა, ხოლო სახელოები მოკლე და ფართე. ის დაჩითულია და მეწამული ფერისაა. ჩვენ ვიკითხეთ კვართისა და წმინდა ნაწილების შესახებ: საიდან და ვის მიერ არის ჩამობრძანებული? არქიმანდრიტმა გვიპასუხა: მე აქ დიდი ხანი არ არის რაც ვარ; არ ვიცი, საიდან და ვის მიერ არის ჩამობრძანებული. მატიანე კი ამის შესახებ არ მინახავსო. წირვის შემდეგ არქიმანდრიტმა სატრაპეზოდ მიგვიწვია და ჩვენ მასთან მივედით და მაგიდასთან საუბარი გაიმართა. არქიმანდრიტმა გვკითხა: დიდი ხანია რუსეთი მოინათლა? ჩვენ ვუთხარით: რუსეთის ქვეყანა მეშვიდე ათასწლეულის დამთავრებამდე 504 წლით ადრე მოინათლა და რუსეთის ქვეყნის მონათვლიდან დღემდე 652 წელი გავიდა (კომენტ. 65-ჯ.გ.). ამის შემდეგ არქიმანდრიტს ფედოტი და პავლე მღვდელი შეეკითხნენ: ადამიდან აქამომდე ბევრი

76. საელჩო მიღების დამთავრების შემდეგ წმ. გიორგის მონასტერში იმავე დღეს წავედით და იქ 6 დღე დავყავით. 30 აპრილს კი...
77. კვართის

წელი გავიდა? არქიმანდრიტმა უპასუხა: ადამიდან დღემდე 7152 წელია გასული. პავლე მღვდელმა თქვა: ჩვენს წიგნებში 7148 წელი წერიაო. არქიმანდრიტმა წიგნის მოსატანად კაცი გააგზავნა და წიგნში ჩახედვის შემდეგ თქვა: ჩვენს წიგნში 7152 წელი წერიაო და ამის შემდეგ არქიმანდრიტმა საუბარი შეწყვიტა[78].

1 მაისს ალეგუკას ყაბარდოდან მეფე ლევანის წარგზავნილი დაბრუნდა, მისი სახელია თავეი. მასთან ერთად ალეგუკასგან მეფე ლევანთან ელჩი ჩამოვიდა, მისი სახელია ელბუზდუკი. ელჩებმა მეფე ლევანთან იმის შესახებ მოილაპარაკეს, რომ ალეგუკას ქალიშვილს მეფის ძის საცოლედ წამოიყვანდნენ. მეფე ლევანი კი ალეგუკას 100 სულ ტყვეს, 100 ვერცხლის ჭურჭელს, 100 ოქროთი ნაქარგ ქსოვილს, 100 ფაშატს, 100 ხარს, 100 სიათას მისცემდა. ამაზე შეთანხმდნენ. მეფე ლევანმა თავის სათათბიროს დიაკსა და ახლობელ კაცს რამაზანს უბრძანა, რომ ხატზე დაეფიცათ იმის შესახებ, რაც მას ამ შეთანხმების თნახმად უნდა მიეცა.

18 მაისს მეფე ლევანმა შუაის[79] მონასტრიდან თავისთან ზუგდიდში წაგვიყვანა და იქ მიყვანილებს სახლი გამოგვიყვეს. გამოგვიგზავნა ანდრია ეპისკოპოსი, ნიკოლოზი, თავისი სტოლნიკი რამაზან კუჩულია, რომლებმაც გვითხრეს: თქვენთან მეფე ლევანმა[80] გამოგვაგზავნაო. ეპისკოპოსი და რამაზანი მეუბნებოდნენ: მეფე ლევანს თქვენთან შეხვედრის რცხვენია, რადგან დედოფლის გამო მწუხარების ნიშნად წვერ-ულვაში მოპარსული აქვს და გვიბრძანა თქვენთვის გადმოგვეცა: გავუგზავნეო მე, სრულიად რუსეთის ხელმწიფე მეფესა და დიდ მთავარს მიხეილ თევდორეს-ძეს ჩემი ელჩი მღვდელი გაბრიელი და იგი სამი წელიწადი ტყვეობაში ამყოფესო. ფედოტმა უპასუხა: ამას გაბრიელი ტყუილს ყვება, ტყვეობაში იგი არც ერთი დღე არ ჰყოლიათ. მას ჩვენი ხელმწიფისაგან, სრულიად რუსეთის მეფისა და დიდი მთავრის მიხეილ თევდორეს-ძისგან სრული[81] წყალობა და დღიური[82] კვება ჰქონდა. თუმც კი გააჩერეს იგი თერგში, მაგრამ ამის შესახებ სრულიად რუსეთის დიდ ხელმწიფე მეფესა და დიდ მთავარს მიხეილ თევდორეს-ძეს მოსკოვში განკარგულების მისაღებად მისწერეს, რადგან თქვენი სამეფოს შესახებ დიდი ხელმწიფისათვის მანამდე ცნობილი არ იყო. მეფის ბრძანების გარეშე კი თერგის ვოევოდებმა

78 18 მაისს ღევანმა

79 ხონის (უნდა იყოს ცაიშის- ჯ.გ.)

80. იმით, რაზეც ვისაუბრეთ

81. დიდი

82. სრული

მისი გაშვება ვერ გადაწყვიტეს. ხოლო, როცა ამის შესახებ თერგში ხელმწიფის ბრძანებულება მოვიდა, ხელმწიფის ბრძანებულების თანახმად, ვოევოდებმა იგი მოსკოვისაკენ გაამგზავრეს და ყოველგვარი დაყოვნების გარეშე გაუშვეს. თერგი მოსკოვიდან უახლოესი ადგილი არ არის, ხოლო სრულიად რუსეთის, ჩვენი დიდი ხელმწიფე მეფისა და დიდი მთავრის მიხეილ თევდორის ძის, სახელმწიფო დიდია. თქვენი ელჩი გაბრიელ მღვდელი როგორც კი მოსკოვში ჩამოვიდა, ხელმწიფის ბრძანებულებით, მას მეტოქი გამოუყვეს, მეორე დღეს კი სათათბიროს დიაკმა მისი საელჩო პრიკაზში მოყვანის განკარგულება გასცა; ხელმწიფის ბრძანების თანახმად კი, საელჩო პრიკაზში მეფე ლევანის შესახებ და თქვენი სამეფოს შესახებ სათათბიროს დიაკმა გამოკითხა და გამოკითხვის შედეგები სრულიად რუსეთის დიდ ხელმწიფე მეფესა და დიდ მთავარ მიხეილ თევდორეს-ძეს ამცნო. ამის შემდეგ კი, სადღაც ათიოდ დღეში, ხელმწიფემ მას უწყალობა, პირისპირ საელჩო შეხვედრა დაუნიშნა. როცა ის [უკან დაბრუნების] დრო მოვიდა, ჩვენი ხელმწიფის სახელმწიფოში მდინარეები გალლვა, რადგან ზამთარი ცივია და მდინარეები იყინებიან, ამიტომ დიდმა ხელმწიფემ თქვენი ელჩის გაბრიელ მღვდელის გაშვება 30 მაისს ბრძანა[83]. ხოლო, რასაც ლევან მეფე დიდ ხელმწიფეს თავის სიგელში წერდა, დიდ ხელმწიფე მეფეს ლევან მეფის თხოვნა არ უგულებელუყვია[84]. თქვენს ელჩს მღვდელ გაბრიელსაც თავისი მეფური წყალობა უბოძა. ეპისკოპოსმა და რამაზანმა თქვეს: ჩვენ თვითონაც ვხედავთ, რომ დიდი ხელმწიფე ქრისტიანია. მანამდე დიდი ხელმწიფე რომში იყო, მაგრამ ამ დროისთვის ეს მოისპო და[85] ღმერთმა [ის პატივი] თქვენს სრულიად რუსეთის თვითმპყრობელ დიდ ხელმწიფესა და დიდ მთავარ მიხეილ თევდორეს-ძეს უბოძა. ჩვენი მეფე ლევანი კი ქართულ ქვეყნებს შორის ყველაზე დიდია და მოსკოვში იმიტომ გაგზავნა თავისი კაცი, რომ თქვენი ქრისტიანული სარწმუნოება ნახოს და განისნავლოს. ჩვენც გაჩვენეთ თქვენ ჩვენი მონასტრები, სანახავად გამოგიბრძანეთ ყველა სიწმინდე და წმინდა ნაწილებიო.[86] ახლა კი, როგორც დიდი ხელმწიფე ინებებს, ისე გამოაგზავნის ჩვენთან ვინმესო. ფედოტმა ანდრია ეპისკოპოსსა და რამაზანს ჰკითხა: ვისი გამოგზავნის შესახებ ლაპარაკობთ ასე ძალიან? მათ ამის პასუხად არაფერი უთქვამთ. იმ

83. ელჩობასთან დაკავშირებული ჩვეულებისამებრ, უკან დასაბრუნებლად საკვებიც. გემებიც და ურმებიც მიეცა საზღვრისპირა ქალაქებამდე.

84. თავისი მონყალე სიტყვითა და თავისი ხელმწიფებრივი სიგელით გამომიშვა მასთან, მეფე ლევანთან, მე, თავისი დესპანი. და ეპისკოპოსი...

85. ის პატივი

86. ნახეთ. ფედოტს გადასცეს დიდ

დროს სრულიად რუსეთის დიდი ხელმწიფე მეფისა და დიდი მთავრის მიხეილ თევდორეს-ძის სახელზე სიგელი[87] გადმოგვეცა. ამჟამად კი ჩვენს მეფე ლევანს დიდი გლოვა აქვს[88], ხოლო როგორც კი გლოვა დასრულდება, იგი დიდ ხელმწიფესთან ელჩს გააგზავნისო-, თქვეს ეპისკოპოსმა ანდრიამ და რამაზანმა. ამჟამად კი მეფე ლევანი თქვენ ალეგუკას ელჩთან ერთად გიშვებთ იმიტომ, რომ ალეგუკას ელჩმა ელისტანმა მეფე ლევანს უთხრა, რისი თქმაც ალეგუკამ უბრძანა: გაუშვით სრულიად რუსეთის ხელმწიფე მეფისა და დიდი მთავრის მიხეილ თევდორეს ძის ყმები - ჩემი ყონაღები. მეფე ლევანიც იმათი თხოვნით გიშვებთ თქვენ ალეგუკას ელჩთან ერთად. ალეგუკას ელჩის თხოვნა რომ არა, თქვენ იმდენიე ხანი მოგიწევდათ ჩვენთან ცხოვრება, რამდენიც თქვენთან რუსეთში გაბრიელმა იცხოვრაო[89]. ფედოტს იქვე ვერცხლის თასი, 56 ვერცხლის მონეტა, მოხატული და სახეებიანი ყიზილბაშური აბრეშუმის ქსოვილი და თურქული აბრეშუმის ქსოვილი მისცეს.[90] ფულად კი მათ დაინგარიშეს და თქვეს, 80 მონეტის არისო. პავლე მღვდელს მეწამული ფერის ხავერდი და ნაცრისფერი მოხატული და სახეებიანი აბრეშუმის ქსოვილი მისცეს. თარჯიმანს აბრეშუმის ქსოვილი მისცეს; ჩემს კაცსაც, რომელიც ალწერილობას სწერდა, აბრეშუმის ქსოვილი მისცეს. აგრეთვე ფედოტმა მათ ჩამოტანილი 4 ვერცხლის მონეტა მისცა.

19 მაისს მეფე ლევანმა გამოგვისტუმრა(114), ურემი და საკვები კი არ მოუცია.

სადადიანოს ქვეყანა[91] სიგრძეზე ზღვის სანაპიროს გასწვრივ[92] 150 ვერსზეა გადაჭიმული, სიგანეზე კი მთიდან ზღვამდე - 50 ვერსზე[93].

87. ლევან მეფის სიგელი. ფედოტმა სიგელი არ აიღო და ანდრია ეპისკოპოსსა და რამაზანს მიმართა: მაგას როგორ ვიზამ, რომ მეფე ლევანის სიგელი ისე ავიღო, რომ მას, მეფე ლევანს, პირისპირ არ შევხედე? მეფური უდიდებულესობის სიგელი მათ თავად მეფე ლევანს გადასცეს, ხოლო მეფური უდიდებულობისათვის მეფე ლევანის სიგელის მიღება მათი მხრიდან არავითარ შემთხვევაში არ მოხდება. არქიეპისკოპოსმა უთხრა: ამჟამად ჩვენს...

88. თმები სულ გაიპარსა და თქვენთვის მისი ნახვაშეუძლებელია, ხოლო როგორც კი...

89. და ფედოტმა უნებლიედ აიღო სიგელი; ხოლო წასვლისას მისცეს მას, ფედოტს

90. მღვდელს კი.

91. დიდი არ არის.

92. შავი.

93. მარცვლეულთაგან მათ მიწაზე ფეტვი და ხორბალი ითესება; არცთუ ბევრი, სხვა არაფერ მარცვლეულს არ თესენ. მიწა ქვიანია, ყურძენი კი საკმაოდ ბევრი აქვთ. ქალაქები –ქვის, ხის ან მინური შენობებით არა აქვთ. ხის სასახლეები კი ნახევრად მინაშია; დარბაზები არა აქვთ, მხოლოდ მეფეს აქვს ორი დარბაზი სოფელ ზუგდიდში, სადაც თავად მეფე ცხოვრობს. საერთოდ, ყველანი ტყიან ადგილებში ცხოვრობენ, სუფთა ადგილებში კი არ ცხოვრობენ, იმიტომ რომ ტყეში ვენახი აქვთ, ბაღის ვენახი კი - არა. ეაქრობას ისინი ადრე არ ენეოდნენ და არავითარ საქონელს აქამდე არ ყიდდნენ. ხოლო რაღაც ხუთიოდე ნელია, რაც მეფე ლევანი ბაშიაჩუკთა მთავარ ალექსანდრეს ომით მიადგა და დაატყვევა

მათ ქვეყანაში დიდი სიშიშველეა, მამაკაციც და დედაკაციც შიშველები დადიან. სავაჭროები არა აქვთ. ერთი სავაჭროა ორმოცი სომხური კომლით და ათი ებრაელური კომლით. ტყვეებს ყიდიან მეფეც, მღვდელმთავრებიც და ყველა მემამულე, ვინ სადაც გამგებლობს. ყველანი მაჰმადიანებში ყიდიან. თუკი ტყვეებს არ გაყიდიან, მაშინ თავიანთ საჭიროებას ვეღარ დაიკმაყოფილებენ. პურის ყანას ბარით ამუშავებენ, მთებსა და ფერდობებს ხისგან და ქვისგან წმენდენ და ღომს თესენ. ხორბალი აქვთ, ორმაგ მოსავალს იძლევა. ღომის ფაფას ქვაბში ხარშავენ, მაგიდასთან ღატაკნი და გლახაკნი, ყველა ჯურის ხალხი ერთად სხდებიან. მაგიდის ნაცვლად კი გრძელი, გათლილი ფიცრები აქვთ, რომლებსაც მიწაზე დაალაგებენ, თვითონ კი ფეხებშეკეცილნი მიუსხდებიან. ეს ფიცრებია მათი მაგიდაც, გადასაფარებელიც და სინიც. ფაფას მზარეული არიგებს - ჩოგნით ქვაბიდან იღებს და ყველას ცალ-ცალკე ურიგებს. პირუტყვს ყველნაირს კლავენ; უკანა ფეხით ხეზე ჩამოკიდებენ, ხმალს ამოიღებენ და თავს გააგდებინებენ. ჩამოატყავებენ, ნაწლავებს გადააგდებენ, [ხორცს] ნაწილებად არ ჭრიან, ისე ჩადებენ ქვაბში. მერე ნახარშ ცხიმიან წყალს მიწაზე დაღვრიან, ხორცს კი ჯალამბარზე დადებენ, სუფრასთან მიიტანენ და ინაწილებენ, ვინ რამდენს შეჭამს. ხალხი,

---

იგი. ის მთავარი ალექსანდრე (ლევან მეორემ დაატყვევა ალექსანდრე მესამის ძმა გიორგი მესამე - ჯ.გ.) თავისმა შვილებმა გამოისყიდეს და მის სანაცვლად მისცეს მოვაჭრე სომხები და ებრაელები 50 კაცი(115). მეფე ლევანმა ისინი ცალკე დაბაში დაასახლა და იმ ხალხმა ვაჭრობა გააჩაღა. სავაჭროდ ყიზილბაშებთან გადადიან, მოაქვთ მათთან ბამბის ქსოვილი და შალი - ისიც უხარისხო, და სხვა საქონელი; მათთან კი მხოლოდ აბრეშუმის ნედლეულს ამზადებენ და იმასაც ბევრს არა. ჭამენ მხოლოდ ფაფას ყურძენთან და მოხარშულ ლობიოს; პური არა აქვთ, მხოლოდ უმარილო მჭადებს აცხობენ, ისიც დიდ პატივად ითვლება, ყველას არც მაგის საშუალება აქვს. სელი ბევრი აქვთ, თესავენ შემოდგომაზე საზამთროდ და იმ სელისაგან ტილოებს ქსოვენ და თურქებისაგან თავის გამოსასყიდად ინახავენ. ტანსაცმლის ნაკლებობას განიცდიან, ტანშიშველნი და ფეხშიშველნი დადიან, მხოლოდ საჭირო ადგილებს იფარავენ ქსოვილის ნაჭრით ან თხის ტყავით, სხვა მხრივ კი შიშვლები არიან. სადადიანოს მეფე, პატრიარქი, მიტროპოლიტები, მთავარეპისკოპოსები და ადგილობრივი აზნაურები თავის ხალხს და გლეხებს თურქეთში, ყიზილბაშეთში და სხვა ქვეყნებში ყიდიან; ამას ცოდვად არ თელიან და ამბობენ: ეს ხალხი ან გლეხები რომ არ გავყიდოთ, ჩვენ მოთხოვნილებას ვერ დავიკმაყოფილებთო. შობის, მარიამობის და პეტრე-პავლობის მარხვებში, ასევე ოთხშაბათობით და პარასკევობით საერო ხალხი უმარხულო საჭმელს იღებს, გარდა დიდმარხვისა. მცირენლოვანობიდან ბერად აღიკვეცებიან, ხოლო როცა გაიზრდება და დაკაცდება, თუ მოისურვებს გახდეს მღვდელმთავარი - გახდება, თუ არ მოისურვებს, გაპარსავს და დაქორწინდება. დიდმარხვაში საერონი ზიარებისათვის არ მარხულობენ თავიანთი სურვილით და სულიერ მოძღვართან არ მიდიან, ეზიარებიან სიკვდილის წინ, როდესაც ადამიანი კვდება. ქორწილების გადახდა დიდმარხვაში არ ეკრძალებათ; ნეფე დედოფალთან კი არ მიდის, დედოფალი მიჰყავთ ნეფესთან. ჯვარს ტაძარში ინერენ თუ ტაძარი ახლოს არის, თუ არადა ჯვარს სახლში ინერენ. სადადიანოში ალეგუკას ყაბარდოდან...

ყველა ტყეში ცხოვრობს, ხოლო სადაც ტყე არ არის, იქ ხალხიც არ არის. ღვინო საკმაოდ ბევრი აქვთ, აბრეშუმის ნედლეულიც მოდის მათთან. საჭმელი ჩვენ განსაზღვრული არ გვქონდა; ჩვენთან თემებიდან ამოღებული პროდუქტები მოჰქონდათ. ნახარშ წყალს კი ისინი თავიანთ სამზარეულოში ღვრიდნენ. ჩვენთვის კი მაგიდაზე უკვე მზა საჭმელ-სასმელი მოჰქონდათ. ღვინო საკმარისად გვქონდა, დღეში ორგზის გვკვებავდნენ. ალეგუკას ყაბარდოდან სადადიანოს ქვეყანაში ვიწრო გზაა, გაუვალი მთები, საცხენო გზა სრულიად არ არის; მთებზე ფეხით დადიან[94]. ქედებს შორის კი დასაბამიდან თოვლი დევს. რომელ წელსაც თოვლი მოდის, ის თავის ფენას იკეთებს და გაყინული დევს, ხოლო რომელი თოვლიც ძველია, წინა წლების, ისინი გამწვანებულები დევს, როგორც თურქული კვიპაროსები[95].

წირვაზე მღვდელმთავრები და მღვდლები მსახურებენ. პირველ სეფისკვერს იღებენ, როგორც კრავისას; მეორე სეფისკვერიდან იღებენ, როგორც ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის სეფისკვერიდან იღება; მესამე სეფისკვერიდან 9 მცირე ნაწილს იღებენ; მეოთხე სეფისკვერიდან კი დანაწევრებულ ნაწილებს იღებენ იმათი მშო-

---

94. დიდი გაჭირვებით

95. კვიპაროსი. ეუბნებოდა მას, ფედოტს, მეფის სასახლის ეკონომოსი დომენტი: როცა ცოცხალი ყოფილა მათი დედოფალი ელენე, ის თურმე ბევრს ცდილობდა, რომ სრულიად რუსეთის თვითმპყრობელის ხელმწიფე მეფისა და დიდი მთავრის მიხეილ თვდორეს-ძის ნყალობა მოეპოვებინათ, და ამის შესახებ იგი მეფე ლევანს მრავალჯერ ეუბნებოდაო, და მისი, დედოფლის, თხოვნით გაუგზავნია მეფე ლევანს ელჩი ხელმწიფის წყალობის მოსაძიებლად... ვახტანგს. ალექსანდრე უფლისწული მან, ფედოტმა ნახა - სახე სუფთა აქვს, თვალები ნათელი და თავადაც კეთილია; უფლისწული მანუარი კი არ უნახავს, მაგრამ მეფესთან დაახლოებული პირები ძალან აქებენ - წმინდაა და გონიერიო. ეს ბავშვები მეფე ლევანმა იმ დედოფალ ელენესთან გააჩინა, რომელიც მან თაყის ბიძას, უფლისწულ იურის (გიორგის-ჯ.გ.) ნაართვა. თავისი გერისთვის, უფლისწულისთვის ჩერქეზი მურზის ალეგუკის ქალიშვილი შეიგულა და მის ნამოყვანად შემდეგ გადააბადზე დათანხმდა: 100 ტყვე, 100 ვერცხლის ჭურჭელი, 100 ოქროთი ნაქარგი ქსოვილი, 100 სითა, 100 ცხენი, 100 ხარი, ხოლო იმის ნიშნად, რომ მეფე ლევანი ალეგუკას ქალიშვილს თავისი გერისთვის - უფლისწულ იურისთვის (გიორგისთვის-ჯ.გ.) ნამოიყვანს და ამ სასყიდელს გადაიხდის, მეფე ლევანის ახლობელმა კაცმა რამაზაშვილ და სათათბიროს დიაკმა პოტაპმა ფიცი დადეს. მეფე ლევანის ელჩები ალეგუკასთან იმ სარძლოსათვის მივიდნენ ფედოტთან ერთად, როცა ფედოტი უკან ბრუნდებოდა; ის სარძლო კი, მურზა ალეგუკას ქალიშვილი, სულ 8 წლისაა. ლევან მეფეს იმიტომ უნდა მისი ნაყვანა, რომ ალეგუკამ მას მზარი დაუჭიროს და არავის დაჩაგრინოს, რადგან ალეგუკას ყაბაკები მის, ლევანის, სამეფოს ესაზღვრება(116). ფედოტთან მივიდა ყიზილბაში ბეისრამკული და ფედოტმა იგი გამოკითხა: დიდი ხანია აქა ხარო? მან უპასუხა, რომ ლევან მეფესთან ხუთი წელია ცხოვრობს, ხოლო იქ ყიზილბაშების ელჩს ჩამოჰყვა; თვითონ სპილოს მომვლელი იყო, სპილო კი მოკვდა და მეფემ... მსახურეული ხალხი, რომელიც შაას ემსახურება.

მეფე ლევანი თურქეთის მეფეს ხარკის სახით 800 არშინ ტილოს უხდის და 30-40 სულ ტყვეს აძლევს, ხოლო აძლევს იმიტომ, რომ სავაჭროდ გემები შემოვიდნენ; იმ წელიწადს, როცა გემები არ შემოდიან, მათთან მარილისა და რკინის უკმარისობაა. მათთვის ანდრია ეპისკოპოსსა და კარის ეკლესიის მღვდელს გაბრიელს, რომელიც ელჩად იყო მოსკოვში, უთქვამთ: არისო მდინარე რიონი... დაიკავდა და მუსულმანების წინააღმდეგ ერთად გაილაშქრებდნენ. 22 მაისს სადადიანოს ქვეყნიდან ნასულან...

ბლების საჯანმრთელოდ, ვინც სამსხვერპლოსთან მივა და მათ დაასახელებს. სახარებას მღვდელმთავრები წირვაზე პატრაქალის გარეშე კითხულობენ.

პავლე მღვდელი მიტროპოლიტ მიტროფანეს ეკითხებოდა, შესამოსელისა და ეპიტრაქილის გარეშე მღვდელმთავრებსა და მღვდლებს აქვთ თუ არა სახარების კითხვის უფლება? მიტროპოლიტმა თქვა: არა; წიგნებში არსად შემხვედრია, რომ სახარება შესამოსელისა და ეპიტრაქილის გარეშე იკითხებოდესო. ფედოტმა და პავლე მღვდელმა თქვეს: ჩვენ ეპისკოპოს ანდრიასთან ერთად მონასტრები შემოვიარეთ, ვნახეთ, რომ იგი ყველგან ეკლესიაში თავის სამღვდელმთავრო ადგილზე მდგომი სახარებას შეუმოსავი და უეპიტრაქილოდ კითხულობსო. მიტროპოლიტმა გვითხრა: ეს წესის მიხედვით არ გაუკეთებიაო. წირვისას სახარებით გამოდიან, სამეუფეო კარების წინ დადგებიან და დიდხანს ხმამაღლა გალობენ. რას გალობენ, ჩვენ წესიერად ვერც გავიგეთ. გალობით საკურთხეველშიც შედიან და საკურთხეველშიც არცთუ მცირე ხანი ხმამაღლა გალობენ. ტაძარში კი ზოგი დგას, ზოგიც ზის. მწუხრისა და ღამისთევის ლოცვების შემდეგ და წირვის წინ, შენდობის გამოთხოვა არ ხდება, მიტევება კი უბრალოა. შესამოსელსა და სტიქარზე სამხრე, ჯვარი, ვარსკვლავები და არშიები(117) არა აქვთ. **„შიშითა ღვთისათა“-ს** შემდეგ არ დადიან და მცირე ეკტენიებს არ ამბობენ; ამბიონის ლოცვას ამბობენ, მაგრამ სეფისკვერი არ გამოაქვთ. შობის, მიძინებისა და პეტრე-პავლობის მარხვებს, ასევე ოთხშაბათისა და პარასკევის მარხვებს საერონი არ იცავენ, მხოლოდ დიდმარხვას იცავენ. ბერად აღიკვეცებიან, ხოლო როცა დავაჟკაცდებიან, თუ მოისურვებს, მღვდელმთავარი იქნება; თუ არა და გაიკრიჭება და ცოლს შეირთავს. დიდმარხვაში საერონი ზიარებისათვის თავისი ნებით არ მარხულობენ და სულიერ მოძღვართან არ მიდიან; სიკვდილის წინ კი აზიარებენ, როცა კაცი კვდება. დიდმარხვაში ქორწილებსაც იხდიან. სარძლო სასიძოსთან მიჰყავთ, სასიძო კი საცოლესთან არ მიდის. მოიყვანენ მას მეგობარი და შუამავალი ქალი. თუ ისე აღმოჩნდა, რომ სადმე ახლოს ტაძარია, ისინი ტაძარში ჯვარს დაიწერენ, ხოლო თუ ახლოს ტაძარი არ აღმოჩნდა, მაშინ ჯვარს სახლში იწერენ.

22 მაისს სადადიანოდან წავედით და 26 მაისს სვანეთში ჩავედით. გამცილებლებს - ელისტანსა და ბილშუკს გაცილებისთ-

ვის 5 არშინი მაუდი, ოთხი აბრეშუმის ქსოვილი და 2 ვერცხლის მონეტის ფული მივეცით. პავლე მღვდელმა სიათა და ერთი არშინი ლაჟვარდისფერი ინგლისური მაუდი მისცა. სვანეთიდან 8 ივნისს გავედით და ჩერქეზეთში ხაპუკას ყაბარდოში 12 ივნისს მივედით. ხაპუკამ ოთხი ცხენი არ მოგვცა[96] - ორი ფედოტის, მღვდლის ცხენი და და პოდიაჩის ცხენი. ფედოტის ერთი დაეცაო, ხოლო სხვა სამი თქვენი ცხენი მოიპარესო.

28 ივნისს ხაპუკადან წავედით; 29 ივნისს ილდარის ყაბარდოში მივედით. ხოლო ილდარის ყაბარდოდან 30 ივნისს გავედით. იმავე დღეს ანზორის(118) ყაბაკში მივედით. ანზორის ყაბაკიდან 4 ივლისს წავედით, ხოლო თერგში 11 ივლისს ჩავედით. თერგიდან 21 ივლისს წავედით, ასტრახანში 31 ივლისს ჩავედით, ასტრახანიდან კი 13 აგვისტოს წავედით[97].

ს. ბელოკუროვის მინაწერი: როგორც ელჩინის სიტყვებიდან ჩანს - „ჩემს კაცს, რომელმაც აღწერილობა დაწერა"(119) - ელჩინის „მუხლობრივი აღწერილობის" გაუსწორებელი ეგზემპლარის დამწერი იყო მისი კაცი, რომელსაც, ცხადია, „აღწერილობაში" შენიშვნები შეჰქონდა თუ კარნახით არა, ელჩინის ბრძანებით მაინც. ასე რომ, ელჩინი უნდა ჩაითვალოს, ასე ვთქვათ, ავტორად და რედაქტორად „მუხლობრივი აღწერილობის" გაუსწორებელი ეგზემპლარისა.

16. მღვდელ პავლე ზახარევის მუხლობრივი აღწერილობა (იქვე საქ. №6, 1639წ. 2 ივნისი - 1640წ. ივლისი)

7147 წლის 2 ივნისს სრულიად რუსეთის ხელმწიფისა და დიდი მთავრის მიხეილ თეოდორეს-ძის ბრძანებით მოსკოვიდან სადადიანოს ქვეყანაში ფედოტ ელჩინი და მასთან ერთად მღვდელი პავლე გაიგზავნა. შენი მეფური ბრძანებულებით ჩვენ გვებრძანა დაგვედგინა, სადადიანოს ქვეყანაში რამდენად იცავენ ბერძნული რჯულის მართლმადიდებლურ სარწმუნოებას, სრულად და უვნებლად; ბერძნულ მართლმადიდებლობას ხომ არ დაშორებიან, ურიათა და ელინთა უკეთური რწმენა ხომ არ შერევიათ, ან ლათინთა ერესით, სხვა ყოველგვარი ერეტიკული ცდომილებით ხომ არ შეუ-

96. გამოსაკვებად რომ მასთან ორი დავტოვეთ.

97. მოსკოვში კი 149 [1640] წლის 4 დეკემბერს ჩამოვედი. უკანა მხარეს შეწებებულ ადგილზე: ამ მუხლობრივ აღწერილობას ფედოტ ელჩინის ნაცვლად მისი ბრძანებით ხელი მასთან მცხოვრებმა ემელიანე ვასილის-ძე ელჩინმა მოაწერა.

ბილწავთ რწმენა და შეურყევლად ნამდვილად თუ იცავენ? შვიდი მსოფლიო კრების განწესებებს კვლავაც ზუსტად თუ მისდევენ? ეკლესიებში როგორი წესი აქვთ, ლიტურღიას როგორ აღასრულებენ, მსახურებისას რანაირი შესამოსელით იმოსებიან, წირვისას რომელ პურს ხმარობენ, ანუ აფუებულს თუ ხმიადს? აქვთ თუ არა საღმრთო ეკლესიებში ხატები, საკურთხეველი ტაძრის სივრციდან გამოყოფილია თუ არა, საეკლესიო ჭურჭლებზე ხატწერას ასრულებენ თუ არა, სამეუფეო კარები ორსაგდულიანები თუ არის და კრეტსაბმელი თუ აქვთ?... საუბრებში უნდა გამოგვეკითხა, წლის ყველა წმიდა მარხვას ჩვენთან თანხმობაში იცავენ თუ არა და აღდგომას ბერძნული პასქალიით ჩვენთან ერთად თუ დღესასწაულობენ?

13 ნოემბერს სადადიანოს ქვეყანაში, ლამაზ სოფელ ხუდონში ჩავედით და ხუდონშივე მეფე ლევანის დავალებით აზნაური მანუჩარი შემოგვეგება. როგორც კი ხუდონში მღვდელი გაბრიელი მოვიდა, რომელიც მოსკოვში მეფე ლევანისგან ელჩად იყო წარმოგზავნილი, მოვიდა თუ არა ხუდონში, მღვდელმა გაბრიელმა თითებზე ბეჭდები გაიკეთა.

15 ნოემბერს, ფილიპეს(120) მარხვის პირველ დღეს, ხალხი სადადიანოს ქვეყანაში რძეს, კვერცხსა და ძროხის ერბოს მიირთმევდა. პავლე მღვდელმა გაბრიელ მღვდელს ჰკითხა: რა ხალხია ესენი, მარხვაში რომ ყველს, რძესა და კვერცხს ჭამენ - მონათლულები თუ არიან? გაბრიელ მღვდელმა თქვა: აქ, სადადიანოს ქვეყანაში, კეთილშობილი ადამიანები მარხულობენ და რძეს, ყველსა და კვერცხს არ ჭამენ, მდაბიონი კი... მიწის მუშები ყველს, კვერცხსა და რძეს ჭამენ, მათ მარხვა არ იციან. პავლე მღვდელი გაბრიელ მღვდელს [კითხვას უსვამს]: თქვენ, მღვდლებს, ვინ გასწავლათ ბეჭდების ტარება? წმინდა მოციქულების მცნებებითა და წმინდა მამების სწავლების მიხედვით, მღვდლებსა და დიაკვნებს ხელებზე ბეჭდების ტარების ნება არა აქვთ. გაბრიელ მღვდელმა თქვა: აქ, სადადიანოს ქვეყანაში, ხელებზე ბეჭდების ტარება ეპისკოპოსებსაც კი არ ეკრძალებათო.

17 ნოემბერს სოფელ ხუდონიდან წავედით და იმავე დღეს სოფელ ჯვარში მივედით. 20 ნოემბერს ჯვარიდან წავედით; იმ დღესვე იმავე თემის სხვა სოფელში ჩავედით.

21 ნოემბერს სოფელ ჯვარში მეფე ლევანის დავალებით ეპისკოპოსი ანდრია შეგვხვდა, რომელსაც თან ახლდნენ არქიმანდრიტი არტემონი, ეკონომოსის თანაშემწე დემაგონია ბოგუჩინი,

სტოლნიკი მოგელი და სასმელების მწდე გულიკაკო. იმავე დღეს ეპისკოპოსმა ანდრიამ ფედოტი და მღვდელი პავლე თავისთან სატრაპეზოდ მიიწვია. დასაპატიჟებლად გაბრიელ მღვდელი მოვიდა, მოსკოვში რომ ელჩად იყო. მას მეფე ლევანის აზნაური მ[ანუჩარი] ახლდა თან. ფედოტი და პავლე მღვდელი ეპისკოპოსს ესტუმრნენ. როგორც კი ეპისკოპოს ანდრიასთან მივიდნენ, [ნახეს, რომ] ეპისკოპოს ანდრიას ვერცხლის მოოქროვილი ჯვარი ედგა, ჯვარზე ქრისტეს ჯვარცმაა გამოსახული; მის მარჯვნივ ღმრთისმშობლის ხატი იდგა, მარცხნივ - იოანე წინამორბედის (კომენტ. 84-ჯ.გ.), თავთან - მთავარანგელოზ მიქაელის, ფერხთით კი - იოანე ღვთისმეტყველის (კომენტ. 85-ჯ.გ.). ჯვარს მომრგვალებული ოთხკუთხა სკამი ჰქონდა, რომლის წინა მხარეზეც ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ოდიგიტრიის ხატია გამოსახული, მარჯვენა მხარეს - დიდმოწამე გიორგის, მარცხნივ - თევდორე სტრატილატის (კომენტ. 87 - ჯ.გ.), უკანა მხარეს კი - მოწამე დიმიტრის (კომენტ. 88-ჯ.გ.). კიოტში ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ოდიგიტრიის ხატი ძვალზეა ამოკვეთილი. ჩვენ ქრისტეს ჯვრისა და ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატის წინაშე ლოცვა აღვავლინეთ და ეპისკოპოს ანდრიას კურთხევის ასაღებად მივეახლეთ. ანდრია ეპისკოპოსმა რუსულად კურთხევა არ იცოდა და საკურთხ ადგილზე ხელი გამოგვიწოდა სამთხვევად; მას გაბრიელ მღვდელი რუსულად კურთხევას ასწავლიდა. იმ დროს, როცა ფედოტი და მღვდელი პავლე ანდრია ეპისკოპოსთან სატრაპეზოდ იყვნენ, ანდრია ეპისკოპოსს სუფრასთან ორი ყარაჩაეველი ჩერქეზიც ეჯდა: მურზა ხოძიაკა და ხაპუკინის უზდენი პშ[უკა]. ანდრია ეპისკოპოსი კერძებს ჯვარს გადასახავდა და ისე აწვდიდა ყარაჩაეველ მურზას და ხაპუკას უზდენს. ორივე ჩერქეზი კი მოუნათლავი იყო. ეპისკოპოს ანდრიას ალუბლისფერი ანაფორა ეცვა, მის ქვეშ კი - აბრეშუმის კაფთანი; მანტიის გარეშე იყო, ფეხსაცმელები კი დაღრეცილი, მაგრად შეკრული ეცვა.

22 ნოემბერს სოფელ ჯგალში მივედით. იმ სოფელში ტაძარი ქვისგან არის ნაგები, მაგრამ ეკლესია უჯვაროა. საკურთხეველი კანკელითაა გამოყოფილი. ტაძარში და საკურთხეველში ხატები არ არის, კედლებიც მოუხატავია. საკურთხეველში ორი კარი შედის, ორსაგდულიანი კარი და კრეტსაბმელი არ არის. ქვის ტრაპეზი კედელზეა მიშენებული, ტრაპეზზე ოდიკი, ინდიქტი და საფარველი არ დევს. როგორც კი ანდრია ეპისკოპოსი ჯგალში ჩამოვიდა, ეკლესიაში ჯვარისა და ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის

ოდიგიტრიის ხატის დასვენება ბრძანა... მის, ეპისკოპოს ანდრიას, წინ ჩამოატარებენ და ... ეპისკოპოსმა ანდრიამ ბრძანა იმავე ეკლესიაში... მოპირკეთება.

იმავე დღეს ეპიკოპოსი ანდრია არქიმანდრიტ არტემონთან ერთად ჩვენთან მოვიდნენ. არქიმანდრიტმა პავლე მღვდელს ჰკითხა: ღმერთმა შექმნა პირველი ადამიანი, თქვენს ენაზე რა ჰქვია მას და მის მოდგმას? მღვდელმა პავლემ უპასუხა: პირველი ადამიანი, რომელიც ღმერთმა შექმნა, ადამი იყო და მთელი კაცობრიობა დღემდე მისი მოდგმაა. პავლე მღვდელმა დაიწყო სახელების ჩამოთვლა, ვინ რომელი შვა და ვინ ვის შემდგომ იყო. როცა ენოქამდე მივიდა, არქიმანდრიტმა არტემონმა თქვა: ილია წინასწარმეტყველი ენოქამდე იყოო. მღვდელმა პავლემ კი თქვა: შენ, არქიმანდრიტო, დაგვიწყებია, ენოქი წარღვნამდე იყო, ილია წინასწარმეტყველი კი წარღვნიდან მრავალი წლის შემდეგო. არქიმანდრიტმა თქვა: პირველი ის იყოო; მაგრამ ახლა მეტი დრო არ არის, მწუხრის ლოცვაზე წავიდეთო. ამით ეს საუბარი შეწყდა. ანდრია ეპისკოპოსმა თქვა: მწუხრის ლოცვას დაესწარით და ჩვენს გალობას მოუსმინეთო. ჩვენც დავესწარით მწუხრს და გალობაც მოვისმინეთ. მწუხრის ლოცვის შემდეგ პავლე მღვდელმა არქიმანდრიტს უთხრა: გინდა, არქიმანდრიტო, იცოდე ადამიდან წარღვნამდე, წარღვნიდან აბრაამამდე, აბრაამიდან დავით მეფემდე და დავით მეფედან (კომენტ. 57-ჯ.გ.) ქრისტეს შობამდე ვინ რომელი შვა და რამდენი წლისა იყო, გინდა ყველაფერი ეს მოგიყვე? ანდრია ეპისკოპოსმა თქვა: ვიცით, რომ თქვენი რუსული სარწმუნოება მტკიცეა და ყველა ჩვენს ერთმორწმუნეთა თავი, ჩვენ მასზე რაღა უნდა ვისაუბროთო.

23 ნოემბერს არქიმანდრიტმა არტემონმა წირვა იმ ეკლესიაში აღასრულა, სადაც ხატები არ იყო. მასთან ერთად მსახურებაში ორი მღვდელი და დიაკონი მონაწილეობდნენ. როცა სტიქარითა და სამოსელით იმოსებიან, შესამოსელს მხრებზე დაიდებენ, მხრებიდან კი კალთებს ძირს არ უშვებენ. როგორც კი სეფისკვერს ამოიღებენ, ამის შემდეგ შესამოსელის კალთებს მხრებიდან ძირს უშვებენ. შესამოსელს სამხრე, ჯვარი, ვარსკვლავები და არშიები არა აქვს. დიაკვნების ოლარი ვიწრო, მოქსოვილ სარტყელს წარმოადგენს, ერთი ფოჩით, ან ზოგჯერ ფოჩის გარეშეც. სეფისკვერები არქიმანდრიტმა არტემონმა ამოიღო: პირველ სეფისკვერზე ლახვარი ოთხივკუთხით დაუსვა, სეფისკვერის ნაწილი არ ამოუღია და იმავე ჭურჭელზე დადო, რითაც მოიტანეს. მეორე სეფისკვერი-

დან ნაწილი ამოიღო, როგორც ზვარაკი ამოიღება, და ის ნაწილი პირქვე დადო, მაგრამ ჯვრის სახით არ დაუსერავს და არც წმინდა ლახვარი უკრავს მარჯვენა მხარეს - იქ სადაც იესოა. ბარძიმში კი ჯერ წყალი ჩაასხა, შემდეგ - ღვინო. წყალსა და ღვინოს არქიმანდრიტი ცალი ხელით ასხამდა და არა დიაკონი. მესამე სეფისკვერიდანაც ამოიღო ნაწილი, როგორც ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის სეფისკვერიდან იღებენ. იმავე მესამე სეფისკვერიდან ცხრა მცირე ნაწილი ამოიღო და წმიდა პურის გვერდით, მარჯვენა მხარეს, სამ რიგად დაალაგა; თითო რიგში კი სამ-სამი ნაწილი დააწყო. მეოთხე სეფისკვერიდან მრავალი ნაწილი მოციცქნა და, ციცქნიდა რა, მეფის, პატრიარქისა და კიდევ სხვა მრავალი პირის ჯანმრთელობას იხსენიებდა - ვინც თავის სახელს ეტყოდა ან თვითონ ვისაც გაიხსენებდა; სეფისკვერი სულ ოთხი იყო. ბარძიმზე, ფეშხუმზე, საეკლესიო ჭურჭლებზე ცხოველსმყოფელი ჯვარი, ყოვლისმპყრობელისა და ღმრთისმშობლის ხატები გამოსახული არ ყოფილა. როგორც კი მოამზადა წმინდა... ბრძანა, ეკლესიაში სიარულით ეკმიათ ეკლესიისთვის, ეპისკოპოსისა და ყველა იქ მყოფთათვის; ტრაპეზისა და საკურთხევლისთვის არ უკმევია. ეკლესიაში კმევა უწირავმა მღვდელმა ჩაატარა, რომელიც იყო უეპიტრაქილოდ და შეუმოსავი; ტრაპეზის თავზე ღმრთისა და ღმრთისმშობლის ხატები, აგრეთვე კედლის მხატვრობა არ არის. ანთებულ სანთლებს ცარიელ კედლებზე აწებებენ და არა ხატების წინ. წირვის წინ შენდობის ლოცვა არ იციან, ხოლო, როცა დიაკონმა დაიძახა: **„გვაკურთხენ, მეუფეო“**, არქიმანდრიტი დასავლეთისკენ მიტრიალდა, თვალები ეპისკოპოს ანდრიას მიაპყრო და წარმოთქვა: **„კურთხეულ არს მეუფება...“**; შემდეგ ტრაპეზისაკენ მიბრუნდა. კვერექსებზე **„უფალო შეგვიწყალენ“**-ს ამბობენ და არ გალობენ. კვერექსის შემდეგ არქიმანდრიტი ასამაღლებელს ამბობს, რის შემდეგაც **„ამინ“**-ს თვითონვე ამბობს; მგალობლები კი **„ამინ“**-ს არ ამბობენ და არც გალობენ. როდესაც სახარება გამოაბრძანეს, უწირავი მღვდელი საცეცხლურით ხელში წინ წაუძღვა, მას დიაკონი მიჰყვა სახარებით, შემდეგ არქიმანდრიტი, მწირველი და უწირავი მღვდლები, იპოდიაკნები - ყველანი საკურთხეველიდან გამოვიდნენ და სახარებას უკან გაჰყვნენ. სახარებისა და სიწმინდეთა გამობრძანებისას, წინ კანდელებსა და სანთლებს არ ატარებენ. როცა საკურთხევლიდან სახარებით ხელში ეკლესიაში გამოვიდნენ, ეპისკოპოსი ანდრია თავისი ადგილიდან წამოდგა და ტაძრის შუა ადგილას დადგა. მისგან ორივე მხარეს არქიმანდრი-

ტი, მღვდლები და დიაკვნები განლაგდნენ. ასე ფეხზე მდგარნი და სახარებით ხელში ისინი თითქმის მთელი საათი გალობდნენ. პავლე მღვდელს სურდა ეკითხა, თუ რას გალობდნენ სახარების გამოსვენებაზე ფედოტმა კი თარჯიმანს თარგმნის ნება არ მისცა. ხოლო სამოციქულოს ეპისკოპოსი ანდრია ეპიტრაქილისა და შესამოსელის გარეშე კითხულობდა, იდგა რა თავის ადგილზე და არა სამეუფეო კარების პირდაპირ; არქიმანდრიტი კი დასავლეთისკენ პირით სამეუფეო კარებში იდგა და ხელები ზეცად ჰქონდა აღპყრობილი. სამოციქულოსა და სახარების წაკითხვის შემდეგ ეპისკოპოსი ანდრია თავის ადგილზე დაბრძანდა. სიწმინდეთა გამოსვენების დროსაც ტრაპეზს, საკურთხეველს, სიწმინდეებსა და სამეუფეო კარებს არ აკმევენ. სიწმინდეთა გამოსვენებისას ეპისკოპოსი ანდრია თავისი ადგილიდან წამოდგა და ქერუბიმთა საგალობელი დაიწყეს. გალობენ არა კრილოსზე, არამედ ტაძარში, საკურთხეველში და ვინ სადაც დგას, იქ ფეხზე მდგომი გალობს. სიწმინდეთა წინ მღვდელი მიდის საცეცხლურით, შესამოსელისა და ეპიტრაქილის გარეშე; უკან სახარებით ხელში სტიქარშეუმოსავი დიაკონი მიჰყვება. მწირველ დიაკონს წმინდა ფეშხუმი მიჰქონდა, არქიმანდრიტს - ბარძიმი. არქიმანდრიტის უკან მიმავალ მღვდელს ხელში მოოქროვილი ვერცხლის კოვზი თავზემოთ ეკავა, მეორე მღვდელს კი - პერგამენტის გრაგნილი; ამბობდნენ, იმ გრაგნილში იოანეს (კომენტ. 85-ჯ.გ.) მსახურება წერიაო. უკან-უკან სვლით სიწმინდეთა წინ წირვის შესრულებით მიმავალი მღვდელი შეუჩერებლივ აკმევდა არა ისე, როგორც რუსეთში, სადაც დიაკვნები, მიდიან რა, შემობრუნდებიან და აკმევენ. როდესაც სიწმინდეებით სამეუფეო კარებთან მივიდნენ, არქიმანდრიტმა ბარძიმი დიაკონს გადასცა, თვითონ საცეცხლური აიღო, მერე მიბრუნდა და წმინდა ფეშხუმს უკმია; ამის შემდეგ უბრალოდ ტრაპეზზე დადგა - *მოიხსენოს უფალმან ღმერთმან,* არ უთქვამს; ხოლო, როცა ნარმოთქვა: *უმეტესად,* მაშინ ტრაპეზსაც უკმია, მაგრამ ხელები ზეცად არ აღუპყრია და ამ დროს არც მეტანია ცოდნიათ; *ღირს არს*-ის შემდეგაც არ გვინახავს მეტანია. როცა *მამაო, ჩვენო* დაამთავრა, [არქიმანდრიტმა] წარმოთქვა: *თავნი თქვენნი უფალსა მოუდრიკენით.* ამ დროს მთელი მრევლი იჩოქებს და ასე რჩებიან იმდენ ხანს, რა დროც სჭირდება გამოთქმას: *შემინდევ მე, მამაო.* ზიარება არქიმანდრიტმა მიიღო და დიაკონსაც მიაღებინა, მსახურ მღვდლებს კი ზიარება არ მიაღებინა... **შიშითა**-ს რომ იტყვიან ან აკმევენ, [მარჯვენა] ხელზე შემოტრიალდებიან. როცა ამბო-

ბენ: *შიშითა ღვთისათა*, - სიწმინდეებს არ უკმევენ. ზიარება კი დიაკონმა სამსხვერპლოსთან კი არა, ტრაპეზთან მიიღო. განსატევებელზე *მრავალჟამიერ-ს* არ გალობენ, მხოლოდ ეპისკოპოსს ეუბნებიან: *მრავალჟამიერ, მეუფეო*. წირვაზე, საღმრთო გალობისას, ტაძარში აქეთ-იქით დადიან; წამდაუწუმ უკმევს ნებისმიერი წოდების პირი, - მღვდელი იქნება ის, დიაკონი თუ ერისკაცი, - მათ შორის უწიგნურებიც. როდესაც ღმრთის მსახურება სრულდება მწუხრის, ცისკრის თუ წირვის დროს, ზოგიერთები ქუდით, ყავარჯნებზე დაყრდნობილნი დგანან, ზოგნი იდაყვზე თავდაყრდნობილნი სხედან; ეკლესიაში ბევრი მამაკაცის ზედა სამოსით, ხმლითა და ყველანაირი სხვა იარაღით შემოდის.

24 ნოემბერს იმავე ეკლესიაში არქიმადრიტმა არტემონმა წყალი აკურთხა. ეკლესიის შუაში მაგიდის ნაცვლად ტყავის სკამი დადგეს, რომელზედაც ეპისკოპოსი ანდრია დაბრძანდება ხოლმე. სკამზე არაფერი დაუფარებიათ, ზედ წყალჩასხმული ვერცხლის თასი შემოდგეს..., ორი სანთელი დაანთეს და თასზე მიაწებეს. თასის მარცხენა მხარეს ჯვარი უბრალო სკამზე დაასვენეს და არა ლამბაქზე. ჯვარი ხისაა, ზედ ნათლისღებისა და წმიდანთა ხატებია ამოჭრილი. ჯვრის ფერხთით ხელის მოსაკიდი ტარია გამოთლილი, ტარის ბოლო კი მომრგვალებულადაა გამოყვანილი რათა ხელი არ დაცურდეს. წყალი არქიმანდრიტმა აკურთხა, ნაიკითხა ფსალმუნები და აიაზმის ლოცვები, სამოციქულო და სახარება, კვერექსიც და ლოცვაც - ყველაფერი მან ერთმა, არქიმანდრიტმა, წაიკთხა. ლოცვისას მან ორი თითი წყალში ორჯერ აქეთ-იქით გაავლო, მესამედ კი თასიდან ორი სანთელი ააძრო, შეაერთა და სანთლებით ორჯერ ჯვარი გამოსახა, მესამედ კი სანთლები წყალში ჩაძირა. შემდეგ ჯვარი წყალში ჩადო: ჯერ წყალში ჯვარი ფეხზე დააყენა, ხელები გვერდებზე მოჰკიდა და ჯვარი წყალზე ორჯერ აქეთ-იქეთ გაუსვა, მესამედ კი ჯვრის ტარს ხელი მოავლო, პირჯვარი გადაისახა... [შემდეგ] ჯვრით თავისგან მოუსვა. ამ დროს ჯვარს წყალი ესხმებოდა. ანდრია ეპისკოპოსი მაშინ იქვე შეუმოსავი იდგა. ჯვრით წყლის კურთხევისას მრევლისთვის არც ჯვარი გადაუსახავთ, არც ნაკურთხი წყალი უპკურებიათ. წყლის კურთხევის შემდეგ წირვა ჩაატარა. წირვის დამთავრების შემდეგ ანდრია ეპისკოპოსმა ფედოტი და პავლე მღვდელი სატრაპეზოდ მიიწვია. როცა სუფრა გაანყვეს, **მამაო, ჩვენო** ერთმა მღვდელმა ფეხზე დამდგარმა წარმოთქვა, ხოლო ყველანი - ანდრია ეპის-

კოპოსი, აზნაურები, **ბოქაულები** და ერისკაცნი ამ დროს ისხდნენ და სუფრაც ეპისკოპოსმა მჯდომარემ აკურთხა. საუბრისას პავლე მღვდელი ეპისკოპოსს შეეკითხა: რატომ არის, რომ სადადაიანოს ქვეყანაში ხალხს სხვადასხვა სახელები ჰქვიათ, ზოგს რუსული, ზოგს კი ვერ გაიგებ, რა სჯულის სახელი? ანდრია ეპისკოპოსმა თქვა: ჩვენთან კეთილშობილნი მღვდლებს სახლში იწვევენ მშობიარესთან ლოცვის წასაკითხად და სახელის დასარქმევად. ამათ სახელებს რუსულ ყაიდაზე არქმევენ. რაც შეეხება სოფლის ხალხს, ისინი მღვდლებს სახლში მშობიარესთან ლოცვების წასაკითხად არ იწვევენ და დედ-მამა საკუთარ შვილებს სახელებს თვითონვე არქმევს არა წიგნების მიხედვით. ამიტომაც მათ სხვადასხვა, არარუსული სახელები ჰქვიათ. პავლე მღვდელმა ჰკითხა: ის ბავშვები, რომლებსაც დედ-მამა აძლევს სახელებს, მონათლულები თუ არიან? ეპისკოპოსმა ანდრიამ უპასუხა: ჩვენში იმ ბავშვებსაც ნათლავენ, მაგრამ სახელებს არ უცვლიან.

26 ნოემბერს ფედოტი და პავლე მღვდელი ანდრია ეპისკოპოსს ქრისტესშობის მონასტერში ნაჰყვნენ. იმ მონასტერში ტაძარი ქვისგან არის ნაგები, ტაძარზე ორი ჯვარია. ერთი ჯვარი ხის არის და ეკლესიის წინა კედელზეა მიმაგრებული, მეორე ჯვარი კი რკინისაა - საკურთხევლის უკანა კედელზე დგას. საკურთხეველი ტაძრისაგან გამოყოფილია. საკურთხეველში მხოლოდ სამეუფეო კარი შედის, ჩრდილოეთისა კი არ არის; ტრაპეზი არის წესისამებრ. არ არის ყოვლისმპყრობელის დეისუსი, მთავარანგელოზების მიქაელისა და გაბრიელის, ღმრთისმშობლის, იოანე წინამორბედის (კომენტ. 84-ჯ.გ.), მოციქულების, აგრეთვე წმიდანთა და ღირსთა ხატები; მაგრამ არის ქრისტეს ჯვარცმის, მაცხოვრისა და ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ადგილობრივი ხატები. იმ დღეს იმ ეკლესიაში ეპისკოპოსი ანდრია წირავდა, მასთან ერთად კი არქიმანდრიტი არტემონი, ოთხი მღვდელი და სამი დიაკონი მსახურებდნენ. როგორც კი ეკლესიაში შევიდნენ, შუაში ხალიჩა დააგეს და მასზე ომფორი, შესამოსლები, ეპიტრაქილი, სტიქარი, სამკლავე დაალაგეს და ჟამნობა დაიწყეს. როცა ჟამნები დაამთავრეს, არქიმანდრიტი, მღვდლები და დიაკვნები შეიმოსნენ და სიწმინდე უკვე შემოსილებმა მოამზადეს. მერე საკურთხევლიდან ყველა ერთად გამოვიდა, ხალიჩის ორთავ მხარეს დადგნენ, რის შემდეგაც ეპისკოპოსი ანდრია თავისი ადგილიდან წამოდგა, ხალიჩასთან მივიდა და შეიმოსა. სტიქარზე და სამოსზე სამხრე, ჯვარი, ვარსკვლავები და არშია არ არის, ეპიტრაქილს კი ზემოთ სამი

გოჯისოდენა ყელსაბამის მსგავსი გადმოსაკეცი საყელოა წამატებული. როდესაც შეიმოსა, მას სამეუფეო კარის პირდაპირ სკამი დაუდგეს, რომელზეც იგივე ხალიჩა გადააფარეს. ეპისკოპოსიც იმ სკამზე დაბრძანდა. სახარების გამოსვენებაზე ეპისკოპოსიც სახარებას საკურთხეველში გაჰყვა. როდესაც სამოციქულოს კითხვა დაიწყეს, ეპისკოპოსი სამეუფეო კარებში პირით დასავლეთისაკენ დადგა და ხელები ისე აღაპყრო, როგორც *კურთხეულ არს მეუფება*-ს დროს. დიდი გამოსვლისას ფეშხუმს ზემოთ სიწმიდეს აქეთიქით სამწერობლებით ურხევენ. შუა ეკლესიაში რომ გამოვიდნენ, ეპისკოპოსი საკურთხევლიდან გამოვიდა, ფეშხუმს და ბარძიმს უკმია, შემდეგ ისინი დიაკვნისაგან მიიღო და ტრაპეზზე დადგა. *მოიხსენოს უფალმან ღმერთმან*, არ უთქვამს; ამის შემდეგ არც სამეუფეო კარები დაუკეტავთ და არც ფარდა ჩამოუშვიათ. პავლე მღვდელმა იკითხა: გამოსვენების შემდეგ რატომ არ კეტავთ სამეუფეო კარებს და ფარდას არ უშვებთ? რუსეთის სახელმწიფოში სიწმიდის გამოსვენების შემდეგ სამეუფეო კარებსაც კეტავენ და ფარდასაც ჩამოუშვებენ. ეპისკოპოსმა ანდრიამ უპასუხა, ჩვენში ოდითგან ასეა დადგენილიო. გამოსვენების შემდეგაც ტრაპეზს ზემოთ სამწერობლებს არხევენ განუწყვეტლად იმ ადგილამდე, სანამ იტყვიან *შიშითა ღვთისათა*. ჩვენი ქრისტე ღმერთის სისხლსა და ხორცს ეპისკოპოსი ანდრია არ ზიარებულა. მხოლოდ არქიმანდრიტსა და ერთ დიაკონს მისცა ზიარება, ხოლო ოთხ მღვდელს და ორ დიაკონს, რომლებიც ასევე თანამწირველები იყვნენ, არ მისცა და ისინი არ ზიარებულან. ჩვენ ვერ გვითხრეს ეს ტაძარი ქრისტესშობის თუ ღმრთისმშობლის შობის სახელზეა. ქრისტესშობის ან ღმრთისმშობლის შობის ადგილობრივი ხატი კი ტაძარში არ არის. 3 დეკემბერს ეპისკოპოსმა ანდრიამ და მღვდელმა გაბრიელმა შობის მონასტერში ღმრთისმშობლის ხატის ქვეშ კიოტში ჩასმული მრავალ წმიდანთა წმიდა ნაწილი გვიჩვენეს. სხვა ადგილზეც, მაცხოვრის ხატის ქვეშ, გაკეთებული სანაწილეები ვერცხლის ჭადრაკული უჯრედებითაა დამაგრებული და უჯრედების ქვეშ ეპისკოპოსმა ანდრიამ [გვითხრა], იმ უჯრედების ქვეშ წმიდა ნაწილები არისო. ეპისკოპოს ანდრიას და მღვდელ გაბრიელს უნდოდათ იმ წმიდანების სახელებიც ეთქვათ, მაგრამ ფედოტმა უთხრა, სახელების ჩაწერის დრო ახლა არა მაქვსო. იმავე კიოტში ჯვარი იყო ჩასმული და მის შესახებ ეპისკოპოსმა გვითხრა: ის ჯვარი იმ ჯვრისგანაა, რომელზედაც ქრისტე აცვესო. იმ ჯვარში ექვს ადგილას პატარ-პატარა წმიდა ნაწილებია ჩასმული. იმავე

ტაძრის მარცხენა ნაწილში ცარიელი ეგვტერია, ხატების გარეშე. ეგვტერის შუაგულში მიწაზე ლოდი დევს, ლოდს კი შუაში რკინის რგოლი აქვს დამაგრებული. ეპისკოპოსმა გვითხრა: ამ ლოდის ქვეშ ქვაბულია, იმ ქვაბულში კი სადადიანოს სამეფოს უწინდელი მეფენი ასვენიაო. შობის მონასტრიდან იმავე დღეს ნამოვედით.

იმავე დღეს {წალენჯიხის} მაცხოვრის მონასტერში მოვედით. იმ მონასტერში ეკლესია ქვისგან არის ნაგები. ეკლესიაში არის ყოვლისმპყრობელის, ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის, მთავარანგელოზების-მიქაელისა და გაბრიელის, აგრეთვე იოანე წინამორბედის დეისუსის ხატები. საკურთხეველში და ეკლესიაში კედლებზე ხატწერაა შესრულებული. ეკლესიაში ზემოთ [გუმბათზე] საბაოთ არის გამოსახული, საკურთხეველში ზემოთ კი - ქებათა შესხმა ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელს, მრავალი სხვა წმიდანი, ასევე სადადიანოს მეფენი, დედოფალნი და ნათესავნი მათნი. საკურთხეველი ტაძრისგან გამოყოფილია; ტრაპეზი და სამსხვერპლო წესისამებრაა. ადგილობრივი ხატიდან არის ქრისტეს ჯვარცმა, მის გარშემოა უფლის ვნებანი, აგრეთვე ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის შეუწველი მაყვალის ხატი. იმ ხატის კედელში მცირე ზომის კიოტია ჩატანებული. კიოტში ხელი გვიჩვენეს და გვითხრეს, რომ ის ხელი იოანე წინამორბედისაა. ჩვენ ვიკითხეთ: საიდან, ვის მიერ იყო ეს ხელი ჩამოტანილი და როდის? ვინმე იოანემ გვითხრა: ის ხელი იერუსალიმის პატრიარქის მიერ არის ჩამოტანილი; იმ პატრიარქის სახელი კი არ ვიცი, ვინაიდან დიდი დრო არისო გასული; რაც ეს ხელი ჩამოსვენებულია, ას ოთხმოცი წელიწადიაო. ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის შეუწველი მაყვალის ხატზე გამოსახულია აგრეთვე ღმრთისმშობლის დღესასწაულები, მარჯვენა ფერხთით კი - სოფლის მპყრობელი ბნელისა ამის საწუთროისა. პავლე მღვდელი ანდრია ეპისკოპოსს შეეკითხა: სულთმოფენობის დღესასწაულის ხატზე ვინ არის გამოსახული.....? ეპისკოპოსმა ანდრიამ თქვა: ეს სულიწმიდაა. იმის გვერდით მანუჩარის [ნაქონი] მაცხოვრის ხატია. სახე დაწერილია, თითები, ხელები და მკლავები კი - [გამოქანდაკებული, მაგრამ] არა ვერცხლისგან, დგას კიოტში; ის ხატი კიოტიდან ამოიღეს. მაცხოვრის ხატის უკან ჯვარია ამოჭრილი. ეპისკოპოსმა ანდრიამ თქვა, რომ ეს ჯვარი იმ ჯვრისგანაა, რომელზედაც ქრისტე აცვესო. გვერდებზე იმპერატორ კონსტანტინესა და მისი დედის ელენეს... ჯვრებია გამოსახული... იმავე დაფაში ჩასმულია წმიდანთა ნაწილები... ეპისკოპოსმა ანდრიამ ჩამოგვითვალა იმ წმინდანთა სახელები,

ვისიც არის წმინდა ნაწილები: იოანე დამასკელისა, წმ. ნაწილები ქრისტეს მოწამე ბარბარესი, მოწამე ანასტასიასი, ანასი - ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის დედისა, მოწამე მარინესი, დემეტრე ფესალონიკელისა, მოწამე თეკლასი, მოწამე ეკატერინესი, მოწამე ხარლამპისა, ანდრია კრეტელისა, თეოდორე ტირონისა, დიდმოწამე გიორგისა, გრიგოლ ღმრთისმეტყველისა, მოციქულისა [მა]თესი და მოციქულისა არქიპოსი, მოწამე პროკოფისა. ეპისკოპოსმა ასევე ანტონი დიდის წმიდა ნაწილებიც დაგვისახელა. პავლე მღვდელმა თქვა: რომელია ანტონი დიდის ნაწილები? ანტონი მისმა მოწაფემ დაკრძალა, დაკრძალვის ადგილი და მისი წმიდა ნაწილები ჯერ მოპოვებული არ არის. ეპისკოპოსმა კი თქვა: ჩვენ არ ვუწყით ვინ დაკრძალა ანტონი და სად არის მისი წმიდა ნაწილები, მაგრამ ამ ნაწილებზე გვიწერია, რომ ის ანტონი დიდის ეკუთვნისო. გვითხრეს, აქვეაო ღმრთისმშობლის პერანგის პატარა ნაჭერი, იმ ღრუბლის პატარა ნაწილი, რომლითაც ურიების მიერ ჯვარზე გაკრულ ქრისტეს ნაღველი და ძმარი ასვეს, წმიდა ნაწილები მოწამისა კვიპრიანესი, მღვდელმოწამისა ვლასისა და იაკობ სპარსისა, თევდორე სტრატილატისა, იოანე მოწყალისა, ბასილ კესარიელისა, წმიდისა ნიკოლოზ სასწაულმოქმედისა, წმიდა სპირიდონისა(121). თქვეს, რომ ვინც აქ წერია, იმ წმინდანების წმინდა ნაწილებიაო. პავლე მღვდელს უნდოდა ეპისკოპოსისათვის ეკითხა, რა ნაწილები იყო ეს - სხეული, ძვალი თუ თმა? მაგრამ ფედოტმა მღვდელ პავლეს ასეთი შეკითხვის უფლება არ მისცა. ეპისკოპოსმა ანდრიამ გვიჩვენა ადგილი, სადაც ეს ნაწილები ესვენა, მაგრამ არ უჩვენებია, თუ რა ნაწილები იყო ეს - სხეულის, ხელისა თუ ფ[ეხ]ის ნაწილები, სხვა რომელიმე ძვალი თუ თმები. იქვე, სამეუფეო კარებთან ახლოს, ადგილობრივი ხატების მარცხენა მხარეს არის პატარა სტოა. გვითხრეს, რომ პატარა სტოაში წმიდა ნაწილებია დასვენებული, მაგრამ არ უთქვამთ, რომელი წმიდანების. აქვე მაცხოვრის ხატი დგას კიოტში, ხოლო სტოაში - ღმრთისმშობლის ხატი, მეორე სტოაში - იოანე წინამორბედი (კომენტ. 84-ჯ.გ.). როცა მეფე ლევანი ბაშიაჩუკთა მეფეს გიორგის(122) ეომებოდა, მას დროშა ჩამოართვა და იგი მაცხოვრის ხატს მიამაგრა. დროშაზე კი დიმიტრი თესალონიკელის (კომენტ. 88-ჯ.გ.) ხატია ამოქარგული, დროშის ირგვლივ [არშიაზე] კი სიტყვები ოქროთია ამოქარგული. იმ ეკლესიაში, ტრაპეზზე, ორი სახარებაა. ერთი ტყავზეა დაწერილი და ვერცხლით, ოქროთი, ძვირფასი ქვებითა და მარგალიტითაა გამშვენებული. დაფაზე

ცხოველმყოფელი სამებაა გამოსახული, მახარებელთა ხატები კი არ არის. იმავე ეკლესიაში წინა მარჯვენა მხარეს ეგვტერია, იმავე ეგვტერში საკურთხეველი და დაფაზე ხატები არ არის, ტრაპეზი კი კედელზეა მიდგმული; ტრაპეზის თავზე - კედელზე ღმრთისმშობლის ქებათა შესხმის, ასევე მთავარანგელოზების მიქაელისა და გაბრიელის ხატებია; მთავარანგელოზის გვერდით მეფეთა მეფე ლევანი, მეფე ლევანის დედოფალი და მათი შვილებია გამოსახული; მეორე მხარეს კი უწინდელი მეფენი და დედოფალნი არიან გამოსახულნი. ამავე ეგვტერში მეფე ლევანის დედოფალი და ასული არიან დაკრძალულნი. დედოფლის საფლავიდან ტრაპეზამდე სამი მეოთხედი არშინია. იმ ეგვტერში წირვას და პანაშვიდს ბერძენი ბერი ასრულებს, ღმრთისმსახურებაზე დასასწრებად კაცები, ქალები და ყოველნაირი ხალხი შემოდის.

იმავე დღეს მაცხოვრის მონასტრიდან სოფელ წალენჯიხაში გადაგვიყვანეს. 8 დეკემბერს ფედოტი და პავლე მღვდელი მაცხოვრის მონასტერში წირვაზე დასასწრებად მოვიდნენ. იმ დღეს მწირველი იოანე მღვდელი იყო. პავლე მღვდელი საკურთხეველში შევიდა, რათა ენახა როგორ წირავს. იმ დროს საკურთხეველში სამეუფეო კარებთან სიათა იყო მიყუდებული. ამის შესახებ პავლე მღვდელმა მეფე ლევანის აზნაურ მანუჩარს, რომელიც მონასტერს განაგებდა, პრისტავ მოგელს და მღვდელ იოანეს უთხრა. მათ უპასუხეს, რომ ბავშვმა იცელქა და საკურთხეველში სიათა შეიტანაო. ერისკაცი სიათას გამოსატანად გაგზავნეს. ის ადამიანი საკურთხეველში სამეუფეო კარით შევიდა, სიათა აიღო და იმავე კარით საკურთხევლიდან გამოიტანა. წირვის შემდეგ მღვდელმა იოანემ თარჯიმან ოსიპს ტყვია-წამალი სთხოვა.

25 დეკემბერს ქრისტესშობის დღესასწაულზე იმავე ეკლესიაში ფედოტი და მღვდელი პავლე წირვას დაესწრნენ. მათ ნახეს, როგორ მოდიოდა სადადიანოს ქვეყნის ხალხი ეკლესიაში ხატზე სამთხვევად; ხატზე მთხვევის შემდეგ მარცხენა მხარეს ტრიალდებოდნენ. მღვდლები, დიაკვნები და იპოდიაკონები ვისაც მოტანილ შესაწირავს გამოართმევდნენ, იმ ადამიანს მარცხნიდან მარჯვნივ სამგზის თავზე შემოავლებდნენ და მერე ფეხზე მდგომნი მათთან საუბრობდნენ. რის შესახებ საუბრობენ, არ ვიცი. პავლე მღვდელს უნდოდა გაეგო, იმ დროს ისინი რაზე საუბრობენ, მაგრამ ფედოტმა მღვდელ პავლეს ამის თაობაზე მათთვის კითხვის დასმის ნება არ მისცა. წირვის დამთავრების შემდეგ ხალხი ტაძარში დასხდა და დამსხდარნი ფაფას, ხორცს ჭამდნენ და ღვინოს სვამდნენ.

31 იანვარს წალენჯიხიდან წავედით.

1 თებერვალს სოფელ კეძში ჩავედით. ტაძარი იქ ქვისგან არის ნაგები, ეკლესიაში კი მწყალობელი ღმრთის ხატები არ არის. კეტზიდან იმ დღესვე წავედით. იმავე დღეს სოფელ ბოჯში მივედით. სოფელ ბოჯში ეპისკოპოს ანდრიას შევხვდით. იმ დღეს პავლე მღვდელი გაბრიელ მღვდელს შეეკითხა: ამ ხსნილ შვიდეულში თქვენი ხალხი თევზს, რძეს, ერბოს, კვერცხსა და ხორცს რატომ არ ჭამს? მართლმადიდებლური რწმენის თანახმად, რუსეთში ჩვენ, მართლმადიდებლები, ხსნილში თევზს, რძეს, კვერცხსა და ხორცს ვჭამთ, მაგრამ ამისათვის სომხებად არ გვთვლიან და არც ჩვენ ვუწოდებთ ამ კვირას სომხებისამებრ ალაჯორის კვირას. გაბრიელ მღვდელმა თქვა: ჩვენც მართლმადიდებელი ქრისტიანენი ვართ. წარსულ წლებში ქრისტესშობაზე და მთელი ამ ხსნილი კვირის მანძილზე, ასევე ბრწყინვალე შვიდეულში და სხვა მსგეფსის კვირიაკეებში არ ვმარხულობდით, რძესა და ხორცს ვჭამდით; წელს კი დედოფალი, ლევან მეფის მეუღლე, აღესრულა, ამიტომ მეფე, ბოიარები და ნებისმიერი წოდების ხალხი, ვისაც დედოფალი უყვარდა, ყველანი მარხულობენ და მთელი წლის განმავლობაში თევზის, რძისა და ხორცის ნაწარმს არ ჭამენ. მეფე ლევანმა აღთქმა დადო, რომ დედოფლის გარდაცვალების შემდეგ პირველ წელს თევზის, რძისა და ხორცის ნაწარმს არ მიიღებს. დედოფლის წლისთავის შემდეგ მეფე ლევანი თევზით გაიხსნილებს, დედოფლის გარდაცვალებიდან მესამე წელს კი მეფე ლევანი თევზს, რძეს, ერბოსა და კვერცხს მიიღებს, ხოლო დედოფლის გარდაცვალებიდან მეოთხე წელიწადს მეფე ლევანი მსგეფს დღეებში ყველაფერს შეჭამს, რაც მართლმადიდებელი ქრისტიანისათვის არის დაწესებული.

2 თებერვალს, უფლის მირქმის დღესასწაულზე, ეპისკოპოსმა ანდრიამ ფედოტი და პავლე მღვდელი წირვაზე მიიწვია. იმ სოფელში, ბოჯში, ეკლესია ხისგანაა ნაშენი, დიდმოწამე გიორგის სახელზეა, ჯვარი კი ეკლესიაზე არ არის საკურთხეველი გამოყოფილია, მაგრამ შესასვლელი ერთი კარითაა. არც ტაძარში და არც საკურთხეველში ხატები არ იყო. ეპისკოპოსმა ანდრიამ ტაძარში ჯვარი და ყოვლადწმინდა ღმრთისმშობლის ხატი დააბრძანა, რომლებსაც ღმრთისმსახურების შესრულებისას მის, ეპისკოპოსის, წინ დაატარებენ. ეკლესიაში წირვაზე ფედოტისა და პავლე მღვდლის მოსვლის შემდეგ ეპისკოპოსმა წირვის დაწყება ბრძანა. თანამწირველებად მღვდელი და დიაკონი ჰყავდა. წირვაზე სამოციქულო და სახარება ეპისკოპოსმა ანდრიამ წაიკითხა. ამ დროს იგი თავის

ადგილზე, მარცხენა მხარეს იდგა და არა სამეუფეო კარების პირდაპირ; არ შეუმოსავს და ეპიტრაქილის გარეშე იყო. იმავე ეკლესიაში ტილოთი შემოხვეული სამი ჭოკი იდგა. ზომით ჭოკები ორსაჟენიანი სიმაღლისა და მეოთხედარშინიანი სისქისაა. ჭოკებს ყურები და თითები აქვს გაკეთებული, ჭოკების მეორე ბოლოში კი - ფიწალივით რკინები. პავლე მღვდელი ანდრია ეპისკოპოსს შეეკითხა, თუ რატომ იდგა ეს ჭოკები ეკლესიაში. ეპისკოპოსმა მიუგო: ეს დიდმოწამე გიორგის ისრებია; ამით ის ურწმუნოებს გმირავს, ჩვენ კი გვიცავს. ამ დროს გაბრიელ მღვდელს თითებზე ბეჭდები ეკეთა.

ბოჯიდან 2 თებერვალს წავედით. იმავე დღეს სოფელ პისკურში (ფუწყურში - ჯ.გ.) მივედით. იქ არის ხის ეკლესია საკურთხევლით; ხატები კი ტაძარში და საკურთხეველში არ არის. პავლე მღვდელი გაბრიელ მღვდლის კაცს - სავკას შეეკითხა, რატომ არ არის ეკლესიაში ხატები? სავკამ აუხსნა, რომ როცა მეფე აქ არ არის, ეკლესიაში ხატებს არ აჩერებენ, ხოლო მეფე ლევანი როცა მობრძანდება, ხატებსაც მაშინ მოაბრძანებენ და ეკლესიაში დაასვენებენო.

3 თებერვალს ჩვენთან დაბა პისკურიდან მეფე ლევანის ხაზინის მცველი ვასილი ბელორუსი მოვიდა და მოგვიყვა, რომ ის ვასილი ზაპოროჟიეში იყო და დონელ კაზაკებთან ერთად შავ ზღვაზე ლაშქრობა გადაწყვიტა. ისინი რვა ნავით ყოფილან. უამინდობით გამოწვეულმა უბედურებამ სადადიანოს ქვეყანაში გამოგვრიყა. ამ დროს თურქთა თექვსმეტი კატარღა მოგვადგა, ხმელეთიდან კი - მეფე ლევანის ხალხი. თურქები, კაზაკებს უსწორდებოდნენ, დადიანის ხალხმა კი კაზაკებს შეჰფიცა, რომ დარტყმას და ვნებას არ მიაყენებდნენ. კაზაკებმაც მათ დაუჯერეს და ნავებიდან მათთან გადავიდნენ, მაგრამ ამ დროს თურქებმა და სადადიანოს მეფის ხალხმა ერთობლივად კაზაკები გაწყვიტეს, ნაწილი ტყვედ წაასხეს(123). მას შემდეგ თორმეტი წელი გავიდა. მეფე ლევანმა ვასილი თავისთან წაიყვანა. შემდეგ, მეფე ლევანმა და დედოფალმა დარეჯანმა მის მიმართ წყალობა გამოიჩინეს და მას ჰკითხეს: რომელი სარწმუნოებაა უფრო სწორი, რუსული თუ ლიტვური და სად გაეგზავნათ ელჩი - მოსკოვის რუს ხელმწიფესთან თუ ლიტვის მეფესთან? მეფესა და დედოფალს ვასილმა უპასუხა: მოსკოვის რუსული სარწმუნოება როგორც მნათობი მთელ ცისქვეშეთში ანათებს და ყველა ხალხში რწმენით, ჭეშმარიტებითა და სიდიადით წმიდა და ნაქებია. ლიტველთა სარწმუნოება კი იგივეა, რაც ლათინთა. ვინც მართლმორწმუნე იყო, მეფემ იქ ძალით გაალათინა. რუსეთის სახელმწიფოში კი რწმენა კეთილია და შენთვის, მეფე ლევანისთვის,

ახლობელია. ამიტომაც გადაწყვიტეს მეფე ლევანმა და დედოფალმა ნესტან-დარეჯანმა სრულიად რუსეთის ხელმწიფე მეფესთან და დიდ მთავართან, მიხეილ თევდორეს-ძესთან ელჩის გაგზავნა.

4 თებერვალს ფუწყური დავტოვეთ და სოფელ გამბლში ჩავედით. ეკლესია იქ ქვისგან არის ნაგები, სტოა კი ხისაა და ჩალით დაფარული. ის ეკლესია წმიდა ნიკოლოზის სახელობისაა. გაბრიელ მღვდელმა მითხრა, რომ ამჟამად აქ ხატები არ არის და მსახურებანიც არ ტარდებაო, როცა მეფე ლევანი მოდის ხოლმე, ხატებსაც მაშინ მოაბრძანებენო. იმ დღესვე ღამბლიდან წავედით. იმავე დღეს სოფელ მერკულაში მივედით. იმ სოფელში ტაძარი - ქვის, სტოა კი ხისაა. გაბრიელ მღვდელმა გვითხრა, რომ ეკლესია წმიდა სამების სახელობისაა, მაგრამ ხატების გარეშე და უმოქმედოაო. იმ ეკლესიაში ჩვენ არც მივუწვევივართ.

5 თებერვალს მერკულადან წამოვედით და შავ ზღვასთან გამოვედით. ეპისკოპოსმა ანდრიამ გვითხრა: სრულიად რუსეთის დიდ ხელმწიფე მეფესთან და დიდ მთავართან მიხეილ თედორეს-ძესთან ლევან მეფემ თავისი ელჩი მღვდელი გაბრიელი იმისათვის გააგზავნა, რომ დიდ ხელმწიფეს მეფე ლევანის მიმართ თავისი მონყალების გაღებაზე უარი არ ეთქვა და მტკიცე მაღალი მარჯვენის ქვეშ იგი და მისი სამეფო შეეფარა. თურქეთის მეფისა და სხვა მეზობელი ბუსურმანული ურდოების წინააღმდეგ, რომლებიც რუსეთის მტრებად ითვლებოდნენ, თუკი სრულიად რუსეთის დიდი ხელმწიფე მეფე და დიდი მთავარი მიხეილ თევდორეს-ძე მოისურვებდა და ვინმეზე გაილაშქრებდა, მეფე ლევანიც მასთან, დიდ ხელმწიფესთან, ერთად გამოვიდოდა. თუკი დიდი ხელმწიფის ბრძანებით, კაზაკები თურქების წინააღმდეგ საბრძოლველად წავიდოდნენ და ღმრთის ნებით მათ ზღვის ტალღები მეფე ლევანის სამეფოში გამორიყავდა, მაშინ მეფე ლევანი კაზაკებს სიამოვნებით აჭმევდა, ასმევდა, მათზე ყველანაირად იზრუნებდა. თუკი თურქეთის მეფე კაზაკებს რაიმე ბოროტებას მოუწყობს, მაშინ სრულიად რუსეთის დიდი მეფისა და დიდი მთავრის მიხეილ თევდორეს-ძის, მისი მეფური უდიდებულესობის გულისთვის ლევან მეფე მოხარული იქნება კაზაკებს გვერდში ამოუდგეს და უსჯულოების წინააღმდეგ მათთან, კაზაკებთან, ერთად იბრძოლოს. ამასთან, იგი სრულიად რუსეთის დიდ ხელმწიფე მეფესა და დიდ მთავარს მიხეილ თევდორეს ძეს სთხოვდა, რომ მას ნყალობა გამოეჩინა და კაზაკებისათვის მის ქვეყანაში საომრად მოსვლა, ასევე ნავსაყუდლებში სავაჭრო კატარღებისა და გემების დარ-

ბევა დაეშალა, რადგან კაზაკების შიშით სამი წელიწადია ჩვენთან სავაჭრო გემები აღარ შემოსულანო. იმ წლებში კი, როცა სავაჭრო გემები და კატარღები ჩვენთან არ მოდიან, მარილის, რკინისა და სხვა მრავალი საჭირო საქონლის ნაკლებობას განვიცდითო.

6 თებერვალს დრანდის მონასტერში(124) მივედით. ეპისკოპოსმა ანდრიამ და გაბრიელ მღვდელმა თქვეს: ეს მონასტერი თურქებმა დაარბიესო. 145 [1637] წლის მაისში თურქები სამოცი კატარღით ნაპირს მოადგნენ და მონასტერი აოხრესო. მონასტერში ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ქვის ტაძარია, მაგრამ ის არ უთქვამთ - ხარების, შობის თუ მიძინებისა იყო; ასე ამბობენ: ღმრთისმშობელი ერთიაო. ტაძარში საკურთხეველი გამოყოფილია, ასევე ტრაპეზიცა და სამსხვერპლოც წესისამებრაა; ტრაპეზზე ინდიქტიონი და საფარველი არ არის. დეისუსში სამი ხატია - ყოვლისმპყრობლის, ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლისა და იოანე წინამორბედის. ხოლო ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ადგილობრივი ხატი ისეთივეა, როგორიც დეისუსში წერია. მეორე მხარეს, კიოტში, ჯვარია; ჯვარში, რომელიც კიოტიდან ამოასვენეს, წმინდა ნაწილებია - ხელის ორი ძვალი იდაყვიდან მაჯამდე. ეპისკოპოსმა ანდრიამ გვითხრა, რომ ეს ხელის ძვლები მოწამე მარინესი (კომენტ. 158-ჯ.გ.) არისო. მეორე ჯვარი ვერცხლისაა მოოქროვილი; ჯვრის ფერხთით ექვს პატარა უჯრაში სხვადასხვა წმინდანის წმინდა ნაწილია მოთავსებული. რომელი წმინდანებისაა ეს წმინდა ნაწილები, ვინ და საიდან ჩამოიტანა, ჩვენთვის არ უთქვამთ, მაგრამ გვითხრეს: რომ როცა ტაძარი აშენდა, მაშინ ჩამოაბრძანეს აქ სიწმიდეებიო. ვინ და საიდან ჩამოიტანა, რომელ წმინდანთა ნაწილებია, ამის შესახებ წერილობითი საბუთები არ გვაქვსო. იმ დროს ეპისკოპოსმა ანდრიამ იქ ჟამნის წაკითხვა ბრძანა. ჟამნზე სამოციქულოსა და სახარებას ეპიტრაქილისა და შესამოსელის გარეშე ეპისკოპოსი ანდრია კითხულობდა, იდგა რა ტაძარში თავის ადგილზე და არა სამეუფეო კარების პირდაპირ.

8 თებერვალს მოქვის მონასტერში (კომენტ. 97-ჯ.გ.) ვიყავით. იმ მონასტრის ტაძარი ქვისგანაა ნაგები; საკურთხეველი გამოყოფილია, ტრაპეზი, სამსხვერპლო, დეისუსი და ადგილობრივი ხატები წესისამებრ არის. ადგილობრივი მაცხოვრის ხატი კიოტშია დაბრძანებული. ხატი კიოტიდან ამოიღეს, ხატის უკანა მხარეს წმინდანთა სახელებია ჩამოწერილი. მათ ქვეშ იმათი წმინდა ნაწილებია მოთავსებული, ვინც აქ წერია. სულ ოთხმოცდაათი წმინდანის სახელი ეწერა. ფედოტმა პავლე მღვდელს მათი სახელების ჩაწერის უფლება არ მისცა, მხოლოდ უბრძანა ეთქვა, თუ

ვინ იყო იმათგან მღვდელმთავარი, ვინ ღირსი და ვინ მოწამე, ან ღირსი და მოწამე დედა. მე, პავლე მღვდელმა, არ ვიცი, ყველა მათი სახელი ფედოტმა ჩაიწერა თუ არა, რადგან ჩემთვის ნაკითხად არ მოუცია, არც ნება დაურთავს, რომ მე ჩამეწერა. იმავე ტაძარში მაქსიმე ეპისკოპოსმა (კომენტ. 98 - ჯ.გ.) ჯვარი გვაჩვენა. ეპისკოპოსებმა ანდრიამ და მაქსიმემ გვითხრეს, რომ იგი უფლის ცხოველმყოფელი ჯვრისაგანაა, რომელზედაც ქრისტე გააკრეს. ჯვარზე უფლისა და ქრისტეს ჯვარცმის ხატი არ წერია. ჯვარი ქვებითაა შემკული. იმავე მაქსიმე ეპისკოპოსმა ასევე თეთრი ქვის პატარა თითისტარი გვიჩვენა და გვითხრა, რომ ის თითისტარი ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის არისო. იმავე მაქსიმე ეპისკოპოსმა გვიჩვენა წმინდა ნაწილები - ორი უხრწნელი ხელი თითებით, რამდენიმე ცარიელი ძვალი, ფეხის ორი ნაწილი და სხვა ძვლები, სულ ათამდე წმიდა ნაწილი. ეპისკოპოსმა მაქსიმემ თქვა: ის ხელები, ფეხის ნაწილები და ძვალი არქიდიაკონ სტეფანეს (კომენტ. 99) ეკუთვნისო, ხოლო სხვა წმინდა ნაწილები რომელი წმიდანებისა იყო, არ უთქვამთ. ჩვენ ვიკითხეთ, საიდან ჩამოიტანეს ეს წმინდა ნაწილები, ვინ ჩამოაბრძანა? ეპისკოპოსმა მაქსიმემ გვიპასუხა: არქიდიაკონ სტეფანეს წმიდა ნაწილები ცარგრადიდან (კონსტანტინოპოლი - ჯ.გ.) იმპერატორმა კონსტანტინემ ჩვენს მეფეს გამოუგზავნაო. ხოლო პირადად ვინ და როდის ჩამოიტანა, არ ვიცით, რადგანაც ამის შესახებ მატიანეები არა გვაქვსო.

იმავე დღეს იმ ეკლესიაში ეპისკოპოსმა (კათოლიკოსმა - ჯ.გ.) მაქსიმემ თავის მღვდლებს წირვის აღსრულება უბრძანა. წირვას ხუთი მღვდელი და ერთი დიაკონი ატარებდა. როცა სახარებით გამოვიდნენ და ეკლესიის სამეუფეო კარებთან მივიდნენ, პირველმა მღვდელმა, რომელიც მთელს ტაძარში დადიოდა, ხატებს, ეპისკოპოსსა და მრევლს კმევა დაუწყო. როდესაც სახარებით ხელში საკურთხეველში შევიდნენ, გაბრიელ მღვდელმა დიაკონს ტრაპეზის გარშემო სახარებით წასვლა და ჩრდილოეთის კარებით ტაძარში გასვლა უბრძანა. დიაკონიც სახარებით ხელში ტრაპეზის გარშემო, ტაძარშიც და საკურთხეველშიც მარტო მიდიოდა. როცა სამოციქულოს კითხვის დრო დადგა, იმავე დიაკონმა ტრაპეზიდან იგივე სახარება აიღო, საკურთხეველიდან ჩრდილოეთის კარით ტაძარში გავიდა და იმ სახარებაშივე სამოციქულო წაიკითხა. სამოციქულოს შემდეგ გაბრიელ მღვდელი და მისი თანამწირველი მღვდლები საკურთხეველში სამეუფეო კარებთან შეჯგუფულნი ფეხზე დგომით ალილულიას გალობდნენ. ალილულიას შემდეგ

დიაკონმა იმავე წიგნიდან სახარება წაიკითხა იმ ადგილიდან დაუძვრელად, სადაც სამოციქულო წაიკითხა. წირვის შემდეგ ეპისკოპოსმა მაქსიმემ (კომენტ. 98-ჯ.გ.) ეპისკოპოსი ანდრია, ფედოტი და პავლე მღვდელი სატრაპეზოდ მიიწვია.

9 თებერვალს მოქვის მონასტრიდან, ეპისკოპოს მაქსიმესგან (კომენტ. 98-ჯ.გ.) წავედით. იმავე დღეს [ილორის] წმ. გიორგის მონასტერში(125) მოვედით. ეკლესია იმ მონასტერში ქვისგან არის ნაგები, თავზე ვერცხლის ჯვარი ადგას; ეკლესიის კარებზე საკეტებიც ვერცხლისაა. დეისუსი და ხატები ტაძარში და საკურთხეველში არ არის. შუა ტაძარში ტრაპეზი დგას, ზედ ხის ჯვარია დამაგრებული; იგი წინა მხრიდან ვერცხლითაა მოჭედილი, შუაში კი დიდმოწამე გიორგის ვნების ამსახველი ხატია ამოკვეთილი. იმავე ტრაპეზის მეორე მხარეს ბროლის დიდი ჯვარი დგას, ჯვრის მხრები სამი მეოთხედი არშინის ზომისა იქნება. შუაში გოჯისოდენა ვერცხლის დაფაა დამაგრებული და იმ დაფაზე სამების ხატია გამოსახული. ეპისკოპოსმა ანდრიამ და მღვდელმა გაბრიელმა კი გვიამბეს: როცა ლევან მეფემ იმერეთის მეფის წინააღმდეგ გაილაშქრა, მაშინ თეიმურაზ მეფე იმერეთის მეფის მოკავშირე ყოფილა მეფე ლევანის წინააღმდეგ და ეს ბროლის ჯვარი თურმე თეიმურაზის დროშის თავზე ყოფილა მიმაგრებული. ღმრთის შეწევნით, ლევან მეფემ იმერეთისა და [აღმოსავლეთ] საქართველოს მეფეები დაამარცხა, იმ დროს ის ბროლის ჯვარი დროშასთან ერთად ხელში ჩაუგდია. ასევე ეპისკოპოსმა ანდრიამ გვითხრა: როცა სამ ნოემბერს დიდმოწამე გიორგის დღესასწაული აღინიშნება, მონასტერში მეფე ლევანი მობრძანდება. მწუხრის შემდეგ კი მეფე ლევანი მონასტრიდან მიდის და მთელს მრევლთან ერთად მონასტერს დატოვებს თუ არა, მონასტრის ჩარაზვას, დაკეტვას ბრძანებს და სამეფო ბეჭდით მეფე ლევანი პირადად ბეჭდავს. მეორე დილით კი ცისკარზე მეფე ლევანი, ბოიარები, მათთან ერთად პატრიარქი, მღვდელმთავრები, ყველა ხარისხის პირი მოდის. მეფე ლევანი ბეჭედსა და საკეტს შეამოწმებს და უბრძანებს გახსნას, შევლენ მონასტერში, ტაძარში და იმ დროს ეკლესიის სტოაში გვერდით კარებთან ხარი დგას. ყოველ წელიწადს, თავის დღესასწაულზე დიდმოწამე გიორგის უხილავად ხარი მოჰყავს. სტოას საკეტი არა აქვს, მონასტრის ზღუდე კი არც თუ ისე მაღალია. ხოლო ვისი ხარიც სტოაში დიდმოწამე გიორგის ზეიმზე აღმოჩნდებოდა, თურმე იგი პატრონმა გიორგობამდე თექვსმეტი დღით ადრე დაკარგა. გაბრიელ მღვდელმა გვითხრა: წინათ დიდმოწამე გიორგი თავის დღესასწაულზე თეთრ ირემს გვიგ-

ზავნიდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ზოგიერთმა დედაკაცმა იმ ირმის ხორცი ჭამა, ჩვენი ცოდვების გამო წმიდა გიორგის ზეიმზე ირემი აღარ გამოჩენილაო. პავლე მღვდელი ეპისკოპოს ანდრიას შეეკითხა: დიდი ხანია, რაც წმიდა გიორგი თავის დღესასწაულზე ირემს აღარ აგზავნის? ეპისკოპოსმა ანდრიამ მიუგო: ჩვენთან ასეთი ზეპირი გადმოცემა არსებობს, სინამდვილე კი არ ვიცით, ხოლო მატიანეები ამის შესახებ არა გვაქვსო. დიდმოწამე გიორგის იმავე ტაძარში, კედელთან რკინის მშვილდია მიყუდებული; ზომით საჟენზე მეტი იქნება. იმ მშვილდის გვერდით თორმეტი ჭოკია მიყუდებული. ამ ჭოკებს ისრებივით ყურები და თითები აქვთ; მეორე ბოლოში კი რკინები აქვთ ფინალივით გაყრილი. პავლე მღვდელი ეპისკოპოს ანდრიას შეეკითხა: რკინის მშვილდი რისთვის გაკეთდა და ჭოკები ეკლესიაში რისთვის ინახება? ეპისკოპოსმა ანდრიამ უპასუხა: ეს მშვილდი და ისრები დიდმოწამე გიორგის ეკუთვნის, ამ მშვილდით და ისრებით წმ. გიორგი ურწმუნოებს მუსრავს და მორწმუნეებს იცავსო. პავლე მღვდელმა ეპისკოპოს ანდრიას ჰკითხა: დიდი ხანია, რაც დიდმოწამე გიორგის ტაძარი აშენდა, რომელი მეფის ზეობის დროს და მას შემდეგ რამდენი წელი გავიდა? თქვენ ამბობთ, დიდმოწამე გიორგი რკინის მშვილდით და იმ ჭოკებით ურწმუნოებს ებრძვისო. რომელმა თქვენგანმა იცის, სად შემუსრა გიორგიმ თქვენთან ურწმუნოები და რომელი ურწმუნო მეფე შემუსრა, გიორგი თქვენთან საიდან მოვიდა, ან თუ დიდმოწამე გიორგი თქვენთან დაიბადა და ეწამა, მაშინ მისი წმიდა ნაწილები სად განისვენებს? ეპისკოპოსმა ანდრიამ და გაბრიელ მღვდელმა უპასუხეს: როგორ აშენდა დიდმოწამე გიორგის ტაძარი, ამის შესახებ ჩვენ ცნობები არ გვაქვს და არ ვიცით ის რამდენი წლისაა და რომელი მეფის დროინდელია, რადგან ამის შესახებ ჩვენ მატიანეები არა გვაქვსო; დიდმოწამე გიორგის დაბადებისა და წამების შესახებ - როდის დაიბადა და ეწამა, სად არის მისი წმიდა ნაწილები, ჩვენ არ ვიცით; სად აჩვენა დიდმოწამე გიორგიმ სასწაულები და რომელი ურწმუნო მეფე სად, რომელ წელს, რომელი მეფის დროს დაამარცხა, ჩვენ ყველაფერ ამის შესახებ არაფერი ვიცით და არც რაიმე საბუთი მოგვეპოვება.

წმიდა გიორგის მონასტერი იმავე დღეს დავტოვეთ და იმ დღესვე ბედიის(126) ეპისკოპოსთან მივედით. ბედიის ეპისკოპოსმა ფედოტი და პავლე მღვდელი თავისთან სატრაპეზოდ მიიწვია. სუფრის შემდეგ ბედიის ეპისკოპოსმა იაშმის ქვაზე ამოკვეთილი დიდმოწამე გიორგის პანაღია გვაჩვენა. იაშმის ქვა ყველა მხრიდან ოქროშია ჩასმული, მაგრამ პანაღიას საკეტი არა აქვს; [ეპისკოპოსი მას] ბამ-

ბის ქსოვილს გადააფარებს და შემდეგ ნაჭერში ახვევს. პანაღეას გარეთ არ ატარებენ, გრძელი ჯაჭვი აქვს პანაღეას შებმული. ბედიელ ეპისკოპოსს ჯიბეებიანი აღმოსავლური აბრეშუმის კაფთანი ეცვა და კაფტანზე ოქროს ყიზილბაშური ნაქარგია; ეპისკოპოსს სარტყელად ქ. კაშანში დამზადებული გრძელი ვიწრო აბრეშუმის ქსოვილი ეკრა; კაფტანს ზემოთ ხავერდით გაწყობილი კვერნის ქურქი ეცვა ჯიბეებით, ხელების გასაყრელითა და ზონარიანი შესაკრავით; მეორე ქურქი ცხვრისაა, ორმაგი ხავერდით გაწყობილი. მარჯვენა ხელის ნეკა თითზე მას, ბედიის ეპისკოპოსს, ორი ოქროს ბეჭედი წამოეცვა, ერთ მათგანში ფირუზის ქვაა ჩასმული. შემდეგ ეპისკოპოსმა ანდრიამ ბედიელის კაცს ცეკვა და სამფეხა სკამზე დაკვრა, თავის მსახურებს კი ტაშისცემა და სიმღერა უბრძანა. ამის მერე ბედიის ეპისკოპოსმა ხმალი გვიჩვენა, ეპისკოპოსმა ანდრიამ კი ეს ხმალი თავის გარშემო შემოლუნა და აქეთ-იქით იქნია.

10 თებერვალს ეპისკოპოს ანდრიასა და ბედიელ ეპისკოპოსთან ერთად ბედიის მონასტერში ვიყავით. ეკლესია ქვისაა, ხოლო ეკლესიაზე ჯვარია; ეკლესიაში კი დეისუსი, ადგილობრივი ხატები, საკურთხეველი, საკურთხეველში ტრაპეზი და სამსხვერპლო, - ეს ყველაფერი წესისამებრ არის. იმავე ეკლესიაში ბედიის ეპისკოპოსმა სამღვდელმთავრო კვერთხი გვაჩვენა. კვერთხის ზემოთ თავის მსგავსი აქვს გაკეთებული, [რომელიც] შავი ხავერდითაა გადაკრული. ხავერდზე ჯვარია ამოქარგული. მეორე მხარეს კი მეფე კონსტანტინესა და მისი დედის ელენეს (კომენტ. 91-ჯ.გ.) ხატებია ამოქარგული. თავსქვემოთ, კვერთხის გვერდით, იმ ხავერდოვანი საფარველის ბოლოები შეკრული და დაბეჭდილია. ეპისკოპოსებმა ბედიელმა და ანდრიამ, აგრეთვე გაბრიელ მღვდელმა თქვეს: ამ ხავერდით ქრისტეს ეკლიანი გვირგვინია დაფარულიო, როცა ებრაელებმა ქრისტე აწამეს, ის ეკლის გვირგვინი ქრისტეს თავზე წამოაცვესო; ასევე [თოკი], რითაც ქრისტე შეკრეს და [სამსჭვალი, რომლითაც] ჯვარზე მიამსჭვალეს (127). [თოკი], რითაც უფალი შეკრეს, და სამსჭვალები ეკლის გვირგვინთან ერთად თავმოკრულია და მეფე ლევანის ბეჭდითაა დაბეჭდილი. ეპისკოპოსებმა ბედიელმა და ანდრიამ თქვეს: მეფე ლევანის ბრძანების გარეშე ბეჭდის მოხსნის, მისი გახსნის, ქრისტეს გვირგვინის, თოკისა და სამსჭვალების ჩვენების უფლება არ გვაქვსო. მას შემდეგ, რაც მეფესთან საელჩო მიღებაზე იქნებით, მეფე თავად მობრძანდება აქ და მაშინ ეკლის გვირგვინს, თოკს, სამსჭვალებს და სხვა ყველაფერს გიჩვენებთ. იმ ტაძარში მაშინ ჟამნი წაიკითხეს; ეპის-

კოპოსი ანდრია ჟამნობაზე ეპიტრაქილისა და შესამოსელის გარეშე იყო; როცა სახარებას კითხულობდა, იგი ტაძრის მარჯვენა მხარეს იდგა და არა სამეუფეო კარების პირდაპირ.

ბედიის მონასტერი იმავე დღეს დავტოვეთ.

13 თებერვალს ცაიშში, სამების მონასტერში(128) ეპისკოპოს ანდრიასთან მივედით. იმ მონასტერში ქვის ეკლესიაა საკურთხევლით. საკურთხეველში ტრაპეზი და სამსხვერპლო, ასევე დეისუსი და ადგილობრივი ხატები, ყველაფერი წესისამებრ არის. კედლები მოხატულია დღესასწაულთა და წმინდანთა ფრესკებით. მათ გვერდით გამოსახულია სადადიანოს მეფენი, დედოფალნი, უფლისწულები, მათი ახლობელი ბოიარები და სათათბიროს დიაკები. ცხოველმყოფელი სამების ხატი კი ტაძარში არ არის, სამეუფეო კარები არაა ორსაგდულიანი. ეკლესიაში ჩვენი მისვლისთანავე ეპისკოპოსმა ანდრიამ მღვდელმონოზონს ჟამნი წააკითხა. ჟამნობაზე სამოციქულო და სახარება ეპიკოპოსმა ანდრიამ წაიკითხა, იდგა რა ეკლესიაში თავის ადგილზე - მარცხენა მხარეს, ჩრდილოეთის კართან ახლოს - შესამოსელისა და ეპიტრაქილის გარეშე.

16 თებერვალს სამების მონასტერში სალოცავად მეფე ლევანის ორი ბოიარი მოვიდა. ერთ მათგანს როსტომი ერქვა, მეორეს - მეფლი. გაბრიელ მღვდელმა გვითხრა: მეფე ლევანის დედოფლის ნესტან-დარეჯანის მკვიდრი და როსტომზეა გათხოვილი, ხოლო როსტომის და მეთოლას ცოლიაო. წირვის ჩატარება იმ დროს ეპისკოპოსმა ანდრიამ მღვდელმონოზონს დაავალა. წირვაზე სახარება კი ეპისკოპოსმა ანდრიამ უეპიტრაქილოდ და შეუმოსავად წაიკითხა, იდგა რა ეკლესიაში თავის ადგილზე და არა სამეუფეო კარის პირდაპირ. დიდი გამოსვლის შემდეგ ბოიარმა როსტომმა მწირველს საცეცხლური გამოართვა, საკუთარი საკმეველი თავის ირგვლივ სამჯერ შემოივლო და ის საკმეველი საცეცხლურში ჩაყარა, სამეუფეო კარებთან მივიდა და ტრაპეზს უკმია, შემდეგ მარცხენა მხარეს ხატებსა და ეპისკოპოსებს უკმია, ასევე მარჯვნივაც მთელ მრევლს ტაძარში უკმია. ამ დროს როსტომს წელზე ხმალი ერტყა. წირვის შემდეგ ეპისკოპოსმა ანდრიამ ბოიარები, ფედოტი და პავლე მღვდელი სატრაპეზოდ მიიწვია. ტრაპეზის წინ **მამაო, ჩვენო** გაბრიელ მღვდელმა წაიკითხა. ამ დროს ეპისკოპოსი ანდრია, ბოიარები და ყველა, ვინც იქ იყო, ისხდნენ; ეპისკოპოსმა ანდრიამ სუფრა მჯდომარემ აკურთხა. როცა სმაჭამას შეუდგნენ, ეპისკოპოსმა ანდრიამ ორ კაცს ვიოლინოზე დაკვრა უბრძანა, სხვა რამდენიმეს - სიმღერა და ტაშისცემა; იმ დროს, დგებოდნენ რა, ბოიარები ცეკვავდნენ, სამფეხა სკამებზე ურტყამდნენ

და ტაშს უკრავდნენ. მონასტერში ეპისკოპოს ანდრიას ბერების საძმო არ ჰყავს, მხოლოდ ერთი მღვდელმონოზონი და დიაკონია, ისინიც მონასტერს გარეთ ცხოვრობენ. მონასტერში მონოზვნები ჰყავს, რომელთა ქალიშვილები და მსახურნი ქალებიც იქვე ეპისკოპოსთან ცხოვრობენ.

17 თებერვალს ეპისკოპოს ანდრიასგან, ცაიშის სამების მონასტრიდან წამოვედით. იმავე დღეს ლეტჩიხაში მოვედით. იქ ორი კვირა დავყავით. ყოველდღე ჩვენთან პრისტავი დემოგენია ბოგუჩინი მოდიოდა.

23 თებერვალს პრისტავმა დემოგენიამ ქრისტეს ეკლიანი გვირგვინის, სამჭვალისა და თოკის შესახებ გვიამბო, რითაც ურიებმა ქრისტე შეკრეს და რითაც ჯვარზე მიამსჭვალეს: თბილისელმა მეფე სიმონმა იმერეთის სამეფო დაამარცხა და ეკლიანი გვირგვინი, თოკი და სამსჭვალები სიმონმა ხელში ჩაიგდო. ამის შემდეგ კი სადადიანოს მეფემ სიმონის წინააღმდეგ გაილაშქრა და სადადიანოს მეფემ სიმონის სამეფო დაამარცხა(129). იმ დროს ქრისტეს ეკლიანი გვირგვინი, თოკი და სამსჭვალები იქიდან წამოიღო და იმ დროიდან დღემდე ქრისტეს ეკლიანი გვირგვინი, თოკი და სამსჭვალები მეფე ლევანის სამეფოშია დაბრძანებული.

იმავე დღეს, იმავე დემეგენიამ მოგვითხრო: როცა მეფე ლევანის დედოფალი ნესტან-დარეჯანი ჯერ კიდევ ცოცხალი ყოფილა, მეფე-დედოფალს ერთმანეთისთვის შეუფიცავთ: პირველი თუ მეფე ლევანი მოკვდებოდა, დედოფალი მას კუბოში ცოცხალი ჩაჰყვებოდა. ცოცხლად კუბოში ჩაყოლა თუ ვერ მოხერხდებოდა, მაშინ ლევანის შემდეგ მას უბრალო ტანისამოსი უნდა ეტარებინა, ნაცარზე მჯდარიყო, მეფე ლევანზე ცრემლები ეღვარა და თავზე თიხა მოეყარა; პირველ წელიწადს თევზი, ხორცი და რძის ნაწარმი მთელი წელი არ უნდა მიეღო. თუ ადრე დედოფალი მოკვდებოდა, მეფე ლევანს იგივე უნდა გაეკეთებინა. როგორც კი დედოფალი გარდაიცვალა 147 [1639] წლის მაისში, მეფე ლევანი მას შემდეგ ხორცეულის დღეებში, მსგეფსის შვიდეულში, სამების დღეს, ქრისტესშობის დღეს, შობიდან ნათლისღებამდე, შვიდეულის ნებისმიერ დღეს და ყოველ ხორციელ დღეს, თევზს, რძესა და ხორცს არ ჭამს. მეფე ლევანი მგზავრობს და დადის უბრალო ტანსაცმელში, შიშველ ფეხებზე ქალამნებს იცვამს და არა წაღებს. მასთან იყვნენ პატრიარქი, მიტროპოლიტი, ბოიარები, ეპისკოპოსები და ეუბნებოდნენ: შეწყვიტე, მეფეო, გლოვა, ყველაფერი ღმრთის ნებით ხდება - თუ ცოლი მოკვდა, ქმარი დარჩება; ვინც რჩე-

ბა ღმერთს სასოებს, მიცვალებულს იხსენიებს, გლოვას წყვეტს. მეფე ლევანმა პატრიარქს, ბოიარებს და მღვდელმთავარს მიუგო: ვისაც როგორ სურს, ისე აკეთებს, მე კი ჩემს სიტყვას არ მინდა გადავიდე, რაზეც აღთქმა დავდე იმას ვასრულებ; გარდა ამისა, არავინ იცის, კიდევ რა მაქვს ჩაფიქრებული.

იმავე დღეს მეფე ლევანის ბოქაულმა სახელად ხახუტამ გვიამბო: წინათ მაცხოვრის მონასტერში ეპისკოპოსი ყოფილა, რომელიც სამონასტრო მამულების გლეხებს, მათ ცოლებსა და შვილებს უცხო ქვეყნებში - სვანეთში, ჩერქეზეთში, ყაბარდოში, ყუმიყეთში და სხვა ბუსურმანულ ქვეყნებში ყიდდა. მეფე ლევანმა ის ეპისკოპოსი ჩადენილი უსამართლობისათვის შაჰის ხანს, როსტომს(130) გაუგზავნა და მისი მოშთობა სთხოვა. როსტომმა ის ეპისკოპოსი მოაშთო. როსტომს კი ლევანის და ჰყავსო ცოლად.

1 მარტს ლეტჩიხიდან წავედით და იმავე თემის სხვა სოფელში მივედით. ვისთანაც ვიყავით, იმ ადამიანს მახუტია ერქვა.

1 მარტს პავლე მღვდელი მიხეილ ბელორუსს შეეკითხა: მეფე ლევანისთვის დედოფალი ნესტან-დარეჯანი პირველი იყო, ქალწული მითხოვდა მას თუ ქვრივი? მიხეილმა უპასუხა: მეფე ლევანს პირველ დედოფლად აბაზინთა თავადის ქალი ჰყავდა, ქალწული იყო, მას ცეტანურია(131) ერქვა. ლევან მეფეს ტანურიასთან ორი შვილი შეეძინა, ერთს მამია ერქვა, მეორეს-მანუჩარი; ის ორივე მისი შვილი გარდაიცვალაო. მეფე ლევანისგან მალულად დედოფალ ტანურიას ლოგინის სხვა მეგობარი ჰყოლია. როცა ლევან მეფემ მისი უწესობა შეიტყო, განრისხდა, ამისთვის მას ცხვირი და ყურები დააჭრა და ის დედოფალი ობაზებში დააბრუნა; ის დედოფალი ობაზებში გარდაიცვალა. პირველი დედოფლის, ტანურიას, შემდეგ მეფე ლევანმა თავის ნათესავ ბოიარს, გიორგი ლიპარტიანს, ცოლი დარეჯანი, წაართვა და მასზე დაქორწინდა. იმ დედოფალ დარეჯანთან მეფე ლევანს ოთხი შვილი შეეძინა - ორი ძე და ორი ასული. უფროს ვაჟს ალექსანდრე ჰქვია, მეორეს - მანუჩარი. ხოლო უფროს ქალიშვილს გული ჰქვია; მეფე ლევანის ის ქალიშვილი გარდაიცვალა, მეორე ქალიშვილის სახელია ძილუხანი. ის თავისი ქალიშვილი მეფე ლევანმა გურიის მთავარს, ვახტანგს, მისცა, რადგანაც ძილუხანი ვახტანგის შვილზეა დანიშნულიო. ნესტან-დარეჯანს, როცა იგი გიორგი ლიპარტიანის ცოლი იყო, გიორგი ლიპარტიანს და დარეჯანს ორი ვაჟი ჰყავდათ. ლიპარტიანის უფროსი ვაჟის სახელია ვამეყი(132), უმცროსი შვილის - გიორგი. ლიპარტიანის ის შვილები დღესაც ცოცხლები

არიან. გიორგი ლიპარტიანი კი ლევან მეფის მკვიდრი ბიძაა.

იმ დღეს პავლე მღვდელმა მიხეილ ბელორუსს ჰკითხა: აქ, სადადიანოს ქვეყანაში, პარაკლისებს თუ კითხულობენ, აქაური ხალხი მარხვას თუ ინახავს, მოძღვართან აღსარებაზე თუ დადის და უფლისა ჩვენისა ქრისტეს სისხლსა და ხორცს თუ ეზიარება? მიხეილმა თქვა: სადადიანოს ქვეყანაში მე თორმეტი წელიწადია ვარ და ასეთი არც მინახავს და არც მსმენია, რომ პარაკლისს კითხულობდნენ; არც მარხულობენ და არც ეზიარებიან. კეთილშობილნი კიდევ ეკრძალებიან ხორცსა და რძეს მარხვაში. მიწათმოქმედი გლეხები და სხვა მდაბიონი კი მარხვის დროს რძეს, კვერცხს და ერბოს ჭამენ. პატრიარქი, ეპისკოპოსები და მღვდელმთავრები იმ ადამიანებს სიკეთეს არ ასწავლიან, მარხვაში რძის, კვერცხისა და ერბოს ჭამას არ უკრძალავენ. მიხეილ ბელორუსს კი ცოტათი რუსული განათლება ეტყობა.

როცა მონასტრების დასათვალიერებლად დავყავდით, სენაკებშიც, საცხოვრებელ სახლებშიც, სახელმწიფო დაწესებულებებშიც და ზოგიერთ საზოგადოებრივ სამლოცველოშიც არსად გვინახავს ჯვარი უფლისა, ხატები - ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლისა ერთარსი ყრმით ხელში და ღვთივსათნო წმიდანებისა. ხოლო ეპისკოპოსები, ბოიარები, იღუმენები, მღვდლები, დიაკვნები და სხვა წოდების ადამიანები პირჯვარს წესიერად ვერ ისახავენ.

23 მარტს ლეტჩიხი დავტოვეთ და იმავე დღეს აზუბში მივედით. 25 მარტს მეფე ლევანმა ფედოტს და ყველა რუსს, რომლებიც მას ახლდნენ, 8 თოხარიკი ცხენი გამოუგზავნა.

აზუბიდან 27 მარტს გავედით. 28 მარტს ბანძაში მივედით; ბანძიდან 29 მარტს წავედით. იმავე დღეს ჭყონდიდის მონასტერში(133) მიტროპოლიტ მიტროფანესთან მივედით. იმ მონასტერში ქვის ეკლესია დგას. ეკლესიაში დეისუსის ძველი მხატვრობაა, სახე არ ჩანს; ადგილობრივი ხატები კი წესისამებრ არის. ეკლესია ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ოდიგიტრიის სახელობისაა. საკურთხეველი ტაძრიდან გამოყოფილია; ტრაპეზი წესისამებრაა, სამსხვერპლო კი ცალკეა და საკურთხევლიდან სამსხვერპლოსკენ კარი არ გადის. სამსხვერპლოს თავზე ხატები და კედლის მხატვრობა არ არის. როცა სეფისკვერს იღებენ და წირავენ, მაშინ საკურთხევლიდან სამსხვერპლოში სამეუფეო კარებით შედიან.

როცა ეკლესიაში მივედით, მიტროპოლიტი წირვისათვის ჩვენი თანდასწრებით იმოსებოდა. სტიქარის სიგრძე წესის მიხედვითაა, მაგრამ საბეჭურის, ვარსკვლავებისა და არშიების გარეშე; ეპიტრაქ-

ილი, სამკლაური, სარტყელი და ენქერი წესისამებრ იყო. შესამოსელის ნაცვლად ბისონს იცვამს, ბისონი კი კაფთანის ზედაპირის ქსოვილისგან ხიშტაკითა და სახელოებითაა შეკერილი; სახელოები და გვერდები გაუკერავია. სახელოებზე და გვერდებზე ღილების ნაცვლად თხუთმეტ-თხუტმეტი ვერცხლის მოოქროვილი პატარა ეჟვანია დაკერებული. როცა მიტროპოლიტი ბისონს იცვამს, ბისონის ეჟვნებს შეუბნევენ და მასზე ბისონი როგორც კაფთანი, ისე გამოიყურება, და თანაც - ჯიბით, რადგან ბოლო ეჟვანი ქვედა პირიდან ექვსი გოჯით არის დაშორებული. ბისონის სიგრძე ცოტათი მუხლს ქვემოთ სცილდება. პავლე მღვდელი მიტროპოლიტ მიტროფანეს შეეკითხა: რა ჰქვია იმ სამოსელს, რომელსაც სტიქარზე ფელონის ნაცვლად იცვამ და სახელოებითა და ჯიბეებით არის? მიტროპოლიტმა მიტროფანემ უპასუხა: ეს სამოსელი მე იერუსალიმის პარტიარქმა თეოფანემ(134) მაჩუქა და მითხრა, ეს ბისონია და ფილონის ნაცვლად ჩაიცვიო. დიდი გამოსვლის წინ მიტროპოლიტი საკურთხევლიდან სამეუფეო კარებით სამსხვერპლოში შევიდა. მას, მიტროპოლიტს, უკან თანამწირველი მღვდლები და დიაკვნები მიჰყვებოდნენ. როცა მიტროპოლიტი სამსხვერპლოსთან მივიდა, თავისთან პავლე მღვდელი მოიხმო და სრულიად რუსეთის დიდი ხელმწიფე მეფისა და დიდი მთავრის მიხეილ თევდორის-ძისა და დიდი მეუფის მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის იოსაფის სახელები გამოკითხა და იმ დროს მათი ჯანმრთელობისთვის სეფისკვერი ამოილო. გამოსვენებისას მიტროპოლიტი ჯერ სამეუფეო კარებით საკურთხეველში შევიდა. როცა სამეუფეო კარებთან სიწმინდეებით მოვიდნენ, მიტროპოლიტმა ფეშხუმი აკმია და ტრაპეზზე დადგა. **მოიხსენიოს უფალმან ღმერთმან**, არ უთქვამს, მაგრამ თქვა **უმეტესად** და იმ დროიდან აკმევდა.

წირვის შემდეგ მიტროპოლიტმა მიტროფანემ ფედოტი და პავლე მღვდელი სატრაპეზოდ მიიწვია. ტრაპეზზე მან გვიამბო: წარმოშობით ქართველი ვარ, თეიმურაზის (კომენტ. 9-ჯ.გ.) სამეფოდან. თორმეტი წელი წმიდა მთაზე ვიყავი, ბერადაც იქ აღვიკვეცე, შემდეგ მიტროპოლიტობა ცარგრადის პატრიარქის კირილეს(135) ხელდასხმით მომეცა. როცა დიდი ხელმწიფის ხალხმა აზოვი აიღო, მაშინ თურქებმა პატრიარქი კირილე წყალში ჩააგდეს. პატრიარქი კირილე მართალი და წმიდა იყო. მიტროპოლიტმა მიტრიფანემ თქვა: წმიდა მთაზე ოცი მონასტერია და თითოეულ მათგანში ათასამდე ძმა მოღვაწეობს. იმ მონასტერთა სახელები არ უთქვამს. დიდ ხუთშაბათსაც მიტროპოლიტმა მიტროფანემ ფედოტი და პავლე მღვდელი სატრაპეზოდ მიიწვია. მღვდელმა პავლემ

მიტროპოლიტს ჰკითხა: ამ დღეს რისი ჭამა და სმა შეიძლება? მიტროპოლიტმა თქვა: დღეს მურაბა ზეთით და სამი თასი ღვინო შეიძლებაო. პავლე მღვდელმა თქვა: მთაწმიდის ტიპიკონში ასეც არის მითითებული. სტუდიტში(136) და იერუსალიმის ტიპიკონშიც მურაბა ზეთი და ღვინოა მითითებული, თუმცა უცნობია, ეს საიდან მოდისო. ამიტომ სინდისი რომ სუფთა გვქონდეს და ორმოცდღიანი დიდი მარხვა არ წავბილწოთ, ჩვენ მათ ვეკრძალებითო.

დიდ პარასკევს, როცა მეცხრე ჟამს კითხულობდნენ, მიტროპოლიტმა მიტროფანემ შუა ეკლესიაში ხალიჩის დაგება ბრძანა. ხალიჩაზე ჯვარი და ჯვრის გვერდით კი სახარება დააბრძანა. იქვე ხალიჩაზე კაცის ორი თავის ქალა, ხელისა და ფეხის მრავალი ძვალი და ჩვილი ბავშვის პერანგი დაასვენეს. პავლე მღვდელმა მიტროპოლიტს ჰკითხა: ეს თავის ქალები, ძვლები და ბავშვის პერანგი რომელ წმინდანებს ეკუთვნითო. მიტროპოლიტმა თქვა: მსახურება მე აქ ახლახან დავიწყე, მატიანები ვერ ვიპოვე და წარწერაც ვერ ვნახე თუ რომელი წმინდანისაა. ბავშვის პერანგი კი ქრისტეს ძებნისას ჰეროდეს(137) მიერ მოწყვეტილი ყრმებისაა. იმავე დღეს მწუხრის შემდეგ მიტროპოლიტმა ტაძრის შუაგულში გარდამოხსნის დასვენება ბრძანა. გარდამოხსნა სკამზეა მიჭედებული. სკამი ამისთვისაა დამზადებული, მისი სიგრძე ერთი საჟენია, სიგანე - ორი ადლი. გარდამოხსნის ერთ მხარეს მიტროპოლიტმა სახარება დააბრძანა და სახარებასაც და გარდამოხსნასაც ემთხვია. მიტროპოლიტის შემდეგ ჩვენც ვემთხვიეთ. მთხვევის მერე გარდამოხსნა იმ ადგილზევე დატოვეს. დიდ შაბათს, ცისკრის შემდეგ, მიტროპოლიტმა გარდამოხსნით ეკლესიას შემოუარა. ეკლესიიდან რომ გამოვიდნენ, წინ დიაკონი მიუძღოდა, დიაკონის მერე მიტროპოლიტი სახარებით ხელში მიდიოდა, გარდამოხსნას კი მიტროპოლიტის უკან მიაბრძანებდნენ. როცა ეკლესიას შემოუარეს, გარდამოხსნით ტაძარში შევიდნენ და იგი საკურთხეველში გვერდულად შეაბრძანეს, რადგან სკამი განიერი იყო და სამეუფეო კარებში ვერ შეეტია. პავლე მღვდელმა მიტროპოლიტს უთხრა: ჯერ არს პირველად გარდამოხსნის მიბრძანება, გარდამოხსნის წინ კი დიაკვნები შემოტრიალებით უნდა მიდიოდნენ და უკმევდნენ, მგალობლები გალობდნენ, შენ კი, მიტროპოლიტი, გარდამოხსნას უკან უნდა მიჰყვებოდე. მიტროპოლიტმა თქვა: მარტო ვარ, მგალობლები და მთქმელი არა მყავს, დიდი გაჭირვების გამო ვაკეთებ ასეო. მგალობელთა გუნდი მათ არა ჰყავთ.

. იმ ეკლესიაში ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატის წი-

ნაშე სპილენძის სასანთლე იდგა, სასანთლეზე კი ქალწული იყო გამოკვეთილი, რომელსაც გველივით კუდი ჰქონდა. პავლე მღვდელმა მიტროპოლიტს უთხრა: ასეთი შანდლის დადგმა ხატის წინ ცოდვაც არის და სიმახინჯეც. მიტროპოლიტმა უპასუხა: ეს შანდალი ჩემამდე იდგა აქ და გამოცვლა ვერ გავბედეო.

მწუხრს, ცისკარსა და წირვას მრავალი სხვადასხვა წოდების კაცი ესწრება, რომლებიც ღმრთისმსახურებისას სხედან, ან იატაკზე წვანან. პავლე მღვდელმა მიტროპოლიტს უთხრა: გმართებს შენ, მიტროპოლიტს, განსწავლა და ჭეშმარიტების გზაზე დაყენება ადამიანებისა, რომლებიც უწესობას სჩადიან, ღვთისმსახურების დროს სხედან და წვანან; ეს ცოდვა შენს, მწყემსმთავრის, სულს მოეკითხება. სახარებაში წერია: *მე ვარ მწყემსი კეთილი და მწყემსმან კეთილმან სული თვისი დადვის ცხოვართათვის. ხოლო სასყიდლით დადგინებულმან და რომელი არა არნ მწყემსი, რომლისა არა არიედ ცხოვარნი თვისნი, იხილის რაჲ მგელი მომავალი, დაუტევნის ცხოვარნი და ივლტინ,.... რამეთუ სასყიდლითდადგინებული არნ და არარაჲ სჭირნ მას ცხოვართათვის* (იოანე, 10; 11,12-ჯ.გ.). შენი მოქმედება სასყიდლით დადგინებულს ჰგავს და არა ჭეშმარიტი მოძღვრისას. შენ ხომ მოძღვრად იწოდები, ეს მრევლი კი შენი ფარის პირ უტყვი (გაუნათლებელი - ჯ.გ.) ცხოვარია, შენ კი მათ სახარების, სამოციქულოს სიტყვითა და წმიდა მამათა ღმრთივსათნო ცხოვრების წესებით არ განსწავლი, ეს ტვირთიც შენს კისერზეა. მიტროპოლიტმა თქვა: მე აქ ცოტა ხანი ვარ; როცა სადადიანოს ქვეყანაში მოვედი, თავიდან ვმოძღვრავდი ხალხს, მაგრამ ჩემთან მრავალი სხვადასხვა წოდების კაცი მოვიდა და ლანძღვა დამიწყო, რომ უცხო სწავლება შემოგაქვს, ჩვენთან კი დიდი ხანია ასეა დანერგილი და შენ არ მოგისმენთ, ჩვენებურად მივიქცევითო. ლევან მეფის მონაწილეობით ჩემ გამო ორჯერ შედგა კრება. პატრიარქი, ეპისკოპოსები და ბოიარები იგივეს მეუბნებოდნენ და ახლა უკვე დამოძღვრას ვეღარ ვბედავო.

ბრწყინვალე აღდგომას [5 აპრილს], როგორც კი გათენდა, მიტროპოლიტი ცისკარზე მოვიდა. ეკლესიიდან ხატების გამობრძანებისას წინ სანთლებით დიაკონი წავიდა, მაგრამ საცეცხლურის გარეშე; მის უკან ანალოგიაზე დასვენებულ სახარებას მიაბრძანებდნენ. კარიბჭეში ანალოგია სახარებით დადგეს. მიტროპოლიტმა სახარებას სამი მიტანია გაუკეთა და გალობა დაიწყო: **ქრისტე აღდგა;** იგი ამ დროს უჯვაროდ, საცეცხლურის გარეშე იდგა და ხატებისათვის არ უკმევია. შემდეგ ტაძარში შევიდნენ

და კანონის გალობა დაიწყეს, პირველი და მესამე ძლისპირი იგალობეს, დიაკვნებს კი მცირე [კვერექსი] არ უთქვამთ და ხატებისთვის არ უკმევიათ. პავლე მღვდელმა მიტროპოლიტს უთხრა: რუსულ წიგნებში - ტიპიკონში და ზატიკში ამ ბრწყინვალე დღესასწაულის დღეს ნაჩვენებია, რომ ყველა საგალობელზე პირველის, მესამის, მეოთხის, მეხუთის, მეექვსის, მეშვიდის, მერვის, მეცხრის შემდეგ დიაკვნებმა ხატებს უნდა უკმიონ და სხვადასხვა ასამაღლებელი თქვან; რუსეთის სამეფოში ასე აკეთებენ.

ცისკრის შემდეგ ტაძრიდან არ გამოსულან, ისე მიაყოლეს წირვა. ბრწყინვალე აღდგომას ტაძარში ძროხისა და ღორის ხორცი და საერთოდ ყველაფერი შემოაქვთ, რისი საშუალებაც აქვთ. პავლე მღვდელმა მიტროპოლიტს ჰკითხა: გამოსვლის შემდეგ თქვენში სამეუფეო კარებს რატომ არ ხშავენ? მიტროპოლიტმა მიუგო: როდესაც პატრიარქი, მიტროპოლიტი, მთავარეპისკოპოსი ან ეპისკოპოსია მწირველი, მაშინ სამეუფეო კარს არ ხშავენ, რათა მან მრევლისაკენ პირმიბრუნებით მისი კურთხევა შეძლოს. პავლე მღვდელმა უთხრა: წიგნში მოცემულია, მღვდელმთავარმა როდის უნდა აკურთხოს, თანაც არა განუწყვეტლივ. მიტროპოლიტმა უთხრა: ჩვენთან მღვდელმთავრები ყოველ ასამაღლებელზე აკურთხებენ. შემდეგ იგივე მიტროპოლიტი მიტროფანე პავლე მღვდელს შეეკითხა: რუსეთის სახელმწიფოში ბრწყინვალე აღდგომას ეკლესიაში საკურთხეველთან სამეუფეო კარებს აღებენ თუ არა? მღვდელმა პავლემ უპასუხა: წირვისას, გამოსვლის შემდეგ, სამეუფეო კარებს ხშავენ, ხოლო როცა **შიშითა შენითა**-ს დრო მოდის, - აღებენ. წირვის დამთავრების შემდეგ კი, მთელი ბრწყინვალე შვიდეულის მანძილზე სამეუფეო კარი არ იხურება.

წირვის შემდეგ მიტროფანე მიტროპოლიტმა ფედოტი და პავლე მღვდელი სატრაპეზოდ მიიწვია. ფედოტმა და პავლე მღვდელმა მიტროპოლიტ მიტროფანესთან იტრაპეზეს. მიტროპოლიტმა მიტროფანემ პავლე მღვდელს ჰკითხა: მოსკოვის რუსეთის ქვეყანა ვინ მონათლა და გაანათლა და რუსეთის ქვეყანაში პირველი ვინ მოინათლა? პავლე მღვდელმა თქვა: რუსეთში პირველად დიდი მთავარი ვლადიმერი, წმიდა ნათლისღებაში ბასილად სახელწოდებული, მოინათლა; რუსეთის ქვეყანაც მან, დიდმა მთავარმა ვლადიმერმა, მოაქცია და წმიდა ნათლისღებით ნათელჰყო (კომენტ. 108-ჯ.გ.). მიტროპოლიტმა იკითხა: ის დიდი მთავარი ვლადიმერი რომელი ტომისაა, წარმოშობით რუსეთის სამეფოდანაა? პავლე მღვდელმა მიუგო: დიდი მთავრის ვლადიმერის მამა იყო სვიატო-

სლავი(138), ხოლო დიდი მთავრის ვლადიმერის ბაბუა - იგორი(139), ძველ სლავთა ქვეყანაში დაიბადა. დიდი მთავრის ბაბუის მამა კი, რიურიკი(140) იყო - ავგუსტინე კეისრის შთამომავალი; სრულიად რუსეთის დიდი ხელმწიფე მეფისა და დიდი მთავრის მიხეილ თევდორეს-ძემდე[მეფეთა] წარმომავლობა იმ ტომიდან მოდის"(141). მიტროპოლიტი შეეკითხა: რამდენი ხანია, რაც რუსეთის ქვეყანა მოინათლა? პავლე მღვდელმა თქვა: რუსეთის ქვეყანამ მეშვიდე ათასწლეულის დამთავრებამდე 504 წლით ადრე ნათელიღო. მიტროპოლიტმა ჰკითხა: მიმდინარე წლამდე რამდენი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც რუსეთი მოინათლა? პავლე მღვდელმა თქვა: რაც დიდი მთავარი ვლადიმერი მოინათლა და რუსეთმაც ნათელიღო მიმდინარე 148 [1640] წლამდე 652 წელი გავიდა, ხოლო ადამიდან - 7148 წელი(142). ამის შემდეგ მიტროპოლიტ მიტროფანესთან საუბარში პავლე მღვდელმა იკითხა: ვინ მონათლა სადადიანოს ქვეყანა და ქართული ქვეყნები, რამდენი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც ეს ქვეყნები მოინათლა? მიტროპოლიტმა მიტროფანემ თქვა: სადადიანოს ქვეყანა ანდრია პირველწოდებულმა მონათლა, მაგრამ ანდრიასეული ნათლობის შემდეგ ორჯერ გადაუხვია ჭეშმარიტების გზას; როცა ცარგრადში კონსტანტინე მეფობდა, სადადიანოს ქვეყანაში მან რწმენა განამტკიცა, მრავალი მღვდელმთავარი და წმიდა ნაწილები გამოუგზავნა სადადიანოს წინანდელ მეფეებს(143) და რწმენა განამტკიცა; იმერეთის სამეფო და თეიმურაზის საქართველო კი შემდგომ მოინათლა. ის ქვეყნები წმინდა ნეონილამ მონათლაო. პავლე მღვდელმა იკითხა: ეგ ის ნეონილაა, რომელიც წმიდა მოწამე ტერენტისთან ერთად წმიდა მოწამედ მოიხსენიება, თუ სხვა წმინდა ნეონილაა?(144) მიტროპოლიტმა უპასუხა: ჩვენთან თქმულია, რომ თითქოს ნეონილამ მონათლა. პავლე მღვდელმა ჰკითხა: ის მოწამე ნეონილა სად ეწამა, როგორი სიკვდილით აღესრულა და მისი წმიდა ნაწილები სად განისვენებს? მიტროპოლიტმა მიუგო: ეს მე არ ვიცი, ის ნეონილა როგორი სიკვდილით აღესრულა და მისი წმინდა ნაწილები სად განისვენებენ(145), მაგრამ ჩვენში ამბობენ: ჩვენი ქართული ქვეყნები იმ წმინდა ნეონილამ მონათლა, ხოლო როდის მოინათლა ჩვენი ქართული ქვეყნები, ამის შესახებ მატიანეები ჩვენ არა გვაქვსო. პავლე მღვდელი მიტროპოლიტს შეეკითხა: ადამიდან ქრისტეს შობამდე რამდენი წელი გავიდა; ქრისტე რომელ ათასეულში, რომელ წელს დაიბადა და ქრისტეშობიდან მიმდინარე წლამდე რამდენი წელია გასული? მიტროპოლიტმა წიგნის გამოსატანად კაცი გაგ-

ზავნა, მერე წიგნში ჩაიხედა და თქვა: მე არ ვუწყი, რომელ ათასეულში და რომელ წელს იშვა ქრისტე და ქრისტეს შობიდან რამდენი წელი გავიდა; ჩემს წიგნში ეს არ წერიაო.

იმ დღეს მიტროპოლიტი მიტროფანე მოგვიყვა: როცა წმიდა მთიდან სადადიანოს ქვეყანაში მოვედი, რომის პაპმა ლევან მეფეს, პატრიარქსა და ყველა ჩვენგანს საეკლესიო ტიპიკონი, სტიქარი, ეპიტრაქილი და მთელი საეკლესიო შესამოსელი გამოგვიგზავნაო. მიტროპოლიტმა თქვა, მაშინ ჩვენ კრება მოვიწვიეთ, ის სტიქარი, ეპიტრაქილი და შესამოსელი ჩაგვეცვა თუ არა? კრებაზე გადაწყდა, რომ ვინც აბანოში წავიდოდა, იმ სამოსელზე დამჯდარიყო და ისე ებანავა; ჩვენც ასე მოვიქეციოთო.

მიტროპოლიტის საუბრის დასრულების შემდეგ პავლე მღვდელმაც მიტროპოლიტ მიტროფანეს მოუთხრო, კონსტანტინოპოლში კეთილმსახურ მეფე მიხეილ პალეოლოგის(146) მმართველობის პერიოდში რომის პაპის(147) წარგზავნილები, თორმეტი კაცი, ფრიად ბრძენნი და ბოლომდე განსწავლულნი თავიანთ მკრეხელურ ლათინურ სარწმუნოებაში როგორ ეახლნენ სასაუბროდ მეფესა და პატრიარქს(148) და ეკლესიების გაერთიანებაზე ალაპარაკდნენ: ერთმანეთს რატომ უნდა დავშორდეთ და დავარღვიოთ თანამოაზრეობა? ღმერთი ხომ ერთია თქვენთვისაც და ჩვენთვისაც. ამიტომ ყველას გვმართებს ჩვენი მოძღვრის, რომის პაპის მორჩილება და მისგან სწავლა, რომელიც ყველა პატრიარქთა თავია. მეფემ და პატრიარქმა მათ მშვიდად მიუგეს:

- ო, ლათინებო! გაიხსენეთ ჩვენი ღმრთისა და უფლის ბრძნული ქმნილება, მასზე შესაქმის წიგნებში წერია: უწინარეს შექმნა ღმერთმა ცა და ქვეყანა და მსახურებისათვის შექმნა ათი ხარისხი, ანუ ანგელოზთა ძალნი, რომ ათი ხარისხი იყოს. ახლა შეგვეკითხეთ, მოციქულთა მიერ დედამიწაზე რა ხარისხებია შექმნილი და ჩვენ თავაზიანად გიპასუხებთ: პირველია წიგნის მკითხველი და მგალობელი, მეორე - წმიდა ნაწილების შემომტანი, მესამე - იპოდიაკონი, მეოთხე - დიაკონი, მეხუთე - მღვდელი, მეექვსე - იღუმენი, მეშვიდე - ეპისკოპოსი, მერვე - მიტროპოლიტი, მეცხრე - პატრიარქი, მეათე - პაპი. ის იქიდან აქამომდე ყველასათვის უპირველესად არის დადგენილი. ჩვენ კი კვლავ შემოთავაზებულ წინადადებას დავუბრუნდებით და სიტყვას ზეცას აღვავლენთ: ზეციური ხარისხებისათვის უპირველესი იყო სატანა და ღმრთის წინაშე სისაძაგლე სწორედ მან ჩაიდინა, აზრით გაამპარტავანდა: თქვა, საყდარს ღრუბლებზე დავიდგამ და უზენაესს დავემსგავსე-

ბიო, და მას რა მოუვიდა? ზეციდან დაამხეს და ეწოდა სატანა და ეშმაკი; მისი მიმდევრებიც ეშმაკებად იქცნენ. ასეთად იქცა შემდგომში დედამიწაზე რომის პაპი, რომელსაც ყველას შორის უპირველესობა მოუნდომებია. პაპი ფორმოზუსი კი კარულოსის მწვალებლობას გაჰყვა, ღმერთს განუდგა და მთელი რომის სახელმწიფო გარყვნა(149). დღემდე იმავე წარსაწყმედელში იმყოფებით თქვენც, ლათინებო. ჩვენ მართლმადიდებელი ქრისტიანენი ვართ, ვადიდებთ რა ღმერთს, გვწამს და ნათელს ვიღებთ სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა. განვეშორებით სატანას და ყველა მის საქმეს, ასევე რომის პაპსა და ყველა თქვენ, ლათინებს, მის თანამოაზრეთ.

მეფემ ეს სიტყვა წარმოთქვა, ადგილიდან წამოდგა და თავის სამეფო დარბაზში გავიდა. პატრიარქი კი წმიდა ეკლესიაში წაბრძანდა. [პაპის] წარგზავნილებთან დიალოგის გაგრძელება კეთილშობილ და მეტად ბრძენ, წმიდა წიგნების მცოდნე ნიკიფორე, პანეოთად წოდებულს(150) დაავალა. ნიკიფორემ თქვა: ო, ლათინებო! მრავალი სხვადასხვა ერესის მატარებელნი ხართ, რით არ გინდათ შეინანოთ? ლათინები შეეპასუხნენ: გვითხარი ჩვენი ერესი. ნიკიფორემ თქვა: წმიდა ღმრთისმშობელს რატომ არ უწოდებთ ღმრთისმშობელს და უწოდებთ წმიდა მარიამს? თქვენ ხომ ამით მას სხვა წმიდა დედებთან ერთ რიგში აყენებთ? ჩვენ კი, ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ქრიასტიანენი, ჩვენი გამომხსნელი ღმრთის მშობელს ჭეშმარიტ ღმრთისმშობლად ვაღიარებთ, ვადიდებთ და თაყვანს ვცემთ მას, რამეთუ მისგან იშვა უფალი ღმერთი და მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე, შემოქმედი ცისა და ქვეყნიერებას. მეორე თქვენი ერესი პირველის მსგავსია - საღმრთო ჯვარს უჯეროდ სახავთ და არა ისე, როგორც ამას წმიდა მამები გვასწავლიან. თქვენ ეშმაკიდან გაქვთ ნასწავლი და გარეთ სახავთ ჯვარს და არა საკუთარი თავისკენ, რაც ჯვარზე ასვლის ნიშანი იქნებოდა, თქვენ კი ჯვრიდან ჩამოდიხართ. წმიდა ხატებსაც თაყვანს არ სცემთ, სამაგიეროდ ეკლესიაში მუხლებზე ეცემით და იმას ჩურჩულებთ, რაც თქვენმა მამამ - სატანამ შთაგაგონათ; ჯვარს კი მინაზე სახავთ და კოცნით, მერე, წამომდგარნი, ფეხით თელავთ, შეურაცხყოფთ და განზე გადიხართ. ამრიგად, ქრისტეს მტრები და მაგინებელნი ხდებით და არა მისი თაყვანისმცემელნი. ჩვენ კი, მართლმადიდებელი ქრისტიანენი, როცა ჯვარს ვისახავთ, თვალწინ ნამდვილი ჯვარცმა წარმოგვიდგება და როცა შუბლს, მუცელს, მარჯვენა და მარცხენა მხრებს მარჯვენათი ვეხებით,

შისი ძალით ვიმოსებით და რწმენითა და შიშით ვღაღადებთ: **ძალითა ჯვარისა შენისა, გვიხსენ ჩვენ, უფალო.**

თქვენ, ლათინებმა, არა მხოლოდ მცნება შერყვენით, არამედ მთელი მადლმოსილი ქრისტეს მოძღვრება უარყავით, რომელიც წინასწარმეტყველებმა იქადაგეს, საღმრთო მოციქულებმა გადმოგვცეს და წმიდა მამებმა, რომელთა რაოდენობაც 2000 იყო, შვიდ მსოფლიო საეკლესიო კრებაზე დაამტკიცეს და [წერილობით] აღბეჭდეს. სწორედ მათგან გამოიცადა და განიბრძნო ჩვენი ღმრთისმოსავი ქრისტიანული მართლმადიდებელი სარწმუნოება და ჭეშმარიტი მტკიცებულება მიიღო. მსოფლიო საეკლესიო კრებების არსი საღმრთო სიბრძნის შვიდი სვეტია, მათზე ააგო სულიწმიდამ თავისი სავანე. ის ჩვენი მართლმადიდებელი მამები კი, რომლებიც იმ წმიდა კრებებზე იყვნენ წარმოდგენილნი, ჭეშმარიტად პეტრე მოციქულის ღირსეული მემკვიდრენი იყვნენ. ამასვე დავამატებ: რატომ, წყეულო ლათინებო, თეოდორეს კვირაში ხორცს არ ეკრძალებით, როცა მარხვით დემონები განიდევნებიან, იკარგებიან და ანგელოზები ხარობენ? ჩვენ კი, ჭეშმარიტი ქრისტიანენი, იმ წმიდა დღეებში მარხვას ვინახავთ, თქვენ ამ დროს ხორცსა და რძის ნაწარმს მიირთმევთ და ცხოვრებას იღუპავთ, თქვენი მარხვა კი უსარგებლოა. მარხვაში დიდ პარასკევამდე **ალილუიას** არ გალობთ; ჯვრებს მიწაში ფლავთ და ამბობთ: ქრისტე იერუსალიმში გაიქცაო. მერე კი დიდ პარასკევს ჯვრები მიწიდან ამოგაქვთ და ამბობთ: ქრისტე უკვე მოვიდაო და შემდეგ იწყებთ **ალილუიას** გალობას. გარდა ამისა, მთელი მარხვის პერიოდში თქვენი ქალები რძესა და კვერცხს მიირთმევენ, ხოლო თუ ავადა ხართ, მაშინ დიდმარხვაში ხორცსა და რძეს თქვენც მიირთმევთ.

თქვენი მღვდლები კი შებილწულ და უწმიდურ ქალებს თავისთან არ იჩერებენ, მაგრამ მორჩილებს იჩერებენ და მათთან შემდეგნაირად იქცევიან: სანთელს ჩააქრობენ და კაბის ქვეშ შეუძვრებიან, დილით კი ეს ღვთის საძაგელი ადგება, თავის საძმოსთან მივა და ეტყვის: შემინდეთ, შევცდი და კვლავ თავის საზიზღარ საქმეს აგრძელებს. მეძავეებთან მეძავეობს და თავის თავში ცოდვას ვერ ხედავს; ხოლო მსახურება თუ მოუწევს, წავა და იმსახურებს. გარდა ამისა, თითოეულ თქვენგანს შეუძლია ერთ დღეს სამი-ოთხი ლიტურღია ჩაატაროს. შეიძლება ასევე, ერთმა დაიწყოს მსახურება და მიატოვოს, მერე მეორე მოვიდეს და გააგრძელოს და ასე - მეათემდე; როდესაც მღვდელი თქვენთან ლიტურღიას ატარებს და გასვლა მოუნდება, სამოსელს გაიხდის და გავა ისე, რომ ლიტურ-

ღიას არ დაამთავრებს, მერე კი დაბრუნდება და გააგრძელებს. თქვენი მსახურება კი, შემდეგნაირად ტარდება: სადაც უნდათ, იქ წირავენ - ეზოში ან მინდორში, სადაც თავისი, ღმრთისგან განდგომილი და მართლმადიდებელ ქრისტიანეთაგან შეძულებული პაპი უბრძანებს. და კვლავ გკითხავთ თქვენ, წყეულო ლათინებო: ქრისტიანებად რომ იწოდებით, საინტერესოა, რომელი ნათლობით ინათლებით და რომელ მირონს იცხებთ და ვისი სახელით იდებენ პირში თქვენი მღვდლები მარილს, ნერწყვით მარილწყალს აკეთებენ და იმით ადგილებზე ცხებენ. თანაც ისე კი არ აკეთებენ, როგორც ეს წმიდა მამებისაგან გადმოგვეცა: **ინათლება მონა ღვთისა** - სახელი თქვი - **სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა; თქვენ კი ამბობთ: გნათლავ შვილო** —ეს და ეს. თქვენი მღვდლები თითქოს ღმრთის სახელით მოქმედებენ, მაგრამ არც ღმერთი ჰყავთ და არც მისი სახელი იციან. მითხარით, საიდან მოდის სახელწოდება ფრანგი (კათოლიკე - ჯ. გ.) და ლათინი? თვითონვე გეტყვით ორივე თქვენი სახელის შესახებ. კათოლიკედ იმიტომ იწოდებით, რომ როცა ხედავთ ვნებულ ძე ღმრთისას, მაშინ ეკლიან გვირგვინს წნავთ და ჩვენ გამომხსნელ ღმერთს თავზე ადგამთ. ლათინებს კი იმიტომ გიწოდებენ, რომ ჭეშმარიტი რწმენა გათელეთ, ცდომილებაში შეხვედით, ღმრთის დიდებას მოკლებულხართ, ნამდვილად დაბრმავებულხართ, წყეულნო, და ეშმაკს შედგომიხართ. მან კი ღორების სამწყესავად გაგგზავნათ, - მაშ, აღასრულეთ ყველაფერში ნება მისი. ჩვენ, მართლმადიდებელ ქრისტიანებს, გვწამს ერთი ყოვლადწმიდა ცხოველსმყოფელი და ერთარსი სამება - მამა, ძე და სულიწმიდა. თქვენ კი, წყეულო ლათინებო და კათოლიკებო, ჭეშმარიტი სარწმუნოებისაგან დაცლილხართ და ვერ შეგისმენიათ წმიდა მოციქულთა მოძღვრებანი, წმიდა მამათა კანონები კი შეგირყვნიათ და საკუთარი ნებისამებრ გადაგიკეთებიათ. მამა ღმრთისგან და ძისგან შებრუნებულხართ და წმიდა სამება გაგიყვიათ, არც გწამთ, არც ადიდებთ და, საერთოდ - ღმრთის სიტყვას არაფრად აგდებთ. ო, წყეულო ლათინებო და კათოლიკებო, თქვენი ურწმუნოების გამო დაწყევლილნი ხართ უფლისა ღმრთისა ჩვენისა იესო ქრისტესაგან, ასევე წმიდა მოციქულთა და წმიდა მამათაგან და ყველა ქრისტიანთაგან წყეულიმც იყავთ და თქვენთან ერთად ყველა მწვალებელი, და შთაგდებულ ყოფილიყავთ ჩაუქრობელ ცეცხლში და მარადიულ წამებაში.

მიტროპოლიტმა თქვა: როგორ ითმენს ღმერთი ასეთ უწესობას.

7 აპრილს ჭყონდიდის მონასტრიდან, მიტროპოლიტ მიტროფანე-

საგან წავედით. იმავე დღეს [სუჯუნის] წმიდა გიორგის მონასტერში მივედით, რომელიც იმავე მიტროპოლიტ მიტროფანეს სამწყსოა.

10 აპრილს მიტროპოლიტი მიტროფანე მოგვიყვა: ცარგრადში ერთ დროს საღმრთო ეკლესიის მდევნელი მეფე და მისი თანამზრახველი პატრიარქი იყოო. მათი წარგზავნილები მართლმადიდებელ ქრისტიანებს მკაცრად დევნიდნენ... როგორც ეკლესიებში, ასევე სახლებში. ყველგან, სადაც კი უფლის, ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლისა და წმიდანთა ხატებს წააწყდებოდნენ, მეფისა და პატრიარქის ბრძანებით, ჩეხავდნენ და ამტვრევდნენ(151). ერთხელაც ის წარგზავნილები ქალაქ ტრაპიზონში ქვრივ ქალთან მივიდნენ, ქვრივს კი ჰყავდა შვილი იოანე. როდესაც მეფის წარგზავნილები ქვრივთან მოვიდნენ, იმ დროს ქვრივის შვილი იოანე შინ არ აღმოჩნდა. ქვრივის სახლში წარგზავნილებმა ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ოდიგიტრიის ხატი შენიშნეს და მეფე-პატრიარქისთვის მისი წაღება დააპირეს. ის ქვრივი მათ შეევედრა: ხატი არ წაიღოთ და როცა ჩემი ვაჟი იოანე დაბრუნდება, იმ ხატის სანაცვლოდ ოქრო-ვერცხლს გადაგიხდითო. იმ წარგზავნილებმა მოითათბირეს და თქვეს: მის შვილს იოანეს დაველოდებით, მისგან ოქრო-ვერცხლს მისგან ავიღებთ, შემდეგ კი ხატსაც მეფესთან წავიღებთო. ეს სიტყვები ქვრივის მოახლემ მოისმინა, თავის ქვრივ ქალბატონთან მივიდა და იმ საუბრის შესახებ ქვრივს უამბო. ქვრივმა და მისმა შვილმა იოანემ ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატის წინაშე მრავლად ღვარეს ცრემლი. შემდეგ ხატს ფერხთით ყუთი გაუკეთეს, იმ ყუთში ექვსი ოქროს მონეტა ჩადეს, ყუთი დახურეს, შეღებეს და შეწებეს, რომ ხატთან ის ყუთი არ გამოჩენილიყო. ის ხატი ლოცვებითა და ტირილით ზღვაზე მიასვენეს და ზღვის ნაპირთან ახლოს დაასვენეს, ქვრივი და მისი შვილი კი სახლში დაბრუნდნენ. წარგზავნილები ქვრივთან და მის შვილთან მოვიდნენ და მათ ჰკითხეს: სად არის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატი? ქვრივმა და მისმა ვაჟმა უპასუხეს: ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ოდიგიტრიის ის ხატი ზღვაზე წავიღეთ და ზღვის ნაპირთან ახლოს დავასვენეთ. წარგზავნილებმა ზღვის ნაპირს მიაშურეს, რათა ის ხატი წამოეღოთ. ზღვის სანაპიროზე ღმრთისმშობლის ხატთან ახლოს მივიდნენ. ღმრთისმშობლის ხატი თითქოს ჰაერში აიწია, ზღვაში შევიდა და გაცურა; ხატის თავსზემოთ შავი ღრუბლის სვეტი დადგა. მეფის წარგზავნილებმა სირცხვილით უკან დაიხიეს და ნავიდნენ. ხატმა იცურა და ათონის წმიდა მთის წინ გაჩერდა. დიდი ლავრიდან ღრუბლის სვეტი შეამჩნიეს და

ამბის გასაგებად ნავებით მიაშურეს. ღმრთისმშობლის ხატთან ახლოს მიცურეს, მაგრამ ვერ მიუახლოვდნენ, რადგან ხატი თითქოს ჰაერში აიწია და მათ განერიდა. იმ წმიდა მთის დიდ ლავრაში ერთი დაყუდებული ბერი აღმოჩნდა, სახელად იროდიონი(152); წარმომავლობით ის საქართველოდან - თეიმურაზის სამეფოდან იყო. იმ დიდი ლავრის იღუმენმა და საძმომ იროდიონს სთხოვეს, რომ ხატის შესახვედრად წასულიყო. იმ იროდიონმა იღუმენისა და მთელი საძმოს თხოვნით ნავით ზღვაში შეცურა. ზეცად ხელაღპყრობილი, იგი ლოცვას მიეცა. ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატი იროდიონთან მივიდა და უხილავად იროდიონის ხელებში ჩაესვენა. იროდიონმა ის ხატი დიდ ლავრაში დაასვენა. იღუმენმა და საძმომ უმწიკვლო, რწმენაში განმტკიცებული ორი ბერი შეარჩია და ხატს მცველად და მზრუნველად მიუჩინა, რათა იმ ყოვლადწმინდა ღმრთისმშობლის ხატს მათი ლავრა არ დაეტოვებინა. ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელი კი იღუმენსა და ძმებს ძილში მრავალჯერ გამოეცხადა: რატომ დამამწყვდიეთ და მიცავთო? ჩემი სურვილი რომ არ იყოს აქ ყოფნა, ვინ დამენეოდა და დამამწყვდევდა? მე თვითონ მოვედი, რათა ეს ადგილები გავანათლო და თქვენ ყოველგვარი ბოროტებისგან დაგიფაროთო.

ცოტა ხნის შემდეგ ფრანგებს და თურქებს ერთმანეთში ომი მოუხდათ. ფრანგების დიდი ფლოტი წმიდა მთას ამ მონასტრის, დიდი ლავრის, მხრიდან მოადგა. უცხოელები მონასტერში შევიდნენ და იმ მონასტერში, დიდ ლავრაში, სადაც ყოვლადწმინდა ღმრთისმშობლის ოდიგიტრიის ხატი იყო დაბრძანებული, თავიანთი ლათინური წირვის ჩატარება მოინდომეს. იღუმენმა და საძმომ ერთად ლათინებს განუცხადეს: გეუბნებით, რომ ჩვენს ქრისტიანულ ეკლესიაში ლათინური წირვის ჩატარებას არ დავუშვებთ და არც ლათინური გალობის მოსმენა გვინდა. ამის გამო ფრანგებმა ბერებს სცემეს, ძალადობა ჩაიდინეს და იმ ეკლესიაში, სადაც ყოვლადწმინდა ღმრთისმშობლის ოდიგიტრიის ხატი ბრძანდებოდა, თავიანთი ლათინური წესებით სწირეს. იმ დროს ეკლესია ჩამოიქცა და უცხოელები ქვეშ მოიყოლა. მხოლოდ ერთი უცხოელი გადარჩა ცოცხალი, იგი ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ოდიგიტრიის ხატის წინ იდგა. ის ხატზე განრისხდა და ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატს ყელში ხანჯალი გაუყარა. ხატიდან სისხლმა იფეთქა. ის სისხლი დღემდე არის იმ ხატზე, - თითქოს ახლა დაიღვარაო. ამის შემდეგ მონასტერში იმ ქვრივის ვაჟი იოანე მივიდა. ხატის დანახვამ იგი აატირა და იღუმენს უთხრა:

ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ოდიგიტრიის ეს ხატი წინათ დედაჩემის სახლში იყო, დედაჩემი და მე მასზე ერთად ვლოცულობდითო. იღუმენმა იოანეს ჰკითხა: რატომ არის ეს ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატი დედაშენისა და შენი სალოცავი? რა ნიშანი აქვს ამ ხატს და საიდან იცი, რომ ეს არის ყოვლაწმინდა ღმრთისმშობლის ოდიგიტრიის ხატი? იოანემ მიუგო: იქიდან ვიცი, რომ დედასთან ერთად ეს ყოვლადწმინდა ღმრთისმშობლის ხატი ზღვის ნაპირზე მივასვენე და მის ფერხთით ექვსი ოქრო დავდე. იღუმენმა ძმები შეკრიბა, ძმები იოანესთან ერთად ყოვლადწმინდა ოდიგიტრიის ხატს მიეახლენ და ყუთში ექვსი ოქროს მონეტა აღმოაჩინეს. იმის მერე იოანე იმ დიდ ლავრაში იღუმენად დაწესდა... იმ დროიდან დღემდე... იმ ხატის ხსენებას ბრწყინვალე შვიდეულში [სამშაბათს] დღესასწაულობენ(153). პავლე მღვდელმა თქვა: საკვირველ არიან საქმენი უფლისანი! რასაც ინებებს, იმას იქმს.

მიტროპოლიტის საუბრის დამთავრების შემდეგ პავლე მღვდელმა მიტროპოლიტ მიტროფანეს უამბო: ეს მოხდაო რომში. კეთილმორწმუნე პაპი აღესრულა, მისი მემკვიდრე კი უკეთური პაპი აღმოჩნდა. მან საღმრთო ეკლესიისა და წმიდანთა დევნა დაიწყო. იმ უკეთური პაპის დევნას ვინმე ღირსი ანტონ რომაელი(154) გამოექცა, ზღვასთან მივიდა და ზღვასთან ახლოს ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანისა და თავისი სულისათვის უფალ ღმერთს ევედრებოდა, რათა უფალ ღმერთს [ისინი] უკეთური და ღმრთის მოძულე მტრისაგან - რომის პაპისაგან გამოეხსნა. ამ დროს, ღმრთის ნებით მოვარდნილმა ზღვის ტალღამ იმ ქვამდე მიაღწია, რომელზედაც ანტონი იდგა და ქვა აიტაცა. ანტონი ლელქაშის ლერწამს ჩაეჭიდა, მაგრამ ლერწამი მოწყდა, იმ ადგილზე თავი ვერ შეიმაგრა და ღმრთის ძალა მას, ქვაზე მდგარს მიაქანებდა. ლელქაშის ის ლერწამი კი ანტონს ხელში შერჩა. ორი დღე-ღამე ანტონი ამ ქვაზე მიცურავდა, ზღვიდან ზემოთ მდინარე ვოლხოვით ნოვგოროდთან აღმოჩნდა; ნოვგოროდში მოვიდა და ნოვგოროდში მრავალი სასწაული მოახდინა. მის კვალდაკვალ რომიდან ნოვგოროდში კასრი ჩამოვიდა საეკლესიო ჭურჭლებითა და ანტონის სხვა პირადი ნივთებით.

17 აპრილს მიტროპოლიტი მიტროფანე მოგვიყვა: როცა წმიდა მთაზე ვიყავი, მაშინ შახს საქართველო დაულაშქრავს, ჩემს ნათესავ ძმათაგან ზოგი მოუკლავთ, ზოგიც ტყვედ წაუსხამთ. როცა წმიდა მთიდან ჩამოვედი და ეს ამბავი შევიტყვე, შახს უმორჩილესი თხოვნით ვეახელი, რათა ჩემი ცოცხალი ნათესავები ჩემთვის

დაეთმო. შახის ქვეყანაში მე წმიდა კაცად მთელიდნენ და შახსაც მრავალჯერ უკითხავს: ვინ არის ქრისტე? თქვენ მას ღმერთს უწოდებთ. მე მას ვუამბე, როგორ განკაცდა და იშვა უფალი, როგორ მოინათლა, ჯვარს ეცვა და აღდგა. შახი და მისი ყეენები ამბობდნენ: ჩვენ მათ ურწმუნოებს ვეძახით, მაგრამ, თურმე, მათი სარწმუნოება საუკეთესოაო. შახმა მითხრა: შეიმოსე ისე, როგორც ღმრთისმსახურებისას იმოსები. შახს კი ვუთხარი: შახო, თუ შენ ყეენების, სულთანებისა და ყველა სხვა შენი ყიზილბაშების არ გეშინია, მაშინ შევიმოსები; როგორც კი შევიმოსები, ჩემ შესაფერის ადგილზე დავჯდები, შენ მომეახლე, მიწამდე თაყვანი მეცი და ხელზე მეამბორე. შახმა მითხრა: როგორც გინდა, ისე მოიქეცი, მე კი ამას ვერ გავაკეთებ, რომ მიწამდე თაყვანი გცე და ხელები დაგიკოცნო, რადგანაც ამას ყიზილბაშები გაიგებენ და ამისთვის მომკლავენო. ამის შემდეგ შახმა გამომიშვა და მიწყალობა: გამომატანა ქართველი ტყვეები, ნათესავები და ყველა სხვაც, სულ სამასი კაცი.

ამის შემდეგ პავლე მღვდელი მიტროპოლიტ მიტროფანეს მოუყვა: ეს იყოო მოსკოვის რუსეთის სახელმწიფოში დიდი მთავრის დიმიტრი ივანეს-ძის(155) დროს. იმჟამად დიდი სასწაულთმოქმედი მიტროპოლიტი ალექსი(156) ცხოვრობდა. ოქროს ურდოს მეფის დედოფალი ბრმა იყო. იმ მეფემ დიდ მთავარს დიმიტრი ივანეს-ძეს ელჩი გამოუგზავნა თხოვნით, ის კაცი გამოუშვი ჩემთან, ბრმებს რომ კურნავსო. დიდი მთავარი დიმიტრი ივანეს ძე მიტროპოლიტ ალექსის შეევედრა, რომ იგი ოქროს ურდოში მეფესთან წასულიყო. როგორც კი ალექსი სასწაულმოქმედი მოსკოვიდან გაემგზავრა, იმ დედოფალს ის სიზმარში უნახავს ისეთ შესამოსელში, როგორშიაც ლიტურღიას ატარებდა. დედოფალმა მისთვის ისეთივე საეკლესიო შესამოსელი გაამზადა, როგორიც სიზმარში იხილა. როგორც კი სასწაულთმოქმედი ალექსი ოქროს ურდოში მეფესთან ჩავიდა, დედოფალს ლოცვა ნაუკითხა და მხედველობა აღუდგინა. ამისათვის ოქროს ურდოს მეფემ და დედოფალმა დიდი სასწაულთმოქმედი ალექსი მიტროპოლიტი თავისი სასწაულებრივი ლოცვებისათვს დიდძალი ოქრო-ვერცხლით დააჯილდოვეს, პატივისცემის ნიშნად მას, მღვდელმთავარს, დიდი მიწის ფართობი აჩუქეს, მრავალი ქრისტიანი ტყვე გაათავისუფლეს. გარდაცვალების შემდეგაც დიდი სასწაულმოქმედი მიტროპოლიტი ალექსი მრავალ სასწაულს ახდენს. მისი დაუზიანებელი და უხრწნელი გვამი კი მოსკოვში, ჩუდოვოს მონასტერშია დასვენებული. მიტროპოლიტმა იკითხა: რუსეთის სახელმწიფოში მიტროპოლიტი

ალექსი რამდენი წლის წინ ცხოვრობდა? პავლე მღვდელმა უპასუხა: მიტროპოლიტი ალექსი ექვსი ათას რვაას ოთხმოცდახუთი წლის ზაფხულში აღესრულა.

19 აპრილს წმიდა გიორგის ტაძარში მღვდელი მახარებელი ნირავდა; სტიქარში შეიმოსა, ხოლო ტრაპეზიდან გადასაფარებელი აიღო და შესამოსელის ნაცვლად ჩაიცვა. საკურთხევლიდან სამეუფეო კარებით ჯვრითა და სანთლით ხელში გამოვიდა, შუა ეკლესიაში დადგა, ჯვრითა და სანთლით ოთხივე მხარეს ჯვარი გადასახა და ხელმარცხნივ შემოტრიალდა. შემოზღუდული ადგილის იქით ხელი დაიბანა, სტიქარზე შეიწმინდა და ერთ სეფისკვერზე დაიწყო მოქმედება. ერთი სეფისკვერიდან პირველი ნაწილი ამოიღო, როგორც ზვარაკი ამოიღება, იმავე სეფისკვერიდან სამი ნაწილი ამოიღო, პირველზე უფრო მომცრო და კიდევ იმავე სეფისკვერიდან ცხრა მცირე ნაწილი ამოიღო. პავლე მღვდელმა ფედოტი და თარჯიმანი ოსიპი მოიხმო სეფისკვერისა და მღვდლის მოქმედების სანახავად; ფედოტმა და ოსიპმა ყველაფერი ეს ნახეს. წირვა ჯვრითა და სანთლით დაიწყო. სახარებით გამოსვლაზე, სახარების ნაცვლად პერგამენტის გრაგნილი გამოიტანა, მეორე ხელში საცეცხლური ეკავა. სამოციქულო და სახარება საკურთხევლიდან გამოსულმა ჩრდილოეთ კარის წინ ნაიკითხა. მარტო მსახურებდა და გალობდა, დიაკვნები და მგალობლები კი არ ჰყავდა. როცა **შიშითა ღვთისათა**-ს ამბობდა, არ უკმევია; კვერექსი და ამბიონის ლოცვა არ უთქვამს, არც **იყავნ სახელი უფლისა** უთქვამს. ეკლესიის შესასვლელთან მეფე ლევანის ცოლისძმა პეპუკა იდგა და წირვას უსმენდა. იმ დღეს დემოგენია ბოგუჩინის კაცმა პავლე მღვდელს უთხრა, რომ ლევან მეფის ცოლისძმა პეპუკა ეპისკოპოსი იყო, მაგრამ პეპუკამ მერე ცოლის მოყვანა გადაწყვიტა, ამიტომ მან, პეპუკამ, გაიკრიჭა და ცოლი შეირთოო.

21 აპრილს დიდმონამე გიორგის ტაძარში მრავალმა ხალხმა მოიყარა თავი. ტაძართან ორი სპილენძის საყვირი და ზარი იყო აღმართული. მწუხრის დროს ბუკები ჩაბერეს და ააყვირეს, ატყდა ზარების რეკვა, ხალხმა მთელი ხმით ყვირილი მორთო და ეკლესიის გარშემოვლა დაიწყო. ორი დღე-ღამე ეკლესიის ირგვლივ დადიოდნენ და განუწყვეტლივ ყვიროდნენ. როცა ეკლესიას გარს შემოუვლიდნენ და ეკლესიის კარების წინ აღმოჩნდებოდნენ, თითოეული მათგანი ეკლესიის კარებთან ხელმარცხნივ შემოტრიალდებოდა.

22 აპრილს, მწუხრზე, წმიდა გიორგის ტაძარში პატრიარქი მაქსიმე, მიტროპოლიტი მიტროფანე, ტრაპიზონის მიტროპოლი-

ტი კირილე, გურიის მთავარი ვახტანგი (კომენტ. 104-ჯ.გ.) - მეფე ლევანის ქვისლი (მზახალი-ჯ.გ.), ბოიარი როსტომი, თავად-აზნაურები და ბოქაულები მობრძანდნენ. მწუხრი მღვდელმა და დიაკონმა ჩაატარეს; პატრიარქი და მიტროპოლიტები არ შემოსილან. გოირგობის დღეს, ცისკრის შემდეგ, ბუკები ააყვირეს, ზარებს ჩამოკრეს და მაშინ ტაძრიდან დიდი დროშა გამოიტანეს; ხოლო პატრიარქმა და მიტროპოლიტებმა კი დიდმოწამე გიორგის ხატი გამოასვენეს და ტაძრის გვერდზე დააბრძანეს. ამ დროს ეკლესიაზე ვიღაც მამაკაცი ავიდა, მასთან ერთად სხვებიც. ეკლესიასთან და ხატის ირგვლივ დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. გაუთავებელი უზარმაზარი ხმაური ყველამ შეწყვიტა. იმ მამაკაცმა, ეკლსიის თავზე ავიდა თუ არა, ხმამაღლა დაიყვირა, მერე წინა მხრიდან ეკლესიის კიდეზე ჩამოჯდა და სამი საათი ილაპარაკა. პატრიარქი, მიტროპოლიტნი, თავადები, ბოიარები, ყველა წოდების პირი, მამაკაცნი, დედაკაცნი, ყმაწვილები, ქალიშვილები, მოხუცნი და ყრმანი იმ კაცს ყურადღებით უსმენდნენ. თუ ვინმე დაახველებდა ან ცხვირს დააცემინებდა, ყველანი მას შეჰყვირებდნენ: იმ კაცის სიტყვა გაგვაგონეო. როცა იმ კაცმა ლაპარაკისას ერთი ხმამაღლა შეჰყვირა, იმ მომენტიდან ადამიანები, რომლებიც ეკლესიაზე იყვნენ ასული თუ ძირს ეკლესიის გვერდით იდგნენ, ყველანი ტაძრის სახურავზე და კედლებზე ურახუნებდნენ და ურტყამდნენ - ერთნი კომბლებით ურახუნებდნენ, სხვები შუბებითა და ისრებით ჩხვლეტდნენ; ზოგიერთები რატომღაც ტაძრის სახურავზე და კედლებზე ჩაქუჩებით, ხის უროებითა და ცულების ყუით ურტყამდნენ, ზოგიც კედლებზე ცხენის უნაგირებსა და ცალულებს ლურსმნით აჭედებდა. დიდი ხმაური იდგა - ერთნი ყვიროდნენ, სხვები კვნესოდნენ, ზოგიც ხარხარებდა, ტიროდა, ცეკვავდა და ხტუნავდა. ის კი ვერ გავიგე, რა თქვა ასეთი იმ ეკლესიის თავზე მჯდარმა კაცმა და ტაძრის კედლებს კომბლებითა და სხვადასხვა იარაღებით რატომ ურტყამდნენ. იმ დროს თარჯიმანი ჩვენთან არ იყო და ვერავინ გვითარჯიმნა. იმ დღეს, როდესაც ცისკრის წირვის შემდეგ ეკლესიიდან მივდიოდით, თარჯიმანი ოსიპი ჰოროლით დაჩხვლიტეს, იმ ჭრილობით იწვა და თარჯიმნობა სხვას არავის შეეძლო.

პავლე მღვდელმა იმავე დღეს დემოგენია ბოგუჩინის კაცი - თარჯიმანი გამოკითხა, თუ რას ყვებოდა ეკლესიაზე მჯდარი კაცი, აგრეთვე ის ადამიანები, რომლებიც ეკლესიის თავზე ისხდნენ ან ეკლესიასთან იდგნენ თუ ისხდნენ, ხმამაღლა რაზე ყვიროდნენ, ეკლესიის თავზე და კედლებზე ყოველგვარი იარაღით, ხის უროებით, ჩაქუჩებით რატომ ურახუნებდნენ და ურტყამდნენ, უნაგირებსა და ცალულებს ლურს-

И сия рекша царь воста с престола своего и отиде в царския полаты; потриарх же иде во святую церковь, оставлше мужа честна и свята зело премудра и святым книгам изучена Никифора (150) именем Панеота наричема и тому повелеша с посланники онеми творити вопросы же и ответы. И рече Никифор: о, латыно! Многи и различные ереси имате в себе, - почто не требуете исправления? И рекоша латына: скаж нам, что ереси наши. И рече Никифор: первая ваша ересь - чему святыя Богородицы не завете Богородицею, но именуете ея святую Марию, ставите ея со святыми женами со иными равну; мы ж истинии православнии християне матер избавителя нашего Бога истинную сущую Богородицу проповедуем и прославляем и поклоняемся, яко роди Господа Бога и Спаса нашего Иса и Христа, Творца небу и земли. Вторая ж в вас ересь подобна первой - прообразуете божественный крест не по существу и не яко же повелеша святии отцы, но научены есте дияволом, осеняете крестом вне себе, - где было в крест облещися, а вы из него совлачитеся; а святым иконам не кланяется, но шедь в церковь падаете на колену и шепчете, яко же повеле вам отец ваш сатана, и сотворяете крест на земли и целуете и паки воставше попираете ногами и топчете и отходите, и обретаетес враги Христови и ругатели, а не поклонницы. Мы же православный християне не крестимся проображающе истинного креста, полагающе десною рукою на главе и на сердце и на правом плече також и на левом, в силу его облачимся, с верою и со страхом взывающе: силою креста твоего сохрани нас Господи.

Вы ж латыно не едину заповедь разористе, но и все благодатное учение Христово отвергосте, еже пророцы проповедаша и божественнии апостоли научиша и святыя отцы на седми вселенских соборех утвердиша и запечатлеша, их же бысть числом 2000, от них

же благочестивая наша християнская православная вера испытася и научис и утвержение истинно приять. И тий суть собори седмь столп Божия премудрости, на них же Святым Духом дом свой добре создав; на тех же святых соборех старейшинствующе православный папе ж наши и достойни суть святаго апостола Петра седалищу единомыслено... следоваша. Еще ж к сим паки возглаголю: почто вы окаянная латыно на Федорове неделе мяса не пущаетес, егда демони, постом прогоняеми, исчезают,ангели радуются? А мы истинии християне пост и воздержаение приемлем в тыя святыя дни; вы ж тогда мясо и млеко ясте, тем погубляете вся дни жизни вашея, а пость ваш ни во что ж есть. А заговев не поете алиллуя до великого пятка; а кресты хороните, а в мире сказываете: Христос побежал во Иерусалим. И паки в великую пятницу вынимаете кресты и глаголете: Христос уже прииде, и тогда начните пети алиллуя. Тако ж все великое говение жены ваши ядят млеко и яица; а коли и сами вы болни бываете, в великий пост мясо и млеко ядите.

А попы ваши и скверны и нечисты жен не держать, а держать меншици и творят тако: погасив свешу, подходит ему с ног под порты и утре востав идет богомерзкий к своей братье и рече им: простите мя, соблазнился есм, и паки отходят на вся своя скверная дела. Со блудницами блуд творяще, греха себе в том не творят; а лучится ему служит, и он и служит. И един ваш единаго дни литоргии три или четыре сотворяет; тот отшед служив, а иной пришод служить; а вся по единому, мнятся тако и до десятаго. Егда же поп ваш литоргисает и похочет итти на проход снимает с себя ризы, не скончав литоргии, и паки вшед кончает. А служба ваша тако совершается: где восхотят, тут литоргисяют или на дворе или на поле повелением своего папы отлученнаго от Бога и возненавидиденнаго православными християны. И еще паки вопрощаю вас, окоянии латыно: называетеся християны, которым крещением крестистес и которым миром помазуетес и в чье имя попы ваши соль в рот кладут и слинами разсол творят и тем в место помазуют. А не тако творят, яко же святий отцы повелеша: во имя Отца и Сына и святаго Духа крещается раб божий имя рек; вы же глаголете: крещаю тя аз чадо имя рек?

Попове ваши творятся Богом, а имени Божия не знают, ни имеют. Скажите ми про что имянуется фрязи и латына? Аз скажу вам оба имена ваша. Фрязи именуетеся про то: егда видесте стражюще Сына Божия и сплетше венец от терния возложисте на главу избавителя

нашего Бога. Латыни ж про то именуетесь, понеж попрасте веру истинну, заблудили есте от истинны, отподосте славы Божии, по истине ослепосте вы, окояннии, и прилепистеся ко единму дияволу, он же посла вас свиней пасти, сотворяете бо волю его во всем. Мы ж православнии християне веруем во святую животворящую и единосущную Троицу Отца и Сына и Святаго Духа. А вы, окоянии латыно и фрязи, опустели есте от истинныя веры и не послушаете святых апостол заповедей и правило святых отец превратисте и по своей воли сотвористе, Бога Отца и Сына отвергостеся и святую Троицу разделисте и не веровасте и не похвалисте и ни во что ж слово Божие вменисте. И вы, окояннии латыно и фрязи, за безверия ваша прокляты есте Господом Богом нашим Ис Христом и святыма апостолы и святыми отцы; и всеми православными християни да будете прокляты и вси еретицы с вами да будут ввержены не в гасаемый огнь и в муку вечную. И митрополит молвил: как де Бог терпит такому неистовству.

Апреля в 7 день пошли ис Чхондидина монастыря от Митрофана митрополита. Тово ж числа пришли в [Суджунский]Георьевской монастырь - тово ж Митрофана митрополита десетина.

Апреля в 10 день Митрофан митрополит сказывал нам: был де во Цареграде царь гонител на церкви Божий да потриярх единомышленник и у... рдили посланников на то крепкий утверждены.... церквам и по домом у православных християн, а у ково найдут образы Господа Бога и пречистую его Матерь и их угодников и по повелению цареву и по потриярхову везде образы колют и ломают(151). И пришли де те посланники в Трепизон град ко вдове, а у вдовы сын Иван. Как пришли посланцы царевы ко вдове и в тое пору вдовина сына Ивана в дому не прилучилося, и посланники в дому вдовины увидели оброз пречистыя Одегитрия и хотели де несть тот оброз к царю и потриярху, и та вдова у них молила: образа не берите, до коих мест сын мой Иван в дом придет и вам злата и сребра подаст за тот оброз. И те де посланники здумали и говорят: сына де ее Ивана дождемся и сребро и злата у нево возмем, а апосле де к царю и оброз отнесем. И то де слово услышела вдовина рабыня и пришед к госпоже своей вдове и те речи вдове сказах. Вдова ж и сын ея Иван пред иконою пресвятей Богородицы пролив многие слезы и сотворих у подножие образа ящик и положих в тот ящик шесть златых и ящик закрых и красками затвердих, чтобы на том

абразу тово ящика не знатно было, с молением и со слезами тое икону отнесох к морю и постави на брегу близ моря; вдова же и сын ея приидох в дом свой. И прийдоша посланники ко вдове и к сыну ея и спроси у вдовы и у сына ея: где образ Пречистыя? Вдова ж и сын ея рече: сей образ пречистыя Богородицы Одегитрия отнесох к морю и поставих на брегу близь моря. И посланники к морю ускорих, чтобы тот образ взять и притекох ко брегу моря близ образа Пречистыя. И образ пречистыя Богоматере поднявся поидох по морю, яко на воздухе, а над образом, аки столп мрачен и мглян; и посланники со стыдом возвратихся вспять и отыдоша. И икона идох по морю и приидох против святых гор. И узрели ис святых гор из большия лавры на мори столп и в стругах ездили проведывать; и как де пришли близ образа пресичтыя Богородицы и тот де образ от них, аки на воздусе, идет от них проч. И тое же де болшия лавры в горах был затворник именем Иродион(152), а природою де тот Родион грузинские земли Темрязова царства; и игумен де болшия лавры со всею братиею молили, чтобы Ирадион подвигся на Стретение иконы. И тот де Радион по игуменову и всей братий по прошению приидох к морю и став в судне и простроx выспре руце, - и икона пречистыя Богородицы приидох к Родиону и ста на руках невидимо у Радиона, и тое де икону Ирадион поставих в обители в большой лавре[119]. И игумен де з братьею в том монастыре избрах два брата праведных и верою крепких и приставил тех дву братов тое икону хранить и беречи, чтобы та икона пречистыя Богородицы от них не ушла. И пречистая де Богородица игумену з братьею являлася многожды во сне: чево де для меня крепите и храните? Не изволила бы яз зде пребыть, кому бы меня достич и укрепить? Пришла де яз место сие просветит и вас от всех зол сохранять.

И потом де малая время спустя у Фрянцуского с Турским брани востали и многие де Фрянцуские карабли под тот монастырь под большую лавру пришли; и многие де немцы в монастырь вошли и захотели де в том монастыре в болшой лавре, игде образ пречистыя Одегитрия в коей церкви стоит, и захотели свою латынскую обедню пет в той церкви. И игумен де и вся братия в совокуплении латыном говорили: мы де вам сказываем, в християнских церквах своих латынских обеден не велим служить и пенья вашего латынского не хотим слушать. И за то де Фрянцуги игумена и братью побили и силу учинили, в той церкви, игде стоит образ пречистыя Одегитрия, свою

латынскую обедню служили. И в те де поры церковь обвалился и немец подавила, един немчин остался жив, а стоял де он против тово образа пречистыя Богородицы Одегитрия, и на икону разсердился и ударил де ножем тое икону пречистыя Богородицы в гортань и ис тое де иконы много крови пролихся; и та де кровь на иконе и до сего дни, аки и то перво во едином часу излияся. И после де тово в тот же монастырь пришол тот Иван вдовин сын и узре икону и прослезися и рече Иван игумену: сия де икона пречистыя Богородицы Одегитрия преже была в дому матери моея и помолихся ей мати моя и я. И игумен рече Иванну: почему сей оброз пречистыя Богородицы моление матери твоей и твое? И что есть знамение у сево образа и почему знаеш сей оброз пречистыя Одегитрия? И Иван рече: посему знаю - как убо принесох с материю моею сию икону пречистыя Богоматере к морю и положих у подножия ея своего посилия шесть златых. И игумен же созвав братию и приидох з братиею и с тем Иваном кой ко иконе пречистыя Одегитрия, и обретох у подножие ея шесть златых; и после де тово в той большой лавре Иван бысть игумен. И той де иконе празнуют на светлой недели [во вторник] то рок и до сево дни(153). И поп Павел молвил: чюдно дело Божие! Что возхощет, то и творит.

И по совершению митрополитова изречения поп Павел митрополиту Митрофану сказывал: бысть де в Риме. Благочестиваго папы не стала и востах им в Риме нечестивый папа и бысть гонение на церкви Божий и на святих; и от ево изгонение нечестиваго папы некто преподобный Антоней (154) римленин побегох от нечестиваго папы и приидох к морю и близ моря молихся Господу Богу за вся православныя христяне и о своей души, чтобы Господ Бог избавил от нечестиваго и злобожнаго врага папы Римскаго. И Божием повелением приидоша морския волны и приидох, кгде Онтоней стоя на камени, и подых камень. Антоней же ухватихся за камышную быль и оторвах тое быль, а не удержахся в том месте, и несох его силою Божиею на камени; а та трость камышная у нево Антония в руке. И идох по морю на камени двои судки в Новград из моря вверх по Волфе (Волхов - Дж. Г.) реке, в Новград прийдох и в Новеграде многие чюдеса показах; за ним же из Риму бочка с сосуды церковными и с ыными с ево Антониевыми в Новград приидох.

Апреля в 17 день Митрофан митрополит сказывал нам: как де был я в святых горах и после де меня Грузи шах воевал и моево де роду братью иных побили, а иных в полон побрали; и я де, пришед

из святых гор, ходил к шаху бить челом, чтобы мне отдал моих сродников, которые живы. Да меня же де в шахове земли праведным называли и шах де многожды меня спрашивал: кто де Христос? Вы называете его Богом. И я де сказал - как Господ воплотися и родихся и крестихся и распять и воскресе. И шах де молвил и ханы: мы де их называем бозверниками, ано де и лутчая их вера. Да мне же де шах говорил: облачися де во все платье, в чом Богу молитесь. И я де шаху молвил: будет ты шах не боисься ханов и салтанов и всех своих Кизылбаских людей и яз де облачюся, и как облачася и сяду на своем месте и ты шах, пришед предо мною, в землю поклонися и в руку поцелуй. И шах молвил: как де ты хош так и твори; а мне де нелзя тово зделать - тебе до земли поклоница и в руку тебя целовать, потому сведают Кизылбашене и меня за то убьют. И после тово шах меня отпустил и пожаловал - отдал мне Грузинсково ясырю сродник моих и всяких людей с триста человек.

И после тово поп Павел Митрофану митрополиту сказывал: было де в Росийском Московском государстве при великом князе Дмитрий Ивановича(155). В тое пору был великий чюдотворец Алексий митрополит и у царя Золотые Орды царица невисна была; и тот царь к великому князю Дмитрию Ивановичю присылал посла прошат отпусти де ко мне тово человека, кто умеет слепово изцелить. И великой князь Дмитрей Иванович Алексея митрополита (156) молил, чтобы подвигся к царю в Златую Орду. И как Алексей чюдотворец подвигся с Москвы и той царице виделся во сне во всем сану своем, в чом литоргию служит; и царица изготови ему всее одежду церковную, в чом она во сне видела. И как пришол Алексей чюдотворец к царю в Златую Орду и молебное к Богу сотворил и царицу просветил; и за то великого чюдотворца Алексея митрополита за ево чюдотворцово моление Златые Орды царь и царица дары великия воздах злата и сребра много подах и земли места многое ему святителю в почесть отдах и есырю християнского народу многих людей отпустих. Да и по преставлении великии чюдотворец Алексий митрополит многие чюдеса творит, а мощи ево великого чюдотворца Алексия митрополита ничем не вредима и нетленно опочивает на Москве в чюдове монастыре. И митрополит спрошал: как де был в росийском государстве Алексей митрополит много ли тому лет? И поп Павел сказал: Алексей митрополит преставися в лето шесть тысещ восем сот восмьдесет пятово году.

Апреля в 19 день в церкви Георгия обедню пел поп Махарабель, облачася в стихарь и со престола снял покров и в риз места одел на себя, со крестом и с свечою из олтаря вышел в царские двери и стал среди церкви и крестом и свечею осенял на все четыре страны, обращаяся на левую руку. И после ограждение руки умывал да стихарем и отер и действовал над одною просвирою; и из одной просвиры первую часть вынел, как агнец вымается, и ис той же просвиры вынел три части помене первой части да ис той же просвиры вынел малых деветь частей. И поп Павел Федота и Осипа толмача призывал смотреть тое просвиры и попово действо; и Федот и Осип то видели. А обедню начинал со крестом и со свечею. И как выход со еванельем и тот поп в еванелье места харатейнай свертак нес, а в другой руке кадила; а опостол и еванелье чол, вышед из олтаря, перед северными двери. А служил и пел один, а дьячков и певцов не было. А со страхом Божиим молвя не кадил и ехтеньи и замбвонной молитвы и буди имя Господне не говорил. А у церкви царя Леонтея шурин именем Пепукай стоял и обедню слушал. Тово ж числа попу Павлу сказывал Демегони Богучина человек: царя де Леонтия шурин Пепукай епископ был и захотел де Пепукай женица и он де Пепукай разстригся да и женился.

Апреля в 21 день к храму Страстотерпца Георгия сошлися многие люди, а у храма утвержены две трубы медные да колокол. И об вечерни поре в трубы затрубили и в колокол зазвонили и в доски застукали и в те поры все люди великим гласом завопели да и пошли около церкви, и, ходя два дни и две нощи около церкви, беспрестани вопили; и, обшед церковь, как придут ко дверем церковным и всяк человек перед дверьми церковными обернеца кругом на левую руку.

Апреля в 22 день к вечерни приехали к Страстотерпцу Георгию Максим потриярх(комменту 98-Дж.Г.) да Митрофан митрополит да Трепизонской митрополит Кирила да князь Гурьярскай Вохтан (коммент. 105 - Дж.Г.), царя Леонтия свояк (сват-Дж.Г.), боярин Рустам и дворяня и дети боярския. И вечерню служили поп з дьяконом, а потриярх и митрополиты не облачалися. И на Георгием день после завтрени в трубы затрубили и в колокол зазвонили и в те поры вынесли из церкви знамя большое, а потриярх и митрополиты вынесли страстотерпца Георгия оброз, поставили по сторон церкви. И в те поры взошол на церковь мужик, а с ним и иные люди, а по сторонам около церкви и округ образа много нараду облежаще и от великого громного шуму вес

народ престаша; а тот мужик взошед на церковь провопил крепким гласом да и сел против предней страны на церкви и седя говорил с три часа. А потриярх и митрополиты и князи и бояря и всяких чинов люди, мужие и жены и юноши и девицы, старцы и младенцы тово человека со вниманием слушают; аще же кто кашленет или чьхнет, то все на тово возвопят, чтобы тово человека речь слышать. И как тот человек говоря взвопил и в те поры которые люди на церкви были и на земли около церкви стояли и те все люди учели по церкви по верху и по стенам стукати и бить - овий стукающе древесы, друзия же бодуще копии и стрелы, иныя убо млаты и чекуши и обухи, стукающе по верху церкви и по стенам, - а иные седла и хомуты прибивающе гвоздием на церкви и к стенам; и бысть шуму и грому овий кричаще, инии стоняще, а инии смеящеся и пляшуща и скокаша. Аз тово не разумею кой человек на церкви сидел и что разсказывал и что по церкви биение дре[весе] м и всяким оружием: в те поры толмача с нами не была и толмачит было некому; тово дни от завтрени шли из церкви и толмача Иосипа рагатиною покололи и от той раны толмач болен лежал и толмачит было некому.

Тово же числа поп Павел спрашивал у Демегонина человека Богучина у толмы: что говорил тот человек, что на церкви седел, и кои люди на церкви сидели и около церкви стояли и сидели, о чем великим гласом кричал и за што по верху церкви и по стенам всяким оружием, чекуши и млаты стукали и были и седла и хамуты гвоздием прибывали? И Демегонин человек Богучина Тальма сказывал: кой де человек на церкве сидел и в те поры говорил, тому де человеку Георгий ночью приходил и сказывал - каков год будет и што родитца какой хлеб и какой овощ и смиреный будет год или война и про царя Леонтия и про потриярха и про великих людей и про людей всяких чинов, хто жив будет и хто умрет. И тот де человек, седя на церкви, те Георгиевы речи потриярху и митрополитом и епископом и великим и всяким чином людем. Да тот же де человек сказывал: Георги де царю Леонтию на Башечитцкого царя не велел ходить воевать; а бутто Георгий зговорил: игде де волк повадитца овец ловит - дважды уловит, а третий де самово волка уловят; тако де и царь Леонтей - преже сево ходил на Башечитцкого и повоевал, а ныне де царь Леонтей, на Башечитцкого пойдет, убит будет. А кои де люди по верху церкви и по стенам дреколием и млаты и чекуши стукали и били всяким оружием и седла и хамуты гвоздием на церкви прибивали и у тех де людей лошеди и волы и другое, что тати покрали, и за то де те люди с великим

гневом и жестокостию на Георгия кричат и по церкви по стенам всяким оружием бьют; а говорят де те люди Георгию: ты бы де тех татей так же бил и колол. И после тово Домаским (Максим-Дж.Г.) потриярх и Кирил митрополит и князья и бояря и попы и дьяконы и всяких чинов люди с образом страстотерпца Георгия пошли около церкви; а идучи потриярх с собором поют божественная, а простыя люди, кои не умеют грамоте, мужи и жены и старые и малые и вес народ великим гласом кричаще; речи же их не возможно слышати и знати. А митрополит Митрофан осердился, с потриярхом около церкви не ходил и абедни не служил и не слушал. А говорил Митрофан митрополит: чаю де тому мужику дьявол сказывал те речи, а не Георгий. А обедню служили четыре попа да два дьякона, а потриярх и митрополиты обедню не служили и не облачалися. А в те поры на потриярхе клабук чернай, а мантия отласная черная, а скрижали малы жемчюгом сажены, а и(сто)чницы тесмы золотне, а по краем серебром откани Кизылбаское дело, а внизу у маньтии науголники участок золотной; а башмаки на нем кривые.

Апреля в 25 день приезжал поп Гаврила, кой на Москве был в посланниках. И поп Павел у Гаврила попа спрашивал: сколько просвир у вас на литоргий вымают? И Гаврила поп сказал: иногда де четыре, а иногда пять и шесть. И поп Павел молвил: Махарабель поп апреля в 19 день служил обедню, над одною просвирою действовал и все части из одной просвиры вымал; а на Георгиев день при потриярхе служили обедню и тогда всех три просвиры было. И поп Гаврила сказал: здеся де в Дидьянской земле как де кто хочет, столко просвир и держит. - Да Гаврила поп сказал: которой де человек на Георгиев день, вошшед на храм расказывал каков год будет или иное что? И Гаврила поп сказывал: и по многие де годы на Георгиев день тот человек что скажет, то все збывается; и в прошлом де году тот же человек сказал - у царя Леонтия царица умрет, так де и збылося.

Апреля в 27 день к царю Леонтию Федот шол на посольство и для Государя царя и великого князя Михаила Федоровича всеа Русий ево Государевы грамоты царь Леонтей выежжал стречать с потриярхом и с митрополитом и со властьми и з боляры с версту от двора своего; а перед царем держат крест животворящей, а подле креста держат пречистыя Богородицы Похвалы оброз. Федот и поп Павел моляся животворящему кресту и государеву грамоту царю Леонтию Федот подал и у руки у царя Леонтия были и Федот половину титлы проговорил и царь Леонтей поехал к своему цареву двору, а нам

велел за собою ехать. И как приехал царь Леонтей к себе во двор и Федот великого Государя царя и великого князя Михаила Федоровича всеа Русии титлу в другие справливал; а как сидел царь Леонтей и по правую руку царя Леонтия сидел сын ево Александр, а подле Александра сидел потриярх и митрополит и власти, а по левую руку царя Леонтия сидел Липортьянов сын Вамех, а подле Вамеха думнай дьяк Пата, а подле думново дьяка меншой сын Липортьянов Георгий; а те Липортьяновы дети Вамех да Георгей - царя Леонтия пасынки.

Майя в 3 день пришли в Хаби (Хоби - Дж. Г.) в Пречистенской монастырь к Николазу (коммент. 68,160-Дж.Г.) епископу. И в том монастыре каменнай храм с олтарем прегрожен, а в храме деисусы и месные оброзы по чину, и в той церкви при нас обедню служили. После обедни Николаз епископ показывал нам пречистыя Богородицы сорочка, та сорочка выбойке сшита, а выбойка бывала богрова не тонка, а мерою сорочка долга да и широка да и рукава широки, якоже и мужеския, а ворот у сорочки добре мал трех вершечков. И поп Павел у епископа у Николаза спрашивал: чево для у сорочки ворот мал? И епископ Николаз сказывал: Божием де изволением по всякой год у сорочки ворот убывает. А мощи святых показывал - Кирика мученика(157) ручка левая по запястья да мученицы Марины правая рука до локтя. И поп Павел говорил: в Дандремис (Дранда - Дж. Г.).... сказывали две кости ручных от запястья до локтя, а епископ Андрей сказывал те де кости мученицы Марины, а ныне третья рука объявилась или мученица Марина о трех руках была? И Николаз епископ сказал: Андрей де епископ не ведаючи сказал, то кости ручные Марины мученицы, а то де прямые кости те ручные мученицы Варвары(158). И после тово Николаз епископ Федота и попа Павла звал к себе хлеба есть. И поп Павел в разговоре у Николаза епископа спрашивал: сколько лет от Адама до сего году? И Николаз епископ, в книге посмотря, сказал: та де книга греческово писма, а написано де в ней от Адама до сех мест лет семь тысеч сто пятдесять второй год.

А тот Николаз епископ природою Грузинския Темрязовай земли, а был де он Николаз во Иерусалиме тритцет лет и из Ерусалима де был в немецких землях и в литовской земле и из литовской земли был он Николаз на Москве блаженния памети при великом Государе Филарете потриярхе Никитиче (159) московском и всеа Русии и великого праведного Государя царя и великого князя Михаила Федоровича всеа Русии жалованье к нему де Николазу было и великого Государя святейшаго Филарета потриярха Никитича

московского и всеа Русии у благословение он Николаз был, а лет не сказал в коем году он Николаз на Москве был и греческой де и латынской грамотам он Николаз умеет (160).

Майя в 4 день пошли из Хобей от Николаза епископа. Майя в 6 день пришли в Цаишин монастырь к Ондрею епископу; и Андрей епископ жил на горе, шатры поставя от монастыря версты з две, а в монастырь на празники приежжал к обедни. Мая в 5 день Андрей епископ Федота и попа Павла к себе звал есть. Майя в 14 день поп Павел спрашивал у черново попа Максима: царя Леонтия царицу как звали? И Максим поп сказал: царицу де звали Нестредарынжань, а прямое де ей имя было Елена.

Майя в 16 день пошли ис Цынажицкого монастыря от Андрея епископа. Тово же числа пришли в Звукдит, где живет царь Леонтей; и от царя Леонтея стречал нас столник Рамаз Чичюан.

Тово жчисла от царя Леонтия приежжали к нам два епископа Николаз да Ондрей да столник Рамаз царя Леонтия з грамотою и грамоту Федоту отдали. И Федот им говорил: к великому Государю царю и великому князю Михаилу Федоровичю всеа Русии царь Леонтей посла своего с нами посылает ли? И Николаз епископ сказал: царь де Леонтей ныне в кручине и к великому Государю посла своего не посылает, а послал де к великому Государю царь Леонтей свою грамоту с тобою Федотом. А што иных речей Федот говорил с Николазам епископом и то написано у Федота в статейном списку, а поп Павел потому не писал, что ане говорили по турски и поп Павел тово не знает.

Майя в 18 день царь Леонтей отпустил (коммент. 114-Дж.Г.) нас из Вукди.... Майя в 22 день пришли в Худони. Тово ж числа пошли из Дидьянской земли и из деревни Худони. Майя в 26 день пришли в Сони. Июня в 8 день пошли из Соней. Июня в 12 день пошли ис Карачаев. - Того ж дни пришли в Алегукину Кабарду к брату ево к Хапуке. Июня в 26 день пошли из Алегукинай Кабарды от Хапуки. Июня в 28 день пришли в Ылдаров кабак к Илдару Сунчелеву зятю. Июня в 29 день пошли от Ильдара. Июля в 3 день пришли к Мундару.

Тово ж числа пошли от Мундара. Июля в 5 день Федот Терсково казака Александра на дорог отпустил. Июля в 9 день пришли на Терек.

По склейкам: к сему статейному своему списку поп Павел Захарьев руку приложил.

Помета: 149-го [1640] декабря в 4 день подал поп Павел.

კომენტარები

1. ციხე-ქალაქი თერგი დაფუძნებულია რუსების მიერ 1588 წელს. იგი წარმოადგენდა პლაცდარმს კავკასიაზე შეტევის განსახორციელებლად; ამჟამად ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკის რაიონული ცენტრია.

2. მიხეილ თევდორეს ძე რომანოვი (1596-1645წწ.), რუსეთის პირველი მეფე (1613-1645წწ.) რომანოვთა დინასტიიდან.

3. დასახელებულია ისტორიული პიროვნებები, ციხე-ქალაქ თერგის ვოევოდები და თავადები ვასილ გრიგორის ძე რომოდანოვსკი (რომელიც მოგვიანებით მეფე ალექსი მიხეილის ძის მეგობრებს შორის იხსენიება), ივანე ნიკიფორეს ძე ბესტუჟევი და დიაკი კალისტრატე ჟოხოვი. მეფის გვერდით ისინი კნინობით ფორმაში არიან მოხსენიებული (В.Н. Татищев. История Российская, т. VII. Л., 1968, с. 170; Материалы по истории грузино-русских взаимоотношений, с. 142, 217-218).

4. ალეგუკა მურზა - ყაბარდოს ერთ-ერთი გავლენიანი მფლობელი, ლევან II დადიანის მზახალი.

5. ლევან II დადიანი - სამეგრელოს (ოდიშის) მთავარი 1611-1657 წლებში, კახეთის მეფის ალექსანდრე მეორის (1574-1605წწ.) შვილიშვილი, დასავლეთ საქართველოს ჰეგემონი. რუსი ელჩები მას ლევონტეის, ლეონტეის, ლეონის, ლევის სახელით მოიხსენიებენ.

6. მიტროპოლიტი ნიკიფორე - კახეთის მეფის თეიმურაზ პირველის (1606-1648წწ.) ელჩი მოსკოვში 1635-1637 და 1639-1641 წლებში, ბერძენი მიტროპოლიტი. სარგებლობდა რა თეიმურაზისა და მისი გარემოცვის მიერ ბერძნული ენის არ, ან სუსტი ცოდნით, რუსეთის მეფის სახელზე ადგენდა ისეთ წერილებს, რომლებიც ყოველთვის არ გამოხატავდნენ თეიმურაზ I-ის პოზიციას (იხ. Переписка на иностранных языках..., с. 3-21, და ა.შ.). მიტროპოლიტ ნიკიფორეს დიპლომატიურ საქმიანობას უარყოფითად აფასებდნენ ივანე ჯავახიშვილი და სხვა ცნობილი მეცნიერები (ივანე ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, წ. IV. თბ., 1967, გვ. 385-394; სამეგრელო.... რედ. ი. ანთელავა, გვ. 196; Н.Т. Накашидзе. Грузино-русские политические отношения, с. 108-109, 123-124). ტენდენციური იყო მიტროპოლიტ ნიკიფორეს ჩვენებები სადადიანოს ქვეყნისა და მისი მთავრის შესახებაც (ი.ანთელავა. ლევან II დადიანი, გვ. 98). მიტროპოლიტის მოღვაწეობას დადებითად აფასებს ე. მამისთვალ-

იშვილი (ზურაბ პაპასქირი-60. თბ.,2010-2013, გვ.220-242).

7. მიტროპოლიტ ნიკიფორეს მხედველობაში აქვს მეგრული მეტყველება.

8. იგულისხმება აღმოსავლეთ საქართველო.

9. თეიმურაზ I - კახეთისა (1606-1648წწ.) და ქართლ-კახეთის (1625-1632წწ.) მეფე, შესანიშნავი პოეტი. რუსეთის დახმარებით ქვეყნის გათავისუფლებისა და მისი გაერთიანების ყველა მცდელობა თეიმურაზ მეფის მხრიდან უშედეგო აღმოჩნდა.

10. იგულისხმება ლევან მეორის დის ქმარი, გურიის მთავარი სვიმონ გურიელი. სამეგრელოს მთავრის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაში მონაწილეობისთვის სვიმონს მართლაც თვალები დასთხარეს, ტახტი ჩამოართვეს და ცოლსაც გააშორეს.

11. ლევან მეორემ თავისი და, ცნობილი საზოგადო მოღვაწე მარიამი მიათხოვა არა ყიზილბაშთა შახს, არამედ გამაჰმადიანებულ ქართლის მეფეს როსტომს (1633-1658წწ.; 1648-1658 წლებში - ქართლ-კახეთის მეფე), რომელიც ირანის დანიშნული იყო.

12. იგულისხმება ლევან მეორის ბიძა (მამის ძმა) გიორგი (იური) ლიპარტიანი, რომელიც 1611-1616 წლებში - ლევანის მცირეწლოვნობის პერიოდში სამეგრელოს რეგენტი - დროებითი მმართველი იყო. დაახლოებით 1622 წელს ლევან მეორემ ბიძას ცოლი წაართვა და ახალგაზრდა ბიცოლა ნესტან-დარეჯანი (ელენე) ჭილაძე ცოლად შეირთო. მალე გიორგი ლიპარტიანი გარდაიცვალა (იხ. კომენტ. 90).

13. XVIIს. 20-იანი წლების დასაწყისში ლევან მეორემ თავისი პირველი მეუღლე, აფხაზეთის ერთ-ერთი მფლობელის სეტემან შარვაშიძის ქალიშვილი დარეჯანი ღალატში დაადანაშაულა, დაასახიჩრა და მამას დაუბრუნა (იხ.კომენტ. 131).

14. მართლმადიდებელმა სამყარომ 1637 წელს ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაული 9 აპრილს იზეიმა.

15. თევდორე ვოლკონსკი - რუსეთის ელჩი, გაიგზავნა კახეთში 1637 წლის ივნისში, აგრეთვე 1649 წელს.

16. ყირიმის სახანოს გირეი-ს გვარის მეფეები მართავდნენ; მურზები (მირზები) ეწოდებოდათ თურქული მოდგმის ხალხების (ნოღაიელების, თათრების) ცალკეული ურდოების თუ გვარების წინამძღოლებს (იხ. აგრეთვე კომენტ. 37 და 41).

17. ტემნიკოვი - ამჟამად ქალაქი მორდვეთის რესპუბლიკაში;

კასიმოვი - ამჟამად ქალაქი რიაზინის ოლქში მდ. ოკაზე. ქალაქის სახელწოდება თათართა (იქ დასახლდნენ XIV საუკუნეში)

უფლისწულის კასიმის სახელს უკავშირდება.

18. იხ. ამის შესახებ ვრცლად გაბრიელ გეგენავას ელჩობის მასალებში (თავები 1 და 2-ე), აგრეთვე ფედოტ ელჩინის მუხლობრივ აღწერილობაში (თავი 15-ე, 1640 წლის 18 მაისი). 1613 წლიდან, როცა რუსები მდ. თერგის შესართავთან გამაგრდნენ, ციხე-ქალაქ თერგიდან ამყარებდნენ პოლიტიკურ კავშირებს ყაბარდოსთან, დაღესტანთან, საქართველოსთან და ა.შ.

19. მალაქია II გურიელი - 1614-1639 წლებში აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსი, გურიის მთავრის გიორგი მეორის (1566-1600 წწ.) ძე. 1625 წლიდან ითავსებდა გურიის მთავრის ტახტსაც.

20. ბიჭვინთის ღმრთისმშობლის მიძინების ტაძარი - საქართველოს უძველესი საეკლესიო ცენტრი, დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) კათალიკოსთა საბრძანებელი დაახლოებით VIII საუკუნიდან XVI-XVII საუკუნეებამდე (აფსუა-აფხაზთა ჩამოსახლებამდე), რის შემდეგაც მან დიდი ხნით ფუნქციონირება შეწყვიტა, თუმცა XVIII საუკუნის ბოლომდე თავის სტატუსს ფორმალურად ინარჩუნებდა; განახლდა 1869 წლის 28 სექტემბერს, როცა იგი იმერეთის ეპისკოპოსმა და აფხაზეთის ეპარქიის მმართველმა წმინდა მღვდელმთავარმა გაბრიელმა (ქიქოძე) სამრევლო ეკლესიად აკურთხა.

21. ლევან II დადიანი, წინამორბედებისაგან განსხვავებით, თურქეთის მიმართ მართლაც დამოუკიდებელ პოლიტიკას ატარებდა, რასაც იმდროინდელი თურქეთისთვის არახელსაყრელი საერთაშორისო ვითარება და გამწვავებული შიდაპრობლემები უწყობდნენ ხელს. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ სულთანის ოსმან მეორის (1618-1622 წწ.) დამხობამ, 1623 წელს ტახტზე მცირეწლოვანი მურად IV-ის აყვანამ თურქეთის ცენტრალური ხელისუფლების დასუსტება გამოიწვია; აბაზა ფაშას აჯანყებამ (1622წ.) თურქეთის სახელმწიფო კიდევ უფრო შეარყია. 1624 წელს ირანმა წაართვა თურქეთს ქურთისტანი და ერაყი; მას მოსვენებას არ აძლევენ კაზაკები, რომლებიც მუდმივად თავს ესხმოდნენ ზღვისპირა ქალაქებს. ყოველივე ამას ლევან II საკუთარი ინტერესებისთვის იყენებდა. თურქეთს იგი ხარკს უხდიდა მხოლოდ „იმისათვის, რომ გემებმა სავაჭროდ იარონ. ხოლო რომელ წელსაც გემები არ მოვლენ, იმ წელიწადს მარილისა და რკინის უკმარისობა ექნებათ“, - ჩაინერა თავის ანგარიშში ფედოტ ელჩინმა 1640 წლის 4 იანვარს.

22. ლევან მეფე რეალურად მხოლოდ სამეგრელოსა (რომლის

შემადგენლობაში აფხაზეთიც იგულისხმებოდა) და გურიის სამთავროებს ფლობდა, იმერეთს კი მუდმივად აწიოკებდა, მაგრამ საკუთარი ძალაუფლების გავრცელება მასზე ვერ მოახერხა.

23. უსეინ ხან ბეგი (ხოსეინ ბეგი) - 1618 წლის მონაცემებით, შემახიის მმართველის იუსუფ ხანის ვეზირი; რუსებისთვის ის იყო „დიაკი" (П.П. Бушуев. История посольств и дипломатичсских отношений русского и иранского государств в 1613-1621 гг. М., 1987, с. 189, 190, 229).

24. ქვემოთ მოტნილ ტექსტს მისმა გამომცემელმა მ.პოლიევექტოვმა ასეთი შენიშვნა წარუმძღვარა: „ელჩი გაბრიელი პირველი გილდიის ყიზილბაში ვაჭრების შემდეგ კვლავ იქნა მიღებული. ნასვლისას, სათათბიროს დიაკმა თევდორე ლიხაჩევმა მეფის სახელით მას შემდეგი პასუხი მისცა"... (Материалы по истории грузино-русских взаимоотношений, с.152). ქვემოთ, სწორედ, ეს პასუხია მოტანილი.

25. გრიგორიანული (გრიგოლის) კალენდარი (ახალი სტილი); წელთააღრიცხვის სისტემა, რომელიც რომის პაპმა გრიგოლ XIII-ემ 1582 წელს შემოიღო. მაშინ ის კათოლიკურ ქვეყნებში გავრცელდა, შეცვალა რა იულიუსის (ძველი სტილი) კალენდარი. დროის ათვლა მზის ირგვლივ დედამიწის ციკლურ მოძრაობას ეფუძნება. ერთი ციკლის ხანგრძლივობა 365,245 დღე-ღამეს უდრის. რუსეთში გრიგორიანული კალენდარი, 1918 წლის 29 იანვრის დეკრეტის საფუძველზე, იმავე წლის 1 თებერვლიდან (რომელიც 14 თებერვლად გამოცხადდა) შემოვიდა; საქართველოში კი 1918 წლის 18 აპრილი 1 მაისად გამოცხადდა. გრიგორიანული კალენდრის შემოღების დროს განსხვავება იულიუსის კალენდართან 10 დღე-ღამეს შეადგენდა. 1900 წლის 1 მარტიდან 2100 წლის 29 თებერვლამდე სხვაობა იყო და არის 13 დღე-ღამე, 2100 წლის 1 მარტიდან 2200 წლის 29 თებერვალმდე - 14 დღე-ღამე იქნება, და ა.შ

26. ასეთი წესი არსებობდა 1470-1474 წლების შემდეგ, როდესაც იმჟამად საქართველოში მყოფმა იერუსალიმ-ანტიოქიის პატრიარქმა მიხეილმა დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) კათალიკოსად ცაიშ-ბედიის ეპისკოპოსი იოვაკიმე აკურთხა.

27. თავადი დანილო ივანეს ძე მეზეცკი - მეფე ბორის გოდუნოვთან (1598-1605წწ.) დაახლოებული პიროვნება, 1610 წლიდან ოკოლნიჩი (სათათბიროს ბოიარზე დაბალი რანგი), 1618 წლიდან ბოიარი. მონაწილეობდა ომებში შვედებისა (1614წ.) და პოლონელების წინააღმდეგ. ამ უკანასკნელებთან აწარმოებდა სამშვიდობო მოლაპარაკებებს (1618წ.); მონაწილეობდა პოლონელებთან

ტყვეების გაცვლაში (პოლონელთა მიერ დატყვევებულთა შორის იყო მეფის მამა მიტროპოლიტი ფილარეტი), სხვადასხვა სახელმწიფო ღონისძიებებში და ა.შ. (В.Н. Татищев. История Российская, т. VII. Л., 1969, с. 159, 166, 167; С.М. Соловьёв. Сочинения, кн. V. М., 1990, с. 15, 72-74, 84, 85, 103-105, 116, 262, 271).

28. ანდრია ანდრიას ძე ხოვანსკი - თავადი და ვოევოდა, 1613 წელს მონაწილეობდა ლიტვასთან ომში, 1615-1620 წლებში იყო ვოევოდა ასტრახანში, 1626-1628 წლებში - ტობოლსკში, 1629 წლიდან - ნიჟნი-ნოვგოროდში.

29. რუსული ელჩობა ანდრია ოსიპის ძე პლეშჩეევისა და ნიკიფორე ტალიზინის შემადგენლობით ირანში 1629 წელს გაემგზავრა (В.Н. Татищев. История Российская, т. VII, с. 168).

30. ივანე ვასილის ძე მოროზოვი შემდგომში მსახურობდა მოსკოვში; მისი შვილი ბორის ივანეს ძე მოროზოვი იყო მეფე ალექსი მიხეილის ძის ქვისლი (В.Н. Татищев. История Российская. т. VII, с. 170; С.М. Соловьёв. Сочинения, кн. V, с. 462, 463, 564, 615 და ა.შ.).

31. ჩიორნი იარი (ყალმუხთა ენაზე - იანკალა) - დასახლებული პუნქტი მდ. ვოლგის მარჯვენა მხარეს, ამჟამად ასტრახანის ოლქის შემადგენლობაშია.

32. თავადი და ბოიარი ი.ა. სიცკის შესახებ იხ.: С.М. Соловьев. Сичинения, кн. V, с. 224-225, 231, და ა.შ.

33. შევკალი (შავკალი, შამხალი) - აზოვისპირა (დარუბანდის ჩრდილოეთით) თურქული მოდგმის ხალხის ყუმიკების მფლობელის ტიტული.

34. 1557 წლიდან რუსეთის ქვეშევრდომობის ქვეშ მყოფი ყაბარდო XVII საუკუნეშიც ცალკეულ ფეოდალურ სამფლობელოებად იყო დაყოფილი. მას მართავდნენ უფროსი მთავრის კუდენეტის შვილები მუნდარები, აგრეთვე ალეგუკა შეგანუკი და ხოტაჟუკო ყაზი (დიდი ყაბარდოს მფლობელები). არსებობდნენ უფრო წვრილი სამფლობელოებიც - ყაბაკები (История Кабарды. М., 1957, с. 48-49).

35. იმჟამინდელი რუსეთის შემადგენლობაში წარმოდგენილი ცალკეული რეგიონების ლოკალიზაცია დასაზუსტებელია. კერძოდ, გასარკვევია, სად მდებარეობდნენ და მდებარეობენ დღეს იუგორსკის, ბულგარეთის, ბელოოზიორსკის, უდორის, ობდორისა და კონდინის პროვინციები, აგრეთვე „სრულიად ჩრდილოეთის მხარე“ და „ნოვაგოროდის ქვემორე მდებარე მიწები“.

ცნობილია უგორის რუსეთი - იმიერკარპატის უკრაინა. XIს. ბოლოდან ეს ტერიტორია უნგრეთის ნაწილია, ამიტომ, საეჭვოა,

იუგორის რეგიონში უგორის რუსეთი იგულისხმებოდეს. რუსეთის შემადგენლობაში უკრაინა არ არის დასახელებული, იმიერკარპატის მხარეს რუსეთის ნაწილად მით უფრო არ გამოაცხადებდნენ. უგორის (იუგორის) რეგიონის შესახებ ცნობას გვაწვდის XVIII საუკუნის რუსეთის სახელმწიფო მოღვაწე და გამოჩენილი მეცნიერი ვ.ნ. ტატიშჩევი (1686-1750 წწ.). მისი აზრით, „უგორია“, რომელსაც ადრე ერქვა „გორი“ (горы - მთები), მერე კი „პოიასს“ უწოდებდნენ, სარმატული წარმოშობის ხალხით იყო დასახლებული, მოიცავდა ვერხნაია ტურასა და ეკატერინბურგის პროვინციებს, ანუ ურალსა და დასავლეთ ციმბირის ნაწილს (В.Н. Татищев. Избранные труды по географии России. М., 1950, с. 131, 159, 164, 182).

ბულგარეთში შუავოლგისპირეთში მდებარე ბულგარეთი იგულისხმება. არსებობა მან XIVს. 90-იან წლებში შეწყვიტა, მაგრამ კიდევ არაერთი საუკუნის მანძილზე ეს სახელწოდება გამოიყენებოდა. მაგალითად, იგივე ვ.ნ. ტატიშჩევი წერდა: „გოგირდი ქალაქ სამარასთან ახლოსაა, ბულგარეთში, და მთებს თხრიან“; „ალუბალი.... უზარმაზარი რაოდენობითაა, განსაკუთრებით ბულგარეთისა და დონის გუბერნიებში“ (В.Н.Татищев. Избранные труды по географии России, с. 127, 129).

ბელოზიორის რეგიონი - XIII-XV საუკუნეებში არსებული იმავე სახელის მატარებელი სამთავროს ტერიტორიაა, რომელიც ადრე ნოვგოროდის გუბერნიაში შედიოდა, ამჟამად კი ვოლოგდის ოლქის ნაწილია.

ცნობას უდორის, ობდორისა და კონდინის შესახებ ასევე ვ.ნ.ტატიშჩევი გვაწვდის, თუმცა საგანგებოდ აღნიშნავს- „ცოტა ვინმემ თუ იცის, ისინი სად ვეძებოთ“ (В.Н. Татищев. Избранные труды по географии России, с. 205). მიუხედავად ამისა, იგი წერს: „ოსტიაკები - ციმბირის უმთავრესი და ყველაზე მრავალრიცხოვანი ხალხია....ისინი სამ ნაწილად იყოფა: უდორები - მდ. ობის ზემოთი, მდინარეების ტომისა და ნარიმის ნაპირებზე; ობდორები - მდ. ობის ქვემოთი ზღვამდე; კონდინის - ობის მარცხენა მხარეს მდ. ირტიშის ზემო დინებისკენ“. ვ.ნ.ტატიშჩევი კიდევ უფრო აკონკრეტებს მათ მდებარეობას: კონდინის ოსტიაკები - ტობოლის პროვინციაში მდ. კონდაზე; ობდორები - მდ. ობის სანაპიროზე, მათი სახელი მდ. ობზე მცხოვრებს ნიშნავს, ისინი ირტიშიდან ქვემოთ ზღვამდე არიან; უდორები - ოსტიაკის ხალხია, რომელიც სურგუთიდან მდ. ობის ზემოთკენ, მდინარეებზე უდეზე, ჩულიმზე და ტომზე ცხოვრობენ“ (В.Н. Татищев. Избранные труды по географии России, с. 178, 179,182; В.Н. Татищев. История Российская, т. VIII. Л., 1968, с.64).

ისტორიული უდორის, ობდორისა და კონდინის მხარეები დღეს ხანტი-მანსისა და ტაიმირის ანუ დოლგან-ნენების ავტონომიური ოკრუგებია. ხანტი - მანსის ავტონომიურ ოკრუგში არსებობს ქალაქი კონდინსკოე (რაიონული ცენტრი); ქალაქ ობდორსკს დღეს სალეხარდი ჰქვია (ტაიმირის ოკრუგის დედაქალაქი).

„ სრულიად ჩრდილოეთის მხარეში", ალბათ, აღმოსავლეთ ციმბირისა და შორეულ აღმოსავლეთის ჩრდილოეთი ნაწილი, ანუ დღევანდელი იაკუტიის რესპუბლიკა, აგრეთვე ჩუკოტკისა და კორიაკთა ავტონომიური ოკრუგები იგულისხმება.

„ნოვაგოროდის ქვემორე მდებარე მიწები" ეს არის ნიჟნინოვგოროდის სამხრეთით მდინარე ვოლგისა და მისი შენაკადების შუაწელში მდებარე ტერიტორიები.

36. თურქეთის სულთანი 1623-1640 წლებში მურად IV.

37. ყირიმის ხანები, რომლებიც თურქეთის ვასალები და მოკავშირეები იყვნენ, მუდმივად თავს ესხმოდნენ რუსეთს. ამ თავდასხმების შედეგად მხოლოდ XVII საუკუნის პირველ ნახევარში მათ დაატყვევეს და ყირიმში წაიყვანეს 150-200 ათასამდე რუსი. 1633 წელს ყირიმელმა თათრებმა ტულამდე, კაშირამდე, კალუგამდე და მოსკოვის შემოგარენამდე მიაღწიეს. 1637 წელს დანიშნულმა ყირიმის სახანოს ახალმა მმართველმა - მეფემ ბეგადირ გირეიმ, კალგამ (ვიცე ხანი და მეფის მემკვიდრე) ისლამ გირეიმ და ნურადინმა (უმაღლესი სასულიერო ხელმძღვანელი) საფატ გირეიმ თავიანთი მოღვაწეობა რუსეთზე მორიგი თავდასხმით (1637 წლის სექტემბერი) დაიწყეს. კაზაკების მიერ აზოვის აღებამ (1637წ.) ისინი აიძულა, რუსეთთან დროებით კომპრომისზე წასულიყვნენ. ყირიმის დესპანმა თოხთამიშმა 1638 წლის 25 მაისს მოსკოვში, საელჩო პრიკაზში რუსეთთან მშვიდობიანი ურთიერთობის დამყარების შესახებ ყურანზე დაიფიცა, ხოლო იმავე წლის 22 სექტემბერს იგივე ფიცი ბეგადირ გირეიმ დადო. მშვიდობისთვის რუსეთი გაზრდილ ხარკს- აღაპს უხდიდა ყირიმის სახანოს, რომლის მმართველები რუს მეფეებს მხოლოდ დიდი მთავრების სტატუსში აღიარებდნენ (А.А. Новосельский. Борьба Московского государства с татарами в первой половине XVII века. М., - Л., 1948, с. 245-282).

38. პოლონეთის მეფე სიგიზმუნდ III (1566-1632 წწ.)

39. ვლადისლავ IV (1595-1648წწ.) - პოლონეთის მეფე 1632 წლიდან, სიგიზმუნდ მესამის ვაჟი.

40. 1610 წლის აგვისტოში რუსეთის მაშინდელმა მთავრო-

ბამ; ე.წ. „სემიბოიარშჩინა“-მ რუსეთის სამეფო ტახტი პოლონელ უფლისწულს ვლადისლავს შესთავაზა, მაგრამ მეფედ მისი კურთხევა არ მომხდარა. რუსეთის ტახტზე თავისი პრეტენზიების განხორციელება ვლადისლავმა 1617-1618 წლების რუსეთ-პოლონეთის ომის დროს სცადა. ეს ომი დეულინოს 14,5 წლიანი ზავით და რუსებისთვის სმოლენსკის, დოროგობუჟის, ჩერნიგოვის, პუტივლის, ნოვგოროდის, სევერსკის, სხვა ქალაქების დაკარგვით დასრულდა. 100 ათასიანი არმიისა და დიდძალი შეიარაღების დაკარგვით დასრულდა რუსებისთვის 1632-1634 წლების ომიც, რისთვისაც ჯარების საერთო ხელმძღვანელი ბოიარი მ.ბ.შეინი და აკოლნიჩი ა.ვ.იზმაილოვი 1633 წ. 28 აპრილს მოსკოვში სიკვდილით დასაჯეს (В.Н.Татищев. История Российская, т.VII, с.168). პოლიანოვოს ზავის თანახმად, პოლონეთმა შეინარჩუნა ადრე დაპყრობილი ქალაქები, მაგრამ ვლადისლავმა რუსეთის ტახტზე უარი თქვა. ამიტომაც მეტი „დამაჯერებლობით“ ჟღერდა „განანესში“ ნათქვამი სიტყვები: „ახლა მის მეფურ უდიდებულესობასა და პოლონეთის მეფეს შორის მტრობა აღარ არის“.

41. დიდი ნოღაი - სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი, რომელიც ნოღაელთა ურდოს დაშლის შედეგად XVI საუკუნის შუახანებში წარმოიშვა (თვითონ ნოღაელთა ურდო, რომელსაც ეკავა ჩრდილოეთ-კასპიისპირეთი, ურალისწინეთი მდ. კამამდე, ვოლგიდან ირტიშამდე, ოქროს ურდოს XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე გამოეყო). მას ეკავა კასპიისპირეთი, ქვემო ვოლგის მარცხენა სანაპირო მდ. ურალამდე. 1660 წლიდან დიდი ნოღაი ფორმალურად მოსკოვს დაექვემდებარა.

42. ყაზის ულუსი - მცირე ნოღაი, არსებობდა XVI საუკუნის 50-იანი წლებიდან მდ. ყუბანიდან დონამდე ტერიტორიაზე; დააფუძნა მურზა ყაზიმ (გარდაიცვალა 1577 წელს). XVII საუკუნის პირველ ნახევარში მცირე ნოღაი უფრო წვრილ-წვრილ ურდოებად დაიშალა.

43. სპარსეთის შაჰი აბას I (1587-1629 წწ.).

44. სპარსეთის შაჰი სეფი I (1629-1642 წწ.).

45. XVI-XVII საუკუნეებში ირანსა და თურქეთს შორის ხშირი ომები მიმდინარეობდა ძირითადად ახლო აღმოსავლეთისთვისა და ამიერკავკასიისთვის. მხოლოდ XVII საუკუნის პირველ ნახევარში ისინი ერთმანეთს დაეტაკნენ 1603-1612, 1616-1619 და 1623-1639 წლებში. უკანასკნელი ომი დასრულდა 1639 წლის 18 მაისის ზოჰაბის ზავით, რომელიც 1555 წლის ამასიის ზავის უკანასკნელ ვარიანტს წარმოადგენდა. თურქეთმა და ირანმა კვლავ გადაინაწილეს საქართველო, სომხეთი და ქურთისტანი. თურქეთს დარჩა ბაღდადი (დავით კაცი-

ტაძე. ირანის ისტორია. III-XVIII სს. თბ., 2009, გვ.388, 411, 460 და ა.შ.).

46. ყოვლადწმინდა ღმრთისმშობლის სასნაულმოქმედი სარტყლის ნაწილი 1031 წელს კონსტანტინოპოლიდან ჩამოიტანა საქართველოს მეფის ბაგრატ IV-ის (1027-1072 წწ.) მეუღლემ, ბიზანტიის იმპერატორის რომან მესამის (1028-1034 წწ.) ძმისშვილმა ელენემ. მრავალი საუკუნის განმავლობაში ის სარტყელი ვლაქერნის ხატზე იყო მიმაგრებული, ინახებოდა ბედიის ტაძარში და დადიანების მთავარ სიწმინდეს წარმოადგენდა. 1806 წელს პეტერბურგში მყოფმა სამეგრელოს დელეგაციამ ვლაქერნის ხატი მასზე მიმაგრებული ღმრთისმშობლის სარტყლით იმპერატორ ალექსანდრე პირველს საჩუქრად მიართვა. იმპერატორმა იგი დროებით კარის ეკლესიაში მოათავსა და იმავე წლის მაისში, საქართველოს მთავარმართებლის პ. ციციანოვის რეკომენდაციით, სამეგრელოს დელეგაციას დაუბრუნა. ამასთანავე მან გამოყო 2000 ჩერვონეცი ვლაქერნის ღმრთისმშობლის სახელზე ზუგდიდის ცენტრში ტაძრის ასაშენებლად. XIX ს. 20-იან წლებში ტაძარი მართლაც აშენდა და დღემდე მოქმედებს. 1921 წლამდე - საქართველოს გასაბჭოებამდე - ვლაქერნის ხატი და ღმრთისმშობლის სარტყელი ამ ტაძარში ინახებოდა. ამჟამად ვლაქერნის ხატი საქართველოს ხელოვნების მუზეუმის კუთვნილებაა, ღმრთისმშობლის ქამარი კი გასაბჭოების შემდეგ დაკარგულია.

47. პირველი, მეორე და სხვა მსოფლიო საეკლესიო კრებების შესახებ იხ.: კომენტ. 62. ნიკეის პირველ წმინდა მსოფლიო საეკლესიო კრებაზე (325 წ) მიღებული სარწმუნოების სიმბოლო იხ. წიგნში: მართლმადიდებელი ეკლესიის კანონები ეპისკოპოსს ნიკოდიმის (მილაში) განმარტებებით. I ტომი. თბ.,2007, გვ.148.

48. კირილე ალექსანდრიელმა (V ს.) გაილაშქრა ნესტორ კონსტანტინოპოლელის ერესის წინააღმდეგ, რომლის მიხედვითაც ქალწული მარიამი არის არა ღმრთისმშობელი, არამედ „ადამიანისმშობელი“; ნესტორის აზრით, ქრისტე მხოლოდ ადამიანია, რომელშიც წმინდა სამების მეშვეობით ღმრთის სიტყვა ჩასახლდა. კირილე ალექსანდრიელმა ნესტორიანელთა წინააღმდეგ დაწერა მიმართვა „განდეგილებს“. მისი ძალისხმევით, მესამე მსოფლიო საეკლესიო კრებამ ეფესოში (431 წელი) დაგმო ნესტორი და მისი მიმდევრები. ისინი დაგმეს აგრეთვე V მსოფლიო საეკლესიო კრებაზე კონსტანტინოპოლში (553 წ.).

49. სებელიოსი - წმინდა სამების შესახებ მოძღვრების ერთ-ერთი შემქმნელი, III საუკუნეში ლიბიაში ცხოვრობდა.

50. არიოზი - პრესვიტერი, რომლის სახელს უკავშირდება 315-

320 წლებში ალექსანდრიაში არიანელობის სახელით ცნობილი ერესის წარმოშობა.

51. მაკედონიოსი (IV ს.) - კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსი (360 წელს ტახტიდან ჩამოაგდეს), რომელიც ამტკიცებდა, რომ სულიწმიდა არ მონაწილეობს მამისა და ძის ღვთაებაში. ამიტომაც მას სულიწმიდის მგმობელს უწოდებენ.

52. ევტიქი (378 წ. - 458 წლის შემდეგ) კონსტანტინოპოლთან ახლოს მდებარე მონასტრის წინამძღვარი; გამოდიოდა ნესტორიანული ერესის წინააღმდეგ; თავად გახდა საპირისპირო ერესის - მონოფიზიტობის მიმდევარი.

53. დიოსკორე (გარდაიცვალა 454 წელს) - 444-451 წლებში ალექსანდრიის არქიეპისკოპოსი. ისევე როგორც ევტიქი, მონოფიზიტობის მიმდევარი იყო; დაგმეს IV მსოფლიო საეკლესიო კრებაზე (451 წ.).

54. ევიონი - პირველი საუკუნეების ებრაელ-ქრისტიანთა სექტის (ევიონისტები) დამაარსებელი; მათ იწამეს ქრისტე, მაგრამ ებრაული რელიგიური წესების ერთგულები დარჩნენ.

55. ს.ა.ბელოკუროვი აქ შემდეგ შენიშვნას აკეთებს: „ზედმეტად არ მიგვაჩნია შევნიშნოთ: საგარეო საქმეთა სამინისტროს მოსკოვის მთავარ არქივში დაცულია სურათი გრავიურიდან, რომელიც ვისბადენის მუზეუმს ეკუთვნის და შეიცავს „ჭეშმარიტ გამოსახულებას ელჩობისა თუ ელჩებისა მოსკოვის დიდი მთავრისა მის რომის იმპერატორობით უდიდებულესობასთან, აგრეთვე როგორ ტანსაცმელში და როგორი სახით თითოელი გამოცხადდა სადარბაზოდ...1576 წლის 18 ივლისს“. ამ გრავიურის მარჯვენა მხარე წარმოადგენს „საეკლესიო წესების გამოსახულებას, რომელსაც თავიანთი ღმრთისმსახურებისას მოსკოვიტები იყენებენ, როგორც ეს რაგენსბურგის ამჟამინდელ საიმპერატორო სეიმზე გამოჩნდა“. აქ რუსები მლოცველთა მდგომარეობაში არიან გამოსახული ორი თითის შეერთებით პირჯვრის გადასაწერად. სოლოვიოვი ზაქ. სუგორსკისა და დიაკი არციბაშევის ამ ელჩობის შესახებ იმპერატორ მაქსიმილიან მეორესთან ახსენებს ისტორიის VI ტომში, გვ.340. 2) ოლეარიუსი თავისი მოგზაურობის აღწერის მეორე გამოცემაში, შლეზვიგი, 1656, გვ. 294, ამბობს: რუსები პირჯვარს ისახავენ ზუსტად ისე, როგორც ამის შესახებ წერს გერბერშტეინი: ამისათვის ისინი იყენებენ მარჯვენა ხელის პირველ სამ თითს და სხვ. იხ. მიხაილოვის თარგმანი ნ.კალაჩევის „ისტორიული და პრაქტიკული ცნობების არქივში“, 1859წ., წ. VI, გვ.6. - ბარსოვის თარგმანი, გვ.

330. პირველ გამოცემაში ამის შესახებ არაფერს ამბობს".

ს. ბელოკურიხინის ეს შენიშვნა თავად საჭიროებს გარკვეულ კომენტარებსა და განმარტებებს:

- გამოჩენილი რუსი ისტორიკოსი ს.მ.სოლოვიოვი (1820-1879წწ.) გერმანიის იმპერატორ მაქსიმილიანე მეორესთან (1527-1576 წწ.) ზ.ი.სუგორსკისა და დიაკ ა.პ.არციბაშევის ელჩობის შესახებ ახსენებს თავის წიგნში: История России. Кн.III.М., 1960, с.637; ამ ელჩობის შესახებ იხ. აგრეთვე: Путешествия русских послов в XVI-XVII веках, с.349-351;

- ადამ ოლეარიუსი (1599-1671 წწ.) მოგზაური, დიპლომატი, მეცნიერი; შლეზვინგ-ჰოლშტაინის ჰერცოგის ფრიდრიხ მესამის (1597-1659 წწ.) მიერ რუსეთსა და ირანში გაგზავნილ ელჩობათა შემადგენლობაში 1634,1636 და 1639 წლებში მოსკოვში იმყოფებოდა. თავისი მოგზაურობის შესახებ გამოსცა წიგნი, რომელსაც რუსული ისტორიოგრაფიისთვის დიდი წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობა აქვს (იხ. А.Олеарий. Описание путешествия в Московию и Персию и обратно. СПБ., 1906, და ა.შ.) ადამ ოლეარიუსის მოგზაურობათა წიგნი გარკვეულ ცნობებს შეიცავს საქართველოს ისტორიის შესახებაც (ბეჟან ჯავახია. საქართველო და ქართველები ადამ ოლეარიუსის მოგზაურობის წიგნში. თბ., 2005);

- სიგიზმუნდ გერბერშტეინი (1486-1566 წწ.) - გერმანელი დიპლომატი, 1517 და 1526 წლებში სპეციალური დავალებით რუსეთში იმყოფებოდა; გამოსცა წიგნი „ჩანაწერები მოსკოვიის შესახებ", რომელმაც ავტორს მთელს ევროპაში, აგრეთვე რუსეთში დიდი პოპულარობა მოუპოვა; იმის შესახებ, თუ რუსები პირჯვარს როგორ ისახავენ, იხ.: С. Герберштейн. Записки о Московии. М., 1988. с. 101;

- ნ.ვ.კალაჩევი (1818-1885წწ.), მეცნიერ-ისტორიკოსი და იურისტი, სენატორი, „ისტორიული და პრაქტიკული ცნობების არქივი"-ს გამომცემელი;

- ე.ვ.ბარსოვი (1836-1917 წწ.)- ეთნოგრაფი და არქეოლოგი;

- ადამ ოლეარის თხზულების პირველი გამოცემა განხორციელდა გერმანიაში 1647 წელს.

56. მათე - ერთ-ერთი 12 მოციქულთაგანი, რომელიც ქრისტეს ამაღლების შემდეგ იუდას ადგილზე იქნა არჩეული; მანამდე ქრისტეს 70 მოწაფეთა რიცხვს მიეკუთვნებოდა; ევანგელისტი ლუკა - იყო ქრისტეს 70 მოწაფეთა შორის. სოლომონ ბრძენი, დავი-

თის ძე, მეფობდა ისრაელში ძვ.წ. 965-928 წლებში. ზოგიერთი მონაცემით, სოლომონი ძვ.წ. 972-932 წლებში მეფობდა (От античности до средних веков. Арт-Родина, 2002, с. 23,25,27).

57. დავითი - მეფობდა ისრაელში, რომლის დედაქალაქი იყო იერუსალიმში (ძვ.წ. XI ს. დასასრული - ძვ.წ. 950 წ.). ზოგიერთი მონაცემით, დავითი ძვ.წ. 1005 -972 წლებში მეფობდა (От античности до средних веков. Арт-Родина, 2002, с. 23,25,27).

58. ძვ.წ. 586 წელს იერუსალიმი აიღო და დაანგრია ბაბილონის მეფემ ნაბუქოდონოსორ მეორემ; ქალაქის მოსახლეობა დაატყვევეს (ბაბილონის ტყვეობა), მაგრამ ძვ.წ. VI საუკუნის უკანასკნელ მესამედში განთავისუფლდა და ხელახლა იერუსალიმში დასახლდა.

59. ალექსანდრე მაკედონელი (ძვ.წ. 356-323 წწ.).

60. ავგუსტინე გაი იულიუს კეისარი ოქტავიანე, რომის იმპერატორი (ძვ.წ. 43 წ.- 14 წ.), რომელმაც ძლევამოსილი იმპერია შექმნა.

61. კონსტანტინე I დიდი, რომის იმპერატორი 306-337 წლებში (იხ. კომენტ. 101).

62. მსოფლიო საეკლესიო კრებები გაიმართა: პირველი - 325 წელს ნიკეაში, მეორე - 381 წელს კონსტანტინოპოლში, მესამე - 431 წელს ეფესოში, მეოთხე - 451 წელს ქალკედონიაში, მეხუთე - 553 წელს კონსტანტინეპოლში, მეექვსე - 680-691 წლებში კონსტანტინეპოლში, მეშვიდე - 787 წელს ნიკეასა და კონსტანტინოპოლში. შვიდივე საეკლესიო კრებისა და მათ მიერ მიღებული კანონების შესახებ იხ.: მართლმადიდებელი ეკლესიის კანონები ეპისკოპოს ნიკოდიმის (მილაში) განმარტებებით, ტ.1. თბ., 2007

63. ბულგარეთის ნათლისღება 865 წელს მოხდა.

64. სლავი განმანათლებლები, საღმრთისმსახურო წიგნების პირველი მთარგმნელები წმ. კირილე (827-869 წწ.) და მეთოდე (820-885 წწ.), რომლებმაც 863 წელს სლავური დამწერლობა შექმნეს.

65. რიურიკოვიჩების დინასტია 912 წლიდან იწყება (იხ. კომენტ. 140-141).

66. რუსეთი 988 წელს მოინათლა (988+652=1640). იხ. კომენტ. 142.

67. ალექსანდრიელი არქიეპისკოპოსი ათანასე (298-373 წწ.); მყარად იცავდა დოგმატს მამა ღმერთის და ძის ერთობის დოგმატს, რისთვისაც მას მართლმადიდებლობის მამად მოიხსენიებენ.

68. თერგის კაზაკთა შორის არც თუ ისე ცოტანი იყვნენ ქართველებიც, რომლებმაც სხვადასხვა მიზეზით დატოვეს ქვეყანა. კაზაკთა რიგებს ავსებდნენ აგრეთვე დაღესტნელთა ტყვეობას გამო-

ქცეული ქართველები (ს.როდონაია. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVII ს. პირველ ნახევარში. თბ., 1961, გვ. 30).

69. ცნობილი ქართველი სასულიერო და სახელმწიფო მოღვაწე ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი- ნიკიფორე ირბახი (1585-1658 წწ.); იმჟამინდელ საქართველოში ერთ-ერთი განათლებული ადამიანი. წლების განმავლობაში იერუსალიმის ივერთა მონასტერში მსახურობდა; XVII ს. 20-იან წლებში თეიმურაზ პირველის დავალებით დიპლომატიურ მისიას ასრულებდა ევროპის ქვეყნებში; იტალიაში მონაწილეობა მიიღო პირველი ქართული წიგნის გამოცემაში. XVII ს. 30-იანი წლებიდან ლევან II დადიანის კარზე იმყოფებოდა. 1657-1658 წლებში იყო დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) კათალიკოსი, თუმცა ქართული ეკლესია ამ სტატუსში მას ჯერ-ჯერობით არ აღიარებს. რუსი ელჩები ეპისკოპოს ნიკოლოზს შეხვდნენ ლევან მეორესთან მიღებაზე, ხობის მონასტერში და ზუგდიდში (კომენტ. 160)).

70. ნიკიტა ივანეს ძე ოდოევსკის შესახებ იხ.: В.Н.Татищев. История Российская, т. VII, с. 170; С.М.Соловьев. Сочинения, кн.V, с. 224-225.

71. მეფე მიხეილ თევდორეს ძე 1626 წელს მეორედ დაქორწინდა (პირველი მეუღლე მარია დოლგორუკოვა 1625 წელს, ქორწინებიდან 4 თვეში, გარდაიცვალა) ევდოკია ლუკიანეს ასულ სტრეშნევაზე (გარდაიცვალა 1645 წელს).

72. ალექსი მიხეილის ძე რომანოვი (1629-1676 წწ.) - რუსეთის მეფე 1645-1676 წლებში.

73. მეფე მიხეილ თევდორეს ძესა და ევდოკია ლუკიანეს ასულ სტრეშნევას ათი შვილი შეეძინათ: ირინა, პელაგია, ალექსი (მომავალი ხელმწიფე), ანა, მართა, ივანე, სოფია, ტატიანა, ევდოკია, ვასილი.

74. რადგანაც 5 მაისი დიდმოწამე ირინეს (კომენტ. 100) ხსოვნის დღეა, იგი მეფის ასულ ირინეს ანგელოზის დღედ ითვლებოდა.

75. ვასილ გრიგორის ძე შორინი - მსხვილი ვაჭარი, მის შესახებ იხ.: В.Н.Татищев. История Российская, т.VII, с. 170; С.М.Соловьев. Сочинения, кн.IV, с. 189, 463.

76. მეფისასულ ტატიანას დღესასწაული მოწამე ტატიანა რომაელის (III ს.) ხსენების დღეს- 12 (25) იანვარს ემთხვეოდა.

77. კოლომნა - ქალაქი მოსკოვის ოლქში, მდებარეობს მდინარეების მოსკოვისა და კალომენკას შესართავთან.

78. მურომი - ქალაქი ვლადიმირის ოლქში, მდებარეობს მდ. ოკას ქვემო წელზე მდ. ვოლგასთან მის მიერთებამდე.

79. ქალაქი ნიჟნი ნოვგოროდი.

80. კუზმოდემიანსკაია - ქალაქი მდ. ვოლგაზე რესპუბლიკა მარი ელ-ის შემადგენლობაში.

81. ტეტიუში - ქალაქი თათრეთის რესპუბლიკაში.

82. დიდი ყაბარდოს ერთ-ერთი მფლობელი ალეგუკა მურზა (კომენტ.3 და 34), ეტყობა აბაზეთში იმყოფებოდა (Путешествия русских послов XVI-XVII веков, с.420).

83. რუს ელჩებს, ალბათ, აცილებდა ალეგუკა მურზას მიერ აბაზეთიდან გამოგზავნილი უზდენი (ყაბარდოში ასე იწოდებოდა უმაღლესი ფენა, რომელიც ადიღეს ტომის უძველესი გვაროვნული უხუცესებისაგან მომდინარეობდა) ურანბა, ანუ „ურანკანელი თავადი ობეზისა“.

84. იოანე წინამორბედი - იგივე იოანე ნათლისმცემელია.

85. იოანე ღვთისმეტყველი -იგივე იოანე ევანგელისტი, ქრისტეს ერთ-ერთი მოწაფე და 12 მოციქულთაგანი.

86. ძლევაშემოსილი დიდმოწამე გიორგი - რომის იმპერიის ერთ-ერთი მხედართმთავარი. იმპერატორმა დიოკლიტიანემ (285-305 წწ.) ქრისტიანობისთვის აწამა, მაგრამ ღმრთის მადლმა უვნებელი დატოვა. იმავე იმპერატორის ბრძანებით 303 წელს მას თავი მოკვეთეს.

87. თევდორე სტრატილატი - ჰერაკლეას სტრატილატად მსახურობდა. როგორც ქრისტიანი, წამების შემდეგ, 319 წლის 3 თებერვალს რომის იმპერატორ ლიკინიუსის (307-324 წწ.) ბრძანებით სიკვდილით დასაჯეს.

88. დიმიტრი თესალონიკელი - როგორც ქრისტიანი, რომის იმპერატორ მაქსიმიანე გალერიუსის (305-311 წწ.) ბრძანებით, 306 წლის 26 ოქტომბერს მხეცურად მოკლეს საპყრობილეში.

89. იოსაფ I - მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი 1634-1641 წლებში. პატრიარქად არჩევამდე ფსკოვის არქიეპისკოპოსად მსახურობდა.

90. ლევენ II დადიანის მეუღლე ნესტან-დარეჯან (ელენე) ჭილაძე 1639 წლის 31 მაისს თუ 1 ივნისს გარდაიცვალა, რის გამოც მთელი სამთავრო გლოვობდა.

91. ელენე- ფლავიუს იულიუს ელენე ავგუსტოსი (248/57-327/8, 337 წლამდე); მოციქულთა სწორი, იმპერატორ წმ. კონსტანტინე დიდის დედა (იხ.კომენტ.101).

92. კოზმა და დამიანე, ღვიძლი ძმები, უვერცხლო მკურნალნი, ქრისტიანობისათვის რომში წამებულნი 284 წელს; ასეთი სახელებით

ცნობილი არიან III საუკუნის სხვა წმინდანებიც - ძმები არაბეთიდან და მცირე აზიიდან; აზარი და მისაილი (მათთან ერთად ანანიაც) - ბაბილონელი ყრმები (ძვ.წ.600წ.), რომლებსაც უძველესი ქრისტიანული ეკლესია წამებულებად მოიხსენიებდა; პანტელეიმონი (III-IV სს.) - დიდმოწამე მკურნალი, წამებით მოკლეს რომის იმპერატორ მაქსიმიანეს (285-305 წწ.) დროს; დანიელ მესვეტე (409-493 წწ.), 12 წლის ასაკიდან მონაზონი გახდა, თავის ცხოვრების 32 წელი მის მიერ აშენებულ სვეტზე გაატარა (461 წლიდან), მოახდინა რა მრავალი სასწაული; კვირიკე - უნდა იყოს IV საუკუნის იერუსალიმელი წმინდანი, რომელიც ქრისტიანობის დიდი მოამაგე იყო (ცნობილია II-IV საუკუნეების კიდევ ხუთი წმინდანი ასეთი სახელით); იოანე დამასკელი (VII-VIII საუკუნეები), ღმრთისმეტყველი, ჰიმნოგრაფი, ქრისტიანული ეკლესიის ერთ-ერთი მასწავლებელი; ბარბარე-დიდმოწამე, რომელიც საკუთარი მამის ხელით მოწამეობრივად აღესრულა დაახლოებით 306 წელს; ანასტასია - უნდა იყოს I საუკუნის მეორე ნახევრის მოწამე ქალი რომიდან, რომელიც იმპერატორ ნერონის დროს (54-68 წწ.) დასაჯეს; ანა - ყოვლადწმინდა ღმრთისმშობლის დედა; ანა - უნდა იყოს 304 წელს რომში ქრისტიანობისთვის დასჯილი მოწამე ან IV საუკუნეში დასჯილი გოთელი ანა (ამ სახელით კიდევ ორი მოწამეა ცნობილი); მარინე ანტიოქიელი - დიდმოწამე, სიკვდილით დაისაჯა ქრისტიანობისთვის იმპერატორ დიოკლიტიანეს (284-305 წწ.) მმართველობის დროს; თეკლა (I ს.) - პირველმოწამე, რომელიც ქრისტეს მადლმა უვნებელი დატოვა; მოციქულთასწორი, მოციქულ პავლეს კურთხევით ქადაგებდა ქრისტიანობას კერპთაყვანისმცემელთა შორის; ეკატერინე - დიდმოწამე ალექსანდრიიდან, საშინელი წამების შემდეგ 305 წელს სიკვდილით დასაჯეს; დიმიტრი თესალონიკელი - იხ. კომენტ. 88; ხარლამპი - ეპისკოპოსი საბერძნეთიდან, ქრისტიანობისთვის მოწამეობრივად აღესრულა 202 წელს; ანდრია კრეტელი - არქიეპისკოპოსი, წმინდა ხატებისთვის სიკვდილით დაისაჯა ბიზანტიის ხატმებრძოლი იმპერატორის კონსტანტინე V კოპრონიმის (741-775 წწ.) მმართველობის დროს; თევდორე ტირონი - სამხედრო პირი მსახურობდა პონტოს ამასიაში განლაგებულ პოლკში, ქრისტიანობისთვის სასტიკი წამების შემდეგ აღესრულა (დაწვეს) 306 წ. 17 თებერვალს; დიდმოწამე გიორგი - იხ. კომენტ. 86; გრიგოლ ღვთისმეტყველი (325/30 - 389/90 წწ.) - კონსტანტინოპოლის არქიეპისკოპოსი, ქრისტიანული ეკლესიის ერთ-ერთი მამა და მასაწავლებელი; მათე ევანგელისტი - იხ. კომენტ. 56; პროკოფი - წმ. მოწამე, დაიბადა იერუსალიმში (III ს.), სამხედრო ნაწილის უფროსი,

303 წელს ეწამა ქრისტიანობისთვის; ანტონ დიდი - დაიბადა ეგვიპტეში 251 წლის ახლოხანებში, ითვლება მონაზვნობის მამამთავრად, ცნობილია მრავალრიცხოვანი სასწაულებრივი განკურნებებით; კვიპრიანე - ეპისკოპოსი, რომელიც იმპერატორ კლავდიუს მეორის (268-270 წწ.) მმართველობის წლებში სიკვდილით დასაჯეს; ვლასი - მღვდელმოწამე, სევასტიის ეპისკოპოსი, რომელიც 316 წელს სიკვდილით დასაჯეს; იაკობ სპარსი - დიდმოწამე, ეკავა მაღალი თანამდებობები სპარსეთში, ქრისტიანული სარწმუნოებისთვის მოწამეობრივად აღესრულა 421 წელს; თევდორე სტრატილატი - იხ. კომენტ. 87; იოანე მოწყალე - ალექსანდრიის პატრიარქი 610 წლიდან, გარდაიცვალა 619/20 წლის 11 ნოემბერს; ბასილ კესარიელი (329/30-370 წწ.), კესარიის ეპისკოპოსი, ქრისტიანული ეკლესიის ერთ-ერთი მასწავლებელი; ნიკოლოზ სასწაულმოქმედი - ქრისტიანული ეკლესიის დიდი წმინდანი, ლიკიელი არქიეპისკოპოსი, ცხოვრობდა IV სასუკუნეში, სიცოცხლეში და გარდაცვალების შემდეგაც სახელი გაითქვა სასწაულებით, თაყვანს სცემენ როგორც ქრისტიანები, ისე ერეტიკოსები, წარმართები, ზოგიერთი მაჰმადიანიც კი; სპირიდონი - დაიბადა კუნძულ კვიპროსზე III ს. დასასრულს, კონსტანტინე დიდის (306-337 წწ.) დროს გახდა ქ.ტრიმიფუნტის ეპისკოპოსი; პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებაზე (325 წ.) დაგმო არიოზის ერესი, გამოირჩეოდა სამართლიანობითა და სიწმინდით, იყო სასწაულმოქმედი; მოციქული და ევენგელისტი მათე მეორედ სახელდება.

93. დოკუმენტში შეცდომაა - 7 ნოემბრის ნაცვლად უნდა იყოს 7 დეკემბერი.

94. დოკუმენტში შეცდომაა - 4 დეკემბრის ნაცვლად უნდა იყოს 4 იანვარი.

95. შავ ზღვაზე მოთარეშე რუსი კაზაკები სამეგრელოს მთავრისა და მოსახლეობის მხარდაჭერით სარგებლობდნენ, მაგრამ ზოგჯერ ისინი მტრული განზრახვით მოდიოდნენ, თავს ესხმოდნენ ხომალდების ნავმისადგომები. როგორ ი.ანთელავა ვარაუდობს, გაბრიელ გეგენავას ელჩობის ერთ-ერთი მიზანი კაზაკებთან ურთიერთობის დარეგულირებაა (ი.ანთელავა. ლევან II დადიანი, გვ.102), თუმცა საელჩოს მოსკოვურ მასალებში ამის თაობაზე არაფერია ნათქვამი.

96. დიდმოწამე ბარბარეს წმ. ნაწილები წალენჯიხის მაცხოვრის მონასტერშიც ინახებოდა. - კომენტ. 92.

97. მოქვის საკათედრო ტაძარი, აშენებულია დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) მეფის ლეონ მესამის (957-967 წწ.) მიერ,

შუასაუკუნეების ქართული კულტურის მნიშვნელოვანი ცენტრი. როგორც მ.სელეზნიოვი წერდა, მოქვის ტაძართან ძველად დადიანისა და ეპისკოპოსის ორი სასახლე იდგა, მაგრამ ისინი 1678 წელს ტაძართან ერთად აფხაზებმა გაანადგურეს (М.Селезнёв. Руководство к познанию Кавказа, кн.I. СПБ., 1847, с.31; кн. II. СПБ., 1847, с.162-163.).

98. მაქსიმე I მაჭუტაძე - დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) კათალიკოსი 1639-1657 წლებში.

99. სტეფანე - არქიადიაკონი, ქრისტიანული ეკლესიის პირველმოწამე, მიეკუთვნება ქრისტეს 70 მოწაფეთა (მოციქულთა) რიცხვს. სინაგოგებში ქადაგებისთვის ფანატიკოსებმა, რომელთა შორის იყო სავლეც (მომავალი მოციქული პავლე), წამებით მოკლეს.

100. ირინე - I საუკუნის დიდმოწამე მაკედონიიდან; ღირსმოწამე მელანია გარდაიცვალა კონსტანტინეპოლში 439 წელს (მისი ბებია, ასევე ღირსმოწამე მელანია 390 წელს აღესრულა); ღირსმოწამე ევგენია ცხოვრობდა ალექსანდრიაში, 262 წელს მოწამებრივად აღესრულა ქრისტიანული სარწმუნოებისათვის; ნიკიტა - გოთელი მეომარი, მოწამებრივად აღესრულა დაახლოებით 372 წელს; მერკური - დიდმოწამე, წარმოშობით სკვითი, მსახურობდა რომის არმიაში, სიკვდილით დაისაჯა ქრისტიანობისთვის იმპერატორ დეიკუსის (249-251 წწ.) მმართველობის დროს; პროვოსი და ანდრონიკე - აწამეს ქრისტესთვის 304 წელს; ლარიონ (ილარიონ) ღირსი - 291-371/2 წწ. დაიბადა პალესტინაში, სწავლობდა ალექსანდრიაში, სადაც ქრისტიანობას ეზიარა, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ უდაბნოში დამკვიდრდა და ხალხს მოძღვრავდა. სიცოცხლის ბოლო წლები კვიპროსში გაატარა; ვლასი - იხ. კომენტ. 92; სასწაულმოქმედი ნიკოლოზი (კომენტ. 92); ლაზარე - უფალმა მკვდრეთით აღდგინა, შემდეგ გახდა კვიპროსის ეპისკოპოსი, მისი წმ. ნაწილები ბიზანტიის იმპერატორმა ლეონ ბრძენმა (886-911 წწ.) 898 წელს კონსტანტინოპოლში გადაასვენა და ლაზარეს სახელობის ტაძარში მიუჩინა ადგილი; ამბროსი მედიოლანელი (340-397წწ.), 374 წლიდან მედიოლანის (იტალია) ეპისკოპოსი, სასწაულმოქმედი, მკურნალი, ზრუნავდა ობლებზე და გლახაკებზე, იყო პრინციპული და მკაცრი თვით იმპერატორის მიმართ, ეპიტემია დაადო იმპერატორ გრაციანეს (367-383 წწ.); ლუკა ევანგელისტი - იხ. კომენტ. 56; ამბერკი (II ს.) - რომის ერთ-ერთი პროვინციის ეპისკოპოსი, კერპთაყვანისმცემელთა შორის მისიონერული მოღვაწეობისთვის მოციქულთასწორს უწოდებენ.

101. რომის იმპერატორი კონსტანტინე I დიდი (306-337 წწ.), ქრის-

ტიანული ეკლესიის წმინდანი; ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა, 325 წელს ნიკეაში მოიწვია პირველი მსოფლიო საეკლესიო კრება (იხ. კომენტ. 61).

102.რუსი ელჩების მუხლობრივი აღწერილობიდან არ ჩანს, რომ ლევან მეორემ აღნიშნული სიწმინდეები მათ აჩვენა. ამავე დროს 1640 წლის 15 მაისის სიგელში მეფე მიხეილ თევდორეს ძისადმი ლევან II წერს, რომ რუს ელჩებს უჩვენეს „ქრისტეს სისხლი, ქრისტეს სამსჭვალი და თოკი, რომლითაც შეკრული იყო ქრისტე“....

103.ლევან II-ის მამა მანუჩარ I მართლაც ნადირობისას მიღებული ტრავმისგან 1611 წელს გარდაიცვალა.

104.ვახტანგ II გურიელი, გურიის მთავარი 1639-1640 წლებში, ლევან მეორის მზახალი.

105.თურქებმა 1639 წელს აიღეს ბაღდადი, რომელსაც 1623 წლიდან ირანი ფლობდა.

106.ფედოტ ელჩინი ცდება. 1640 წლის ბაიაობა (ბზობა) 29 მარტზე მოდიოდა, რასაც პ.ზახარიევის ანგარიშიც და თანდართული კალენდარიც ადასტურებენ.

107.თურქეთის სულთანი იბრაიმი (1640-1648 წწ.).

108.კიევის რუსეთი, როგორც ითქვა, 988 წელს დიდი მთავრის ვლადიმერის (980-1085 წწ.) მმართველობის პერიოდში მოინათლა.

109.მოციქულთასწორი ნინო კაპადოკიელი (IVს), საქართველოს განმანათლებელი.

110.მიტროპოლიტ მიტროფანეს, ალბათ, მხედველობაში აქვს 1633 წელს არქანჯელო ლამბერტის ხელმღვანელობით სამეგრელოში კათოლიკე მისიონერების ჩამოსვლის ფაქტი; მათი შემადგენლობა პერიოდულად იცვლებოდა და ისინი XVIII საუკუნის დასაწყისამდე აგრძელებდნენ საქმიანობას. კათოლიკე მისიონერების მოღვაწეობას სამეგრელოში მათთვის სასურველი შედეგი არ მოჰყოლია.

111.ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი (ნიკიფორე ირბახი). - იხ. კომენტ. 70, 160.

112.IV საუკუნეში ქრისტიანობის დიდი ქომაგის კვირიკეს წმ. ნაწილები წალენჯიხის მონასტერშიც ინახებოდა. - იხ. კომენტ. 92.

113.დიდმოწამე მარინეს წმ. ნაწილები დაცული იყო წალენჯიხის მონასტერშიც. - იხ. კომენტ. 92.

114.„მეფე ლევანმა გამოგვისტუმრა“ არ ნიშნავს, რომ ლევან II დადიანმა რუსი ელჩები მათი გამგზავრების წინ უშუალოდ მიიღო (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.IV, გვ.337). წინადღით სამე-

გრელოს მთავრის წარმომადგენლების, თუ ასე შეიძლება ითქვას, არადიპლომატიური საუბარი რუს ელჩებთან ასეთი მიღების შესაძლებლობას გამორიცხავს. ელჩები წუხდნენ იმის გამო, რომ მათ ლევან II-ის სიგელი მასთან (ლევანთან) პირისპირ შეხვედრის გარეშე ნაიღეს (იხ. აქვე, გვ.309 სქოლიო 87)

115.ლევან II დადიანმა 1634 წელს დაატყვევა იმერეთის მეფე გიორგი III (1609-1639 წწ.); მისი მემკვიდრე იყო ალექსანდრე III (1639-1660 წწ.). ტყვეობიდან მამის გათავისუფლების სანაცვლოდ 1635 წელს ლევან მეორეს მან მოვაჭრე სომხები და ებრაელები, აგრეთვე ხელოსნები გადასცა, რომლებიც რუხში დაასახლეს.

116.თავის მუხლობრივ აღწერილობაში ფედოტ ელჩინი (პ.ზახარიევისგან განსხვავებით) დიდ ყურადღებას უთმობს ლევან მეორესა და ალეგუკა მურზას შორის დინასტიური კავშირების დამყარებას, რაც კარგად ჩანს მისი 1640 წლის 1 მარტის, 1 და 19 მაისის ჩანაწერებიდან.

117.ლ.შეპელევას მიერ სოტყვა „омет" განმარტებულია როგორც „მხრებზე მოსასხამი ტანსაცმელი" (Путешествия русских послов XVI-XVII веков, с.426, 445). სინამდვილეში აღნიშნულ სიტყვას რამდენიმე მნიშვნელობა აქვს (იხ.თანდართული ლექსიკონი); ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი არშიას ნიშნავს (Словарь русского языка XI-XVII веков. Вып. XII. М., 1987, с.366).

118.ანზორები, ისევე როგორც ტამბიები და კუდენეტები, ყაბარდოში ყველაზე გავლენიანი უზდენები იყვნენ.

119.იხ. წინამდებარე კრებული, გვ. 309

120.ფილიპე - ქრისტეს მოციქულთაგან ერთ-ერთი, რომელიც იყო ბეთსაიდელი, „ანდრიასა და პეტრეს თანამოქალაქე" (იოანე, 1, 45). მისი ხსენების დღეა 14 ნოემბერი.

121.წალენჯიხის მაცხოვრის მონასტრის აღწერისას დასახელებული წმინდანების შესახებ იხ. კომენტარები 61, 84, 87, 92, 100, 101. წმინდანებს შორის პირველად სახელდება მოციქული არქიპო, რომელიც იყო მოციქულ პეტრეს თანამოღვაწე. ეკლესია მათ პატივს მიაგებს, როგორც წარმართთა მიერ წამებულებს.

122.იმერეთის მეფე გიორგი III (1604-1639 წწ.). იხ.კომენტ. 115.

123.უნდა იგულისხმებოდეს 1629 წელს ლევან II დადიანის მიერ თურქებისთვის (ამ უკანასკნელთა მკაცრი მოთხოვნით) სამეგრელოს შეფარებული ოთხასი კაზაკიდან 48 კაცის გადაცემა (ს. როდონაია. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 41-42). ამ ფაქტის შესახებ ლევან II დადიანი დრანდელი ეპისკოპოსის თანდასწრებით

ესაუბრა ჯოვანი ლუკას, რომელიც 1630 წლის მაის-ივნისში აფხაზეთ-სამეგრელოში იმყოფებოდა და დაახლოებით იმავე წლის 8 ივნისს სამეგრელის მთავარს შეხვდა. „მთავრის სანახავად წავედით. მიგვიღო, ვისაუბრეთ, - წერდა ჯოვანი ლუკა. - ამ საუბრის დროს მთავარმა მკითხა: რა უყოს იმ 400 კაზაკს, რომლებიც თურქეთის კატარღას გამოექცნენ, მიატოვეს რა მათი ნავები და მის სახელმწიფოში მოვიდნენ. აქციოს ისინი ტყვეებად და გაყიდოს მისი ქვეყნის ჩვეულების მიხედვით, თუ დასაჯოს ისინი, რადგან წარსულში მათ არაერთხელ გაუძარცვიათ მისი საუნჯე. მე ვუთხარი: რამდენადაც ისინი იგივე სარწმუნოებისა არიან, როგორც თვითონ, მას უფლება აქვს ისინი დასაჯოს (და არა გაყიდოს). მაგრამ, თქვა მთავარმა, გალერების კაპიტნებმა მოითხოვეს ისინი მათ დავუბრუნოო.

ამ მთავარს ბევრი რამისთვის სჭირდება თურქები. ძირითადად იგი თურქეთიდან ღებულობს მარილს, რკინას და მისთვის საჭირო საქონელს...

მთავარმა თურქებს მისცა 48 კაზაკი და მათ უთხრა: სიმართლე რომ ითქვას, მას არ შეუძლია გაყიდოს თავისი ვასალი მონები ტყვეებივით, რადგან მათი შთამომავლობა მის ყმებად ითვლებოდნენ...“ (ილია ტაბაღუა. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XX საუკუნეების პირველი მეოთხედი). ნ.III. (1628-1633 წწ.). თბ., 1987, გვ. 164-165). ეტყობა, რუს ელჩებს ამ მოვლენების შესახებ უყვება მათი უშუალო მონაწილე ვასილ ბელორუსი).

124.დრანდის საკათედრო ტაძარი, აშენებულია VIII საუკუნეში და ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავ ძეგლს წარმოადგენს; აფსუა-აფხაზთა შემოსევის გამო, XVIII ს. 70-იან წლებში ფუნქციონირება შეწყვიტა, როგორც სამრევლო ეკლესია განაახლა და 1871 წლის 21 ოქტომბერს წმინდა მღვდელმთავარმა გაბრიელმა (ქიქოძე) აკურთხა. 1881 წლის 9 მაისს რუსეთის ეკლესიის უწმინდესმა სინოდმა, ათონელი რუსი ბერების შუამდგომლობით, დრანდის მონასტრის დაფუძნების გადაწყვეტილება მიღო, რომელიც იმპერატორმა ალექსანდრე მესამემ 1883 წლის 9 მაისს დაამტკიცა. 1886 წლის 27 სექტემბერს დრანდის მონასტერი აფხაზეთში უკანასკნელად ჩასულმა წმინდა მღვდელმოწამე გაბრიელმა (ქიქოძე) აკურთხა. 1891 წლიდან დრანდის მონასტრის წინამძღვრის თანამდებობას სოხუმის ეპისკოპოსები ითავსებდნენ. საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ მან ფუნქციონირება შეწყვიტა (წმინდა მღვდელმთავარი გაბრიელი (ქიქოძე) და აფხაზეთი. კრებული შეადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ჯემალ გამახარიამ. თბ.,

2007, გვ. 142, 504).

125.საუბარია ილორის წმ. გიორგის სახელგანთქმული ტაძრის (XI ს.) შესახებ. დაარსებიდან დღემდე მას ფუნქციონირება არ შეუწყვეტია.

126.ბედიის საკათედრო ტაძარი, გაერთიანებული საქართველოს მეფემ ბაგრატ მესამემ (975-1014 წწ.) 999 წელს ააშენა; ქართული კულტურის უმნიშვნელოვანესი ცენტრი, რომელმაც ფუნქციონირება XVIII ს. ბოლოს შეწყვიტა.

127.პავლე ზახარიევის მუხლობრივ აღწერილობაში (1640 წლის 23 თებერვლის ჩანაწერი) მოთხრობილია იმის შესახებ, თუ როგორ მოხვდა აღნიშნული სიწმინდეები ლევან II დადიანის ხელში (კომენტ. 129).

128.ცაიშის სამონასტრო კომპლექსი და დღემდე მოქმედი ტაძარი უფრო ძველი ტაძრის ადგილზე აშენებულია XIII-XIV საუკუნეების მიჯნაზე.

129.1590 წელს ქართლის მეფემ სიმონ პირველმა (1556-1569, 1578-1599 წწ.) იმერეთის მეფე როსტომ კონსტანტინეს ძე (1590-1605 წწ.) დაამარცხა და სამეფოს მიერთება გადაწყვიტა. იმერეთის მეფემ მანუჩარ დადიანის (1590-1611 წწ.) დახმარებით სოფელ ოფშქვითთან (წყალტუბოს რ-ნი) გამართულ ბრძოლაში სიმონ I დაამარცხა. მანუჩარ დადიანს სწორედ მაშინ ჩაუვარდა ხელში ის სიწმინდეები, რომლებიც ბედიის მონასტერში ინახებოდა.

130.ქართლის მეფე როსტომი. იხ. კომენტ.11.

131.თამუნია (ცენატურია, ტანურია, დარუნდია) - როგორც ჩანს, ასე ეძახდნენ დარეჯან შარვაშიძეს სამეგრელოში. იხ. კომენტ. 13.

132.ლევან II დადიანის გარდაცვალების (1657 წლის მარტი) შემდეგ მთავრის ტახტი მისმა ძმისშვილმა ლიპარიტმა დაიკავა, რომლის წააღმდეგ გიორგი ლიპარტიანის შვილმა ვამეყმა (ლევან II-ს ბიძაშვილი და შვილობილი) გაილაშქრა. ამ ვითარებით ისარგებლა იმერეთის მეფემ ალექსანდრე მესამემ (1639-1660 წწ.). იგი თავისი ჯარებით ოდიშში შეიჭრა, განდევნა ლიპარიტი და ტახტზე ვამეყი (1658-1662 წწ.) აიყვანა.

133.ჭყონდიდის კათედრა დაარსებულია X საუკუნეში დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) მეფის გიორგი მეორის (922-957 წწ.) მიერ; საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე სახელგანთქმული საეკლესიო ცენტრი.

134.იერუსალიმის პატრიარქები საკმაოდ ხშირად ჩამოდიოდნენ საქართველოში მოწყალების შესაგროვებლად. მათ შორის იყო თეოფანეც. საქართველოში მისი ყოფნის შესახებ გარკვეულ ცნობებს შეიცავს კახეთში თევდორე ვოლკონსკის (კომენტ. 14) ელჩობის მასალები

(1637-1639 წწ.). ელჩთან ერთად მოსკოვიდან ჩამოსულმა მღვდლებმა შეიტყვეს, რომ პატრიარქი თეოფანე საქართველოში 20 წლის წინ, ანუ XVII ს. 10-იან წლებში ჩამოსულა (Материалы по истории грузино-русских взаимоотношений, с.66,97, 371, 393, 405). 1619 წელს ის უკვე მოსკოვში იმყოფებოდა, სადაც იმავე წელს პოლონელთა ტყვეობიდან დახსნილი მიტროპოლიტი ფილარეტი მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქად აკურთხა. იხ. აგრეთვე კომენტ. 159).

135.კონსტანტინოპოლის პატრიარქი კირილე ლუკარისი (1621-1638 წწ.). მისი მოღვაწეობა მჭიდროდაა დაკავშირებული რუსეთის ეკლესიის ისტორიასთან. დონის კაზაკების მიერ 1637 წელს აზოვის აღების შემდეგ თურქებმა პატრიარქი კირილე ერთმორწმუნე კაზაკებთან კავშირში დაადანაშაულეს და სულთან მურად IV -ის განკარგულებით დაახრჩვეს, მისი ცხედარი კი ზღვაში გადააგდეს.

136.იოანე წინამორბედის სახელზე იმპერატორ ლეონ I-ის (457-474 წწ.) კარისკაცის სტუდიოსის მიერ კონსტანტინოპოლში დაფუძნებული მონასტერი; არსებობდა კონსტანტინოპოლის დაცემამდე (1453 წ.) და ცნობილი იყო მთელს ქრისტიანულ სამყაროში. მონასტრის ტიპიკონი, რომელიც IX საუკუნის დასაწყისში შემუშავდა, გარკვეული ცვლილებებითა და დამატებებით მრავალ ქვეყანაში დაინერგა. მასში მეტი ყურადღება მონაზვნური ცხოვრების მოწყობას ეთმობოდა, ვიდრე ღმრთისმსახურებას, რომელიც მოკლე და ნაკლებად საზეიმო უნდა ყოფილიყო.

137.ჰეროდე (ძვ.წ. 62 წელს - ახ.წ. 4 წელი) - იუდეველთა მეფე, რომელსაც მომავალი „იუდეველთა მეფის“ (ქრისტეს) მოკვლის მიზნით, ბეთლემში 14 ათასი ბავშვის მკვლელობა მიეწერება. ჰეროდეს ერთ-ერთი შვილი ანტიფა იოანე ნათლისმცემლის მკვლელია.

138.კიევის დიდი მთავარი სვიატოსლავ იგორის ძე (945-972 წწ.).

139.კიევის დიდი მთავარი იგორი (912-945 წწ.) - რიურიკების დინასტიის ფუძემდებელი.

140.რიურიკი და მისი ძმები (სინეგუსი და ტრუვორი) იყვნენ ვარიაგთა რაზმების მეთაურები, რომლებიც ნოვგოროდელებმა შინა ომების აღსაკვეთად „ზღვის იქიდან მოიწვიეს“. ძმების გარდაცვალების შემდეგ რიურიკი ნოვგოროდის ერთპიროვნული მმართველი გახდა. რუსეთს მისი შთამომავლები (რიურიკოვიჩები) მართავდნენ.

141.რიურიკოვიჩების და რომანოვების (რომლებიც რუსეთს 1613 წლიდან მართავდნენ) რომის კეისრებთან (მათ შორის ავგუსტოს გაიუს იულიუს კეისარ ოქტავიანესთან - ძვ.წ. 43 - ახ.წ. 14 წწ.) ნათესაური

კავშირის შესახებ ცნობები არ არსებობს. პავლე ზახარიევი ცდილობს რუსეთის სამეფო დინასტიების მნიშვნელობის „ამაღლებას“და ამით „მესამე რომის“ თეორიის „გამაგრებას“.

142. ბიზანტიურ-რუსული დასაბამის (ძვ.წ. 5508წ.) მიხედვით, მეშვიდე ათასწლეულის დასასრული 1492 წელს შეესაბამება (7000 - 5508=1492). Aამიტომ სწორია, რომ რუსეთი 1492 წლის ბოლომდე 504 წლით ადრე, ანუ 988 (1492-504=988) წელს მოინათლა. 988 წლიდან 1640 წლამდეც ნამდვილად 652 წელი იყო გასული. ზემოხსენებული ბიზანტიურ-რუსული დასაბამის თანახმად, 1640 წელი ადამიდან მართლაც 7148 (7148-5508=1640) წელს შეესაბამებოდა. Aამ საკითხებზე მღვდელმა პავლემ 1640 წლის 3 მაისს ხობის მონასტერშიც ისაუბრა.

143.ქართულ სამღვდელოებაში ცოცხლობდა ხსოვნა კონსტანტინე დიდის მმართველობის პერიოდში (306-337 წწ.) საქართველოში სასულიერო პირებისა და ქრისტიანული სიწმინდეების გამოგზავნის შესახებ. თუმცა წმინდა ნაწილების უდიდესი ნაწილი საქართველოში, მათ შორის სამეგრელოშიც, კონსტანტინოპოლის დაცემის (1453 წ.) შემდეგ თურქულ ძალადობას გამოქცეულმა სასულიერო პირებმა ჩამოიტანეს (იხ.აგრეთვე: ჯემალ გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა. თბ., 2005, გვ. 223-226).

144.ცოლქმარი ტერენტი და ლეონილა შვიდ შვილთან ერთად ქრისტიანული სარწმუნოებისთვის დასაჯეს რომის იმპერატორ დეკიუსის (249-251 წწ.) მმართველობის ჟამს. შესაბამისად, იმ ნეომილას საქართველოს განმანათლებელ წმინდა ნინო (ნეონილა) კაპადოკიელთან კავშირი არა აქვს.

145.მოციქულთასწორი წმ. ნინო 335-340 წლებს შორის პერიოდში გარდაიცვალა, დაკრძალულია ს. ბოდბეში (სიღნაღის რაიონი).

146.იგულისხმება მიხეილ VIII პალეოლოგი - ნიკეის იმპერატორი 1252- 1261 წლებში და ბიზანტიის იმპერატორი 1261-1282 წლებში. 1274 წელს მან რომის პაპს გრიგოლ X-ს (1271-127 წწ.) ეკლესიების გაერთიანება შესთავაზა. იმპერატორის წინადადება სიამოვნებით იქნა მიღებული, მაგრამ გაერთიანების წინააღმდეგ მართლმადიდებელმა სამღვდელოებამ გაილაშქრა. მიხეილ VIII პალეოლოგი უნიის მოწინააღმდეგეებს გაუსწორდა. მისმა მემკვიდრემ ანდრონიკ II პალეოლოგმა (1282-1328 წწ.) მამის შეცდომა გამოასწორა. როგორც ცნობილია, საბოლოო განხეთქილება ქრისტიანულ ეკლესიაში 1054 წელს მოხდა, როდესაც ბიზანტიის იმპერატორი იყო კონსტანტინე მონო-

მახი (1042-1055 წწ.), კონსტანტინოპოლის პატრიარქი - მიხეილ კერულარიუსი (1043 - 1058 წწ.), ხოლო რომის პაპი - ლეო IX (1049-1054 წწ.). რომისა და ბიზანტიის ეკლესიებს შორის დაპირისპირებაში რუსეთი იმთავითვე იქნა ჩართული. პაპმა გრიგოლ VII-მ (1073-1085 წწ.) ღიად გაანაცხადა პრეტენზიები რუსეთზე, რის შემდეგაც რომის ეკლესიის ექსპანსიონისტურ გეგმებში „რუსულმა მიმართულებამ" მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. XIII საუკუნიდან ეს მიმართულება განსაკუთრებით გააქტიურდა, რაც ჯვაროსნების მიერ 1204 წელს კონსტანტინოპოლის აღებასთან იყო დაკავშირებული. კათოლიკური აგრესიის წინააღმდეგ მაშინ დაწყებული ბრძოლა მხოლოდ 1410 წელს ტევტონთა ორდენის განადგურებით (გრიუნვალდის ბრძოლა) დასრულდა. რუსული მართლმადიდებლობისთვის დიდ საფრთხეს წარმოადგენდა ფლორენციის უნია (1439 წ.). ფლორენციის კრებას რუსეთიდან ესწრებოდა 200 დელეგატი სრულიად რუსეთის მიტროპოლიტის ისიდორეს ხელმძღვანელობით. უნიის მხარდამჭერი მიტროპოლიტი ჯერ კიევიდან, შემდეგ კი მოსკოვიდანაც განდევნეს. მოსკოვის დიდი მთავრის ვასილ II -ის (1425-1462 წწ.) მტკიცე პოზიციამ გადაარჩინა მაშინ მართლმადიდებლობა რუსეთში. მიუხედავად ამისა, ქვეყნის სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ რეგიონებში კათოლიკები საკმაოდ ძლიერ პოზიციას ინარჩუნებდნენ, რაზეც 1597 წლის ბრესტის უნიაც მეტყველებს (Б.Н.Рам. Папство и Русь в X-XV веках. М.,-Л., 1959). მღვდელი პავლე ზახარიევი და მიტროპოლიტი მიტროფანე ერთმანეთს უყვებოდნენ მათთვის ბუნდოვანი ისტორიული მოვლენების შესახებ.

147.მიხეილ VIII პალეოლოგის მმართველობის წლებში (1261-1282 წწ.) რომის პაპის ტახტზე რვა ადამიანი შეიცვალა; მათ შორის იყვნენ ურბან IV (1261-1264 წწ.), კლიმენტი IV (1265-1268 წწ.), გრიგოლ X (1271-1276 წწ.), ნიკოლოზ III (1277-1280 წწ.), მარტინ IV (1281-1285 წწ.).

148.გაუგებარია, რომელ მეფესა და პატრიარქს გულისხმობს პავლე ზახარიევი: მიხეილ VIII პალეოლოგსა და მის თანამედროვე კონსტანტინოპოლის პატრიარქებს (არსენი, იოსები და იოანე ბეკა) თუ რუსეთის (ვლადიმირის) იმჟამინდელ დიდ მთავრებს ალექსანდრე ნეველიდან (1252-1263 წწ.) დაწყებული დიმიტრი ალექსანდრეს ძეთი (1276-1281, 1283—1294 წწ.) დამთავრებული? ალბათ, არც ერთ მათგანს. ეტყობა, რუსი ელჩი ყვება ყურმოკრული ლეგენდის და არა კონკრეტული ისტორიული ფაქტის შესახებ; ამასთანავე ეშლება ქრონოლოგია, ისტორიული პიროვნებები, რაზეც მიუთითებენ კომენტარები 146, 147, 149, 150.

149.რომის პაპი ფორმოზი (891-896 წწ.). მას ადანაშაულებდნენ არა ერესში (ერეტიკოსი კარულოსი ჩვენთვის უცნობია, შეცდომით, ალბათ, კონსტანტინოპოლის პატრიარქი მიხეილ კერულარიუსი იგულისხმება), არამედ პაპის ტახტის უკანონოდ დაკავებაში. ამისათვის სიკვდილის შემდეგ იგი პაპმა სტეფანე VI-მ (896-897 წწ.) გაასამართლა, მაგრამ ამ უკანასკნელის მემკვიდრემ იოანე IX-მ (898-900 წწ.) ფორმოზს ყველა ბრალდება მოუხსნა (М.М. Шейнман. Папство. М., 1961, с.17; К.А.Иванов. Средневековое папство и его представители. Петроград, 1915, с.112).

150.სავარაუდოდ, საუბარია კიევისა და სრულიად რუსეთის მიტროპოლიტ ნიკიფორეს (1104-1121 წწ.) შესახებ, თუმცა ის არ იყო არც მიხეილ VIII პალეოლოგის (1261-1282 წწ.) და არც რომის პაპის ფორმოზის (891-896 წწ.) თანამედროვე. მიტროპოლიტ ნიკიფორეს ეკუთვნის „ეპისტოლე ლათინთა შესახებ“, რომელიც მან კიევის დიდ მთავარს ვლადიმერ მონომახს (1113-1125 წწ.) გაუგზავნა. მასში საუბარი იყო ლათინებთან ურთიერთობის, აგრეთვე მათთან ერთად ჭამის, სმის დაუშვებლობაზე. უფრო ადრე კათოლიკების წინააღმდეგ ილაშქრებდა კიევ-პეჩორის ლავრის იღუმენი თეოდოსი, რომელმაც დანერა „სიტყვა ქრისტიანული და ლათინური სარწმუნოების შესახებ“. რომის ეკლესიას ებრძოდა აგრეთვე კიევის მიტროპოლიტი გიორგი (1062-1079 წწ.), რომელიც ყურადღებას აქცევდა საკითხის როგორც საეკლესიო-საკულტო, ისე პოლიტიკურ მხარეს (Б.Я.Рам. Папство и Русь X-XV вв., с.60-62, 76).

151.იგულისხმება ხატმებრძოლობა, რომელიც ბიზანტიის იმპერატორ ლეონ III ისავრიელის (717-741 წწ.) დროს წარმოიშვა და 843 წელს იმპერატორ მიხეილ მესამის (842-867 წწ.) დროს დასრულდა.

152.შემდგომში წმინდანად შერაცხული იმ ქართველი ბერის სახელი იყო გაბრიელი.

153.საუბარია ქრისტიანული სამყაროს უდიდესი სიწმინდის - ივერიის ყოვლადწმინდა ღმრთისმშობლის ხატის შესახებ. ვრცლად ამის თაობაზე იხ.: Православная Энциклопедия, т.XXI, с.8-22

154.იგულისხმება რუსული ეკლესიის წმინდანი ანტონ რომაელი (გარდაიცვალა 1147 წელს), ნოვგოროდის მონასტრის დამფუძნებელი და მისი პირველი წინამძღვარი. ლეგენდის მიხედვით, ქვაზე მცურავი ანტონი რომიდან ნოვგოროდში 1106 წელს ჩამოსულა. ის იყო მკურნალი როგორც სიცოცხლეში, ისე გარდაცვალების შემდეგაც; კანონიზებულია 1597 წლის 5 აგვისტოს. 1927 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ წმ.

ანტონ რომაელის საფლავი გახსნა, რის შემდეგაც მისი წმ. ნაწილების ადგილმდებარეობა უცნობია.

155.მოსკოვის დიდი მთავარი დიმიტრი ივანეს ძე დონელი (1362-1369 წწ.).

156.წმინდა ალექსი (1304-1378 წწ.), სრულიად რუსეთის მიტროპოლიტი, სახელმწიფო მოღვაწე და დიპლომატი; ხსენების დღე - 12 თებერვალი.

157.წმ. კვირიკეს წმინდა ნაწილები დაცული იყო წალენჯიხის მაცხოვრის მონასტერში. იხ.კომენტ. 92.

158.ეპისკოპოსმა ანდრიამ დრანდის მონასტერში ფედოტ ელჩინს სწორედ მოწამე ბარბარეს ხელები უჩვენა; ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ შეცდა არა ეპისკოპოსი, არამედ პაველე ზახარიევი. ეპისკოპოს ანდრიაზე მითითებით, მან შეცდომით ჩაიწერა, რომ 1640 წლის 6 თებერვალს დრანდაში ნახა „ხელის ძვლები მოწამე მარინესი“.

159.1619-1633 წლებში მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი ფილარეტი (თევდორე ნიკიტას ძე რომანოვი) - მეფის მიხეილ თევდორის ძის (1613-1645 წწ.) მამა. იხ.აგრეთვე კომენტ. 134.

160.ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი (ნიკიფორე ირბახი) მეფე თეიმურაზ I-ის დავალებით 1626-1628 წლებში დიპლომატიური მისიით ევროპაში იმყოფებოდა (კომენტ. 70). საქართველოში 1629 წლის ივლისში დაბრუნდა (გ.აკოფაშვილი. ქართველი დიპლომატი ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი - ნიკიფორე ირბახი (XVI ს.). თბ., 1977). უნდა ვივარაუდოთ, რომ მოსკოვში ის 1629 წლის პირველ ნახევარში ჩამოვიდა.

კომენტარების შედგენისას, თვით კომენტარებში მითითებული წყაროებისა და ლიტერატურის გარდა, გამოყენებულია შესაბამისი ტომები ისეთი სამეცნიერო-საცნობარო გამოცემებისა, როგორიცაა „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“, „წმინდანთა ცხოვრება“, „Православная Энциклопедия“, „Энциклопедический Словарь Ф.Брокгауза и И.А.Ефрона“, „Энциклопедичесский Словарь Товарищества братьев А. и И.Гранат и К°“, „Большая Советская Энциклопедия“, „Советская Историческая Энциклопедия“, „Большая Российская Энциклопедия“, აგრეთვე „Полный Православный Богословский Словарь“, „Энциклопедический Словарь“ (М., 2011), К.Рыжков. Все монархи мира. М., 1998; Е.В.Пчелов, В.Т.Тумаков. Правители России от Юрия Долгорукова до наших дней. М., 1997, და ა.შ.

Комментарии

1. Город-крепость Терек основан русскими в 1588 году, как плацдарм для наступления на Кавказ; ныне-районный центр в Кабардино-Балкарии.

2. Михаил Федорович Романов (1596-1645гг.), первый царь России (1613-1645гг.) из Романовской династии.

3. В источнике названы исторические личности, Терские воеводы и князья Василий Григорьевич Ромодановский, Иван Никифорович Бестужев и дьяк Калистрат Жохов. Позже В.Г. Ромодановский числился среди друзей царя Алексея Михаиловича (В.Н. Татищев. История Росийская, т. VII. Л., 1968, с. 170; Материалы по истории грузино-русских взаимоотношений, с. 142, 217-218).

4. Алегука мурза - один из влиятельных кабардинских владельцев, сват Левана II Дадиани. См. еще коммент. 33.

5. Один из крупных грузинских феодалов Леван II Дадиани - владетель Мегрельского (Одишского) княжества в 1611-1657 годах, внук Кахетинского царя Александра II (1574-1605гг.), гегемон всей Западной Грузии. Русские послы по-разному именуют его - Левонтей, Леонтей, Леон, Лев.

6. Посол Кахетинского царя Теймураза I в Москве в 1635-1637 и 1639-1641 годах, греческий митрополит. Пользуясь незнанием (или плохим знанием) греческого языка царем и его окружением, Никифор (Микифор) составлял письма на имя русского государя, унижающие грузинскую сторону и возвеличивающие его самого (см.: Переписка на иностранных языках грузинских царей с Российскими государями. М. Броссе. СПБ., 1861, с. 3-21, и др.). Дипломатическую деятельность Никифора отрицательно оценивают выдающийся историк Иванэ Джавахишвили и другие известные ученые (И. Джавахишвили. История грузинского народа, кн. IV. Тб., 1967, с. 385-394. - На груз. яз.; Н. Т. Накашидзе. Грузино-русские политические отношения, с. 108-109, 123-124; Самегрело. Под ред. И. Антелава. Тбилиси - Зугдиди, 1999, с. 196. - На груз. яз.). Тенденциозными являются и публикуемые показания митрополита Никифора о Дадианской земле, ее владетеле (И. Антелава. Леван II Дадиани. Тб., 1990, с. 98. - На груз. яз., и др.). Деятельность и личность митрополита Никифора положительно оценивает Э.Мамиствалишвили (Зураб Папаскири-60. Тб.,2010-2013,с.220-242.- На груз.яз.).

7. Имеется в виду мегрельское наречие грузинского языка.

8. Имеется в виду Восточная Грузия.

9. Теймураз I - царь Кахетии в 1606-1648 годах, царь Картл-Кахетии в 1625-1632 годах; талантливый поэт; 1640 года - в изгнании, скончался в Иранской тюрьме в 1663 году.

10. Имеется в виду Свимон Гуриели (владетель Гурийского княжества)- муж сестры (Мариама) Левана II Дадиани. Последний действительно ослепил своего зятья в первой половине 20-х годов XVII века за участие в заговоре против владетеля Мегрелии, отстранил от власти и развел с женой.

11. Леван II Дадиани свою сестру Мариам выдал замуж не за Кизылбашского шаха, а за царя Картли в 1633-1658 годах Ростома (в 1648-1656 годах являлся царем Картл-Кахети). Он был ставленником Ирана, исповедовал ислам.

12. Имеется в виду дядя (брат отца) Левана II - Георгий (Юрий) Липартиани, являвшийся регентом Мегрелии в период малолетства Левана (в 1611-1616 годах). Приблизительно в 1622г. Леван II действительно взял в жены молодую тетку Нестан-Дареджан (Елена) Чиладзе. Вскорее после этого Георгий Липартиани скончался. См. коммент. 90.

13. В начале 20-х годов XVII века Леван II Дадиани свою первую жену Дареджан - дочь одного из абхазских князей Сетемана Шервашидзе - обвинил в супружеской неверности и жестоко ее наказал.

14. Федор Волконский в качестве посла был направлен в Кахетию в июне 1637 года (Материалы по истории грузино-русских взаимоотношений, с. 227). Русский посол приехал в Кахетию совместно с грузинским послом Никифором. Федор Волконский приезжал в Кахетию и в 1649 году.

15. Светлое Воскресенье в том году приходилось на 9 апреля.

16. Крымским ханством в XV-XVIII веках правила династия Гиреев; Мурза (Мирза) - так назывались у тюркских народов (татар, ногайцев и др.) главы отдельных орд и родов. См. еще коммент. 36, 40.

17. Темников - ныне город в Мордовии;

Касимов - город в Рязанской области на р. Оке. Название города происходит от имени татарского (поселились там в XIV в.) царевича Касима.

18. См. об этом подробно публикуемые материалы, главы 1-ая и 2-ая, а так же статейный список Ф. Елчина за 18 мая 1640г. С 1613

г., когда русские утвердились в устье р. Терека, через Терский город осуществлялись политические связи России с Кабардой, Дагестаном, Грузией и т. д.

19. В 1614-1639 годах каталикос Абхазий (Западной Грузии) Малахия II Гуриели, сын Гурийского владетеля Георгия II (1566-1600гг.). С 1625 года одновременно являлся владетелем Гурийского Княжества.

20. Пицундский храм Успения Богородицы - один из самых древних христианских центров Грузии. На I Вселенском (Никейском) Соборе в 325 г. присутствовал епископ из Питиунта (Бичвинты) Стратофил. По некоторым данным, с середины VIII в. там уже сидел каталикос Западной Грузии Иоанн, рукоположенный Антиохийским патриархом Феофилактом. Пицунда до конца XVIII века считалась каталикосской кафедрой, хотя с середины XVI века, когда нынешний Гудаутский район (Абхазское эриставство) заняли горцы - язычники, каталикосы Абхазии, т. е. Западной Грузии (ими являлись исключительно грузины) вынуждены были перенести резиденцию в Гелати. Они тем не менее, имели возможность со своей свитой приезжать в Пицунду и производить святое миро. Туда приезжал и Малахия II Гуриели. С конца XVII века, когда горцы (апсуйцы) заняли всю современную территорию Абхазии и уничтожили христианство, Пицундский храм (построен в X веке) фактически прекратил функционирование. Он возобновлен в качестве приходской церкви лишь 28 сентября 1869 года, когда Имеретинско - Абхазский епископ, выдающийся духовный деятель XIX в. Гавриил (Кикодзе) совершил освящение Пицундского собора в присутствии многих абхазцев (Отчет Общества Возстановления Православного Христианства на Кавказе, за 1869 год. Тифлис, 1870, с. 4).

21. Леван II Дадиани, в отличии от своих предшественников, действительно проводил независимую политику в отношении Турции, чему способствовали сложная для турок международная обстановка и внутренние неурядицы. Прежде всего, необходимо отметить, что центральная власть сильно ослабела в результате свержения султана Османа II (1618-1622гг.) и возведения на престол в 1623 году малолетнего Мурада IV; Турцию потрясла восстание Абаза Паши (1622 год). В 1624 году Иран отторг от Турции Ирак и Курдистан, не давали ей покоя русские казаки, постоянно нападавшие на приморские города. Этими обстоятельствами умело воспользовался Леван II. Он платил дань Турции лишь «для таго, чтоб

приходили корабли с торгом, а кой год не будут корабли и у них тот год скудна солью и железом», - записал Федот Елчин 4 января 1640 года, находясь в Цаленджихе.

22. Усейнбек (Хосейнбек) - по данным 1618 года, являлся везиром, т.е. «диаком» (так его называли русские) Шемахинского правителя Юсуп хана (П.П. Бушуев. История посольств и дипломатических отношений русского и иранского государств в 1613-1621гг. М., 1987, с. 189, 190, 229).

23. Как пишет М. Полиевктов, затем слудует «запись обычного церемониала «отпуска»: «Посол Гавриил снова был принят после «кизылбашских купчин». На «отпуске» думным дьяком Федором Лихачевым от имени царя ему был дан следующий ответ» (Материалы по истории грузино-русских взаимоотношений, с. 152). Ниже следует ответ Федора Лихачева от имени царя.

24. Григорианский календарь (новый стиль); система летоисчисления, введенная папой римским Григорием XIII в 1582 году. Основан на циклическом обращении Земли вокруг Солнца; продолжительность одного цикла - 365,2425 сутак. Введен в России по декрету от 23 января 1918 года (1 февраля того же года был объявлен как 14 февраля); в Грузии же 18 апреля 1918 года обявлен как 1 мая того же года. В момент введения Григорианского календаря разница с Юлианским календарем составляла 10 суток. С 1 марта 1900 года до 29 февраля 2100 года она составляет и будет составлять 13 дней, с 1 марта 2100 года до 29 февраля 2200 года - 14 дней, и т.д.

25. Такой порядок существовал после 1470-1474 годов, когда Иерусалимо–Антиохийский патриарх Михаил рукоположил каталикоса Западной Грузии (Абхазии). Им стал тогда Цаишско - Бедийский епископ Иоваким.

26. Князь Мезецкий Данило Иванович - приближенный царя Бориса Годунова (1598-1605 гг.); с 1610 года был окольничим (по рангу окольничие следовали после думских бояр), с 1618 года - боярин; воевал со шведами (1614г.) и поляками; участвовал в переговорах с последними в 1818-1819 годах, в том числе по обмену пленными (среди пленных был отец царя митрополит Филарет) и другим вопросам (В. Н. Татищев. История Российская, т. VII. Л., 1969, с. 159, 166, 167; С. М. Соловьев. Сочинения, кн. V. М., 1990, с. 15, 72-74, 84, 85, 103-105, 116, 262, 271).

27. Андрей Андреевич Хованский - князь и воевода; в 1613 г.

участвовал в войне с литовцами, в 1615-1620 гг. - воевода Астрахани, в 1626-1628 гг. - Тобольска, с 1629 г. - Нижнего - Новгорода.

28. Посольство в составе Андрея Осиповича Плещеева и Никифора Талызина было отправлено в Иран в 1629 году (В. Н. Татищев. История Российская, т. VII. Л. 1968, с. 168).

29. Иван Васильевич Морозов позже служил в Москве, был конюшей боярином, а затем начальным боярином Москвы; его сын Борис Иванович Морозов являлся свояком царя Алексея Михайловича (В.Н. Татищев. История Российская, т. VII, с. 170; С.М. Соловьев. Сочинения, кн. V, с. 462-464, 615 и т.д.).

30. Черный Яр - населенный пункт на правом берегу Волги (Астраханская область).

31. О князе и боярине Ю. А. Сицком см.: С. М. Соловьев. Сочинения, кн. V, с. 224-225, 231 и т.д.).

32. Шевкал (Шавкал, Шамхал) - титул Кумыцкого (Кумыки - Прикаспийский тюркский народ севернее Дербента) владетеля.

33. Кабарда, находящаяся в подданстве России с 1557г., и в XVII веке оставалась раздробленной на ряд феодальных владений. Ими управляли Идаровы (Мундаровы, как сказано в наказе) - сыновья старшего кабардинского князя Куденета, а так же Алегуко Шеганукин и Хотажуко Казыев (князья Большой Кабарды). Существовали и другие, более мелкие владения - кабаки (История Кабарды. М., 1957, с. 48-49).

34. Требует уточнения локализация названных в составе России Югорского (Угорского), Удорского, Обдорского, Кондинского регионов «и всеа северныя страны", а так же „Новагорода Низовские земли". По мнению В.Н.Татищева, «Игоры прежде именовались Горы, что потом Пояс имяновали и народы в них живущие, в котором Верхотурская и Екатеринбургская провинция заключается» (В. Н. Татищев. Избранные труды по географии России. М., 1950, с. 182; об Угории см. так же с. 131, 159, 164). Тот же В.Н.Татищев пишет, что «остяки.... имеют разные названия, яко то: удорские, обдорские, кондинские и протчие". Правда, „едва кто знает, где оные сыскать", но он все же конкретизирует: «Кондийские остяки в Тобольской провинции по р. Конде»; «Кондийские - по левую сторону Оби вверх по Иртишу»; «Обдоры - ... по р. Оби, которое имя точно значит житель по Оби, собственно они от реки Иртиша вниз до моря»; «Обдорские - вниз по Оби до моря"; «Удорские - вверх по Оби в Томском и Нарымском»; «Удоры - ... от Сургута в верх по Оби, Чулиме и Томи рекам живущие.

Оний доднес идолопоклонники» (В.Н.Татищев. Избранные труды по Географии России. М., 1950, с. 131, 173, 178, 179, 182, 205; В.Н. Татищев. История Российская, т. VII. Л., 1968, с. 64). Таким образом, исторические Удорские, Обдорские и Кондинские регионы - это современные Ханти - Мансийские, Ямало-Ненецкие, Долгано - Ненецкие (Таймирские) и Эвенкийские автономные округа. В Ханты - Мансийском округе и сегодня существует город Кондинск (районный центр); Обдорск - прежнее название Салехарда.

Под „всеа северныя страны", наверное, имеется ввиду северная часть Восточной Сибири и Дальнего Востока, т.е. Якутия, Чукотский и Корякский автономные округа.

„Новагорода Низовские земли" („Низовские")-это территории, расположенные южнее Нижнего Новгорода, по среднему течению р.Волги и ее притоков.

35. Турецкий султан в 1623-1640 годах Мурад IV.

36. Являясь вассалами и союзниками Турции, Крымские ханы устраивали постоянные набеги на Россию, в результате которых только в первой половине XVII в. пленили и увезли в Крым до 150-200 тысяч русских. В 1633 году крымские татары дошли до Тулы, Каширы, Калуги и окресностей Москвы. Назначенные в 1637 году новые правители Крымского ханства - царь Бегадыр Гирей, калга (вице хан и преемник царя) Ислам Гирей, нурадын (высший духовный руководитель) Сафат Гирей свою деятельность начали с набега на Россию (сентябрь 1637 г.). Захват казаками г. Азова (1637 г.) вынудило их идти на временные компромисы с Россией. Крымский посланник Тохтамыш, принятый в Москве в Посольском приказе 25 мая 1638 года, давал шерт (клятву на коране) о мире с Россией, а 22 сентября того же года шерт принес Бегадыр Гирей. За мир Москва платила Крыму увеличенную дань - т. н. поминки. Крымские ханы не признавали русских царей самодержцами, считая их лишь великими князьями (А.А.Новосельский. Борьба Московского государства с татарами в первой половине XVII в. М., - Л., 1948, с. 245-282).

37. Король Польши Сигизмунд III (1566-1632 гг.).

38. Владислав IV (1595-1648 гг.) - Польский король в 1632-1648гг., сын Сигизмунда III.

39. В августе 1610 года «Семибоярщина» провозгласила царем России польского царевича Владислава, но не был венчан. Он добивался осуществления своих притязаний на русский престол в

ходе Русско-Польских войн 1617-1618 (закончилось Деулинским перемирием на 14,5 лет и потерей Смоленска, Дорогобужа, Стародуба, Чернигова, Путивла, Новгорода, Северского и др.) и 1632-1634 годов. О последней войне В.Н. Татищев писал: «7140 (1632). По выходе положенных мирных (14,5 - Дж. Г.) лет, государь, желая удержать от поляков Смоленск и другие города, послал под Смоленск болярина Михаила Борисовича Шеина со многими войски, дворян, рейтар, драгун, стрельцов и казаков, а у рейтар и драгун полковники были немцы, всего 100 000 человек...

7142 (1633)... Того же году сказали, что под Смоленском воеводы боярин Михаил Борисович да окольничей Артемей Васильевич Измайлов изменили и обоз со всем снарядом отдали королю Польскому. И велено им быть к Москве» (В.Н. Татищев. История Российская, т. VII, с. 168), где 28 апреля 1633 года их казнили без выяснения действительных причин военной катастрофы. По Поляновскому миру (1634 год) Польша сохранила захваченные ранее русские города, но Владислав отказался от русского престола. Поэтому более „убедительно" звучат, сказанные в документе слова, что „недружбы... с Польским королем нет".

40. Государственное образование, возникшее в результате распада Ногайской орды (последняя выделилась из Золотой орды на рубеже XIV-XV вв., занимала Северное Прикаспье и Приуралье до Камы, от Волги до Иртыша) в середине XVI в. занимала Прикаспье, Левобережье Нижней Волги до р. Урал. С 1660 года Большие Ногаи формально подчинились Москве.

41. Казыев улус - Малые Ногаи. Существовал с конца 50-х годов XVI в. на территории от р. Кубани до Дона. Основал его Мурза Казы (умер в 1577 г.). В первой половине XVII в. Малые Ногаи распались на мелкие орды.

42. Персидский шах Аббас I (1587-1629 гг.).

43. Персидский шах Сефи I (1629-1642 гг.).

44. В XVI-XVIII веках между Ираном и Турцией происходили частые войны в основном за Ближный Восток и Закавказье. Только в первой половине XVII века они столкнулись в 1603-1612, 1616-1619 и 1623-1639 годах. Последняя война завершилась заключением Зохабского мира (18 мая 1639 года), явившимся последним вариантом Амассийского (1555 г.) соглашения. Турция и Иран еще раз поделили Грузию, Армению и Курдистан. За Турцией остался

Багдад (Н.В.Пигулевская, А.Ю. Якубовский и др. История Ирана с древнейших времен до конца XVIII века. М., 1958, с. 259, 298 и др.).

45. Часть чудотворного пояса Пресвятой Богородицы и икону Влахернской Богоматери в 1031 году привезла из Константинополя супруга царя Грузии Баграта IV (1027-1072 гг.), племянница Византийского императора Романа III (1028-1034 гг.) - Елена. В течение многих веков прикрепленный к Влахернской иконе пояс Богородицы находился в Бедийском храме и являлся главной святыней Дадианов. В 1806 году находявшаяся в Петербурге делегация Мегрелии Влахернскую икону с поясом Богоматери преподнесла в дар Александру I. Император временно поместил их в придворной церкви, а в мае того же года вернул обратно делегации Мегрелии (такова была рекомендация главноуправляющего Грузией П. Цицианова). При этом он выделил 2000 червонных для строительства храма в центре Зугдиди во имя Влахернской Богоматери. Храм действительно был построен в 20-х годах XIX в. и действует поныне. До советизации Грузии (1921 г.) там же находились икона и пояс Богородицы. В настоящее время Влахернская икона хранится в Музее Искусства Грузии, а пояс Богородицы утерян в начале советского периода.

46. О Вселенских Соборах см. коммент. 61 и книгу: Правила Православной Церкви. С толкованием Никодима, епископа Далматинско-Истрийского. М., 2001.

47. Кирилл Александрийский выступил против ереси Нестора Константинопольского, утверждавшего, что Дева Мария является не Богородицей, а «человекородицей»; Христос, по мнению Нестора, лишь, человек, в котором с помощью Святого Духа поселилось Божественное Слово. Против несторианцев Кирилл Александрийский написал послание «К отшельникам». Благодаря его усилиям, Третий Вселенский Собор в Ефессе (431 г.) осудил Нестора и его последователей. Они были осуждены так же на Пятом Соборе, состоявшемся в 553 году в Константинополе.

48. Савелий жил в III веке, родом из Птолемаиды (Ливия); один из первых создателей учения о Святой Тройце.

49. Арий-пресвитер, с именем которого связано появление в Александрии в 315-320 годах ереси под названием Арианства.

50. Македоний (IV век)-Константинопольский епископ (низложен в 360 году), утверждавший, что Святой Дух не участвует в Божестве

Отца и Сына. Поэтому и называют его духоборцем.

51. Евтихий (378 - после 458гг.), настоятель монастыря около Константинополя; выступая против Нестора, сам впал в ересь, противоположную несторянской - в монофизитство. Он стал эпонимом крайнего монофизитства.

